

114  
1949

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
საქართველოს

# მნათობი

3

მნათობი



1949

# მნათობი



საზღვრულ-საზღვრულს საბჭოთა მშენებლის  
კავშირის უმცლესი და სარედაქციო-საბეჭდო  
სახელოსნო და საზღვრულ-საბეჭდო-საბეჭდო  
ქარააღმართი

წილისადი მცენარეობა



3

3 1 6 0 0

★

თბილისი

1949



134948 4573  
846741

შინაარსი



საქართველოს  
პრესის კავშირი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხანაგ ლ. ბრძანებულება  
ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.  
აშხანაგ ლავრენტი პავლესძე ბერიას — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური  
კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება.  
მოსკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, აშხანაგ ბერიას — საქართველოს კ. პ. (ბ)  
ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება.

ბრძანებულება	33-
ბრძანებულება — ახალი ქართლი, ლექსი . . . . .	3
დავით ბაქრაძე — გმირთა სისხლით, ვაგრობელება . . . . .	4
ქონსტანტინე ბაშასხარაძე — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი შესაშვ, ვაგრო- ბელება . . . . .	27
მიხეილ ზანდუაშვილი — რუსთავი, ლექსი . . . . .	61
შაქრო სამაღაშვილი — შემოქმედი, ლექსი . . . . .	62
ქლიმენტი გობიაშვილი — მურხელის ვანთაღი, ნარკვევი . . . . .	63
ფ. დავითაძე — ნათელი დღეები, მოთხრობა . . . . .	79
ბაბრიელ ტალახაძე — მხარდაშორ, მოთხრობა . . . . .	119
ბრიტოლ შვანი — აშ. ლ. პ. ბერიას წიგნი „ამერიკელების ბოლშევიკური ორგა- ნიზაციების ისტორიის საკითხსათვის“, წერილი . . . . .	145
მანია მამთარაძე — მოუარდ ფასტი, წერილი . . . . .	171
ბ. ნაზარაძე — ივანე კოტლიარჯვეციის „ენეოდა“, წერილი . . . . .	182
დავით ქობინი — ფილოლოგიური შენიშვნები, წერილი . . . . .	184
ქონსტანტინე ჭინჭინაძე — ზემო პასუხი, წერილი . . . . .	189
გიორგიშვილი — „პაგანინის ვანკოცხვა“, ბიბლიოგრაფია . . . . .	194
მ. ნალი — „ი. ნონეშვილი „ქარიშხლის შემდეგ“, ბიბლიოგრაფია . . . . .	197
ვლ. მუშაშვილი — „გ. ერეკლევი „საბჭოთა კონსტიტუციის განვი- თარების ეტაპები“, ბიბლიოგრაფია . . . . .	199
ბრ. აბაშიძე — „პოლონიუს როდოსელი „არგონავტიკა“, ბიბლიო- გრაფია . . . . .	203

პასუხისმგებელი რედაქტორი  
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშიძე, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი  
შლიანი), იოსებ ბრიშვილი, პავლე ინგოროშვილი, სერგო კლდია-  
შვილი, ალიო შირვაშვილი (მუშაშვილი), ბესარიონ ტლინტი,  
ბალატიონ ტალიძე, სანდრო შანშიაშვილი, დიმიტრი შანშიაშვილი.

გელმოწერილია დასაბუთად 4/IV-49 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12%, ფ. ში 01147.  
შეჯ. № 398. ტირაჟი 5.200.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა  
საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომინატო. თბილისი, შარჯანიშვილის ქ. № 5.  
რედაქციის მისამართი: შარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი № 3-23-42.

Комбинат Печати Управления по делам Полиграфии и Издательства при Совете  
Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

რედაქციის მიერ

## ახალი ქართლი



თქვი და, იერი იცვალა  
დედა-ქალაქმა თბილისმა,  
ყველას იზიდავს ახალი  
შისი გარემოს თბილისმა.

თქვი და, სოფლები ბაღებად  
გარდაქმნიათ ვაჟაკებს,  
ყოველი სახლი ღამეში  
როგორც ვარსკვლავი კაშკაშებს.

იქაც, სად იყო კაობი,  
თქვი და გაშენდა წალკოტი.  
უდაბნოს წყალი აღინე,  
ნანგრევებს დაქარ წალკატი.

დაქარ ნანგრევებს წალკატი  
და აღმოცენდა ქალაქი.  
ისევ გაოცებდა ფენიჭსებრ  
დანაცრებული ალაგი.

აქ ხალიბები ოდესღაც  
ფოლადს აღნობდნენ წკრიალას.  
კედლდნენ გუთნებს და ფარ-შუბებს  
დაუქანგველს და კრიალას.

შენ თქვი და, კვლავ აგიზგიზდნენ  
მათი ჩამქრალი ქურები;  
კვლავ სიხარულით ამგერდნენ  
ფერფლში დაფლული გულები.

ასე, აქციე საქმედ შენ  
ბელადის ნება, სურვილი,  
წამოაყენე ქვეყანა  
წინათ ცრემლებში ცურვილი...

ქართველ ხალხს შენი ამაგი  
მარადეამს ემახსოვრება.  
შენი სახელით შემკული  
ახალი ქართლის ცხოვრება.

ღაწით ბაქრაძე

სახელოთა კავშირის გზით.

## გმირთა სისხლით\*

★

XXVI

დადგა დრო, როცა კარპატებს მთებს უნდა დაემშვიდობებოდით.

კარპატებში ლაშქრობამ ბრწყინვალე შედეგები მოიტანა. კოვპაკის პარტიზანულმა შენაერთმა მტრის არა ერთი გარნიზონი გაანადგურა. ესეც უნდა პოლკები ისე გაწყვიტა, რომ მისგან მარტო ნომერი-ლა დასტოვა.

ჩვენც ბევრი სიღუბნეობა გამოვიარეთ. მე უკვე ვწერდი, რომ კარპატების ბუნება თავისი სიუხვეით არ გვანებებდა; მოცივის გარდა სხვა ხილს აქ იშვიათად წააწყდებოდით. ეს დალოცვილი კი ბლომად იყო. მაგრამ მოცივი რა საზრდოა კაცისათვის, რომელსაც ამ ციციბოებში უნდა ებრძოლა. ხანდახან რომ სტუმართმოყვარე გუცულებს გადაეწყდებოდით ხოლმე—არც ის იყო ხსნა; ეს ეამიდან ეამამდე, შემთხვევიდან შემთხვევამდე თავის გატანა უფრო იყო.

და აი ახლა კოვპაკის ბრძანების თანახმად ისევ ბელორუსიისაკენ მივემართებოდით.

ჭირის დღესათვის მოგვაქვს თავი კარპატებში; და როცა 1943 წლის თერამეტ ვევისტოს, დილის ექვს საათზე ბარისაკენ ვიბრუნეთ პირბ, რათა ბელორუსიის სოფელ კანატოპში მივსულიყავით ბიჭების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მეც ძალზე მიხაროდა. რძისფერ ნისლებში გახვეული პოლესიე მაგონდებოდა, სადაც სტუმართმოყვარე ბელორუსი ისე ტკბი-

ლად გეხვდებოდა გაგიღიმებდა, გამარჯვებას ვისურვებდა, რომ ყველაფერი ეს კაცს ახალ ძალას შეგმატებოდა.

ბარში რომ დავეშვიტე პირველად დელიატინ-სტანისლავის რკინიგზის ხაზს წაეწყვიტა. ენაგი მოსდებოდა ლიანდაგს, იმითომ, რომ დელიატინის ხიდის აფეთქების შემდეგ აქ მოძრაობა შეწყვეტილი იყო. რკინიგზას პარალელურად სტანისლაე-ნადურნოეს შარაგზა მისდევდა. ამ შარაგზის ახლო პატარა ტყე იყო. საიქედო თავშესაფარად ეს ტყე არ გამოდგებოდა, მაგრამ სხვა რა გზა იყო, ამ ტყეს შეეფარეთ თავი. ტყის ირგვლივ ყარაულები დაგაყენეთ. დავაროვებ ბიჭები: „ფეხი არ დასძრათ-მეთქი.—ვეთხარი, ფიჩხი რომ ფიჩხია, ფეხი არ დაადგათ, სულ უბრალო ხმაურსაც მოერიდეთ-მეთქი“.

პარტიზანები კი დასასვენებლად განემზადნენ. ახალი ჩაძინებული ვიყავ, როცა ყარაულებმა მოირბინეს, გამალვიძეს და მითხრეს:

— ამხანაგო მეთაურო, ვილაც კაცი დადის აქ ახლოს, ხან შემოიბრუნეს ტყეში, გაჩერდება, რაღაცას ყურს უგდებს და მერე ისევ უკან გარბის. ამ წუთშიც აქ იყო, მხარზე ნაჯახი აქვს გადებული.

— ვერ შეატყვევთ რა კაცია? სამხედროა, თუ აქაური მცხოვრებია?—ვეკითხები ყარაულის უფროსს.

— გლეხი უნდა იყოს, ამხანაგო მეთაურო, ახალგაზრდაა. დიდხანს როდი

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1.



ვანერდებმა ხოლმე ტყეში, მიიხედ-  
მოიხედავს და დაფეთებული ვარბის  
უკან.

— ჩაუსაფრდით, და დაიპირეთ, გაი-  
ვით რა დარჩენია მას ამ ტყეში, რა და-  
კარგა და რას ეძებს!—ვეუბნები პარ-  
ტიზანს.

ბევრი ლოდინი არ დამჭირებია,  
მწვერავებმა მალე მოიყვანეს მხრებ-  
გაკრული ახალგაზრდა კაცი. ტყვეს მი-  
წის ფერი ედო, ციებიანივით ცახცა-  
ხებდა.

მწვერავებმა მოთხრეს, რომ როდეს-  
საც ეს კაცი ტყეში შემოდის, უკან  
ოცამდე შეიარაღებული გერმანელი  
მოსდევდო. პარტიზანების დანახვაზე  
თურმე გერმანელებმა სასწრაფოდ მოპ-  
ყურცხლეს, ეს კაცი კი დაიბნა, პირდა-  
პირ ჩვენს მწვერავებს წააწყდა და გე-  
ლარსაით გაიქცა.

ახლა დგას ჩემს წინ და ვერბვის  
ფოთლოვით კანკალებს.

— ვინა ხარ, რა დაგრჩენია ამ ტყე-  
ში?—ეკითხები მას.

— აქაური ვარ ბატონო, ჩემი გვარი  
კასინსკია, გერმანელებმა გულზე  
თოფი დამაბჯინეს და მაიძულეს ტყე  
დაზვერეო.

— სად არიან გერმანელები? შენ  
უთხარი მათ რომ ჩვენ აქა ვართ?

— არა, ვფიცავ ცოლ-შვილს, მე  
არაფერ შეუაში ვარ. პოლიციელებმა  
გაიგეს თქვენი აქ ყოფნა და გარნიზო-  
ნის უფროსს აცნობეს, გარნიზონის უფ-  
როსმა გამომიძახა და მოთხრა: „გასწი  
მალე ტყეში, საჩქაროთ გაიგე ვინ  
არაინ იქ და მომახსენეო“. იმისი ბრძა-  
ნება რომ არ შემესრულებინა და ტყე  
არ დამეზვერა, დამიპერდნენ და კატა-  
სავით სარზე ჩამომკიდებდნენ.

ვხედავდი, რომ ეს კასინსკი ჯამუ-  
ში იყო, მაგრამ ისეთი მშვიდობა,  
რომ ჩემს პარტიზანობის დროს ასეთი  
ლაჩარი კაცის მნახველი არ ვიყავი.

— გამყიდველი ხარ, კასინსკი, — ვე-  
უბნებოდი მას.

— ვფიცავ ცოლ-შვილს, იძულებული  
გამხადეს ტყე დაზვერეო, მე მაგ ძალ-  
ლების არაფერი მწამს, — იძახოდა კა-  
სინსკი.

— კარგი ხმა ჩაიკმდე, თვალებზე  
გეტყობა, რაც შეილი ხარ. ერთი  
მოთხარი, აქაურ გზებს თუ კარგად  
იცნობ?

— ყველა ხის ძირი ვიცი, საითაც  
მიბრძანებთ, ისე წაგიყვანთ, რომ კაცის  
შვილმა ვერ გაიგოს.

ტყის იქით სიმინდის ყანები იყო.  
ეს ტყე თავშესაფარად მაინც აღარ  
ვარგოდა, გაცემული ვიყავით. კასინს-  
კიმ სიმინდებზე გადაგვატარა და ის  
არემარე დაეტოვებ.

ეს კაცი მართლაც გზების საუკეთესო  
მცოდნე გამოდგა, უზიფათო ბილი-  
კებით გავვიყვანა იმ მიდამოებიდან. მე-  
რე უკან დაბრუნების ნებართვა გვთხო-  
ვა. მაგარი უარი მოვახსენეთ და ერთი  
დღე და ღამე კიდევ ვარბენინეთ, მაგ-  
რად მოვქანცეთ და ბოლოს უშეშარ  
გზაზე რომ გამოვედით, შევახურე,  
ვუთხარი, რომ შენ კაცი არა ხარ მეთ-  
ქი: როცა შენ სამშობლო პოლონეთს  
გერმანელები სისხლში ახრიბენ, შენ  
მტრის მხარეზე ხარ: როცა მთელი პო-  
ლონეთი ებრძვის დამპყრობელს — შენ  
მომშის სისხლით ისერი ბელებს-მეთქი.

კასინსკიმ თვალბეში ველარ შემომ-  
ხედა, იღვა, ჩასკეპროდა მიწას და ყო-  
ველ წუთს ფერი მისდიოდა, მერე  
ძლივს ამოიღო ხმა და წაილულულა:

— ეიყო გარეყარი აღმზიანი, ვახხდე  
ძაღლის კერძი, თუ დღეიდან გერმანე-  
ლების ახლოს გავიარო.

შესძლო ამ საპყარმა თავისი სიტყ-  
ვის შესრულება თუ არა, არ ვიცი, მხო-  
ლოდ სიმწრის თფლში კი გავწურეთ,  
თვალბეში ჩავფურთხეთ და ქეციანი  
ძაღლივით გამოვავდეთ უკან.

## XXVII

დღევანდელი ჩვენი კერძი—უმი ცერცვი და ჭყინტი სიმინდია. რას იზამ, მოცეს მაინც სჯობია. ესეც არ იყოს შეჩვეული ვართ. საჭმელზე როდია საქმე. კოვპაის პარტიზანებს გერმანელების პოლკი ისე დაუმარცხებიათ ზანდაზან, რომ სამ დღეს ლუკმა პურის მნახველნი არა ყოფილან.

წამოვედით თუ არა ტყიდან, ერთი საათიც არ გასულა, ის ტყე ციცილში გახვიეს გერმანელებმა. სჩანდა კასინსკის რომ გერმანელები ახლდნენ—იმათ აცნობეს თავისიანებს—ტყეში პარტიზანები არიანო, მაგრამ ძალიან დაიგვიანეს ფრიცებმა, ჩვენ შორიდან ვადევნებდით თვალყურს, თუ როგორ ცხრილავდნენ ისინი დაეარიღლებულ ტყეს.

ჩვენ გეზი შავი ტყისაკენ ავიღეთ, და დაღამდა თუ არა, ისეც შარავზაზე გამოვედით. პავლოვსკი მოითხოვდა — უფრო ჩქარა ვიაროთო. შარავზაზე მყუდროება იყო, არც ავტომანქანა და არც ქვეითი მგზავრი არსად სჩანდა. გაგვაკვირვა ამ მოულოდნელმა სიჩუმემ. ისიც იყო გზის პირას მდებარე პატარა ხუტორში შევეუხვიეთ.

ამ შუალამისას უდროეოდ დროს ჩვენი მისვლით პირველად ძალზე შეკრთნენ გლეხები. მაგრამ როცა გაიგეს, თუ ვინ ვიყავით—დამშვიდდნენ და ზალი-სიანი საუბარი დაიწყეს. როგორც ყველგან, ამ ხუტორშიაც ახალგაზრდობა არსად სჩანდა, ამის მიზეზი ჩვენ უკვე ვიცოდით. მოხუცმა გლეხმა სთქვა:

— ამჟამად სოფელი მოხუცებულებისა და ბავშვების ამარაა დარჩენილიო.

მან ბევრი სხვა საყურადღებო ამბავიც გადმოგვცა.

— ერთი ეს მითხარი, მოხუცო,—ვეკითხებით ამ კაცს,—ეს რა სიჩუმეა

ამ შარავზაზე, რატომ უკრძავენ ავტომანქანები? ბიზუნიჩისკან

— ეშინიათ, შვილო, დამფრთხალები არიან, ღამე მოგზაურობას ერიდებიან. ამასწინათ პარტიზანებმა გაიარეს ამ შარავზაზე, ჩაუსაფრდნენ გერმანელების ავტომანქანების კოლონას და ოცდაათამდე მანქანა დააკავეს. დასწვეს და გაანადგურეს. ამის მერე ჩვენს სოფელშიც იყვნენ პარტიზანები, იმათ ერთი გრძელწვერა უფროსი ახლდათ, ის წვერებიანი კოვპაკი არისო, ასე გეუბრეს.

ეტყობოდა მოხუცი სცდებოდა. გრძელწვერა მეთაური ვერშიგორა იქნებოდა და არა კოვპაკი. კოვპაკმა კარპატებიდან წამოსვლის წინ წვერ-ულვაში მოიპარსა და გენერლის ქუდი გუცულის ძველ ქუდზე გადასცვალა. როგორც სჩანდა, ვერშიგორას ჯგუფს ამ სოფელზე გაეცლო.

— საით წავიდნენ პარტიზანები, იქნებ იცოდე?—ვეკითხები ბერიკაცს.

— აი კჩით წავიდნენ,—მიპასუხებებს მოხუცი და ხელს აღმოსავლეთისაკენ იშვებს.

— რაო, რა ვითხრეს პარტიზანებმა?

— ბევრი ვისაუბრეთ. გრძელწვერა კარგი კაცია... მაგრამ კი შეგვახურა, როცა ეუთხართ, გერმანელები იძულებულს გვხდიან ახალი მოსავლიდან პური დაუფშხალოთ და ჩავაბაროთ-თქო.

— რაო, რაო? პურს გერმანელებს აძლევდი?—შეიჭმუნნა თვალუმი ერთმა პარტიზანმა,—რას ჩადიხართ, მოხუცო, სად თქმულა ეს. სად გავონილა შენი ნაშრომი მოსისხლე მტერს გადაულოცო.

— სამ პირ ტყავს გვაძრობენ, შვილო, ძალით მოაქვთ, განა ნებით? ძალიან, ძალიან ჩქარობენ!

— გასაქცევად აქეთ საქმე და ამიტომ ჩქარობენ,—უთხრა პარტიზანმა. მოხუცმა სთქვა:



— იმ გრძელწვერამ გვეთხრა— შეეცადეთ, რომ პური არ მისცეთო. მთელი ზორბალი ვადამალეთო. პარტიზანებმა წასვლის წინ იარაღი დაგვიტოვეს და გვეთხრეს: შეინახეთ ეს იარაღი, ვინცოდაა დაგვიტოვებთ, გამოიყენეთო. ჩვენც მოვილაპარაკეთ, ვიმსჯელებთ, თუ რა გზას დავდგომოდით, რომ პური ვადაგვერჩინა, გერმანელებისათვის არ მიგვეცა. იცით რა მოვიგონეთ, რა გავაკეთეთ?

აქ მოხუცს თვალები გაუბრწყინდა. ღიმილმა სახე გაუნათა.

— აბა, აბა, საინტერესოა რა ვააკეთეთ ასეთი, გვიამბეთ!

— ყური მიგდეთ, ისეთი მოხერხება გამოვიჩინეთ, პიტლერმა რომ გაიგოს, ბრაზით გასკდება. ნაშუალამეც პური სოფლის გარეთ ჩუმად გავზიდეთ. ტყეში ორმოები გავთხარეთ და ტომარებით შიგ ჩავალაგეთ. ორმოებს ზევიდან ფიჩხი მივაყარეთ. დავბრუნდით თუ არა სოფელში, პარტიზანების ნაჩუქარი თოფებით სროლა აეტეხეთ. თოფის ხმაზე, სოფლის მეზობლად რომ მტრის გარნიზონია, იქიდან გერმანელები მოცივიდნენ; ჩვენ მათ ვუთხარით: „ეს-ეს არის პარტიზანები მანქანებით თავს დაგვესხნენ, სროლა აგვიტეხეს და ტომარებში გამზადებული პური სულ ერთბაშად ვაზიდეს სოფლიდანაო“. ტირილს ცოტალა გვაკლდა, ამ ამბავს რომ ვუყვებოდით გერმანელებს. ეს რომ გაიგეს, ფრიცებს ჯერ ელეთ-მელეთი დაემართათ— კიდევ არ მოვიდნენ პარტიზანებიო. მერე ყველრება დაგვიწყეს:

— ლარები ყოფილხართო, როგორ თუ პური ვაატანეთ პარტიზანებსო, — და მთარახები ვადაგვისვეს ზედიზედ იმ ძაღლისშვილებმა. შეიარაღებულებთან უმწეო ბებრები და ბავშვები აბა რას გავხლებოდით.

— საით წავიდნენ პარტიზანებიო, — ვკითხეს.

— აი ამ გზით-თქო, მოვეუბრუნეთ სულ სხვა გზაზე. შეიარაღებულები ავტომანქანების გზაზე დაგვიტოვეს „პურის გამტაცებლებს“ — ალბათ დღესაც განაგრძობენ მათ დვენას! დაე, სდიონ! თუ დაეწიენ, — ზომ მიიღებენ ფრიცები თითო ტყვიას, თუ არა და ეს ბელი მაინც არ ასცდებათ.

მოხუცს ეს თაოსნობა მოეუწონეთ, ამის მერე სოფლელებმა ბარაქიანი სუფრა გაგვიწყვეს.

რაკი დავრწმუნდით, რომ შარავხით უხიფათოდ შეიძლებოდა მოგზაურობა — გაბედულად გავწიეთ წინ, შავი ტყისაკენ. პავლოვსკი არ ცხრებოდა, გვაჩქარებდა. ისე გაქანებულები მივდიოდით, რომ პარტიზანებს ოფლი წურწურით სდიოდათ.

პავლოვსკი ძველი პარტიზანი იყო. სამოქალაქო ომის წლებში თეთრების წინააღმდეგ იბრძოდა. ახლა მისი ოცნება მტრის ჯავშნიანი მატარებლის ხელში ჩავდება იყო. მას ახსოვდა, ერთხელ სამოქალაქო ომის დროს რა დიდი სამსახური გაუწია ჩვენებს ნადავლმა ჯავშნიანმა მატარებელმა. ახლანდელ პარტიზანულ ბრძოლებში ჯავშნიანი მატარებელი სათანადო როლს რომ ვერ შეასრულებდა, ამას პავლოვსკი თითქოს ვერ ხედავდა.

— დავით, — მეტყოდა ხოლმე პავლოვსკი, — მტრისათვის ჯავშნიანი მატარებელი რომ დაგვაძრობინა, მაშინ უნდა ნახო ჩვენი წარმატება...

ზანგრძლივი მოგზაურობის შედეგად პავლოვსკის ძველი იარა გავხსნა და კოჭლობა დაიწყეო. ვამჩნევდი ძალიან უქირდა სიარული, მაგრამ არც ერთხელ თავის გასაქირზე სიტყვა არ დასცდენია.

იმ ღამეს კარგი მანძილი გავიარეთ. ხუთმეტი წუთით შესვენების შემდეგ კვლავ განვაგრძეთ გზა. მტრედისფრად ინათა, როცა შევნიშნეთ, რომ მეორე ასეულის ერთი ნაწილი თავის მეთაურით, ჩვენთან არ იყო. თურმე



ისინი გზაში, დასვენების დროს ჩამოგვრჩნენ და შემდეგ ვეღარ დაგვეწყინ. არა და, დაცდის დროც არ იყო, თენდებოდა. მოსალოდნელი იყო გერმანული ტანკების და ავტომანქანების შარავნაზე გამოსვლა.

შარავნაზე დაწალიკებით მიმავალი პარტიზანების წინა რიგი უეცრად შესდგა. განთიადის ბურუსი იყო. საჩქაროდ დავცალეთ გზა და აქეთ-იქეთ თხრილებში ჩავსაფრდით; ავტომატებში ფეხზე შევაცყენეთ. ოცი შეიარაღებული კაცი შეამჩნიეს ჩვენმა პარტიზანებმა. ნეტა ვინ არიან! აბა, ბიჭებო, გამოარკვეით-მეთქი, — გავგზავნე მზევრავები. ისინი წავიდნენ წინ და უცებ ეხედავ, ჩემი მებრძოლები გადაუხვივნენ უძნობებს და გადაკოცნეს, თურმე ჩვენს პარტიზანებს შეეხვდით. საჩქაროდ ამოვედით თხრილებიდან და მათკენ გავეშურეთ. ესენი მესამე და მეოთხე ასეულების პარტიზანები აღმოჩნდნენ, შემოგვიერთდნენ და ჩვენთან ერთად გზა განაგრძეს. მათ გვიამბეს: „კოვპაკი რადიოთი შემოერთებას თქვენ რომ ვთხოვდათ, იმ ხანად დუსის მთის ძირში ვიდექით და დიდ განსაცდელში ვიყავით, ორ წრედ ვარს გვერტყა მტერიო. კოვპაკმა მტრის ორთავე წრე გააარღვიაო, ჩვენი მოხუცი იმ მძიმე წუთებში თურმე ისე იბრძოდა, გვეგონებოდათ ოცდახუთი წლის ახალგაზრდააო. მისი ავტომატი მთელი დღეს ქუხდა. „ბიჭებო, მომყევით, არ შეღრკეთო“ — შესძახოდა ბიჭებს სიღორ არტემის-ძე და ხელჩართულ ბრძოლების შუაგულში ტრიალებდა. ამ ცხარე ბრძოლის დროს დაიკარგა კარბენკო. კაცი არ იყო მნახველი, სად და რა პირობებში დაიღუპა იგი. მხოლოდ ეს კია, გაფთრებულ ბრძოლის შემდეგ ის აღარ გამოჩენილა.

კარბენკოს დაკარგვის ამბავმა ყველა შეგვაშფოთა, სახელოვანი მებრ-

ძოლი იყო; მან ბევრჯერ ისახელათაფი.

ერკუნიანი

— მერე და სად დასტყვევდნენ? — კოვპაკს? — ვეკითხები პარტიზანებს. მათ მიპასუხეს:

— კოვპაკმა, ერთი წყება მებრძოლებით, შესძლო მტრის ალყის გარღვევა და სამშვიდობოზე გამოსვლა. ჩვენ კოვპაკს უნებურად ჩამოვეილდით და მტრის რკალიდან იმხანად გამოსვლა ვერ შევძელით, ტყეში გაფიფანტენით. სამი დღე-ღამე ვიხეტიალეთ. დაბალი ზმით ვუსტვენდით ამ უღრან ტყეში, თან ფრთხილად გადავინაცვლებდით ხოლმე ადგილიდან ადგილზე, სტვენას თანდათანობით ვაძლიერებდით. სტვენის ნიშანზე ჩვენ მოლაპარაკებულნი ვიყავით ტყეში გაფანტვამდე. ჩვენს სტვენას თუ სამჯერ თანმიმდევრობით გამოეხმაურებოდა ვინმე, ის პარტიზანი იქნებოდა.

— ახ, რომ იცოდეთ, ამხანაგებო, — გვეუბნება მეოთხე ასეულის პარტიზანი ელოდია მეღვეღვეი, — რა წამება გავიარეთ ტყეში გაფანტულებმა. ასე სტვენით ერთი-მეორის მოძებნა ძალზე ძნელი და სარისკო საქმე იყო: თანაც ჰიარდა ამ უღრანებში ხეტიალი. მომეწყინა ასე ამოა ძებნა და ძლიერად დაუუსტვინე. ოდნავ გასაფრნი საპასუხო სტვენა მომესმა, ვიღაც ძალზე შორი მანძილიდან მიპასუხობდა. ეს გამომხმაურება ისე შორიდან ისმოდა, რომ ვერ გავარჩიე, სამჯერ თუ ორჯერ დასტვინა მოპასუხემ. ტუჩები ენით მოვილოკე და ისევ ძლიერად დაუსტვინე. სამჯერ საპასუხო სტვენა შედიხედ გარკვეულად დავითვალე. „ჩვენია, პარტიზანია“, — მეთქი — ვთქვი. სიხარულის ერთანტელმა დამიბრინა მთელ ტანში, მოპასუხე განმეორებით სტვენს, მაგრამ უკვე ახლო მანძილიდან. ის თანდათანობით მიახლოვდება, ფიჩხს სტებს ფეხით, გარკვევით მომესმა საკუთარი გულის-

ძგერა, შემიძლია მისი ბაგა-ბუფი ზუსტად დაეთვალო... ხავსიდან საჩქაროდ ამოვძვერი და იმ მიმართულებით საიდანაც სტვენა მოისმის, ვაჟვანდი.

— ვინა ხარ? — გაბედული ხმით შეკითხება ჩემგან მოშორებით მდგარი ლანდი.

— ვალდია შედედები ვარ, მეოთხე ასეულის პარტიზანი, — ეპასუხობ ლანდს. ამ სიტყვებზე ის გამოიქცა და გადამეხვია. ჩვენი ასეულის მებრძოლი იყო, მიწა დემადოვი. ასე ვაივგლახით და წამებით მოვებნეთ ერთმანეთი იმ ტყეში ოცმა პარტიზანმა და შემდეგ ყველანი გზას გავეუღეთ. დილა აღრიან შარავნაზე გამოვედით, უკვე თენდებოდა, სიარული საშიში იყო. გერმანელები მაინც არ მოგვისვენებია. რამდენი ფრიცი შეგვხვდა გზაზე, საიქიოს გავისტუმრეთ. თანაც დავაბარეთ, რომ ჰიტლერს მალე მათ გზას გაჰყვებოდა. ის-ის იყო თქვენ დაგინახეთ.

გზაში შეხვედრილმა პარტიზანებმა ისიც გვითხრეს, თურმე კოვაკი ძალიან ნაწყენი იყო იმის გამო, რომ მისი შენაერთის ცალკე ჯგუფებმა ველარ მოახერხეს რადიოთი ერთი-მეორეს დაჰკავშირებოდნენ. „რა დამართათ ამ მეკავშირებებსო, — წყრებოდა თურმე მოხუცი, — სხვა დროს ნემსის ყუნწში მოახერხებდნენ ხოლმე გაძრომას, ახლა ნუთუ ვერ შესძლეს ხმა მოეწვდინათ ჩემთვისო, რატომ დაივიწყეს, რომ მეკავშირესა და მზევარაზე ყველაფერი დამოკიდებულიო“. ამხანად ისიც გავიგეთ, თუმცა ძალზე საიდუმლოდ, რომ დელიატინის გაფართოებულ ბრძოლაში, როცა კოვაკის შენაერთმა ეს ქალაქი აიღო და მტრის უპირავე ჯარი გასწყვიტა, ამ დროს კოვაკიც დაიჭრაო. „გზაში კოვაკი კოჭლობდაო“, მითხრა ერთმა პარტიზანმა, მაგრამ მოხუცი თურმე არ ამხელდა თავის ჭრილობას. მთელ შენაერთში კაცისშვილმა არაფერი იყო-

და ამხზე, გარდა სანიტარი ქალისა, რომელიც ყოველდღე უხერხულად უჭრებლობას მოხუც მეთაურს.

იკითხათ: რატომ არ ამხელდა კოვაკი რომ დაჭრილი იყო? აი რატომ: ჯერ ერთი — ეს ამბავი პარტიზანებს ძალიან დაალოწებდათ, და მეორე — შესაძლო იყო ამ ხმას გერმანელების ყურამდე მიეღწია და მაშინ ისინი ისეთ ვანგავს ასტეხდნენ, რომ ქვეყანას დააყრუებდნენ — იტყოდნენ „კოვაკი მოვკალითო“, მესამე — იმდენად კეთილშოილი და თან ამაყი კაცი სიღორ არტემის-ძე, რომ ეთაკილებოდა თავის ჭრილობაზე ლაპარაკი. ასე იყო თუ ისე, კოვაკის ჭრილობის ამბავი მისმა შენაერთმა ვერ გაიგო მანამდე, სანამ ბელორუსიის სოფელ კანატოპს მივალწევდით.

XXVIII

არაღ სჩანდნენ მეორე ასეულიდან ჩამორჩენილი პარტიზანები. ძალზე ეწყუბნით ამის გამო. რალაც სასწრაფო ზომების მიღება იყო საჭირო. ჩვენც ათი პარტიზანი გამოეყავით, ხელმძღვანელად გორკუნოვი დაეუნიშნეთ და ჩამორჩენილი მებრძოლების მოსაძებნად ვავისტუმრეთ. წასვლის წინ გორკუნოვი გავაფრთხილეთ, რომ ხვალისათვის პანის ტყეში ვიქნებოდით.

და მართლაც მეორე დღეს, დილის ექვს საათზე პანის ტყეს მივადექით. მახლობლად სოფელი შევაჩინეთ. გადავწყვიტეთ გვერდი აგვევლო ამ სოფლისათვის და ტყეში დაებანაკებულყავით. ეს ტყე ვეებერთელა ფართობზე იყო გადაჭიმული. ტყის ნაპირზე გაძლიერებული ყარაული დაეტოვეთ და ჩვენ სიღრმეში შევედით. დაღლილ-დაქანცულუბი ვიყავით და მოცელილებით დაეცვივდით მიწაზე. ის იყო გათენდა კიდევ. შარავნიდან ავტოების მოტორების ბუბუნი მოგვესმა, თეიო..

მფრინავებმაც იწყეს ცაში ღმუილი. ჩვენ კი ამ უღრან ტყეში არხენინად ვიყავით მოკალათებული. ტყეში აღარებელი პაპიროსის ნამწვავები ეყარა; ეტყობოდა პარტიზანებს მოეწყობათ აქ შესვენება. ალბათ, ვერსიგორამ გაიარა ამ გზითაო,—ვიფიქრეთ.

ახლა საჭირო იყო სურსათზე ზრუნვა, ეს საქმე სამნეო დარგის მუშაკმა—ბოგოლუბოვმა იკისრა. რამდენიმე პარტიზანი გაიყოლია და სოფლისაკენ გასწია.

ბოგოლუბოვს დიდხანს არ დაუგვიანებია, დაბრუნდა. სურსათი მოიტანა და თანაც ასორმოცდაათი პარტიზანი მოიყოლა. მებრძოლთა ამ ჯგუფს ბატალიონის შტაბის უფროსი ამხანაგი ლისიკა ხელმძღვანელობდა, შემთხვევით შეხვდნენ ტყეში ისინი ბოგოლუბოვს, ეს ჯგუფი დელიატინის ბრძოლის დროს კულბაკას ბატალიონს ჩამორჩა, დიდხანს განმარტოვებულად მოქმედებდნენ, და აი ახლა ისევ ჩვენთან მოაღწიეს. ყველას გაუხარდა ამხანაგები რომ დავებრუნდნენ, კულბაკას სიხარულს ხომ საზღვარი არა ჰქონდა. მან ხომ თავისი დაკარგული მებრძოლები იბოვნა; ჯერ გადაეცინა ბიჭები და მერე თავისი სიხარული რომ ვეღარაფრით გამოხატა—თქვენი მოწონებული ლაზათიანი უკრაინული გოპაკი ჩამოუარა. ეს ვეება, შეიდგუთიანი კაცი ისე ხტოდა ჰაერში, გვეგონებოდა მიწას ფეხს არ აკარებდეს.

— რა დავემართა, პეტრო, — ვაწყენარებ მას, — გეყოფა, ძმობილო!

— დამაცა, დაეით, — მუღუნება ის და სულს ძლივს ითქვამს, — დარღისაგან აღარ მეძინა... ასორმოცდაათი კაცის დაკარგვა ხუმრობა როდია; აგერ ახლა ვიპოვნე ეს ხალხი და ასე მგონია მეორედ დავიბადე—მეთქი. ახ, ერთი ის დალოცვილი სითხე მოგვცა ახლა, ნახავდი რა ჭეიფს გაემართავდი. არა უშავს—რა, მოვა დრო და დღევანდელი დღის სადღეგრძელოს ბოთლით დავლევ... აბა, ერთი კარგი გოპაკი კიდევ, — წამოიყ-

ვირა მან, ხელები დოინჯით შემოიწყო და ჩამოუარა.

ოფლში იწურებოდა, ბმუ ლტყმსყმსყმს და ფეხებს მიწაზე, რომ ალბათ ტყის ვალმა, შარაზე ისმოდა ხმა. ვეღარ დავაწყენარე, ბოლოს ხუმრობით ვუთხარი:

— პეტრო, ნუ გადასტყერე აქაურობა, მიწა ხომ არ გინდა ჩაანგრიო. ამხელაკაცი წყნარადაც რომ დადიხარ—მაშინაც კი ფეხქვეშ მიწა ზანზარებს...

— დახეთ, ვინ მუღუნება ამას, ვინ, — იძახის პეტრო, — შენც რა ნაზი აგებულებიას მყავხარ... ჩემი შენ ვითხარ— გული მოგიკალო, შენზე ყოფილა ნათქვამი.

კულბაკას სიხარული მართლაც გასაგები იყო. მართალია ცხარე ბრძოლის წუთებში ჩამოსცილდა მას ეს ხალხი, მაგრამ მაინც ბატალიონის უფროსისათვის ასორმოცდაათი კაცის დაკარგვა — ეს ნამდვილი უბედურება და კატასტროფაა; და აი ახლა ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

მოსულებმა და დამხდურებმა მთელი დღე საუბარში გაატარეს. შემდეგ კი ყველამ ტკბილად ჩაიძინა. მე კი ძილი არ მომეკარა, მთელი დღე გორკუნოვზე ეფიქრობდი. მისი ასე დაგვიანება კარგ რამეს არ მოასწავებდა.

ტყავის ჩანთა წელიდან მოვიხსენი და იქიდან სწვადასხვა დროს სახლიდან თუ ნაცნობ—მეგობრებიდან მიღებული წერილები ამოვალაგე. კვითხულობ და მამშვიდებენ ეს წერილები. ფიქრით ისევ საქართველოში ვარ, მახლობლებს ვესაუბრები. ამ ჩანთას ბრძოლებში და დასვენების დროს მუდამ თან ვატარებ.

ჩემს გარდა ყველამ ლაზათიანად გამოიძინა. მე კი წამოვდექი და მცველების შესამოწმებლად წავედი. ტყის შორეულ ნაპირამდე მივადწიე, გულმოდგინედ ვათვალიერებდი არემარეს. ამასობაში მცველს დავუპირისპირდი:

— ხომ მშვიდობაა შენს უბანში? — ეკითხები მას.



— ყველაფერი წესრიგშია,—მბასუ-  
ხობს მცველი.

— ძალიან კარგი, აბა ფხიზლად იყა-  
ჭი,—ვეუბნები და გზას განვაგრძობ.

— ამხანაგო უფროსო! — მომძახის  
მცველი, ცოტა ხნით თუ დაიცდით.  
კარგი იქნება!

— ეგ რატომ?

— აი იმ ქოხში,—ხელი გაიშვირა ქო-  
ხისაკენ,—ჩვენი ბიჭები კარტოფილს  
ხარშავენ, სულ მალე მზად იქნება, იქ-  
ნებ მიირთვით!

— ეგ ცუდი საქმე როდია, მაგრამ  
ვინ მისცათ კარტოფილი?

— გლეხები იყვნენ ამ წუთში აქ,  
კარტოფილი და რძე მოიტანეს.

ქოხისაკენ წავედი. იშვიათი სურათი  
ვადამეშალა თვალწინ. ქოხში სადღე-  
სასწაულო მხიარულება იყო. ყმაწვილი  
ქალების სიცილ-კისკისი ცას წვდებო-  
და, გამხიარულებულიყვნენ პარტიზანე-  
ბიც. დედაბრები და მოხუცი მამაკაცე-  
ბიც კი დარდიმანდობდნენ. შევედი ქოხ-  
ში, ყველა ფეხზე წამოდგა. პარტიზან-  
ებმა და გოგონებმა ერთმანეთი შესწყ-  
ვიტეს და მორიდებულად ქოხის კე-  
დელს მიებჯინენ ზურგით.

— განაგრძეთ, ყმაწვილებო, რად  
შეჩერდით,—მივმართე მათ.

ლიბილით სახე-გაბადრული მოხუცი  
გლეხი წამოდგა და გულთბილად მომე-  
გება, სკამი ახლო დამიდგა და დაჯ-  
დომამ მთხოვა. მადლობა გადავუხადე და  
დავეჯექი.

— სხვა დროს კარტოფილზე თქვენს  
მოპატიებებს ვერ გავებდავდით. დღეს  
გვაპატიეთ. როგორც მოგვეხერხება,  
ისე უნდა გავიმსახინძლდეთ, — მიბო-  
ღიშებით მითხრა მოხუცმა.

— განა არ ვიცი, რომ მძიმე დროა.  
ახლა კაცის შეწუხება არ ვარგა,—  
ძლივს მოვასწარი ამ ორი სიტყვის თქმა  
და ის იყო მოხუცებმაც და ახალგაზრ-  
დებმაც ერთდროულად სიტყვა შემაწყ-  
ვიტინეს:

— რა შეწუხება, რის შეწუხება, პირ-  
იქით, გაგეახარა თქვენმა, გუნაჩიხე  
პატიეთ, რომ ასე ღარიბულად გხვდე-  
ბით. სტუმრის ასე დახვედრას შეჩვეუ-  
ლები როდი ვართ... ომამდე უნდა გე-  
ნაზა ჩვენი კოლმეურნეობა, აბა მაშინ  
უნდა შემოსულიყავით ჩვენს სახლში  
და ნახავდი... ამ ძაღლებმა სტუმარიც  
დაგვაიწყეს და მასპინძლობასაც გა-  
დაგვაჩვიეს.

— მაშ ღონიერი კოლმეურნეობა  
გქონდათ?

— გექონდა და როგორი დოვლათი  
იყო იმდენი, რომ სად დაგვეტია, არ  
ვიცოდით. სახელმწიფოსაც პურს დრო-  
ზე ვაბარებდით, ჩვენი ბელღებიც პი-  
რამდე სავსე იყო. ჩვენისთანა ჯიშისანი  
საქონელი ამ არე-მარეზე არავის ჰყავ-  
და, მიწებს ტრაქტორით ეხნავდით.  
სწავლა-განათლებაზე | ლაპარაკი ხომ  
ზედმეტია: ძველ დროში ორ კაცს ვერ  
ნახავდით წერა-კითხვის მკოდნეს  
ჩვენს სოფელში. ახლა კი ერთი კაცი  
არ იყო დარჩენილი წერაკითხვის  
უცოდინრად, ახალგაზრდობა ხომ  
ერთთავად სკოლებსა და უნივერსი-  
ტეტებში გვეყავდა დაგზავნილი.

მოხუცი ერთ წუთს სდუმდა, მერე  
ამოიოხრა და განაგრძო:

— ჰოდა, აბა ახლა დაგვხედე, შეი-  
ლო! შენი თვლით დაინახე რა გვიყვეს,  
როგორ გავგიპარტახეს და ავიოხრეს  
სახლ-კარი, ეზო და გარემო. აი ასე შევ  
დღეში ჩავყვარეს გერმანელებმა. ჩემი  
პატარა ბაღიდან ურმობით გამქონდა  
ბაზარზე კომბოსტო, ქარხალი და კიტ-  
რი. იქნებ მოისურვო, შეილო, ბაღნაში  
წამობრძანება, საუკეთესო მწვანილი  
ცოტ-ცოტა ახლაც მოიპოვება.

— წავიდეთ-მეთქი, — ვუთხარი მო-  
ხუცს, ორივენი კარში გამოვედით და  
ბაღისაკენ გავეშურეთ. ბაღი კარგა  
მანძილზე იყო დაშორებული ამ ქოხს.

ბევრი კარგი ბაღი მინახავს ქვეყანა-  
ზე, ქართველ კაცს აბა როგორ გააყ-

ვირეებ ბაღით, მაგრამ აქ კი მართლა გაოცებამ შემიძვრო. ბაღია კი არა, წალკოტი გეგონებოდათ. თვალი ჯერ მზისუმზირებშია მოიტაცეს. ამხელა თუ ვაიზრდებოდა მზისუმზირა—უს აღარ შეგონა. გოლიათებივით იდგნენ, ავტოს ბორბლის სისხო თავებს რომ ვერ იმაგრებდნენ—საყრდენებად სარები ჰქონდათ შედგმული. მზისუმზირა იმიტომა ჰქვია, რომ მზეს უნდა უცქიროს, დილით აღმოსავლეთს გახედოს და საღამოს დასავლეთს. ამ მოხუცის მზისუმზირები კი იმდენად მძიმე და უძრავნი იყვნენ, რომ მათს ბუღასავით კისერს ამდენი მოძრაობა აღარ შეეძლო.

ახლა ხახვს არ იკითხავთ? ტევრივით იდგა ორ დიდ კვალზე. ხახვს იქით კიტრების კვლები იწყებოდა. კვლებში თალარი იყო გამართული და ისეთი კიტრები ეკიდა თალარში, პირზე აღრე თვალი სჭამდა მათ. ველარ მოვითმინე, ერთი ქორთვა, გათქვირებული, მწვანედ შოღალანე კიტრი შევარჩიე, დანა ამოვიღე და ის-იყო გათლა უნდა დამეწყო, რომ რაღაც ხმაური შემომესმა და ავიხედე. ბაღის გადღმა, ასე, ასი ნაბიჯის სიშორეზე გზა იყო. გზაზე ჯარი დაეინახე და როგორც კი ჯარისკაცების შავ მუნდირებს თვალი მოვკარ — მივხედა, რომ ესესელები იყვნენ. შიის სხივებზე ბრწყინავდნენ მათი კასკები. სახტად დავრჩი. მარტოდ მარტო ვიყავით მე და მოხუცი ესესელების მთელი ასეულის პირისპირ. წინ ახმახი ოფიცერი მოუძლოდათ.

— პარტიზანი!.. — შეჰყვირა უცრად ოფიცერმა და თვით ხელთათმანიანი ორი გაფშეკილი თითი ჩემსკენ გამოიშვირა. გადავაგდე კიტრი, ინსტიქტიურად მოვიფათურე ხელები, ავტომატი თან არა მქონდა. მაშინვე ბაღის მესერს ვეძვარე, შიგ ტყვისასავით გავვარდი და გავიქეცი.

ჩემი გაქცევა და სროლის ატეხა ერთი იყო კვალდაკვალ დამედევნენ ფრი-

ცები. ტყვიები კრახანასავით, ბუსიან ჩემს ყურებთან, ერთმა ჰერცინს მსხვს გამირბინა, გარკვევით მკვლავნი მისი სიახლოვე.

აჰა. ხევი, გავშალე ხელები და მოცულივით გადავეშვი. ხევი ღრმა იყო. აღარ შეგონა ზეზე ავღგებოდი, ისე დავიღუწე, მაგრამ მიზანს კი მივადღწიე: მკვდარივით რომ გადავევარდი—ფრიცებს ეგონათ ჩვენი ტყვია დაეწია და გაათავაო.

მე კი იმავე წუთს ფეხზე წამოვდექი და ხევი ჩავირბინე. ავტომატების სროლის ხმა კანტიკუნტად-ლა ისმოდა. გადაიწყვიტე ხევიდან ამოსვლა, აქ ყოფნა მართლაც საშიში იყო. მტერს შეეძლო გზა მოეპრა და თავივით ხაფანგში მოვემწყვდე. სირბილი არ შემინელებია. თანდათანობით მოვდივარ აზრზე. რევოლვერი გავიძრე და ხელში მოვიმარჯვე. სულერი არ ჰქაჩანებს. მგონი დავუძვერი ბრჭყალებიდან სიკვდილს, გავივლე უცებ გულში.

გავრბივარ, მაგრამ საღ მივდივარ. თვითონ არ ვიცი. წინ რა შემხედება—წარმოდგენა არ მაქვს. ვაი თუ კვლავ ფრიცებს წავადგე თავზე?!

აჰა. ბუჩქები, ბუჩქებს ტყე მისდევს. შევევარდი ტყეში, ერთი კილომეტრის სიღრმეზე შევიპერი და ფიჭვის ძირში მწვანე ბალახზე პირალმა წამოვწყეტი. ყელი გამშრალი და გაფიცებული მაქვს. ერთი წვეთი წყლისათვის არ ვიცი, რას არ გავიმეტებ. ყურებში რაღაც შხუილია, თითქოს ავტომატების გაბმული კაკანი ისევე მომესმოდეს. ვწვდარ, ვფიქრობ იმაზე, რაც ასე მოულოდნელად თავს დამატყდა. იმ მოხუცს მოჰკლავდნენ, ეს ასე იქნება. მაგრამ, რა ბედი ეწიათ ნეტავი ქოხში მყოფ პარტიზანებს და სტუმართმოყვარე მასპინძლებს?! ვინ იცის, იქნებ პანის ტყეს ალყა შემოარტყეს და ჩვენები ბრძოლაში ჩაახვს, მაგრამ ვინ მტყვის რა მოხდა, საით წამოვე-



დი, საღ მოვებნო ისინი, როცა მხარი მექცა და ორიენტაცია დაეკარგე.

ჩემი ავტობატი? თან არ მქონდა, თორემ ვერ მოვითმენდი, ერთ წყებას მაინც მოვეცელავდი, ამ ძაღლებს და მერე აღარ მენანებოდა, დაე რაც მოსასვლელი იყო—მოსულიყო.

„ბედი გწყალობსო, — ბეგრჯერ უთქვამთ ჩემთვის ამხანაგებს, — ყოველ დღე ცეცხლში ტრიალებ და არც ერთხელ არ გაკაწრულხარო“. აგერ ახლაც ასე არ მოხდა?

დალამდა. როგორ მოვიქცე, საით წავიდე? იქნებ სჯობდეს, რომ დილაზე აქ დავრჩე. მაგრამ აფორიაქებული ვარ და ვერ ვისვენებ. სასწრაფოდ ფეხზე წამოვდექი და წყნარი ნაბიჯით წინ გავწიე.

გულჩაბზრობილი სღვას წყნარ ღამეში ტყე. მისს მყუდროებას შარტო ჩემი ფრთხილი ნაბიჯი არღვევს. ვეტებ და ვერ მიმოვნია ბილიკი. უეცრად გადანაპერ ხის ჯირკვს წავაწყდი და ზედ დაეჯექი. ოფლის სუნი ვიგრძენი. ბევრი ვირბინე... იმის შედეგია ეს ოფლი. და უეცრად სიხარულმა ამიტანა, რომ ცოცხალი ვარ. იმ ახმახმა ოფიცერმა რა გაანჩხლებით გამოიშვირა ჩემსკენ თითი, — „პარტიზანიაო!“ — დაიღრიალა. მქონოდა თან ჩემი ავტობატი—ქბილებში კივყარი—დი იმ ოხრიშვილს ტყვიებს.

რას ამეკვიბა იმ დღეს გორკუნოვზე ფიქრი, მისი ძებნა რომ არ დამეწყო, შესაძლოა ეს ყველაფერი თავიდან ამეცდინა...

ამ დაუსრულებელ ფიქრებს მინდა ხელიდან დავუსხლტე, მაგრამ არ ხერხდება.

ზეზე ავდექი და ტყეში ზეტიალი განვაგრძე. ბილიკის მოთეთრო მოტიტვლებული ზოლი ახლა უკვე მკრთალად გამოჩნდა ღამეში.

გაბედულად მივალაჯებ, უკვე არ მჭირია გზის სინჯვა. ზუთი-ექვსი კი-

ლომეტრი ვიარე შეუსვენებლად.

უეცრად გარკვეული ხმის მქონე მამა, შევედექი და ყური დამეშტა. წყლის სუსტი ლიკლიკი გაეარჩიე, სჩანდა ახლოს რუ იყო. ჩავიხოქე და ანკარა წყალს დავეწაფე. რა გემრიელი, რა ტკბილი იყო ეს წყალი! გრილი წყლით გული ვიჯერე, დაემშვიდდი, და მეორედ დავეწაფე გრილ წყაროს. მერე რუს გვერდით მოვეწექი და ჩავიძინე. მტრედისფრად ინათა თუ არა, ფეხზე დავდექი. ის-იყო გარკვევით გავიგონე ძაღლის ყეფა, სჩანს სოფელი ახლოა.

შებლი ცივი წყლით გავიგრილე, უკანასკნელად ერთხელ კიდევ ვიჯერე ცივი წყლით გული და გზას გავედექი. ტყე ნელნელა შეთხელდა, ბოლოს მინდორზე გამოვედი და დატაროვებულ სიმიდის ყანას მივადექი. ახლა უკვე ვიცი სადა ვარ; აგერ ყანის იქით, შორს პანის ტყე მოსჩანს. ირგვლივ მიმოვიხედე, გზა საჩქაროდ გადავიარე და პანის ტყისაკენ წავიდი. უკვე იმ მუხის ძირში ვარ, სადაც გუშინ ვისვენებდით. მიმოვიარე იქაური არე-მარე, არსად სულიეროს ნიშანი არ სჩანს, წასულან ჩვენები პანის ტყიდან. ნეტავი საით წავიდნენ, მარცხი ხომ არ მოსვლიათ?—აი ეს ფიქრი მაწულებს ახლა.

ტყიდან გამოვედი და იქვე, გზის ნაპირას ფერდობზე ჩამოვჯექი. აგერ ის სოფელიც, სადაც გუშინ გერმანელებს გადავაწყდი. უეცრად გზაზე ვილაც ქალი შევამჩნიე. მომკრა თვალი და უკან გასაბრუნებლად გაემზადა. მერე ცოტახანს შესდგა და ისევ ჩემსკენ წამოვიდა. რომ არა მცოდნოდა, რომ უკრაინაში ვიყავი, ეს ქალი ქართველი მეგონებოდა. შევეგრემანი იყო, თეთრი სანთელივით ჩამოქნილი ცხვირი, ყორნის ფრთებივით შავი, დახრილი წამწამები მქონდა, უკრაინულ მოხატულ ტანთსაცმელში იყო გამოწყობილი, თმის ნაზი კულულების ბოლოს საყურეები უმშვენებდნენ. დამიპირის-

პირდა ქალი თუ არა, დახრილ წამწამებს ქვეშედან ერთი წამით თვალეზი შემომანათა და ფეხს აუჩქარა.

სასწრაფოდ წამოვდექი და შევეკითხე:

— მაპატიეთ, თქვენ აქაური ბრძანდებით?

— დიახ, აი იმ სოფლიდან ვახლავართ,—გაიხედა მან სოფლისაკენ. მერე მომიბრუნდა და მკითხა.

— თქვენი აქ რას აკეთებთ?

— ტყისმცველს ველოდები, სტანისლაიდან მოვდივარ, საქმე მქონდა ტყის მცველთან,—უუბახუხე, რაც პირველად ენაზე მომადგა.

— ტყისმცველს?—გაიოცა მან, — ძალიან იშვიათად მოდის ის აქ.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, მაგრამ გვიანლა იყო.

— დღეისათვის დამიბარა ამ ტყისმცველმა, მოვა უსათუოდ, ალბათ თქვენ სოფელშიაც შეივლის.

— პირველ რიგში ის ჩვენს სოფელში მოდის ყოველთვის, სჯობს იქ წაბრძანდეთ.

— არ ვიცი, რამდენად მართალია,—ვეუბნარი ქალს,—ამ დილით ლაპარაკობდნენ, თითქოს თქვენი სოფელი გუშინ გერმანელებს დაერბიოსთ!

— თი, ნუ იკითხავთ, გუშინდელ დღეს ნუ მომაგონებთ.

გულმა უფრო აჩქარებით დამიწყო ძვერა. მღელვარებას ველარ ვფარავ, ქალს ვეკითხები.

— დაარბიეს სოფელი?

— დაგვარბიეს და მერე როგორ! ბავშვების და ქალების წივილ-კივილი ცაბა წვდებოდა!

— მითხარით, მიაშბეთ რა მოხდა, რა შეემთხვა გუშინ სოფელს?

— გუშინ დილით,—დაიწყო ქალმა,—ჩვენს სოფელს ხუთი პარტიზანი ესტუმრა. მოხუცმა მიკოლამ მიიპატი-

ვა პარტიზანები ოჯახში და როგორც შეეძლო გაუმასპინძლდა. მერე მცველ-პარტიზანების მეათურიც შემსულსკამს მხოთან, აი ასეთი თქვენსავით ტანადი კაცი ყოფილიყო, — სთქვა ქალმა და რაღაც ეკვით შემომხედა, — მიკოლას ის ბალჩაში გადაეპატიენა. ამ დროს გერმანელების ასეული შემოვიდა სოფელში და ბალჩაში მყოფ პარტიზანს სროლით დაედევნენ. პარტიზანი გაიქცა, სოფლიდან უვნებლად გავიდა, მაგრამ როგორც გერმანელებმა სთქვეს, იმ სოფლის გარეთ მოველათ. ბედშავი მიკოლა იქვე ბალჩაში მოჰკლეს. მიკოლას ქოხს, სადაც პარტიზანები და ხუთმეტამდე გლეხი იყო, ჯერ ტყვია დაუშინეს და შემდეგ ცაცხლი წაუკიდეს. ამასობაში შემოემატნენ გერმანელებს დამხმარე ძალები და იწყეს განუკითხავად ხალხის აწიოკება. თურმე ნუ იტყვი, აქ, ამ ტყეში პარტიზანები ყოფილიყვნენ, უეცრად გამოცვივდნენ ტყიდგან ისინი და გერმანელები დაიფრინეს. მე ჩემი თვალთ დავინახე როგორ გაავსეს დახოცილი ჯარისკაცებით გერმანელებმა აეტომანქანა და სადღაც წაიღეს. დღეს დიდი მითქმამოთქმამა ჩვენს სოფელში, ლაპარაკობენ დამსჯელი რაზმი მოვარ, ჯერჯერობით არავინ სჩანს.

— როგორ თქვენ ბრძანებთ, პარტიზანებს დაუმარცხებიათ გერმანელები?

— დაამარცხეს და როგორ, სულ თხებივით გაიფრინეს, ნახევარზე მეტი გაწყვიტეს.

— მითხარით, გეთაყვა, საით წავიდნენ პარტიზანები?

— ჩვენი სოფლიდან წასვლის წინ მიტინგი გამართეს. ასე სთქვეს: თაშისტების დღეები დათვლილია, შორს არ არის ის წუთები, როცა მიწაზე განრთხმული გერმანია ზავს მოითხოვსო. წასვლით კი, აი აქვთ წავიდნენ.

ქალმა შავი ტყის მიმართულებით  
ბელი გაიშვირა.

ამ ქალის ნაამბობი უტყუარი იყო.  
ის დამეშვიდობა და გზას გაუდგა, მე  
კი ჩვენების საძებრად გავსწიე.

XXIX

გამგზავრების წინ მძიმე საგონებელ-  
ში ჩავეარდი. როგორ ვიპოვნო ჩვენე-  
ბი, რა გზას დაეადგე, საით წავიდე—  
აღარ ვიცო. სხვა დროს ხომ მეუდამ  
რუქა თან მქონდა. რუქა, მოგეხსენე-  
ბათ, როგორც თვალი, ისეა საკვირო  
მეომრისათვის. უკიდურეს შემთხვევა-  
ში გამყოლი უნდა მოვებნო, მაგრამ  
როგორ შევიდე სოფელში. ეგებ, სჩანს  
მარტო მომიხდება ზეტიალი. თანაც  
გზას უნდა მოვერიდო, აუარებელი  
მანქანები. მიდი-მოდიან აქეთ-იქით.

ახლა სიმშვილმა შემაწუხა. დავიწყე  
ტყეში ზეტიალი, მაგრამ უბრალო კუ-  
ნელს ვერსად წაეაწყდი. კარბატებში  
მოცვი და სოკო მაინც იყო, ეს პანის  
ტყე კი ძალზე უნაყოფო ყოფილა.

უეცრად სოფლიდან რაღაც ყაყანი  
შემომესმა, სშენად გადავიქეცი. გერმა-  
ნელები ყვიროდნენ, ალბათ არაყით  
არიან გამსკდარნი მეთქი-გავიფიქრე.  
რევოლვერი ბუდიდან ამოვიღე და  
ფახზე შევაყენე: ყოველ შემთხვევი-  
სათვის მზად ვიქნები, იქნებ ტყის დაზ-  
ვერვა მოიწადინონ ან ძალლი შემოგ-  
ზავნონ. ისევ ნაკადულს წაეაწყდი, ჩა-  
ვედი წყალში, შევეყვი პირალმა და  
დაახლოვებით ასე ოთხმოცი მეტრის  
მანძილზე მიეტოპავდი. მერე ამოვედი  
წყლიდან და ბუჩქებში შევეჭვარი. ახ-  
ლა უფრო იმედიანად ვარ. ვინცობაა  
გერმანელებმა ჩემზე ძალლით ნადირო-  
ბა დაიწყონ. კვალს ვერ იპოვიან.  
ძალლი ხომ ნაკვალევზე აიღებს ხოლმე  
ადამიანის გეშ. სიმშვილი ასე უღმურ-  
თოდ რომ არ მაწუხებდეს—ჩამეძინე-  
ბოდა. ბოლოს ძილმა წამძლია და თვა-

ლები თავისთავად დამეხუჭა. სიზმარში  
ჩემი ასეულის მზე, ბოგმარქმუშა-  
ხე: ვითომ ჩემს წინ სურფან-მისიქას  
ლილი და ბოგოლუბოვს ნაირ-ნაირი  
საქმელები მოჰქონდა... ეკამ ხარბად,  
მაგრამ მაინც ისევ მშოია. ხან-მოკლე  
ძილის შემდეგ გამეღვიძა, წამოვეჯექი,  
თვალი ირგვლივ მოვაგლე, სრული  
მყუდროებდა იყო, ისევ ჩავწექი და  
ფიქრებში გავეხვიე.

დალაშა. ტყიდან გამოვედი. თეთრი  
ღრუბლების ნაფლეთებში გაბადრული  
მთვარე მისცურავს. ხან ჩამობნელდება  
ხოლმე, ხანაც რძისფერი შუქი გადაელ-  
ვრება მთელ მიდამოს. მწიფე სურნე-  
ლებით არის გაყვნილი ჰაერი. მარ-  
თლაც რა ლამაზია უკრაინა, რა ლამა-  
ზია ეს მთეარიაინი ღამე, ტყუილად კი  
არ შეუქია ის გოგოლის გენიას!

გეზი შავი ტყისაკენ ავიღე და  
ფრთხილად წავედი ნაპურალზე. წინ,  
შორს მანძილზე შევაძინე, რომ ვილაც  
კაცი მოცელილ ყანას ძნებად ჰკრავს.  
რევოლვერს ჯიბეში ხელი ჩავეჭიდე და  
კაცისაკენ ღიღინით წავედი. მძიმე დრო  
იყო, ყველგან სიკვდილი სდარაჯობდა  
ადამიანს, ყველგან სახრჩობელა იყო  
აღმართული და ეს კაცი რომ არ დამ-  
ფრთხალიყო, უღარდელი ღიღინით  
გავეშურე მისკენ. ჩემს ღიღინზე გლე-  
ხი საჩქაროდ წელში გაიმართა. მივე-  
სალმე, მან სალამზე საღამით მიპასუ-  
ხა. მუშაობას თავი მიანება.

— კარგი დრო შეგირჩევია, ძმობი-  
ლო, ძნების შესაკრავად.—ვეუბნები  
მას,—ღღისით მზზე პური ფიცხდება,  
მარცვალი გასცევია.

— მართალს ბრძანებთ, ყანაში მუ-  
შაობა ღამით სჯობია... თქვენ ეინ  
ბრძანდებით?

— მე... მგზავრი ვარ, გზიდან დაგი-  
ნახე, შესაძლოა პაპიროსი ჰქონდეს-  
მეთქი ვიფიქრე და თქვენსკენ გადმო-  
ვეუხვიე.



— პაპიროსი?... სიამოვნებით,—მითხრა გლეხმა, ჯიბიდან წყოს ამოიღო, ხელის გულზე დაიყარა და ქალღმერთს ერთად მომწოდა.

— ინებეთ, მხოლოდ ასე უდროვოდ როს ამ მინდორში რას დაიარებით?

— ჩვენებს ჩამოვრჩი და საძებრად გამოვუღდექი!

— აჰა, ჰა, ჰა მივხვდი, ასე მითხარი, შე კარგო კაცო, მე მტერი ხომ არ ვარ. მაგრამ როგორ დაეწევი თქვენებს, არ ვიცი. წუხელ საღამოს აიარეს პარტიზანებმა, აი აქეთ წავიდნენ, — გლეხმა ხელი აღმოსავლეთისაკენ გაიშვირა.

— მაშ რაეი გამომიცან ვინცა ვარ, ვთხოვ ჩემთან შეხედრა არ გაამხილო, არავეს უთხრა!

— როგორ გეკადრებათ, ამაზე გაფრთხილებაც არ მინდა. ნეტაეი შემადლებინა, რომ თქვენ პატივი გცეთ, თორემ ასე პატარა საიდუმლოების შენახვა აბა რა უნდა იყოს!..

— ბევრი იყვნენ პარტიზანები?

— ბევრნი, ძალიან ბევრნი, ბლომად აიარეს. ჯერ იყო და გერმანელებთან მაგარი ბრძოლა ჰქონდათ, აი იქ, ტყესთან. პარტიზანებმა გაფანტეს მტერი, ბევრი კიდევაც დახოცეს. ჩემი თვლით დავინახე თუ როგორ გარბოდნენ გერმანელები. სანამდე პარტიზანები ტყიდან გამოვიდოდნენ და გერმანელებს შეებრძოლებოდნენ, მტერმა სოფლის დარბევა მოასწრო, საბრალო მოხუცი მიკოლას ოჯახი ააწიოკეს, ქოხში გამოუწვეს ცოლ-შვილი და თითონ მიკოლა ბაღჩაში დახვრიტეს.

— დიდი სათხოვარი მაქვს შენთან,—ვეუბნები ამ გლეხს.—გამყოლი უნდა მიშოვნო. ძნელია კაცისათვის უცხო ქვეყანაში ვზის გაგნება. მით უმეტეს გზებზე სიარული საშიში და სახიფათოა, ნაპურალებზე და ტყედატყე უნდა ვიარო. მიმიყვანე ისეთ გლეხთან, რომელიც საიმედო იქნება,

დაუყვედრებლად გამომეყება და გამაცილებს.

— მე ვიცისრებდი თქვენს გაცილებას, მაგრამ ხელ დილის ექვს საათზე გამოძახებულნი ვარ სტაროსტასთან, უნდა გამოვცხადდე. რომ არ მივიდე, შარს მომდებს და ვინ იცის რას იზამს. აე-კარგის გამკითხავი აბა ვინ არის, სულ უბრალო რამეზე შეუძლია საბრძოლელაზე დამკიდოს. ამის მგაღლითები ერთი და ორი როდია. გამყოლს კი გიშოვნი, საიმედო კაცთან მიგიყვან... აბა წამომყე, სოფელში—სთქვა გლეხმა და წასასვლელად მოემზადა.

ფრთხილად შევედით სოფელში. ღობეებს ვეფარებით, რომ არავინ შეგვაჩინოს. წინ გლეხი მიმიძღვის, ერთი ქოხის წინ შევჩერდით. თანამგზავრმა მკლავში ხელი მომიკიდა, დამწია დაბლა და წამჩურჩულა:

— აი ამ ქოხის კარებს დაუკაკუნე. კოჭლი ბერიკაცი გამოიხედავს და იმას აუხსენ შენი გასაქირი. უსათუოდ გაგაცილებს. გზა დამილოცნია, გისურვებ კარგ მგზავრობას.—მითხრა გლეხმა და საჩქაროდ უკან გაბრუნდა.

ქიშკარს ავეკარი. დიდხანს ლოდინი არ ვარგა,—მეტი გავიფიქრე და ფანჯარას მივეუკაკუნე, შერე იქვე მახლომლად ხეს ამოვეფარე. სიჩუმეა, არავინ არ გამოუმხმალურა. ხელმეორედ უფრო ძლიერად დავაკაკუნე ფანჯარაზე.

— ვინა ხარ? — მომესმა მამაკაცის ხმა.

— მგზავრი ვარ, — ეუპასუხე, — არ შეგეშინდეს, მტერი არ გეგონო, კეთილის მსურველი ვარ!

კარი გაიღო და მოხუცებული კოჭლი კაცი აივანზე გამოვიდა. ეტყობა არა სძინებია: ჩაცმული იყო. თუმცა ვის ეძინა მამინ ტკბილად უკრაინაში! დამით რომელ სოფელშიც არ უნდა მისულყავით, მცხოვრებნი ყველგან ჩაცმული დაგხედებოდათ. დიდი

და ბატარა — ყველა მზად იყო ტყეში გასაქცევად. სოფლები იმხანად ნახევარზე მეტი ტყეში იყვნენ გახიზნულნი.

— სალამო მშვიდობისა! — მივესალმე აივანზე გამოსულ მამაკაცს.

— სალამო მშვიდობისა! — იყო პასუხი, — ვინ ბრძანდებით?

— სახლში არის ვინმე შენთან? — არავინ. ჩემმა დედაბერმა და ქალიშვილმა კარგა ხანია, რაც დაიძინეს.

— ნაწილს ჩამორჩენილი პარტიზანი ვარ, — ეუთხარი გლესს გაბედულად. — გულში რომ აქ პარტიზანებს ბრძოლა ჰქონდათ ვერმანელებთან, აი იმ პარტიზანებს ჩამოვრჩი, ასლა მინდა ამხანაგებს დავეწიო, ისინი შავი ტყისაკენ უნდა წასულიყვნენ. მე გზა არ ვიცი, მით უმეტეს ამ დამით რას გავხდები. თუ მკვებ პატივს და გამაცილებ, დიდ სამსახურს გამოიწეე, სამაგიერო პატივი მე რით უნდა გადაგიხადო. ახლა შენ იცი...

ბერკაცს ბევრი ფიქრი და ყოყმანი არ დაუწყია.

— აბა მაგაზე როგორ დაგზარდები, გაგაცილებ, — მითხრა მან, — ეგ ადვილი საქმეა, მხოლოდ ერთ წუთს სახლში შეგბრუნდები, დედაკაცს გაეფრთხილებ, მივიღივარ-მეთქი. თანაც ქურქს გამოვიტან.

მოხუცი შებრუნდა სახლში და სამი-ოთხი წუთში, ქურქით ხელში, უკან გამოვიდა, ყოველ შემთხვევისათვის მე ხეს ამოვეფარე. სახლიდან გამოსულმა გლესმა იწყო თვალებით ჩემი ძებნა, მოფარებულ ადგილიდან გამოვედი და თამამად შევეგებე.

— ნაპურალზე სჯობს წასვლა, უბედეთო, — მეუბნება მოხუცი. მალე მან ნაპურალზე გამომიყვანა. გზაში გამომივითხა, ვინა ვარ, სადაური, როცა შეიტყო, ქართველი ვარ — აღტაცებამ მოვიდა, თავისი ნაცნობი ქართველი გაიხსენა.

— მე პირველი მსოფლიო ომი ვერისკაცი ვარ, — მითხრა გულჩრეწულად შინ დამჭირეს ფეხში. ~~ბრძოლაში~~ დღური, მაგრამ დავკოვლდი. იმ პოლკში, რომელშიაც მე ვმსახურობდი, ბევრნი ქართველები იყვნენ, მათ შორის განთქმული ოფიცრები — წულუკიძე, აბაშიძე და იაშვილი. ნეტავ თუ არიან ახლა ისინი ცოცხლები. განსაკუთრებით აბაშიძეს არასდროს არ დავივიწყებ. იმ დღეებში დროში ჯარისკაცს ზომ არავითარი უფლება არა ჰქონდა, უფროსებისაგან ყვირილის და ლანძღვა-გინების მეტი არა მახსოვსრა, აღაშინადა არა გეთვლიდნენ, სამსახური ჯარისკაცისათვის წამება იყო. აბაშიძისაგან კი არც ერთ ჯარისკაცს ერთი დამამცირებელი სიტყვა არ ვაუგონია. სამსახურის გარეშე ჩვენთან მეგობრულად იყო, მოდიოდა ჩვენთან როგორც ტოლი ტოლთან, გვესაუბრებოდა, გვეკითხებოდა რა გვიჭირდა, რა გვიზნინდა. საყვარელი კაცი იყო ის ოჯახკურთხეული.

ჩემმა თანამგზავრმა ქართველების ქება-დიდებათ დამქანცა. ლამაზაკი რომ მოათავა, ეუთხარი: წულუკიძეს, აბაშიძეს და იაშვილს კარგად ვიცნობ, სამაგენი ჯანმრთელად არიან და ამჟამად თბილისში ცხოვრობენ-მეთქი.

ძალიან ვაუხარდა. ამის შემდეგ მეც მეტი ნდობით და ყურადღებით მომეპყრო. „ეხ, ნეტავი ერთხელ შემახვედრა აბაშიძესთან, ვერ წარმოიდგენთ რა მოხარული დავჩნებოდიო“.

შარა გზას რომ მივეუახლოვდი, დიდი მოძრაობა შევნიშნეთ, სახიფათო იყო გზის მეორე ნაპირზე გადასვლა. გლესმა წამჩურჩულა:

— ჩაეწყეთ საჩქაროდ, ხედავ, ხის ძირას გერმანელები გარინდულნი რომ სდგანან?

— ჩაეწყეთ და ვაინაბეთ მიწაზე, — ვუთხრე. — ხის ძირას ნელ-ნელა წახიზნობი დავაკვირდი.



იქ არ იყვნენ. სიანდა ამ გლეხკაცს ხის ჩრდილები ადამიანებად მოეჩვენა, ზეზე ავღეჭი და თანამგზავრსაც მოვუწოდე ამდგარიყო. გადავირბინეთ საჩქაროთ შარავზა და სიმინდის ყანაში ამოვყავით თავი.

— ხეების ჩრდილები ცოცხალ ადამიანებად მოგეჩვენათ, მეგობარო, — ეუბნებოდა მოხეტს.

— დასწყევლის მაგათ თავს ღმერთი, ალბათ შიშით მომივიდა, — მიპასუხა გამცილებელმა, — უკვე მოვხუცდი, სადღაა ძველი ჯანი და სიმხნევე, ამიტომ ხეებიც კი ადამიანებად მეჩვენება. ახლა კატასაც შეუძლია დამაფრთხოს.

მაღე ისევ ნაპურალში გადავედით. შორს რამდენიმე ადგილას სინათლე დავინახეთ.

— ევერ სოფელს ხედავ? — მკითხა გლეხმა.

— მაგ სოფელს გვერდი უნდა შევუაროთ, — ეუბნებოდა მას, შეუმჩნევლად ორ სოფელს შუა უნდა გავიაროთ.

— არა, არ ივარგებს, — მეუბნებოდა გამყოლი, — მასე უფრო გზას გავიგრობებთ და დაგვათენდება. შუა სოფელზე გადავიაროთ, მე ვიცი სად შეიძლება უშიშრად და შეუმჩნევლად გავლა. ამ სოფელში კარაქის დამამზადებელი საამქროა, დღე მუშაობენ ამ საამქროში და ღამით იქ არაინ რჩება. ამ საამქროს გვერდით გავივლით, კაცის შვილი ვერ დაგვინახავს.

დაეთანხმე. ფეხაკრეფით მივდივართ სოფელზე. მეგზურმა ხელი წამკრა და თითით მიჩვენა: — აი, იქ არისო კარაქის საამქრო!

მაღალი მესერით იყო შენობა გარს შემორტყმული. და წარმოიდგინეთ ამ უღროვო დროსაც არ ეძინათ, ვიღაცეების ყაყანი მომესმა, ყური დაუფლდე და გარკვევით გავიგონე: „უბ დასაწყისია, მაღე კოვაკასაც ჩავიგდებთ ხელში, აბა როგორ ეგონათ!“

ეს სიტყვები რომ გავიგონე — უღდა მეცა. ევერ ერთი იმან შემაწყობა, რომ სიანს ვილაც ჩვენიანი შეუტყუროთ, მეორეც — ის გავიფიქრე, სად მომიყვანა ამ ჩემმა გამცილებელმა-მეთქი. ბერიკაცს ყურზე ტუჩი მივადე, მკლავში ხელი მაგრად ჩაეჭიდე, ჩემსკენ დავწიე და ბრაზმოკრულმა ჩაეჩურჩულე: არა გრცხვენიან, სად მომიყვანე, სად არის შენი პატროსნება და სინდისი?

გადირია ბერიკაცი, ტირილი დაიწყო: „შენს მოლაღატეს მეზი დაეცეს, რას წარმოვიდგენდი ამ დროს აქ თუ ვინმე იქნებოდაო“. ყველაფრიდან სიანდა, რომ ეს კაცი არ სტყუოდა. საჩქაროდ გავცილდით იმ არე-მარეს.

ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ნაპურალში დავისვენეთ. პაპიროსის მოწევამ მინდა ისე, რომ მოთმენა აღარ შემიძლია, მაგრამ განათება საშიშია. ხელით ამოვთხარე პატარა ორმო და შიგ თავი ჩავრგე, ზევიდან ჩემმა მხლებელმა ცხვრის ქურჭი გადამაფარა. პაპიროსი მოვწიე და გზა ისევ განვაგრძეთ. პატარა მდინარეს მივაღეჭით.

— მოდი მე წყალში ჩავდგები, ზურგზე შეგისვამ და მეორე ნაპირზე გადაგიყვანო, — მეუბნებოდა მეგზური.

გამეცინა, თავაზიანობისათვის ბერიკაცს მაღლობა გადავუხადე და ვუთხარი:

— მე თვითონ გადავალ, შენ ნუ წუხნები-მეთქი.

წაღები გავიხადე, შიგ ფეხსახვევები ჩავლაგე, ხელში დავიჭირე და მდინარეში გადავეშვი. ჩემი მეგზურიც უკან მომყვა. მდინარეზე გადასვლის დროს ფეხსახვევები დავკარგე, ალბათ წყალში ჩამიცვივდა. მეტი რა გზა იყო, შიშველ ფეხებზე ჩაიციე ჩქემები და გზა განვაგრძეთ. იმ ადგილის მახლობლად, სადაც ჩვენ მდინარე გადავლახეთ — თურმე ხიდი ყოფილიყო. ხიდის მცველებმა უცერად მამხალა აუშვეს, მთელი მიდამო განათდა, ჩვენ ორივენი მიწაზე პირჩაღმა ჩავემხეთ და ამ ყო-

ფაში კარგახანს დავრჩით. ბერიკაცი ჩუმაღ მეუბნება: „მტერმა კარგად იცის, რომ პარტიზანები შავი ტყისაგან მიდიან და ამიტომ ამ მხარეზე ყველა გზა შეკრულია“.

შუალამეს გადაცილდა. მთლად დასველებული ვწვევარ მიწაზე. შემცივდა. ბერიკაციმ თავისი ქურქი მომხატრა, შემა, ჩავთბი. ცოტა ხნის შემდეგ ფეხზე დავდექით და გზას გავუდქვით. სოფლიდან მამლების ყვილი შემოგვესმა.

— ხომ ვერ მეტყვი მერამდენჯერ იყივლეს მამლებმა?—მეკითხება ბერიკაცი. სხანს დროს გაგება უნდა. თან ვამჩნევ რაღაცის სათქმელად ეშაღდება, მაგრამ ყოყმანობს. ბოლოს გაბედა და მითხრა: „მეხათრება თქვენი, ძალიან მეხათრება, მაგრამ იძულებული ვარ გითხრათ—უკან მინდა გავბრუნდე, თენდება, ხეალ დილით მოსალოდნელია სტაროსტამ ჩამოიაროს და მიკითხოს ადგილზე რომ არ დავხვდე—ვინ იცის, რა შარს ვაღამეიდოს. მე ახლა მივაცივან ერთ სოფელში, იქ საიმედო კაცი მეგულება და შემდეგ ის გაგაცილებსო“.

დავეთანხმე, გავწიეთ წინ და პატარა ხუტორში შევედი. ფეხბაკრეფით მივდივართ, გვეშინია ძალღებმა არ დავლანდონ და ყუფა არ ასტეხონ.

— აი, იმ ქოხშია ის კაცი,—მეუბნება გამყოლი,—შენ აქ ცოტახანს მომიცადე, მე მას გამოვიხმობ.

ბერიკაცი ქოხს მიუახლოვდა და კარზე დააკაკუნა. მაშინვე ქოხიდან ქალი და კაცი გამოვიდნენ. ჩემმა გამყოლმა მამაკაცს მკლავში ხელი ამოსდო და განზე გაიხმო. მოითხოვბირეს. მერე ჩემი გამყოლი მომიახლოვდა და მითხრა: „თანამა, გაგაცილებს, მე მგონი აწი საჭირო აღარ ვარ, მშვიდობით, გისურვებ გამარჯვებას“. ბერიკაცს უღრმესი მადლობა გადავუხადე და გადავკოცნე.

ბერიკაცი თავის ცხერის ქურქს მიტოვებდა:

— თქვენ მინდორ-ველებში ვიხდებათ ყოფხა, ეს ქურქი თქვენთვის უფრო საჭირო იქნება, დაიტოვეთ, მისცემთ გორიული უარი ვუთხარი, მაინც არ მეშვებოდა, ბოლოს ძალათი გავატანე უკან ქურქი.

— აბა, წამობრძანდით,—მომმართა ეს ახალი გამყოლი,—ცოტა დავნაყრდეთ, უთუოდ მშვიდი იქნებით, შემდეგ გზას უფრო ხალისიანად განაგრძობთ!—პატრეი აღარ გავამეორებინე; მით უმეტეს რა დროს მორცხვობა და მორიდება იყო—სიმშვილისაგან ძლივს-ღა დავათრევდი ფეხებს. ამ კაცმა კი რძე, ნაღები და ახლადგამომცხვარი პური დამიწყო სუფრაზე. დიასახლისს გამასპინძლებისათვის მადლობა გადავუხადე და გზას გავუდქვით.

ეს მეორე გამყოლიც პირველი მსოფლიო ომის ინვალისი გამოდგა, კაცა უღრმესად თავაზიანი და კეთილი; არც წინა გამყოლისათვის და არც ამისათვის არაფერი მიკითხავს—რა გქვია, რა ვვარი ხარ-მეთქი, ამის ძიება არ დამიწყია. ვიცოდი სწორი ცნობის მოცემას მოვრიდებოდნენ და ან რა საჭირო იყო ჩემთვის ამ პატიოსანი ადამიანების ვინაობის ცოდნა?!

ის იყო, აღმოსავლეთით სიბნელეს ოდნავ ბაცმა ფერმა დაპკრა და ცაში სინათლე ჩავარდა.

— მალე გათენდება, მეგობარო,—უბნებენ გამყოლს,—ცოტა მოეუჩქაროთ.

— არხეინად იყავი,—მომასუხა მან,—უენებლად გაგიყვან, მე ძველი ჯარისკაცი ვარ, ვაგლახად არ ჩავეარდები.

უეცრად გზაზე ჩვენს წინ კურდღელმა გადარიბინა „უჰ, ეს ვერ არის კარგი ნიშანი,—მეუბნება გამყოლი—დილით წინ, რომ კურდღელი გადაგირბენს, შემდეგ მთელი დღე დანავსულია. შეეჩერდეთ და კურდღლის უკან გამობრუნებას დაველოდინოთ“.

გამეცინა ამ ცრუმორწმუნოებაზე და გამყოლს ვუთხარი:

— არა, ბიძია, ამ სულელ კურდღელს ქუთს ვინ ჰკითხავს, ჩვენ წავიდეთ, გზას ბარაქა დავაყაროთ-მეთქი.

გლებკაცმა ყელგადაგდებით მუდარა დაიძწო: „დაე, შენ ნუ იწამებ, ეს ხათრი დამდე—ცოტახნით ჩამოვჯდეთ და დავისვენოთ, სულ ხუთი წუთი დავიცადოთ. ძალიან ვთხოვო“.

და მაშინვე დაჯდა, ფეხი აღარ მოიძვალა.

ავტაციის დრო არ იყო და ვატყობდი ასე უცებ ვერც დავაჯერებდი. მეც ჩამოვჯექი. არ გასულა ათი წუთი და უკანგამობრუნებულმა კურდღელმა იცევი წინ გადაგვიბრინა.

— ხომ ვითხარი უკანვე დაბრუნდება-მეთქი, ახლა თუ არა ჩემი ნათქვამი?—გამარჯვებულის ტონით შემომძახა გამყოლმა. ახლა უყოყმანოდ შეგვიძლია გზა განავარძოთ, კურდღლის წინ გარბენა მისმა უკან გამობრუნამ გააბათილა, ჯადო მოხსნილია.

კალე წინ გავსწიეთ. გზაში ისევ ვცადე დამერწმუნებინა ბერიკაცი, რომ ეს ამაო რწმენაა, მან უღვაშებში ჩაიციინა და აღარაფერი მითხრა. ორივენი დიდხანს ვსდუმდით, მერე სიჩუმე ისევ გამყოლმა დაარღვია:

— ახლა შეედივართ ისეთ ზონაში, რომელიც ვერმანელებს ძალზე მაგრად აქვთ ჩაეტილი. მეტისმეტი სიფრთხილეა საჭირო. სულ ადვილი შესაძლოა მტერმა შეგვამჩნიოს.

— იყო მზეც ამოვიდა. ორივენი პატარა ტყეში შევედით და დასასვენებლად ჩამოვსხედით.

— ნეტავი წყარო თუ არის ამ ტყეში? — ვეკითხები გამყოლს.

— დიახ, რუ არის, წყალი ხომ არ გნებაეთ?

— მართალი ვითხრათ ძალზე მწყურია.

— წამობრძანდით!

ხუთმეტ წუთში პატარა რუს ნაპირზე ვიყავით. ცივ წყალს ხარბად დავეწაფე, ხელ-პირი დავიბანე და იქვე ხის ძირში

დავჯექი. გლები ჩემს ახლოს დაჯდა. დღის სინათლეზე ახლა პარტიზანებზე ხედეთ ერთი-მეორეს. ჩემს მხარეს კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გამყოლმა: მშვიდი და კეთილი სახე, ჰკვიანნი თვალები, მოკლე, წაბლისფერი წვერ-უღვაში ამშვენებდა მას. ძალიან მომეწონა ეს კაცი.

ვამჩნევ ძილი მეპარება, ბერუსი მეფარება თვალებზე. რა კარგია დღის ძილი, მაგრამ როდესაც ყოველ წუთში მტრის გამოჩენას და თავდასხმას მოვლი ადამიანი, განა ძილზედ ფიქრი შეიძლება!...

— გეტყობა გეძინება, — მეუბნება გამყოლი, — წაიძინე, მე თავდგმურობას გავიწვევთ!

გამყოლს თავაზიანობისათვის მადლობა გადავუხადე, ზეზე წამოვდექი და ხელმეორედ შევისხი გრილი წყალი სახეზე. გამოვფიზლდი, უკან გამოვბრუნდი, ვხედავ ჩემი მგვზური გამშლართული და ტკბილად ჩასძინებია. ახლა მე დამპირდა მისთვის თავმდგმურობის გაწევა, კარგა ხანს ვუყარაულე. მან მოგვიანებით გაიღვიძა.

— მე შემოგთავაზეთ თავმდგმურობა და თქვენ გაგიხდით საყარაულად, ვგროგორი წესია? — მეუბნება მგვზური. პაპიროსები ავებოლეთ და საუბარს შევეყვით.

— მუხლები. რომ არა მალატობდეს და ჯანმრთელობა ბელს მიწყობდეს, თქვენთან წამოვიდოდი და პარტიზანებში ჩავეწერებოდი, — მეუბნება გამყოლი, — ოოხ, როგორ ვიძიებდი შურს ამ ძაღლებზე, როგორ გადაეუხდინი სამავიეროს...

— გეტყობათ ძალიან გაგამწარეს! — ჩაეუროთ მე, — მიაშბეთ რა შეგემთხვათ ასეთი?

გლები მომარჯვებულათ დაჯდა, ხმელ ფიჩხს ხელი დაავლო და შორს გადისროლა.

— რა შეემთხვა?! ნეტავი ერთი ახალგაზრდა ვიყო და ქვეყანას დავა-



მახვებდი თუ რა შემძლება ამ უსწავლელ კაცს. სამი შვილი მყავდა—ერთი ვაჟი და ორი ქალი. ჩვენს სოფელში მოსვლის პირველ დღესვე გერმანელებმა მოსახლეობა აღწერეს. მეორე დღეს ჩემი ვაჟი და ორი ქალი კომენდანტმა დაიბარა. გავგზავნე, მაგრამ როგორ წარმოვუდგენდი, თუ უკან არ დამიბრუნდებოდნენ! კომენდანტურაში მივედი, შვილები მოვიკითხე. „აქ რად მოთრეულხარ, გლეზო!—მიყვარა კომენდანტმა,—სახლში წადი, შენს ქალებს და ვაჟებს ამ საღამოს გამოვუშვებთო“. დავუჯერე და შინ გამოვბრუნდი. მთელი ღამე ევლოდე შვილებს, მაგრამ არც ერთი არ სჩანდა. შემდეგ-ღა გავიგე: პირველ დამესვე სამივენი გერმანიაში გადაეგზავნათ. გავშრი, ცეცხლი მოსედო, როდესაც შვილების უბედურება შევიტყუე. ჩემი დედაბერი შვილურის დარდა ლოგინად ჩააგდო, ახლაც ვაჟივით წამოვარდება ხოლმე ღამით ზეზე მოსთქვამს, შვილებს ეძახის: „განა, ოქსანა, გრიცკო! სადა ხართ შვილებო? რა გინდათ მაგ წყეულ ქვეყანაში, შინ როდის-ღა დაბრუნდებითო“. ჰოდა, რას იტყვი, მედგომება მე სახლში?

— მას შემდეგ შვილების არაფერი იცი?

— ქალები ხანდახან იწერებოდნენ ხოლმე თითო-ოროლა სიტყვას, ბიჭისა კი არაფერი ისმის.

— რაო, რას იწერებოდნენ ქალები?

— ცუდ დღეში არიან, მაგრამ თავის გასაპირზე გარკვევით არაფერს იტყობინებიან, იციან ალბათ, რომ ცენზორი წერილს არ გაუშვებს და ამიტომ ქაჩაგმებით იწერებიან. უფროსმა, განნამ მოიწერა: „ჩემზე ნუ იჯავრებთ, ცოცხალი ვარ. რაღაც ფრინველები დაფრინავენ აქ ცაზე და თან კვრაცხებს ჰყრიანო. ჩვენი ქვეყნიდან ჩამოყვანილები ბევრნი ვმუშაობთ ერთად... რაც უფრო ხშირად მოდიან ის ფრინველები—მით უფრო ძალიან გვიხარიათო“. — ეტყობა იმ ფრინველებში ჩვენს თვითმფრი-

ნავებსა გულისხმობს, რომლებიც გერმანიასა ბომბავენ. უმცროსი ჩემი შვილის, ოქსანას წერილმა კი ძალიან დამწვა გული. ბოლოდროინდელ წერილში იწერება: „პარვად ვარ, ვავსუქდი, მაქედან კაბა რომ გამოწყვა, იმ კაბის ფერზე ვარო“... დაღუპულა და ისაა, — იციელა დედამისმა—აქედან რომ კაბა წაყვა, ის მოშაეო—შონაცრისფერო იყოო.

ბერიკაცმა თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და განაგრძო:

— ჰოდა, მითხარი როგორ მოვითმინო... ჯავრი მაზრჩობს. გული პარტიზანებისაკენ მიწევს, მაგრამ, ვაი რომ ავადმყოფი და ინვალიდი კაცი ვარ. აი დღეს შენ გაცილებ და, იცი, როგორ მიხარია. ამით მტრის საწინააღმდეგო საქმეს ვაკეთებ. ნეტა ჩემს გულში ჩამოგახედა და დაინახავდი რა ცეცხლო ტრიალებს...

— შენს ბედში მყოფნი თქვენს სოფელში ალბათ სხვებიც იქნება, სხვასაც წაართმევდნენ შვილებს?

— არიან მართალია, ბევრი შშობელია ჩემს დღეში.

— სურსათ-ნაწოვაც მიაქვთ გერმანელებს თქვენი სოფლიდან?

— ეგ რა საკითხავია? მიაქვთ და რამდენი, რძის ნაწარმი თითქმის მთლიანად მიაქვთ, დაბეგრული ვართ, დათქმულ ვადებში ვაბარებთ სანოკაგეს. აქამდე გერმანელები ძალზე ამაყად დადიოდნენ ჩვენს სოფელში. დელიატინის ბრძოლების მერე შეშინდნენ და დაფრთხნენ.

— მაშ თქვენ დელიატინის ამბებიც გაიგათ?

ჩვენში ბავშვებმაც კი იციან თუ რა მოხდა დელიატინში...

— როგორც კი გავიგეთ, კოვპაკმა ალყა შემოარტყა დელიატინს, მტერი მოამწყვდია და სულ ერთბაშად გაელოტაო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ეს დღე ხალხმა იდღესასწაულა. გამიხარდა ეს რომ გავიგონე, გამელი-

მა, მობაასემ თვალი შემასწრო და შეითხა. „უკაცრავად, თქვენ ზომ არ მიგდილიათ მონაწილეობა დელიატივის ბრძოლებში?“

— ასე ვთქვათ, მეც ვმონაწილეობდი-მეთქი,—ვუთხარი.

ეს რომ ვაიგონა გამცილებელმა, ტყუილად მომეყარა ახალ-ახალი შეკითხვები.

— ამბობენ უძლეველი ჯარი ჰყავს კოვბაკსო,—მეუბნება მეგზური,—მაგი დღე გაუთენა თურმე გერმანელებს. სადაც კი გაჩნდება, მტერი თავქუდმოგლეჯილი ვარბისო. იმასაც ამბობენ, თითქოს კოვბაკის ჯარის განქარგულებაში ურიცხვი ტანკები და თვითმფრინავები არისო.

უუსმენდი გლეხს და კმაყოფილებას ვგრძნობდი, რომ ხალხში ასეთი ხმები დადიოდა ჩვენს შესახებ.

— მე ახლა კოვბაკთან მივდივარ-მეთქი,—ვუთხარი მეგზურს.

— მშვიდობით მისულეოთ, მუდამ გამარჯვებით იარე!

— ინვალიდი კაცი ხარ, კმარა, რაც პატივი მეცით, მუდამ ტკბილად მოსაგონარი იქნება ჩემთვის შენი თანაგრძნობა და ამაგის დადება—ვეუბნები მას.

— კი მაგრამ, გამცილებელია შენთვის საჭირო. აი სულ ახლო, ნახევარკილომეტრზე პატარა ხუტორია, იქ საიმედო კაცი მეგვლება. ვთხოვ, მას რომ ვაგაცილოს, უარს არ მეტყვის, გაეყვება, მალე მივალთ იმ ხუტორთან.

— კარგად იცნობთ იმ გლეხს, შეიძლება ვენდო?

— ექვი არ შეგებაროთ, მე ვიცი, ვისთანაც მივდივართ...

— მაშ, კარგი, წავიდეთ, გენდობი! ათი წუთის შემდეგ ხუტორში ვიყავით. ვამყოლმა ჰიშკარი შეილო, ჰიშკარის ზმაზე სახლიდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა.

— სიმონი ვარ! — გამოეჩმაურა მას ჩემი ვამყოლი და გაბედული ნაბიჯით მისკენ გაეშურა. ცოტა არ იყოს შეეც-

რთი. ახალგაზრდა ვაჟაკის ამ დროს სახლში ჯდომა მეუცხეობის ნიშნად ხელი ჩაიყავი და რევოლვერი მოვსინჯე. ვამყოლთან ხანმოკლე თათბირის შემდეგ მასპინძელმა მიხმოა:

— მობრძანდითო!—მთხოვა მან.

მივედი და მივესალმე. ზრდილობიანი სალაპით მომეგება.

— ასეთ ახალგაზრდას ამ დროს სახლში რა გინდა-მეთქი,—ვეკითხები მასპინძელს. მან ხელი გამომიშვირა და მითხრა:

— აბა ამ ხელის პატრონი სად უნდა წავიდეთ? — ხელზე დავხედე და შევამჩნიე, რომ მოჭრილი ჰქონდა. ეს ახალგაზრდა კაცი სამამულო ომის ინვალიდი აღმოჩნდა.

— ნება მიბოძეთ, ამხანაგო, დაგემშვიდობოთ. ახლა აი ეს ყმაწვილი გაგაცილებთ, სანდო და პატიოსანი კაცია,—მეუბნება გამცილებელი. გლეხს უგულვითადესი და უღრმესი მადლობა გადაუხადა, გადაეკონე და გავისტუმრე. მალე სახლიდან დიასახლისიც გამოვიდა, მომესალმა და სახლში მიმიპატიჟა, ნალები, რძე და მყავე კომპოსტო გამომიტანა. ლაშათიანად ვიახელით, დამშვიდობებისას დიასახლისმა მოზრდილი თუთუნის კონა მომაწოდა: „გამოვადგებათ, აბა სად იშოვნით გზაში თუთუნსო“.

ქუჩაში ვამოსვლისთანავე ნაპურალი-საკენ გაუხვიეთ და ჩქარი ნაბიჯით გზა განვაგრძეთ. დაღლილ-დაქანცულს ჩქარი სიარული მიძნელდებოდა, მაგრამ ჯიელი ვამყოლი ამას ანგარიშს როდი უწევდა. კარგი ბელაურივით მიდიოდა. ოცი კილომეტრი შეუსვენებლად გავიარეთ. ფეხების მწვავე ტყვივლები ვიგრძენი. ისიც იყო წინ სოფელი შევნიშნე. სჩანს სოფელს ვუახლოვდებით-მეთქი, ვეუბნები ამ ახალგაზრდა კაცს.

— დიახ, სოფელი ახლოა!

— რა სოფელია?

— გლებიოყას ეძახიან, — მიპასუხებს ახალგაზრდა.

ამ სახელის გავრცელებაზე გული ამიძგერდა. ნუთუ ეს ჩვენი ცნობილი გლეზიოგია?

— კიდევ რა სოფელია აქ ახლო-მახლოს—ვეკითხები გამყოლს.

— ცოტა ზევით ხმელიოვკაა.

— მაშ როგორც სიანს შავ ტყესთან მოვსულვართ!... — წამოვიძახე გახარებულმა.

— შავი ტყეც ხომ აგერაა, აი ის ტყეა,—თითი გაიშვირა ტყისაკენ მგეზურმა, — მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— სცნობთ ამ არე-მარეს? ალბათ ხართ ამ მიდამოებში ნამყოფი?

— ვიყავით, კარპატების მთებში რომ მივდიოდით, სწორედ ამ სოფლებზე ვაკვირეთ.

— კარპატებისაკენ კოვპაის არმიის გამგზავრების ამბავი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა კარგად ვიცოდით, დიდი ფაცაფუციტ ვადევნებდით თვალყურს თქვენს წინწაწევას. სწორედ იმხანად თქვენებმა ამ რაიონის ერთ-ერთ დიდ სოფელში, რასულნში გერმანელების დიდი ჯარი გაანადგურეს...—მეუბნება გამყოლი.

— დიახ სწორია, ჩვენ გვანადგურეთ რასულნში გერმანელების ჯარი. ეგ რა ამბავია, რა ხმაურია?—ვეკითხები გამყოლს.

— რა ვიცი, ეს აურზაური ხმელიოვკაში უნდა იყოს.

გარკვევით მესმის მამაკაცთა ყიფინი, ცხენების ქიხინი, ავტომატების გადამძული ზუზუნი. შემდეგში გავიგე, ხმელიოვკიდან ჩვენები ერეკებოდნენ თურმე გერმანელებს, მტერს უტევენ პარტიზანები და ამიტომ იღვა იქ აურზაური. ნაბიჯი მოკლმატეთ და შავ ტყეს მივუახლოვდით. შორიდან შევამჩნიე, რომ ვიღაცები ტყეში შერბიან... აგერ ვიღაც ცხენოსანი. მგონი რულნევის ცხენია, ორლიკი, ნამდვილად ის არის. მხედარი ვილა? პიატიშკინი? ნამდვილად ჩვენები არიან! ახლა უკვე კი არ

მივდივარ, მივფრინავ, ძლივს მომდევს გამყოლი. თან შიში მაქვს, <sup>კარპატებისაკენ</sup> ნებმა ტყეში შესვლა მრეშაწილს და მივიძალონ, შემდეგში ნახვა გამიმინდებდა.

— ამხანაგებო, მოიხედეთ, მომიცადეთ! — ვევირი რაც ძალი და ღონე მაქვს, მაგრამ ჩემი ხმა ტყემდე ვერ აღწევს. რევოლვერი გავიძრე და ზედიზედ სამჯერ გავისროლე. ახლა კი გაიგონეს, ვხედავ ზოგი პარტიზანი ადგილზე ჩაწევა, ქუდს მაღლა ვისვრია:

— ამხანაგებო, მე ვარ ბაქრაძე, დამიცადეთ!

ყველანი შესდგნენ და ცქერა დამიწყეს. საჩქაროდ დავემშვიდობე გამყოლს ვუთხარი:

— მაღლობელი ვარ, ძმაო, თუ ოდესმე მომცა შემთხვევა, იცოდე მეც თავს არ დაეზოგავ შენთვის...

— კარგად იყავით,—მეუბნება ის,— მოხარული ვარ, რომ უვნებლად მოაღწიე და თქვენებს შეუერთდი, მშვიდობით!—პარტიზანები უკვე გამოვბან ჩემსკენ: „ბაქრაძეა, დაეთიია!“ — ყვარჩიან ბიჭები.

პირველად გორაკუნოვმა, ბოგოლფოვმა და ყორჯოლიანმა მოიბრძინეს, გადამხევიენ, მშვიდობით მოსვლა მომილოცეს. მათთან ერთად საჩქაროდ შევიარბინე ტყის სიღრმეში. ბიჭები ვაკიბულები შემომცქეროდნენ. თურქე ყველას დაღუპული ვგონებოვარ. ახლა მიამბობენ: „ქოზში პარტიზანების გვაგები რომ ენახეთ და მათ შორის შენ არ აღმოჩნდი, სოფლელებს ვკითხეთ: იმ მაღალ პარტიზანს რაღა დაემართათ? სოფლელებმა გვითხეს ის ვაიქცა, მაგრამ ორმოცამდე გერმანელი ჯარისკაცი დაედევნა, საშინელი სროლა აუტეხეს. როდესაც მდევრები უკან დაბრუნდნენ, სოქვის: „ის იყო პარტიზანმა ტყესთან მიიბრძინა, სულ კიდევ ცოტა და მიძალავს მოასწრებდა, მაგრამ იქვე დაეწვიენტო“, ე. ი. შენ მოკლულად გამოგაცხადეს, სოფლელების ნაამბობის შემ-



დგა, საექმო აღარაფერი, იყო, გამოგიტრეთ და გამოგიგლოვეთო.

— არა, მე იმედს არა ვკარგავდი, — წამოიძახა პავლოვსკიმ. — შენი დაღუპვა ვერ წარმომედგინა. გამოყავი მაგარი ბიჭები და შენს საძებრად დავგზავნე, მაგრამ ამოად, სანუგეშო ცნობა ვერ მოგეიტანეს. გერმანელებმა მოჰკლეს მაღალი პარტიზანთა. განმეორებით ეთქვათ ვლუჩებს. ქოხის დაწვა კი მოგვასწრეს იმ ძაღლებმა. მეც გამოცვივდით პანის ტყიდან, მტერს ვეკვეთეთ, ნაწილი დავხოცეთ და ნაწილი გავფანტეთ. სოფლიდან ვასვლის წინ სახელდახელო მიტინგი გავმართეთ, ჯალათების მიერ ქოხში გამომწვარი ამხანაგები პარტიზანული წესით დავასაფლავეთ და გზას გავუღებეთ. მალე გორკუნოვიც გამოჩნდა და აი ამ ყმაწვილების თანხლებით შემოგვიერთდა, — პავლოვსკიმ ხელი მეორე ასეულის იქ მყოფ მეთომრებისაკენ გაიშვირა.

მოკლედ უთამბე თანამებრძოლებს, რაც გადაშხდა, დიდი ინტერესით მოისმინეს მეგობრებმა და კვლავ მომილოცეს მშვიდობით გადაარჩენა.

მე ყველაფერი ეს, როგორც უკვე აღვნიშნე, გორკუნოვის ძებნამ შემამთხვია. ამიტომ ეთხოვე მას ეამბნა ჩემთვის თავისი თავგადასავალი, რატომ დაიგვიანა მან დაბრუნება და როგორი შედეგით დაბრუნდა ის პანის ტყეში. გორკუნოვი ხალისით მპასუხობდა, დეღაღდა, გრძნობა ერეოდა, უხაროდა, რომ მე ცოცხალი მნახა, თან მთხოვდა, ჯერ პირველ რიგში ჩემი თავგადასავალი დამესრულებინა.

გორკუნოვის მარშრუტზე ჩემს გზას ძალიან ჰგავდა. თურმე იმავე მდინარეში ვამოსულიყო გორკუნოვი, რომელშიაც მე წინაღამით ფეხსახვევები ჩავუთესე.

ქორეოლიანმა ქართულად მითხრა: „ამ ხალხმა ისეთი ამბავი დანათიეს შენს დაკარგვაზე და ისე დაგტირეს, რომ შემდეგში ვინიცობაა რაიმე შევემთხ-

ვეს, არა მგონი გაიმეოროს ის ვიი-ვიში, რომელიც შენი დაკარგვაზე შევეკვირებით განიცადესო“. ბიზლნიმუნა

X X X

ვადევნებდით შავ ტყეში ხანგრძლივი დასვენება მოგვეწყო. რამდენიმე კილომეტრი კიდევ წავიწიეთ ტყის სიღრმეში და უფრო საიმედო ადგილი მოვტყენეთ. ისეთ დაბურულ ხეებში დაებანავდით, რომ ეშმაკიც ვერ გვიპოვოდა.

ამ ტყეში ერთმა ამბავმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება: ტყის ბილიკზე ძალსუ ხშირად წავაწყდებოდით ზოლმე ახალ-ახალ ნაკვალევს. ეტყობოდა აქ ჯგუფ-ჯგუფად დადიოდა ხალხი. სახელდახელოდ გამოყავით მზევრაეები და ტყის საფუძელიანი შესწავლა მოვახდინეთ. სმ პირველმა დახვევამ შედეგი არ მოგვცა. მაგრამ ჩვენს გარდა, ვილაც სხვებიც რომ აფარებდნენ ამ ტყეში თავს—ეს უკვე ამჯერა იყო. ეტყობა პარტიზანები იყვნენ, მაგრამ სად იყვნენ ისინი, მზევრაეებმა ვერ გაიგეს, მათს კვალს ვერ მიაგნეს.

ხელმეორედ გავგზავნეთ პარტიზანების საძებრად მზევრაეთა ახალი წყება: როცა ისინი უკან დაბრუნდნენ, თან ვერშიგორას ჯგუფის პარტიზანები მოიყვანეს. ახლა ყველაფერი გასაჯები იყო: მამ ვერშიგორას ჯგუფიც ამ ტყეში ყოფილა.

მარჯვე და მოხერხებული მეთაური იყო პეტრო ვერშიგორა. გარეგნობით კი იგი სამხედრო პირს როდი წააგავდა; გრძელი, ოქროსფერი წვერები მის მშვიდობიანი დროს აღამიანის გარეგნობას აძლევდნენ. საერთოდ ის მეცნიერულ მუშაქს უფრო ჰგავდა, ვიდრე სამხედრო პირს. ამიტომ იყო, რომ კოვპაკი მას ხშირად აკადემიკოსს ეძახდა და თათბირების დროს ასე მიმართავდა: „ბაბა, თქვენ რა აზრისა ხართ ამ საკითხზე, აკადემიკოსო“,

ანდა: „ახლა აკადემიკოსის აზრი მოვიხილოთ“.

ვერშიგორას პარტიზანებმა გვიტხრეს, რომ ვერშიგორას და მატულშენკოს ჯგუფები აქვე, შავ ტყეში არიანო.

— შორს არის თქვენი ბანაკი? — შევეკითხე ვერშიგორას პეზროლებს.

— აქედან თექვსმეტ-ჩვიდმეტ კილომეტრზე იქნება.

გულმა მაშინვე ვერშიგორასაკენ გაშიწია: ავყარეთ მთელი ბანაკი და გავემგზავრეთ. გზაში ჩემმა მშვერაებებმა მიაჩნეს, რომ ებრაელების საღვთოს ისევ წაეწყდით, მათი მიწურები დაცარიელებული დაგვხვდა, ვერაფერი გავიგეთ, შიშ მობინადრეებს რა ბედი ეწიათო.

აქ ლაპარაკია ებრაელთა იმ ბანაკზე, რომელიც ჩემმა მშვერაებებმა აღმოაჩინეს კარპატის რეიდის დაწყების პირველ ხანებში. როგორც მკითხველმა უკვე იცის, ჩვენი შენაერთი დაბანაკებული იყო შავ ტყეში და მე პირადად გამაგზავნეს კოვპაკმა და რუდნემა ლტოლვილ ებრაელების ბანაკში მათთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით.

ამ ლაპარაკში უკვე ვერშიგორას საბრძანებელს მივალწიეთ. პირველად ანისიმოვი დავინახე. გავოცდი. რა უნდოდა მას აქ? აქი შენაერთის ჯგუფებად დანაწილების შემდეგ ის კოვპაკის ჯგუფს გაჰყვა. ჩემს დანახვაზე ანისიმოვი გამოქანდა და ძმურად გადამხეცია.

— სერგეი, რა გინდა აქ, რატომ კოვპაკთან არა ხარ?

— ეგ, დავით, — მუღბნება ის, — რა ვუყო, ეს ჩემს უნებურად მოხდა. მშვერავთა ჯგუფს ვხელმძღვანელობდი. ერთხელ მოხუცმა კარპატების მთების ძირში მდებარე ხუტორში გამგზავნა იქაურობის დასახვერადად. დავალემა შევასრულე, გამოუბრუნდი უკან თუ არა, შევამჩნიე — გზა გერმანელებს გადაეკრათ. სასოწარკვეთილებაში ჩავევარდი. სხვა გამოსავალი ვე-

ლარ ვპოვე, ავდექი და გეზი შავ ტყის მიმართულებით ავიღე, ელფენსუალოვგალაბით მოვალწიე შემდეგ მოულოდნელად ვერშიგორას ჯგუფს წაეწყდით... ბევრი ვეცადე, ბევრი ვხეტიალე, მაგრამ კოვპაკთან შეერთება ვერ მოვახერხე.

მოვითვლიერე იქაურობა: ვერშიგორას მშვენივრად მოუწყვია თავისი ბანაკი. აბანოც კი ვალმართაეს. კარპატების მთებში ხომ ჩიი და პური გვენატრებოდა, აქ კი ვერშიგორას პურიც აქვს, შაქარიც და კარაქიც. ახლა თითონ „პოროდას“ (ასე ვეძახდით ვერშიგორას) დანახვა მენატრება. აგერ თვითონ ისიც. სახე გაბრწყინებული, გამზიარებული ვერშიგორა თავის გრძელ, შვერდზე ჩამოთენილ წვერს თითებით ისრესს და ღინჯი ნაბიჯით გვიახლოვდება. მისალმების შემდეგ მისი პირველი სიტყვა ეს იყო:

— უთუოდ დამშეულები იქნებით?

— კარგად გამოიცანით, სწორედ რომ აგრეა, — უბასუხა პავლოვსკიმ.

— მაშ მასბინძლობა ჩემზე იყოს! — წამოიძახა პეტრომ და იქვე გასცა სათანადო განკარგულება.

ჯერ სიტყვა არ დავმთავრებინა ვერშიგორას, რომ კვლავ სასიხარულო ამბის მოწმენი გავხდით. ახალმა, სტუმარმა დააკაუნა ვერშიგორას „ციხე-დარბაზის“ კიშკარზე: მატულშენკო თავისი პეზროლებით ჩვენთან მოვიდა. ახლა უკვე დიდძალმა ჯარმა მოიყარა თავი. ვადაწყვეტით მეთაურთა თათბირი მოგვეწყვია. ამ თათბირზე ვლაპარაკობდით რეიდის შედეგებზე. ახლანდელ მდგომარეობაზე და ბრძოლის პერსპექტივებზე.

თათბირზე ვერშიგორამ აღნიშნა, რომ მტრის ყველა ღონისძიება კარპატების რეიდის დროს ის იყო, რომ როგორმე ჩვენი შენაერთი მთებში ჩაეკეტო. ჩვენი დამარცხება მას მართლაც მარტო მთაში შეეძლო, მაგრამ

გერმანელებმა ჩვენი ჩაკეტვა ვერ მოახერხეს, ალყა გამოვარღვიეთ. ასე რომ კოვბაქის რეიდმა მტერს ყველა იმედი გაუცრუა.

ვერშიგორას ვუამბეთ, თუ რა შედეგი მოჰყვა მის მიერ გლეხებში გაწეულ აგიტაციას. გადავეცით გლეხების ნათქვამი: „ცხელი დღე დაგვაყენა გრძელწვერამ, პურის გერმანელებისათვის ჩაბარება აგვიკრძალა“, ვერშიგორამ გვიპასუხა: „მეტი მუშაობის ჩატარება საჭირო ამ შემთხვევაში გლეხებთანა“.

სიტყვით გამოსულმა მართლწინაგონი ხაზგასმით აღნიშნა: ვერშიგორამ

— ვერშიგორამ დრამატულად აღლო კარპატებში შექმნილ მდგომარეობას. სანამ მტერი შესძლებდა მისი პარტიზანების მაგარ ალყაში მოქცევის, მან გაასწრო, შესძლო ზიფათისაგან თავის დაღწევა.

შეეცინა ვერშიგორა ორ კვირას ისვენებდა. აქაურმა მყუდროებამ ბრიანსკის ტყე მომაგონა, დაუსრულებელი ბრძოლით აფორიაქებულმა ძარღვებმა სიმშვიდე ჰპოვეს, თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

(გაგრძელება იქნება)

ქონსაგონი გასახარლი

## ლავით აღაშენებელი\*

ბრილოზია

კარი მისამი



### XI სამთა შეპყრობა

მეფე დიდად გაახარა ჯონდი ერისთავისა და „ათასი იერუსალიმელი“ ჩამოსვლამ. აგრე შეარქვეს მათ, თუმცა ათას ეაქაცს გარდა ამდენივე ხეიბარი, სელჯუქიანთა ტყვეობაში დასწულეული ქართველი ჩამოიყვანა ჯონდი.

კირონ მანგლელი, ნიანია ბაკურიანი, აზნაური მორაქნველი, ქარიმან სეტიელი და მახარა წინ შეეგებნენ თემის ხევში ჯონდის.

გულისშემძრავი იყო შამან ერისთავისა და მისი ვაჟის შეხვედრა. როცა უსინათლო ერისთავი გადაეხვია ჯონდის ხელებს უფათურებდა სახეზე, მხრის თავებსა და მკლავებზე, რათა დარწმუნებულიყო უვნებლად რომ ჩამოვიდა იგი. სტიროდნენ არა მარტო მანდილოსნები, თვით გიორგი ჭყონდიდელსა და გულცივ მახარას აუწყალდათ თვალის თეთრონი.

უსინათლოს დავსილ თვალთაგან დაძრული ცრემლი ათოვდა ზის ლაწვისთავეებსა და თეთრ წვერს.

მოსულიერება ძლივს მოასწრო ხანგრძლივად ნამგზავრმა, მყისვე „ძელიცხოველის დიდ დარბაზში“ გამოიყვანეს, ბუხრის პირას საკარცხლული დაუდგეს.

სალამო მიიწურა საუბარში, პურობა

აღარაჟის ახსოვდა. ნასადილევს ისევ დასვეს სათხრობლად ჯონდი, იგი ვერ აუდიოდა ერისთავთა და მღვდელმთავართა შეკითხვებს „ქრისტეს საფლავის განთავისუფლების“, მაგრატოვანთა საომარი ჯვრის იერუსალიმს ჩასვლისა, მანდაური ქართული მონასტრების, ქართული ხატებისა და იერუსალიმელ ქართველთა თავგადასავალის ვაჟო.

ყველანი ამჩნევდნენ დაეაქაცებულყო ჯონდი. თუმცა სიარულის დროს აკლობდა მცირედ. მაგრამ უმძიმესს განცდებს სისხლისმღვრელობებში მიღებულთ, ოდნავათაც ვერ შეერყიათ მისი სულიერი მხნეობა.

ერთადერთი გარეგნული ცვლილება თვალში ხედებოდა მანდილოსნებს: წვერი დაეყენებინა ჯონდის, ეს დარბაისლურ იერს კმატებდა მას, განსაკუთრებით როცა სდუმდა, მაგრამ საკმარისი იყო ოდნავი გახუმრება და მისი მიმინოსებურ ცხვირის ქვეშ ღიმილის გაელეება, კელავ განაცხადებდა ხოლმე მისთვის ჩვეულ, კაბუჯურ ანგლობას.

როგორც კი ნიანიას, დედისიმედს, გვანცას, ან მახარას დაიმარტოხელებდა ჯონდი, ჩიტიმანქიასაკით დაილმიკებოდა, მუშტს ტუჩზე მიიდებდა

\* ვაგაძელთა. „მნათობი“ № 2.

და ჩაიხითხითებდა, მყისვე აღდგებოდა ძველი კვიპატი თავის შეგობრების წინაშე.

განსაკუთრებულის ხალისით უამბობდა იგი ახალგაზრდებს თავის მებმლისა და მებაჯრის — ხახუტაის ოცნებს.

ასე რომ ნადიკენარი ხახუტაის, აღაპების შემოსავალთა მიტაცებისათვის განპატივებული კაცის სახელს წარამარა ახსენებდნენ გვეროსან რაინდების: გოდფრუა დე ბუაონის, ბალდვინის და ტანკრედის გვერდით.

როცა ჯონდი უთხოვდა ახალგაზრდებს პალესტინაში დაყენებულ სისხლის წვიმების, ხალხთა ურთიერთთან ზედშეწყვეტის და ციხეთა შეღწევის ამბებს, დედისიმედი, ან გენცა წარამარა წამოიძახებდნენ ხოლმე:

„ხახუტაი სად იყო ამ დროს?“

„ხახუტაიმ რა ჰქნა?“

„ხახუტაიმ რა სთქვა?“

ორ დღესა და ორ ღამეს, თითქმის განუწყვეტლად მოახსენებდა ჯონდი მეფეს, ქყონდიდელსა და ერისთავებს სელჯუკიანთა და ფრანკთა ომების გამო, მრავალი ათასი უბრალო ადამიანის უწყალოდ გაუშევის ტრაგიკულ ისტორიას.

ეს არ აკმარეს, ახლა ახალგაზრდები შეუჩნდნენ. თითქმის იგივე, მაგრამ კომიკურ ასპექტში მოათხოვნიეს უკვე ფრივოლურ და სასაცილო ამბავთა მონატრულებში.

ღმრთა

თავათ ხახუტაი გახარებული იყო ლიპარიტის სასახლეში სტუმრობით.

„არა უშავს რა კამ ადვილას მომიყვანეს, ეუბნება იგი მზარეულთუხუცესს, თუ ჩემი პატრონის ნება იქნება, სულ აქ დაფრჩები, ხომ გაგიგონია შეწინააღმდეგე, ვიცი ქორწილში შევიდა, ჩემს სახლს ეგ სჯობიო.“

ხითხითებდა ხახუტაი, ქერის ორპოში ჩაეარდნელ ვიროხასავით კესაე-

და თავის წერილსა და ფურცელს თვალს

ქართული

განმარტობა

ქორიხზე უფროდ გადასვლისას თუქცა გაცივებულიყო ოდნავ, მაინც არ დარდობდა ამ ხიფათს. ლიპარიტის ბრძანებისამებრ მესტუმართუხუცესის სამყოფლოში მოათავსეს ეს „საპატარო იერუსალიმელი“ და ბუხრის წინ განლილ ლოგინზე ნებივრობდა დღისა და ღამით.

თავათ მზარეულთუხუცესი მიართმევდა მას ხარის ბექს, ირმის ჩახხს, დაშაშულ ბატებს, ცხვრის დუმას ან ღორის თავფხს.

„დედისიმედის ძღვენი“ შეარქვა ნიამ ამ ულუფას ხუმრობით.

თუ ჯონდი ერისთავი მეფისა და დიდებულთა ცნობის წადილის შეგერებით იყო გართული, ხახუტაი თავის ლოგინზე წამოიჭოტებოდა და მოუთხრობდა გარსმოჯარულ მსახურთ მის მიერ განცილსა და განაგონს.

და როგორც კი თავისუფალ დროს მოახლებდნენ, ხახუტაის გარშემო მოგროვდებოდნენ მესტუმრეთუხუცესი და მზარეულთუხუცესი, მერე მეთუხუცესი და მენადირეთუხუცესი, ციხვთუხუცესი, მეძღვენეთუხუცესი, მსახურნი, ბერნი, დიაკვანნი, ერთი სიტყვით, მთელი სინკლიტი ლიპარიტ ერისთავის დიდი სასახლისა.

ზოგი ქვემჯდარი ზოგი ზემდგარი, ზოგი ძირს დაცუქული შემოადგებოდნენ ხახუტაის და ამბობინებდნენ ანტიოქიისა და იერუსალიმის ამბებს, როგორ ხარშავდა ვიროხებს, როგორ ვაჭრობდა წყლით, ხოლო თურქთა ტყვეობაში ჩაეარდნელი როგორ აბამბულებდა ამირ ხალიაფს, ან როგორ პარავდა ყორნებს ბერძენ მეხელანდეს გზაში. მზარეულთუხუცესს განსაკუთრებით მოსწონდა უფრო გროტესქული ამბები. როგორ ასმევდა ხახუტაი ამირ ხალიაფის მიმინოებს სასაქმებელს, ან როგორ ამოუკერავდა ხოლმე რომელიმე ქორს, ან მიმინოს უკა-

ნალს და განცდილ სიმძიმელთა მოგონება ამგვარი, უფროდაუფრო ჰმატებდა ჭამისძალას ხახუტაის.

„გაძეხი?“

„შეეკითხებოდა მზარეულთუხუცესი.

„არა უშავს რა, წაიხეხე პაშტა!“

ეტყოდა ხოლმე ხახუტაი მზარეულთუხუცესს, როცა უკანასკნელ ბექს ხარისას ფაიფურივით გამსჭვირვალეს გახდიდა, დასძენდა:

„უგ შეინახე, შეინახე ძიაჯან, როგორც კი მორჩები, თურქულ წერას გასწავლი ამ ბექსზე შენმა მზემ!“

დედისიმედს და გვანცას არ აკმაყოფილებდა ჯონდის მიერ ნათხრობი. ლელაას და ნონაის ამბავი მოჰქონდათ: დახოცაო სიცილით ხახუტაიმ თავის მსმენელნი, მათ დიხაც ეწადათ შეპარულთუხუცესს მესტუპარეულთუხუცესის სამყოფლოში, მაგრამ კატაის შიშით ველარ ბედავდენ ამას, ამიტომაც ისევე ჯონდის ჩააცივებოდნენ და თხრობისაგან დაოსებულს ახლა კომიურ ასპექტში მოაყოლებდნენ ამ დიდ ეპოპესას, ჯერ კიდევ გავუთში ბარე ორგზის მოთხრობილს.

ერთ საღამოს გვანცა ემუდარა ჯონდის: უნდა გვიამბო როგორ მოიპარაო ხახუტაიმ ყორანი?

აღარ მოეშვა დედისიმედიცა, ბოლოს ჯონდომ ჩაახველა და დაიწყო:

„როცა ლავდიკეადან გამოვედიო ბერძნული გალღერით, ხახუტაის დაუნახავს: მეხომაღლეს ყორნები ჰყოლია თურმე გალღერის ქვედა სათავსოში“.

„ყორანი რაღად უნდოდათ გემზე?“

იკითხა გვანცამ.

„ყორანი მიუცილებელია გემზე, განაგრძო ჯონდომ. ბურუსიან დღეებში, როცა მეხომაღლედ გზას ველარ გაიკვლევს ხოლმე გამლილ ზღვაზე, გაუშვებს ყორანს და იგი უცილოდ ჩრდილოეთისაკენ გაფრინდება.

მერმე აიღებს მეხომაღლედ სელის გზას იმ მიმართულებიდან, რაც უნდა ყორანი გაფრინდა“. *ბიზულირისეჟა*

„მერმე, მერმე?“

იკითხა გვანცამ.

„მერმე ჩაპარულა ხახუტაი გემის ქვედა სათავსოში იმავე დამეს, რაღაც დაქანებით გაუღია გალია, ერთი ყორანი დაუთრევიო კიდევაც.“

მე პირველ დღეებშივე ზღვამ მაწყინა. ჩემს საწოლზე ვიჯექი და ვაგლახად აბუზული ვთვლემდი. ერთბაშად მომესმა ისეთი წყვეტილი ყორანტალი, როგორაც დასცდება ხოლმე ყორანს როცა მას ყელში ხელს წაატანენ ხოლმე. ასეთი ყორანტალი და ბარტყუნი ფრთებისა.

უუყოფლავ ხახუტაის:

რას აკეთებ მეთქი, შე ქრისტეს ფეხისმკენეტელო მანდა?

არაფერა ჯონდი ბატონო, საუხმეს ვიმზადებო დილისთვის.

წავეპოტინე | ბნელში მოფრთხილავ არსებას, ყორანი შემარჩა ზელში.

ხახუტაი დაეტუქსე და ეუბრძანე: ხელი არ ეხლო ყორანსათვის.

გათუნებისას ვნახე სანახევროდ გაუპუტა მაგ ეშმაკისკერძს ყორანი. მეგზურად ველარ გამოგვადგებოდა, მაინც აედექი და მეხელანდეს მივეგარე იგი.

თანაც ვშიშობდი იღუმალს: ვამ, თუ გაბრაზდეს მეთქი ვალღერის პატრონი, მაგრამ ჩვენდა ბედად ოხუნჯი კაცი აღმოჩნდა იგიცა.

მან ბევრი იცინა ამ ეაგლახად გაუტული ფრინველის დანახვაზე, დამამშვიდა და მითხრა:

„ეარსკვლავებზე ვატყობ: ბურუსი არ დაგვესწრება ამ მთეარზე ღვით. გარდა ამისა, საკმარი მყავს ყორნები. მერმე გამოიღმა და მითხრა:

მე მთელი ქვეყანა კილით კიდედის შემომივლია, ტილიქამია ხალხები მინახავს, და ხელიკამიებიცა, გველიქამიები და მკალიქამიები, მაგრამ ყო-

რანს რომ კაცი სკამდა, ჯერაც არ მსმენია.

თქვენს ქვეყანაში ხომ არა სკამენ, უფალო ჩემო, ამ ფრინველს?

არა, ბატონო, ჩვენი ხალხი მართლმორწმუნე ქრისტიანია, მხოლოდ ეს ერთადერთი გამოგვერია მეთქი, ჩემი მეხმლე, აგეთი მსუნავი.

აბა გულწრფელად მოგახსენოთ, მეც მინდოდა გამეგო რა გემო აქვს მაგ სატიალეს, მაგრამ ჩემ მენიჩბეთა შორის, შეინახე ვერ ვიპოვენე ვერასდროს. მოდი უბრძანე მაგ შენ მეხმლეს, კარგად გაბუტოს და მოხარშოს ეგ ყორანი, მერმე დავსხდეთ და შევექცეთ ერთი.

ბოლოს ასე დამთავრდა: დასხდნენ ხახუტაი და მეხელანდე, შეემაზეს ყორანი, მადიანად მიირთვეს, წითელი ღვინოც ზედ მიაყოლეს ბერძნული.

როგორი გემო ჰქონდა მეთქი მაგ ყორანს? ვეკითხები ხახუტაის.

მან თავისი ცხენისებური კბილები გადმოჰყარა და სთქვა:

„ანტიოქიაში ყორნების მეტი რა მიმირთმევია, ჯონდი ბატონო, მენა. შენ გვიმალავდი, თორემ ნაკვდრევე ყორანსაც გეახლებოდი ხოლმე. ჩინებულნი გემო აქვს ყორანს, ოდნავ მომეყო, ოდნავ მწკლარტე მაგრამ საამურად მწკლარტე.“

ვერაცხოველობას | როგორც მეფე, ისე მთელი სახლელი ლიბარიტისა, ვომარეთს გაემგზავრნენ ტაძრეულითა და მცირე სპითურთ.

წირვა მოისმინეს და ლიბარიტის უბანს გაბრუნდნენ იმ დღესვე.

სილამემ მოუსწრო პურობას. ჩინებულ გუნებაზე იყვნენ როგორც მეფე, ისე ლიბარიტიცა.

როცა იერუსალიმის ამბავთაგან უმთავრესთა თხრობა მოათავებინეს ჯონდის, ახლა სელჯუკიანთა ნადი-

რობის წესების გამოკითხვას დაადგინა.

„როგორც თავის დროზე მოგახსენებდით, ჩემი მეხმლე, ნადიკენარი ხახუტაი თავის მუცელმერთობის მეოხებით თურქებს ჩაუვარდა ტყვედ. დაიწყო ჯონდის. დიდხანს ათრიეს იგი სხვა ბერძენ მონასკებთან ერთად ანტიოქიიდან მაჰარამდის და მანდაურ ამირას, ხალიაფს მიჰყიდეს.“

ეს მოხუცებული ამირი აღფ არსლანს ხლებია, როცა ახალქალაქს ლაშქრავდა სულტანი. ხალიაფ პირად დად ნაცნობა ჩვენს მეფე გიორგის, როცა ეს უკანასკნელი ისპაჰანში ეწვია სულტან მალიქ შაჰს.

ხახუტაი, ალბათ თავისი დეკაცური ანაგობის მეოხებით, თვალში მოვარდნია ამირ ხალიაფს, ამიტომაც მოუხშია, ვინაობა და სადაურობა გამოუკითხავს წვრილად.

რა გაუგია, გაურჯიო, ჩვენებური ნადირობის საქმეთა გამოკითხვას შესდგომია ამირა მყისვე. ცხადია, ნადიკენარს თავის დღეში ისარიც არ უსურია ნადირისათვის, მაგრამ გეგუთის არეებში მას ბევრი რამ ჰქონდა განაგონი გიორგი მეფის ბაზიერთაგან და უამბნია ზოგი ტყუილი, ზოგიც მართალი, ქართული ნადირობის გამო.

უწინარეს ყოვლისა ეს ჰკითხა ხახუტაის ამირამ: შენ თავათ თუ ვინადირნაიო?

ხახუტაის დაუწყია ტრაბახი: გიორგი მეფის ბაზიერთუხუცესი ვიყავიო, მას ეამსა შინა. მერმე მოჰყოლია და რაც ჩვენს პატრონს ირმები, ტახები, დათვები, მშველები და ზოხბები დაუზოცნია, ყველაფერი თავათ მიუთვისებია.

ამირას უთქვამს მამინ: მამ შენ თუ ასეთი კაი მონადირე ყფილხარ, ჩემი ბაზიერთუხუცესი მაგ უშჯულო ფრანკებმა მომიკლეს, ამირიდან ბაზიერთუხუცესი იქნებოი.

მოგახსენებთ გაკვირვება უდიდესი მწერთნელი, თავი მოუყარა ბედმავემა ხახუტაიმ გვეუთში ყურმოკვრითა და თვალმოკვრით შენაცხოვს და დახელოვნებულა ბოლოს ამ საქმეში იგი.

ამირა უშვილო ყოფილა და მთელი თავისი გულისყური თავის ქორ-მიმინოებისაკენ ჰქონია მიქცეული მაგ ბედამწევარს.

ხალიაფს ასიოდე მიმინო ჰყოლია, ბარე ერვასი ქორი და უამრავი ბიზანტიური ძაღლი, ავაზები და არწივები. ფრანკთა ლაშქარი მაჰარას უახლოვდებოდა, ამიტომაც თურქებს ნადირობისათვის არა სცხელოდათ, თურქ ბაზიერთაგან ქაბუენი ომში წაასხა ამირამ, შინ დარჩენილი მოხუცი ბაზირები ძღვეს დაათრევდნენ ფეხებს, ასე რომ ხახუტაი წელში გასწევითა თურმე ამ ფრინველების სკორეს წმენდამ, მათთვის კვერცხის ყვითლის და თეთრი ხორცის ხარშვამ, ჩაჩების, ქაღების, ხიზების ეყენების, ხელთათმების კეთებამ.

მობრუნდებოდა ბრძოლის ველიდან ამირა, ნადირობას შეუდგებოდა მყისვე, წინა დღეს თავის ქორმიმინოს ჩამოუვლიდა და მცირე ზადის შენიშვნაც იკმარებდა ქრისტიანებზე გულალრენილი ამირას რისხვის გამოსაწვევად.

თავი მობეზრდა ხახუტაის და ფრთხილად შეუდგა მარილის შეპარებას ამ მტაცებელთა საკვებში. წაეიდოდა ამირა საომრად, მეორე დღეს განუტევებდა სულს, რომელიმე ქორი.

თავდაპირველად ამირა აგრე ფიქრობდა: ალაჰამ შერისხა მართლმორწმუნე მუსლიმნი, ომებს რომ ზედიზედ ვაგებთ, ალაბათ ნადირობის საქმეშიაც აკვარიდაი გული, მაგრამ როცა მისმა საყვარელმა ფოლადისფერმა ქორმა ვაფშიკა ფეხები, გაცეცხლდა თურმე ამირა ხალიაფ, მივარდა ხახუტაის, იწყო ქრისტიანების, გაღურჯების ლანძღვა და მათრახით სცემა ბედშავს.

ასეთი უწყალო ცემა აიტანა ხახუ-

ტაიმ, შეუცადა პატრონის რისხვის გადავლას, დაუწყო ლიქმსარქნსმმცქენი უნიჩინა ბერიკაცს, ცხვს უნიჩინა ბერიკაცს, თურქთაგანს გადააბრალა ყოველივე: ვირის ლეშს აქმევდნენ ქორმიმინოს და ამიტომ დაგვატყდათ ასეთი უბედურება თავს.

ამირა გამოძიებას შეუდგა, მანდაური ყადი მოაყვანიდა და იმდენი იძია ამ ყადიმ, მართლაც გამოჩხრიკა რომ ერთ ბებერ ბაზირს ეჭმია ვირის ლეში რომელიდაც ქორისათვის.

ამირას კვლავ მიუბრუნდა „უდანაშაულო ხახუტაის“ მიმართ გული; მაგრამ მათრახით ცემა დაიმახსოვრა თურმე ნადიაკვნარმა და შურისძიების მახვილს დაუწყო ლესვა.

მაჰარას ამირას ჰყავდა თურმე ერთი ფრიად საყვარელი კაბუეტი, რომელიც ამირა ილაზის უჩუქნია მისთვის, ცხენების მთელი რემის სანაცვლოდ. რაკი თურქ ბაზიარებზე გული აუცრდა ხახუტაიმ ამირას, ხალიაფმა პირადად, ხახუტაის ჩაბარა ეს მიმინო.

როცა ამირა შინ არ იყო, ხახუტაი უთევდა მას ღამეებს გათენბამდის უჯდა თურმე ამ განუბიერებულ მტაცებელს და „ააას“ ჩასძახოდა ყურში, რათა კაცთა ორანს არ გადაჩვეოდა და არ გატყუორებულყო იგი.

მერმე მოდგებოდა ამ „დიდი ბატონის“ საუზმის ეჰამი, ხახუტაი ხელებს დაიბანდა და კვერცხის ყვითელს პირთმევდა და საგანგებოდ მოხარშულ თეთრ ხორცს.

„ალია“ რქმევია მიმინოს სახელად. მზე აიწვედა და იძალებდა თუ არა სიცხე, ბალში გაყავდა ხახუტაის ეს მიმინო, მშვილდებრ გადრეკილ ჯოხზე დასვამდა და საბანაო წყალს დაუდგამდა.

ნადირობის დროს, ამირას უმარჯვეს მიმინოებსა და ქორებს გაეჭეოდა თუ არა რომელიმე გორიზი ხოხობი, როჭო, ან იხვი, ამირა იყვირებდა მყისვე: „ალია“!





აღია ამ დროს ხახუტაის უკდა თურმე მარცხენა ცერზე წამოგებულ ხელთათმანის კიდეზე. ალბათ მოგესვენებთ, თურქნი ხის ხელთათმანს წამოიგებენ ხოლმე ცერზე და არა ტყავისას, როგორც ჩვენ გვჩვევია ხოლმე.

შემოვსმარა თუ არა პატრონის ყოვილი, აღია მოსწყდებოდა ხახუტაის ცერიდან ამირასას დაფრინდებოდა და მიუტევდა თუ არა ამირა, უკვე გაპუტული იყო ოტებელი ფრინველი.

„მიტევება რავგარ იციან თურქთა?“  
იციოთა ღიპარით ერისთავმა.

„ისინი ჩვენებური ხელის შეტოვებით როდი უტევენ მიმინოს, არამედ მარჯვენა ხელით გაიხურიან მასშივე ჩაბღუჯულს იქათკენ, საითკენაც გაფრინდება ხოლმე ესა თუ ის ფრინველი.“

ეს აღია იპერდა თურმე არა მარტო ხობობს, და ყარყატს, არამედ კურდოლსაც და თუ ავაზას მიუშვებდნენ შშველზე, ან ნიაბორზე, ჯერ აღია წამოიწყოდა ნადირს და თვალეშში უსწორებდა ნისკარტს, მერმე ავაზა. ან შშვერები მივსვოდნენ ხოლმე დაოსებულ ნადირს.

ასეთი უცნაური რამ მიაშბო ხახუტაიმ: ბარე ამ მიმინოს გაქცევის ერთი მამალი ყარყატი. აღია მიუშვია ამირას, მიმინო ჰაერში მისწვდენია ყარყატს და დაუკორტნავს, ტბაზე დამარცხებულა მისი ნანადირევი იმ იმედით, ეგებ წყალში ეპოვნა შველა.

მიწყდარა დაფდაფების ცემა, ბევრი უძებნიათ ყარყატი და მიმინო, ის ის იყო წვირთა გლეჯას შესდგომოდა ამირა. ამდგარა აღია ტბიდან, ყარყატიც დაუთრევი თან.

აღია ისე ყვარებია პატრონს, ამირას სალოცავ ნოსზე ეძინა ღამღამობით ხოლმე. როცა ფრანკები ორი ფარასანგის მანძილზე მიუბალოდნენ მაპარას, ხახუტაიმ აღიასაც ავემა მცირეოდენი მარბილი და იგიც მიიღო უფაღმა.

აქ უკვე კელარ გასქრა ხახუტარს სიმქვერემ, გაცოფებულმა მანძილზე ტაჯგანაგებით სცემა ტყვენი მისკამსა ლეგში უკრა საწყალობელს თავი.

ბატონკაცური გასვენება მოუწყოთურმე ამირ ხალიაფმა თავის საყვარელ მიმინოს, რომელიც ათი წლის ნაკრტენთა ცვლას გადაარჩენილიყო შშვიდობით, მაპარას მოედანზე თავნაქინდრული მიედინებოდა უამრავი ხალხი. ყორანის მკითხველები ხმა-მალა გალობდნენ სურებს!

თავის ნათესაებებითა და ხელქვეითებით გარსშემორტყმული თავზე ხელის ცემით მიძყებოდა ამირ ხალიაფორ მოხეტთავანს, რომელნიც მოწიწებით მოასვენებდნენ მიმინო „ალიას“ ცხედარს.“

ეს ამბავი ამ წიგნის ავტორზე უფრო მქვერად მოუთხოო ჯონდი ერისთავმა თანადამსწრეთა, ამიტომაც ბევრი იცინეს როგორც მეფემ და ღიპარიტმა, ისე გიორგი ჭყონდიდელმაც.

„აეაზებით ნადირობა თუ იციანო თურქებმა?“

იციოთა ახლად შემოსულმა აზნატრმა მორკნეველმა მოკრძალებულად.

ახლა აეაზებით ნადირობის თხრობას ამირებმა ჯონდი, სწორედ ამ დროს შემოვიდა მახარა და გრაგნილი გადასცა პატრონს, თანაც უჩურჩულა: მუხათგვერდის ციხისთავის მალე მსარბოლმა მოიტანაო ამ წუთში.

მეფემ გრაგნილი თავათ გახსნა, თვალი გადაავლო, ისევ დაგრაგნა და ხელში დაიჭირა. თანაც შენიშნა: ღიპარიტს თვალი გაექცა გრაგნილისაკენ. მეფემ არად მიიჩნია ღიპარიტის სახეზე ამოკითხული ცნობისწადილი, ცალკებად ეკითხება მასვე:

„აეაზებით თუ გინადირნია ერისთავთ-ერისთავო ოდესმე?“

„აეაზები მუდამ ჰყავდა სულგურთხელუ პაპს ჩემსა და მამაჩემსაც, ბარე სამი, მენადირეებს გაექცათ“



მშველზე ნადირობისას შაორში. ორი, გიორგი მეფეს უძღვნა თავის დროზე მამამ. ერთმა შენადირეთუხუცესი დამიკბინა და ე, იმ სარკმლის გასწვრივ რომ ვალავანია, არ ვაქარბებ, სამი კაცის სიმაღლე, იმ ვალავანს ზედ გადაველო და ნაძვიანში გაუჩინარდა.

მერმე შეეჩვია ის ტიალი გარეშემო სოფლებს, დაერია ცხენთა რემას და ხეასტაგს, დიდი ზარალი მოგვაყენა, ჩვიდმეტი ბაღლი გაიტაცა, სოკოსა და ფიჩხის მონაპოვებლად ტყეებზე მოარულნი.

ბოლოს განრისხდა მამაი, შვიდ სოფელში ქულზე კაცი გამოყვანა, ხულუტის მეციხოვნენიც მივაშველეთ, ოციოდე ფარასანგის მანძილზე შევეპარით ხეები და კლისურები, ვეღარსად ეპოვნეთ ის ვერანა.

ის ზამთარიც დაილია. გამოზაფხულზე მელორეებს შეეფეთა ის ავაზა შოშილეთის ეკლესიასთან. ისინი ღორებს უყიფოდნენ, ავაზა შემკრთალა და ეკედერის ფანჯრიდან გადაშტარა. ზოგი კომბლით, ზოგი ხანჯლით წამოსევიან და მოუკლავთ. ჩვენს მიერ შემბული ჯაჭვის ნამუსრევით ვიცანთ.

როგორც მერმე გვიამბო შოშილეთის ეკლესიის მნათემ, თურმე იმ ეკედარში ნაცხოვრება ის ავაზა. ღამობით კატისებური კნავილი შესმოდაო, მეც კატა მეგონაო ტყიური.

როგორც აბრეშუმის ქსოვილიდან გამოარღვევ ერთ თვალს, გამოსწევ და გაიწელება ძაფი, გამოწეული სხვას გამოსწევს, გამოარღვევს გამოარღვეული დაემატება, აგრეა სიტყვაც, ტყიურისა და ნადირობის გამო საუბრები წაეწყო იმ საღამოს ურთიართს.

„კარგია ავაზებით ნადირობა“, სთქვა მეფემ, „მაღე ნაჰარმათეში გვეწყოით ალბათ, ჯოჯგვი მწერდა 2. „მნათობი“ № 3.

ამასწინათ ბაღდადიდან, ჩინებულ ავაზებს გაახლებთო. თუ ეს მშველზე განადირებთ ავაზებითა.

მახარა მიუბრუნდა ლიპარიტს: „განა მარტო ავაზებითა მე გაიყენებთ მიმინოებით, გინდ ქორებით მშველზე ნადირობას. ორად ორ მწევარს მიეუშვებ, გინდ ერთ ავაზას. ეს იქნება ნამდვილი სეირი“.

„შენ ქორ-მიმინონი დაგიბერდნენ, მახო“.

შენიშნა მეფემ.

„გუშინწინ მომწერა ნაჰარმაგვეის ციხისთავმა, შვიდი კაპუეტი და ათორმეტი თეთრი ქორი გამოუგზავნია ქავთარ ბარამისძეს ჰერეთიდან. სული სხეულში არ მეტევა, ვიდრე ნაჰარმაგვეს წავილოდე და ბავლს გავუგდებდე მაგ მიმინოებს.“

ამბობდა მახარა.

„ჯერ ხომ აღრეა ბავლის გაგდება, არა?“

იკითხა ლიპარიტმა.

„სწორედ ახლაა ბავლის გაგდების დრო, ერისთავთ-ერისთავო. არგვეთისა და მარგვეთის საერისთავოებში დიდი ხანია, რაც დაწყებულია ბავლი. ერთი კვირის წინათ მამცნეს ქვახერელიდან, ბავლის გაგდება ვცადეთო უკვე მე მანდაც მყავს რამდენიმე ქორ-მიმინო გაბარებულნი.“

„მთელს სამეფოში რამდენი ქორ-მიმინო გყავს, მახო?“

შეეკითხა ნიანია.

„თუ ჩემმა ძმამ, გიორგიმ მლაშე კვერცხი არ მიქმინა მიმინოებს, გვუთში ერგასზე მეტი მყავს, ამის ნახევარი უფლის-ციხეშია“.

გიორგი ჰყონდიდელმა ღიმილით სთქვა:

„მე სულ დამავიწყდა, მახო, გიორგი მეფის დანაბარები: შენი მიმინოებიდან ნახევარზე მეტი ქათმის ჰირს უმსხვერპლანია. აგრე ბრძანებდა პატ-

რონი და სხვა არაფერი ვიცი მათ გამო.“

მახარა აიღეწა.

„რასა ბრძახებ, მამაო გიორგი, თითო არაბულ ცხენად მიღირდა ყოველი მათგანი. ერთი ჩავეიდე გეგუთს, წვერს დავაგლეჯ ბაზიერთ-უხუცესს იამანისძეს.“

„თურქნი მთლად გადაყოლილნი არიან ქორ-მიმინოს, სიტყვა ჩაურთო ნიანია ბაკურიაძემა, მალიქ-შაჰს შვიდი ფოლადისფერი ქორი და ცამეტი ყბათეთრი მიმინო მიუძღვნა მისმა ძმამ კავურდმა და სამაგიეროდ ამდენივე არაბული ულაცი მიიღო სულტანისაგან.“

აღფ-არქლანმა თავის ბაზიერთ-უხუცესს, ამირ ტოგტეკინის მამას ცალი ულვაში ააგლიჯა ერთი ქორის დაკარგვის გამო.

ნეჯამ აღ-ადინ ილაზის ორმოცდაათი მიმინოს და ამდენივე ქორის შირთმევისათვის იერუსალიმის საამიროს მიუბოძა ამირ ტუტუშმა“.

„ასეთი შლეგები რომ არიან თურქნი, ამიტომაც წარიმართენ მათნი საქმენი კეთილად“

ბრძანა გიორგი ჭყონდიდელმა.

„სომეხთა მთავარი თოროზი ჩინებულნი მწვრთნელი იყო ქორმიმინოთა, განაგრძო ნიანია, იგი მიმინოებს უგზავნიდა დამასკოსა და აღანის ამირებს ძღვენად, სამაგიეროდ იემენის წმინდა სისხლის კვიცებს ღებულობდა.“

სომხის მთავრებივე შიართმევედნენ ზოლმე ალექსი კომნენს კაპუტეტბს, ზოლო კვისარი ბიზანტიურ ძალებს უსახსოვრებდა მათ“.

„აბა თუ იცი, რა ფერისანი არიან ბიზანტიური მეძებრები, ნიანია?“

შეეკითხა მახარა

„კვერცხის ყვითელისფერის გულმკერდი აქეთ, ამავე ფერის თათებითა, ჩაშავებული უბენი თვალისა, ყვითლად დაწინწკლულნი, ზოლო ზურგზე ყორნის ფერი გადასდით“.

მეფე ადგა.

ძილი ნებისა უსურვა მასპინძლებს. მხოლოდ დედისიმედობა მისწამა: გრაგნილის მიღების შემდეგ გუხუბა შეეცვალა პატრონს.

მეორე დღესვე შეუდგნენ ნაქარმაგევს წასვლის სამზადისს.

გადაწყდა: ლიბარიტ ერისთავი სახლეთურთ უნდა წვეოდა ნაქარმაგევში მეფეს. გეგუთიდან ჩამოსულმა მალეშსროლებმა და ქუთათელმა ბერებმა თრიალეთში ხმა დაარხიეს წინასწარ: მარიამ დედოფალთან ერთად მეფე გიორგი და დიოფალი ელენე მოემგზავრებიანო ნაქარმაგევს გამოზაფხულზე.

დიდსა და მცირეს სასიხარულო ამბები ეკერა პირზე.

არა მარტო კატაი, კირიონ მანგლელი და მამაი ბასილიც დაჯერებულნი იყვნენ ქორწილი თუ არა, ნიშნობა მაინც შესდგებოდა ნაქარმაგევში.

საამისოდ ხელშემწყობნი ვითარებანი ზედიზედ წაეწყვნენ ურთიერთს: გეგუთიდან წიგნი მოიწერეს მეფე გიორგიმ და დიოფალმა ელენემ. გახარებულნი ულოცავდნენ დავითს მონაწიებულ ერისთავის შემორიგებას.

იწერებოდა მეფე გიორგი:

„გულის კარნი გაუხსენი, შვილო, ამ ქვეყნიურ ლხენას რამეთუ ეს სოფელი ერთ ჰინდურ ხესა ჰგავს უცნაურს, რომელიც მხოლოდ ერთხელ აყვავდება მთელი საუკუნის მანძილზე და შემდგომ ამისა ხმება ანაზღად.“

კიდევ ერთ რამესა ჰგავს ეს სოფელი, შვილო, სთველსა, დროზე მოწყულს, გონიერი დროზე იცნობს მოწყვეის ყავლს, მზისთვალი რა დაატკბობს მტევანში შაქარს და მოკრეფს სურნელოვან ყურძენს, ზოლო რეგვენნი აგრე იტყვის: ხვალე, ხვალეო, ამა სობაში სირნი მოიმკიან, პატრონის ნაცვლად. სთველს.

ავთია ეს სოფელი, შვილო, გაუღე ჯულის კარნი ამ სოფლიურ ლხენას, თორემ შენს თავზედაც ისევე ჩამოსთოვს, როგორც მე მომივიდა ეგა და ყველას უკლებლად, მამათა და წინაპართა ჩვენთაგანს“...

როცა მახარამ ეს ბარათი თავაზიანად უჩვენა კატაის, მან დიოფალის მიერ მოწერილ სტრაქონებს დაადგა თვალი:

...„ვისურვებ ბედნიერებას, შვილო, ჩემს უძილო ღამეში მრავალგზის ნახატრს, ნიადაგ მლოცველი ვარ შენი ბედნიერებისათვის. შვილო“...

ამ ორგზის განმეორებულმა სიტყვამ: „ბედნიერება“ იმედის ფრთენი შეასხა ერისთავის მეუღლეს. გარდა ამისა, ერთ სასიხარულო ამბავსაც იუწყებოდა დიოფალი: მარიამ დედოფალი ბიზანტიური გალღერით ჩამოსულა ფოთს, გიორგი მეფე, შერგილ ლიპარიტიანი და ქუთათულნი დიდებულნი მაიკოს შესახვედრად მიემგზავრებიანო ხვალ, რა დაისვენებს გეგუთში მაიკო, ერთად გეწვევითო ნაქარმაგვეში.

კატაი თვალნათლივ ჰხედავდა თუ როგორ შეიცვალა ყოველივე ერთბაშად. თუ წინათ მარად მოღუშული დავით მეფე გაურბოდა ლიპარიტის სახლეულთან ურთიერთობას, ლიპარიტი დიდისეულ, ძველ სასახლეში ეწეოდა კარჩაკეტილ ცხოვრებას, ახლა იგი მომეტებულის თავაზიანობით ეკიდებოდა დიდსა და მცირეს.

უცნაურად იცვალა მახარამაც ნირი. კატაიმ კარგად იცოდა ლიპარიტი რომ არ უყვარდა მას, ახლა ნიადაგ ლიპარიტთან საუბრობდა ქოსა, დაჟინებით ეჩიინებოდა საგაზაფხულო ბავლის გაავლებაში დაედო წილი ნაქარმაგვეში.

თავის მხრივ ლიპარიტიც თავაზიანად ექცეოდა საჭურისს. თუ იგი წინათ მახარასადმი მიმართავი „ბედლამ-

წვარს“ გაურეგდა ხოლმე, ახლა ტკბილად ეტყოდა ხოლმე „ჩემს მამას“: „მამათ საღამოს დავითს“...  
ძალი ძღვნით ეახლა იოანე დუქისძე. სტუმრები ჯერაც სუფრიდან არ იყვნენ ამღვარნი, როცა ძელიცხოველის დიდ დარბაზში შემოვიდა მეძღვენი.

მან ჯერ გიორგი ჭყონდიდელს დაულოშნა მარჯვენა, კატაის ლოყახე აკოცა, მერმე ფერხით დაუვარდა მეფეს, მუხლისთავეებზე ხელი შემოხვია და ეამბორა.

მეფე წამოიღვა ანაზღად, ზეაყენა ბერიკაცი, ახლა მარჯვენას მისას მისწვდა დუქისძე:

„მადლი მომიძღვნია შენთვის, ყოველად ქრისტიანო, სულგრძელო პატრონო ჩვენო“.

შეპლალადა დუქისძემ.

როცა დუქისძემ ნაქარმაგვეში მოსალოდნელი საგაზაფხულო ბავლის ამბავი გაიგო მახარასაგან, ყრმული აღტაცება გამოამყვანა.

საჭურისმა პატრონის უკითხვად მიიპატიჟა იგი და სთხოვა თან წამოყოლოდა ერისთავთ-ერისთავს. მეფეს არ იამა ეგ, მაგრამ არა უთხრა რა მახარას, რადგან კარგად იცოდა, ლიპარიტის აშალას რომ ეკუთვნოდა იგი.

ორბელიანთა მეგზრენი აზნაურთაგანნი თითქმის ყველანი რატისთან ერთად იყვნენ გარემოცულნი ფარცხისის ციხეში.

ცხადი იყო მარტოოდენ ეპისკოპოსთა თანხლებით ვერ წამოვიდოდა ნაქარმაგვეს გულგროზი ერისთავი თან.

• •

ელენე დედოფლის მიერ სიტყვა „ბედნიერების“ ორგზის ხსენებას ერთი ვითარებაც ზედ დაერთო:

იოანე დუქისძე სადღაც ქორწილში დამთვრალიყო ერთ ღამეს, დილა აღირიან ლიპარიტის სასახლის ეზოში შემოაქენა ცხენი.

ლიბარტიის შემორჩევების შემდეგ ცნობის წადილი ახრჩობდა მას, უნდოდა როგორმე გაეგო, როდის შესდგებოდა ლიბარტიის სასახლეში ქორწილი?

სასახლის ეზოში შემოსულმა თავის მეჯინბეს მიუვლო ცხენი. გზაზე შემოყრილ ციციხეთუხუცესს ჰკითხა:

სად არისო, მახარა?

სავარდენშიაო.

მახარა კაკანათებს აგებდა სავარდენში.

„ეს კაკანათები რაღაღ გინდა, მახო?“

„ბულბულებს ვუგებ კაკანათებს“.

„ბულბულებსო?“

„დიახ, ბულბულებს, შენ როგორც გეტყობა ქორწილში ყოფილხარ, მანდ არ მოგართვეს ბულბულის ენისაგან გაკეთებული კერძი?“

„შენ მზესა ეფიცავ, მართალს. დიდკაცთა ქორწილი ჯერ არასოდეს ისე არ შემდგარა, ეს კერძი რომ არ გამოეტანათ, სუფრის წინამდგომისთვის“.

ამ გასაუბრებამ იქმარა, კატის ახარა მალემარწმენმა იოანემ, უარესად მალემარწმენს: საქორწინო სამზადის შესდგომიო მახარა.

და მერმე დაარჩიეს ხმა ლიბარტიის სასახლის ციციხეთუხუცესმა და მესაწოლე ბერებმა მთელს თრიალეთში, ბოლოს ჯავახეთსა და შიდა ქართლს მოედო იგი.

მოულოდნელი ამბავი კუნებ ნაყოფსა ჰგავს, ხოლო მოსალოდნელი გადამწიფებულს, ერთს თუ სარეჯგვავით ძლივს ჩამოაგდებ, მეორეს სულ მცირეოდენი შერხევა სჭირია ტოტისა და თავზე დაგეცემა.

ამიტომაც მოსერიეთა ენის დაძვრამ იქმარა იოანე დუქისძის რწყვეწმწმს გასავარცელებლად. ბნზლმწმწმწმ

განსაკუთრებით აევია ლიბარტიელნი ჩურჩულებდნენ და ბუზღუნებდნენ: თუ მეფე დედისიმედს ირთავს მართლაც, შამან ერისთავის ქალი რად ჩამოუყვანესო?

კატაი მეშვიდე ცას ეწია სიხარულისაგან, აღარ იცოდა როგორ შეეწამებინა ეს ამბავი თავათ მეფესთან.

კვლავ ნატრობდა „ყიფჩაღეთს გადაკარგულ“ გუარამ ბეკისციხის პატრონს.

გული საგულეს აღარ დაუდგა ლიბარტის ახარა ეს ყოველივე იმ დემესვე.

ერისთავს ტყვეობაში უცნაურად შეცვლოდა ზნე, ვერც იგი უბედავდა ამ „მტკივნეული საკითხის“ გამო, გამოსაუბრებოდა მეფეს, სამაგიეროდ კატაის ქირავადა დღე და ღამე.

შენ და მარიამ დედოფალმა ამიტეხეთო ეს უბედურება, დიაცი ხარ და მალემარწმენი, მაგ შლეგი მახარას ნაბეუტურევის დაჯერების მაგიერ მეფეს რომ შეეკითხებოდე ისა სჯობიბო.

მიუხედავად ამ შეგონებისა, კატაი დარწმუნებული იყო, რომ მეფე თუ თრიალეთში არა, ნაქარმაგვეში მაინც დანიშნავდა ქორწილის დღეს და ამიტომაც, დედისიმედის მზითვის შემზადებას შეუდგა, ყოველშემთხვევისათვის.

ეს მოხდა იმ დღეს, როცა დავითი, ჭყონდიდელი, ნიანია, ლიბარტი და შამან ერისთავი, ცხენით გაემგზავრნენ მანგლისს.

მახარას შაკიკმა მოუარა, წამლის სათხოვრად კატაი მოინახულა. „ძელიცხოველის დარბაზში“ საწოლის მწიგნობარნი დაესვა ერისთავის მეუღლეს და მზითვის წიგნს აწერინებდა. მას გვერდით უჯდა იოანე დუქისძის ცალი ციცია.

ლეღაის და ნონაის გახსნილ ზანდუკებიდან და ვაშკარანებიდან ამოჰქონდათ ტყავაკები, მანდილები. შეიღოშები, საბნები, ოქროს და ვერცხლის პურქელი, ცხენსაკაზმი და ნოხები.

მახარას დანახვაზე ციცია წამოდგა. ახლა უზარმაზარი ზანდუკი გაახსნევიანა მესაწოლე ბერს და მახარას ზედ ცხვირთან მიუტანა უძვირფასესი ფარსისტანული მანადილები, ადენისა, ტავეავის და სანას აბრეშუმებისაგან ნაკეთებნი, ტაბარისტანული მატყლის გორგალები, დამასტის ოქრონარევი ქსოვილები, ირანული ოქროს ბროკატი, სავსებით იშვიათი ნახელოვნები.

მახარამ ხელი შეახო მასალას, სთქვა:

„ამას „კასაბს“ უწოდებენ სპარსნი.“

ახლა სხვა გადმოიღო ციციამ გრძლივ დაგრავნილი, თვალგაბრწყინებელი უჩვენებს მახარას:

„ეს როგორ მოგწონთ, უფლისწულო ბატონო?“

„იგვეც ძვირფასია, ამას „მოსაბს“ ეტყვიან.“

ახლა ოქროთი დაწინწკლული აბრეშუმში გადმოიღო ციციამ.

„ასეთი საქაბე ერთი, ჩემს მანდ ყოფნისას სამას დინარად ფასობდა მდინაში.“

სთქვა მახარამ.

ლეღაიმ მოიტანა და წინ დაუდგა საჭურისს დამიეტის ლეჩაქები, ზოგი ღვინისფერი, ზოგი ენდრთსფერი, ზოგიც სოსანისფერი.

ნაირნაირი ჰამადანური შალეები, იემენის აბრეშუმში, აგრეთვე გრძლივ დაგრავნილი, ამ მასალის ფონზე გამოსახული იყვნენ თუთიყუშები, სპილოები, ლომები და ფარშევანგები.

ახლა მონასხამებისათვის განკუთვნილი უხეში ქსოვილები აჩვენა მახარას ციციამ. ფორთოხლის ფერისა, ზოგიც ყაყაჩოს ფერისანი, „ეს სომხური „შაზზ“ უნდა იყოს, ამას „დიბაგს“ ეტყვიან არაბნი.“

სთქვა მახარამ და ხელში აიღო ნაჭერი.

ახლა კუფას მანდილები მოიტანა ლეღაიმ, ზოგნი ოქროსხურვებულნი, ზოგნი კუმბოკრულად შეფერადებულნი, ზოგნი ტრელტრულანი, ზოგნიც ციცაბისფერნი, სხვანი ზებრასფერნი.

ნონაიმ გადმოიღო ხეღისტანის, იემენისა და მედინას სახელოსნოებში ნაკეთები დიდი და მცირე ნოხები, ერთ მათგანს თვალი დაადგა მახარამ, რომელზედაც ლომის მიერ ატლემის გაგლეჯა იყო გამოხატული, კიდევ ერთი პატარა ნოხი თვალში მოუფარდა მახარას.

„ამას „მოსალლას“ ეტყვიან.“

„ეს ვინ ხატია აქ?“

ხელი მიაშვირა კატაიმ ერთი მხარის სიგრძე ნოხზე.

„ეს შერუჯერი — მამამისს ფარეზსა ჰქალავს.“

კატაიმ არც შერუჯერის ვინაობა იცოდა და არც ფარეზისა, მაგრამ უფიცობის ხელახლა გამომკლავნებას, დუმილი არჩია, როგორც ეს ქალებსა და უმწიფარ მამაკაცებს სჩვევიათ ხოლმე.

„ეს ფარდაგები სადაურია?“

იკითხა ციციამ.

„ამას „ფოროშ ალ ყირმიზს“ უწოდებენ არაბნი.“

ახლა კუფასა და იემენში ნაკეთები ქილობები აჩვენეს მახარას, ზოგს ოქრომკერდის ნახატები ჰქონდათ დატანებული, ზოგ მათგანზე ზღვა ეხატა, ზოგზე კატარღა, ზოგზე თევზები.

ამ თევზების ფორეჯები სიბრძოთ იყო შესრულებული.

ახლა ხატ-ჯეარნი გადმოიღეს.

მახარას თვალში მოხვდა დედისიმეღის დიდდღის მზისთვალას ნაჩუქარი ქართული მადონა, კლარჯეთელი უცნობი ქართველი მხატვრის მიერ დიდის ხელოვნებით შესრულებული. მთავარანგლოზის მცირე ყელსაკიდი ხატი ოქროცურვილი, რომელზედაც

სნგლოზის ფრთების ქერკეცი განსაკვიფრებელი ოსტატობით გაუკეთებია ოსტატს, ყელის ხატნი, და კედლის ხატნი ქართული მინანქარული ხელოვნების ფასდაუდებელი ნიმუშები.

უბის ფსალმუნები და ლოცვანები; ზოგი ოქროს ყდაში, ზოგიც სპილოს ძელის ყდაში ჩასმულნი, ფერადოვანი მინიატურებით მოხატულნი, დიდნი და მცირე ჯერები ვერცხლზე მოქანდაკეთა მიერ ნაყეთებნი.

ქართული ძელის ქანდაკებისა და ძელის ამოჭრის ხელოვნათა ნამუშევარნი.

იაციყის, ოქროს და ვერცხლის ტარიანი ჩქიფები, დანები და კოვზები გადმოალაგა ნონაიმ, კრისტალის სასმურები, ზეთის პინაკი, სახილენი, სამწდენი და სამარილენი.

სათამაშოები: სპილოსძელისაგან ნაკეთები პაწია ბოკვერი ლომისა, რომელსაც ლალის თვალები ჰქონდა, ოქროს ფარშავანგი საფირონის თვალებიანი, ოქროს პალმა, რომელსაც მარგალიტის ნაყოფნი ზედესხა.

კატაი იდგა, პატარა სკივრი ვახსნა, და გადმოიღო ლიბარიტის შეკვეთით დმანისელ ოქრომჭედლების მიერ შესრულებული ვერცხლის მუზარადი, ვერცხლის კურტაკი ჯაჭვისა და ასეთივე ფარი. ეს ყოველივე დედისიმედისათვის უჩუქნია მამას, როცა იგი ათი წლის გამხდარა. აჩვენა სტუმარს სპილოსძელის უნავირი, ცხენსაკაზში ვერცხლისა.

აბანოს ხელსაწყონი გამოაჩინა კატაიმ, პაწია ლეკიფებიც, ნელსაცხებელთათვის; ოქროსანი, ზოგი ვერცხლისანი. ზოგიც ფერადი შუშისანი.

ვარდის წყალის, კაისუმისა, საკურის სითხისა და კუფადან ჩამოტანილი ნაირნაირი ზეთების, სახის დასაზელი მალამოების კურკულნი სხვანი და სხვანი.

თვით მრავალნაცადი მახარა, რომელსაც ბიზანტიის ემპერატორების სასახლეთა საკურკულელონი მრავალხელსაქონდა ნახული, გაოგნებული გავიდა ძელიცხოველის დარბაზიდან.

ლელაიმ გააცილა იგი.

ლელაი შემოჩვეული ჰყავდა მახარას ამიტომაც ხელი წაავლო ქალმა საკურისს და უთხრა:

„აბა აქ მობრძანდი მცირე ხანს, უფლისწულო, ბატონო“.

დიდხანს იარეს ნახევრად ბნელ დერეფანში, დაბალჭერიან სამყოფლოში შეიყვანა იგი.

ოციოდე მხევალი გარს მისხდომოდა უზარმაზარ სამკერველო მაგიდას, თავჩაქინდრულნი კერავდნენ და ლინებდნენ.

ათიოდე ჯარა, საჩეჩელში, ძაფსართავი და ძაფსაქსოვი დაზგები იღვნენ ირგვლივ.

მკერავებს აბრეშუმის, შალის ოქროს ბროკატის გორგალები და ნაჭრები ედვათ წინ, გამალბულნი ჭრიდნენ, ქსოვდნენ და ქარგავდნენ.

ყველას უყვარდა მღაბიორთა გამოკითხავი მახარა, განსაკუთრებით ქალებსა და ბალებს, მაინც ხმა გაკმიდეს მის დანახვაზე დიაცემა.

„იმღერეთ, იმღერეთ“ შესძახა მახარამ, იმღერეთ, შეილებო, სანამ გემღერებათ, თორემ იმ სოფელსაც გეყოფათ ღუმლი“.

განაგრძეთ!

შეუძახა ლელაიმ.

ბოლისელმა გოგონამ მხნეობა მოკირთა:

ჩვენს პატარალს მოეუქარეთ.

ოცდახუთი ნატი.

ღროდ მოვიდა საქორწილო

და აყვავდა ფშატი.

ამოგქარგეთ გულისპირზე.

ნაჩრდილო და ნაშუქარი,

შეეწიოს ჩვენს პატარალს

დიდედისგან ნაშუქარი

ღეთისმშობელის ხატა.

მოხუცმა მონაქალბებმა სიმღერა გა-  
ზარათვეს ახალგაზრდებს:

მშვილობაში, მშვილობაში,  
ნუ დალიოს მაცხოვარმა  
სახსლოს წვეინს კიდობანში  
ოქრო, ვერცხლი, სათი.

ბოლნისელმა ისევ განაგრძო სიმ-  
ღერა:

ღედას სველი რჩება თვალი,  
მამას გული მუყარა,  
ტყავაებები, ქათიბები,  
ასიოდე ცალი,  
სილიაო, ასზე მეტი,  
ქირმანული შალის,  
ხაგულენი, პერანგები,  
მოიკვილი ლალით,  
ასი მზარი აბრეშუმში,  
ასი მზარი დიბი,  
საბანო ხალათები  
შემკობილინი შიბით,  
შინდისფერი ყაბაჩები  
ნაკერი გვაქვს სითვით,  
შეოდ სეფენულს გაათხოვებ,  
ამოდენა მხითვით.

მახარაც გაახარა ამ ამბავმა.

ერთი რამ გაუკვირდა ოღონდ: მან  
კარგად იცოდა მეფის განზრახვანი ამ  
ხაქმის გამო. სანამ რატის წურთენის  
თუ შემორთვების ამბავი ასე თუ ისე  
არ გადაწყდებოდა, მეფე შესაძლებ-  
ლად არ სთვლიდა ასეთი გადაწყვე-  
ტილების მიღებას.

ახლა როცა ამ სამზადისს საკუთარი  
თვლით შეესწრო მახარა, მას, გული  
ეტკინა ოდნავ: როგორც სჩანს მეფემ  
საჭიროდ არა სცნო მისთვის გაემხილა  
ეს ყოველივე.

მახარა იქნეული იყო საერთოდ.

მან დაეთის არაფერი ჰკითხა ამის  
გამო.

როგორც გიორგი ჰყონდიდელს,  
ისე შამან ერისთავს და ახალგაზრდა  
სპასალარებსაც ეუცნაურათ ეს ყო-  
ველივე, მაგრამ მათთაც აგრე იგარაუ-

ღეს: უჩვეოდ გადაუწყვეტიაო ეს ამ-  
ბავი პატრონს, მაგრამ მასწავლებელ-  
თარების გამოკითხვა ვერცხელს  
მას.

კვირა დილას აზნაური მორკნეველი  
ვახლა მეფეს. დიდხანს ესაუბრა იგი  
კარჩაეტილში დაეთის ჰყონდიდელსა  
და სპასალარებს, ბოლოს მახარამაც  
გაიგო ეს ამბავი:

გასულ ხუთშაბათს, ნამუღამევს,  
რატი ორბელიანი თავის მეგზოსს, მა-  
ღალ გიორგის, დუქსძის სამივე ვაჟის  
და ეტეხი ბერის ამარად, ფარცხისის  
იღუმალი ზერელიდან ჯორებითურთ  
გაქცეულიყვნენ ალგეთის გზით რუს-  
თაისაკენ.

ქარიმან სეტეილნი და ზუზინი უკან  
მისდევდნენ, თან შორიხლოდან უთ-  
ვალოვალუბდნენ ოტებულთ. მათ ფო-  
ნი მოუძებნიათ რუსთავეის ციხის გას-  
წვრივ, მტკვარზე და გაღმა გასულან  
კიდევაც.

კვირას, მეფე ტაძრულითურთ,  
ლიპარიტ ერისთავი სახლულითურთ  
წირვას დაესწრნენ, პურობაც არ იყო  
მოთავებული, ლიპარიტი წამოდგა,  
შეუძლოთ ვარო, მოიბოდიშა სტუმრე-  
ბის წინაშე და საწოლის დარბაზში თან  
გაჰყვა მთლად გაფითრებული კა-  
ტაის.

მეორე დილას, მესტუმრეთუხუცესი  
ეწვია მახარას და განუცხადა:

ერისთავთ-ერისთავს ლიპარიტს,  
თირკმელების შეტევა ჰქონდა ფრიად  
ბედითი გულამ, ამიტომაც ამ მოკლე  
ხანში ველარ შესძლებსო ნაჭარმაგვექ  
წამოსელას.

მახარას გულმა რეჩხი უყო.

«ახლა კი კვლავ დაბურდა თავისი  
ბნელი ზვანჯები ბედისწერამ, უთხრა  
მან ნიანია ბაკურიანს.

რომელი ქორწილია მე მეშინია ომი  
არ მოჰყვეს ამ ამბავს».

სამი დღეც გავიდა. ერთ საღამოს  
გვიანამდის დარჩენ საწოლის დარ-  
ბაზში მეფესთან ჰყონდიდელი და



სპარსალარები. თვით მარადფრთხილ-  
მა გიორგი ქყონდიდელმა განაცხადა  
ასეთი რამ:

„მე სააქიმო ხელოვნებაში, უმეცა-  
რი ვარ, ამიტომაც დაბუჯითებით ვერ  
მოგახსენებთ სტიკვა თუ არა თირკმ-  
ლები ლიპარიტს და თუ იგი მართლაც  
აეადა, შესაძლოა ამის მიზეზი იყოს  
ფარცხისიდან რატის გაქცევა. არც ის  
ვიცი, საიდან გაიგო მან ასე მალე ეს  
ამბავი.

უკეთეს იგი თავს იკატუნებს, უკუ-  
ველია იგი ამას ჩადის მხოლოდ და  
მხოლოდ იმისათვის, რომ ნაქარმაგვეს  
წასვლა აიცილინოს ამ ჯერად თავიდან.

არც ისაა, შეუძლებელი, რომ მას  
ემინოდეს კიდევაც შიდა ქართლში  
წამოსვლისა, იგიც ცნობილია: ტყვეო-  
ბაში ხანგრძლივად ნამყოფ კაცს, მო-  
მეტებული შიშინაობა სჩვევია ხოლმე.

ბრძენს უთქვას: სხვის სულში უმ-  
თვარეო ღამეაო და მე ამის მეტს ვე-  
რას მოგახსენებთ.“

„ვერც მე ვიტყოდი დაბუჯითებით,  
სთქვა შამან ერისთავმა, მართლაც  
აეადა თუ არა ლიპარიტ, ჩვენ ეს ღა  
ვიცით, დღეღამე ლულუფრს რომ  
უხარშავს მას კატაი, მაგრამ ერთი  
რამ ნათელია ჩემებრ უსინათლოსათვი-  
საც: ჯერხნობით ლიპარიტის თრია-  
ლეთში დატოვება, გაუფრთხილებლო-  
ბა იქნებოდა უთუოდ.

ცხადია, რატი რუსთავიდანაც არ  
შესწყვეტს ლიპარიტთან მიწერ-მო-  
წერას. თუ შეიღმა მამის გადაბირება  
მოახერხა, იგიც გაიქცევა და რუსთა-  
ვის ციხეს შეაფარებენ მამაშვილი  
თავს.

კვირიკესა და აღსართანის ლაშქარს  
მოირთავენ ისინი, არც ისაა გამორიც-  
ხული რომ ავასინის ჯარები და ბანუ  
ჯაფარის სპანიც მოიშველიონ.

თრიალეთში შემოჭრას მოერიდე-  
ბიან, რადგან აზნაურ მორკნეველს  
ხელთუყარია როგორც ციხენი თრია-

ლეთისა, ისე ალგეთის კლარჯუბი  
და ზევისთავები.

იგიც ცნობილია, თუ უფლები სქემა-  
ნეთში შემოჭრა მომხდურისათვის გა-  
ცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ზედა-  
ზენიდან ქართლის ზეგანში შეჭრა.

როგორც მოგეხსენებათ, ზედაზე-  
ნიდან დაძრული ლაშქარი იოლად შე-  
უტევს შიდა ქართლს. უფლოსციხესა  
და ქსნის ციხეს მხარმარცხნით დან-  
ტოვებენ და ხოლო მათ შემდეგ ნაქარ-  
მაგვეიც ზედ არის.

შეგემ მორიგეობით მოუსმინა ნია-  
ნია ბაქურიანს, მახარასა და ბეშქენ ჯა-  
ყელს და შემდგომ ამისა სთქვა:

„რაც თქვენა ბრძანეთ, ამას ყოვე-  
ლივეს ხელფები ასხია. როგორც არა  
ერთგზის გამოვეცადეთ, რატი ორბე-  
ლიანი ამაზე უფრო გულურჩია და  
შურისმგებელი.

იგი ვაცბოროტია და შმაგი, მაგრამ  
განა გამარჯვება ყოველთვის სიბრძ-  
ნის შედეგია? ხანდახან შმაგურ სი-  
ფიცხეს უმალ მიკაყვს კაცთაგანი გა-  
მარჯვებამდის, ვიდრე გულმეცნიერთა  
და ბრძენთა ყოყმანს.

არაერთხელ მომხდარა იგიცა,  
ბრძენთა ყოყმანის შეოხებით დათმო-  
ბილნი ციხენი, თვალის დაფახულება-  
ზე აუღიათ შმაგებს, რადგან სიშმაგე  
თავზე ხელალების შედეგია, ხოლო  
სიბრძნე, საკუთარი თავის, ან სახელ-  
მწიფოს გაფრთხილებიისა.

ერთიცა და მეორეც დროს გააჩნია  
და ვითარებას უთუოდ.

ყველას გეხსომებათ ალბათ, როცა  
ჩვენ მოციქულებს ვაგზავნიდით ფარ-  
ცხისში, როგორ გაფითრდა ლიპარიტი  
და მე იმ წუთში ამოვიკითხე მის საწ-  
ყალობელ თვალეებში: მეც წარმგზე-  
ნეთო ფარცხისს.

ძნელია იმის თქმა, თუ რა ეწადა  
მანდ წასვლით ლიპარიტს. დიდი ხნის  
უნახავს შვილთან შეპყრა, თუ იქელ-  
ნური რაიმე განზრახვა?

იგიც შესაძლოა, ხანგრძლივ ტყვეობაში გულდინჯობა და სიბრძნე მოეხვეჭოს მას, რადგან მარტოობაში მომეტებულ დაფიქრებას ეჩვევა კაცი.

არც ისაა შეუძლებელი, მამობრივი გრძნობა ყოფილიყო ამ წადილის საფანელი, მოალოდნელი სისხლისღვრის აცდენა უნდოდა ეგების. მაგრამ მე საკმარისი საბუთი არ მქონდა, რომ არ შეფიქრა: კაი გულითაც მანდ მოსულ ლიპარიტს, არ გადაიბირებდა გაცეხლებული რატი.

მაშინ? მაშინ ჩვენ სხვა გზა არ დავრჩებოდა, რამდენიმე ათასი მონასხა უნდა შეგვეწყვიტა ფარცხისისათვის.

ერთი რამ ცხადია ჩემთვისაც: თუ ლიპარიტი მარტოცა დაეტოვებოდა თრიალეთში, უთუოდ გაგვირთულდება საქმე.

თავაწყვეტილ რატის დაეანებეთ ციხიდან გაპარვა უსაოდ, მაგრამ სანამ მამა მისის სიცოცხლე ჩვენს ხელთაა, თუ არა ვცდები, იგი მოერიდება უნიღბოდ შებრძოლებას მაინცდამაინც.

კლდეკარის აღებისას ლიპარიტი რომ ხელთ არა გვეყოლოდა, ბარე ორ წელს მოეუნდებოდა ამ ციხის აღებას.

ესა სთქვა მეფემ და ბაღდადიდან ჩამოსული მალეშრობოლი შემოიყვანა მახარამ. იუწყებოდა ჯოჯიცი, სარწმუნო კაცი მეფისა: ქულტან ბარქიაროვი განმეორებით მოითხოვს ხარაჯას.

როგორც ჰყონდიდელმა, ისე სპასალარებმა ერთობლივად ურჩიეს მეფეს დაუყოვნებლივ ეაცნობოთო სულტანს, ამიერიდან რომ აღარ ვაძლევეთ ხარაჯას.

მეფემ არ გაიზიარა ასეთი თათბირი. „მართალია, სამი წელია, რაც ჩვენ ხარაჯას აღარ ვაძლევეთ სულტანს, მაგრამ ხარაჯა ხომ იგივე ვალია ხელშეკრულებით, ან ფიცით, ნაკისრი. თქვენ ყველამ იცით, ეს ხარაჯა მეფე გიორგიმ იტვირთა, როცა იგი მალიქ-

შაჰ სულტანთან ისპაჰანში სტუმრობდა.

ერთი ვალდებულების შეტყობის შემთხვევაში, სულ სხვაა მასზე უარის თქმა, არა?

ვიდრე ჩვენ მაიმინის მიერ ნაკისრ ხარაჯაზე უარს ვამცნობდეთ სულტანს, მე უნდა შევეთათბირო მეფე გიორგის წინასწარ, იგი თუმცა მამაა ჩემი, მაგრამ კესაროსია, გვირგვინოსანი.

გარდა ამისა, მზად ყოფნაა საჭირო. ამიტომაც, ვგონებ აგრე აჯობებდა: ნაჭარმაგვეს ჩასვლამდის ვადაგველო სულტანისათვის პასუხის გაცემა.“

ამავე თათბირზე მეფემ გულისწუხილი გაუზიარა თავის სპასალარებს გუარამ ბექისციხის პატრონის ავადგახლომის გამო. იგიც სავალალოდ მიაჩნდა პატრონს, სტეფანოზ წილქელისაგანაც რომ არაფერი ისმოდა.

ყოფილეთიდან როქის სპის შესავებდალ მონასპათა მოყვანა უკვე აღარ ეპრიანებოდა გიორგი ჰყონდიდელს რადგან ბრმადმორწმუნე მთავარ ეპისკოპოსზე ისეთი შემძრავი შთაბეჭდილება მოახდინა სტეფანოზ წილქელის მიერ ნაუწყებმა, ყიფილთა ბარბაროსული შჯულის გამო, ჰყონდიდელი შიშობდა, ვაჰ, თუ ამდენ უშჯულოთა ქართლში ჩამოყვანამ სარწმუნოება შეურყიოსო ჩვენს ხალხს.

გუარამ ბექისციხის პატრონის ავადგახლომა მეც მაწუხებსო,

ესა სთქვა და ამაზე შეჯერდა იგი. დასასრულ: წინებში მიღებული გრავნილი გადახცა დავითმა ჰყონდიდელს და უთხრა: მუხათგვერდის ციხისათვის მონასპებს ბავლი გაუგდით ვასულ კეირას მიმინოებისათვის.

ერთი მიმინო მტკვარს ვადაღმა გადაჰყოლია მტრედს.

სიტყვები ქორა და ორი ვაფი ვაბრიელ ხორგაისა: ვოდერძი და როსტოი ზედაზენის ციხის შემოგარენში

თან გადაპყობიან მიმინოს, სამივენი შეპყრობით ძაგან ერისთავის სპათა.“

მეფემ დასძინა:

„ახლა უკვე გვიანია და ამის გამო სხვა დროს მოგვიხდება მოათათბირება. რადგან ეს მარტოოდენ სამი ყმისა და ერთი მიმინოს ამბავი არ უნდა იყოს, მე თუ არ ვეცდები“.

იმ ღამეს გადასწყდა ფარცხისის ბედი.

მესამე დღეს, მეფის ბრძანებისამებრ აზნაურმა მორკნველმა შტორამ ლოდსატყორცნები და ვერძები მიაყენა ფარცხისის ციხეს.

შემდგომ ამისა, ისრის წვერზე წამოგებული ბარათი შეგზავნა ციხეში და ამცნო ციხისთავს:

უსისხლოდ დათმოე ციხე. იგიც აუწყეს მასვე: უკეთუ მეფის ნაბრძანს არ შეასრულებ, ძელზე გასმა არ აცდებიაო.

ბევრი არ დაუყოვნებია ზახაი ჯუბიელს: ბეცია ბერის ხელით გამოგზავნა ციხის კლიტენი და ყელზე საბელშებმული ეახლა მორკნველს.

## XI

### ბავლი

ვითარებანი მოულოდნელად გართულდნენ.

მაზარას თქმის არ იყოს, „ბედისწერის ბნელი ხვანჯერში კვლავ დაიბუდნენ“ მართლაც.

ლიპარიტ ერისთავი გამოჯანსაღებას არ აპირებდა. მეფესა და სპასალარებს ნაჰარმაგვეს წასვლა ეჩქარებოდათ.

როგორც ვიორგი ჭყონდიდელი, ისე სპასალარებიც აგრე ფიქრობდნენ: ძაგან ერისთავის მიერ სამი მონასპის შეპყრობა არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი ამბავი.

მუხათვერდიდანაც ისე, როგორც საქართველოს სხვა ციხეებიდან, ყო-

ველ გაზაფხულზე გამოწყყდაო მცობი-ხოვნეებს ძიძიხოები დაუტყვევებულად დედანენ ხოლმე, იგვემხრონენ მომხდარა, მტკვარს გადაღმა გადასულ მიმინოს მონასპანიც გადაპყობიან, მაგრამ ძაგან ერისთავს არასოდეს დაუტყვევებია ისინი.

სხვა საქმენიც ეგულუბოდა ფრიად საშურონი შიდა-ქართლში მეფეს: უკანასკნელ წლებში მთელი მისი სულიერი მხნეობა თრიალეთის შემომტკიცებას, სელჯუქიანთა მარბიელების ამ მხარიდან განდევნას, საზღვრების დაცვას და ციხეთა მოვლას მოუნდა.

ფარცხისის აღებით ეს საქმენი მოთავებულად ჩასთვალა მან. ახლა საშური იყო უფლისციხის, მუხათვერდის, არშის ციხის, წინაიბის, ქარჩოხის, ქოლოთკვირის, ცხვილოს ციხის შექეთება და გამაგრება. ბოლოს დელეთში დაწყებული ჰქონდა მას დავითის ციხის აგება,

ხარაჯაზე უარის შეთვლამდის ეს საქმენი უნდა მოეთავებინა პატრონს.

გარდა ამისა, მეფე გიორგი, დიოფალი ელენე და მარიამ დედოფალი უნდა მოსულიყვნენ ნაჰარმაგვეს.

როგორც მაზარა, ისე ახალგაზრდა სპასალარები დაბეჯითებით ურჩევდნენ მეფეს, თუ ლიპარიტმა ნაჰარმაგვეს წამოსვლა არ ისურვა, მეფე და ტაძრეული გამგზავრებულიყვნენ, ნიანია ბაკურიანი და ჯონდი ერისთავი თრიალეთში ჩამორჩებოდნენ და იმ ღამესვე თუნდაც საკაცით წაიყვანდნენ დატყვევებულ ერისთავს.

გიორგი ჭყონდიდელმა შორს დაიპირა ასეთი სისასტიკე.

მეფე სდუმდა მცირე ხანს და მერმე ეს უთხრა ჭყონდიდელს: ეგონებ აჯობებდა მამაი გიორგი და შამან ერისთავი ნაჰარმაგვეს წაბრძანდნენ ხვალეე.

მაზარა დარწმუნებული იყო, რატის გაქცევა იყო ამ გართულების პირველი მიზეზი. იგი ყურდაცქვიტილი და-

სუნსულებდა სასახლეში დღისით და ღამით. ეგებ ვინმეს წასცდესო პირიდან თუ როგორ გაიგეს ფარცხისიდან რატის გაქცევის ამბავი ლიპარიტმა და მისმა სახლუელმა.

ვითომდაც დამწუხრებული ლიპარიტის ავადგანდომითა, წარამარა შედიო და საწოლის დარბაზში, თვალუურს ადევნებდა ლულუფრის ხარშვას, აქიმების მიმოსვლას.

ამაოდ გამოჰკითხავდა ხოლმე მესტუმრეთუხუცესს, მერემეთუხუცესსა და მესაწოლე ბერებს, მაგრამ ვერავის ვერაფერი დასტყუა ქოსამ.

კატაის ღამენათვე, ჩაშავებულ თვალეში დიდი მწუხარების ამოკითხვა და შესძლო მაზარამ.

თუმცა როგორც მეფის ტაძრული, ისე ლიპარიტის სახლული მოწადინებული იყვნენ არ გაემტლავებინათ ეს ამბავი ქამის მოწვეამდის საქვეყნოდ, მაგრამ დიდმა და მცირემ იცოდა რატის გაქცევაც და ფარცხისის ციხის უსისხლოდ აღებაცა.

თრიალეთელი აზნაურნი და უაზნონი, ეპისკოპოსნი და მღვდელთაგანნი, გაფაციცებით თვალუურს ადევნებდნენ თუ როგორ განიკვეთებოდა ეს კვლავ დახლართული გორდისეული კენძი.

როგორც წალკელი, ისე წინწყარული და გომარეთელი ეპისკოპოსნი და სხვა დანარჩენნი ლიპარიტისძეთა მემზრენი, აგრე ვარაუდობდნენ: თუ ლიპარიტ ერისთავი ნაჭარმაგვეში ეწვეოდა მეფეს, დამოყვრების საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა.

რაიცა შეეზება რატის, ესენი დარწმუნებულნი იყვნენ, იგი მცირეხანს იყურყუტებდა რუსთავის ციხეში და დედამაშა შეარიგებდნენ მეფესთან მას.

ამ შემთხვევაში თრიალეთელ აზნაურებს წაგებულად მიაჩნდათ საქმე, რადგან კარგად იცოდნენ: ლიპარიტსა და მის სახლუელს დია შეირიგებდა „გულბორიტი“ დავით მეფე, მაგრამ

იმათ, ვინც სამეფოს ლაშქარს მტრობრილის ხაცვლად, იარაფს მტრებზე მუქაფას მიუხლავდა, უმჯობესი საქმეა ეტუხადენენ ცდუძალ როგორც კირიოზ შავგლედი და შამაი ბასილი, ისე სამღვდელთა მდაბითაგანნი, რადგან ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, თუ ლიპარიტ ერისთავი მეფის მიერ შემოთავაზებულ სტუმრობას არ მოინდომებდა, დავით მეფე კვლავ ბორკილს შეასხამდა მას,

... და მერმე?

„მერმე რაც მოხდება, ამას ბრძენიც ვერ განსჭვრეტს წინასწარ“. ეტუხებოდა შამაი ბასილი კირიონს...

ლიპარიტი და კატაიც ჩინებულად ხედადენენ რომ საქმე არც ისე ბრწყინვალედ წარიმართა, როგორც თავათ მოელოდნენ...

სიხარულისაგან მიწაზე ფეხს არ აკარებდა დუკისძე, ატროკებული უამბობდა დიდსა და მცირეს ფანტასტიურ ამბებს: სულტან ბარქიაროცს: ხარაჯა მოუთხოვია დავით მეფისათვის, შიშისაგან შეძრული დავითი თრიალეთიდან აპყრის თავის ლაშქარს და ნაჭარმაგვეს როდი მიდის, ლიხს გაღმა აპირებსო გახიზვნას, რადგან ვერც უარს უბედავს სულტანს, არც ხარაჯის გადასახდელი ბოტინატები გააჩნიაო.

ერთი რამ აწუხებდა დუკისძეს: მეფის ბრძანებისამებრ აზნაური მორცნეველი დაქცევას უპირებსო თრიალეთის ციხეებს.

ეგტიხი ბერის მიერ რუსთავიდან მოწერილი ბარათები დაჰქონდა უბეში და ხითხითებდა: მხოლოდ შორიდან აჩვენებდა ლიპარიტელებს მათ, თანაც ისეთ რამეებს რომაედა, რაც თვით ამ ქოსატყუილა ბერსაც არ მოსვლოდა თავში.

სალამო ქამს კირიონ მანგლელი და შამაი ბასილი ეკვდერის, მტერით გა-

ბიდნულ ფანჯარასთან ისხდნენ და შესწივოდნენ ურთიერთს, თუ როგორ გაუძვარა ორივეს ქამთა სიაცემ სიბერე.

„არ იქნა და ვერ ველირსეთ ქვეყნის დამწვიდებას ყოვლად სახიერო. მოდი, ბერული ჯვალის ჩოხანი გადავიცვათ, ყავარუჯენი ხელში ავიღოთ და იერუსალიმისაკენ მიმავალ გზას გავუდგეთ.“

ახლა ის უშგულო თურქნი გადაშენდნენ მანდიდან, გეოგობს ეს გამწარებული სიბერე ტკბილი სიკვდილით მაინც დავატებოთ.“

უთხრა ხმადაბლა მამია ბასილმ კირიონს.

„იერუსალიმი რად გვინდა, მამო ბასილი.“

თქმის ხევში ერთი პაწია მონასტერია იავარქმნილი, ის შევაკეთოთ, და მანდ დავყოთ ქამის მოღწევამდის, რადგან ჩვენი მზე დასავალს მიწეულია მაინც და იქიდან ვუმზიროთ ყოველ სლამოს ბინდბუნდის დაშვებას.

ჩვენ ეგეც გვეყოფა, მამო ბასილი.“

კიდევ ბევრ რამეს ინატრებდნენ ეს მოხუცებულნი, მაგრამ ვილაკამ ომახიანად დააკაუნა კარზე და ეკვდერის დაბალი კარის ჩარჩოებში გაეხირა ახმახი ლანდი.

ხმაზე შეიცენეს ლიპარიტის მესტუმრეთუხუცესი.

ერისთავთ-ერისთავი და მისი მეუღლე მობრძანებასა გთხოვთ ორთავეს.

როცა მღვდელმთავარი ლიპარიტის საწოლის დარბაზში შევიდნენ, სრული მყუდროება სუფევდა მანდ.

ოქროს სასანთლენი ლიცლიცებდნენ ოთხივე კუთხეში, ერთი ლიპარიტის სასთუმალთან იდგა, პაწია; ჩალისფერი ფსალმუნი გაშლილი ეგდო სამფეხა სკამზე.

უზარმაზარ, ჯვრებით მოტიფირულ ქართულ საწოლზე იწვა ომახიანი ლი-

პარიტ ერისთავი. მის ფერსთით იჯდა წელში მოდრეკილი, მღვდელმთავარი.

თავისი უსამელოდუ გრძელფეხიან გვლიანი მკლავები საბნიდან გამოვლო და მკერდზე დაეწყო ერისთავს, ისე როგორც მიცვალებულს დაადებენ ზოლმე, ჯვრის სახის მინაგვარად, ზედ.

ხმა გაქმენდილი სთვლემდა მწოლარი.

„სამი ღამეა, არ უძინია ბედშავს,“ წაიჩურჩულა კატაიმ და საკარცხლულეები შესთავაზა მღვდელმთავართ.

კირიონ მანგლელის მძაფრი მზერა ანაზღად მისწვდა ამ გრძელსა და ძარღვიან, სხვილძვალა, მაგრამ ღამაზ ხელებს, რომელთაც აგრეთვე გრძელი თითების იოგები ამობორცვოლი ჰქონდათ, ხელის ზურგზე ვენახის ფესვებივით დაღვარქნილი ძარღვები ეტყობოდათ, ურთიერთში გადახლართულნი.

მოძველებულ პერგამენტისებრი სიყვითლე გადასდიოდა მათ, ორივენი ესე უდრტვინველად ელაგნენ მძინარის მკერდზე, როგორც ტყუბი ძმები, რომელნიც ბრძოლის ველზე დაქანცულნი მიხუტებიან ურთიერთს.

ამ პერგამენტისებრ სიყვითლეში აჩრულიყო ისეთი მუქი ტალეები როგორც ბოლობეკედის ნაკრტენს ატყვია ზოლმე, ასეთი პერგამენტისებური სიყვითლე კანისა და ბოლობეკედისებრი ფორეჯები ემჩნეოდა მთვლემარეს როგორც მალალსა და ვანიერ შუბლზე, ისე ღაწის თავებზე.

მსცითდამწვენებელი, მწითური წვერი, მოუვლელი სჩანდა, ხოლო აბურძკვნილი თმებიც მოწმობდნენ უგუნებობას მათი პატრონისას.

როცა მამია ბასილის მძიმე სხეულის ქვეშ აჭრიალდა ურთხელის საკარცხლული, ლიპარიტს ზემოტუჩი შეუტოკდა, მერმე აიღო მარჯვენა, თვალზე გადაისვა და გაოგნებულმა ზეახ-



და სტუმრებს, რომელთაც მწუხრი მშვიდობისა მიაგებეს და ჯვარი გადასახეს მას.

გუშინაც მეწადა თქვენი წვევა, თქვენო მეუფეზე, სტევა, ლიპარიტმა და კირიონ მანგლელს გადახედა თავისი დიდბრძენი, წაბლისფერი თვალებით.

ალბათ მოგეხსენებათ, ნაჭარმაგვეს მებატირება მეფე, მაგრამ იგი ჩემი სტუმარია და მეც მენოთირება საქმიან საუბარში გამოვიწვიო იგი.

რადგან რაც უნდა დამარცხებულა არ ვიყვეთ, აშეამად მე და ჩემი ვაჟი რატი, უთუმცო ზავი, მაინც არ დაგვიდევს ვგონებ.

იგიც ცხადია, რითაც არ უნდა დასარულდეს ორთა ბრძოლა, შერიგებისას განსაზღვრული უნდა იქნას ორივე მხარის უფლებანი და საწადელნი.

აგრე ჩავთვალთ, ტყვედა მთელიდეს დავით მეფეც თუნდაც, ხომ უნდა ვიცოდე, რა შემრჩა და რა დაჯარგე ამ უსწორო ბრძოლაში.

ორივეს ვახსოვთ: არა ერთგვის შებმულან პაპაჩემი ლიპარიტ და მეფე ბაგრატი, მამაჩემი ივანე და გიორგი მეფეცა.

დამარცხდებოდა თუ არა რომელიმე მხარე, მოციქულნი ვიდოდნენ მათ შორის, და ესენი ხელახლა დაადგენდნენ ახალ საზღვრებს, ახალ სამანებს.

ერთს დანაკარგსაც აუწყებდნენ და ახლადბოძებულს საინოდ ჰყოფდნენ, სადღესისო და სამერმისოს განუსაზღვრავდნენ მეორეს.

ჩამომკიდებია ი, სვედავსილი მახარაი: დიდ ბედნიერებას მიქადის თავის გუნებაში: მიმინოების საგაზაფხულო ბავლს ვუცქიროთო ნაჭარმაგვეში.

ეგ ხომ იგივეა, სვიპტრა და გვირგვინი წაართვა მეფეს და ისეთი მუყაოს გვირგვინით სცდილობდნენ მის შეჯერებას, ნავროზობის დღეს რომ დაადგამენ ხოლმე ისპაჰანში აქლემზე დასკობულ ცრუმეფეს.

ამასწინად ყურმოკერით გავიგე იმ

ივდღამწვარი მახარას ნაბოტინევი ერთი:

დავით მეფეს ფრიად მსწუნს მსქმს ვაჟის რატის მიერ შემოთვლილი: თუ სამშვილდე დავთმობინეთ თურქებს, ეს ციხე ჩვენ დაგვიტომოსო მეფემან.

მადლი უფალს, სამშვილდე რომ ორბელიანთა სამკვიდროა, ეს ამბავი არც რატის მოუწორავს, არც მე შემითხზავს, ორბეთის ციხე ერქვა მათადან ბაბადან.

ხომ ჰეშმარიტია და უქცეველი?

ბოლოს იგიც ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ ორთავეს, მეფემან გიორგიმ. ყოვლად ქრისტიანმან კესაროსმა და სებასტოსმან თავათ მიუბოძა სამშვილდე სულჯურთხელ მამა ჩემს ივანეს, ხოლო მე — ლოწობანი, ნაცვლად რუსთავის ციხისა, რომელიც გიორგისავე სურვილისამებრ მევე დაეუთმე კახეთ-ჰერეთის მეფესა.

ხომ ჰეშმარიტია და უქცეველი?

დასასრულ გუშინდელ დღესავით მახსოვს, ეკრანთაში დადებულ ფიცს თქვენც დაესწარით, ყოვლად სახიერნო მამანო, ეკრანთაში დადებულ ფიცით მამა ჩემს ივანეს დაუმტკიცა მეფემ, როგორც სამშვილდე, ისე ეკრანთაცა. სანამ კესაროსი, გიორგი მეფე ცოცხალია, ამ ფიცს ვერ დაარღვევს დავით მეფე.

ხომ ჰეშმარიტია და უქცეველი?"

სამშვილდესა და ეკრანთას ხსენებაზე აიღეწა კატაი... ერთი კარისაყენ გაიხედა ანაზად,

სსსუო,  
უჩურჩულა ქმარს.

მესტუმრეთუხუცესი შემოვიდა, სავახშმოდ აწვია სტუმრები და წაბორილდა კვლავ.

როცა სამშვილდე და ეკრანთა ახსენა ლიპარიტმა, გავგნებულ მანგლელს ორივე ხელის თითები ურთიერთზე გადაქობილი ჰქონდა და ცალ მუხლს ებლაჰქებოდა თავისას, ერთბაშად დაატაკუნა სახსრები, როგორც ეგ მან

ადღეებისას სჩვეოდა, მესტუმრეთ-უხუცეის მიერ გახურულ კარს მიხე-და და ეუბნება გაცეცხლებულ ერის-თავს:

„იციო რა მოგახსენოთ, ერის-თავთ ერისთავო, საესებით გულწრფე-ლად და შეუფარველად?

ჯერ სამი მზგეფსიც არ გასულა, რაც გიორგი მეფისა და ჩვენის შუა-მდგომლობით აგხსნა დავით მეფემ ბორკილი.

ჯერ იგიც არ ვიციოთ, კლდეკარსა და ბირთვისს, ბერიქალისა და ხულუ-ტის ციხეს თუ დავითმობს დავით მე-ფე და ახლა სამშვილდე და ეკრანთა გინდა დაგიმტყიცოს მეფემან, ისეთი ციხენი რომელნიც ჯერ თურქებს უპყრია ხელთ და მათ ასაღებად სისხ-ლი უნდა დაღვაროს მეფემან მერმის-ში.

მართალია, მე და მამაი ბასილი მართლაც დავესწარიოთ ეკრანთაში და-ღებულ ფიცს, მაგრამ არ დაგავიწყ-დეს, ერისთავთ-ერისთავო, გიორგი მე-ფემ სულთან მალიქ-შაასაც შეჭვიცა ხარაჯას მიცემა, მაგრამ ეს რამდენი წელია, რაც დავით მეფე აღარ უხდის ხარაჯას თურქებს.“

ლიბარიტი მიხვდა, რომ მომეტებუ-ლი სითამამე გამოიჩინა და ახლა უკუსაქცევ გზებს დაუწყო ძებნა:

„არა, მე იმას მოგახსენებდით, ყოვე-ლადსახიერნო მამანო, რაც ეკრანთაში თქვენის თანდასწრებით მოხდა, ეს შე-საძლოა არც უწყოდეს კაბუქმა მე-ფემ.“

ახლა მამაი ბასილიმ შეაქრიალა სა-კარცხლული და სთქვა:

„არც მე გირჩევდით ჯერხნობით ამ ციხეთა გამო დავით მეფესთან სიტყვის დაძვრას. მამაშვილურად გირჩევთ, და-ისვენო და შეუცადო, ჯერ თავის მზრიდან რას გეტყვის მეფე.“

დასასრულ, ხელმარჯვე შემთხვევა გეძლევა, ნაჭარმაგვეში უთუოდ შეხე-დები გიორგი მეფესა და დიოფალ

ელენეს, მარიამ დედოფალი მანდ ექ-ნება, ალბათ. სჯობს მადეგვესუფხრო ამ საქმეთა გამო. გინჯლირთქა

ნუთუ ამდენ ხანს ვერ აულე დავით მეფის ხასიათს ალლო? მას დათმობაც სჩვევია მაგრამ გახსოვდეს: დასათმო-ბის უკანასკნელ ზღურბლამდის...“

კატაიმ ნიშნობის ამბავის წამოწყება სცადა, მაგრამ გაბოროტებულმა ლი-ბარიტმა შესძახა სსსუო, და ენა ჩააწყვეტინა მყისვე.

გამოხდა ხანი. ლიბარიტ ერისთავი წამოდგომას არ აბირებდა. აქიმი შერა-ქისძე ყოველდღე დადიოდა, ყოველ-დღე ხარშავდნენ ლულუფრის ყვავი-ლებს. ლიბარიტ ერისთავი განრისხდა, არაფერი სცოდნიაო შერაქისძეს, მო-მიყვანეთო ღვინფაისძე, აქიმი.

ახლა სხვა წამლები დაუნიშნა ახალ-მა აქიმმა: კიტრის თესლი და აყი-რის თესლი, არდის თესლი და კატკატოს თესლი, თეთრი ხაშხაში, შავი ხაშხაში, თეთრი შაქარი, ქრთი-ლის წყალი და ნუშის ზეთი, თეთრი სანდალი, ვარდის წყალი და თის შა-რაბი.

ეს ყოველივე ურთიერთში შემგზა-რი, უნდა ესვა და ზოგთაგან მალამო-ები უნდა გაეკეთებინათ, ხანაც ტლე-ები.

მისქირდა წამლების შოვნა.

იოანე დუკისძე და მესაწოლე ბე-რები დადიოდნენ მთელ თრიალეთში, ზოგი ჯავახეთს გადავიდა, ზოგი ქვემო ქართლს, როგორც იქნა მოუყარეს ამას ყოველივეს თავი.

მახარა ყოველდღე დადიოდა ლიბა-რიტის სანახავად, ხედავდა როგორ კახშავდნენ წამლებს და ასმევდნენ ლიბარიტს. ამასობაში მეფემ ორგზის



იმგზავრა ალგეთის ხეობაში, მიაკითხა ოქტატებს, რომელნიც შტორა მორკნეველის ხელმძღვანელობით ბირთვისისა და ფარცხისის ციხეთა შეკეთებას ეწეოდნენ.

კირიონ მანგლელი და მამია ბასილიც ამას ყოველივეს ჰხედავდნენ და გულწრფელად არწმუნებდნენ მეფეს: დასწრებულათ ლიპარიტ ერისთავი.



ხუთშაბათ საღამოს კირიონ მანგლელი და მამია ბასილი ეწვიენ დავითს და ამცენეს: ერისთავთა ერისთავი ლიპარიტ გამომჯობინდა და ნაპარმაგვეს თან ეახლებათ პატრონს.

სამღვდელთა დარბაზობას დაესწრნენ: ნიანია ბაქურიანი, ჯონდი ერისთავი და მახარა.

მეფეს არა ერთგვის ჰქონდა ნაპარმაგვეს წასვლის დღე დანიშნული, მაგრამ არ იქნა და ვერ მოხერხდა თრიალეთიდან გამგზავრება.

ძნელია, როცა აღამიანი გზას დაადგება და გამგზავრება ვერ მოხერხდება ვერას გზით.

მით უმეტეს ძნელი იყო ეს ლოდინი, რომ კარები შეკრულნი ელაგენ, ჯორცხენნი მზად იყვნენ და თვით მეფის წიგნსაცავი, რომელსაც ჯორთა შეიღებულს დაჰქონდა მუდამ, ვაშკარანებში იყო უკვე ჩალაგებული.

როგორც იქნა დაინიშნა გამგზავრების დღე—უახლოესი სამშაბათი. აზნაურ მორკნეველს უნდა ეურება თრიალეთის საერისთავოს დაცვა და მოვლა. დედისიმედი და გვანცა გახარებულნი უცდიდნენ სამშაბათს.

ისინი წინასწარ მიელტვოდნენ მარიამ დედოფლის ნახვას, ნაპარმაგვეში მოსალოდნელ ნადირობათა და ნადიმებს.

შაბათ საღამოს მესტუმრეთუხუცესი შემოვიდა და აღუყა მეფეს: გაახლათ იოანე დუკისძე.

დავითს არ ეამა მისი სტუმრობა, უგუნებოდ დაუქნია ემესტუმრეთუხუცესს თავი.

დუკისძემ მარჯვენა დაულოშნა მეფეს, მერე თავმოდრეკილი უკუდგა და მოახსენა:

ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ კვლავ უქეიფოდ გახდა. ორივე აქიმი როგორც შერაქისძე ისე ლვინეფაისძე მოითხოვენ ერთი მზგვეფის მანძილზე მოერიდოს ცხენით მგზავრობას, თუ ჩვენს პატრონს ამდენხანს შეეძლება თრიალეთში დაყოვნდეს, ეს დიდი ბედნიერება იქნება.

უკეთუ სახელმწიფო საქმენი წაბრძანებას მოითხოვს მისას, წაბრძანდეს და ერთი მზგვეფისიც არ გაივლის და ნაპარმაგვეს გეახლებითო.

როცა დუკისძემ წასვლა დააპირა, მეფემ ანიშნა მახარას: გააცილო სტუმარი.

მახარა წამოდგა და შეასრულა მეფის ნაბრძანი. როცა კიბისთავთან მიაცილა იგი, იოანე დუკისძე მოუბრუნდა და ეუბნება:

„მოვდივართ, მოვდივართ, მახო, მე და ერისთავთ-ერისთავი ჩემი სიძე, უშპველად დავიდეეთ საგაზაფხულო ბავლის ვაგდებამი წილს.

მე მინადირნია ნაპარმაგვეში ყარყატზე, ოპ, რა ჩინებული ადგილია ყარყატზე სანადიროდ, მახო, გინდ ლიხვისპირად ინადირე, გინდ მტკვრის პირად, ჰე, ჰე“.

მახარას არ უყვარდა, როცა მეფესა და მახლობელთა გარდა, სხვა ვინმე ეტყოდა „მახო“-ს, ბრაზი წაეკიდა მაგრამ თავიზიანად გააცილა სტუმარი და უკან გამობრუნდა.

კარი გაიხურა მახარამ და სწორედ ამ დროს ეს უთხრა მეფემ ნიანია ბაქურიანს, ჯონდი ერისთავს და აზნაურ მორკნეველს:

„რა გაეწყობა, ჩვენ გავემგზავრებით სამშაბათს, ნიანია და შტორა აქ“



დარჩებიან და თრიალეთის საქმეებს ისინიც მოუვლიან უჩემოდ.

„არამც და არამც, სთქვა მახარამ, ნათქვამია კარამდის მიჰყევით მტყუანს. ეგეც რომ არ იყოს ერთი რამ უნდა მოგახსენო, მეფევე ბატონო, მე ბევრი მიმგზავრია ზღვა-ზღვა, დავკვირებებივარ, კვიანი მეხომალდე არასოდეს კარგი ამინდის მიხედვით არ აწყობს თავის გემს. არც კეთილი ქარის იმედით დააძინებს თავის მენიჩბეთ, არამედ შორ გზას როცა დაადგება იგი, ანძას, აფრასა და ბაგირებს იმნაირს მოუწყობს ხომალდს, რომელნიც უდიდეს ქარბორბალებსა და ზღვაურებს გაუძლებენ.

სტიქიონთა შორის ყველაზე მეტად ზღვას მიემსგავსება ადამიანი, ხანაც კუბრ ღამესა ჰგავს კაცის სული ზღვაზე ჩამომდგარს.

ყოველი ბრძენიც შეცდება უთუოდ, როცა მისი ვარაუდი მეორე ადამიანის ცულ თვისებათაგან გამომდინარე შედეგებსაც არ მიიღებს მხედველობაში.

უპირატესად ცულ, თვისებათაგან, რადგან ბრძენს უთქვამს: სიკვდილამდის ნურც აქებ ვინმეს და სიცოცხლეში არვის მიენდო.

მე ეს არ მესმოდა სანამ კაცი ვიყავი მართლაც და როცა დაებერდი, ბედნიერების ნაცვლად ხელში შემჩა: ტიალი სიბრძნე, ხოლო ცხოვრება გავტარე როგორც რეგენმა“.

ნინიამ გაიციინა და სთქვა:“

„რატომ ტიალი, მახო?

„ტიალი, რადგან სიბრძნე სიბერესა და სიკვდილთან ახლოა, თქვენ ახალგაზრდები შორსა ხართ მისგან, და მე მინდა იმ მამალს დავემსგავსო, რომელიც თან დაჰყავს მექარავენს უდაბნოში მგზავრობისას.

ყივის მამალი, აღვიშებს ვარაყანს და ლომებიც კრთებიან ქაქუცე ყიველზე. აგრე ჰგონიათ: მათზე უფროსად ვერაიო მამალი. რადგან ყველაზე ძლიერი შესაძლოა ყველაზე გაუფრთხილებელიცა იყოს.

და თქვენ, იცით რომელია ცხოველრა შორის ყველაზე ფრთხილი? უსუსტესი ცხოველთაგანი: თავის დვლით. ხოლო ლომის ბოკვერი ისეთი შლეგია, შამბნარიდან შარაზე გამოვა და მენადირეს გაეთამაშება ხოლმე“.

დავითმა მახარას შეხდა.

„რად ამბობ ამას ყოველივეს, მახო?“

„მე მგონია კიდევ ერთი კვირაც უნდა დაეუცადოთ ლიპარიტის გამოძგობინებას მეფევე ბატონო“.

„რაო?“

„რაო და მე იკვირებულნი ვართ ცნობა ნაქვს, ლიპარიტ ერისთავს თირკმელეზი არა სტკივა“.

„შენ რა იცი მაინც?“

„მე გამოვსტყუე მის მესაწოლე ბერს, ოლიფანტეს“.

„რა დასტყუე მაინც?“

„რა ფერის შარდი აქვს მეთქი ლიპარიტს? თავი მოვიკატუნე თითქოს ფრიალ შეწუხებულ ვიყო მისი ავადგახლომით, მეც მჭირდა მეთქი თირკმელეზის ტკივილი. წითელი შარდი მქონდა მეთქი, ხანაც ისეთი წყლისფერი, რომელშიც უმ ხორცს რომ გარეცხავენ მეთქი.

წამოაყრანტალა იმ რეგენმა ბერმა, რა ვიცი, ვაჲ ვაჲს კი იძახისო ერისთავთ-ერისთავო, მაგრამ ჩვეულებრივი შარდი აქვსო მას.

არ ვერწმუნე ამ ჩურჩულ ბერს, მერმე ის იყო. აქიშს გამოვკითხე შერაქისძეს, მანაც დამიმოწმა: მე მგონია არაფერიც არ სტკივაო ერისთავს ლიპარიტს.

არც სიცხე აქვსო და არც მაჯისცემა მომაჭობული, არც შარდზე ეტყობაო თირკმელეზის დაავადება“.

მეფე დადუმდა და სთქვა:

„მამ მოვეუცადოთ კიდევ ერთ კვირას. შენ მართალს ამბობ, მახო, კარამდის უნდა მივეყვით მტკუანს.“

ნიანიამ სთქვა:

„უბერხულება იქნება ერთგვარი, მეფემ, დააბარა ღუკისძეს, სამშაბათს წავალთ, ერთი მგზეფსის მანძილზე ნაქარმაგვეში გელითო.“

„არაფერია, სთქვა მახარამ, ღუკისძემ წაიქამა თავი, ვითომდაც აღტაცებული მიიღტვის ნაქარმაგვეს, რათა მიმინოებისთვის, ბავლის გავდებამი დაიღოს წილი.“

ხვალ დილისთვის ვახშობინებ მას განვეუცხადებ: თრიალეთში უნდა მოვაყუო მეთქი ბავლი. ეგებ აქ დარჩეს, ნაქარმაგვეს არ წამოშადეს.“

მეფეს გაეცინა და სთქვა:

„კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვანა მთელ კვირას მოვეუნდებით ბავლის საშაღისს, შენ ხომ იცი, მახო მე მაინც და მაინც არ მიყვარს ფრინველზე ნადირობა, რამდენ დღეს ვარაუდობ ბავლისთვის საშაღისს?“


გარდა ამისა, ლიპარიტ ერისთავს არ უნდა მიეცეთ საბაბი, რომ ჩვენ მისდამი უნდობლობას ვიჩენთ და მიტომაც ცყოვნდებით აქ, შესაძლებლად უნდა გააქიანურო ქორ-მიმინოთა შემზადება, დაასრულ ბავლი“.

„ეს გააჩნია ქორ-მიმინოთა ზნეს. თუ ქორები გამოვიყვანეთ, ორი კვირიაკე დაგვეკირდება საამისოდ, ხოლო ზამთარგამოვიღოთ კაპუეტებს მიმინოთავანთ, ერთი მგზეფსიც შეიძლება ეკეპროთ.“

მახარამ გაიციინა და განაგრძო:

„კიდევ ერთი კვირა და თუ კვლავ გადასლო ლიპარიტმა ნაქარმაგვეს წამოსელა, ჩვენ გზას გაუდგეთ, ჯონდი ერისთავი და ქარიმან სეტყელი აქ დაეტოვოთ და ისინი იმავე გზით მოგვევრიან მას ნაქარმაგვეს, როგორც, პირველად მოიყვანეს იგი.“

4. „ნათობი“ 24 3.



მეორე დღეს, დილა აღრიან, საეკოდეში გამოსულიყვენენ ეფეყფეყნიანია ბაქურიანი, ჯონდი ნაქარმაგვესა და შტორა მორკნეველი. მუხის ნამორებზე ისხდნენ და საუბრობდნენ.

სავარდუე სამი მხრით ავრეხმოდებული კობიტებით იყო შემოვარსული, ხოლო ლიპარიტის სასახლისაკენ დაბალი მესრებით გადატიხრული.

ირანული თეთრი ვარდები გაშლილიყვენენ, ჩინურ გლიცინიებს დაებურღათ დაბალი მესრები.

მახარა მორის ახლოს დაფუსფუსებდა. კაკანათებს უღებდა ბულბულებს.

მახარას საბაზიერო სახლში შეავიანდა, ასე რომ ნამორებზე მსხდართა საუბრის ბოლოს მოუსწრო მხოლოდ.

მეფე ეუბნებოდა თავის სპასალარებს:

„...როცა სადმე მიდიხართ, უნდა ეცადოთ, შინ დასტოვოთ გულის კლიტენი, რადგან გული არც ბაღიაა, ყოველ კაცს რომ შეეძლოს შიგ შეიჭვირტოს, არც თუ ძველი ზანდუკია იგი, ერთ ვინმეს გასაღები მისი მიანდო, ვთქვათ ეს კაცი რუგვენი აღმოჩნდა და კლიტე დაქარგა, იხმობ ოსტატს, ახალ საკეტს გაუკეთებენ მაგ ძველ ზანდუკს, მაგრამ ერთხელაც დაქარგული კლიტენი გულისა, არავის უპოვნია ხელმეორედ არაყამს...“

...ბრძენსაც მოუვა ხოლმე თავში შეუწონელი აზრიცა, მაგრამ საჭიროა არა მარტო ასეთი აზრის არ გამხელა, არამედ სიბრძნის შეფარვაც უცილოა ზოგჯერ.

... უდიდეს გმირსაც შეეშინდება ხანდახან, მაგრამ შიშის მიჩქმალევაშიაც გმირობა... სასაცილოა თავისი სიბრძნით მოქადული ბრძენი, მაგრამ არა ნაკლებ სასუგოა თავის გმირობით თავი რომ მოქონდეს გმირს.

მაგარი ეგაა: ბრძენი უნდა იყვე და იგიც შესწლო მტერძოყვარეს ზღუგად მოაიყენო თავი, რადგან საფარველახდილი გმარი ისეთსავე განსაცდელის წინაშე დადგება, როგორც მებადირეთა მიერ შამბნარში შეგულელებული ლომი.

მარად ფხიზელსაც მართებს, მტერს უღარდელად მოაჩვენო თავი, მტერი ვაჟკაცისთვის ისევე მიუცილებელია, როგორც ის მამალი, რომელიც ქარავანს აფხიზლებს ხოლმე, მაგრამ უნდა ურიდოთ მტრის ამხედრებას ვადაზე აღრე, მით უმეტესს მტერთა მომრავლებას.

ობობას ქსელზე უფრო ფაქიზი და სუსტი ქსოვილი ჯერ არც ერთ დიაცს ხომ არ მოუქსოვია ამ ქვეყნად, მაგრამ არიოდე ფარასანგის მანძილზე გარდიგარდმო რომ გააბათ იგი, კამეჩსაც კი წააქეცეს...“

როცა მეფე დადუმდა, ნინია ბაკურიანმა ნაჭარმაგვეს გამგზავრებისათვის გადაიტანა საუბარი. ლიბარტის ხსენებაზე მახარამ ყური სცქვიტა, კაკანათებს თავი მიანება და მოსაუბრეთ მიეახლა.

მესრებს გადაღმა გამოჩნდნენ იოანე დუქისძე, დედისიმელო, გვანცა და ლელაი: შემოვიდნენ თუ არა სავარდენში ქალები, ნამორზე მსხდომთ საუბარი შესწყვიტეს, წამოდგნენ და როცა ისინი გვერდით მოუსხდნენ ვაჟებს, მეფე მიუბრუნდა მახარას:

„რაღა ნაჭარმაგვეს წასვლას ვუცადოთ, ბარეშაც აქ გავმართოთ ბავლი, რამდენიმე მიმინო შენ ხომ აქაც გყავს.“

„გვემართოთ, გვემართოთ“, ერთხმად შესძახეს ახალგაზრდებმა იოანე დუქისძე შეცფუნდა:

„მე დავებრდი თრიალეთში და არც კი ვიცოდი, თუ შესაძლო იყო ამ თვეში ქორ-მიმინოსათვის ბავლის გაგდება.“

მახარამ მიუწო:

„გააჩნია, რაზე ვაპირებთ ნადირობას. თუ ყარყატზე ვინაღრეებთ ახლა უკვე დროა. ტაბარისტანში, მარტში იწყებენ ბავლის გაგდებას.“

დუქისძე დადუმდა.

მახარამ კეფაზე მოიფხანა:

„ეს ამბავი არც ისე იოლი საქმეა, როგორც ეს თქვენ გეჩვენებათ, ჩემო კარგებო.“

„აბა რა ვქნათ?“

ბალღურად იციხა გვანცამ.

„რა დიდი სამზადისი გვინდა, მახო?“

წამოიძახა დედისიმელო.

„ეჰ, ეს ყოველივე წერილად რომ აგიწეროთ, სამ დღესაც ვერ მოვათავებდი თხრობას.“

მალიქშამ სულტანს ბაზიერთუხუცესი ჰყავდა ერთი, მას ოცი თაბახი აქვს დაწერილი ქორ-მიმინოთა შეპყრობის, მათი მოთვინიერების, დაგეშვის, მათი ბანაობის, კვების გამო. თორმეტი სხვადასხვა გვარის საქმელია დასახელებული, ახლა სანადირო ჩაჩების, ხელთათმანების, ქორ-მიმინოთა ქუდების, მათთვის ღამეთა თევის და მათთვის ბავლის გაგდებისათვის და თქვენ გნებათ მე ერთ დღეს კიდევ გაიმბოთ და შევამზადო ჩემი შეიდი მიმინოსათვის ბავლის გასაგდებად?“

„ჩვენც დაგესაქმეთ რამეში, ძია მახო!“

წამოიძახა დედისიმელო.

„ოჰო, შენ კი დიდი ბაზიერი მყავხარ, ჰე, ჰე, ჰე, შარშან შინაური ხოხობი ხელში მოგიფარდა და იგიც გავიფრინდა, ჰე, ჰე..“

მესტუმრეთუხუცესი შემობორიალდა სავარდენში.

საუზმეზე აწვია ნამორზე მსხდომნი.

„არ გვინდა საუზმე, ძია მახო, ახლავ შეეუღავთ სამზადისს.“

წამოიყვირა გვანცამ.

მაშ თუ აგრეო და მახარამ უბრძანა მესტუმრეთუხუცესს: აქ მომგვარეთო



ამირ ხალიაფის ბაზიეროტუხუცესი.  
დიღხანს იცადეს სავარდენში, რატომ-  
ღაც შეაგვიანდა ხახუტაის.

ახალგაზრდები ღელავდნენ, მახარა  
აღვა, სავარდედან გავიდა და მესტუმ-  
რუტუხუცესის სამყოფელისკენ გაე-  
მართა.

ხახუტაი ზღაზნით ჩამოვიდა კიბე-  
ზე, ამასობაში მახარამ მოასწრო ეზოს  
გადავლა.

რად დაგაგვიანდაო?

უყვირა მახარამ.

„გერ იყო და ვსაუზნობდი, მერმე  
ხამლის თასმების შეგვრას მოვუნდი,  
წრფელად მოგახსენო, არც ვქარობ-  
დი, უფლისწულო, ბატონო“.

რათაო?

„აგრე შეგონა მიგყავლით აქედან.“

მერმე რაო?

„რადგან ვიცოდი, ამაზე უკეთეს  
აღგილას ვერ წამიყვანდით.“

სავარდენში ახალგაზრდებს ესმოდათ  
ეს დიალოგი.

საკმარისია ხუმარის სახელი დაუვარ-  
დეს ვინმეს და შემდგომ ამისა, მის  
მიერ, მიამიტურად თქმულიც სიცილს  
იწვევს ხოლმე.

ამიტომაც მესრებს გაღამელებს  
აუტყდათ სიცილი.

„რატომო ვითომ?

შესძახა მახარამ.

„ამდენი სასქლომი, რაც ლიპარიტის  
სასახლეში მომართვეს, სადღა იქნება  
ნეტავი?“

„რაო, გეგუთში დაგამშია გიორგი მე-  
ფემ?“

„მეფე გიორგიმ საღ დამაცალა ჭამა,  
სულ სანადიროდ დამათრევედა, ნადი-  
რობამ ტყეობაში მომაბეზრა თავი,  
არ გირჩევ შენი ჭირ-მიმინო მე ჩამა-  
ბარო თორემ ისე გავუფუჯე, როგორც  
აღდ-არსლანი მუსრავედა ქურთებს“.

„მაინც რას უზამ ჩემს მიმინოებს  
ხახუტაი?“

უკანალს ამოვუყერავ ყველას და  
უბეც ეყოფათ.“

მესერს გაღამელებს იცინოდნენ.

სავარდენში რა მოიყვანა მახარამ ხა-  
ხუტაი, დაფეთდა მეფის მსახურსკენ  
ნადიაცენარი და როგორც კაცმა უი-  
რალომ, რომელსაც შეჭურვილმა ხე-  
ლების ზეაწევა უბრძანა მოკვდინების  
შიშით, ისე აღაპყრო მკლავები ძირს  
დაიოქილმა.

ატყდა ისევე სიცილი, მეფესაც გა-  
ელიმა და უთხრა:

„აღექი, ხახუტაი, ახლა ჩვენ მენ-  
დირენი ვართ განურჩევლად ყველანი,  
მალე მიმინოებს გამოგვიყვანს მახო.“

„ოჰო, კამ ამბავია, მეფეც ბატონო,  
ჩემს თავს, საწყალობელი ვირთხაქე-  
რია შენადირედ რომ გამხადეთ, ხოლო  
ნადიაცენარი—მეფეთა სწორად. ეგ რომ  
აღრე მომსვლოდა, მე ვეჭურთხებოდი  
იერუსალიმის მეფედ“.

გულიანად გაეცინა მეფესაც.

„თუ შენადირედ არ ვარგოდი ხა-  
ხუტაი, როგორ და გახდი ამირ ხალია-  
ფის ბაზიეროტუხუცესი?“

„ჩემზე უკეთ მოგხსენება, ჩვენო  
პატრონო, ეგეც ხდება ხანდახან: თავ-  
ხედობა და ყომარბაზობა გაცილებით  
მეტად ფასობს, ვიდრე ცოდნა და ნი-  
ჭი. ამიტომაც თავზედი და უნიჭო  
შორს გაასწრებს ხოლმე ნიჭიერსა და  
მოკრძალებულს.“

„ეგეც სწორია, ჩემო ხახუტაი, ხში-  
რად ტალანტი ისევე უქმია, როგორც  
ქარქაშში მთელემარე ხმალი, განსა-  
კეთრებით, როცა გამბედავობა მი-  
აკლდება ნიჭს.“

გამბედავობა ხომ დროზე მოქნეული  
კომბალია, რომელითაც გამბედავი  
სწრაფად მოქნევაში დაასწრებს  
ხმლოსანს“.

„ამიტომაც მოგახსენეთ, მე რომ  
თავხედობა დამკლებოდა, ვერც ბაზი-  
ეროტუხუცესი გავხდებოდი ოდესმე“.

„ოჰო, შენ მოგხლომი, ჩემო ხახუ-  
ტაი, მოგზაურობა, რადგან იგი მარ-  
ტოოდენ გემთა გამოძლეული რაოდა,  
...“

არამედ კაცთა გონების მწვრთვნი-  
ლიცა“.

„მე ცოტა გამოშტერებული სახე  
მაქვს, ჩვენი პატრონო, ისე ხარის ბე-  
ჭი ფორთხისას მირჩევიდა და გემის ან-  
ძას მელიკულისაგან ვაეარჩევ როგორ-  
მე“.

ესა სიტყვა და თმები ჩამოიფოცხა  
სახეზე. მან გრძელი და კოპალივით  
თავი ჰქონდა შუბლიდან კეფამდის გა-  
დატელებილი, რომელსაც საფეთქ-  
ლებიდან ზეაწეული თმებით იფარა-  
და, ამ წუთში ისე დაიფლანა და თვა-  
ლები დაებრია, ნამორზე ძლივს იკა-  
ვებდნენ თავს სიცილისაგან ახალ-  
გაზრდები.

„ახლა ყბედობას მოეწევი, ხახუტაი,  
სიტყვა ჩააგლო მახარამ, სასაცილოა,  
როცა შლეგი შეუღგება ბრძენმეტყ-  
ველებას.“

„არც ეგაა საცილო, უფრო მეტად  
სასაცილოა, როცა ოქროს საყურეს  
შეასხამენ სახედარს.“

თითქმის სიმღერით წარმოსთქვა ხა-  
ხუტაიმი.

თანე დუქისძემ თავისი აღშფოთე-  
ბა გაუზიარა მახარას: როგორ ბედა-  
ვს ვიღაც ნადიკენარი პატრონის წი-  
ნაშე სახედარის ხსენებას?

„არაფერია სახედარის ხსენება უფრო  
უცნებელი რაშეა, ვიდრე ზოგიერთის  
დანახეა“.

ისაუზმეს თუ არა მახარამ იურვა  
ბაზიერთუბტუცსობა. მან გამოაჩხრეკი-  
ნა ლიპარიტის ბაზიერებს შვიდი ჩაჩი  
ტყავისა, როგორსაც ქორ-მიმინოთი მო-  
ნადირე ჩამოიცივამს ხოლმე თავზე (მუ-  
ზარადს მიაგავს იგი წვეტწამახულს),  
შვიდი თათმანიც ცერზე წამოსაცვამი,  
აგრეთვე ტყავისა.

დედისიმედი ყოყმანობდა ჩაჩის  
დახურვას, გვანცამ სიამოვნებით ჩა-  
მოიფლათა იგი. მახარამ მეფეს არ შე-  
აძლია ჩაჩი, რკინის მუზარადზე შეა-

ჯერა სხვა დანარჩენებზე ტყავის/ჩაჩი-  
დაიხურეს.

მისკირდა ხახუტაი <sup>ქარქვეული</sup> მარ-  
თაის მოსარგები ჩაჩის გამოძებმა.

ასე რომ როგორც მეფეს, ისე ხახუ-  
ტაის რკინის მუზარადები დაახურა-  
მახარამ.

ხახუტაი ვაიჯგვიმა, ჩაახველა და  
ეუბნება მახარას:

„რაკი დავით მეფესთან გამატოლე,  
ბარე გვირგვინიც თავზე დამადგი და-  
მოსაცვეთის მპყრობელად მაკურთხე  
როგორმე“.

მეფემ ღიმილით უთხრა ნადიკე-  
ნარს:

„ეპ, ჩემო ხახუტაი, სამეფო გვირ-  
გენს. მენადირის ჩაჩი გერჩიოს“.

„არაფერია, ჩვენი პატრონო, საღ-  
ლაა გვირგვინი, თორემ, ჩემი ოხერი  
თავი ამ უბედურებასაც გაუძღვს  
როგორმე“.

მახარამ დედისიმედსა და გვანცას  
მუღაგები გაუყარა, დაწინაურდა და  
სამაზიერო სახლისაკენ გაემართნენ.

ხარიბეზზე სთვლემდნენ ხაკრტიეგა-  
მოცელილი ქორები და მიმინოები,  
რომელთაც მთელი თვის მანძილზე  
მხოლოდდამხოლოდ ზუთხს აკმევდნენ  
ხოლმე ბაზიერები.

პირველი ძარი ვაალო მახარამ.

შიგ იჯდა თოვლივით თეთრი მიმი-  
ნო, რომელსაც ფრთებსა და ბოლოსში  
მოყვითალო ფერები ჰქონდათ შეს-  
ხურებული. როცა მან მახარას დაწრ-  
წუნება შეიცნო, ფეტვისფერი თვა-  
ლები დააბრიალა და თავისიერი მამა-  
ცურად ზეაღმართა.

ხელახლა დაუწრტუნა მახარამ და  
საქნიერი უჩვენა.

უაჟღეკიო!

უბრძანა დედისიმედს, ხორცის ნა-  
ჭერი შეაჩემა ხელში, ამასობაში მი-  
მინომ დააქრიალა ეყენები და მახა-  
რას შეაფრინდა მისკენ გაწვილ მარ-  
ცხენა ცერზე, ვაავებული ჩაამტერდა



თვალეებში საჭურისს რაკი საქნიერი არ მისცეს გაწბილებულს.

დღღისიმედია ძლივს მოკემა მახარას მიბამვით ტუჩები და დაუწრუწუნა მტაცებელს.

მეფემ შენიშნა:

როცა ჟაეხედი და თავაწყვეტილი მტაცებელი ცერზე შეაჯდა მწყაზარსა და თავმოდრეკილს, მკერეტლის თვალში ამ ამბავმა ხაზი გაუსვა სათნოებას მისის სასურველისას.

ახლა გვანცა მიიყვანა მეორე ძართან მახარამ.

შიგ იჯდა ზამთარგამოვლოლი კაპუტტი, რომელსაც მომწვანო და მოყვითაო რგოლები აჩნდა თვალების ირგვლივ, ზოლო ნისკარტი კვერცხის ყვიფლის ფერისა ჰქონდა.

მახარამ სთქვა:

„ეს მიმინო სამწლიანია.“

„საიდან იცი, მახო?“

„ერთ წლიან მიმინოს მოცისფრო ფეხები აქვს, ზოლო ხანდაზმულს ჩალისფერო, ნისკარტი კვერცხის ყვიფლის ფერისა.“

გვანცასაც უკუდგომა უბრძანა მახარამ, მოხარმული კვერცხი ჩუმად ჩაუდგა ხელში.

მერამე გამოაღო მეორე ძარის კარი, ზორცი მოაღანდა მიმინოს, როცა იგი შას დააფრინდა ცერზე, არ ავემა საქნიერი.

გვანცამ გამოცდილ მონადირესავით დაუწრუწუნა ტყითურს და საქნიერი შეათამაშა ჰაერში.

რა შეაფრინდა გვანცას ცერს მიმინო, მეფემ თვალი ჰკიდა: გვანცას შემართულ მარცხენას ვაყვაცური იერი ჰქონდა და როცა მოშვიებული კაპუტტი თვალეებში შეაშტერდა შამან ერისთავის ქალს, უცნაურად ომახიანი გამოჩნდა გვანცა.

წელში გამართული და მარცხენა ზედიშართული იდგა, იგი, როგორც ნადირობის ღმერთქალი დიანა, რომელსაც ბერძნულ ვაჭებსა და ლეკიფებზე

გამოსახედნენ ზოლმე ძველებერძენი ოქრომჭედელნი, ეს იყო, რაღაცა გვანცას დიანაზე უფრო ზნეობითი მტეპები ჰქონდა, დამასტის აბრეშუმისა და ოვლიეფურად გამოკრთოდნენ ძვალსწვილობა და კუნთოვანობა მკლავთა და ბარძაყთა.

როგორც მის სახეზე, ისე მთელს ანაგობაში გამოსკვივოდა ის სიმამაცე, რომელიც ახალქალაქის, ფარცხისის და ანტიოქიის ომებში გამოეჩინათ შამან ერისთავსა და მის ვაჟს.

თითქოს სხვადიქცაო გვანცა, იგი ისე აღტაცებული შესტკეროდა მარცხენაზე მჯდარ კაპუტტს, როგორც ვაყვაცი ვინმე, ომებსა და ნადირობაში სისხლისღერის არ დამრიდებ.

ახლა დაეთს, ნიანიას, ჯონდის, ხახუტაის, შტორასა და იოანე დუკისძეს დაუროგა მიმინოები მახარამ, ზოგს ცერზე ასხდენ მიმინოები, ზოგს მუზარაღზე, ზოგს ტყავის ჩაჩზე.

მიმინოთა ქუდები მოატანინა ხახუტაის მახარამ. მორიგეობით მიდიოდა მიმინოებთან, მოწიწებით ხელს წააფლებდა ორივე ფრთაზე მტაცებელს და ახურაედა „ქულს“.

მახარა რიტუალური რუღუნებით შეუდგა საქმეს.

ათრთილუბდა ყველას:

„ვახსოვდეთ: მიმინოს ფრთხილად, ფრთხილად უნდა წაატანოთ ფრთების გაშლამდის ხელი, თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ მის ნაკრტნთ, თორემ ფრთენი თუ დაუზიანეთ, მოგქამათ ჭირი“.

ხახუტაიმ „ქუდები“ დაახურა მიმინოებს თავზე, მახარა ბნელ ოთახში შეუძღვა მონადირეებს. ბარე ორ საათს ისხდნენ ახალგაზრდები და „აააას“ ჩაჰყვიროდნენ მიმინოებს ყურში.

ბაზიეროთუხუცესმა პირველი მამლის ყვილოზე მოაგროვა მონადირენი ისევე დასვა ბნელ ოთახში ისინი და აყვირა: „აააააა“...

ვათენდა თუ არა, მახარა და ხახუტა ხიზის გამართვისათვის მზადებას შეუდგნენ.

ორ ხეს შორის ძელი გასდევს. ძელზე მიმინო დასვეს, მის ფერხთით თოკი მოაბეს ათი მხარის სიგრძე. თოკს დატანებული ჰქონდა რგოლი, რომელზედაც მიბმული იყო მიმინოს ორივე ფეხზე მიმაგრებული ხამლები.

მახარა გამართავდა თოკის მეორე თავს დაუწრუწუნებდა მიმინოს, დაახილზე წამოფრენილი მტაცებელი თან გამოჰყვებოდა მოძრავ რგოლს და ბაზიერს შეაფრინდებოდა ხელზე. ხახუტა გამოართმევდა მიმინოს მახარას, ისევ დასევამდა ხარიხაზე, უხმობდნენ მიმინოს, კვლავ წამოჰყვებოდა ფრინველი რგოლს, დაასაჩუქრებდნენ გონიერ „მოწაფეს“ მცირეოდენი ხორციით, ისევ დასევამდნენ ხარიხაზე.

გაურჩებულს მიმინოთავანს, რომელიც არ ინდომებდა მახარას ცერამლის მოსვლას, ძალით წამოიყვანდა ხახუტა; თუ კი ცერთან მიღწევისას ფეთქვას დაიწყებდა, ისევ წათრევდნენ მას უკან და იგივე გრძელდებოდა მანამდღის, სანამ არ მიაჩვევდნენ ცერზე შეჯდომას.

როცა ეს ყოველივე მოათავა, ბაზირთუხუცესმა ბრძანა:

„ახლა მარცხენა ცერზე დაისვით მიმინოები!“

ჩამოუვლიდა ხახუტაი და ცხელ წყალში ვარეცილ ხორცს დაურიგებდა მონადირეებს.

„ისე აქამეთ, რომ ჩინჩაყვი ნიგვზის სისხოდ დაანდეს მკერდზე, არც მეტი და არც ნაკლები, ნიგვზის ოდენად, იცოდეთ“.

დააპურებდნენ მიმინოებს, ჩამოუვლიდა ბაზირთუხუცესი, ორი თითით უსინჯავდა ყველას სათითაოდ ჩინჩაყვს.

მოახლოვდა თუ არა შუადღე, ხახუტამ მოიტანა წნელები, ორივე თავი წაუთალა და მიწაში ჩაარქო

მშვილდებზე გადრეკილი. მენადირეებმა დასხეს მიმინოებს მკერდზე მახიერებმა წყლით სავსე გავაბი დაუღვეს, მიმინოები მორჩილად ჩამოდიოდნენ თულეზიდან და ბანაობას იწყებდნენ.

მახარა მზის საათს მისჩერებოდა. ორი საათი გავიდა თუ არა, ბრძანა: აიყვანეთ მიმინოები და ხარიხებზე შესვითო.

გაპოხდა კიდევ ორიცა. ახლა ცერზე შეისვითო. ამდენსავე ხანს დაატარებდნენ მონადირეები თავთავიანთ მიმინოებს ჩრდილში, „ააას“ ჩასძახოდნენ მტაცებლებს ყურში.

ნასამხრალზე ისევ თავიდან გაამეორებინა ეს ცერემონიები მახარამ მონადირეებს. ხიზა გაამართინა ყველას, მიმინოები დააპურებინა, რადგან დედისიმედისა და გევანცას მიმინოები ოდნავ ურჩობდნენ.

სამი დღის მანძილზე მეორდებოდა ერთი და იგივე.

მეოთხე დღეს შეუდგნენ ხიდან ჩამოხმობას მიმინოებისას;

და ეს ამბავი ასე დაიწყო: ნაძვის ქვეშ მოაგროვეს მონადირენი.

„ცერზე დაისვით მიმინოები!“ ბრძანა მახარამ.

„ახლა მე მიყურეთ“

ეს სიტყვა და მარჯვენა ხელი ფრთხილად წაავლო ფრთების გაშლამდის თავის მიმინოს. აიყვანა ისე, რომ პატრონის მკერდისკენ მიქცეული ჰქონდა ფრინველს ბოლო, მოუქნია და ხეზე აისროლა იგი.

მერმე საქნიერი ამოიღო ჯიბიდან, დაუწრუწუნა მტაცებელს და როცა იგი მარცხენაზე დააფრინდა, სისხლგაცილი ხორცი ამოიღო ჯიბიდან და დააპურა.

იგივე გაიმეორეს სხვათა.



„რად უნდა იყოს ეგ ხორცი მაინც და მაინც სისხლგაცლილი, მახო?“  
 იკითხა დუკისძემ.

„სისხლის დანახვა როგორც კაცთაგანს, ისე მტაცებელსაც თავის სიფელურეს უღვიძებს, იოანე ბატონო“.

\*  
\*  
\*

დილა იყო ისეთი, როგორც კაცს აფიქრებინებს ხოლმე: ეს ცათა სილურჯე, მდელითა სიმწვანე, ცად აზვინული ზურმუხტის ქორედები, გაშლილი აყვავებული ველები, რომელნიც ზღვებს ჰგვანან ცარგვალის ქვეშ მოვლემარეს, ეს ყოველივე კაცთა სალხენად და აქმოსვლით დასატკობად გაჩენილანო.

მეგვინიბებმა ცხენები გამოუყვანეს მონადირეებს. ნასუქალი ულაყები მოუთმენლად დეკვდნენ ლაგამს, ცახცახებდნენ და ამრიალუბდნენ ქლიავისფერ თვალებს.

დედისიძედი და გვანცა სტკებოდნენ იმ სუნით, რომელიც ცხენს უღის ხოლმე ხანგრძლივად ნაბამს.

არა ნაკლებ მოუთმენლობას იჩენდნენ ესენი, თუ რა მოხდებოდა აწი.

ახლა აბრეშუმის „წითელი პერანგები“ დაურიგეს მიმინოებს, მახარას და ხახუტაის მიმინოების გარდა ყველას ჩააცვეს, რათა ცხენის ქინების დროს ფრთები არ შელახოდათ მათ.

როცა ცხენოსნები ლიპარიტის უბანს ვასცდნენ და ალგეთის გზას დაადგნენ, მახარამ და ხახუტაიმ სახამლაეები ახსნეს თავიანთ მიმინოებს, გააფრინეს და უკან გამოუდგნენ ქეზებით.

ახალგაზრდები სიცილისაგან თვუდებოდნენ, როცა უზარმაზარ ულაყზე მჯდომი, მოკუტული მახარა და ზან-

ზალიკებიან ჯორზე დაყორებული ხახუტაი შეუდგნენ გზას. *არქიმენდიტი ვიდრე ჯორს მოასტებოდა, ხახუტაიმ მუზარად მეჯინიბეს გადასცა, გაბურძგენილი თმები რქებივით დაიგრაგნა, დასკვივლა თავის ჯორს და გაეჯიბრა კორეიშიტურ ულაყზე აღმხედრებულ იბერიელ სპარახენს.*

მახარამ ისე სწრაფად დასძრა თავისი ცხენი, ხახუტაიმ უზანგებში ფეხების ჩადგმაც ვერ მოასწრო, ისე გაუქენდა ჯორი, ასე რომ ფეხებით მიხვეტავდა ზედგადამჯდარი მტვერს, ზანზალიკების ელარუნი, მიმინოს მიმართ წრუწუნი და ყიყინა მის მიერ ატეხილი, აორკეცებდა უკან მომავალ ცხენოსნების მხიარულებას.

მათი მიმინოები ხან კვალდაკვალ მისდევდნენ ჯოროსანსა და ცხენოსანს, ხანაც წინ უსწრებდნენ, შეისვენებდნენ ხეებზე, შემოესმებოდათ წრუწუნი თუ არა ისევ განაგრძობდნენ გზას.

დედისიძედს ცრემლები ჩამოსდიოდა სიცილისაგან, ცხენდაცხენ გვერდით მისდევდა მეფეს, ისე განაგრძობდნენ გზას, სიხარულს კიდემდის აეცსო ქალწულის სული, უხაროდა თრიალეთური ფირუზის ცარგვალ ქვეშ რომ მოაჯირითებდა ქუჯაის.

ერთ რამეს შიშობდა მხოლოდ: მათ უკან მომჭროლაგი იოანე დუკისძე და გვანცა არ წამოწეოდნენ. აჩქარებდა ცხენს, ემუდარებოდა პატრონს: როგორმე წამოვეწიოთო მახარის და ხახუტაის.

როცა მეფემ გზის ასაქცევთან ცხენს სადავე დაუმოკლა, რათა უკან მიმავალთათვის შეეცლოთ თვალი, ქუჯაიმ თავისი მხედარი გაიტაცა თავდაღმართში, დაეითს შეეშინდა ცხენმა არ დააშავოსო ამ დამრეცილ ბილიკებზე ქალი, დეზი ჰკრა თავის სკეითის და წამოეწია ქუჯაის.

მცირე ხანს ვოგვით მიჰყავდნენ ორივეს ცხენი, გადასცქეროდნენ ვე-





ლერი ყვაილებით მოოქვილ ტაფობს.

გაღმა მთა იყო, მთაზე ეკლესია, ხოლო შორეულ ფერდობებზე შეფენილი ფარები ისე შევნიშნენ ამ მიდამოს. როგორც ვერცხლის ბუშმენტები მწვანეში ჩასმულნი.

რეკავდა მონაზონი მახლობელ მონასტერში.

აღმა მიმავალ ბილიკებზე გალობით აღიოდნენ შავოსნები.

ცხენოსანი მიჰქროდა მახლობელ ციხისკენ, დაფდაფების ხმა მოისმოდა მთიდან, ყვიროდნენ სახედრები მთის ქიშზე გადმომდგარნი.

ვლაცანია მდინარე ელაედა ხევში და ციმციმებდა, როგორც კალოსალური ვეშაპის ქერეჭი.

ასე იარეს მღუშარედ ორთა, ჩამოდგნენ ნაძენარიანი მთები, როგორც შრისხანე მასტოდონტები თვალუწვდენ სილურჯეში ტალად დამდგარნი.

ჩხრიალებდა უფსკრულში მოღიმღამე ხევი, გადმოქუხდა შელუწილ ქაფიდან ჩანჩქერი, დაბლა ხევის პირს ფეხშიშველა ბიჭი მიერეკებოდა ღორხბოს და მღეროდა:

აღვთში მეცხარის ქალი  
წისქვილს ფელიდა ღამითა,  
რავნობს სარვეელი,  
ფხიზლობს ველაზის ჩქამითა...  
ბაღლიც მამაციბს აღვთში,  
ვაჯაკობს ქალთავანია,  
რკინის ბევთარში ჩაშხდარნი,  
ცას მიბჯენიან შთანია.

სიმღერა და ხევის ჩხრიალი მისწყდა, ისევ თავდაღმართს დაადგნენ ცხენები, მათი ფლოქვების ტყაბუნი ღა ისმრდა ამ უჯაკობელ მთების უბეში.

მეფემ ეს უთხრა თავის სასურველს:

„რად გამუშებულხარ, ნაზო?“

„აღბათ არც ერთ ენაზე არ იქნება ისეთი სიტყვები, მეფეე ბატონო,

ჩემს ბედნიერებას რომ გამოხატავდნენ.

სიტყვა რაა“...

მეფემ სიტყვა გამოართვა ქალსა და სთქვა:

„სიტყვა პირობითი განცხადება ჩვენი მეტყველების სიძაბუნისა, სხვა არაფერი“.

ისევ მოისმოდა ფლოქვების ტყაბუნი და ჩხრიალებდა უფსკრულში ხევი. კარაქისფერი ქორი ადგა მთის ქიმიდან გაღმა,

აიწია,

აიწია

მალა ირაო გააკეთა ცარგვალს მიწეულ კლდეებს ზემოდ და განმარტოვდა ეთერში.

მეფემ სთქვა:

„მუღამ გუუზნებოდი, ნაზო, ამიტომაც საჭიროა მეუჭი მამაციურად ატანა სიმძიმისა, რათა სიხარულის შესაცნობად გული განამზადოს კაცმა“.

ქვევით, ხევის პირად საშინელის სისწრაფით დაეშვა კარაქისფერი ქორი და ღამიყლაპა აიტაცა ეთერში.

ორთავე ცხენები შეაყენეს და ისმენდნენ უსასაო მსხვერპლის წივილს, რომელიც ნელნელა იკარგებოდა ეთერში.

„ასეთი სასტიკია ბუნება, მისთვის უცხოა ყოველივე სამართალი“.

სთქვა ვაჟმა.

„არც კაცთა აქვს სამართალი ამ ქვეყნად“.

ჩივოდა ქალი.

„სამართალი კაცთა შორის მართალს ესაჭიროება და გულმართალს და არა მიმძლავრებელსა და მიმტაცებელს“.

სულ მალა და მალა მიდიოდა საცხენო ბილიკი, მოზშირდნენ ჩანჩქერები ქარაფებიდან დაკიდებულნი, ისეთი შხუილი ისმოდა შუაში ვაჟობილ მთებს შორის, ცხენთა თქარათქურიც არ ესმოდა მათ მხედრებს.



ხევში წისკვილი გრუტუნებდა, გა-  
დაღმელ გოდოლებიდან მეციხოვნეთა  
ერიამული ისმოდა, მეცხვარეები უყი-  
ვოდნენ ხევში ჩასულ ცხვარს, ჯოჯის  
ძაღვები უყეფდნენ ხურჯინიან მო-  
ხუცს.

მოათავეს აღმართი, გაივაცეს ოდნავ  
და შორეულ კონცხზე ორი ცხენოსა-  
ნის ახრდილი გამოისახა, ისრის მისაწ-  
ვდენზედაც არ იყვნენ დავითი და  
დედისიმედი მისულნი, როცა მახარამ  
თავისი მიმინო მიუტია ქედანს, ერთ-  
ბაშად ორივენი აიჭრნენ ეთერში და  
ღაინთქნენ სინათლს მორევში.

ბოლოს აღმოსავლეთისაკენ გაფრინ-  
და ქედანი, მაგრამ თავს დაუარა მტა-  
ცებელმა და როცა იგი უკან გამობ-  
რუნდა კვლავ, თვალშეუდგამ სიმაღ-  
ლიდან ჩამოუჭროლა მიმინომ, ლეკუ-  
რავით მოუქნია ფრთა, ძირსდაშვებული  
შეიპყრო ჰაერში და ზღაზვნით დაფ-  
რინდა ნადავლიანად ხევში.

როცა მახარამ შუათანა ჭანგი გაუხს-  
ნა მიმინოს, საქნიერიდან მოწიწილი  
ხორცი აგემა მას, მცირე ხანს მიჰყავ-  
და ჩანჩუ დამკდარი, როცა ცხენს  
აუჩქარა და შეუდგა შეღმართს, ისევ  
გააფრინა მიმინო.

ფლოქვებით კვესამდა იბერიელი  
სპარაზენის ცხენი დამრეცილ თავდალ-  
მართში გაქენებული.

დავითი და დედისიმედი ნელა ჩა-  
მოდიოდნენ თავქვე დაკიდებულ შარა-  
ზე. ქალს შორიდან მოესმა უკან მომა-  
ვალ ცხენთა ფრუტუნი და თქარა-  
თქური.

აუჩქაროთო ცხენებს.  
ვევღრა მეფეს.

მიზეზი იკითხა დავითმა.

„მე არ მიყვარს დედი ჩემის ძმა  
ოიანე დუქისძე“, სთქვა დედისიმედმა  
დეზი ჰკრა ქუჯაის.

უკადრისი ცხენი ისე გაფიცხდა, და-  
ვითმა მიზეზის კითხვაც ვერ მოასწრო,  
როცა ნახევარი ეჯის მანძილზე გას-

ცილდნენ უკან მომავალთ, უკვე გაე-  
ვაცეს.

საურმე გზა ზედ ქარაფების კა-  
ბეებს მისდევდა ლოდებითა და რიყის  
ქვებით საესებით მოხერგლი.

მაგრად დაუჭირეო სადავე ცხენს.

გააფრთხილა დედისიმედი მეფემ,  
რაკი ამჩნევდა ცხენები ძლივს იყ-  
ვდებოდნენ გზას.

დავითმა გულის გარედ იკითხა:  
რად არ გიყვარსო დედი შენის  
ძმაი?

„მე ავრე მგონია, ეგაა ჩვენი ოჯა-  
ხის ბოროტი დემონა, მეფეე ბატონო“.

მეფემ თავათ იცოდა დუქისძის ქვე-  
გამხედვარობის გამო ბევრი რამ, არ  
იკადრა ჩაჰკითხებოდა ქალს.

დედისიმედი თავათ გაოცდა, ეგ რომ  
დასცდა ბაგიდან. მცირე ხანს სდუმდა  
და მერმე სთქვა:

„ეს მან შეგულიანა შენს წინააღ-  
მდეგ ჩემი ძმა, რატო, და თუ არა ვცდე-  
ბი, მამაჩემსაც მან შეაძაგა შენი თავი  
ოღესლაც, მეფეე ბატონო“.

მშვიდად და აუმღვრევლად მიუგო  
მეფემ.

„მე ბევრი რამ გაგებული მაქვს მის  
ოინბაზობის გამო, ნაზო, მე კარგად  
ვიცი, მის ოჯახში რომ პოულობდნენ  
თავშესაფარს თურქი მსტოვარები. რა-  
ტის გაქცევაშიაც მასვე რომ უღვეს  
წილი. მაგრამ ვითმენ სანამდის შეეძ-  
ლებ. რაც შეეხება სხვათა შეგულიანე-  
ბას, გულმართალს მაცდენელი ვერა-  
სოდეს გადააცდენს ქეშმარიტ გზიდან.“

განა მარტო დუქისძე, ხომ კარგად  
ვიცი, თრიალეთელნი დიდაზნაურნი  
და ეპისკოპოზთაგანნიც ზოგნი, ქვე-  
გამხედვარნი რომ არიან, მხოლოდ  
ერთ სიტყვას ვეტყვოდი ქარიმან სე-  
ტიელს და მოაბრულ ხმლებზე ვახ-  
ტუნებდი მათ.

ვიორგი ჭყონდიდელი მეტყვის  
ხოლმე ხანდახან: გულფიცხელი ხარო  
ომში, ომში დიახაც გულფიცხელი

ვარ, მაგრამ შინ მოთმინებით ვეძებოდა მოყვასს.

არც იმას დავიქადნი, შურისმგებელი არ ვიყვე თითქოს, მაგრამ შურისგების საგანს ურმისებრი სიზნანტით მივეყვებოდი უკან, მაგრამ ერთხელაც საწყაული თუ აღმევსო მოთმინებისა, შვერდომებისთვის ნულარაინი შემევედრება“.

სკვითია გაოჩნდა ანახლად, მთის ცხვირთან გზა მარჯვნივ უბვევდა მარჯუთულად, ზანზალიკიანი შავი ყოჩები შეეფეთნენ ცხენებს, მზარმარცხნით მიმაჯალმა სკვითიამ ყურები დასცქვიტა და ქარაფისაკენ გაიწია, მაგრამ მეფემ ალაგმა იგი და გაერია ყოჩებს უკან მომაჯალ თარაში.

მეცხვარეებმა ზეახედეს მხედარს და დაუტატანეს ცხვრებს.

ზანზალიკების ელრიალმა და შოლტის ტლაშუნმა შეაკრთეს სკვითია, მაგრამ დაიოკა მხედრის მარჯვენამ იგი, ფარა გაარღვიან ცხენმა და მთის ცხვირს გასცილდა მშვიდობით.

ოღნავ გაფიცდა ქუჯაიც, მაგრამ დაუყვავა მისმა მხედარმა და გონიერი ცხოველი გულდინჯად მიამობდა ფარას, რომელიც მღვრიე ტალღების დარად მოედინებოდა განუწყვიტლად.

ქუჯაი და მისი მხედარიც გასცილდა მთის ცხვირს, მეფე შორს გაეტაცუნა ცხენს, იგი ელარ ბრუნდებოდა უკან.

ერთხილად იარეო, შესძახა დედისიმედს და მისმა ცხენმა განაგრძო ამ მღვრიე შორეულში ტოპვა. თვალუწყდენ შორეთში იკარგებოდა ურმის გზა და ისევ მიდგანგარებდა ეს მღორე დინება ცხვრისა.

ახლა ბატყების ფარა შემოეგება დედისიმედს, მოდიოდნენ, მომაკუნებდნენ ეს თოვლის ფანტელივით თეთრი ბატყები, მოაცანცალეზდნენ თავიანთ ქიცინა, თევთავის ყურებს, მოკიკინებდნენ მშვენიერანი და უმანკონი, როგორც, ხორცშესხმული სათნოების

უღვეი ლეგიონი, მათი საამებრი სუნით და საწყალობელი კიკინეჩრეცხვრეცხვრეთ აესებდა დედისიმედის ზეცხვრეცხვრეთ

ნელა მიჰყავდა ქუჯაი ფიქრში წასულ მხედარს. მის თავში აღიბეჭდა მეფის მიერ ასე მშვიდად ნათქვამი სასტიკი სიტყვები:

... „შვერდომებისთვის ნულარაინი შემევედრება“...

დედისიმედი ფიქრობდა:

„ვინ იცის, ეგ ყველაფერი კიდევაც გაგებულა აქვს მეფეს...“

ახლა ყოველივე თვალწინ დაუდგა დედისიმედს, თუ როგორ მოდიოდა იოანე დუქისძე ნაშუალამეცს ლიპარიტის საწოლის დარბაზში. თუ როგორ ეჩინებოდა ბუხრის წინ მღვმარედ მჯდარ ლიპარიტს: რუსთავის ციხეში თან გაეყვით რატის, ყადი მუსტაფა თურქთა სპას მოიყვანს, კვირიკე და აღსართან მოვირთვით და ზედახენიდან შევეტოთო მეფეს.

„მამ არ წავიდეთ ნაჭარმაგვეს,“

კითხავდა ლიპარიტ და ორივე ხელს საფეთქლებზე იბჯენდა.

წავიდეთ მაგრამ არა მიმინოების ბაულისთვის, არც თუ თემის ხეიდან, არამედ რუსთავიდან და იქიდან შევეტოთო შიდა ქართლს.

ახლა ის საშინელი ღამეც მოაგონდა დედისიმედს, როცა ფარცხისიდან რატის გაპარვის ამბავი მოიტანა დუქისძემ, გვიან ღამემდის დაყვინდა.

დიღბანს იწურჩულეს ბოლოს ლიპარიტი საწოლიდან წამოდგა, ჯაჭვი ჩაიკვა, მამისეული ხმალი წელზე შეირტყა, მეჯინიბეთუხუცესს უბრძანა, სამი ცხენი შეეკახმათ, მუზარადი ხელში აიღო და ეთხოვებოდა ოჯახს.

გაცოფებული ყვიროდა: რაკი ლიპარიტის უბანში არ აპირებს ჩემს ქალზე ჯვარის დაწერას და თრიალეთის ციხეთა დაბრუნებას, რუსთავში წავალთო მე და რაკი, შიდა ქართლში შევიკრებიოთ.



კატაიმ ძელიცხოველის ჯვარი ჩამოიღო კედლიდან, ფერხით დაუფარდა ლიპარიტს.

ბარე მოკალი და ისე წადიო.

„მამ შენ ამას იტყვი, რატი მარტოკა დაეტოვო უსწორო ბრძოლაში, საეკრისთავო დაეთმო, კლდეკარი, ბირთვისი, სამშვილდე და ეკრანთა... ხომ არ გაგივდი, დიაცო, ნაპარმაგვეს წაგვეყე მეფეს და შლუ მახარასთან ერთად მიმინოების ბაელში დავიდო წილი?“

ყვიროდა ლიპარიტ.

„სსსუ! მე კი არა შენ გაგივებულხარ, ბედშავო, ნუ დამიქცევ ოჯახს, გონს მოდი, ლიპარიტ“.

ვედრებოდა კატაი, ლოყებს იხოკდა და სტიროდა.

როცა დედისიმედი დააპირა დამშვიდება, ლიპარიტი მიუბრუნდა კატაის და ითანეს და ეუბნებდა: მომამოწრეთ ეს გომბიო, ეს მოლაღატე გვარიისა, თორემ მამიჩემის სულსა ვფიცავ, ხმლით აეკუწავ ახლავე“.

ატირებული დედისიმედი ძალით გაიყვანეს საწოლის დარბაზიდან ითანემ და ხორეშანმა. მთელი დამე პირქვედამზობილი ტიროდა დედისიმედი და ესმოდა გაცოფებული ლიპარიტის ღრიალი, კატაის ტირილი და ხორეშანის მოთქმა...

იგონებდა ამას ყოველივეს დედისიმედი, სადავეებზე ხელშეშებული, გაოგნებული მიჰყვებოდა ქუჯაის, რომელიც უცნაური გულხშიერებით მიარღვევდა თოხლების ტალღას.

„როგორი უქცეველი განჩინებაა ბედისწერისა!“

მამა, დედა და ძმა, დედისძმა და სისხლისმთერნი ნათესავნი, ყველანი შეთქმულიყვენ და ხელაღებით მოწადინებულნი, მისი ბედნიერებისთვის შეეშალათ როგორმე ხელი.

რაც უმთავრესია, მისთვის საფუძველზე ნებელ ადამიანის წინააღმდეგობა დადნენ მახვილს.

რა სასტიკი მეწყერების დაძვრას აპირებდა ბედისწერა, მისი ბედნიერების ბჭეთა შესამუსერელად!

თვალნათლივ ხედავდა დედისიმედი, რომ მხოლოდ გულმოწყალე ჩარევა განგებისა გადაარჩენდა მას ამ ხიფათისაგან.

ეს არაფერი, ვანსაცდელი მოელოდა მისთვის საყვარელ არსებას და მას არ შეეძლო გაეფრთხილებინა იგი, რადგან სასწოროს მეორე მხარეზე იღო დედისა და მამის, მთელი ოჯახის ბედი.

ჩაიარა ცხერის ფარამ და დედისიმედიცა ცხენი შეაყენა, რადგან ქარაფის კიდესთან იღვა ცხენდაცხენ შეფე.

„რამ ჩაგაფიქრა, ნაზო, ერთ ორჯერ დაგიძახე და არ გამეც ხმაი?“

დედისიმედი აიღეწა, შეეშინდა ჩემს სულში ხომ არ ჩაიხედაო იღუპალ?

ცხენს აუჩქარა და მიუგო:

„ამ ბატყების ცქერამ და მათია საწყალობელმა კიკინმა გამიტაცა“.

ითანე ღუკისძე და გვანცა წამოეწიენ.

ნავარდზე გადასულმა ცხენებმა გუგულის კაბით მოჩითულ ველამდის მოაღწიეს და გზიდანვე დაინახეს მხედრებმა: რცხონარის ახოში ისხდნენ მახარა და ხახუტაი და თავიანთ მიმინოებს აფეთქვინებდნენ.

მახარას რამდენიმე ქედანი დაეჭირა გზაში.

წამოღვა, ბრძანა: ქუდები დაახურეთო მიმინოებს თავზე.

მერმე კანაფის ხიზა ამოიღო ხახუტაიმ ჯიბიდან, ხიზის თავსა და ბოლოს მიმინოსა და ქედანს ფეხზე მიბამდა მახარა, ქულს აბღიდნენ მიმინოს, გაისროდა ქედანს და მიუტევდა მიმინოს, ასე მორიგეობით ისროდნენ პავრში ორივეს.

დედისიმედის თეთრ მიმინოს ფრთა მოეცარა, ქედანი ძირს დაეშვა, და როცა დედისიმედი მიეჭრა ქედანს, მტაცებელი დაფრთხა, კანაფის ზიზა გასწყვიტა და ირაო გააყვითა ეთერში, ძახარა გამოუდგა გაფრენილს, უწრუწუნებდა, უჩვენებდა საქნიერს, ბოლოს როგორც იქნა ჩამოიტყუა მტაცებელი ციდან.

როცა იგი რცხილაზე დაჯდა, ისევ აჩვენა საქნიერი და ცხენზე დაისვა და აჰამა სისხლგაცილილი ხორცი...

არავის მოსწყენია ბაული, ისე დღეში-ვა თრიალეთის ქედებიდან... გეთის შხუილი ისმოდა...

დავითმა ქანცმილეული ქედანი ზელში მისცა დედისიმედს და უთხრა: „შენ ეგ ფრინველი მიმინოზე უფრო დაგშვენდებოდა, ნაზო“.

ახალგაზრდები ისხდნენ გუგულის კაბითა და გვირილით მოფენილ მოლზე და საუბრობდნენ, ვიდრე მთლად არ დაბნელდა და უჩინარმა ოქრო-მჭედელმა ოქროს ლურჯმებით არ მოსქედა ცარგვალი.

(გავრძელება იქნება)

მიხილ ზანზარაშვილი

## რუსთავი



ჯერ კიდევ ჰაბუკს ოცნება—ქართლის მომზიბველ კარებთან—  
რა განცდით არ მამლერებდა, რა გრძნობით არ მატარებდა.  
ბევრჯერ მინახავს, რუსთავის მხურვალე მკერდი რაც არი:  
მიწა ზაფხულის ბუღისგან გამოფიტული, დამწვარი.  
და იყო მარტო ნიავი მასპინძელიც და სტუმარიც.  
ათას წელიწადს სიციხისგან იტანჯებოდა მდუმარი.  
ათას წელს შველას ითხოვდა, მაგრამ სად იყო მშველელი?  
იწოდა, იტანჯებოდა, ვიდრე სტალინის გენია —  
როგორც დღის ოქროს ნათელი — გულზე არ გადააფენია.  
იწოდა, ვიდრე არ მისწვდა, მზესავით ამომავალი,  
და ხალხი არ შეასია — ცის ვარსკვლავებზე მრავალი.  
კობტა საბლებით დაჰფარეს, დამწვარი მიწა-ალავი,  
და უდაბნოში გაშენდა თვალისწარმტაცი ქალაქი.  
ეუცქერ და დამწვარ მიწაზე ცხადადა ებედავ: ანთებით—  
სიცოცხლეს გადაუშლია თავისი ოქროს კალთები.  
მზე მომღიმარი ნათელს ჰფენს, მტკვარიც უღიმის ანკარა,  
და სინამდვილე ზრიოკზე—ზღაპარის-მსგავსად ამდგარა.  
შუა-ღამემდე რუსთავი — უყურეთ, ერთი უყურეთ —  
განახლებული სიცოცხლის უძლეველ ჰანგებს გუგუნებს.  
გუგუნებს შუა-ღამემდე ფოლად-საღნობი ღუმელი,  
და ცისკენ გაფაციცებით მისცურავს ბოლის ღრუბელი.  
დღე-ღამ ელექტროსადგურის გაისმის გრგვინვა-გუგუნვი,  
და ფრთებნალეწი ყორანი — ძირს გდია ღამის უკუნი.  
გზებზე, ტანაყრილ ზეხილებს, ჩრდილები გაუფენიათ,  
და უმღერიან — შრიალით — დიდი სტალინის გენიას.  
ეუცქერ და გულზე ნათელს მფენს, მზის მომზიბველი უსტარი...  
— მე შენზე აღრე აყუყუდი, — სამგორს გასძახის რუსთავი, —  
მხრები ზეცამდე გაეშალე, ისე აყუყუდი, ძმობილო,  
გაკვირებული ჩემს სახეს ეუცქერ და ველარ ეცნობილობ!..  
ჯერ კიდევ ჰაბუკს ოცნება — ქართლის მომზიბველ კარებთან —  
რა განცდით არ მამლერებდა, რა გრძნობით არ მატარებდა.

შაქარ სამალაშვილი

## შეშოქველი

★

არაგვი... მისი თეთრი შხეფები,  
მთანი ტყიანნი, მთანი მაღალნი,  
ხეები—ნაყოფ დაუკრეფელნი,  
გაზაფხული და ყვავილთ ღვინო,  
არწივი—ტყე-ტყე რომ მოხმარობს,  
მთელი გაშლილი ბუნების სახე —  
კარგია მაგრამ...—

კარგია უფრო—  
შენგან ნაქარგი სახე რომ ვნახე:  
ბელადის სახე,—სახე ნათელი—  
ძვირფას ტილოზე ამოგიქარგავს —  
რაა შევენება გოლითების—  
ვერ შეედრება, შენს ნაქარგს არ გავს..  
რა ძალა გეყო!  
რა შთაგონება!

ფერებს სესხულობ: მზისგან, მთვარისგან...  
დაუღლეღია შენი გონება,  
როგორც ტალღები ალაზნისა!  
რა მოგასვენებს, როს სურვილები—  
შრომის გირჩევენ, ძალას გმატებენ,  
გედება ცეცხლი... უკედავ ქმნილებით  
გინდა თვალების მზერას ანთებდე.  
ბელადზე ფიქრობ, ერთი გაქვს საქმე  
ლამეა, დღე, თუ დილა თენდება,  
ყოველთვის შენგან ნაქარგი სახე  
შეიხედავ მზეს და... გამახსენდება!

## მერხეულის განთიადი

1.

### ჯარბმალეზიდან ოდა-სახლებში

მაინც რა ძალა აქვს ამ დალოცვილ მზეს! მერხეულის მაღალ მთებზე თოვლია, დაბლა კი, მაჭარას პირად თბილა. სითბოს დიდ-პატარა ბალ-ვენახებში და მინდვრებზე გამოუწვევია. სოფელი დაცარიელებულა.

მერხეულზეთ დიდი სოფელი საქართველოში მეორე არც კი შეგვხვდებათ. გაცდებით თუ არა სოხუმს, წინ გაიშლება მშვენიერი გზატკეცილი, რომელიც გადადის კავკასიონის ქედარა ქედს და ქლუხორს უერთდება. ეს ერთად-ერთი გზაა, საქართველოს ორ ნაწილს — დასავლეთსა და ჩრდილოეთს ერთმანეთთან რომ აერთიანებს.

გულრიფშის რაიონს ეს გზატკეცილი შუაში ჰრის. იქ რამდენიმე კილომეტრზე გზის ორივე ნაპირას გორაკებს ფარავს მერხეულელთა ოდა-სახლები. მერხეულში ექვსი კოლმეურნობაა, თვითეული მათგანი შეძლებულობის, ხეაიან და მდიდარი ცხოვრების ფართო გზაზეა გამოსული.

ჩვენი ავტომობილი ქლუხორის გზატკეცილზე მიქრიალებდა. ამ გზის ორივე ნაპირს მიჰყვებიან ევკალიპტის ტანწვრილი ხეები ასე გამალებით ცისკენ რომ მიიწევენ. კიდევ რამდენიმე

წელიწადი და ამ ხეთა მაღალი ტოტები გზატკეცილს ქოლგასავით გადაეფარება.

ჩვენ შუაგულ მერხეულში შევედით. აქ დიდ მოედანზე დგას სასოფლო-საბუკოს, სკოლისა და საავადმყოფოს თეთრი შენობები. აქვეა კოოპერაციის მაღაზიებიც. ერთის შეხედვით ეს დაბაქალაქის ცენტრს მოგვაგონებს. აქედან გზატკეცილი მიდის ზემო-მერხეული-საკენ.

ავტომობილმა ოთხი კილომეტრი ხელად გაიარა.

გამოჩნდა მოედანი, მის შუაგულზე ამართულია მონუმენტი იმ აღამიანისა, რომელმაც ამ ორმოცდაათი წლის წინად მზეს აქ გაუღიმა, რათა ახლა დიდი სტალინის მხარდამხარ ყველა ქვეყნის ხალხთა მზიური და ბედნიერი ცხოვრებისათვის ებრძოლა.

მშრომელები მის სახელს მხურვალე სიყვარულით წარმოსთქვამენ.

ამ სახელს ღირსეულად ატარებს მერხეულის ერთ-ერთი კოლმეურნეობა, რომლის კანტორიდან ვით ხელისგულზე მოჩანს რვაწლიანი სასწავლებლის თეთრი შენობა, ელსადგური, სახერხი ქარხანა, მესაქონლეობის ფერმები, ვაშლის ბაღები, ციტრუსთა ნარგავები, თვალუწვდენელ მინდორზე გახარებული ვენახი, ტუნგოს ტყე, დაფინის პლანტაცია, უხვმოსავლიანი მინდვრები, სადაც სიმინდისა და თამბაქოს ხეები და ბარაქა დგება... და ამ სიმდიდრის მფლობელია ლავრენტი ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. იგი ასოც-



დაოთხ ოჯახს აერთიანებს. მუშა-ხელი საკმაო ჰყავს და მოსავალს საკმაოზე ბევრად მეტს ღებულობს.



ქოჩორა ხეებით დაფარულ მთას მდინარე მაჭარა ტალღების წელი შრიალით ჩაუდის. ტყუილად კი არ შეარქვეს ამ მდინარეს ეს სახელი. იგი წვიმის დროს უცებ აღიღდება ხოლმე, მაჭარივით აღულდება და ნაპირებს გადმოლაზავს. მაგრამ იმ დღეს გაზაფხულის მზე მიდამოს ათბობდა, უნისლო ცა კამკამებდა და მშვიდი მაჭარაც მღორედ მიედინებოდა.

მთის კალთაზე შეფენილი თხები ნეკერს აცნატუნებდნენ.

იქვე, კაკლის ძირას სამოცწელს მიღწეული მამაკაცი იჯდა, რომლის ჯანიან პირსახეს თეთრი წვერი ფარავდა. თავი ყაბალახით წაეკრა და მხარზე გაცვეთილი ნაბალი მოეგდო.

ეს მოხუცი ხარიტონ ღვინჯილია იყო.

იგი მერხეულის მკვიდრია. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეთხოვრის ფერმა მისი უანგარო შრომით იზრდება.

ხარიტონმა თავისი ბავშვობა და ყმაწვილობა ჯარგვალში გაატარა. ქორწილიც იქ გადაიხადა. მერე ოჯახის სიხარული — ბავშვებიც იქ დაიბადნენ, გაიზარდნენ და შემდეგ წლებმა, შრომისა და ბრძოლის წლებმა, ხარიტონი სულ გააქადარა. ჯარგვალის წლებიდან აღმდე მოფუყული ყვაევით იღვა. მისი ისლიდან კვამლი გლუხკაცის ფიქრით ცისკენ მიედინებოდა.

ახლა ამ მამაპაპისეულ ჯარგვალს მშვენიერი მეგრული ოდა თეთრად დაწნათის. ხარიტონს ათეული წლების ოცნება აუსრულდა. სახლი აიშენა. გაქვარტლული ჯარგვალიდან ფართო ფანჯრებიან ოდაში გადასახლდა. ეს

მისი მცირერიცხოვანი ოჯახისთვის დიდი სიხარული იყო, რაც საკოლმეურნეო შრომის ზეგმავს და მისი მოხუცობის უტანა.

ხარიტონ ღვინჯილია ორმოცდაცხრამეტი წლის კაცია. მან შარშან ცხრასცხრამეტი შრომადღე გამოიმუშავა და სასიმოდე, რომელშიც წინათ თავი მარცვალს ვერ პოულობდა, თეთრი ტაროებით გაივსო. ხოლო თავთუხისა და დოლის პურის ზორბალი საწინახელსა და ტომრებში ვეღარ ჩასტია. მერე სამყოფი შაქარიც მიიღო და რამდენიმე ათასი მანეთიც.

ახლა მისი საკარმიდამო ნაყვეთის მოსავალს აღარ იკითხავენ?! იზაბელას მუშუხა ღვინო და თაფლი გამოუღვეელი აქვს. მისი ეზო ხეხილის ბაღს მოგავონებთ. ვაშლის, მსხლისა და ატმის ხეების გრძელი რიგი წყდება იქ, სადაც ბაღის, კომშის და ქლიავის კაფანდარა ხეები მშვენიერ საჩრდილობელს ქმნიან.

მაგრამ ამ სოფლის მცენარეთა ოჯახის ყველაზე ახალი სტუმარი — ევკალიპტი — ისე გაკადნიერებულია, რომ სიმაღლეში ყველა ხისათვის გაუსწროა და წვილფოთლიანი კენწერო ნისლიან ცისთვის მიუბჯენია.

ევკალიპტს აქ დიდ პატივსა სცემენ. ამ კეთილშობილმა მცენარემ ჯერ მერხეულის გზის ნაპირები დაამშენა და მერე კოლმეურნეთა ეზოებშიც ფესვი გაიდგა.

მერხეულელები როდი კმაყოფილებიან ოთხმოცი ათასი ძირი ევკალიპტით! ისინი ახლა გამალებით ამუშავენ ბენ მიწას, რომ კიდევ და კიდევ დარგონ ათეული ათასობით ევკალიპტი. შორს არ არის ის დღე, როცა მერხეულელი კოლმეურნენი ამ მცენარის ვეება მორებს სახერს ქარხანაში მოიტანენ.

კოლმეურნეობის კანტორაში, როცა ხარიტონ ღვინჯილიას ვესაუბრებოდი, შემოვიდა საშუალო ტანის ხმელხმელი კაცი, რომელიც მეგობრული გულკ-



თილობით მოგვესალმა და დამავიან-  
დაო, კიდევაც მოიბოდიშა. მას დამრგ-  
ვალბული ქალადი ეკავა ხელში და  
ჯიბეშიც რვეულები ედო.

ეს კაცი კოლმეურნეობის ნაციდი  
თავმჯდომარე იოსებ ბერია იყო. მან  
კლების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა  
მოიტანა. კოლმეურნეობას მალე ექნება  
საკუთარი კლუბი. ახალგაზრდები მო-  
წადინებულნი არიან სასულე ორკეს-  
ტრიც შეიძინონ.

ხარითონ ლენჯილიას თავისი მამა-  
პაპათაგან ბევრი რამე გაუგონია, მერე  
თვითონაც ბევრი რამ უნახავს და გა-  
სულცია. ის წლების მიერ დაბრძენე-  
ბული მოხუცია.

ჩვენ, როცა თურქთა ციხე-კოშკების  
ნანგრევებს მივუახლოვდით, ხარითონ-  
მა მწარედ გაიღიმა და შეჩარდა. ის  
დააჩერდა ნანგრევს და დაიწყო:

— ამ შავ ქვათა გროვა იმ შავ დრო-  
იდან აქ ყრია. ამას მგვრელები ჯიხებს  
ვეძახით. ასეთი ჯიხებით მოფენილია  
მთელი სამეგრელო. თურქის სისხლი-  
ანი ტორი სად არ წვდებოდა. იგი ლა-  
მობდა მთელი ქვეყნის გაქვლვას, მაგ-  
რამ გონიერული თქმისა არ იყოს. ის  
ვინც სხვას სამარჯს უთხრის, თვითონ  
შიგ პირველი ჩაწყება.

მართალია ჩვენი მოხუცი ამ გონი-  
ერმა თქმამ მე ისტორიის ნაპრალებში  
გადამახედა და მომაგონა ოტომანთა იმ-  
პერია, რომელიც ერთ დროს ღრუბე-  
ლივით გაიბერა, თითქმის მთელ ქვეყ-  
ნას შავად გადაეფარა, მაგრამ სამართ-  
ლიანობის ძალამ ეს ღრუბელი დაფლი-  
თა და თურქთა სისხლიანი მდინარე თა-  
ვის კალაპოტში ჩააყენა.

ახლა ეს ჯიხები უტყვი მოწმენი  
არაინ თურქთა მიერ ქართველების და-  
წიოკებისა. ისინი დაღალებენ იმ სისხ-  
ლიან წარსულზე, რომლის უსამართ-  
ლობამ საქართველოს მოსწყვიტა შვი  
ზღვის სანაპიროს თვისტომთა სოფლე-  
ბი და ქალაქები, გაშლილნი და გა-

ფურჩქენილნი ტრაპიზონამდე და კე-  
დევი იქეთ, და ცოდვა კი არაქნა მარ-  
გალიტ კუთხეს დღეს მარგალიტის  
გვი ხელი ედოს.

მაგრამ ისტორიის თვალი პირდაპი-  
რია და სამართლიანი. თურქეთის მიერ  
მიტაცებული ქართული მიწა-წყლის  
ჯიხებიც, დღეს ასე შავად რომ გამოი-  
ყურებიან, ისევე დაინგრევიან, როგორც  
ისინი, რომლებიც მერხეულელებს  
ოდესღაც განადგურებით ემუქრებოდ-  
ნენ.

მერხეულის გორაკებზე ვახი—ქართ-  
ველების ეს საყვარელი მცენარე დი-  
დად ხარობდა. ძველად, თურქთა ურ-  
დოების შემოსევის დროს, მართალია  
ის ასკრეს, გაანადგურეს, მაგრამ მშო-  
ბელმა მიწამ მისი ყლორტები მაინც  
გაახარა და დღეს თქვენ ვერ ნახავთ  
ვერც ერთ მერხეულელს, რომელსაც  
საკუთარი ღვინით ქვევრები სავსე არ  
აქონდეს...

ჩვენ არაფერს ვამბობთ მამაკაცებზე,  
რომლებიც ქართული პურის, ხეხილისა  
და ვაზის მოშენების ოსტატები არიან  
ჩვენ გაავაოცეს იმ ქალებმა, რომელთა  
ქმრები გერმანულ ურჯულთა წინააღმ-  
დეგ ბრძოლაში გმირულად დაეცნენ.  
ისინი თავიანთ ქმრებს, როცა ჯარში  
ისტუმრებდნენ, გაფითრებულნი ათას  
სააღერსო სიტყვასთან ერთად, ეფიცე-  
ბოდნენ; ოჯახს თვალის ჩინივით გაუუ-  
ფრთხილდებოდა.

ქმრისადმი ეს წმინდა ფიცი მერხე-  
ულელმა დედამ შურა შენგელიამ  
ბრწყინვალედ შეასრულა. იგი გულდა-  
დებით მუშაობდა კოლმეურნეობაში,  
მოკყავდა უხვი მოსავალი, ზრდიდა  
შვილებს, ზურგს უმაგრებდა ქმარს და  
თანაც ბარათებით ამხნევებდა მას. ქმა-  
რი დაეცა ბრძოლის ველზე და აი, ამის  
შემდეგ არც ისე დიდი დრო გასულა.  
იმ ჯარჯვალს, რომელშიც შურამ  
იქორწინა, ახლა სიხარულივით წინ  
უდგას ახალი ოდა — ძველდროინდ-

ლი გლების ფიქრი და ოცნება. ეს ქალის მადლიანმა მარჯვენამ ააშენა!

შურა შენგელაია ახალგაზრდაა. ქმრის დაღუპვის ამბავი მას მეზივით დაეცა. ქართველ დედებს უბედურების წინაშე ქედი არასოდეს არ მოუხრიათ... შურა შენგელაიაც მსგავსად იმ ქართველ დედებისა, რომლებიც მამულს გმირებს უზრდიან, შეება ცხოვრების ქაპანს.

კოლმეურნეობაში თავი ობლად როდი უგრძენია მას. ყველა მისი დამხმარე და მოსარჩლე იყო. ასე გაზარდა მან უფროსი შვილი მარიამი და დააქორწინა კიდევ. ქორწილში ქალიშვილის ბედნიერებამ დედას სიხარული მოჰგვარა, თვალები გაუბრწყინა. ქმრის დაღუპვით დაზარალებულმა კიდევაც მოიღიხნა, მაგრამ თვალეზში მაინც მწუხარება უკრთოდა. თავის ბატარა, ენატცილ ფუშუტს მკერდზე იკრავდა.

ფუშუტი ახლა მეორე კლასშია. გაყვითლებს შემდეგ იგი თეთრი ბანტით თამბაქოს პლანტაციაში პეპელასავით დაფრინავს და ფოთლების კრეფაში დედას ეხმარება.

როცა კოლმეურნეობის კანტორაში იოსებ ბერიასთან ვსაუბრობდი, შურა შენგელაია შემოვიდა.

— პა, ამხანაგო შურა, როგორაა საქმე, ღვინო გაქვს? — ჰკითხა იოსებმა.

— რამდენიც გნებავთ!

— მაშ რად აგვიანებ, როდის დაელოცოთ ახალი სახლი?

— მე ყოველთვის მზადა ვარ.

— მზად რატომ არ იქნები, ასე ჩაფა ღვინო გიდგას და... — ლაპარაკში ჩაერია კოლმეურნეობის ბუხპალტერი. შურას გაეცინა.

— შენ უციფროდ ლაპარაკი არ შეგიძლია. — უთხრა მან.

მართლაც-და, შურა შენგელაიას სიკარმიდამო ნაკვეთზე იზაბელას მშვენიერი ზეარი აქვს. ბევრ მამაკაცს შესურდება მის მიერ საგულდაგულოდ მოვლილი ვენახი, რომლის თითო

მტკაველიან მტევნებს წითელ შებუნა ღვინო უღდება.

ამ ლაპარაკში მარამაზაძე მოვიდა. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. კოლმეურნეობაში მერგოლურია და საუკეთესო ხარისხის თამბაქო მოჰყავს. მერხეულელ თამბაქოს მოყვანის ოსტატ ქალთა შორის მარიამს პირველი ადგილი უკავია. კოლმეურნეობის თამბაქოს პლანტაცია ოცდაჩვიდმეტ ჰექტარზეა გადაკომიული და ყველზე მაღალი, მსხვილდეროიანი და მრავალფოთლიანი თამბაქო სწორედ მარიამის რგოლის ნაკვეთზე მოდის. თვითონ მარიამს კი თავისთვის კოლმეურნეობამ 0,47 ჰექტარი მიწა მიუზომა და გეგმაც მისცა, ამ ნაკვეთიდან 344 კილოგრამი თამბაქო უნდა მოკრიდოთ.

მარიამი მაშინვე დაეთანხმა. პირობაც დასდო, გეგმას გადავაკარებო, მაგრამ შინ რომ მიდიოდა, თვითონვე უკვირდა და საკუთარ თავს ეჩურჩულებოდა.

— ეს რა ვსთქვი! როდის იყო მერხეულის მიწა ამდენ თამბაქოს იძლეოდა. თამბაქო წინთაც მოჰყავდათ, მაგრამ ამდენი?! არა, არა! თუ მიწამ მიმტყუნა, ხომ მომეტრა თავი!

ამ ფიქრებით იგი შინ მივიდა. რამდენიმე დღეში მიწა გადააბრუნა, გაათონხა, გააფხვიერა და სანერგეში რომ შევიდა, ისე მოეჩვენა, თითქოს ჩითილებმა ნორჩი ფოთლები ააშრიალეს და ედრება დაუწყეს: ჩქარა გაგვიყვანე აქედანო. იმ დღეს მან ჩითილებით ის მიწა გადაამწვანა და მერე რგოლის ნაკვეთს მიამურა. აქ უფრო კარგად იყო საქმე. ცამეტი კაცი და ქალი მუშაობდა. მათი ნელი, გულში ჩამწვდენი სიმღერა ჩითილებს უნანაევებდა.

და არც ისე დიდი დრო დასჭირდა იმას, რგოლის სამი ჰექტარი მიწა თამბაქოს მწვანე ზღვად რომ აღიღებულეყო.



დაიწყო ფოთლების პირველი შემოტევა. უკანასკნელად, როცა შემოდგომის სუსხმა დაკრა, თამბაქოს გაძარცვული ღეროები სიცოცხლეს ესალმებოდნენ, სამაგიეროდ კოლმეურნეობის სამი საბარგო ავტომობილი პირველი ზარისხის გატყეველ ფოთლებს ქარხნისაკენ ეზიდებოდა. ხოლო მარიამ თოლორიას შრომის სააღრიცხვო წიგნაკში ზუთასსამოცდაერთი დღე ეწერა. მას და რგოლის წევრებს სიტყვა არ გაუტეხიათ. თავად მარიამმა იმ ხელისგულის ოდენა ნაკვეთიდან, კოლმეურნეობამ რომ მიუზომა, 804 კილოგრამი თამბაქო მოიყვანა, ხოლო მისმა რგოლმა კი გეგმა 173 პროცენტით შეასრულა.

ასე იმუშავა დებუტატმა გასულ წელს, ხოლო მიმდინარე წლისათვის მას დიდი სურვილი და გეგმები აქვს, მაგრამ ამის შესახებ სიტყვას შემოდგომა იტყვის, როცა მის მიერ მოწეული თამბაქო სასწორზე დაიდება.

მზე მერხველის ბალ-ვენახებს ათბობდა. გორაკებზე შეფენილ ხეხილს სხივები ზამთრის ცივი ძილისაგან აღვიძებდნენ. წელს შიინც მკაცრი ზამთარი დაიჭირა, მაგრამ საცაა ნამდვილი გაზაფხული მოატანს და გათოშილ მცენარეებს კვირტებს აუშლის.

მალე თეთრად აფეთქდებიან გაზაფხულის პირველი პატარძლები—ტყემლისა და ატმის ხეები და ახალ ოდებს მათი ყვავილების სიხარული მიეფრქვევა.

მერხველს დიდი მომავალი აქვს. ამ მომავალზე ლაპარაკობს ის საკოლმეურნეო შრომა, რომელიც სოფელს ყოველდღე წინ ეწევა და ბარაქიანი ბალ-ვენახებით ქარგავს მას. ეს დალოცვილი შრომა ყველას, ყველას განაცდევინებს იმ სიხარულს, რა სიხარულმაც აიტანა თეთრწვერა ღვინჯილია, როცა ახალი ოდის აიენიდან გადახედა სოფელს. მისი მამა-ბაბანი ხომ ისე წა-

ვიდნენ ძველ მერხველიდან, რომ ოდესი ცხოვრება არ ღირსებოდათ. ახლა კი, მარტო გასულ წელს კომლი ჯარგვალადან მაღალ ბოძებზე შემდგარ, ფართო აიენიან ოდაში გადასახლდა.

ახლა არც ერთი მერხველელი ქოხში არ ცხოვრობს.

ასე მიდის წინ სოფელი მერხველი და მეგრული განთქმული სიმღერა „ჩემი ჯარგვალი“ დღეს მოსასმენად ისე გულდასათუთქი არ არის...

სოხუმის საქალაქო სასწავლებელი

II

ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ მეტევეთა ქუჩა სოხუმში ყველაზე უფრო მივარდნილი ადგილი იყო. საქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა ერთადერთი თუ გააღვიძებდა მილამოს, თორემ ისე ამ კუთხეს არავინ ეტანებოდა.

ამ ქუჩის გვერდით აგურის ორსართულიანი შენობა შორიდანვე იპყრობდა მნახველის ყურადღებას. მისი თეთრი სვეტები და წვრილი, გრძელი ფანჯრები სახლს კარგ იერს აძლევდნენ. ეს საქალაქო სასწავლებლის შენობა იყო. მის ირგვლივ ჭაობი იდგა. მოწაფეებს სკოლაში მისვლა უძნელდებოდათ. ზამთარ-ზაფხულს მუხლებამდე ტალახში ტოპავდნენ. გარეული იხვები ძალიან ეტანებოდნენ ამ მილამოს და მონადირეთა თოფების ბათქა-ბუთქით გახალისებული შეგირდები ფანჯრებს აწყდებოდნენ.

მაგრამ გაიარა ოცდახუთმეტმა წელმა. ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა. შეიცვალა სოხუმიც. ყოფილი საქალაქო სასწავლებლის უბანს ახლა ევკალიპტის ამოლტილი ხეები და ციტრუსთა ნარგავები ამშვენებენ. ამ მარად მწვანე მცენარეთა შორის შრავალსართულიანი სახლები თეთრად გამოიყურებიან.



სადღა მეთევზეთა ატალახებულ ქუჩა და თამაროვის აგარაკი, 1914 წელს თურქის ყუმბარა რომ დაეცა, აქ ყველაფერი გამოიცვალა, მაგრამ საქალაქო სასწავლებლის მაღალი შენობა ისევ ამაყად დგას. მის კედელზე ოქროსფერად აწერია:

„ლ. პ. ბერიას სახელობის ქალაქ სოხუმის ვაჟთა მესამე საშუალო სკოლა“.

დღეს მის მოერიამულე მოწაფეებს სიხარულად ისიც ყოფნით, რომ ისინი წიგნს ეწაფებიან იმ შენობაში, სადაც ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ სწავლობდა ის ადამიანი, რომლის სახელსაც დღეს მათი სკოლა ატარებს.

მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ სოხუმის საქალაქო სასწავლებელს და იმ წვიმიან დღეს, როცა მოწაფეთა სასიხარულო არდადეგები დადგა.

სოხუმში, შავი ზღვის სხვა ქალაქებთან შედარებით, არც ისე ხშირად წვიმს. მაგრამ იმ წელიწადს წვიმა ისე დაურიდებლად მოდიოდა, რომ წყალმა კინალამ მთელი ქალაქი წალეკა. ზღვა ბორგავდა, გუგუნებდა, მისი ტალღების სანაპიროს ბაღში გაჯირითებას ლამობდნენ:

— ესეც გაზაფხული! რა ღვთის წყრომაა!—ჩიოდნენ საქალაქო სასწავლებლის მოწაფეები, რომლებსაც არდადეგები დაუდგათ და შინ წასვლაზე ერთი სული ჰქონდათ.

წვიმდა. ბარაქიანად წვიმდა.

ამ თავსხმაში სასწავლებლიდან გამოვიდა მკრთალი პირსახის, თხელო, გახუნებული პალტოიანი ყმაწვილი, რომელმაც ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა, საყელო აიწია და ჩქარი ნაბიჯით ეზო გაიარა. ქუჩაში მას დაეწია ყაბალახით თავწაკრული ამხანაგი და უსაყვედურა:

— რას გარბიხარ, ერთად წავიდეთ.

— მეჩქარება. მერხეულში დაბინდებამდე უნდა მივიღე, თორემ თუ დამლამდა, მერე გამოიჭირდება ტლაპოებში სიარული.

— სოფელში მეც კი წავიდოდნი, მაგრამ მაინაგის მეშინია. ერთჯერადაც სულწაწყმენდილმა ორბიზიჩინმა წერა.

— გესწავლა და ხუთიანს მიიღებდა.

— რაც ვუპასუხე, იმაში ერთი მკლევ სამიანი ხომ მეკუთვნოდა, მაგრამ შარი მომდო, ეკლესიაში ლოცვებს არ ესწრებო. უსამართლობაა, წირვა-ლოცვას არც შენ ესწრები. მაგრამ მაინც კარგი ნიშანი დაგიწერა.

— მერე არ მერგებოდა თუ!

— არა, მე მიკვირს როგორ სწავლობ ლოცვებს. ჩემს თავში არ შედის და...

— ლოცვები არც მე მიტაცებს ბიჭო, მაგრამ ორიანის მიღებას და ჩამორჩენას, ვისწავლო ის მირჩენია.

მათ წიგნები პალტოს შიგნით ქამარში ჰქონდათ გარკობილი.

გზაზე ფეხის დასადგმელი ადგილი არ იყო. ყველგან ტალახი და ტბორი იდგა. მერხეულელი ძალიან ერიდებოდა ტალახს. აქა-იქ დაგდებულ ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა და ამხანაგის ბინა რომ გამოჩნდა შეეკითხა:

— მაშ არ მოდიხარ, არა?

— ვერა, მამას ვერ დავენახებო.

— აბა, მშვილობით.—და ამხანაგის ცივ ხელს ხელი, რომ მოუჭირა, მაშინვე სიყვარულით გაეხუმრა:—ახლა კარგია მამასთან იყო, ერთს მაგრად გაგახტურებს და...

სოხუმიდან მერხეულამდე თოთხმეტი კილომეტრია. ეს არც ისე დიდი მანძილია. მით უმეტეს იმ კაფანდარა აფხაზური ცხენისათვის, რომელმაც მსუბუქი თოხარიკით ქალაქი გაიარა, მაგრამ როცა დაიწყო გაუვალი ტალახი ულაცს გაუჭირდა. თავისი პატარა მხედარი თანდათან დაღმძიმდა.

დუქნები და საჩაიეები სოხუმში საცხოვრებელ სახლებზე მეტი იყო. მეტადრე წვიმიან ამინდში საჩაიეებს მუშტარი გამოუღვევი ჰყავდა. ქალაქის უსაქმო და ღარიბი მცხოვრებნი



მოელ დღეს დუქნებში ატარებდნენ. ღვინოსა და არაყზე ხელი რომ არ მიუწვდებოდათ, „ჩაით ლოთობას“ ეწეოდნენ. თუხთუხებდნენ გამურული ჩაიდნები. მღულარე წყლის სმისაგან გაწითლებულ ადამიანებს ძილი ერეოდათ და იქვე მაგილებზე ხერინავდნენ.

ის მოწაფე წელან რომ ამხანაგს გამოემშვიდობა „არწივიდან“ გამოვიდა და წინ დაუხვდა მეგობარს.

— შენ აქ როგორ გაჩდი?

— ერთი ჭიკა ჩაის დაღვევაც მოვასწარი. ცოტა გავთბი.

მერხეულელმა თავი გაიქნია. ეწყინა ამხანაგი ჩაიხანას რომ დაჩვეოდა.

— რა კობები ჩამოყარე. სხეები ოც ჭიკას არ ჯერდებიან. მე ერთი დაველოე.

— შეიძლება შენ ოცი დაგელია. ფული რომ გქონოდა.—მხედარმა თითები ტუჩთან მიიტანა და სული შეუბერა.—მცოვა, ჩაის მეც დაველედი, მაგრამ...

— ფული მე მაქვს, ჩამოდი.

— შაურიანი მეც კი მიგღია ჯიბეში, მაგრამ იქ ვერ შემოვალ... მოდიხარ?

— თუ შემომისვამ წამოვალ.

— რას მეკითხები, ამოდი.

ოგი მაშინვე შეხტა ცხენზე. სიცილით მიეხუტა ამხანაგის ზურგს და ბესლეთის ხილზე რომ გავიდნენ, ცხენს უჭირსო, შენიშნა მერხეულელმა.

— ჩვენც ბევრი რამ გვიჭირს. მაგრამ ვინ გვაქევეს ყურადღებას.—მოუტკრა მეგობარმა.

სოფელში რომ შევიდნენ, ნაშუადღე იყო. მერხეულის ქარწვიმა მოხვდათ თუ არა, სიხარული იგრძნეს.

სოხუმთან შედარებით მერხეულში უფრო ციოდა. თოვდა. ცხენს ფაფარი უცებ გაუთოორდა.

— მოდი ვიმღეროთ. — თქვა ამხანაგმა.

— აქ ავი ძაღლებია, ცხენიდან გადმოგვიღებენ.

მალე გზაზე ის ამხანაგა გამოემშვიდობა. მხედარი მარტო შეაფრენა მერხეულში.

ნიკოლოზი

მაქარას ნაძირები გადმოელახა და ნასიმინდარ კალაზე შესვილი გაქონდა.

მხედარი სიამით უყურებდა მაქარას. ეს მდინარე ზაფხულში ცივია. რაც უნდა დასიცხული ადამიანი იყოს, მასში თუ იბანაუა უცებ სულს მოითქვამს ხოლმე. იქ ზაფხულში იმდენი თევზი არაა, რამდენიც გოგო-ბიჭები ჭყუმბალობენ. ეს მთის ჩქარი მდინარე ამ სოფლის სიხარულია.

ორღობეში, სადაც ტალახი დაფასავით იღგა, თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭს შეშით დატვირთული ურემი ჩაფლოდა. საცოდავ ბიჭს იმდენი უყვიენია, ხმა ჩახლენოდა, მაგრამ დაოსებული ხარები ადგილიდან მაინც ვეღარ დაეძრა.

— აქ მო ხარო, მო, მო...

ბიჭი სიტყვებს სახრესაც აყოლებდა.

მხედარმა ცხენი ურემთან მიავლო.

— ლავრენტი, მიშველე! — მეგრულად შესძახა მეურმემ და ცრემლები წაასკდა.

ეს იყო იასონ კვარაცხელია. კაკლის სარეკ ჯოხივით წვრილი. ოგი შიშისაგან გაფითრებული ძლივს იკავებდა ცრემლებს. მას ძალიან უნდოდა სოხუმში ესწავლა, მაგრამ სიღარიბემ კერას მიაკრა და ახლა კვანწყვეტით მუშაობდა სოფელში.

ამხანაგებმა გადააკოცნეს ერთიმეორე. ლაპარაკის დრო აღარ იყო. საცოდავ ხარებს ენა გადმოეგდოთ.

— ჩვენ აქ ვერაფერს გავხდებით. გამოხსენი ხარები. მე შინ გავიქევი. მამაშენს შევატყობინებ, მამაჩემსაც აქ მოვიყვან. ჯავრი ნუ გაქვს.

და ცხენი გზიდან კალაში შეავლო.

— მას შემდეგ ოცდანიღმეტმა წელსა გაიარა. — მეუბნება იასონ კვარაცხელია და მითითებს იმ ადგილზე, სადაც ხარურემი ჩაეფლო. ახლა იქ ლარივით სწორი გზაა და ვერც კი იფიქ-

რებს ადამიანი, რომ ოდესმე გაუვალი ტლაო იდგა.

იასონს ტბილად ეღიმება. როცა თავის ბავშვობას იგონებს. იგი ენაწყლიანი და ტბილად მოსაუბრე კაცია.

— რაკი ხარურგები ტლაოდან ამოვიყვანეთ — განაგრძო მან დაწყებული სიტყვა — იმ ღამეს შშვიდად დაგვეძინა, დილით მოთბა თუ არა, გადავცვივდით მაჭარაში და ლოდებს ქვეშ განაბული ღორჯოები ამოვაცურეთ.

•  
•

იასონი მალაღი, მრგვალი პირსახის, ქერა კაცია. წვერულეაშს იპარსავს, ორიოდ ღერი თმა, რომელიც ჩამოცვენას გადაურჩა, ღამაზად აქვს გადავარცხნილი. იგი სოფელში ბავშვების საყვარელი ადამიანია. მეგრული ზღაპარი არ ელევა, მეტადრე ზამთარში, დალოცვილი ბუხარი რომ გუგუნებს, იგი უზის ცეცხლს და ბავშვები მის ირგვლივ განაბულნი სხედან.

იმ დღესაც კოლმეურნეობის კანტორაში ვიყავი, რომ უცბად ბავშვების სიცილ-ხარხარი ატყდა.

— ეს იასონია ალბათ, ბავშვებს რომ აცინებს — სთქვა თავმჯდომარემ.

აივანზე გამოველი. სიცილ-ხარხარი აღარ ცხრებოდა. იასონს შავი ღორი მიჰყავდა. ჭრელ-ჭრული გოჭები დედას ხან ძუძუებზე დაეკიდებოდნენ და ხანაც ღრუტუნით მისდევდნენ. იასონს ხელში ორი აცმა თევზი ეკავა. დინჯად მიდიოდა, ბავშვები კი სიცილისაგან ლოყა-დაწითლებულნი ხტუნვა-ხტუნვით მისდევდნენ.

აქედან ექვსი ბავშვი საკუთარი იყო და ორი კიდევ შინ ელოდებოდა.

— ბიძია იასონ, როგორ დაიჭირე ამდენი ღორჯო?! — ჰკითხეს ბავშვებმა, რომლებმაც ქვეყანაზე ღორჯოს მეტი თუ არსებობს სხვა თევზი არ იციან,

რადგან ისინი ერთთავად მაჭარშია ქუჩუშალაობენ და ნეკისკრებს მოსაჯოებს იჭერენ.

— შე რა, აი იმან დაიჭირა! — ღორზე მიუთითა იასონმა.

— ღორმა როგორ? — გაიოცეს ბავშვებმა. იცოდნენ იასონს რაღაც უცნაური რამ უნდა ეთქვა და წინასწარ აიტყვეს სიცილი.

— ანკესი რომ არა აქვს? — იკითხა ერთმა პატარა გოგონამ. იასონმა იცნელში აიყვანა და უთხრა :

— როდის იყო გოგო, ღორს ანკესი ჰქონდა, მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი მზეზე გოჭები ერთმანეთს. მიეხუტნენ და მალე დაიძინეს. მაშინ მოგვეათ სიკეთე. ღორი ზღვაში შევაგდე და რამდენიმე წუთის შემდეგ ნაპირზე რომ გამოვიდა, ვხედავ რას ვხედავ! თორმეტ ძუძუზევე თევზი ფართალვდა. ნუ იკითხავთ თურმე, თევზებს რძე ყვარებიან. მეც გამებრაზა, თქვენ გოჭებს ლუქმას როგორ ართმევთ მეთქი და შხვერთზე აფაცი ისინი!

ამ სიტყვებით იასონმა აცმა მალაღასწია და მოკისკისე ბავშვებს ცხვირთან მიუტანა.

— აბა დაეთვალო თუ მართლაც თერთმეტია. — სთქვა ისევ იმ გოგონამ, იასონს რომ მკერდზე ჰყავდა მიხუტებული. — ერთი, ორი... თერთმეტი, ცხრამეტე, აქ ხომ ოცდაერთია, — ჩააცივდა გოგონა.

— თავი დამანებე, შენ ეშმაკი ვერ მოგიგებს. — დაუტატანა იასონმა და ღორს ჭიშკარი გაუღო. ეზოში რომ შევიდა, ოლაგესთან შეეგუფულ ბავშვებს გასძახა:

— წადით, გაკვეთილები ისწავლეთ. იასონი შინ დაღვრემილი შევიდა. მაშინვე ბუხარს მიამურა, და გრძელსკამზე რომ დაჯდა იმ ფიქრმა წელან ნემსივით გულზე რომ მოხვდა, უფრო შეაწუხა.

— ჰა იმ კულრაქს — სთქვა მან გონანზე — თვლა სცოდნია. მ... პირ-



ველ კლასშია... მე კი, მისი ტოლი რომ ვიყავი, მარჯვენა ხელზე რამდენი თითი მქონდა ის არ ვიცოდი. პა, როგორ გამოიკვალა ქვეყანა!.. რამდენი წლის იქნება ახლა ბარდლას გოგო? — ჰკითხა მან ცოლს.

— მეშვიდეშია. რა იყო?

— არაფერი. კარგი ბავშვია.

კაკუნი გაისმა. ბარდლას გოგონამ კარი შემოაღო.

— პა, შე ეშმაკო, მოდი აქ, — მიიბაძტია იასონმა.

— რისთვის გამოგაგზავნენ? — ჰკითხა ცოლმა.

— ბიძია იასონთან მოვედი. — გოგონა მიუახლოვდა ბუხარს და იასონს დარცხვენით უთხრა: ერთი თევზი მომეცით.

იასონმა მაშინვე სამი თევზი ჩაუღო კალთაში. გახარებული გოგონა კარისკენ წაიღია, მაგრამ შეაჩერეს.

— ახლა სად გარბიხარ, ლექსები გვითხარი, თორემ ამ თევზებს ისევ გამოგართმევთ.

იასონს ის გოგონა ძალიან შეთამამებული ჰყავდა და ამიტომ არც კი განაზებულა, მაშინვე დაიწყო.

დიდი სტალინის მოწაფევი,  
ჩვენი ლაერენტი ბერია!  
შენ აყვავე სამშობლო,  
შენზე ლექსებსა მღერია.

ბელადის სიბრძნე ნათელი,  
შენ ქვეყნად მოგიფენია,  
შენი ძვირფასი სახელი  
ხალხს გულში ჩაუწერია.

III.

მემორაობა

... იმ წელიწადს სოხუმის საქალაქო სასწავლებელმა დიდი ექსკურსია მოაწყო. კავკასიის ღირსშესანიშნავი ქალაქებისა და ისტორიული ადგილების

შესწავლის მიზნით შედგა მარბრეტი/ ბათუმი — თბილისი — ბაქო — სიისკი. ექსკურსანტები სამ ჯგუფად გაიყვნენ... მესამე ჯგუფის ხელმძღვანელად მათემატიკის მასწავლებელთან ერთად ისიც აირჩიეს.

ნოვოროსიისკში რომ ჩაივლინენ, სალამო იყო. დალილ-დაქანცულებს აბა რა უნდა დაეთვლიერებინათ! როგორც ყოველთვის, ამ ღამითაც გრივალ მოსკვივის „ცნობარი“ გაშალეს და წინასწარ გაეცნენ ნოვოროსიისკის ისტორიას. მისი წარსულის ძეგლებს და ქალაქის ყოფაცხოვრებას.

ამ „ცნობარს“ მერბეულელი ხმაძალა კითხულობდა. ჯგუფის წევრები სულგანაბულნი უსმენდნენ. ისინი წიგნის საშუალებით წინასწარ ეცნობოდნენ შავი ზღვის სანაპიროს ამ დიდ ქალაქს, რომელსაც საკმაოდ კარგი ნავსადგური აქვს. მაგრამ ხანდახან ისეთი ქარი ატყდება ხოლმე, რომ ხეებსა და სახლის სახურავებს გლეჯს. არც აღამიანებს ინდობს. ადგილობრივი მკვიდრნი მას „ბორას“ ეძახიან.

— ახლა ბორა რომ ატყდეს, ეს ჰერი თავზე ჩამოგვეგრევა — გულუბრყვილოდ სთქვა ერთმა, რომელსაც ყველაზე უფრო ეჩქარებოდა შინ დაბრუნება. ეს ექსკურსია საკმაოდ გრძელი და მომქანცავი გამოდგა. ბავშვებს გული აუტრუვდათ. ნოვოროსიისკის დათვალეერება თითქმის არავის უნდოდა, მაგრამ მასწავლებლებს ვერაფერს უბედავდნენ.

ოთახში პირველჯგუფელები შემოცვივდნენ.

— რა იყო, რა დაგერიათ?! — ჰკითხეს მათ დამხედურებმა.

— გიორგი ავად გახდა, სიცხე აქვს, ბოდავს. მასწავლებლებმა გამოგვერქეს.

— ალბად ხმაურობდით!

— ძილში ისეთ რამეებს ლაპარაკობს, კაცს უნებურად გაეცინება.



იმ ღამეს მოწაფეებს არც კი დაუძინათ. მეორე დღით ქალაქი უგულოდ დაათვალიერეს. მდინარე ცემესის რიყეზე გამურული ბავშვები თამაშობდნენ. თითქმის ყველა ხალხის ენაზე ყლურტულეზდნენ ისინი. სოხუმელებმა ქართულ ღაპარაკს ყური რომ მოჰკრეს თუ არა, მაშინვე იკითხეს.

— ქართველები აქ როგორ მოხვდით?!

— აქ დავიბადე. აი ის ჩემი სახლია. — თითი გაიშვირა ბიჭუნამ პატარა ფიცრულისაყენ — იქით კიდევ ამისი ოდა დგას. — ახიშნა მან ერთ გათხუპნულ ბავშვზე. მერე ღონიჯი შემოიყარა და იკითხა, — კი, მაგრამ, თქვენ საიდან მოფრინდით?!

სოხუმელებს გაეცინათ. ეს პატარა შავტუხა ბიჭი მათ წინაშე დიდი კაცივით იღგა და მოსწრებულ პასუხებს იძლეოდა.

— რა ფასს ადებთ თქვენს სიტყვას. სიტყვით საიდან ჩამობრძანდით, თორემ ჩვენ ცემესელებს მაგარი მუშტება გაეკეს.

— ოღონდ არ გვემოთ და ყველაფერს გიტყვით... სოხუმიდან გახლავართ. — სიცილით უპასუხა მერხეულელმა.

— სოხუმი! იქ ბებია მყავს, მოიცათ, წერილს გაატანთ, წაიღებთ?

— სიამოვნებით. — ბიჭუნას თვალეები გაუბრწყინდა, მაგრამ მაშინვე მოიწყინა: — წერა რომ არ ვიცი! — ჩაინურჩულა მან.

— არა უშავს, გვითხარი რა გინდა და ჩვენ დაეწერთ.

— არა, ეგრე არ ივარგებს... ამ წუთში აქ გაჩნდები!

— რა კარგი ბიჭია და წერა კი არ ცოდნია. — გაიკვირვეს სოხუმელებმა.

— ვისი შვილია ნეტავი? — იკითხა მერხეულელმა.

— მამამისი ცემენტის ქარხანაში მუშაობს — უპასუხა ბიჭმა, ვიწაზივლის ძველი ქუდი რომ ეხურა.

— შენც ქართველი ხარ? ახლა მას ჰკითხეს.

— როგორც მატყობმზღნიწმწაქა შეატუხა ბიჭმა მოირბინა. მას ვალდიას ეძახდნენ. სირბილისაგან სახეზე ცეცხლი ვეიღებოდა. კონვერტი სტუმრებს გადასცა და ძალიან სთხოვა, ბებიასთვის მიეტანათ.

ექსკურსანტები სასტუმროში რომ დაბრუნდნენ, სოხუმისაყენ გემის გასვლას ერთი საათი აკლდა. გიორგი უკვე სააუდიტოფოში დაეწვინათ. მოიწყინეს ამხანაგებმა. მასწავლებელმა პირველი ჯგუფის წევრებს მიმართა:

— გიორგის მარტო ხომ არ დაგტოვებთ. ერთ-ერთი მასთან დარჩით, აბა რომელი ხართ თანახმა?!

სიჩუმე ჩამოვარდა. ხმა არავის გაუღია. მასწავლებელმა კიდევ მიმართა. მაგრამ დარჩენის მსურველი არცერთი არ აღმოჩნდა.

მეორე ჯგუფი ქუჩაში გასულიყო და მისი შეჩერება არავის არ შეეძლო.

მათემატიკის მასწავლებელი გაბრაზდა. როგორ თუ არავის არ უნდა დარჩენაო და ახლა მესამე ჯგუფის ოთახში შევიდა აქ ყველას თავისი ბარგი შეეკრა და წასასვლელად გამზადებული იყვნენ. მასწავლებელმა ხელი ასწია და მოწაფეები გაჩუმდნენ.

— საჭიროა ერთ-ერთი მოწაფე აქ დარჩეს. ვისა აქვს სურვილი ავადმყოფ ამხანაგს მოუაროს!

მასწავლებელი რამდენიმე წუთს უსიტყვოდ შეჰყურებდა მოწაფეებს. იგი ამაოდ ელოდა პასუხს. ხმა არავის გაუღია. არც ერთს ხელი მალლა არ აუწვევია. მაშინ გაბრაზებულმა კარი გააღო და დაიყვირა:

— რომ შემეძლოს სუყველას აქ დაგტოვებდით, დამეკარგენით აქედან. არავინ არ მჭირდება, ავადმყოფს თავად მოეუველი.

მოწაფეები ოთახიდან თითო-თითოდ გავიდნენ. ბოლოს მათ მერხეულელიც გაჰყვა, მაგრამ კართან შეყოყმანდა.

და და ამოღლიაგებული ბოლჩა იქვე სკამზე დადო.

— ეს რა, რატომ არ მიდიხარ?

— თქვენთან დავრჩები. ვინ იცის გიორგის რა მოუვა.

— ყოჩაღ, შენი იმედი ყოველთვის მქონდა!—მასწავლებელმა ზურგზე ხელი დაჰკრა.

მათემატიკის მასწავლებელმა მაშინვე მერხეულში დეპეშა აფრინა: თქვენი შვილი ჩემთან არის ნოვოროსიისკში და ამ დღეებში ერთად ჩამოვალთ. მერე ორივემ საავადმყოფოს მიამშურა, თეთრი ხალათები ჩაიცვეს და პალატაში თუბაჩკრებით შევიდნენ.

გიორგის ცეცხლი ეკიდებოდა. ექიმებს ჯერ ვერ გამოერკვიათ, თუ რითი იყო ავად. მერხეულელი გიორგის თავთან დაჯდა. აქედან კარგად ჩანდა ცემენტის ქარხნის ასვეტილი მილები. მისი შავი, ყომრალი კვამლი ზღვის ლურჯ ცას აშავებდა.

ნავსადგურში რომელიღაც ქვეყნის უზარმაზარი გემი მოვიდა და მისმა ყვირილმა ქალაქს გადაუარა. გიორგის გაეღვიძა. მის თავთან მასწავლებელი და მერხეულელი რომ დინახა, ცრემლები წასკდა.

— ეუღადა ვარ, ხომ არ ვკედები ნეტავ?—იკითხა მან.

— ნუ გეშინია ბიჭო, ორ დღეში ფეხზე აგაყენებთ!

მერხეულელს თვალები აუცრემლდა.

— ჩემი კლასელი არაეინ დარჩენილა?

— არა... ეს ყოჩაღი ყმაწვილია. არაფერს მოგაკლებს. — უბასუხა მასწავლებელმა და მერხეულელს თავზე ხელი გადაუსვა.

სინემე ჩამოვარდა. გიორგი სიცხისაგან გაკრიალებული თვალებით უყურებდა ამხანაგს. ამ წმინდა, ბავშვურ გამოხედვაში გამოსჭვივოდა თავდადებული მეგობრისადმი დიდი მადლობისა და სიყვარულის გრძნობა.

მასწავლებელი პალატიდან რომ გამოვიდა, გიორგიმ მაშინვე შეუძახა:

— მამტრევეს, ნამეტნული ცუდად ვარ. დედაჩემს ხომ შეატყობინეთ!

მეგობარმა თავი დაუქნია.

— გული გაუსკდებოდა საბრალოს. ჩემს მეტი შვილი არა ჰყავს. მე ვფიქრობდი ვისწავლი, ბევრს ვისწავლი, კარგი ოფიცერი გამოვალ და დედას გავახარებ მეტში. ერთი წყალი მომამოღე.

გიორგი წყლის დასალევად რომ წამოიწია, სახეზე აღმურთი ასლიოდა, ოფლში გაწუწული იყო. მან ორი ჰიტა გამოცალა და მერე ბალიშს მიეყრდნო.

— მე ვიცი, რაც მომარჩენს. მამასეში ჩემზე უარესად იყო. ტიბუს<sup>1</sup> სეამდა. ოფლად იღვრებოდა და ორ დღეში გამოშუშდა ფეხზე დადგა. ჰე, ნეტავ მომცა ტიბუ!

მეგობარს გაეცინა.

— ჯარგვალში ხომ არ გგონია შენი თავი. ხელავ რა პალატაში წვეხარ. ისე კარგი კია ტიბუ, მაგრამ ექიმებს რომ ვუთხრათ, სიცილით დაიხოცებიან.

ფანჯარას მზე მოადგა. ზღვის ლურჯი ჰორიზონტი ჯგჯილივით ლივლივებდა. ავადმყოფი დასიცხული თვალებით გაპყურებდა ზღვას; როცა სოხუმისკენ მიმავალი გემი თვალს მიეფარა ამოიკენესა:

— ჩვენები მალე ჩაივლენ სოხუმში. მე კი, ვინ იცის, როდის ვნახავ დედას!

კარი გაიღო. გუშინ რომ გასინჯა, ის ექიმი და უძილობისაგან ფერდაკარგული მასწავლებელი შემოვიდა. ექიმმა სათვალე შუბლზე აიწია. ლამაზად შეერკვილ წვერზე ხელი გადაისვა და ავადმყოფს მაჯა გაუსინჯა. მერე მასწავლებელს მიუბრუნდა.

— ტყუილად დელავთ, სამიში არაფერია. აქამეთ ყველაფერი, რაც მოითხოვოს.

<sup>1</sup> ტიბუ — წიწკასა და სანელსებელ მოკიდებული წყალში გახსნილი ფქვილის ოხელი ფაფა.

ექიმი საწოლზე დაჯდა და გასამხნე-  
ვებლად ავადმყოფს ჰკითხა:

— მეგრელი ხარ?

— დიაღ.

— მერე რანაირი მეგრელი ხარ, ციე-  
ბის რომ გეშინია?..

ექიმი პალატიდან რომ გავიდა მა-  
შინაც იციანოდა. მასწავლებელმა ის  
გააცილა. მეგობრები მარტოდ დარჩი-  
ნენ.

— ექიმი კარგ ხასიათზეა — დაილა-  
პარაკა მან.

— მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ავად-  
მყოფმაც მოიღვინოს! — მიუგო გიორ-  
გიმ.

— რატომაც არა, შენ მართლაც უნ-  
და მოიღვინო. კიდევ ორი-სამი დღე  
და სოხუმში წავალთ.

— მე მოვრჩები, მაგრამ მეშინია ახ-  
ლა შენ არ გახდე ავად. მასწავლებელ-  
მა აქი გაგაფრთხილა: ცუდი ფერი გა-  
დევს დაიძინე, დაისვენეო... შენ კი  
აჩრდილივით თავზე მადგინარ. ოთხი  
ღამეა არ დაგძინია, ეგ შეიძლება?!

— ძილს მოვასწრებ. ერთი წამოდგე-  
ბოდე და მეტი არაფერი მინდა.

მერხეულელი გიორგის ერთი წუთი-  
თაც არ მოსცილებია. როცა რამეს დაა-  
საქმებდნენ, მაშინვე ვაფრინდებოდა  
და რა არ მოჰქონდა მეგობრისათვის!  
საავადმყოფოს რომელიღაც წამალი გა-  
მოლეოდა. სანამ საწყობში მოიტან-  
დნენ, მან რეცეპტით ხელში მთელი ქა-  
ლაქის აფთიაქები მოიბრინა და ის  
წამალი დროზე მოიტანა...

გიორგი მადლობით სავსე თვალეებით  
შეჰყურებდა ამხანაგს და თავისთვის  
გულში ამბობდა:

— ჩემი ჯგუფის არცერთი ბიჭი არ  
დარჩა, ისე მშობას კი მეფიცებოდნენ.  
აი ნამდვილი მეგობარი! — ჩურჩულე-  
ბა იგი.



ნავსადგურში უზარმაზარი გემების  
ანძეზე სხვადასხვა ქვეყნის ნაირფერი

აღმები ფრიალებდნენ: იტალიის გემი  
ახალი მოსული იყო. ლამაზად შეფუთვ-  
ნილ ყუთებს მტვირთავდა. ჩვენი  
ბისკენ ეზიდებოდნენ. ამ ყუთებში იტა-  
ლიაში მოწვეული ღიმიონი და ფორთო-  
ხალი ელაგა. მას დიდი გასაეალი ჰქონ-  
და მაშინდელი რუსეთის იმპერიაში.  
მამასისხლად იყიდებოდა უცხოეთის  
ხილი. ამიტომ ვაჭრები თავს არ ზო-  
გავდნენ. ყველა ქვეყანას რუსეთში  
ფართო ბაზარი და სარბიელი ჰქონდა.  
ფორთოხალი რაა! ჩვენმა ექსკურსან-  
ტებმა საფრანგეთის უზარმაზარი გე-  
მიც დაინახეს, რომელიც მარსელის  
კრამიტით იყო სავსე. ეს კრამიტი მა-  
შინ, იტალიის ციტრუსებს რომ თავი  
დაეანებოთ, სოხუმშიც ბლომად შე-  
მოჰქონდათ.

ერთი კვირის შემდეგ იტალიაში მო-  
წვეულ ციტრუსებითა და მარსელის კრ-  
ამიტით დატვირთულ გემს ჩამოყვეს სო-  
ხუმში მასწავლებელი ჰოქუა, უკვე გა-  
მოჯანსაღებული გიორგი და მისი მე-  
გობარი.



ჰოქუა ახლა ოთხმოც წელს მიღწეუ-  
ლია. დროთა ქარიშხალს იგი როდი გა-  
უტეხია. კარგად, მხნედ გამოიყურება  
და რაოდენ სიხარულს გრძნობს, როცა  
უყურებს განახლებულ საქართველოს  
თუნდაც ისეთ სიფეხს, როგორც პა-  
ტარა მერხეულია, რომელსაც დღეს გა-  
ცილებით იმაზე მეტი ღიმიონი და ფორ-  
თოხალი მოჰყავს, რამდენიც მაშინ იტა-  
ლიიდან შავი ზღვის - სანაბრო ქალა-  
ქებში შემოჰქონდათ.

ხოლო კრამიტს ნულარ იკითხავთ! ის  
დღეს საქართველოს თითქმის ყველა  
დაბა-ქალაქში იჭრება...

ამხანაგ ჰოქუასთან დიდხანს დაყუ-  
ვი. იგი დღეს საქართველოს ერთ-ერთი  
ულამაზესი კუთხის აფხაზეთის სსრ  
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმ-  
ჯდომარეა.



მისი კაბინეტი პირდაპირ ქალაქს გადაკურებს. ლარით სწორი ქუჩები ელექტრონის შექმნით უზომოდ გაბრწყინებულია. ასე გულუხვად განათებულ ქუჩებს სხვა ქალაქში იშვიათად შეხვდებით. რა სჯობს მაღლიდან სოხუმის გადახედვას. პალმების ბანჯგელიანი ჩრდილები მდევებივით გაწოლილია ასფალტით მოკრიალებულ ქუჩებზე. ზოგან ევკალიპტის ვეება ხეებში განჩრილი მთვარე თეთრად აგარაყებს ისედაც ვერცხლისფერ ტოტებს.

ზღვა წყნარია. მშვიდი. მაგრამ ეს პატარა მდინარე რამ გააბრაზა, ასე ლმუილით რომ მიედინება. ზღვასთან შედარებით ბესლეთი ერთი წვეთია. მაგრამ, დახეთ, როგორ გულუხვიადობს! ამიტომ რუსთაველის დროინდელმა ქართველებმა მასზე ისეთი საიმედო ხიდი ააშენეს. რომელმაც რვაასი წლის ქარიშხალს გაუძლო და დღესაც ამაყად გამოიყურება.

ამ ხიდის თავში თეთრი მარმარილოს დიდი ზოდი დევს, რომელსაც აწერია: „ბესლეთის ხიდი საქართველოში XII საუკუნის ხიდდთა მშენებლობის შესანიშნავი ნიმუშია. ხიდის თაღზე დაცულია ქართული წარწერა ასომთავრულით“. ამ წარწერამ საუკუნეთა ქარიშხალში გამოატარა ხიდის ამბავი.

შორს არ არის ის დრო, როცა სოხუმელები გოროზ ბესლეთს, რომელიც ქალაქს აღმოსავლეთით ჩაუდის, რკინაბეტონის კალაპოტში მოაქცევენ და მასში ზღვიდან დამრულ ნავეებს შეაკურებენ.

IV

მომავლის ფიქრები

მათემატიკის მასწავლებელი ყველაზე მომთხოვნი, ცოტა მკაცრი, მაგრამ კეთილი გულისა და ბავშვების მოსიყვარულე კაცი იყო.

ზარმა სიამით გაიწკარუნა. მოწაფეები ხტუნვა-თამაშით ეზამრქნებოდნენ. სასწავლებელს არც ისე დიდძალად აქონდა. ზღვაური ხეთა ფოთლებს ამჩრიალებდა. გრილოდა. არც ერთი მოწაფე საკლასო ოთახებში არ დარჩენილა. მზემ და მსუბუქმა ჰაერმა ყველა გარეთ გამოიტყუა.

შეგირდებმა უცებ მოიხსნეს თითბრის ბალთიანი ქამრები და ლახტის თამაში დაიწყეს. უკვე გაიყვნენ ორ ჯგუფად. წრის შესავსებად ამხანაგებსაც დაუძახეს, მაგრამ არაეინ არ გამოხმარებია. მაშინ ყველაზე პატარა გაიოზი, რომელიც დაბრიყვებული ჰყავდათ, საკლასო ოთახში გაგზავნეს. გაიოზმა ქამრის ხელში ტრიალით კიბე აირბინა და მესამე კლასის ოთახთან რომ მივიდა ხმა მაღალი ლაპარაკი და სიცილ-ხარხარი მოესმა. მაშინვე კარს ხელი ჰკრა და კედელს მიახებთა. მაგრამ თვითონაც არ დადგომია კარგი დღე. უცებ თავი ვერ შეიმაგრა და იატაკზე ბურთივით გაგორდა.

— რა იყო, ვინ მოგდევს? — შეეკითხა მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც მოწაფეებთან იდგა და მათ მსჯელობაზე იღიმებოდა.

— არაეინ ბატონო მასწავლებელი! — დარცხვენით დაილულულა და დამნაშავესავით კედელთან დადგა.

— მე თვინიერი მეგონე, აი როგორი ყოფილხარ თურმე შენ. აქ მოდი, ნუ გეშინია. ახლა დასვენებაა და ისე უნდა ირბინო, რომ არ წაიქცე. მომიახლოვდი.

მასწავლებელმა თავზე ხელი გადაუსვა გაიოზს და ალერსით განაგრძო:

— ეს შენი ამხანაგები იცი რისთვის დაობენ?

— არა.

— ყური დამიგდე. აი ეს — მასწავლებელი ხელით შეეხო ერთ თამაქოჩორა ბიჭუნას. — მოწადინებულია სწავლა განაგრძოს სამხედრო სასწავლე-

ბელში და ოფიცერი გამოვიდეს. კარგია?

— თუ მოსწონს, მისთვის კარგი იქნება ალბათ! — ორკოფულად მიუგო გაიოზმა. ამ დროს დარაჯი შემოვიდა და მასწავლებელს მოახსენა, ზედამხედველი გთხოვს.

— განაგრძეთ საუბარი, მომავლის განსაზღვრა კარგია. მე ახლავე აქ გაგზნდები.

მასწავლებელი გავიდა თუ არა, თმაქოჩორა მოწაფე მაშინვე გაიოზს დაეძგრა. ქაშარი გამოსტაცა და ფეხებში გაუტყლაშუნა.

— შენ კიდევ რა, ბიჭო, ლახტის მოთამაშე გინდა გამოხვიდე?! — დაცინვით უთხრა მან.

— არა, ამას უკვე გადაწყვეტილი აქვს, ადვოკატი გამოვიდეს და დამნაშავეები დაიცვას.—სთქვა მერხეულულმა და ამხანაგებს გადახედა. ყველას სახეზე ღიმილი ადგა. ერთმა მათგანმა გადაიხარხარა და ჟღერტული დაიწყო.

— იმიტომ იყო გუშინ საზღვაო ქუჩაზე ადვოკატ ზუხბაის გაქნის ჩინოვნიკივით მიესალმა. — მან მარჯვენა ფეხი უკან გადადგა. ხელები გაშალა და მოწიწებით ყველას თავი დაუკრა.

მასწავლებელი მაშინვე დაბრუნდა.

— ისეთი რა ჩაიღინეთ რომ ეგრე იცინით? — იკითხა მან.

— ჩვენი მომავალი უზრუნველყოფილია. — სთქვა იმ თავქოჩორამ. — ქომიგი გვყავს. რამეს დაევაშავებ თუ არა, მივმართავ ადვოკატ გაიოზს და დამიციავს.

— რატომ, ყველა პროფესია, რომელსაც რიგინად დაეუფლები, კარგია. ადვოკატობას რა უშავს! — სთქვა მერხეულულმა.

— ენას დაადგება შავი დღე, თორემ ისე რა უშავს. — ჩაილაპარაკა თავქოჩორამ და განზე დადგა.

— ზოგს უნდოდა მასწავლებელი გამოსულიყო, ზოგს მსახიობი, ერთი, რომ

მელსაც კარგი ხმა ჰქონდა მუცელსა და ლუას გუნდში შესვლაზე მისწრაფებდა.

— შენ რა გიშავს, მერხეულულმე იცხოვრებ! — გაეხუმრნენ მას და მერე მერხეულულს ამხანაგს მიუბრუნდნენ.

— შენ ჩვენს სეირს რომ უყურებ, თავათ რას ფიქრობ.

— არაფერს.

— განუმდი კაცო, ამას ვინ დაგიძევრებს. — შეედავა თმაქოჩორა.

— არ უპასუხო, ლავრენტი. იმ მე ამით ფიქრი გავანდე და დამცინიან. კვარაცხელიამ მიწურჩულა: გაკვეთილი არ ვიცი, მღვდელთან მიადგოკატეო.

ამან უფრო მეტი სიცილი გამოიწვია. თვალცრემლიანი გაიოზი გარეთ გავარდა. მასწავლებელმა მერხეულულს მხარზე ხელი დაადო და დაყვავებით უთხრა:

— ამით რა, მე მითხარი, თუ რა უნდა გამოხვიდე. კარგად სწავლობ. მამასადამე, კარგი მიზანიც გექნება.

— რა ვიცი, ბატონო მასწავლებელო, მინდა ბევრი ვისწავლო და საერთოდ განათლებული ბღამიანი გამოვიდე.

— პო... ეს კარგია, მაგრამ მე მათემატიკოსი ვარ, სიზუსტე მიყვარს.

— ზუსტად კი ვერაფერს გეტყვით.— დარცხვენით მიუგო მან და ლოყებზე სიწითლე გადაეშალა.

... როგორ მიყვარს მოწაფე რომ წითლდება. მისი ლოყები ემსგავსება ვარდს და ვარდზე ულამაზესი რა არის ამ ქვეყანაზე! გაიფიქრა მასწავლებელმა და სათვალე გაისწორა.

შესვენების დამთავრების ზარი დარაჯმა ჩქარ-ჩქარა ჩამორეკა. თამაშისაგან გაოფლილი მოწაფეები საკლასო ოთახებში დამფრთხალებივით შეცვივდნენ.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მათემატიკის მასწავლებელმა მერხეულულს გამოუძახა და სასიხარულო ამბავი აცნობა:

— ნება გეძლევათ საერთო ბიბლიოთეკის წიგნებით ისარგებლოთ.



— გმადლობთ, გმადლობთ. — მოკრძალებით თავი დაუკრა მოწაფემ და სახე გაუბრწყინდა. მას ერთი კვირაა სასწავლო წიგნების მეტი ხელში არაფერი აუღია. მოწაფეთა ღარიბი ბიბლიოთეკა სულ გადაიკეთა. ზოგიერთი წიგნის შინაარსიც დასწერა და მასწავლებელს რომ წარუდგინა, მოუწონა, შეაქო. იგი სამასწავლებლოდან გამოვიდა თუ არა, მასწავლებელმა ღიმილით თვალი გააყოლა და მის გვერდით მჯდომ მღვდელს უთხრა:

— აი მოწაფე. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ღარიბია, მაინც ბევრს შეცადინებოვს.

— შეცადინებოვს! — განიმეორა მღვდელმა. — მოწაფეა და ვალდებულა იმეცადინოს. მაგრამ ჩემის ფიქრით კეთილსაიმედო არ არის. ეკლესიას არ ეკარება. ამისთვის უნდა დაესაჯოს.

— დასჯა როგორ შეიძლება. ყველა საგანში ხუთიანი პყავს.

— ეკლესიამ რა დააშავა. ღმერთს რად ემღერის! აქაოდა ჩვენი მამაო კეთილი კაციაო, თავზე დამასხდნენ. მაგრამ მე ვიცი მაგათი წამალი. მწკრივად დაეწყო და ისე წაეირკე ეკლესიაში. დამოკვიტ მუხლის თავები რომ გადაეყვლიფებათ, მერე ისწავლიან პყავს.

— ეგ შენი საქმეა, მამაო. — უთხრა მასწავლებელმა და თავი დაუკრა, ნახვამდისო.

მერხეულელი შეგირდი ფანჯარასთან იჯდა დედის გვერდით და დიმიტრი ბაქრაძის „საქართველოს ისტორიას“ კითხულობდა. ეს წიგნი ბიბლიოთეკის გამგემ დიდი ხეყწით მისცა. შენი საქმე არ არის, ჯერ პატარა ხარო...



მერხეულის თავშიმთელ იმ ნაკვეთს ახლა სკოლა რომ ღვას და კოლმეურ-

ნეობის ხეზილი და იზაბელას მშვენიერი ვაზნარი ჭყვივის „პაელები“ ხიან. ეს ბედნიერი ნაფუქნარია, რომლის თვითველი ხე და ყლორტი ასე ძვირფასი და მშობლიურია.

აქ ხომ მან ტკბილი ბავშვობა გაატარა. კაკლის მალალი ხე, ბებერი თხილნარი და თხმელაზე გასული იზაბელა ღღეს მასზე ტკბილი მოგონებით სუნთქავენ.

— ამ ხეებს ენა რომ ჰქონდეთ, იცით რაებს გეტყვოდათ! — პოეტურად შენიშნა ბერიკაცმა — ზოგიერთი ჰადარი და ალვის ხე მისი დარგულია, ახლა ასე რომ ვაზრდილა. — მან ხელი მოიწირდილა და მალლა აიხედა. — ჰე ცამდე ასულან!

და ბერიკაცმა ღიმილითვე განაგრძო:

— ბავშვობიდანვე უყვარდა მას ალვის ხე და ჰადარი. აი რომ გაიზარდა, ჩვენი მფარველი გახდა, თბილისში ერთი კვირით სტუმრად ვეწვიე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ექვსი თვე არ გამომიშვა... ქალაქში სადაც არ მივიხედე, ყველგან ალვის ხე და ჰადარი შრიალებდა. მაშინ ახალი დარგულები იყვნენ. ახლა როგორ არიან ნეტავი? — იკითხა მან, მაგრამ თვითონვე ჩაილაპარაკა: — ისინი დაიზრდებოდნენ და რა აჯობებს მათ შეხედვას. ხე მალე იზრდება, ბაბუა!

კოლმეურნეობის კანტორის მარცხნივ, მაღალ გორაზე ძველებური თდასახლი ღვას. მის ფართო ფანჯრების შინებს მზე აფერადებს. აივანზე თბილასკამზე ზის თეთრწვერულვამ მოკლეშეკრევილი, ყაბალახით თავწყარული ბერიკაცი და გრძელტარიან ჩიბუხს ეწვივა. მივადეჭი თუ არა ჰოსკარს, იგი უცებ წამოხტა. მობრძანდითო მაშინვე დაიმაბა და ღიმილით შემომეგება. აღმართზე ამოსვლით გული ამომიჯდა, ძლივს ვსუნთქავდი.

როცა ის ვახსენე, მას უწამწამო, ღრმად ჩაცვენილი თვალები სიხარულ-

ლით აუციმციმდა და ცივი ხელი ხელზე მაგრად მომიჭირა, რითაც თითქოს უნდოდა ეგრძნობინებინა; აი რა ღონიერი ვარო.

ეს კაცი ვახლავთ ნიკო კვიციანი, რომელმაც ერთ საუკუნეს უკვე გადააბიჯა და ახლა მეორე საუკუნის პირველ წლებს უმკლავდება.

— რანაირი ხართ ახლანდელი ახალგაზრდები! — გაიკვირვა მან. ამ მდღობზე ამოსვლამ ჩემო ბაბია, ასე როგორ დაგვალა! ეს ასი წელიწადია ამ გზას ვცვეთავ, მაგრამ ჰაი დედას! დალლა და ოფლი რას მიჭეია?

მშით გამთბარ აივანზე რომ დავსხედით, ბერიკაცმა ისე განაგრძო:

— თოხმა დამაძაბუნა ბაბა, თორემ ჩემი გულის პატრონთან სიბერეს რა უნდოდა!

მართლაც, მისი კეთილი გულის, პურმარილისა და შრომის-მოყვარეობის ამბავი მერხეულის იქეთაც ცნობილია. თოხმოცი წლის წინათ პავლე ბერიასთან ერთად დაჰკრა მან ბარი მერხეულის მიწას! მაშინ სასიძო ვაჟაკი იყო, დრო თავისას ითხოვდა. კერია გააჩალა და ბინა გაიჩინა.

მერხეულში ათი მოსახლე იყო, ახლა ათჯერ ასია და კიდევ მეტი.

ამ პირველ მოსახლის ოდიდან მთელი სოფელი, ვით ხელის გულზე, ისე ჩანს.

ნიკოს ბუხარი გულჩათბობილი არასოდეს არ ყოფილა, მუდამ გუგუნებდა. თუთის ხის კუნძებს ტყავატყუცი ვაუდიოდა. ოთახში საამური სითბო იდგა, თავათ სკამ-ლოგინზე წამოწოლილი იყო და ზღაპარს ამბობდა. მის წინ პატარა ყმაწვილი იჯდა, რომელსაც სოხუმის საქალაქო სასწავლებლისათვის ამზადებდნენ. მეცადინეობას მორჩებოდა თუ არა, მაშინათვე ბიძია ნიკოსთან გაჩნდებოდა და მის გრძელ ზღაპრებს სულგანაბული ისმენდა.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ნიკო იმ ტკბილ ქართულ ზღაპარს დღესაც საოცარი მონდომებით უსმენდა. მაგრამ ზღაპარზე უფრო მეტი სინამდვილე ახსოვს...

მასთან საკმაოდ დიდხანს ვისაუბრე. მზე ზღვისკენ გადაიხარა თუ არა, მაშინვე დაღამდა. აივანზე ელემტრო-შუქმა ითქრიალა, აცივდა. ჩემს გამოსამშვიდობებლად ვაწვდილ ხელს ნიკომ ხელი მოუჭირა და მობუბუნე მშით მითხრა:

— ჩემს სახლში მისი სახელი ახსენოს ვინმემ და არ დავილოცო, ისე როგორ იქნება! მობრძანდით.

ნიკო კვიციანი სუფრის თავში დაჯდა, ძველებურად ყაბალახი მხარზე გადაივლო და თავისი ქვევრის იზაბელა კიჭაში აახმინა.

— მე გაჭირვების მეტი რა მინახავს. ვინ იცის რამდენი ომი გამომივლია და გლებთა აჯანყებებში ფიწალი ამიღია. სიკვდილს ბევრჯერ შევხვედრე, მაგრამ არ შემშინებია. არც სიცოცხლეს ვეჭიდები მაინცდამაინც, მაგრამ ჩენი ელსადგურის გვერდით მას რომ შევხვდი, დავიბენი. სულწაწყვედილი გერმანია აგერ იმ მთას აწვებოდა და ამ დროს ჩემი ლავრენტი აქ, მერხეულში!

— ხომ არ გეშინია, ბიძია, — მკითხა მან.

— მე რისი მეშინია, შვილო, მაგრამ შენი ჯავრი მკლავს. მტერი აქ არის, სროლაც ისმის...

მას გაეცინა და მხარზე ხელი დამადო; ჩვენები ისერიან, ნუ გეშინიათო.

იმ ბედნიერ დღეს ერთი საუკუნის სიცოცხლე კიდევ მომემატა. ბერიკაცმა კიჭა ასწია და ომახიანად შესცაბა:

— მას გაუმარჯოს!!

შუალამე დიდი ხნის გადასული იყო. მერხეულის განთიადს მტრედისფერი ფრთები გაეშალა.

თენდებოდა.

## ნათელი ღვევა



დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ნათელა პარტიის რაიონულ კომიტეტში შევიდა. ის ღვევადა, გამოძახების მიზეზი არ იცოდა. მორიდებულად შეაღო რაიკომის მდივნის ოთახის კარი.

— მობრძანდით! — მიეგება მას რაიკომის მდივანი. ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამოართვა, თავაზიანად მიუთითა სკამზე. როდესაც ქალს ღვევა შეამჩნია, უხერხულობიდან გამოსაყვანად გულბობილად გაუღიმა. მერე მაგიდის ჯვრაში ქალაღღების ჩაწყობა დაიწყო, თითქოს ამით ქალს დამშვიდება დაეცადო.

ნათელა შესცქეროდა ოღნავ თავდახრილ შუა ხნის კაცს, ცდილობდა კავგო მისი განწყობილება.

რაიკომის მდივნის გამომეტყველებამ და ამხანაგურმა მიღებამ ნათელა გაამხნევა. ცუდი ამბავი რომ იყოს, ასე არ მიმიღებდაო. გაიფიქრა ქალმა. იცის ნათელამ, გულკეთილი კაცია მათი რაიონის კომიტეტის მდივანი, მაგრამ ამავ დროს მკაცრიც არის, მეტადრე მამონი, თუ რომელიმე მუშაკი ცუდი მუშაობისათვის გასაკიცხი ჰყავს.

— თქვენ „სტალინის“ სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობთ? — ხმადაბლა და ისევ ღიმილით წამოიწყო რაიკომის მდივანმა.

— დიახ.

— როგორ მიღის თქვენი საქმეები, ღვევებს ასრულებთ?

— კარგად. თუ გვალვამ ხელი არ შეგვიშალა, გვემებს კიდევაც გადავიკარებთ.

— ამხანაგო ნათელა, ალბათ გეცოდინებათ, რომ თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე სხვა სამუშაოზე გადაგყვავს, — განაგრძო რაიკომის მდივანმა უკვე სრული სერიოზულობით და მისთვის ჩვეული სიღინჯით, — თავმჯდომარის ადგილზე კი სასოფლო საბჭომ თქვენ დაგასახელათ.

ნათელას სახეზე აღმური მოედო.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარე?

— დიახ, თავმჯდომარე.

— მეტად საბასუხისმგებლო სამუშაო იქნება ჩემთვის!

— კომკავშირელს მუშაობის არ უნდა ეშინოდეს! —

ნათელამ თავი დაბარა. ხშირად ახამხამებდა გრძელს შავ წამწამებს. ამ წამწამების ქვეშ უციმციმებდნენ გიშერივით შავი თვალები. რაიკომის მდივანმა შეამჩნია, რომ ქალი ღვევადა და კვლავ ხმადაბლა განაგრძო:

— ნუ ღვევთ. მე ვიცი, კარგი მუშაკი ხართ. გარდა ამისა თქვენ ხშირად თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებთ, არა?

— დიახ, ძალიან ხშირად.

— კოლმეურნეობის ფართობებსაც იცნობთ!

— ყველა ნაკეთეს! — ნათელას სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მის გულში მოულოდნელობით შექრილმა შიშმა ახლა გზა დაუთმო სხიარულს და იმ



მისწრაფებას, რომ ხელმძღვანელის იმედი გავმართლებინა. რაიკომის მდივნის დაკვირვებულ თვალებს ეს არ გამოჰპარვია.

— მე იმედი მაქვს, რომ თქვენ გამართლებთ პარტიის ნდობას. წადით კოლმეურნეობაში და მოაწესრიგეთ ის, რაც ამდენხანს გებარათ.

ნათელა უკვე ადგომას აპირებდა, მაგრამ მდივანმა საუბარი განაგრძო:

— თქვენი კოლმეურნეობის ფართობებს ხანდახან წყალდიდობა ზიანს აყენებს, არა?

— დიახ, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ნათესები გაუფუჭებია.

— მაგასაც ეშველება. ამ ხუთწლეულში გათვალისწინებულია ცხენისწყლის სანაპიროების ქვითყირის ჯებირით გამაგრება.

— მუშაობა უკვე დაწყებულია, კოლმეურნეები დიდს მონდომებით შრომობენ.

— ეს დიდი საქმეა, რომ ასეთ ახალგაზრდა ქალს კარგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელად მოგიხდებათ მუშაობა.

— არ ვიცი, როგორ მოვერევი ამ საქმეს, — ეცდები გავმართლო თქვენი იმედი. — უპასუხა ნათელამ და დაემშვიდობა.

ნათელამ ჩაფიქრებულმა ჩაიარა, კიბეზე.

— მაშ, ასრულდა შალვას ნათქვამი, კიდევ გადაიდო უმაღლესში ჩემი წასვლა! — თავისთვის წარმოსთქვა მან. მის თვალწინ ელვასავით გადაიბრინა ორი წლის წინათ განვლილი ცხოვრების სურათებმა. აი, აგროტექნიკუმის დიდი ენა, ასწლოვანი ხეების ხეივანი, ხეხილთა ქვეშ დადგმული გრძელი სკამები. მოსწავლეების სიცოცხლით სავსე ერთბაშად უკანასკნელი გამოცდების მოლოდინში. და სწორედ ამ დროს მისკენ მიმართული შავი თვალები. ეს თვალები მას დიდი ხანია მოსვენებას არ აძლევდნენ.

თვალწინ წარმოუდგა თავის სკოლის ამხანაგი შალვა, ექვთიშვილი. მას დღედაღამ თავს დასტრიალებდა სხვა რაიონიდან იყო. ნათელას ყოველ დილა უხდებოდა მის კარზე გავლა. შალვაც ელოდებოდა მის ჩამოვლას.

ნათელა ამ თვალებს ყოველთვის არიდებდა თავს, მაგრამ ისინი სულის სიმშვიდეს ურღვევდნენ.

ამხანაგებთან ლაპარაკში გართული ნათელა თავს ისე იჭერდა, თითქოს ვერ ამჩნევდა მისკენ მიპყრობილ თვალებს, ხანდახან ვერც თვითონ ითმენდა, თვალს გადააქვებდა შალვას გრუნა თმებსა და მაღალ შუბლს. რაღაც უცნობი ძილა იპყრობდა ნათელას ასეთ წუთებში. მაგრამ ვანა მარტო ცქერას აკმარებდა ვაეი? ხან დიდი ყურადღებით ეცქეროდა, ხან არც შეხედავდა, ბოლო ხანებში კი ხშირად ეუბნებოდა: გამოცდებს დავამთავრებთ, უჩვეულო რამეს გეტყვიო. ახლა ნათელას ისიც მოაგონდა, რამდენი უფიქრია იმაზე, თუ რას ეტყოდა შალვა. გული კი გრძნობდა იმას, რასაც პირველი სიყვარულის გრძნობა იწვევს. მიდიოდა ნათელა და განაგრძობდა წარსულზე ფიქრს: როგორ გამოუცხადა სიყვარული, თვითონაც რცხენოდა, ბავშვივით ლღღღღებდა, ცოლობას სთხოვდა. მისი ფიქრით, იმავე დღეს ხელი უნდა მოეწერათ. უმაღლესში ერთად უნდა წასულიყვნენ, მაგრამ მას შემდეგ, აი, ორი წელი გავიდა. ნათელაც მუშაობდა კურსზე იქნებოდა. მაგრამ, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მისი უმცირესი დამა როგორ მიეტოვებინა. თითქოს შალვა ახლაც ჩასძახოდა ყურში:

— შენ უმაღლესი სასწავლებლის კარებს ვერასოდეს ვერ იხილავ, მუშაობა და ოჯახი ჩავითრევს!

ნათელამ მაშინ არ დაუჯერა, მუშაობა დაიწყო. ახლაც, ამ შემოდგომიდან აპირებდა თბილისში წასვლას. უმცროსი დამა ლენა და ქიქიკო ოჯახს მიხედავდნენ, შემდეგ კი უმაღლესს რომ

დაამთავრებდა, გულის საწადელსაც აისრულებდა. მაგრამ ჩაიფიქრა მისი პირადი გეგმები.

— არაფერია, გაიფიქრა ნათელამ, — სწავლასაც მოვესწრები, ასე სჯობს.

ნათელას თვალწინ ედგა შალვას სწორი სახე, ოდნავ მოკუმული ბაგეები, რომელსაც შავი ბუსუსები შეპფენოდა. ახლა დავაუკაცებელი იქნება, ის ხომ ჩემზე ორი წლით უფროსია. მოენატრა ამ წუთს შალვასთან საუბარი. გაახსენდა შარშანდელი ზაფხული, როდესაც შალვა შორი სოფლიდან ესტუმრა მას. რა ბედნიერი დღეები იყო. შალვა ბევრეფიფთ ეთამაშებოდა ნათელას უმცროს დამას. ამ მოგონებებმა კიდევ უფრო ააღელვეს ნათელა.

— ნუთუ ეწყინება, ჩვენი დაქორწინება ერთი წლით კიდევ რომ გადავლოთ? მით უმეტეს ასეთ საპატიო სამუშაოზე მიშვებენ. — ფიქრობდა ნათელა.

მერე მომავალ მუშაობაზე გადაიტანა ნათელამ თავისი ფიქრი. გაითვალისწინა ყველაფერი, რაც კოლმეურნობაში გასაკეთებელი იყო. „არა მგონია შალვამ ამ საქმის ლალატი მომთხოვოს, მაშინ ხომ გაითიშა ჩვენი გზები?“ — ნათელამ ღრმად ამოიხსრა, წიგნის მალაზიისაკენ გასწია. როდესაც რაიონის ცენტრში მოხვდებოდა, ის მუდამ ყიდულობდა ახალ წიგნებს. სანამ მალაზიამდე მივიდოდა, ფიქრი ფიქრს სცვლიდა. სწრაფად, ელვისებურად გადაიქროლა მოწაფეობის ხანამ, სასოფლო საბჭოში მუშაობამ. შემდეგ წარმოუდგა დღევანდელი დღე, მდივნის დამაჯერებელი საუბარი. ახალი ნაბიჯი უნდა გადაედგა მას ცხოვრებაში და ეს კიდევ აშინებდა და კიდევ აბარებდა ნათელას.

კოლმეურნეთა საერთო კრებაზე ნათელა თავმჯდომარედ აირჩიეს. მხნედ შეუდგა მუშაობას. ბევრი რამ იყო გა-

საკეთებელი: კოლმეურნეობას კარგ-რისათვის შენობა არა ჰქონდა, არც ბელელი გაანდათ, რის გაყვლა-ჩვენება ბული ხდებოდნენ კოლმეურნეთა სასიმინდეებში ჩაეყარათ კოლმეურნეობის სიმინდი, რაც დიდ უხერხულობას იწვევდა. ბოსელიც დანგრეული იყო. ხენათესვის დაწყებამდე თითქმის სამი თვე იყო, გამგეობის პირველსავე კრებაზე ნათელამ გამოჰყო საამშენებლო კომისია, რომელსაც ეს საქმე უნდა მოეგვარებინა. მთელი სოფელი შემოიარა ნათელამ, რომ ვაეგო, სად შეიძლებოდა ხე-ტყის მასალის შექენა.

— ვერა, ბიძია, ჩვენ ვერ ვაუქმლებთ ამდენ ხარჯს. ნუ ჩქარობ, ყველაფერი ერთად არ ვაკეთდება, — ეუბნებოდა მას მოხუცი ბიძა ზოსიმე.

— ავიტანთ, შევძლებთ, შემოსავალს გავადიდებთ. კარგი საქმის ვაკეთებაში ყველა დაგვეხმარება.

— არავინ არ დაგეხმარება, ბიძია, დიდს მოინდომებ, პატარასაც ვერ ვაკეთებ!

ნათელა მოხუც ბიძას არ უწყობოდა, მხოლოდ ელაიმებოდა მის შენიშვნებზე.

— ბიძაჩემო, შენ მშვიდად იყავი, ვერაფერი ხელს ვერ შეგვიშლის.

— ვააკებინე ახლა ამას, — ეუბნებოდა იქვე მჯდომ მეზობელს ზოსიმე, — მამამისიფით ჯიუტია ეს დაღუპული, არაფერს გვიგონებს!

ნათელაც გეგმების გაცნობის შემდეგ ხშირად ჩაფიქრებულა. დიდი მუშაობა მოელოდა კოლმეურნეობას, ეს გეგმები შარშანდელს აღემატებოდა. მაგრამ ნათელა ახალგაზრდა იყო, გული ვრჩოდა, იმედით აღსავსე იყო.

— ცოტა უფროსებსაც დაგვიჯერე, თორემ ხალხი გაუმაღურდება, ამდენ შრომას თავს დაატებს, ყანები ხეირიანად არ დამუშავდება, მოსავალსაც იმ-

დღეს ვერ გაანაწილებ, რამდენიც შარშან დარიცდა.

— ბიძია, ზოსიმე, ამხანაგებს გულს ნუ უტეხ, სიმინდსაც შარშანდელზე მეტს დაეზარებო, ხალხიც კმაყოფილი იქნება, როდესაც თავის ნაშრომს დაინახავენ.

ერთი კვირის შემდეგ კანტორისთვის ნაყიდი სახლი მოიტანეს. მშენიერი შენობა იყო, ორსართულიანი. ქვედა სართულში საწყობი გამართეს, ზედა ოთახები სამუშაოდ გამოიყენეს. დარბაზი გრძელი სკამებითა და მაგიდებით მორთეს. თვითონ ნათელამ დაჰკიდა კედლებზე ბელადებისა და მათი თანამებრძოლების სურათები. კომკავშირლებისათვისაც ცალკე ოთახი გამოჰყო. პირველსავე დღეს პატარა სამკითხველო ჩაისაბა. წიგნები და ჟურნალ-გაზეთები მოიტანეს ნათელამ და მასწავლებელმა ნაზია დიგომაძემ. სამკითხველოზე განსაკუთრებით ნაზია ზრუნავდა. სანიმუშოდ აწყობდა ამ ოთახს.

— ხომ კარგია, ნათელა? — ეკითხებოდა ნაზია მის ოთახში მოსულ თავმჯდომარეს.

— მშენიერია, შეხედე ამას, მწერლების სურათებიც მოუტანია.

— მოვიტანე, მაშ, ჩვენი საყვარელი მწერლები, მარტო ჩვენ კი არა, დიდ ბელადსაც უყვარს.

ნათელა ათვალერებდა მწერლების სურათებს. მერე, როდესაც მაგიდაზეც შენიშნა პორტრეტები, ნათელამ ბავშვურად სთხოვა.

— ნაზო, შოთა, ილია და აკაკი რამდენიმე ცალი გჭონია, თითო ცალი მეც დამითმე.

— სიამოვნებით! — უპასუხა ნაზომ, მაშინვე აღჩია და შესთავაზა.

ოთახები მოაწყეს. მეორე დღეს უკვე ახალ შენობაში საერთო კრებას მტარებდნენ. კრებაზე მოსული კოლმეურნენი სიამოვნებით ათვალერებ-

დნენ ოთახებს. მოსწონდათ ყველაფერი ის, რაც ახალ თავმჯდომარეს გაეკეთებინა.

ბელლის აშენებას დიდი შრომა დასჭირდა. დროც ბევრი მოანდომეს. კოლმეურნენი ზურგს უკან ბუზღუნობდნენ: საშენი მასალის საზიდავად, რა დროს ხარების ხედნა არისო, სადაცაა ხენა-თესვა უნდა დაეწყეთო. ზოგმა ურჩია კიდევ, შეეწყვიტა ბელლის აშენება, მაგრამ ნათელა მათ არ აპყოლია. ბელლის აშენება მას ხენა-თესვის დაწყებამდე უნდოდა მოეთავეზინა. ის შორიდებულად, მაგრამ გადაწყვეტით ეუბნებოდა ხანში შესულ კოლმეურნეებს:

— კედლები აშენებულია, ასე მიტოვება არ შეიძლება. გაზაფხულის წვიმა კედლებს დააზიანებს. ეს თქვენც უნდა გაუწუხებდეთ!

და რომ ნათელას თავის განზრახვა სისრულეში მოეყვანა, რაიონში წაგოდა, იქ მანქანა იშოვა და ბელლის დასახურავ კრამიტს ორ დღეს ეზიდებოდა. ხშირად თითონაც დაჰყებოდა მანქანას, თვალეები სიხარულით გაუბრწყინდა, როდესაც სახურავის მასალა კოლმეურნეობაში ამოიტანა. მეორე დღესვე შეუდგნენ ბელლის დახურვას. ესეც დაამთავრეს. მხოლოდ იატაკი არ იყო დაფენილი და კედლები ამოტიხრული. გამგეობის სხდომაზე ბევრი იმ აზრის გახდა, ეს სამუშაოც დაემთავრებინათ.

მაგრამ ახლა უკვე ნათელა წაეიდა წინააღმდეგი.

— არა ამხანაგებო, ეგ ბელელი მხოლოდ შემოდგომაზე დაგვჭირდება. მაგის დროს ან თესვის შემდეგ გამოვძებნით, ან პირველი თოხის შემდეგ. ახლა ჩემის აზრით სხვა სამუშაო გვაქვს. საღორეები უნდა შევაკეთოთ.

ამის გაგონებამ მთლად ააშფოთა ზოგიერთი კოლმეურნი.

— ეს კიდევ რა გამოიგონე, შე დამოცილო, — შეეკამათა ბრიგადირი

პეტრე, — მაგ საღორე ზომ სხვა აღ-  
გოლზეა გადასატანი? ბარემ მაშინ გა-  
ვაკეთოთ.

— გადასატანია, მაგრამ ახლა გადა-  
ტანის საშუალება არა გვაქვს. შეუყე-  
თებელი რომ დავტოვოთ, გაზაფხულის  
წვიმებს ვერ გაუძლებს, დაინგრევა.

ბარემ ბოსელიც ვაგაკეთოთ, ვა-  
შენოთ და ვაშენოთ. ზენა-თესვა მთლად  
მევატოვოთ! ალბათ ასე ფიქრობთ, ამ-  
ბანაგო თავმჯდომარე? — გაცხარდა  
პეტრე.

— თქვენს მიერ მიღებული და რაი-  
ონთან შეთანხმებული გეგმა უნდა შე-  
ვასრულოთ. ზენა-თესვასაც მოვასწ-  
რებთ. საღორის შეკეთება ზუთ კაცს  
ზუთ ღლეს წაართმევს, რაც შეეხება  
ბოსელს, ახლა არ ვფიქრობ ამის აშე-  
ნებას. გაზაფხულია, პირუტყვი იალალ-  
ზე იქნება, ღამეც თბილა, მით უმეტეს  
ბზობივ წამოიზარდნენ. ოღონდ ძალი-  
ან საჩქაროდ გვეირდება ინკუბატორის  
ღუმელების მასალის დამზადება, მალე  
რაიონიდან სპეციალისტს გამოგვიგზავ-  
ნიან. ყველაფერი მზად უნდა დავაზ-  
ვედროთ.

ინკუბატორის ამბავმა გამგეობის  
წევრები და კოლმეურნეები მთლად  
აღელვა: ამ გოგომ ეს რა უბედურება  
დაატრიალაო — გაიძახოდნენ ერთმა-  
ნეთში. ზოგიერთები სიცილით ჩაურ-  
თავდნენ ზოლმე:

— არ გამოჩეკავს, ღუმელში დაბა-  
ღებული წიწილები არ დაიზრდებიან!..

ნათელამ განსაკუთრებით ქალებს  
სთხოვა — გვერდში ამოსდგომოდნენ.  
მასწავლებლები და დისახლისები სო-  
ფელში დავალებით გაგზავნა, თვითო-  
ნაც ბევრი იარა ქათმებისა და კვერც-  
ხების შესაკრებად. აქაც თავისას მიაღ-  
წია ნათელამ. შემდეგში ინკუბატორით  
გამოჩეკილი ფერადფერადი წიწილე-  
ბით სავსე ეზოში სიამოვნებით დადი-  
ოდნენ კოლმეურნენი და ნათელას მად-  
ლობას ეუბნებოდნენ.

— აი ზენა-თესვაც დაიწყეს. სხვა საქმი-  
სათვის აღარავის ეცალა. წინსწარმ რომ-  
ონში სასუქის ჩამოსატანად ურმები  
გაგზავნა. შეუფერხებლად ვზიდებოდ-  
ნენ სასუქს, ხნადნენ და იქვე შეპკობ-  
დათ სინოყიერე ხნულებში.

ერთ ღლეს ნათელას თავისი მასწავ-  
ლებელი მეტი შეხვდა. მეტი მთელს  
რაიონში საუკეთესო მეფუტკრედ იყო  
ცნობილი.

— ძალიან გამეხარდა, თქვენი ნახ-  
ვა! — შეგება ნათელა თავის ყოფილ  
მასწავლებელს.

— მეც ძალიან გამეხარდა, ჩემო ნა-  
თელა, მით უმეტეს, რომ ბევრი კარგი  
მესმის შენი მუშაობის შესახებ. მას-  
წავლებლისათვის იმაზე მეტი ბედნიე-  
რება რა უნდა იყოს, როგორც ყოფილი  
მოწაფის კარგი სახელის გაგონება?! —

უხერხულობა იგრძნო ნათელამ ქე-  
ბის გაგონებაზე.

— ბევრი სასრომი გვაქვს წელს.  
ძლიერ ბევრი სამუშაო დაგროვილა  
კოლმეურნეობაში. ვცდილობ ყველა-  
ფერი ვაკეთოდე. არაფერში ჩამოერ-  
ჩეთ. — უპასუხა ნათელამ, — თქვენთან  
საქმე შეონდა, თქვენი რჩევა-დარიგება  
მინდოდა, ვერ მოვიცალე, მოვსული-  
ყავი.

მეტი დაკვირვებით უყურებდა ნათე-  
ლას მართლაც ნათელ სახეს და თან  
ფიქრობდა, თუ რა საქმე უნდა ჰქონო-  
და ამ გოგოს მასთან. ზუთი წელია მას  
შემდეგ, რაც ნათელამ შეიღწეული  
დაამთავრა. მეტი ბუნებასა და გეოგრა-  
ფიას ასწავლიდა მას. თელწინ წარ-  
მოუდგა კულრაქა გოგონა. უკვე ხანში-  
შესულ მასწავლებელს მუდამ მოკრძა-  
ლებით უყურებდა ნათელა. მის გაკვე-  
თილებს განსაკუთრებული ყურადღე-  
ბით ეკიდებოდა.

— მაინც რა გინდოდათ, ახლა ვერ  
მეტყვიო?

— ერთი აზრი მოსვენებას არ მაძ-  
ლევს, თქვენისთანა გამოცდილ მეფუტ-

კრეს იშვიათად შეხვდება კაცი. კოლმეურნობაში ხართ და ჩვენ არ გვეხმარებით. ჩვენი მეფუტკრეობა კი საცოდავ მდგომარეობაში იმყოფება. უნდა დაგვეხმაროთ!

— დიდი სიამოვნებით, რითაც შეგიძლია!

— თქვენ ბევრი რამ შეგიძლიათ. განა ტყუილად გაგრჯით, შრომადღეები დაგწერებთ. ახლა თუ არ შეგეზარებათ. ის რამდენიმე სკა ნახეთ, რომლებიც ეზოში გვიდგას. თვით დარწმუნდებით, თუ რა საცოდავად და რა მოუვლელნი არიან. მალე ფუტკარი იყრის, ჩვენ კი არაფერი არა გვაქვს მომზადებულთ.

გულთბილ საუბარში კანტორის ეზოში შევიდნენ. მექიმ ფუტკრის ოჯახებს მიამურა. გულმოდგინედ დაათვალიერა ისინი. წასვლის დროს ნათელას დაუბარა, რა ზომები იყო საჭირო მეფუტკრეობის გასაუმჯობესებლად. ურჩია, მეორე უბანში მცხოვრები მოხუცი მეფუტკრე ბესო გამოეყენებინა. მართლაც, რამდენიმე კვირის შემდეგ კანტორის ეზოში ყვაილოვან ხეივანში უხვად ჩამწკრივდნენ კოლმეურნეობის მიერ შექმნილი სკები. ფუტკარს ყრა საიმედო პირობებში დაეწყო.

კოლმეურნეობის წევრები და განსაკუთრებით ქალები ნათელას მხარში ამოუდგნენ. თანაგრძობით გაიმსკვალნენ მისი საქმიანი მუშაობისადმი. ყოველი მიღწევა ახარებდა ნათელას, მაგრამ სიმშვიდეს მაინც ვერ გრძნობდა. დარდი აწვა მის გულს, ფიქრობდა: რატომ არა მწერს შალვა, ნუთუ გული შეეცვალა? დიდი ქალაქია თბილისი, ბევრია ჩემზე ლამაზი ქალიშვილი.. აბა, მას რა მიზეზით აეხსნა წერილის მოუწერლობა?.. ოთხი წერილი მიეწერე, ისე ნაბიჯი არ გადამიდგამს, ჩემი მისწრაფება და სურვილები რომ არ გამეზიარებინოს. მხოლოდ ერთი მოკლე წერილი გამოიმეტა, ისიც ცივი. ის

გულმოსული სწერდა: „შენი საქმე შენ უფრო იციო“. რის შემდეგ ჩვენი საქმეები? არ დადებენ კანტორაში, მაგრამ ის მაინც არ მოდის..

მწარე ფიქრები მოსვენებას არ აღეგდნენ ნათელას, ის ბედნიერებას მხოლოდ მუშაობაში გრძნობდა. იმდენი საქმე ჰქონდა, ვერც კი იცლიდა პირად გრძნობებს ხანგრძლივად მისცემოდა. მხოლოდ ღამით, ძილის წინ, როდესაც სასთუმალზე მისდებდა თავს, თვალწინ წარმოუდგებოდა შალვა, სამდურავით შეხლავდა, წუთით ფიქრში გამოესაბრებოდა და მთელი დღის მუშაობით დაღლილს ჩაეძინებოდა.

იმ წელს ცხელი ზაფხული იყო. ნათელა საღამოობით კოლმეურნეობის კანტორაში მუშაობდა. მას ყველანი შემოეცლებოდნენ ხოლმე. მხოლოდ თვითონ რჩებოდა შუალამემდე. ნათელას უხაროდა კიდევ მარტო დარჩენა. უფრო ნაყოფიერად მუშაობდა.

ერთ ღამეს ჩვეულებრივად მარტო მიდიოდა შინ. მის სახლამდე თითქმის ერთი კილომეტრი იყო. სოფლის თემშარა და თემშარაში შემავალი შუკები სიბნელეში თეთრად ქათათებდნენ. ეზოებში ჩამწკრივებული თელებისა და ქაღრების ჩრდილი თემშარას ქარგავდა ზოგან ფოთლებით, ზოგან ფოთლებს შუა ჩამოჭრილი მთვარის შუკით. აქაიქ სახლებიდან სინათლე მოსჩანდა, მაგრამ ეს სინათლე მაინც უფერული იყო შუალამის კაშკაშა მთვარესთან. სრული სიწყნარე იყო, ძაღლის ყეფაც კი არ არღვევდა სიმშვიდეს. ტკბილად და სასიამოვნოდ სწვდებოდა ნათელას სმენას წისკვილის ხმაური, და წყლის ჩხრიალი.

ნათელას ბავშვობიდან უყვარდა წისკვილი. ახლაც წისკვილისაკენ მიმავალ გზას ვაპყვა, იმ გზას, რომელიც იმავე დროს დიგომადის სახლისაკენ მიდის. წისკვილის წინ, მინდორზე, დიგომადის ოღესლაც კაკლისა და თუთის ხეები

დაერგო. ქვეშ გრძელი სკამები იყო მოწყობილი. საღამოობით აქ ხშირად იკრიბებოდნენ ახალგაზრდები, ცეკვა-სიმღერით ერთობოდნენ, ხოლო ხანში შესულნი ამ სკამებზე სხდებოდნენ, ახალ ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს.

დიგომადის სახლის ფართო აივანი და სახლის წინაბირი ამაყად ვადმო-პყურებს ქვემოლ გაშლილ ყვავილნარს და შიგ უხვად ჩარგულ დეკორატიულ ხეებს. დაშლილია ხეივნები. გზაზე ბა-ლახი ამოსულა, ეტყობა პატრონის ხე-ლი დაკლებია. მხოლოდ ორად გაყოფილ უზარმაზარ ხეს არ უღალატნია ჩვეულებისათვის, თავისებურად ვად-უშლია ფართო ტოტები. ის სავსეა ჩი-ტების ბუდეებით. ამ ხეს მუდამ ფუტკ-არივით ესევინ ჩიტები. დიგომადის დაუძღურებული მეუღლე დაგლეჯილ სავარძელში ზის და თავისი ოდესღაც მომზიბლავი თვალებით შესცქერის ამ ჩიტებს, მარტოდ დარჩენილი, მხოლოდ და მხოლოდ მათი ელურტულით იტკ-ბობს მისუსტებულ სმენას.

— ესენი არიან ჩემი ერთგული მე-გობრები, — ეუბნება ის მასთან შემო-სულ მეზობელ ქალებს, — ყველას და-ვაიწყყდი, არავინ მნახულობთ. მთელი დღეები მარტო ვარ. უფროსი ქალი თავის ქმარ-შვილშია, არც იმას სცა-ლია ჩემთვის. ცხრა მამაკაციდან ერ-თადერთი შვილი დაკინკილობს, ისიც ქალაქს ვერ შორდება — ასე სამდუ-რავით აავსებს ხოლმე მასთან შესულ რომელიმე მეზობელს და კვლავ გა-ჩუმდება, ვიდრე რამდენიმე დღის შემ-დეგ კვლავ ვინმე არ შეპყოფს მის ბი-ნაში თავს.

როდესაც ქალები შინ ბრუნდებოდ-ნენ, თანაგრძნობით ამბობდნენ:

— ნახეთ, მისი სახლის უკანა ნაწი-ლი მთლად ჩამოგრაყულია?

— როგორ არ ვნახე, კიბეს საფეხუ-რები ჩამტვრევია!

— მაშ რა დემარტებოდა, ამდენი შვილი ამოუწყდა და ვუჭყუჭუქაქქ ოჯახს.

ბიზუნიონთქა

ნათელაც ამ ოჯახზე დაფიქრდა, რო-დესაც თვალი შეავლო დიგომადის სახლს. მოაგონდა ბავშვობა. დედა ხში-რად დიგომადისთან გზავნიდა: — „ქალ-ბატონს სიცხის საზომი სთხოვეო, იქ-ნებ შეაწრიც გამოართუო!“

პატარა ფეხშიშველა გოგონა მიირ-ბენდა ხოლმე მათთან სიცხის საზომი-სა და შეჭრის სათხოვნელად.

ნათელას ეზარებოდა იქ მისვლა. თუმცა დიგომადის ქალიშვილები მისი ტოლები იყვნენ, გულს მაინც ვერ უს-წორებდა მათ. ფეხშიშველას, კაბა-შე-მოხეულს ერიდებოდა გარევა მათში, რადგან მათ თავიანთი კოხტად დაწნუ-ლი თმები დიდი ბანტებით ქჭონდათ შელამაზებული, ტანს კი მოხდენილად შეკერილი კაბები უმშვენებდათ. ეს გო-გოები ხან დედოფალასთან თამაშობ-დნენ, ხან კითხულობდნენ, ხან მღერო-დნენ. გაეღიმა ნათელას, როცა მოიგო-ნა თავისი ბუზღენი: — „დედა, იმათ-თან ნუ გამიშვებ, ნუ“!

ნათელა ფიქრებში წავიდა. დიგომა-ძეებმა დაკარგეს ძველი გავლენა. ნა-თელას მორიდებით და პატივით ექცევა მოხუცი ქალი. ქალიშვილები მეგობრე-ბი გაუხდნენ. ამ ფიქრებში წისქვილის სათავეს მიუახლოვდა. ხეების ძირში ორი მამაკაცი შეამჩნია, მათს გარეგნო-ბას ხეხილის ჩრდილი ფარავდა. საფტ-ვავის მომტანად ჩასთვალა ისინი.

ნათელამ მათ გვერდი აუარა, წისქვი-ლის თავთან მოაჯირზე ჩამოჯდა. გრი-ლმა ჰაერმა და წყლის წინწყლებმა გუ-ლი დაუამეს. თვალი გააყოლა ხის ღარს სადაც მჩქეფარე წყალი კალამოტით იზღუდებოდა, მისრიალებდა და ძირს ვარდებოდა, იქ კი, ბოძებს დატაკებუ-ლი, ზვირთებად იშლებოდა. საკუთარი ფიქრებით გართულმა ნათელამ ვერ შეამჩნია თუ როგორ მიუახლოვდა ის

ორი კაცი, რომელიც მან უყურადღებოდ დასტოვა. ერთი უკან რჩებოდა, ხოლო მეორე თამამად მივიდა მასთან.

— ხომ დაგიპირეთ, ქალბატონო? უკვე მეორე საათი დაიწყო და ასე გვიან აქ რად მოსულხართ? ალბათ პაემანი დაუნიშნეთ ვინმეს. მართალი სთქვით, ვის ელოდებით ამ შუალამისას, იქნებ ამ ვაჟს? — უთხრა მან ქალს და მიუთითა მის უკან მდგომ ვაჭზე.

ეს ვაჭი შალვა იყო.

ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, ნათელა დაიბნა, იცნო შალვა, შეკრთა, ხმა ჩაუწყდა, მაგრამ სულ მალე გონება მოიკრიფა და უკასხხა:

— მე არავის არ ველოდები, ლევან.

შალვამ ხელი გაუწოდა.

— ნათელა, ვერ მიცანი?

— როგორ ვერ გიცანი, ოღონდ სულ არ მოგელოდი. მივივრის!

— ნუ თუ ასე გასაკვირველია მეგობრებში სტუმრად მოსვლა?

— მოულოდნელად აქ როგორ გაჩნდი? შინ რომ დამხვედროდი, არ გამოვირდებოდა.

ძალდატანებით და უხერხულად ლაპარაკობდნენ. დიგომამე მიხვდა, რომ მხოლოდ უბრალო ნაცნობობა არ აკავშირებდა მათ. რომ ისინი უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანა, ხუმრობა გააგრძელა.

— ვიცო, პურშაფი ხართ აქაურები, სტუმარი არ გიყვართ, ეს ყმაწვილი ჩემი სტუმარია. სამტრედიიდან ერთად მოვდივართ, არ მოდიოდა, გვიან არისო, უხერხულეობდა შუალამისას თქვენთან მოსვლა, არ დავანებე, ძალით წამოვიყვანე, ამდამ ჩემთან დარჩება, ხვალ კი გზა ბედნიერი დამილოცნია.

— დიდათ გმადლობთ, ლევან, — უთხრა შალვამ, — თუ არ შეწუხდები მეც მაგრე მიჩვენია. ისინი ნელი ნაბიჯით წაივდნენ.

— კარგი ამბავია სწორედ, — სთქვა ნათელამ ლიმილით, — სტუმარი წამარ-

თვით, თან პურშაფი მიწოდით, მეც შევძლებ ერთ-ორ სტუმარს, კარგივე. ვცემ. — შესძლებო? შე დამხვედროდი აქაუ შესძლებ, შენ შესძლებ, რაც დიგომამეებს მამულ-დედული გააჩნდათ, სულ შენს ხელშია.

შალვა იღიმებოდა, მაგრამ მაინცდამაინც არ მოსწოდა თავისი შემთხვევითი თანამგზავრის სითამამე. ნათელაც უხერხულობას გრძნობდა.

— ხომ არ გიკვირთ, რომ ასე ვეთამამები თქვენს მეგობარ ქალს? — შეეკითხა ლევანი შალვას, — ნათელამ იცის მე ასეთი ხუმრობა მიყვება. ახლა თქვენ ნათელა გააცილეთ, მე აქ დაგიცდით. თუ ჩემთან წამოხვალთ, კარგი იქნება, არა და ნათელაც მოგასვენებთ.

— მე გამყოლი რად მინდა, განა შეშინია? — სთქვა ნათელამ. შალვას და მისი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, ერთმანეთის თვალებში თუ რა წაიკითხეს, ლევანი უთქმელად მიხვდა. ახალგაზრდებს თავი დაუჭრა და სიცილით დააყოლა:

— წადით, წადით, ბიძია, ხარჯი დიგომამეს და სიხარული თქვენ! გეყოსთ, რაც გაგიმასპინძლით. ხვალ შენთან ვსადაილობ, ნათელა.

— მობრძანდით, ძლიერ გვასიამოვნებთ, — მიამახა ნათელამ ლევანს.

ნათელა და შალვა ერთად გაეშურნენ. ისინი გზაში ხმაამოუღებელი მიდიოდნენ. ეზოში შევიდნენ, კიბე აიარეს. სტანჯავდათ ეს სიჩუმე. არც ერთი არ ფიქრობდა საუბრის დაწყებას, თითქოს მათ შორის სამდურავი რამ მომხდარიყო, მაგრამ ეს სამდურავი ხელს არ უშლიდა მათი გულის სიღრმეში ტკბილსა და მწვავე გრძნობის ლელვასა და სიხარულს. რამდენიმეჯერ სცადა შალვამ მოშველებოდა ნათელას კიბეზე ასვლისას, მაგრამ ნათელა წინ უსწრებდა.

ვაემა მისი მიკარება ვერ მოახერხა. კი-  
ბეც აიარეს, ქალმა კარი შეაღო. ნათე-  
ლას უმცროს დას ლენას სასადილო  
ოთახში სუფრა გაეწყო და თვითონ კი  
წიგნით ხელში წამოწოლილს, მოქარ-  
გული ბალიშებით და მუთაქებით გაწ-  
ყობილ ტახტზე ჩასძინებოდა. ხმაურზე  
გაღვიძა. პირველ წუთებში ნამძინა-  
რევა გოგონამ შალვა ვერ იცნო.

— გგონი შენც არ გინდა ჩემი ცნო-  
ბა. — მაშართა მას შალვამ.

ლენამ მაშინვე აღტაცებით წამოი-  
ძახა:

— შალვა, გენაცვალე! — ბევრი არ  
უფიქრია, გადაეხვია, გადაჰკოცნა.

ნათელა გაწითლდა, მისი დის გუ-  
ლუბრყვილო საქციელში გრძნობის გა-  
დაჰარბება დაინახა. ამ ქალიშვილს, რო-  
მელმაც საშუალო სკოლა ორი კვირის  
წინათ დაასრულა, გულწრფელსა და  
გულკეთილს, ჯერ ცხოვრება არ ჰქონ-  
და შეცნობილი. ყველაფერს გულუბრყ-  
ვილოდ უყურებდა. მან უცბად ახდა  
ფარცა მასზედ ბევრად უფროს და გა-  
მოცდილ ახალგაზრდების გულს, მათ  
დამოკიდებულებას გარკვეული სახე  
მისცა და მათ შორის შექმნილი უსია-  
მოუნების კვანძი ვახსნა. ორივემ იმ  
წუთშივე იგრძნო, რომ მათი სიჩუმე და  
გულჩახვეულობა ცრუ თემოყვარეო-  
ბის შედეგი იყო, რომელსაც ადგილი  
არ უნდა ჰქონდეს ჰეშმარიტ სიყვა-  
რულთან და გულწრფელ დამოკიდე-  
ბულუბასთან.

— მართალი გრძნობა ალაპარაკებს  
ლენას, — უთხრა შალვამ ნათელას და  
ლენას ხელი გადახვია.

ნათელა სიხარულით აღსაესე თვალე-  
ბით უცქეროდა შალვას.

— დიხ, გულწრფელობა ადამიანის  
მშვენიერი თვისებაა, მე ვიცნობ ამ  
ჰეშმარიტ გრძნობას, მაგრამ! — არ  
დაამთავრა ნათელამ თავისი აზრი.

ცივად მოხვდა შალვას ყურს ეს საყ-  
ვედური.

— «ეტყობა, მემღერის, არაფერი  
შევრიგდებით», — გაიფიქრა და ხელის  
დასაბანად ლენას აივანზე წაუყვანა.

— რატომ წერილს არ იწერებო-  
დი? — ხმადაბლა შეეკითხა ლენა შალ-  
ვას.

— განა აქ ვინმე სწუხდა წერილს  
რომ არ ვიწერებოდი?

— როგორ არ ვწუხდით. ნათელა  
არაფერს ამბობდა, მაგრამ ვატყობდი,  
ძლიერ ღელავდა.

შალვას გაეხარა ლენას ნათქვამი.  
მხიარულად გადახვდა დებს. სუფრას  
მიუხსდნენ, მადიანად შეექცნენ ვახ-  
შამს.

ნათელამ მიჯის საათზე დაიხვდა:

— სამის ნახევარია, შალვა, ნამგზავ-  
რი ხარ, დაღლილი იქნები. სად გირჩევ-  
ნია, მოგასვენო?

— აივანზე, ლენა, გენაცვალე. გა-  
რეთ დამიგე.

— მეც დაღლილი ვარ, თანაც აღრე  
უნდა ავდგე, — სთქვა ნათელამ და  
მართლაც ისეთი დაღლ იგრძნო, რო-  
გორც არასოდეს. ადგილიდან ვერ იძე-  
როდა.

ლენა ლოგინის გასაშლელად წავიდა.

— არაფერი არ გინდა მითხრა, ნა-  
თელა?! არა? კარგი, გადაგიხდი მე  
გულცივობას. — უთხრა შალვამ და მო-  
ულოდნელად ნათელას სკამის უკან  
მოექცა, მის სახესთან დაიხარა, თვა-  
ლებში ჩახვდა და შუბლზე ამბორით  
დაეწაფა.

ნათელა აენთო, ვაჟს თავი წაართვა,  
სკამის ზურგზე გასწორდა და ყრუდ  
წარმოსთქვა:

— რა ამბავია, არც შეკითხები მინ-  
და თუ არა შენი ამბორი?

— სიყვარული არავის არაფერს ეკი-  
თხება.

ამ დროს ლენა შემოვიდა. შალვამ  
ნათელას წყრომა შეატყო და რადგან  
ლენას გამო პასუხი ვერ გასცა, ლენას  
ბიძართა:



— ლენა, თუ შენს დას ჩემთვის საწოლი არ ემეტება, მე ეხლავე ლევან დიგომადესთან წავალ, ის კაცი მეპატივებოდა.

— წადი, რას გვამადლი შენს აქ ყოფნას! — წყრომით უთხრა ნათელამ, მაგრამ იმავე წუთში მისი სახე ნაზმა ღიმილმა დაჰფარა. როდესაც ლამაზი თეთრი კბილები ვარდისფერ ბაგეებში ვამოაჩინა, ღიმილი მის სახეზე მომხიბლველად აციალდა.

შალვა აივანზე გავიდა, მოაჯირზე ჩამოჯდა, ერთი ხელი სვეტს მოხვია და თუთუნი გააბოლა. კარგა ხანს განმარტოებით იჯდა მოაჯირზე მერე დაწვა და მგზავრობით დალიღმა მიიძინა.

ნათელასაც ძილი ერეოდა. შუბლზე ამბორი და ვაეის თვალებიდან ჩანათებული სხივი არ ასვენებდა. ტკბილი იყო ეს მოუსვენრობა.

„არა, — ფიქრობდა ის, — არა, ჯერ ხელს ვერ მოვაწერ, ამას დრო უნდა, სანამ შალვა სწავლას არ გაათავებს ასე ვიქნებით, შემდეგ კი ერთად ვიცხოვრებთ. არ დამითმობს? მაშ არ გყვარებებივარ“ და ნათელას ამ ფიქრში ჩაეძინა. მარწყვივით ბაგე ოდნავ გაღებოდა, თითქოს შალვას სახელს ძილში ჩურჩულებდაო.

დილით, როდესაც ნათელა აივანზე ეყბაკრეფით მიდიოდა, ძალაუნებურად მიიხედა შალვას საწოლისაკენ. უღარდელად გაშოლტილ ვაჟკაცს შავი კულულები ფართო შუბლზე ჩამოშლოდა, ვაჟკაციური, ძარღვიანი ხელები ოდნავ გაღვლილ მკერდზე დაეწყო. მზის სხივები სახეზე დაჰფენოდნენ.

ერთხანს უცქირა ნათელამ მძინარე ვაჟკაცს.

მერე საჩქაროდ კიბე ჩაირბინა და ჭადრებისაკენ გასწია. იქ კოლმეურნეებს უკვე თავი მოეყარათ.

წელს ახალი სამუშაოც დაემატა კოლმეურნეობას, ფართოდ გაიშალა ცხენისწყლის სანაპირო ჯებირის მშე-

ნებლობა. კოლმეურნეები აქაც გულმოდგინედ მუშაობენ, თითქოს მდინარეზე ჯავრს იყრიანო. გულზე მუშაველი არზი გაუთხრიათ საკოლმეურნეო ველებზე და თავიანთ ყანა-ბოსტნების მოსარწყავად მდინარისათვის წყალი წაურთმევიათ, მაგრამ ის მაინც შეუპოვარი ხმაურით მოაქანებს ზვირთებს, რომელთა შორისაც მთაში მოგლეჯილი დიდი შორები მოგრიალბენ.

— ბიძავე, — მიმართავენ კოლმეურნეები ახალგაზრდა ინჟინერს, მშენებლობის ხელმძღვანელს, — ჩვენს ძალას ნუ დაზოგავ, კარგად აგვიშენე ეს ჯებირი, ძველთაგან გვახრჩობს ეს დაუნდობელი მდინარე, მოგვივარდება, წაგვილეკავს ხოლმე ყანებს, ერთი ლაგამი ამოვდით მაგას!

— არაფერია, ავლაგმავთ, ამაზე უფრო ჯიუტი მდინარეებიც დაგვიმორჩილებია. სიტყვას გაძლევეთ ორ წელიწადში ცხენისწყლის სანაპიროს ქვითა და დულაბით ისე ამოუფსოთ პირი, რომ ერთი ძირი სომინდიც ვერ გაგიფუქოთ!

სამუშაოები განაწილებული იყო, მაგრამ ნათელა მაინც მიიჩქაროდა ჭადრებისაკენ. თვალყური უნდა ადევნოს სამუშაოებს, უნდა შეამოწმოს ყოველი უბანი.

კოლმეურნეობაში ექვსი ბრიგადაა. ყველა ბრიგადას მიჩენილი აქვს თავისი სამუშაო, მაგრამ ნათელამ თვითუფლი ბრიგადიდან თითო ახალგაზრდა გამოჰყო და ცხენისწყლის მშენებლობაზე გაგზავნა.

ნათელამ სახლისაკენ გაიხედა. ერთი წუთით შინ დაბრუნება გადასწყვიტა, ფიქრობდა: — კანტორაში მისვლა ადრეა, უხერხულია შინ არ გავიარო, შალვა გაიდვიძებდა, სხვა რომ არაფერი იყოს, სტუმარია.

დროებით ყველაფერი უნდა დასთმოს, განა ნათელას არ უნდა შალვასთან ვანუყრელად ყოფნა? მაგრამ იმავე

დროს ნათელა ხალხსაც უნდა ემსახურებოდეს. ნუთუ შალვა ერთ წელს მაინც არ დაელოდება? აბა, რა დროს გათხოვებაა? ახლა თჯახის ტვირთი რომ დაემატოს, ამდენ საქმეს თავს ვერ გაართმევს, სირცხვილს ნაბავს, არა, უნდა დავითანხმო. უნდა დამაცადოს! — ასეთი გადაწყვეტილებით სახლში დაბრუნებულ ნათელას შალვა და ლენა აივანზე შეეგებნენ.

— შენი დაბრუნების იმედი დამეკარგა! — მიმართა გახარებულმა ლენამ დას.

— გადაწყვიტეთ, ხაჰაურები უშენოდ გვეკეპა, შენ ზომ მუშაობის მეტი არაფერი გინდა და არაფერი გიხარია, — უთხრა მას შალვამ.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს.

— მაშ, ჩვენ მთლად ჩამოვჩენილვართ ცხოვრებას! — გაგვასწარი განა?!

— პირიქით, თქვენ გაგვასწარით. ჩემს ნათქვამსა და ნაწერს ყურადღების ღირსად არა სთვლიდი.

— როგორ?

— ხუთი წერილი გამოგიგზავნე, შენ კი მხოლოდ ორი სიტყვით მიპასუხე, ისიც უგულოდ.

— ჩემო ნათელა, მაშინ აღელვებულ ვიყავი. თავის შეკაეებას ვერ შევძლებდი, რადგან შენი ნაბიჯი ჩემს გეგმებს ანგრევდა. გულდაწყვეტილი ვიყავი. რასაც ვფიქრობდი, ყველაფერი რომ მომეწერა, ახლა აქ აღარ ვიქნებოდი, ეს ბედნიერება მომაკლდებოდა.

— კი, მაგრამ რით დავიმსახურე ასეთი სასტიკი საყვედურები? ნუთუ ის არის ჩემი დანაშაული, რომ ჩემი მშობლიური სოფლის, ჩემთვის ძვირფასი კოლმეურნიობის კეთილდღეობის საქმე მომანდეს?!

— განა მე წინააღმდეგი ვარ?! გული იმან დამწყვიტა, რომ შენ არც მეგობრობა მიჩვენე, არც სიყვარული.

— როგორ. მე უმეგობრობა გამოვიჩინე? — და ქალს ცრემლები მოეხვი-

ნა: ყელში. — მე მაკლია მეგობრობის გრძნობა შენდამი?

— ასე მომეჩვენა. წინააღმდეგობრივი მომწერე, რომ კოლმეურნიობის თავმჯდომარედ ავირჩიეს. მე ვხლაც არ ვიცი, როგორ არის ჩვენი საქმე.

— როდემდის უნდა ვიყოთ ასე შორი-შორს? — კვლავ გაუძეოდა შალვამ კითხვა, რომელიც მოსვენებას არ აღუქვდა.

— სანამ დრო და გარემოება ნებას არ მოგცემს.

— ესე იგი, სანამ ჩვენს სამშობლოში სამუშაო არ გათავდება? ეს ძალიან გრძელი ვადაა, ჩემო ნათელა!

ნათელას გულიანად გაეცინა შალვას ნათქვამზე. მაგრამ უცბად თავი შეიკავა და მოფერებით უთხრა:

— ერთ წელიწადს გთხოვ, მხოლოდ ერთ წელიწადს. ეს ერთი წელიწადი აუცილებელია. არ შემოდია პარტიის ნდობა არ გავამართლო!

შალვამ თანხმობის ნიშნად ხელი მტკიცედ ჩამოართვა და ორივენი ხასაღილო ოთახში გავიდნენ.

შალვა სოფელში ერთ კვირას დარჩა. ამ მოკლე დროში ბევრი ძველი ნაცნობობა აღადგინა და მრავალი ახალგაზრდა გაიცნო. ის ნათელასთან ერთად ხშირად დადიოდა სხვადასხვა სამუშაოებზე, ხან მშენებლობაზე გაჩნდებოდა, ხან ინჟუბატორობით. დაათვალიერა ფერმა, ბოსელი. ლამაზად ჩამწკრივებული სკები, რომლებსაც თავს დასტრიალებდნენ ფუტკრები. ყველაფერზე უფრო სახნავი ფართობები იზიდავდა მომავალ აგრონომს. ის ხშირად მიჰყვებოდა ნათელას ფართოდ გაშლილ ქალებზე, სადაც ცხენისწყლის მონაქროლ ნიავეთ გულს იგრილებდა. ხშირად ნამუშევრის ხარისხის შემოწმებასაც ეხმარებოდა, მერე კი ხუმრობით ეუბნებოდა:

— ამხანაგო თავმჯდომარე, ჩემი

შრომადღებები არ გამოგრჩეთ, უსათუოდ დამირიცხეთ.

— შენ ხუმრობ და მართლა მეხმარები, რაც ჩამოხვედი, დაღლა არ მიგრძენია!

— მოიცა, უმაღლესი დავამთავრო, კოლმეურნეობაში სამუშაოდ უნდა წამოგიდღე!

•  
••

სამემოდგომო მუშაობამ კარგად ჩაიარა. სიმინდის, ლობიოს და ნარინჯების უხვი მოსავალი ახარებდა ყოველ კოლმეურნეს. ისინი აღტაცებით საუბრობდნენ ერთმანეთში:

— ხუთასი გოჭი გაუყიდნია წელს ჩვენს კოლმეურნეობას, სულ საჯიშედ დაიტაცა ხალხმა!

— თქვენ ის ნახეთ, თაფლი რა შემოსავალს მოგვეცემს.

— ყველაფერს კარგად უძღვება, ოღონდ ფერმა ვერ დააყენა ფეხზე, შენობა თავის ადგილზე ვერ გადაიტანა.

— მართალია, შენობა ვერ გადავიტანეთ, მაგრამ ფერმა მაინც კარგ შემოსავალს იძლევა, რძის ნაწარმი გაიზარდა.

— მთავარი ის არის, რძე და ყველი რომ გაიადღა. ყველას ძროხა კი არა ეავს სახლში, ეს სოფლისათვის დიდი შეღავათია, თან დამზადების გეგმასაც ვასრულებთ.

— ახლა ქალებს უყურეთ, რამდენი წიწილა ყავთ, ან რამდენ კვერცხს ამზადებენ.

— ინკუბატორია, ბაბა, ინკუბატორი, ეკაის საბუღარი კი ნუ გგონიათ.

— ნახე თუ შრომადღეზე ათ მანეთზე მეტი არ შეგვხვდეს.

— მაშ, სამ მანეთს მისდღემში არ ამორებია. ნახვ, გააკეთებს მაი გოგო საქმეს!

— რად გინდა მერე, კაი კაცი სო-

ფელში არ გაჩერდება. ახლა ამგობრ, სწავლა უნდაო, იმასაც ამბობენ უხუცელებს. სამოდე წელიწადი... ღამეებსა ლიყო, მაგ ოჯახსაშენებელი, დაამკვიდრებდა ყველაფერს!

ნათელა გახარებული იყო მიღწევებით. გარდა ამისა შალვასთან ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა. ზამთარში კი ესტუმრა კიდევ ნათელას შალვა. სასიამოვნო იყო ზამთრის დღეები. ახალგაზრდები უსხდნენ აგიზგიზებულ ბუხარს და ზამთრის გრძელ დამეებს კითხვაში და მსჯელობაში ატარებდნენ. ნათელას მეგობრებიც ხშირად მოდიოდნენ.

პარტიის რაიკომი ნათელას განთავისუფლებას ჰპირდებოდა ივლისის დამლევს. მთელ სოფელს, ყველა კოლმეურნეს გული სწყუდებოდა, მისი წასვლა ეძნელებოდათ, მაგრამ ნათელა ამხანაგებს პარტიასან სიტყვას აძლევდა, რომ ოთხი წლის შემდეგ ისევ დაუბრუნდებოდა მშობლიურ სოფელს და ცოდნით აღჭურვილი, უფრო მეტი ენერჯით შეუძლებოდა მუშაობას.

— დრო მალე გარბის, — ეუბნება ის კოლმეურნეებს. — ეს წელიწადი თუ ასე მალე გაიბნენდა, მართალი ვითბრათ, არ მეგონა. უკან მოხედვა ვერ მოვასწარი, ისე გაქრა. ისევ ზაფხული მოგვადგა კარზე.

— ეს დალოცვილი ზაფხული კი დაგვიდგა, მაგრამ აბრეშუმის ქიმი გადაგვიყოლა. რამ ვაახელა ჩემი ცოდვით საესე, ფოთლის კრეფას ვერ აუდიფართ ტრატებიანად ვაყრით, ხარივით ხრავენ!

— რა ვიცი, რვა ქალი დავაკვდით, ნამეტანი ბევრს მოეკიდეთ ზელო და გაგვიპირდა, აგერ-აგერ შემძულდება!

— შეგიყვარდება, როდესაც აბრეშუმებს და ზეურლებს დაგირიგებენ, — უთხრა მათ ნათელამ.

— როგორ არ შეგიყვარდება, ყოველ წელიწადს გემოსავს, მარა ფოთოლმა გაგვაწამა.

— ვისი ბრალია, ქალებო? რაც აქ აგროტექნიკად მოვედი, თითო ძირი თუთის ხე ყოველ წელიწადს რომ დაგერგოთ, ახლა ამდენი სარბენი არ ვექნებოდით.

— გაისად აღარ მოგვაკლდება, შემოდგომაზე რომ დაგვარგვევინეთ, ის ნერგები ძალზე გახარებულია.

— გაზაფხულზე დარგულებიც ამოსულა, მალე მოგვესწრება.

— ყველაფერი მოგესწრებათ და მოგვარდება. თუ ასე გულდაგულ ვიმუშავებთ, ორი წელიწადი ეყოფა ჩვენს კოლმეურნეობას, რომ წელში გაიმართოს, მოწინავე კოლმეურნეობებს გაუსწორდეს!

— სოფელ მელაურში მაინც ჩვენზე მეტი დაურიგებიათ სიმინდი.

— რამდენი, თუ იცი, რამდენი? — მაშინვე გაისმა შეკითხვები.

— ექვსი კილო.

— მე მგონი, წრელს პური გავვიმართლებს.

— უნდა გავვიმართლოს, ძმაო, კარგი დამუშავებული იყო, ამინდიც ზელს უწყობს.

კოლმეურნეების ასეთი საუბარი ზშირად ნათელას თანდასწრებით ზღებოდა. ისიც სიამოვნებით ისმენდა და დაკვირვებით ლებულობდა მათ შენიშვნებს. იხედებოდა ხალხის გულში. მოხუცები ზშირად ლოცავდნენ ნათელას, მათზე ზრუნვა-დახმარებისათვის.

ყველაფერი რიგზე მიდიოდა, კიდევ ერთი თვეც და შალვაც უნდა ჩამოსულიყო. ნათელა ღელავდა. მოეწონებოდა თუ არა კოლმეურნეობაში მრავალჯერ პრაქტიკაზე ნამყოფ შალვას ნათელას საქმიანობა?!

ნათელა უმაღლეს სასწავლებელში წასასვლელად ემზადებოდა. ის თავდაუზოგველად მუშაობდა, რომ კოლმეურნეობა სრულ წესრიგში გადაეხარებინა მიწა გომამქსათვის, რომელსაც ნათელა უნდა შეეცალა. ის ახალგაზრდა იყო, სოფელში შრომით ცნობილი.

გომამქე ადრე დაცოლშვილდა, მეორე რაიონში მუშაობდა, აგროტექნიკად ნამყოფია, გამოცდილი, საქმიან, ყველაფერზე ვითარებული და საკოლმეურნეო საქმის მკოდნე.

— ახლა იმდენად არ მწყდება გულწარსულზე, — ეუბნებოდა ის მიშას, — ჩემი ნაშრომი შენს ხელში გადადის, შენ კიდევ უფრო წინ წასწევ დაწყებულ საქმეს, შორიდან გავიხარებ. ყველაფერზე უფრო ის მაწუხებს, რომ ფერმის შენობა ვერ გადავიტანე. თუ მომავალ ზამთარშიც მანდ დაგრჩათ. პირუტყვი დაგიწყდებათ!..

— რა ვიციოთ რა იქნება, იქნებ ისევ შენ დარჩე.

— მე ვერ დავრჩები, იცით ჩემი გარემოება.

— იქნება შალვამ მთლად მიგატოვა? — გამოამცდელი ზღმრობით უთხრა გომამქემ, — ამით ქვეყანა არ დაიქცევა. ყველაფერი შალვაზე კბილებს ილესავენ. ჩვენი მშვენიერი ქალიშვილი სხვა რაიონის ბიჭმა როგორ წაგვართვია. ყველაზე მეტად, მგონი, დიგომამქე დაიწვა.

— კარგი, თუ ძმა ხარ, მეტი აღარ სთქვა ეგ სისულელე.

ლევან დიგომამქემაც დრო უმოგა ნათელას. აჯაერებდა, რატომ არა გრცხვენია, თხოვდები, გეტოვებ. გადამთიელს მისდევო.

— კარგიო, ამხანაგო ლევან, არ მოგებზრდათ ჩემი წვალება? — ეუბნებოდა ნათელა, გული კი სიხარულით უცემდა. ის მოლოდინში იყო. სულ რამდენიმე დღე და შალვაც ჩამოვიდოდა.

ლენასაც უხაროდა შალვას ჩამოსვლა. ის დღემუდამ მუშაობდა. ის ზან ფართობში იყო, ზან ოჯახში. შრომაღლეც ბევრი დაუგროვდა.

— მთელი წელიწადი არაფერს მოგაკლებთ, — ეუბნებოდა ლენა დას. ნათელას გული აუჩუყდა. ფიქრობდა, როგორ მივატოვოვო ლენა, ბავშვობაობლობაში გაატარაო.

— ნათელა, რაც შარშან აბრეშუმზე ავიღეთ, ყველაფერი შეუქვრავი ყრავა, არ უნდა მოიხალა, რომ შეიყვრო, ჩამოვა ის კაცი. მაშინ უნდა ვიწვრიალოთ?!

— კარგი, ჩემო დაიკო, ყველაფერს თქვენს ნებაზე ვავაკეთებ. — ეუბნება და გულში იხუტებს თავის დას, — სულ ჩემზე ზრუნავ, მე კი უნდა მიგატოვო.

— რა მიტოვებაა, ყოველდღე გინახულებ. სანოვაგეს ჩამოგიტან, არდადეგებზე კი აქეთ ჩამოხვალთ.

ნათელას გული დის დაშორების სევდამ შეიპყრო. მის მტრყველ სახეზე მოსიყვარულე დამ ეს მწუხარება ამოიკითხა.

ასეთი საღებრის შემდეგ დებმა უფრო ენერგიულად მოჰკიდეს შრომას ხელი. ისინი გულში ითვლიდნენ დღეებს, თუ როდის ჩამოვიდოდა შალვა. ის უკანასკნელ კურსზე გადადიოდა. გამოცდების შემდეგ თავის სახლში უნდა გაეცლო, რამდენიმე დღე საკუთარ ოჯახში დარჩებოდა, მასაც ეჭირეუბოდა მოწყობა. უკანასკნელ წერილში სწერდა ნათელას: „დედაჩემი შენთან უნდა მოვიყვანო, ან შენ უნდა ჩამოხვიდე აქ, ძალიან ეჩქარებათ შენი გაცნობა“.

ნათელასაც ეჩქარებოდა შალვას დედის გაცნობა, წინასწარ უყვარდა, როგორც ძვირფასი აღამიანის მშობელი.

\*  
\*  
\*

იმ დღეს უცბათ შეიყრა და შეიხუთა ჰაერი. მოულოდნელი ამბავი გადმოგვცა რადიომ. „მტერი თავს დაგვესხაო“. ამაღლეუბელი ცნობა მტრის შემოსევისა და სამშობლოს საშიშ მდგომარეობაში ჩაყარდნისა, ყველას აფიქრებდა და გულს უტანჯავდა სასწრაფოდ გაწვეული ახალგაზრდები სამხედრო კომისარიატში

მიეშურებოდნენ, მათი დედები კოლეზი, დები თვალზე ცრემლსეკვებულნი შორიახლო მიპყებოდნენ, მამები კი გაძრვებულნი, გამარჯვებას უსურვებდნენ და გზას ულოცავდნენ. წამსვლილიც და დარჩენილიც ერთადერთი გრძნობით და ფიქრით იყო გამსჭვალული. რაც შეიძლება მალე გამკლავებოდნენ, დაემარცხებინათ მტერი და განედევნათ ჩვენი საზღვრებიდან. ნათელამ სამანქანო-სატრაქტორო სადგურში მოისმინა რადიო. სადგური

ქალაქიდან დაშორებული იყო. ის აქ ეტლით იყო ჩამოსული. ამ ამბის გაგებაზე გული აღარ გაუჩერდა, ქალაქისაკენ გაეშურა. იქ უფრო კარგად გაიგებდა საქმის შინაარსს. ეკვობდა კიდევ, იქნებ სმენა მღალატობსო. „ნუ თუ მართლა ომია?! ნუ თუ ჩვენს საყვარელ სამშობლოს მტერი დაპყრობით ემუქრება?! — ფიქრობდა ნათელა მთელი გზა. ქალაქში ჩასვლისთანავე მიწგანში შეირბინა. კანცელარიაში თითქმის აღარავინ იყო. მიწგანის გამგე სამხედრო კომისარიატში წასულიყო. იქედან დაბრუნებულს გზაზე თათბირიდან გამოსული მასწავლებლები შეხედნენ, მათ შორის რვალიძე და ლილა.

— რა მოხდა, მეგობრებო, მტერი მართლა თავს დაგვესხა?! — შეეკითხა ნათელა მოუთმენლად. ის ვერაფრით ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მართლა ომი დაიწყო.

— სამშობლოს დასაცავად მივდივართ, ნათელა, — ეუბნებოდნენ ვაჟები. მათი ვაჟკაცური ბუნება, ახალგაზრდული გული არ ემორჩილებოდა სევდას. მათი ხმები ბალისიანი და რიხიანი იყო, უშიშროებას გამოხატავდნენ მათი თვალები.

ომში მიმავალმა გრიშა რვალიძემ ნათელას ხელი გაუყარა, განკერძოვდნენ.

— თუ და ხარ, ნაზიას უმეგობრე. მგრძნობიარე ქალია. ხშირად მოგწერთ, თქვენც მომწერთ არ დამივიწყოთ!

— შენ კიდევ იქნება შალვა ნახო, — უთხრა ნათელამ, თან ეშინოდა არ ატირებულობო, სისუსტეს შეგებრძოლა ქალი. ძმებზეთ გადაკოცნა ომში მიმავალი ვაჟები, — ვერ ვრჩები თქვენთან, თქვენს გამგზავრებას ვერ ვესწრები, ასეთ წუთებში კოლმეურნეობაში მინდა ვიყო. შემდეგ ნაზის და ლეილას გადახედა, — თქვენ ალბათ აქ დარჩებით, ჩვენი სოფლის ბიჭებს საგზალი დაუმზადეთ და გააცილეთ! — მერე სასწრაფოდ მოტრიალდა და სირბილით მეეტლისაკენ გაეშურა, თავის სოფლისაკენ გასწია. სასოფლო საბჭოსთან ეტლი გააჩერებინა. თავმჯდომარე არ დახედა. თავმჯდომარისათვის ტელეფონით ეცნობებინათ მტრის თავდასხმის შესახებ და ისიც ერთ-ერთ კოლმეურნეობაში წასულიყო, რომ ხალხისათვის გაეცნო მდგომარეობა. ჯარში გაწვეულები ვათენებამდის მაინც ჩაეყვანა რაიონში. ნათელამ რამდენიმე წუთში თავის კოლმეურნეობის კანტორას მიაღწია. თანამშრომლებს ჭორად გაეგოთ ეს ამბავი. ვარს შემოეხვივნენ ნათელას. ნათელა კი დამხედურებს უყვებოდა, რაც ქალაქში ხახა და გაიგო. რამდენიმე წუთის შემდეგ მეეტლე ნათელას ფართობისაკენ მიაქროლებდა. ფართობის ახლოს თემშარაზე ეტლი გააჩერეს. ნათელა ჩამოვიდა. მისი სახის გამომეტყველებაზე ყველა გრძნობდა რაღაც უჩვეულო ამბის მოხდენას. ნათელამ უჟამო შაფ ფაშისტური გერმანიის ვერაგულად თავდასხმის ამბავი, ახალგაზრდებს სთხოვა დანარჩენ ბრიგადებში წასულიყვნენ, ყველა-სათვის ეცნობებინათ რაში იყო საქმე და ყველანი კანტორაში ჩამოსულიყვნენ.

მეხვიით გაეარდა ეს ამბავი კოლმეურნეობის ბრიგადებში. ყველა სამუშაოს მოსწყდა. ზოგი საბალახოზე გაშვებულ პირუტყვს შოერეკებოდა, სახლისაკენ მიიჩქაროდა. ახალგაზრდები

ბრიგადებში გაიქცნენ. ნათელას თანდათან გამოეცალა ხალხი. მისი მშობელი დარჩა ამ ფართო და თვალუწვდენელ მინდორზე. აჭარბილი სიმინდის ღეროები თითქოს წელში იზნებოდნენ. თითქოს მათაც იგრძნეს მოვარდნილი ქარიშხალი. ოქროსფრად ანთებულ პურის თავთავები ნელად თავს ზრიან, თითქოს თავიანთ ოქროს გულს აყოლებენ მიმავალ მშრომელთ.

ნათელა დაღონებული აცილებს მიმავალთ, შემდეგ მათ ნაშრომ ფართობებს აქეპრდება. მას ამ წუთში ერთნაირად აწუხებს ადამიანებისა და ნათესების ხვედრი. ბიჭები რომ ომში დაგვეხოცონ, ვინ მოუვლის ამ ყანებს? და თვალწინ გაუღვია შავმა თვალებმა, გრუზა თიბებმა..

— შალვა! — უნებურად ხმამალა დაიძახა მან. როდესაც მისი ხმა გარემოს სიწყნარეში გაიბნა, მის ყურებს დაუბრუნდა გამოძახილი. თითქოს შალვას სახელი სხვისაგან მოესმაო, შეგროთა, შეეშინდა თავისივე ხმის. ფეხები უღონოდ მოეკეცა და იქვე ჩაჯდა, ზურგიით ხეს მიეხრჩინა, აქვითინდა. ნაკადივით ჩამოსდიოდა ცრემლები. მან მხოლოდ ახლა შეიგრძნო თუ რა ძვირფასი იყო მისთვის შალვა. მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რა მძიმედ გადაინასკვა მის არსებაში ქვეყნისა და პირადი მდგომარეობა. გაუნძრევლად იჯდა დეკვითინებდა მარტო.

მეეტლეს უკვირდა, ფართობი დაცარიელდა, ნათელას კი ვერ ხედავდა. მეეტლემ ხელით მზის სხივები მოიზრდილა, ყოველი მზრით გახედა ფართობს, შორს, ხის ძირში, ნათელას მოპკრა თვალი.

— გული ხომ არ შეუწუხდა იმ ქალს, — გაიფიქრა მან და საჩქაროდ ნათელასაკენ გაეშურა.

გარინდებული ნათელა მეეტლის მოახლოვებით გამოწვეულმა ხმაურმა გამოაფხიზლა, თავისი სისუსტის შერცხ-

ვი. ცრემლები მოიწმინდა, წამოდგა.

— წაივით! — უთხრა მან მეეტლეს, — დავიღალე.

— დაიღლებოდი შე კაი ქალო, შენ კი არა, ბაყბაყდევი დაიღლება ამდენ სირბილ-დავიდარაბაში. — ეტლში ჩასხდნენ.

— ამოვარდა ის დასაქცევი ქვეყანა. მუდამ ჩხუბის თაეები არიან. მეც მომიხდა მათთან ჩხუბი. ახლა ჩემს შვილებს მოუწევს მათთან ჩხუბი.

— რამდენი წლისაა შენი უფროსი ბიჭი?

— უფროსი თერამეტის, მომყოლი ციდევი ორი წლით უმცროსია. ნახავ თუ ორივეს არ მოუხდება წასვლა.

— ახლაც ისე გაიმარჯვებს, როგორც წინა ომში გაიმარჯვა, — ფიქრიანად წარმოსთქვა ნათელამ.

— რას გაიმარჯვებს, ის დაღუპული, შეფის ჯარს ვერ ერეოდა და გულითა და სულით ომში გასული მთელი ხალხის ჯარს რას დააკლებს?!

— როდესაც ხალხი ერთსულოვანია, თავისი მთავრობა სწამს და უყვარს, მას ვერაფერს მოერევა!

— მართალი ხარ, მართალი, ვერაერთარი მტერი ვერ დაგვძლევს, — ეკლავ ფიქრიანად წარმოსთქვა ნათელამ. ახლა ის უკვე ჩქარობდა მისი გული და გონება საღლიც შორს მიჰქროდა.

— გარევე ცხენები, როგორ გაგრძელდა გზა! — შესთხოვა ნათელამ.

— დაწყნარდი, ბიძია, დაწყნარდი, აჩქარებით სოფელი არავის მოუჭამია. რამდენსაც ქუხს, იმდენი მეხი რომ გავარდეს, კაცი კი არა, ხე არ დარჩებოდა ქვეყანაზე. ჩვენ ისეთი ადამიანი გვიდგას სათავეში, რომ... — აღარ დაასრულა მეეტლემ. ნათელასაც და მასაც თვალწინ წარმოუდგა დიდი, საყვარელი ადამიანი, რომელიც იმედის მზესავით ენთო მათ გულში.

— ყველამ ერთმანეთი უნდა გავა-

მაგროთ, ომს სხვანაირი დახვედრე უნდა! — სთქვა ნათელამ და კინკრავსთანაც მივიდნენ. ეტლი გახერდა. ორივენი გადმოვიდნენ. მეეტლემ ნათელას უთხრა:

— ერთ წუთს სახლში წავალ, ცხენს დავაბინავებ, ახლაც მოვალ.

— რა დროს ცხენზე ფიქრია, მალე მოდი!

— ახლა უნდა, ბიძია, ფიქრი ცხენზეც და ხარზეც. როგორა ფიქრობ, ომის დროს, სამშობლოს დაცვის დროს, უფრო საჭირო არ იქნება ეს ყველაფერი?!

მეეტლის სიტყვებმა ნათელა გულში ჩაახტა, დაამშვიდა, უფრო მხნედ შევიდა კოლმეურნეობის ეზოში. აღელვებულსა და ახმაურებულ ხალხს ტყბილად მიესალმა.

— მართლა მოგვეკიდა ცეცხლი?! — შეეკითხა მას ხანში შესული ქალი სალომე, — გვითხარი რა გვემირს. ხუთი ბიჭი მყავს, ხუთივე სასაღლითია, რა მომელის, ვითომ ყველას წაიყვანენ?!

— არც ერთი ახალგაზრდა არ დაიცდის, თვითონ წავა, განა ჩვენ დედებს. დებს, გაგვეზარდება ახალგაზრდები სახლში რომ დარჩნენ, როდესაც სამშობლო ცეცხლში იქნება გახვეული?!

მე ერთი ძმა მყავს, თუ წასვლა ისურვა, იმ ერთსაც არ ვეტყვი დარჩითქო.

— ადვილი სათქმელია, ქმარწვილი და დაძმები ტყვიას მიუყენო, — ირტყამს გულში ზელს სალომე.

რაც მეტი ხალხი გროვდებოდა, მეტად იგრძნობოდა ომის საფრთხე და სამშობლოს დაცვის სურვილი.

ნათელამ პირველმა აიღო სიტყვა, ხალხს გააცნო, თუ რა მდგომარეობაა შექმნილი შორეულ საზღვრებზე, როგორ მზაკვრულად დაგვესხა მტერი, და ბოლოს ხალხს საბრძოლველად მოუწოდა. მოვარდა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი, გამოაცხადა თუ რა

ასაკის აბალგაზრდები უნდა გამოცხადდნენ სასოფლო საბჭოში.

— ამხანაგებო! სამშობლო გასაჭირშია, — დამთავრა გიორგიმ სიტყვა, — არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ ქვეყნის დაცვის საქმეს. დღესვე უნდა ავიდეთ რაიონში და როგორც გვეტყვიან, ისე მოვიქცეთ.

მიმა გოშაძე თითონ მოხედა წასაყვანთა სიაში. მგრძნობიერი სიტყვა სთქვა. ბოლოს ნათელას ღიმილით უთხრა:

— ვემეტებოდა ჩემთვის თავმჯდომარეობა, დამიტოვებინარ, ისევე მოუბრე, როგორც აქამდე უვლიდი. აბალგაზრდა ხარ, მაგრამ დედური მზრუნველობა გამოიჩინე კოლმეურნეთა ოჯახებზე!

ნათელამ სიყვარულით გადახედა. ისე როგორც და შეხედავს ომში მიმავალ მას. გოშაძემ ეს შეამჩნია და გასამხნეკებლად დააყოლა:

— ნუ გეშინია, ნათელა, გავიმარჯვებთ, დავბრუნდები, შეგცვლი, შალვახაც მოვძებნი, ჩამოგიყვან და ნომარზე ზორბა ქორწილი გავმართოთ. ისიც გაწვეული იქნება..

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ივანე იმედაძე. ივანე ხალხში ბულბულად წოდებულა. მისი ოჯახი, ძველი დროიდან კარგ მომღერლად ითვლებოდა, ხალხმა ბულბული შეარქვა მას.

— ეაი დედასა, — ასე დაიწყო ივანემ. — მოხეცდი, მაგრამ იცით რა ომები მინახავს? იაპონიის ომი, გერმანიის ომი. მერე რევოლუცია, სამოქალაქო ომიც გამოვივლია. გული მწყდება, შვილებო, ამ ომში მონაწილეობას რომ ვერ მივიღებ, მე იქ ჩემ არჩევ ბურად არ ველირები, მკლავში ღონე არა მაქვს, მუხლები მიკანკალავს, დავრჩებით მოხუცები ქალბუთან და ბაიშვებთან, ყანებს მაინც მოვუვლით. პირუტყვს მოეწყვასათ. წადით, შვილებო, ერთგულად ემსახურეთ სამშობლოსა და

დიდ ბელადს. რუსეთი დიდია, ძლიერია. ის ყოველთვის პერიფერული მოსულა ომიდან. ვის ამოშორებს რევოლუციური სულით ადგნებული დიდი რუსი ხალხი. კოლჩაკს, დენიკინს, ინგლისელებს. ვერავენ ვერადერი დაგვაკლო. შვილებო, ომში იმ აზრით უნდა მიდიოდეთ, რომ აუცილებლად გამარჯვებთ. — ამ სიტყვებზე მოხუცი თითონაც აღელდა, სახელოთი ცრემლები და ოფლი მოიწმინდა.

რამდენიმე აბალგაზრდა მოხალისედ ჩაეწერა. მათ შორის ნათელას ძმაც.

ნათელა არ მოელოდა თერამეტწლის ძმისაგან ასეთ გამბედაობას. სიხარული და შიში ერთმანეთში აირია. არც შალვაა აქ, არც ძმა, მეც წავაილ, — გიფიქრა ნათელამ, მაგრამ თვითონვე დაასკვნა, — ახლა ეს არ ვარგა, ჩემს შემცველს შევარჩევთ, რაიონს შეუთანხმებთ, მერე ეი მეც მებრძოლად გადავიქცევიო.

მზე ცის კაბადონზე ჯერ კიდევ ნათლად სტოვებდა თავის ნაკვალევს, რომ ნათელა ჯარში გაწვეულებთან ერთად სასოფლო საბჭოში მივიდა. განა მარტო გაწვეულები და მოხალისენი იყვნენ, მათ უკან მოსდევდნენ დედები, დები, ცოლები, შვილები. ისინი საგზლით დატვირთულნი იყვნენ. ამდენი ჯარისკაცის ტრანსპორტი აქ არ მოიძებნებოდა, ამისათვის დაეწყვნენ, დამწყვიდნენ და გზას გაუდგნენ. გააცილებლებს სთხოვდნენ ღარჩენილიყვნენ.

— ოჯახს მოუარეთ, პირუტყვი არ გაწყვიტოთ, ჩვენ მალე დავბრუნდებით, — ძიხადნენ მიმავალნი.

— გერმანიას კისერს მოვეგრებთ, — სიცილით და რიხიანად ვაიძახოდნენ ბიჭები.

ისინი სასოფლო საბჭოს შენობას ჯერ კიდევ მოშორებულნი არ იყვნენ, რომ ერთხმად დაიგუგუნეს:

„ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ტყენი ჰყავსო“.



მათი სიმღერა ძღვევამოსილ ვუგუ-  
ნად გაისმოდა. სიმღერის ხმა ამწვანე-  
ბულ ფერდობებს ეფინებოდა. კოლ-  
მეურნეობის თავმჯდომარეები ერთად  
იდგნენ. ისინი ჩაფიქრებულნი იყვნენ.  
საუკეთესო მუშა ბიჭები მოსწყდნენ  
თავიანთ კერას, ყანებს, ვენახებს.

— რას დაღონებულხართ, — წამოიწ-  
ყო ნათელამ, — მოველაპარაკოთ დარ-  
ჩენილებს, გავამხნევოთ, ისე უნდა ვი-  
შრომოთ, რომ ქალებმა ქმრების აღვი-  
ლი დაიკაფონ, მოხუცებმა შვილების.

— მართალი ხარ, — წარმოსთქვა მე-  
ზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე,  
— ახლა გვპართებს სიმარჯვე.

— რა ბიჭები ვაუშვით? რა გვიქნეს  
იმ მხეცებმა, როგორ მელასავით მოგ-  
ვეპარნენ და აგვაფორიაქეს, — სთქვა  
ერთმა მოხუცმა კოლმეურნემ.

შეგროვილ ხალხს გამოეხმაურენ  
სოფლის ხელმძღვანელნი.

— აბა, სიმაგრე, მტერმა ვერ იგრ-  
ძნოს ჩვენი ვატეხა და დაბნევა, — იძა-  
ხოდნენ ყოველი კუთხიდან.

ხალხი დაიშალა. სახლისაგან მიმა-  
ვალთ შორის მიდიოდა ნათელაც, ანუ-  
გემებდა დადარდიანებულ დედებს.

— ტირილის დრო არ არის, ვაყკა-  
ცებმა მამული უნდა დაიფარონ მტრი-  
საგან, ჩვენ უნდა ვეცადოთ დოვლაით  
არ დაგვეღუბოს, იქ ჯარი არ მოგვი-  
შიედეს, აქ ბავშვები და მოხუცები! გა-  
ნა არ ვაგიგონიათ, ძველად ქალები რო-  
გორ ეხმარებოდნენ მამაკაცებს მამუ-  
ლის მოვლაში, კერას არ გააციებდნენ.  
ჩვენც იმათ მაგალითს მივსდიოთ, შრო-  
მითა და თავდადებით ვემსახუროთ ქვე-  
ყანას!

ბოლომთ აივსო სოფლის გული. სანამ  
შინ მიადწევდნენ სასოფლო საბჭოდან  
წამოსულნი, სოფელი ღამემ დაფარა.  
დაღლილი დედაკაციები ოჯახს დაუბ-  
რუნდნენ, მოუწველელად დარჩენილი  
ძროხებისა და ხბოების ბლავილი ვერ  
მოითმინეს, ისევ საქმიანობას შეუდგ-

ნენ. სალომე ხუთი ვაჟის-დედა დასტე-  
ლით ძროხას სწყველიდა, მეორეთი-  
ცრემლებს იწმენდა. ხუთმეტი წმელი  
მიდიოდა იმ ღამეს, ვინ იცნა სად იქნე-  
ბიან ახლა, ფიქრობდა ის.

მწვავე ფიქრები არ ასვენებდა  
ხალხს. არავის ეძინებოდა, ხშირად გა-  
დაუქროლებდნენ სოფელს ჩვენი მფრი-  
ნავეები, თვითმფრინავი კვეთდა ჰაერს.  
ეს გუგუნი ამედად ჩაესძოდა შრო-  
მელთა გულს.

— ეს თვითმფრინავი მტრისა ხომ  
არ იქნება, მოასწრებდა აქ მოფრე-  
ნას? — ეკითხებოდნენ მოხუცები მოს-  
წავლე ბავშვებს.

— რა ვიცო, ბები, დასწყევლოს იმა-  
თი სახელი, ყველა ამბობს, არაო, ვერ  
მოასწრებენო!

მასწავლებლები ადრე დაბრუნდნენ  
კონფერენციიდან. საბჭოში ვერ მოუსწ-  
რეს გაწვეულებს, გზაში შეხვდნენ ნა-  
თელასა და თავის უბნის ქალებს. ნაზია  
კოლმეურნეობის დედა იყო მათ, მერე დე-  
დასთან შეიარა, ნათელაც თან შეყვა.  
დივომაძის ცოლს ქვეყნის ამბავი უამბეს  
ქალებმა, შემდეგ ნაზიამ დედას მორი-  
დებულად განუცხადა: ამაღამ ნათელას  
წავეყვები, მარტო არ მინდა მისი მიტო-  
ვებაო.

მოხუცსაც ებრალებოდა ნათელა,  
რომელსაც საქმრო და ძმა ომმა გული-  
დან მოგლიჯა. ბევრის ნაკითხმა, მნახ-  
ველმა და ნატანჯმა ქალმა ახალგაზრ-  
დები გაამხნევა, თან დინჯად უთხრა:

— გამაგრდით, გოგონებო, ცხოვრე-  
ბა ცეკვა-თამაში, წოგნების კითხვა და  
ჩვეულებრივი შრომა არ არის. ადამი-  
ანი ამ ქვეყნად ბრძოლისათვის და შრო-  
მისათვის არის გაჩენილი.

ნათელამ ამოიოხრა:

— დედა, ომი მანამ არის გარდაუვა-  
ლი, სანამ მთელ მსოფლიოში კომუნის-  
მი არ დამყარდება.

— თქვენის ფიქრით ეს მალე მოხ-  
დება? ქვეყანა დიდია! თქვენ ჯერ ბევ-

რი და დიდი ბრძოლების გამართვა მოგვიხდებოდა, შეილებო, სანამ ყველგან კომუნისზმს დაამყარებდეთ.

ნათელას არ უყვარს ნაზიას დედასთან კამათი. ერიდება, განსაკუთრებით, ამ წუთში არ იყო სასაუბროდ განწყობილი. ნაზიას ანიშნა წაედიდეთო.

— დედა, ჩვენ წავალთ, ამაღამ ნათელა ცოდვია მართო. მართლა, იცი, ნათელას ძმაც წავიდა ფრონტზე.

— მართლა? — გაოცებით იკითხა ნაზიას დედამ, — რად გაუშვიტ, რა ეჩქარებოდა, ის ხომ ჯერ ბავშვია?! მასაც მოუყვიდოდა თავისი რიგი.

— რას ამბობ, დედა? სანამ მისი რიგი მოვიდოდა, თუ მანამდის ომი არ გათავდა, კარგი კი იქნება!

— ღმერთმა ქნას ხვალეე გათავდეს, მაგრამ ამდენი სახელმწიფო რომ აღგება, დაწყნარება ძნელი ხდება, შეილებო!

ქალიშვილები წავიდნენ. მათ მთელი დამე ვერ დაიძინეს, ვერ მოისვენეს, გარინდებული შესცქეროდნენ ერთმანეთს, მაინც ამხნევებდნენ და ეხუმრებოდნენ ლენას, რომელსაც ტირილისაგან თვალები დასიებოდა, კარგი კოშკავშირელი ხარ, ბავშვივით ტირიო, — აჯავრებდა ნაზია.

— შიშისაგან და უიმედობისაგან კი არ მეშარებოდა? გულმოსული ვარ იმ საზიზღრებზე, ბედნიერი ცხოვრება რომ აგვირიეს?

ნათელამ შალვას წერილი თბილისიდან ომის გამოცხადების მეოთხე დღეს მიიღო.

წერილს ეტყობოდა, სანჭაროდ იყო დაწერილი, მაგრამ იმედიანი სულისკვეთებით აღსავსე იყო. შალვა თავის საცოლეს სთხოვდა მის დედ-მამასთან ჩასულყო, გაემხნევებინა მოხუცები.

ნათელა გაახარა ამ წერილმა. სოფელი ამ დროს მხოლოდ შრომაში და წე-

რილების მოლოდინში ათენებდა და აღამებდა.

სახლში დარჩენილნი, მიუხედავად უზომო ღელვისა, სულით არ ეცემოდნენ. ქალები და მოზარდები გვერდში ამოუდგნენ მოხუცებს, დაულაღე შრომაში ატარებდნენ დღეებს, ხოლო საღამოობით თავს იყრიდნენ ზოგი წისქვილთან, ზოგი სასოფლო საბჭოში, და გაზეთებს კითხულობდნენ.

ქალაქიც და სოფელიც ერთნაირი მღელვარებით ადევნებდა თვალყურს გაზეთებს, კრემლის კურანტების რეკავას, დიქტორის დინჯსა და მტკიცე ხმას, რომლის ძლიერი და იმედის ჩამნერგავი სიტყვები ბელადის ნებისყოფას გადმოგვემდნენ. საბჭოთა სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის უძლეველობა ჩაქსოვილი იყო მის ხმაში. ხშირად ცხადდებოდა ცნობა მტრის მიერ დაპყრობილ ქალაქებისა და სოფლების შესახებ, მაგრამ იქვე გაისმოდა ხალხის შეურყვეველი ნებასურვილი, თავდადებული ბრძოლის მოწოდება მტრის წინააღმდეგ. ბრძოლა იარაღით ხელში, ბრძოლა დაულაღე შრომით ზურგის ვასამაგრებლად.

შემოდგომა ახლოვდებოდა. ვაჟკაცებს მოკლებული სოფელი თითქმის ჭარბაგი მამაკაცების, ქალებისა და მოზარდების ამარა დარჩენილიყო. ყველა მათგანმა ერთნაირად იგრძნო მოვალეობა სამშობლოსადმი. მთელი მოსახლეობა საშემოდგომო სამუშაოების ღირსეულად შესრულებას შეუდგა. ნათელა არ დაიბნა. მან სასწრაფოდ შექმნა ქალებისა და მოზარდთა ბრიგადები, რომელნიც სიმინდის ყანებში ამუშავებოდა. მოხუც კოლმეურნეებს დიდი სამუშაო ჰქონდათ. ხარ-ურემს ისინი დაპატრო-

ნებოდნენ. თითქოს ბუნებასაც ვაეგო ქვეყნის გასაჭირი. ჭირნახულს ერთობ კარგი პირი უჩანდა. ურმები ვერ აღდიოდნენ ახალ ბელღელში სიმინდის ჩაყრას. მათი ურმების კრალი არღვევდა ღამის მყუდროებას. შრომელებმა დღე ღამეს გადააბნეს. ოქროსფერი ტაროები ხვავად აესებდნენ ძარიან ურმებს. აგერ ქალები ჩაღას კონავენ, ისმის გამხმარი ჩაღას ლაწა-ლუწი. მალე უნდა მორჩინენ სიმინდის მტერევეს. თორემ ჩქარა რამსაც აქრა დასჭირდება. ინდისხერმის ხეები ბაჯაღლო ოქროსავით დახუნძულა, მათი მწვანე ფოთლები სისხლისფერად ქცეულა და ხს ძირი მოუფრავს. მწვანედ შეფოთილი ტოტები თავდაბრილად გამოიყურებიან, თითქოს ვაგონებს სთხოვდნენ, მალე მოიცილოთ ჩვენთვის, სიმძიმე შეგვიმსუბუქეთო. ჩაღას ზეინებით ივსებოდა კოლმურნეობის ეზო და ციტრუსების ბაღი. ზოგი წერტილებში ეზიდება ხურმას, ზოგი რამსა სჭრის და გადასამუშავებელ ქარხანაში წასაღებად ამზადებს. ბრიგადირი ქალი — ევეგნია, რომელიც შარშან საყვედურს იღებდა, საუკეთესო მუშაკი დადგა, თავმჯდომარის მარჯვენა ხელი შეიჭმნა. მოხუცი ეკა, რომელიც ომის გამოცხადების ღამეს რძალსა და შვილიშვილს თავის შეკითხვებით ძილს არ აძლევდა და სულ იმაზე წუწუნებდა, ვინ დამმარხავს მე უბედურსო, გამოცოცხლდა, ვაკავდა, თითქოს მხრებიდან ორმოცი წელი გადაიგდო, მოწიფული ქალივით დატრიალდა. ის თავის რძლის ბრიგადაში მუშაობდა. როდესაც მას შრომადღებების აღსაჩივრავი წიგნაკი ჩააბარეს, თვალები სიხარულით გაუბრწყინდა, მერე მომდგარი ცრემლი შეიკაფა და რიზიანად განაცხადა.

— მისი ჭირიმე, მოვიდეს ჩემი ვაჟი, აი რა დაეახვედრო. აბა, როგორ ეგონათ გერმანელებს. დიდი და პატარა

ფეხზე დავდგებით, ვიბრძოლებთ, ვიმაროებთ, მტერს არ ვაფრთხილებთ!

სად არ დაინახავ ეკა მწვანე ტარებსა სწმენდს ფოთლებისაგან, თან ახალგაზრდებს ძველ ამბავს უყვება:

— თათლი გვაცხია, შეილებო, ყოველთვის ბუზივით გვეხვეოდა მტერი, მაგრამ ვერაფერს გვაკლებდა. ახლაც ისე იქნება. ჩემი დედამთილისაგან ვამიგონია თათრის შემოსევა. რა ამბავი იყო თურმე! ჩემი მამამთილი, მონაწილეობას იღებდა თათართან ომში.

ვაგონები სიცილით სთხოვდნენ:

— ბებია, მოგვიყევი კიდევ რაზე.

ნათელა თავს დასტრიალებს კოლმურნეებს, მაგრამ მას მოსვენებას არ აძლევდა შეუსრულებელი სამუშაოები. ბოსელის გადატანა და სილოსის კომსკის დამთავრება ვერ შესძლეს. სჩანდა, შემოდგომის სამუშაოების დამთავრებამდის არ მოხერხდებოდა ამ საქმეების მოგვარება.

ბოსელის გამკვდ ნათელას ბიძა — ზოსიმე იყო გამოყოფილი, რომელიც ნათელას და გამგეობის წევრებს საშველს არ აძლევდა:

— ვაგო, გაგვიწყდება პირუტყვი, თუ რამე არ ვიღონეთ! საღორე რომ გადაიტანე, მაშინ ესეც მოგესტუმრებინა.

— როგორ, ზოსიმე ბიძა, თითონ შენ, პეტრემ და დიმიტრიმ არ მითხარით, ძველი ბოსელი დარღვევის დროს დაიფშვნებაო. თუ ახალი მასალა არ გვექნა, ბოსელს ადგილიდან ვერ დავძრავთო.

— ახლა დარღვევასაც რომ არ მოუცადოს და თითონ დაიფშვნას, რას უნამ პირუტყვს?

— რა ექნა, კაცო, საშენი მასალაც არ არის. კიდევ რომ ვიშოვო, დაღლილი ხარები რას მოიტანენ, ზამთარი კარზე მოგვადგა.

— რომ მოგვადგა, მეც იმას გულებნები, ერთი მაგრად რომ დათოვოს, სა-

ზურავიც აღარ გადაიწმინდება, ყავარი სულ დაჰმალია.

— თქვე დალოცვილებო, ბოსელს რომ ყავარით ზურავდით, რასა ფიქრობდით? მაშინ მაინც კრამიტი თავსაყრელად გექონდა, რალა ახლა შემირჩიეთ დრო, როდესაც ქვეყანა განსაცდელშია, როგორც მოხერხდება, ისე შეაკეთეთ. ეს ზამთარი როგორმე უნდა გადავიტანოთ.

— იცი, რა გითხრა, ჩვენ რაც შეგვიძლია შევაკეთებთ, თუ რამე წახდეს, მერე ჩვენი ბრალი არ იქნეს, ვამგობამ ავოს პასუხი, — ამბობს გულმოსული ზოსიმე, — გუშინ რამის ქარხანაში ვიყავი, გული დამწყდა, ჩვენი რამი თითის სიგრძეებია, სხვა კოლმეუნეობის რამი კი გრძლად ვაშოლტილი.

— მე მივივრის, როგორ მსჯელობ, სახელმწიფოს აქვს რამის მოთხოვნა, ჩვენ გვაქვს გეგმა, მოვალეობა. ასე ერთი ხელის ვადასმით საუკეთესო ტექნიკურ მცენარეს რალა ჩვენ ვუთხრათ უარი?!

— უარს ვინ გუბნება, ამხანაგო ნათელა, რამი მაგ ნაკვეთზე არ ხარობს. თითქმის ათი წელიწადია მაგ ნიადაგზე ვთესავთ. მანდ რომ მომავალ წელში პური ან სიმინდი დაეთესოთ, დახვადება, რამი კი შევწყალასთან, ნაშურალ მიწაზე გადავიტანოთ.

— ეგ მესმის. მეც ბევრჯერ ვფიქრობდი მაგაზე. მაგრე გავაკეთოთ, დიდი სიამოვნებით!

•  
••

სამშობლოს სამსახურითა და შრომით გატაცებულ ნათელას ხშირად არ ასვენებდა შალვაზე ფიქრი. ფოსტალიონს გულის ფანქვალით ელოდა. წერილი არ სჩანდა. დიდი ხანია შეწყდა წერილების მიღება. ვილაცამ კოლმეურნეობაში ამბავი მოიტანა: მეზობელ სო-

ფელში დაქრილი წითელარმიელი ჩამოსულა, თავმჯდომარეს კანკალს მისი ნახვა უნდაო. ნათელას უმინოდა, ცუდი ამბავი არ მითხრასო. წასვლა და პირისპირ შეხვედრას დააპირებდა ხოლმე, მაგრამ ისეე გადასდებდა.

ავვისტოს ბოლო რიცხვებში კოლმეურნეობაში უცნობი წითელარმიელი მოვიდა. თავმჯდომარე იკითხა. ნათელა შეეგება, თავის სამუშაო ოთახში შეიყვანა. ერთმანეთს გაცნობისა და მოკითხვის შემდეგ მოსულმა ნათელას შალვას შესახებ ასე უამბო: შალვასაყვარელი და საიმედო მებრძოლი ამხანაგია. ძლიერ ცუდ გარემოებაში დაეშორდით ერთმანეთს. მთელი ჩვენი ნაწილი მტრის გარემოცვაში მოხვდა. მტერი გვიახლოვდებოდა, ცდილობდა ალყა შემოერთყა, ტყვედ ჩავარდნის საშიშროება მოგველოდა. შალვას კაბიტის წოდება ახალი მიღებული ჰქონდა, ჩვენს ნაწილს ხელმძღვანელობდა. მან გვიბრძანა მოვმზადებულყოფით, რკალი გავვერღვია, იერიში მიგვეტანა ერთ-ერთ მხრიდან. ჩვენც თავი არ დავზოგეთ, იერიშზე გადავედით. რკალი გავარღვიეთ. ამ ბრძოლის დროს მე მძიმედ დაიჭერი, გრძნობაზე მხოლოდ ჰოსპიტალში მოვედი. ჩემს გვერდით ყველანი უცნობები იყვნენ. ამის შემდეგ შალვაზე არაფერი გამიგია, არ ვიცი რა დამართა მას. მე ერთი ჰოსპიტლიდან მეორეში გადამიყვანეს, რამდენიმე კვირა შავიზღვის პირას დამასვენეს. საერთოდ გავიგე, რომ ჩვენი ნაწილი გმირულად იბრძოდა, თურმე უკანაც დაახვეინა მტერს. პირადად შალვაზე ვერაფერი გავიგეთ. ერთი კი მჯერა, ცოცხალი თავით მტერს არ დანებდებოდა. იქნებ წერილები მოღის, ამის გასაგებად გაახელით.

ნათელა გაფითრდა, სახე შეეცვალა.

— როგორ მომაგენით? — შეეკითხა ის მებრძოლს.

— შალვასაგან ვიცოდი, ჩვენი მეზობელი სოფლის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყავით. შალვას ძლიერ უყვარს ქვემო იმერეთის სოფლები. ხშირად ვსაუბრობდით ამ კუთხეზე. ამან დაგვაშეგობრა კიდევ, ერთმანეთისათვის სიტყვა გვქონდა მიცემული, თუ რომელიმე ჩვენგანს ზუსტობდა, ერთმანეთის ოჯახში გვეცნობებინა. დარწმუნებული ვარ, ის ცოცხალია. შეიძლება ტყვედაც ჩავარდა! — ისე დაუმატა ეს წითელარმიელმა, თითქოს თავის ნათქვამი არა სჯეროდა.

— ეს სიკვდილზე უარესია; — ამოიხზრა ნათელამ.

წითელარმიელი მიხვდა, თუ როგორ დატანჯა ქალი მისგან მოტანილმა ამბავმა, მაგრამ ნათელა მაინც კმაყოფილი დარჩა, რომ მან დაჯარგული ამხანაგის დავალება პირნათლად შეასრულა.

ნათელამ მებრძოლი სახლში მიიწვია, მაგრამ სტუმარი არ დარჩა.

— სხვა დროს, ამხანაგო, სხვა დროს! შალვა რომ ჩამოვა, მაშინ, — უთხრა მან ქალს ნაძალადევი ღიმილით და დაემშვიდობა.

— უკაცრავად, ერთი ესეც მითხარით, რამდენი ხანია მას შემდეგ, რაც ეს გადაგხდათ?

— თითქმის ოთხი თვეა, მაგრამ პოსტიკალში ვმკურნალობდი, ამიტომ დამავიანდა თქვენი ნახვა.

„სიძარტლეს ჰგავს ეს ამბავი“ — გაიფიქრა ნათელამ. მისთვის საშინელი იყო მარტო იმისი იქვეც კი, რომ შალვას ნაპერწკლიანი თვალები სამუდამოდ გაცივდა. ღამეებს ფიქრებში ატარებდა ნათელა, იყო წუთები, როდესაც გადასწყვეტდა, თავი დაენებებინა ყველაფრისათვის და თითონაც ბრძოლის ველზე წასულიყო. ან მკვდარი, ან ცოცხალი მოექმებნა შალვა, თუ მის სიკვდილს გაიგებდა, თითონაც ბრძოლაში

მომკვდარიყო, თუ ცოცხალს მიავნებდა, გვერდში ამოსდგომოდა. შალვას დაწყვეტილების შემდეგ მისგან დააკაი წერეთლის პატარა კახის გმირი ქალი, ლევან ქვაბულიძის საცოლე, რომელიც ვაჟურად ჩაცმული ლევანს ბრძოლაში დასდევდა. მასთან ერთად შეეწირა სამშობლოს დაცვას. ნათელას შეეხარბა კიდევ ტურფას ბედი. შემდეგ თავისი განზრახვა ერთხელ კიდევ ასწონ-დასწონა. დედაცა ქალი. ყოველ წუთს ეს კითხვა უტრიალებდა თავში, წასვლა თუ დარჩენა. ბოლოს ფიქრითაც დაიღალა, თავისი გულის ფიქრი მეგობრებს ნაზიასა და ლეილას გაუზიარა. ყველანი არწმუნებდნენ, რომ მისი აქ ყოფნა მეტ სარგებლობას მოუტანს სამშობლოს, ვიდრე ერთი მებრძოლის მომატება. ერთხელ კი, როდესაც ნაზიამ თავისი რჩევა-დარიგებით ვერ დააჯერა, გულმოსულად უთხრა:

— ვისაც მტერთან პირისპირ ბრძოლის სურვილი გვაქვს, ყველა რომ წავიდეთ, საქმე, სოფელი, ოჯახი რომ მივატოვოთ, მაშინ ჩვენ რაღა პარტიულები ვიქნებით, ან რა დისციპლინა გვექნება!

როცა მარტო რჩებოდნენ, ნაზია ასეთი სიტყვით აშინებდა მეგობარს:

— შენს საქციელს ხალხი ისე გაიგებს, რომ შენ შალვასთვის უფრო ჩაიდიხე ეს, ვიდრე სამშობლოს სიყვარულისთვისო.

— მართალი, ხარ, ნაზია ასე იტყვიან. ეს კი ასე არ არის! განა მე არ მიძიმოს კოლმეურნეობის დატოვება? მივეჩვიე ჩვენს კოლმეურნე ქალებს, განა მავათი ღალატი შეიძლება? გეგმებს პირნათლად ასრულებენ. მაგრამ რა ვქნა?!

— უნდა გადაიტანო, უნდა გაუმარადე გასაჭირს. განა არ გაგვიგონია ბრძნული სიტყვები: — ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვითკირასაო.

— ვიცი, მაგრა, განა არ გაემაგრდი? მართლაც მიუხედავად საშინელი ფიქრებისა და უძილო ღამეებისა, ნათელა მდგრად იდგა თავის სამუშაოს სადარჯჯოზე. მისი გულის ყური ფხიზელი იყო სოფლისადმი.

— წითელარმიელთა ოჯახიდან დაუხმარებლად არაიენ დაგვრჩეს. — ეუბნებოდა ის თანამშრომლებს, ბრიგადირებს. ერთხელ უსიამოვნებაც კი მოუვიდა სასოფლო საბჭოს ახალ თავმჯდომარესთან იმის გამო, რომ მას სიაში შესატან ოჯახთაგან ზოგი ვინმე გამოარჩენოდა.

დიღხანს აშინებდა ნათელას მოხუცებისა და ქალების ამარა დარჩენილი სოფელი. მართლაც, რამდენი მუშახელი აკლდა სოფელს, მაგრამ ორი წლის შემდეგ ყველასათვის თვალსაჩინო გახდა, რომ ფართობებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას არ დააჩინეს ქალებმა მამაკაცების ფრონტზე ყოფნა. ყოველი ბუჩქი მათთვის ძვირფასი გახდა. ბრიგადაში ორი-სამი ხანდაზმული მამაკაცი და თოთხმეტ—თექვსმეტი წლის ვაჟი თუ ურევია, სხვა სულ ქალები მუშაობენ, ქალი ტრაქტორისტი, ქალი კომბაინის ხელმძღვანელი, ქალი ექიმი, ქალი აგრონომი, ქალები კოლმეურნეობის თავმჯდომარეები.

მოწინავე გოგონები, აგიტატორები ახლა ხშირად სარგებლობენ ქართველი ხალხის მატყინეთი, აცნობენ მსმენელებს ქართველ ქალთა თავგადასავალს, მათ ცხოვრებას, მათ მოღვაწეობას, იბრალით ხელში ბრძოლას, თავგანწირვას მათ ნამდვილ დედობასა და სამშობლო სადმი ერთგულებას. მაგრამ მთავარი, რაც მსმენელების გულში მკაფიოდ რჩება ეს ის არის, რომ ქართველი ქალი მუდამ ეამს სამშობლოს სწირავდა თავის პირად გრძნობებს. ვის სახელს არ გაიგონებ შეგროვილ ქალთა შორის? ქეთევანი, თამარი, მაია წყნეთელი, მწერალი ქალები, ცხრა ძმა ზერზე-

ულიძეთა დედა. ასპინძის, კრწანისის, ბასიანის ომების გმირთა, მამულები და მათი ამბები პირიდან მამულებს უცხადებდნენ.

ქალებიც გაიტაცა მუშაობამ, ყველამ შეიგრძნო, რომ ომის დროს კოლმეურნეთა შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— ჩვენ ოფლი მაინც დავღეაროთ, როდესაც მამაკაცები იქ სისხლსაღვრიან! —

— როდესაც ჩვენი ქმრები და შვილები გამარჯვებულნი მოგვივლენ, მაშინ დავისვენოთ! — ლაპარაკობდნენ ერთმანეთში ქალები.

— კოლმეურნეობის მთავარი საქმე ის არის, ამხანაგებო, — ჩაურთავს ხოლმე სიტყვას ნათელაც, — არ მოვამოროთ და არ შევაციოთ მეზობლონი.

— დედა იმათ მოუკვდეთ, ჩემი ბიჭები რომ შემოგროვდებოდნენ სახლში, ვერ მოვიპირადი სასმელ-საქმელით, ახლა კი იქნება შიათ, სწყურიათ, სცოვათ. ხუთი ბიჭი ვავზარდე, ადამიანებო, არც ერთი აქ არა მყავს, — თავის გულის ტყვილს გამოსთქვამს სალომეც და თავის დიდრონ შავ თვალებს ცრემლი უნამავს. მზითა და ცრემლით დამწვარ ლოყებს ღარებად ჩამოსდის.

— ასე ყოფილა მუდამ, მამაკაცს უომია, მტერი მოუგვრებია, — ამშვიდებს მას მოხუცი ქალი ეკა. გული ნუ გაგიტყდებათ, ქალებო, მოგივლენ თქვენი კაცები, თქვენც, გოგონებო, არ დაგვრჩებით გაუთხოვარი, სულ ორდენებითა და მეღლებით ჩაჯინჯილებული ბიჭები უნდა ჩამოგვივიდნენ, ყველას დავაქორწინებთ!..

— დაქორწინების ჯაერი ვისა აქვს, ნეტავ, ცოცხალი ჩამოვიდოდნენ, ბიცოლა, — უბასუხებდნენ გოგოები.

და ასეთი საუბრის დროს მაინც გულიანად მიეცემოდნენ შრომას. ხან კიდევ სევდიან სიმღერას წამოიწყებდნენ ფართობზე: „დედას ჰყავდა ერთი შვი-

ლი“. ყველანი იმყევბოდნენ ამ სიმღერას, მაგრამ ახალგაზრდებს მაინც დასძლევდათ მზიარულებისა და აღტაცების სურვილი. ზედაც გამამხნევებელ და სიხარულით აღსაყვებ სიმღერას დაყოლებდნენ ზოლზე. მართალია, სოფლის მზიარულება არ გავდა ომის წინანდელ განწყობილებას, არ გაისმოდა ჭანდრებში დოღის გრიალი, ცეკვა-თამაში, მაინც ზმირად იყრიდნენ თავს ნარჩევ ადგილებზე, ახალ ამბებს უზიარებდნენ ერთმანეთს,

ხანდახან დილის ვანთიადს ამოყვებოდა არღნის ხმა, რომელიც სოფლის გულში მძლავრად შეიჭრებოდა. ყველამ იცოდა, რომ ფრონტზე მიმავალ ახალგაზრდებს აცილებდნენ ამ არღნით.

წერილი არ მოსდის ნათელას. გადასწყვიტა ზემო იმერეთში შალვას სოფელში წავიდეს, დედამისი ინახულოს. შალვას დებთან მიწერა-მოწერა აქვს. მათაც არაფერი იციან შალვას შესახებ. ბოლო წერილმა, რომელიც ნათელამ მიიღო შალვას დედისაგან, ძლიერ გაახარა. მას სოფელში ჩასვლას სთხოვდნენ. როგორც იყო, ნათელამ მოიცალა და წავიდა. შალვას მშობლები და დები გაბარებულნი იყვნენ, რადგან ჩამოსულ კაცს, რომელიც ისევ ფრონტზე გაბრუნებულები, დაერწმუნებინა ისინი, შალვა ცოცხალი არისო. ყველას ანკვიფრებდა სიკვდილს ასე გადარჩენილი მებრძოლი. ნათელას გულახდილად არ გადასცეს ჩამოსული ფრონტელის ნაამბობი. რატომღაც გული უმძიმდა. შემთხვევით შემოსულმა მეზობლის ქალმა ფარდა ახადა იმ ამბებს, რასაც ნათელას უმაღაუდნენ.

— მომილოცავს, შვილო, შალვას სი. ცოცხლე, თქვენ ხომ ჩვენი სარძლო ბრძანდებით, — მიესალმა მეზობლის ქალი ნათელას.

ნათელა უსიტყვოდ მიესალმა მას.

— რამ მოგაწყინა, შვილო, შალვა ცოცხალია, ტყვედ ყოფილა!

— როგორ თუ ტყვედ, რას ბრძანებთ? — შეუტია მას ქვეყანა-დედამ.

— თქვენ თავს ვფიცავთ, და რამ ჯერ ქალიშვილს, დაწვრილებით მიაბბო იმ ბიჭმა.

— ჩვენთვის ასე არ უთქვამს, — ჩაუერთო სიტყვა შალვას მამამ:

— რა ექნა, შენი ჭირიმე, — მწუხარედ სიტყვა შალვას დედამ, — ნუ თუ ისეთი უბედური ვარ, რომ შალვა უბრძოლველად დანებდა მტერს?! არა მჯერა, ის კაცი დაბნეულად გვიამბობდა, ნათქვამის ნათქვამს გვიყვებოდა, თვითონ არ უნახავს, იქნებ მნახველიც შემეცდარია?!

ნათელა სდუმდა ამ საუბრის დროს, გულს უსერავდა ფიჭირ: „ვთუ თუ ამ სასირცხვილო საშუალებით ვადაირჩინა შალვამ თავი. ჩემთვის მაინც მკვდარი იქნება, სამშობლოსათვის შით უშეტეს. არა, ეს არ მოხდებოდა, არ შეიძლებოდა“, — ინუგეშებდა თვითონვე თავს! — ყველაფერი მოხდეს, ოღონდ ეს ნუ იქნება მართალი.

ყველამ შეამჩნია ნათელას ტანჯვა ამ ამბის გაგონების გამო. როცა სტუმარი ქალი წავიდა, შალვას დედამ ვეღარ დამალა გულისწყრომა.

— ეგ უბედური ენა კარტალა ქალია, არ შემოწუხდე, შვილო ნათელა, შალვა უსინდისობას არ ჩაიდენდა, მის გამზრდელ ძუძუებს არ დამაჭრიდა! — სიტყვა და მკერდზე ხელი გადაისვა. ნათელას შეებრალა ორცეცხლს შუა მყოფი დარბაისელი ქალი, შალვას გამზრდელ მკერდს მიეკრა და ცრემლმორეულმა უთხრა:

— დედა, დამშვიდდი, მეც ასე მჯერა, შალვა მაგას არ გაკადრებდა...

ნათელასთან მოსული წითელარმობელის მიერ ნათქვამი მართალი იყო, შალ-

ვა თავისი რაზმით მტრის გარემოცვაში მოხვდა. ის არ დაბნეულა. რაზმიდან საუკეთესო მებრძოლები ამოირჩია, მაგარი დარტყმისათვის დარაზმა მებრძოლები და მტრის ალყას იქედან დაარტყა, საიდანაც მისთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო. მან ამ დარტყმით მტრის ალყა გაარღვია და მის ზურგში შეიჭრა. შალვას მოქმედება იმდენად სწრაფი, გონიერი და გაბედული იყო, რომ მტერი დაიბნა. ამ ბრძოლაში შალვა დასჭრეს. როდესაც იგი სანიტარებმა საველე მოსპიტალში მიიყვანეს, მას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.



დიდი თოვლი მოჰყვა შემოდგომას. ვაკე-იმერეთი თოვლით დაიბარდნა, მაგრამ სოფელი ვერ შეხვდა თოვლს ისეთი სიხარულით, როგორც წინა ხანებში იცოდნენ. აღარ იყვნენ სოფლად ტანაყრილი ჰაბუკები, გოგონებიც მოწყენილი იყვნენ. უხალისოდ გაიარა ახალმა წელმა. კარგა ხანია სამამულე ომი მძინვარებდა. ხანშიშესული კოლმეურნეები ნიჩბებით ხელში სოფელში დადიოდნენ და უმამაკაცოდ დარჩენილ ოჯახებს თოვლისაგან იფარავდნენ.

ნათელამ ბოსელისაგან მიაშურა.

— არ მეგონა, თუ კიდევ მოთოვდა, — ეუბნებოდა ის თანამგზავრებს.

— ცა მოწმენდილი იყო, ვაი თუ დაგვიშავდა რამე? რატომ თქვენ არ მიიკითხეთ გუშინ, არ შეგეშინდათ, ბოსელი არ ჩაწვესო?!

— ზოსიმე მარტო არ არის, ჰყავს დამხმარეები, ყველაფერს ვერ გასწვდები კაცი.

თოვლით დაფარულ ბოსელს მიუახლოვდნენ. ხშირი ფანტელები ცვივოდა, ერთმანეთს ძლივს ხედავდნენ.

— ოჰ, რა ცუდი ზამთარია, — ვაგვა-

ნადგურებს ეს ზამთარი! — სთქვევით მა კოლმეურნეთაგანმა. ვერცხვსაღამი

— ვერაფერსაც ვერ გვახმამს, მასმას სელი გადაგვირჩებოდეს და სახლების მოვლა-გაწმენდას ქალებიც მოერევიან, — უბასუხა ნათელამ.

— თუ კიდევ არ დაგვიმატა, არა გვიშავს რა, მაგრამ თუ ნაშუალამევს ისევ წუხანდელივით ყინვა იქნება, მაშინ ცუდად იქნება საქმე. ოცდაათი წლის წინათ მახსოვს ასეთი ზამთარი! — ამბობს პეტრე, რომელიც წინ მიუძღვის ყველას და თოვლს ხრილავს.

— ვაი ღედასა, რა ბიჭი ვიყავი მაშინ, სოფლის სახლებს სულ ახალგაზრდა ბიჭები ვთოვლავდით. გლახა ყოფილა სიბერე, თოვლის ხრილვაში, ავერ ნათელამ მაჯობა.

— შენ რას ვაჯობებ, მაგრამ ცოტა ფართოდ გავეკალოთ. პეტრე, შენი ჭირიმე, იქნებ ამ საღამოსვე პირუტყვი გვეყოლოს გამოსაყვანი.

— სად უნდა წავიყვანოთ?

— თუ გაგვიჭირდა, დიგომამებების სახლის ქვედა სართულში შევრეკოთ!

— მეიცა, შე ქალო, იქნებ ასეთი გაჭირვება არ გვექნეს! — უკმაყოფილოდ ამბობს კოსტა, თან უკან ჩამორჩენილ დიმიტრის გაუსწორდა და უთხრა: — ჩვენი თავმჯდომარე, რაც არ უნდა იყოს, ქალო, თანაც ახალგაზრდა. დალუბა პირუტყვი, უბედურება ის იქნება, თუ ბოსელი დანგრეულია, აბლო-მახლოზე მოსახლეებიც არ არიან, რომ დაგვეხმარონ.

— მაგი არაფერია, ჩემო კოსტა, იქვე აბლოს მეზობელი სოფლის კოლმეურნეობაა, თავიდან შევცდით, რომ ბოსელი მაგ სისწორეს ავაგეთ. — ეუბნება დიმიტრი.

ბოსელის უზოში ყველაზე ადრე ნათელა შევიდა. ის ნახულმა სურათმა შეაჯრთო. ბოსელი ძლივს მოსჩანდა. ბოსელისთვის ყოველი მხრიდან სვეტები შეეყენებინათ. ზევითაც ბევრი თოვ-



ლი ეყარა და კვლავ ათოვდა. კარებში ზოსიმე იღვავ, ყაბალახით ქალარა თავი შეეხვია. შეწუხებული სახე ჰქონდა ზოსიმეს. როდესაც მისი შვილი ნათელა და მეზობლები მიუახლოვდნენ, მან მრისხანე გამომეტყველება მიიღო.

ნათელას ბიძისა დაეროდა. სხვები ვაუშვავ წინ. გამარჯობა უთხრეს ზოსიმეს. პეტრე რიხიანად, თავისებურად მიესალმა, თან დააყოლა:

— ვითამ გვიღალატოს სახლმა!?

— თუ ასე ითოვავ, მაგი კი არა, ახალი სასიმიინდე და კანტორა ვერ გაუძლებს. ეგ კიდეც არაფერი, სხვა უბედურება დაგვეერთო. ხბოები არიან ცუდად, ღედის ძეძუს არ ეყარებიან.

— ექიმი არ ყოფილა? — შეეკითხა ნათელა.

— იყო, უწამლა კიდეც, მაგრამ უკეთესობა არ ეტყობათ.

— როგორ მოვიქცეთ? — შეწუხებულად იკითხა ნათელამ.

— რას ვიზამთ, ხბოები კი არა, კაცი-შვილები გვეყარება და თავი არ მოგვიკლავს!

ნათელას არ ესია მოვნა ზოსიმეს გულგრილობა. არაფერი უთხრა, მხოლოდ შებღმურულმა შეხედა.

ყველანი სდუმდნენ, თავს იკავებდნენ.

თანდათან ბნელდებოდა.\*

— ღამდება ეს ურჯულო! სახეცაუვები ზომი ვაქეთ, ბიჭებო, — ეკითხება პეტრე ბოსელიდან გამოსულ ახალგაზრდა ბიჭებს არჩილს და ნოდარს.

— კი, ბიძია, — და ბიჭებმა ხელად გამოიტანეს გრძელტარხანი სახეცაუვები.

ერთ საათში ბოსელის შენობიდან თოვლი ჩამოყარეს.

ამ დროს ნათელა ავადმყოფ ხბოებს თავს დასტრიალებდა. იმ ღამეს ბოსელიდან არ გასულა, დაღლილობა მოიმიზუნა. პეტრე და კოსტაც დარჩნენ, მხოლოდ დიმიტრი დააბრუნეს სოფელ-

ში, რომ დილით ადრე, თუ თოვლს დაუმატებდა, კიდეც რამდენიმე კაცი მოეშველებინა.

მეორე დღეს თოვლი შეწყდა. შიშვლი დანგრევისაგან გადაარჩინეს. თოვლის გადნობისთანავე შეუდგა კოლმეურნეობა ბოსელის გადატანა-აგებას. დიდი შრომა მოინდომა საშენი მასალისა და სახურავის შოვნამ და მოზიდვამ მაგრამ მიზანს მაინც მიაღწიეს.

•  
•

სწრაფად შეწყდა ყოველგვარი ფიქრი პირად განცდებზე, როდესაც კავკასიის უღელტეხილს მოადგა მტერი.

წებელდის მალლობები მტკიცე კედლად აღიმართნენ და საყვარელ მერხეულს ჯგებირად ჩამოეფარნენ. ჩხალთის მიდამოებში ცაში თეთრად აზიდულ ქედებს მძიმე ღრუბელი დასწოლოდა, მაგრამ ენგურის სათავეში დაწყებული გუგუნი მტერს რისხვად ეღებოდა. ტყეებით შებურული და შეკრული მიდამო განგაშებდა, ასწლოვანი ნაძვები და ფიჭვები ტოტებატყორცნილი შხუოდნენ, მდინარის სათავეს გუგუნს უერთდებოდნენ, სამშობლოს დასახსნელად მოუწოდებდნენ ახალგაზრდას, მოხუცს, ქალს, კაცს.

მალალი მთების არწივები ჰყიოდნენ, ბუდეში აღარ ჩერდებოდნენ.

ნათელას აღარ ეცალა თავისი პირადი განცდებისათვის. მან სასწრაფოდ შეიძინა მატყლი და ქალებს დაურთავა, რომ მეომრებისათვის ხელთათმანები და თბილი წინდები დაემზადებინათ. ის ქარივით დაქროდა უბნიდან უბანში, სოფლიდან სოფელში. ხშირად აღიოდა რაიონში ღირეკტივების მისაღებად. კოლმეურნეობის წევრებისა და მასწავლებელ ქალებისაგან კომისია ჩამოაყალიბა, რომელსაც სურსათ-სანოვავის, თბილი ტანისამოსის შეგროვება ევალი.

ბოდათ. ის ძუ ვეფხესა ჰგავდა. ყველაფერი პირადული მივიწყებული ჰქონდა. უფრო მაღალი და უფრო დიდი საქმე და საზრუნავი გაუჩნდა. სამშობლოს სიყვარულის წინაშე ყველა ვრძნობები პატარად გამოიყურებოდნენ. მართალია, შალვას თვალები და ვრუხა თმები ამ ორომტრიალის დროსაც არ შორდებოდა, სადაც გულის სიღრმეში მოეკალათებინა მას, მაგრამ მასზე ფიქრის დროც კი არა ჰქონდა.

სოფელი დაიკალა მუშა-ხელისაგან, კალმეურნე ქალებთან ერთად მასწავლებელი ქალები და მოსწავლეები გადიოდნენ კალმეურნეობის მინდვრებში. ყოველი დასვენების საათი გამოყენებული იყო საუბრებისათვის: ნაზია, ლეილა, ნინო, ხშირად ნათელაც მათთან ერთად ჩასხდებოდნენ მოზარდ ახალგაზრდებთან და იწყებოდა საუბარი ამ დიდი სამამულო ომის ირგვლივ. ომი დღევანდელი, ომი წარსულში. მუდამ ომებით აღსავსე საქართველოს წარსული და საქართველო დღეს სამამულო ომში ჩაბმული. ძველი დროის გმირებს აღარებდნენ დღევანდელ სახელგანთქმულ მებრძოლებს.

— ნეტაი ერთი ასპინძა მანახვა, სადაც ერეკლემ მტერი დაამარცხა!

— მე კიდევ გორის ნახვა ძალიან მინდა, ის სახლი მინდა ვნახო. სადაც ბელადი დაიბადა.

— ბავშვებო, — ეუბნება მათ ნაზია, — თქვენ წესიერად იმუშავეთ, როგორც კი ომი გათავდება, წაგიყვანთ დედაქალაქსაც გაჩვენებთ, გორსაც და ასპინძასაც.

— შეხედეთ, ბიჭებო, რამდენი თვითმფრინავია! — წამოიძახა ერთმა მოსწავლემ და ზეზე წამოხტა.

ყველამ ზეცას შეხედა. ბავშვების საზეზე სიხარულმა გადაიბრინა.

— მე მფრინავად წავალ, მასწავლებლო, — აღტაცებით წარმოსთქვა ერთმა.

— მეც! — სთქვა რომელიმე გონამ.

— მეტიჩარა, რა ქაქუჩა მფრინავობა, — შეუტია ბიჭმა.

— რას ამბობ? — გაჯავრდა მერვე კლასელი გოგონა დარეჯანი, ის პიონერთა რაზმის ხელმძღვანელია, მარდი და სიცოცხლით სავსე, — ნუ თუ არ წაგიკითხავს, ან არ გაგიგონია მიხივ რამდენი მფრინავი ქალი გვყავს?!

მათ დავაში მასწავლებელი ჩაერია, მოსწავლე ვაჟი დაარწმუნა, რომ ქალებიც არიან მფრინავებიც, მებრძოლებიც და გმირებიც. ბიჭი გაჩერდა, გულში მაინც გამირობას არ უთმობდა გოგონებს და აღმაცერად მისჩერებოდა მათ.

მეთათე კლასის მოსწავლე გოგონამ ლამარამ მასწავლებელს მიმართა, — განა გმირობა არ იყო, მასწავლებლო, ყველაფერი ის, რასაც ლეკებისა და თათრების შემოსევის დროს ქართველი ქალები სჩადიოდნენ? სამშობლოს მუდამ გუშავად რომ ედგნენ, ეს არა კმაროდა?

— მართალია, — დამოწმა მასწავლებელი და მერე ვაჟაკებს მიმართა:

— როგორ არ იცით, ბიჭებო, ტყუილად სწავლობთ წიგნს? ქართველი ქალები ყოველთვის მარჯვედ იყვნენ. როდესაც მტერი შემოესევოდა ჩვენს პატარა ქვეყანას, იარაღით ხელში იბრძოდნენ, ოჯახს ინახავდნენ. ბავშვებს გადაარჩენდნენ!

ასეთი საუბრის შემდეგ კვლავ შრომას შეუდგებოდნენ და დაბინდებამდე თავდაუზოგავად მუშაობდნენ, რომ ქვეყნისათვის დოვლათი შეექმნათ. როდესაც შრომას მოათავებდნენ, ხვალინდელი დღის ახალი ამბის მოლოდინში ძილს მიეცემოდნენ. ხვალინდელ დღესაც კარგი ამბავი მოჰქონდა. მტერმა არა თუ კავკასიის საზღვრები დასტოვა, არამედ ყველა ფრონტზე დიდი მარცხ

ხით იხვედა უკან, აღებულ ქალაქებს სტოვებდა და თავისი ბუნაგისაკენ მიეჩქარებოდა. ხალხი არაერთად არა ზოგავდა სოფელი და ქალაქი ფრონტი და ზურგი, რომ ერთმანეთს არ ჩამორჩენოდნენ, ბრძოლითა და შრომით მტერზე სრული გამარჯვება მოეპოვებინათ.

ღლით ნათელა და ზოსიმე სოხუმში უნდა წასულიყვნენ. ჯარის ნაწილები-სათვის საჩუქრები უნდა. წაეღოთ. დღეს კი კოლმეურნეები ამ საჩუქრებს აგროვებენ. მოაქეთ სურსათ-სანოვავე, ვის ყველი, ვის ქათამი, ხილი, ვის ღვინო და არაყი, წინდები და ხელთათმანები.

ნაზია და ლეილა მოტანილ სურსათ-სანოვაგეს ალაგებენ და სიას ადგენენ. ისეთი სიყვარულით მოაქეთ, თითქოს ამ ამანათებში თავიანთ სულსა და გულს აქსოვენო.

— ბევრი დაგროვდა, ძალიან ბევრი! — აღტაცებით ამბობენ კოლმეურნენი.

— მაგას რა სჯობია, ჩვენთვის მაგაზე სასიხარულო რა უნდა იყოს, მებრძოლებს გავახარებთ, ზრუნვას გამოვიჩინოთ. თქვენ თავი წარმოიდგინეთ. მოსაკითხი და გამხმელება მოგივიდეთ, მშობლიური ზრუნვა იგრძნოთ თანამემამულეებისაგან, ბედნიერები არ იქნებით?! — უბასუხა მათ ზოსიმემ.

ზოსიმე სოფელში უყვართ კიდეც და მორიდებულად არიან მასთან. დიდ ანგარიშს უწყევენ მას, როგორც მშრომელსა და პატიოსან კაცს. კოლმეურნეობის საქმეს ერთგულად ეკიდება, ხუმრობა და ქალების გაჯაერება უყვარს. ცუდ გუნებაზეც რომ იყვნენ, ზოსიმე შემოვა თუ არა, ხალისს შემოიტანს. ან ვინმეს გააჯაერებს, ან ძველ

ამბებს მოჰყვება. დღესაც სულ მოხუჯობს, იცინის, სხვებსაც ეცინება. უხარია ზოსიმეს სოხუმში წასვლა. უხარის ვაეი იმ მხარეს ეგულება, იქნებ ნახეც მოუხდეს. ხანდახან შემოაწვება ზოსიმეს შეილზე დარდი, მაგრამ მაინც გულს არ იტებს, ხუმრობს, ეფერება მომტან ქალებს აქებს, რა ქალები გვეყოლია, აწი თქვენთან მეტი პატივი და მორიდება გვექნებაო.

— მეტი თავი მოგიყვდა შენ, მოფერება კი არა, სულ ჯაჯღანობ, გარეშეებს მართლა ტყბილი კაცი ჰგონიხარ — შეუტია ცოლმა.

— რაზე, ისიც თქვი, რაზე ვჯაჯღანობ?

— რაზე, რაზე? — ეკითხებიან ნაზია და ლეილა.

— მეექვიანება, ბატონო, და მიტომ.

ვერაფერმა მოსტეხა ქალების ნებისყოფა. ისინი ოჯახებს ფრთავაშლილი გადაფარებოდნენ, ისე როგორც ფრინველებმა იციან ზოლმე თავის დაცვა, ბუღზე მტაცებელი ფრინველის თავდასხმის დროს. მართალია, ხანდახან სოფელში გულშემშარავი კვილიც გინსმოდა ზოლმე, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ეს ქალები, რომელთაც ჯერ კიდევ გულის ტკივილი არ მოშუშებოდათ, სამუშაოდ გამოდიოდნენ, თავიანთ დარდსა, და სიმწარეს მიწისწიაღში აფრქვევდნენ. ახლა ველ-მინდორში შავი მანდილიც შეერია თეთრ მანდილებს. შავად შეუღებავთ თეთრი მანდილები — ძველდაც ქვეყნის იმედი და სიხარული! შავებში გახვეულ ქალებს გული მაინც უტეხი დარჩენოდათ იმედი და სურვილი სიცოცხლისა, სიკვდილს თურგვნიდა, სიკვდილის გრძობის შიშს აცამტვერებდა. ხშირად სიხარულიც გადაირბენდა საკოლმეურნეო ფართობებზე. ვინმე ბავშვი მირბოდა მომუშავე ქალებისაკენ, რომ იქ მომუშავე დედისაოვის შეილის ჩამოსვლა



ეცნობებინა, ან ქმრისა თუ შვილის სასახელო საქმე ეხარებინა.

ნათელას საზრუნავი დღითი-დღე ემატებოდა. — ბრძოლის რიგებიდან გამოუსულ საბჭოთა არმიელებს პატრონობა ესაჭიროებოდა.

სოფელი გამოაცოცხლა საბჭოთა არმიელების ჩამოსვლამ. ახლა უფრო ხშირად იკრიბებოდნენ ჭადრებთან.

ნათელას სახეს გამარჯვების იმედმა კვლავ დაუბრუნა თავისი მომხიბლავი ღმილი. შალვას გამართლების სურვილი მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ როგორ გაემართლებინა, არ იცოდა, არც საფუძველი ჰქონდა ამისი, რადგან ახალი არაფერი შეუტყუია მის შესახებ.



— ექიმო, ძალიან ვთხოვთ ზურგში ნულარ გამგზავნით, მე მინდა კვლავ მონაწილეობა მივიღო ბრძოლაში! — ასე სთხოვდა შალვა ჰოსპიტალში ექიმ ჭალს.

— ჯერჯერობით დაგტოვებთ, შემდეგ ვნახოთ, ვფიქრობ, მალე გამოჯანსაღდებით. მხოლოდ ჩემი დარიგება ზუსტად შეასრულეთ.

— გმადლობთ. ექიმო, ყველაფერს შევასრულებ. — უპასუხა შალვამ და სახეზე გადაურბინა ქალის ცისფერი თვალების შექქმა.

შალვა მართლაც მალე მომჯობინდა. ფეხზე წამოდგა. თუმცა ოდნავ კოჭლობდა, სუსტადაც გრძნობდა თავს, მაგრამ მაინც არ ისვენებდა. ის ჰოსპიტალში ყველას ეხმარებოდა. მოხიბლა ყველა გულთბილი დამოკიდებულებით. შალვას განსაკუთრებით თავისი

ექიმო ხიბლავდა. ახალგაზრდა ქალი, ნატალია, რომელიც თავდადებულად შაობდა, გაჭირვებას გამირტყდებოდა და ეს ლამაზი და ნარნარი ქალი.

ერთხელ მოვიდა ცნობა, რომ მტერი უახლოვდებოდა მათ ჰოსპიტალს. ქვიტკირის ძველ შენობას შეაფარეს თავი. კედლები ზანზარებდნენ, მაგრამ ნატალია კი მებრძოლებს ჭრილობას უხვევდა. სროლა გრძელდებოდა. ჰაერიდანაც უშენდნენ ბომბებს. ანგრევდნენ შენობებს. შეინძრა ჰოსპიტლის შენობაც, ჭერიდან ქვიტკირი ჩამოცვივდა, კედლები ზანზარებდნენ, მაგრამ ნატალიას მუშაობა მაინც არ შეუწყვეტია.

— თქვენი კეთილი გული და ბედნიერი ხელი გვიფარავს, ექიმო, — უთხრა შალვამ ექიმ ჭალს, როდესაც მტერი მოიგერიეს.

— ჩვენ სიმართლე გვიფარავს, ამხანაგო კაპიტანო, ისინი ღვარძლით არიან შეპყრობილნი, ღვარძლი კი ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებს! ჩვენ მართალი ვართ — ისინი კი უნდა დამარცხდნენ! — ასე დასძენდა ხოლმე ნატალია. ხშირი იყო მათ შორის ასეთი საუბარი. შალვა თავს არ ზოგავდა, ოღონდ ვინმესთვის დახმარება გაეწია. ის ყველას ეხმარებოდა, სანიტრებს, ექიმებს, ექთანებს. მას „სასწრაფო დახმარებას“ უწოდებდნენ. ის წინდაწინ გრძნობდა, თუ სად იყო იგი საჭირო. ყველაფერი ეს შალვასა და ნატალიას შორის მეგობრობას ანმტკიცებდა.

უკვე გაჯანსაღებულმა შალვამ გაზაფხულზე ვრცელი წერილი მისწერა ნათელას. თავისი თავგადასავალი დაწერილებით მოუყვა, შთაბეჭდილებები გაუზიარა, ნათელას სიშორისა და უნახობას სწუხდა. ნატალიას შესახებაც სწერდა. როგორ გაიცნო და როგორ ზრუნავდა ნატალია მასზე. იმასაც

სწერდა, რომ მალე დაუბრუნდებოდა ფრონტს.

ნათელას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მტერი მარცხდებოდა, შალვას ამბავიც გაიგო. ღირსეული მებრძოლი ყოფილა იგი, ჯილდოც მიუღიაო.

ამ ამბავმა მხნეობა და ძალღონე შემატა მას.

•  
•

დიდ დროს არ გაუვლია შალვას წერილის მიღების შემდეგ, რომ საბჭოთა არმიამ ბერლინი აიღო. შალვა მოწინავე რიგებში იყო. ისიც შევიდა ბერლინში. ჩვენი მეომრები თავგამეტებით იბრძოდნენ. სულის ამოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ მტერს. შალვას ერთი იერიშის დროს ყუმბარის ნაშხვრევებმა ხელები დაუზიანა, ჭრილობა საშიში არ იყო, მხოლოდ საშინელ სიმწვავეს ჰგვრიდა, ის კვლავ ჰოსპიტალში მიიყვანეს. უკვე ბერლინის ჰოსპიტალში.

შალვას გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ჰოსპიტალში კვლავ ნატალია დახვდა.

— ნატალია, თქვენა ხართ? — აღელვებით შესძახა შალვამ, — რა ბედნიერი ვარ, ისევ თქვენს ხელში რომ მოვხვდი. — მოულოდნელი სიხარულით მოზღვავებული გრძნობისაგან ცალი ხელი გადაპხვია და შებლზე აყოცა.

ქალი შეერთა, თუმცა ისიც გულწრფელად შეხვდა ვაჟის აღტაცებას, ოღონდ შალვას გადახვევამ მისთვის ჯერ განუცდელი გრძნობა გაუღვიძა გულში. ეს არ იყო გულთბილობის და სათნოების გრძნობა, რომელიც ყოველ მებრძოლთან აკავშირებდა მას. ეს სულ სხვა სიხარულს და სიამეს ჰგვრიდა.

— მეც მიხარია, რომ გხედავთ, მხოლოდ ის არის საწყენი, დაქრილი რომ

ხართ. წამოდით, ჭრილობას გაგისინჯავთ, დროს ნუ დაგკაფავთ.

საოპერაციო ოთახში შეყვანილმა სახელდახელოდ შეხვეული ხელები გაუხსნა, ჭრილობას დახედა. შალვას ტყვილები აწუხებდნენ, მაგრამ თავს იკავებდა, ცდილობდა წუხილი სახეზე არ დამჩნეოდა.

— მსუბუქი ჭრილობაა, ორ კვირაში მთლად მორჩები. ისევ იარაღს დაატრიალებენ ეს ხელები!

— მაინც გული მწყდება, ჩემს ნაწილს ისევ ჩამოვრჩები!

— არ ჩამორჩებით, ვინც ბერლინის აღებაში მონაწილეობა მიიღო, ის არასოდეს არ ჩამორჩება.

მეორე დღეს შალვამ ნატალიას სთხოვა, ორი წერილი დაეწერა, ერთი დედისათვის, მეორე ნათელასათვის. ნატალია სიამოვნებით დაეთანხმა. ჯერ დედ-მამის წერილი დასწერა, ხოლო ნათელას წერილის დაწერის დროს კი აიბნა შალვა.

— როგორ მივწერო, ამხანაგო ნათელა თუ ჩემო სულიკო, — იკითხა ნატალიამ და ღიმილმა დაუფარა სახე.

— დასწერეთ, მეგობარო-თქო, თქვენის სახელით ჰისწერეთ, გააგებინეთ, რომ მე კვლავ თქვენთან ვმკურნალობ, რომ მალე კარგად გახდებით და სამშობლოში დაგებრუნდებით! — ძლივს იძოვა გამოსავალი შალვამ.

— გასაგებია. მხოლოდ ბოლოში არ მივწერა: „თქვენი მეგობარო“, მივწერ თქვენი საქმრო ჩემს პალატაში წევს-მეთქი. — ასე იხუმრა ქალმა და თვითონვე გაწითლდა. მერე პირსახოცი ჩამოიღო და შალვას სახეზე გადაუსვა. შემდეგ ჯიბიდან პატარა სავარცხელი ამოიღო და გრუზა თმები გადაუვარცხნა. ორთავენი სდუმდნენ, არას ამბობდნენ, ამ დროს კი მათი გული უჩვეულოდ სცემდა.

— ამის შემდეგ ძილის მეტი არაფერ-



რი გეკითხებათ, ისედაც ბევრი დრო წამართვით! — დააყვედრა ნატალიამ.

ჩაძინებამდე მრავალი ფიქრი უტრიალებდა შალვას. გაიხსენა განვლილი ბრძოლები, დაჭრა, ისევ სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგომა, გამარჯვება, ბერლინის აღება. ახალ ჯილდოზე წარდგენა, ფიქრობდა ახლო მომავალზეც, როდესაც გამარჯვებული დაბრუნდებოდა სამშობლოში, გაახსენდა დედა, ნათელა. შალვას უნდა ცოცხლად წარმოიდგინოს ნათელას სახე, მისი შავი თვალები, მაგრამ ამ მუდამ საყვარელ თვალებს ეფარებოდა ვილჰელმის ცისფერი თვალები, სიყვარულით აღსავსე ნაზი გამოხედვით.

ამ ფიქრში ჩაეძინა შალვას. დილაზე ისევ ის თვალები შეეგება, რომელნიც წუხელ ნათელას თვალებს ეფარებოდნენ.

ასე განვლო ორმა კვირამ.

შალვა და ნატალია დამეგობრდნენ. უერთმანეთოდ ყოფნა უძნელდებოდათ.

როდესაც შალვა საავადმყოფოდან განკურნებული გამოდიოდა, მის თვალებს შეუძმჩნეველი არ დარჩა ნატალიას მოწყენილი სახე.

შალვა შტაბში გამოცხადდა. შტაბში ის ბერლინში დასტოვა. შალვა შორს იყო ნატალიისაგან, მაგრამ მისი სახე მაინც არ შორდებოდა, სულ თვალწინ ედგა.

— უნდა ვნახო ნატალია, რად უნდა ვიტანჯო, ვანა ცოტა ვიტანჯე? — გადაწყვიტა ერთბაშად შალვამ და ჰოსპიტლისაკენ გაეშურა.

ნატალიას შალვა ბერლინიდან წასული ეგონა. უკვირდა მათი მეგობრულ დამოკიდებულების ასე უცბად შეწყვეტა, მაგრამ მისი აზრი შალვას უეცარმა გამოჩენამ შესცვალა.

— თქვენ ისევ მოხვედით? — სიხარულით შეეგება ნატალია.

— მოვედი, ჩემო მეგობარო, ოღონდ

ახლა სრულიად ჯანმრთელი. მე ას მინდა გავიზიაროთ, რითაც ნატალიამ გული. დიდმა ბრძოლებმა და მხივრებლმა ტყუილად არ ჩაიარეს, ჩვენ უკვე ბერლინში ვართ. თქვენ როგორა ხართ?

— მე კარგად, ამ წუთში განსაკუთრებით კარგად ვგრძნობ თავს, როდესაც ორჯერ დაჭრილს და ორჯერ ჩემ მიერ განკურნებულ მებრძოლს ასე გიციქვრი!

იმ დღეს დიდხანს ისაუბრეს და ბევრი რამ გაიხსენეს. მეორე დღეს შალვა მანქანით მოვიდა. ნატალია და მისი ამხანაგი, ექიმი ქალი ქალაქის დასათვალიერებლად წაიყვანა. შემდეგშიც ხშირად ნახულობდა იგი ნატალიას, და ურჩევდა, დასასვენებლად საქართველოში წასულიყო.



მაისის ბრწყინვალე დღეები იდგა. კოლმეურნენი მოუთმენლად ელოდნენ ომის დამთავრებას.

ნათელა, კოლმეურნე ქალები და რამდენიმე ხანში შესული კოლმეურნე ფართობში იყვნენ. ახლადდათვისილ ყანებში ბელტებს სტეხდნენ. გაისმოდა სიმღერა: „ჩვენსა იქნება სიმღერა, მტერთან კი დიდი გლოვია“.

ნაშუადღევის მუშაობა ახალი დაწყებული იყო. ნათელა ყველა ბრივადში მიდიოდა და ეუბნებოდა:

— თქვენი ქირიმეთ, დაუბელტავი არ დაგრივთ ყანები! კოლმეურნენი ნათელას მითითებაზე უფრო გულმოდგინედ მუშაობდნენ.

ის-იყო ნათელამ ქალებისაკენ დაიპირა წასვლა, რომ მისკენ მიმავალი მეშვიდე კლასის მოსწავლე ბიჭი დაიხანა, მას ხელში ქალაღლი ეჭირა. შობოდა და თან გახარებული გაიძახოდა:

— მომილოცავს, ხალხო, ომი ვათავდა, ვათავდა ომი! — ბიჭი სიხარული-

საგან ხმამაღლა იცინოდა. აი, მიიღბინა მან ნათელასთან, წერილი გადასცა, თითონ კი ბრივადებისაკენ გასწია, ყველას ომის გათავების ამბავს ახარებდა.

წერილის კითხვის დროს ნათელას გარს შემოეხვია ქალი და კაცი, მოხუცი და ბავშვი სიხარულისაგან გარინდებულნი, ხმას არ იღებდნენ.

— რა ამბავია, გაგვაგებინე?! — ძლივს წარმოსთქვეს ქალებმა.

ნათელამ ხმამაღლა წაიკითხა ნაზიას წერილი: „ნათელა, სასოფლო საბჭოდან მოვდივარ, რაიონიდან დაიძახეს, რომ ომი გათავდა გერმანიის სრული დამარცხებითო. გილოცავ, გკოცნი. ამ საღამოს ყველა კოლმეურნეობაში საზეიმო საღამო ეწყობა“.

მანდარი სინემემ მოიკცა. მერე კი უცბად სიხარულისაგან მოზღვავებულმა გრძნობამ იფეთქა და ნათელამ გარს შემორტყმულ ქალებს ხვევნა და კოცნა დაუწყო.

ისინი ჰკოცნიდნენ და ულოცავდნენ ერთმანეთს. ზოგი კი მჯიღს იკრავდა გულში.

— შენ კი არ დაბრუნდები, ჩემო შევილო, ვაი შენს დედას;— და შავი მანდილის ყურით ცრემლს იწმენდდნენ.

— დღეს ტირილი არ შეგვეფერება. მთავარი ის არის, რომ გავიმარჯვეთ და სისხლის ღვრა შეჩერდა! — მიმართა ნათელამ მათ.

ბებია ევას შემოეხვიენენ ახალგაზრდა გოგონები. ნიშნის მოგებით ეუბნებოდნენ:

— ზედავ, ბები, ომი გათავდა, შენც ცოცხალი ხარ, სულ იმას სწუხდი ვინ დამმარხავსო, გახსოვს?! —

— მახსოვს, შეილებო, აწი სიკვდილისა არ მეშინია, მაგრამ მაინც არ მინდა ის ოხერი, გამარჯვებული სამშობლოს სიხარულით მეც მინდა გავიხარო.

— აბა, გოგონებო, სიმღერით წავიდეთ სოფელში! — მიმართა გოგონებს

ნათელამ. მათ დიდხანს ხეყნა არ დასკირებიათ.

ნათელამ ყანებს გადუღებდა. ისე ეგონა, თითქოს ახლადგადახული შიწაც მათ სიმღერას იმეორებსო. ისიც ზომ მონაწილე იყო მოპოებული გამარჯვებისა.

სოფელი გამოცოცხლდა. ქალები შრომას უფრო გულდაგულ განაგრძობდნენ. ახლა თავმოყვარეობის გრძნობაც დაეუფლა მათ: კმარაშეიღს კარგი მოსავალი დაახვედრონ, ოჯახი დაქვეითებულად არ აჩვენონ.

ნათელას აღარ აწუხებდა დარდი, მაგრამ შალვაზე ფიქრი არ შორდებოდა. რამდენჯერ დასქრეს, რამდენი იწვალა მოენატრა მისი ნახვა. „მოვესწრები ამ დღეს?“ ფიქრობდა ის. ხანდახან შალვას ნახვის ისეთი ძლიერი სურვილი დაეუფლებოდა, რომ ბავშვივით კუთხეში მოიკალათებდა და ჩუმ ქეითინს დაიწყებდა. ასეთ წუთებში უზომო ღელვას განიცდიდა და ცრემლი რომ არ დაედვარა, შეეხას ვერ იგრძნობდა, გულს არ მოეშვებოდა.

— ვინ იცის როგორ შეიცვალა შალვა. მას ზომ ოთხი წლის მანძილზე სიკვდილი თავს დასტრიალებდა?! იქნებ გამოიცვალა. გრძნობაც გამოცვალა? — ამ ფიქრებთან ერთად გაახსენდებოდა ის ექიმიც, რომელსაც შალვა ასე ტკბილად იხსენიებდა. შემდეგ ამოიღებდა იმ ქალის ხელით დაწერილ წერილს, რომელიც მან ლევანსაც წააქითხა. ლევანმა ბევრი აწვალა იმ დღეს:

— წაგართმევს ის ქალი შენს შალვას, ხეირს არ დაგაყრის!

— მაგას ნუ იტყვი, ლევან, — უთბრა მაშინ უღარდელად ნათელამ, — ახლა კი იმ ხუმრობისაც შეეშინდა. ფიქრები ჯერად შემოადგნენ. თავს ინუგეშებდა. განა მას კი არა ჰყვანან მეგობარი მამაკაცები? აი, ვრიშა რვა-

ლიძე, მიშა ღონაძე, განა, ცოტა წერილები მოგვდის შე და ნაზიას ვაჟებისაგან, რატომ შალვას არა. ჰქონდა უფლება ასე დამეგობრებოდა ვისმეს?! — იმშვიდებდა ნათელა თავს, მაგრამ მაინც მის წარმოდგენაში სრულიად უნებურად აღიმართებოდა ზოლმე ცისფერთყალუბა, სიცოცხლით სავსე, ღამაში ქალი. ხომ შეიძლება ის ქალი შეპყვარებოდა შალვას? მაშინ? ხომ გაათავდა მისი სიხარული, ნათელას არსებაში ნატურად გადაქცეული სიყვარულის ძლიერი გრძნობა?!

მაგრამ ის ამ შიშს თავდადებული შრომით და ადამიანებზე ზრუნვით სძლევდა.



ომგადახდინი სიხარულით უბრუნდებიან მშობლიურ მხარეს. სოფელი ასევე ხალხით ივსება. წელში გაიმართა სოფელი. ნათელას ძმა შვებულებაში ჩამოვიდა. შალვას კი ყოველ დღე ელის ნათელა. დეპეშა მიიღო მისგან, ომის დამთავრებას ულოცავდა, შალე ჩამოვალო, იწერებოდა. მერე წერილები ისევე შეწყდა. იქვი და ნახვის სურვილი მოსვენებას არ აძლევდა ნათელას.

ერთ დღეს თბილისიდან ჩამოსულმა ნაცნობმა ნათელას მხიარულად ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— მომილოცავს შალვას ჩამოსვლა! ნათელა შეკრთა:

— რას მილოცავ, როდესაც შალვა თვალითაც არ მინახა?

— ჩემი თვალთ ვნახე, მკერდი ორდენებით მოფენილი აქვს:

— სად ჩამოვიდა, აქ არის ახლა?

— თბილისში დავტოვე, ერთ კვირაში ჩამოვალო. საქმეები მაქვსო მოსავგარებელი.

— კარგია, კარგი, მოავგაროს. —

დაბნეულად წარმოსთქვა ნათელამ, მერე უცხად დაემშვიდობა ჯანსაღსა და საბჭოსაკენ გასწია.

ნათელა საბჭოს თავმჯდომარესთან შევიდა, მიესალმა და მაშინვე სთხოვა:

— სამი დღით თბილისში უნდა წავიდე, აუცილებელი საქმე მაქვს, შვებულება მომეციო.

— რა საქმეა ასეთი?

— პირადი საქმე მაქვს. ძმის სანახავდ მივდივარ! — მოკლედ მოუჭრა ნათელამ. უხერხულად გრძნობდა თავს, სახეზე ვერ შეეხებდა მისთვის.

მეღინების საბუთი მისცეს თუ არა, მაშინვე ქალაქის სადგურში წავიდა, ბილეთი შეიძინა. წასვლამდის რამდენიმე საათი რჩებოდა, ბაღში განმარტოებით ჩამოჯდა.

— მაშ, შალვას ვნახე! ეუბნებოდა ის თავის თავს, — მაგრამ თბილისი სოფელი ხომ არ არის, როგორ მოენახე. მისამართი რომ არ ვიცი?! — შეაკრთო ამ ფიქრმა. შემდეგ თავის ტანისამოსს დახედა, არ მოეწონა მისი უბრალოება და სისადავე. «არც ეს ნიშნავს რამეს!» — გადასწყვიტა თავის დასამშვიდებლად. მას ახლა შალვას ნახვის ისეთი ძლიერი სურვილი დაეუფლა, რომ ვერაფერითა დაბრკოლება ვერ შეაჩერებდა.

— «უნდა წავიდე, უნდა ვნახო», — გაიძახოდა მისი გული, რომელიც გონებას აღარ ემორჩილებოდა. ნათელამ ფანქარი და ქაღალდი ამოიღო, ორი სიტყვით მისწერა მონაგარიშეს, რომ ის თბილისში მიდის, და რა უნდა გაეკეთებინა მას ნათელას ჩამოსვლამდე. წერილი სოფლისაკენ მიმავალ შეტლეს გაატანა.

მეორე დღიას იგი უკვე თბილისში იყო.

დიდი ხანია თბილისში არა ყოფილა. ბევრია დედაქალაქში ხალხი, მოძრაობაც დიდია. არ იცოდა, სად უნდა წასულიყო, ვისთვის მიემართა, რომ



შალვას მისამართი ვაგვო. ბერიას მოედნისაკენ მიმავალ ტროლეიბუსში ჩაჯდა. სანამ ჩელიუსკინელების ხილს მიაღწევდა, მის გვერდში მჯდომ სამხედრო პირს შეეკითხა: — მომიტევეთ შეწუხება, ამიერკავკასიის საოლქო შტაბი რომელ ქუჩაზეა?

მან მიასწავლა.

ნათელა შტაბის ახლოს ჩამოხტა, გული საშინლად უცემდა. აქეთ-იქეთ იცქირებოდა. ერთ წუთს ისიც გაიფიქრა, — მე დავსდევ, ვეძებ, მაგრამ ვანა ლამაზია ეს ჩემი საქციელი? შტაბიდან ოფიცრები გამოვიდნენ. ისინი იცინოდნენ, მხიარულად ლაპარაკობდნენ. ნათელამ შეათვალიერა ისინი, იქნებ ვინმე მათგანი შალვას ამხანაგი იყოსო, კითხვა ეუხერხულებოდა. შევიდეს შტაბში? იქაც ხომ ხალხი იქნება. ცოტას კიდევ დაიცდის, იქნებ ვინმე ნაცნობი ნახოს. ასე ვაოგნებული იღვა და შესტკეპროდა სადარბაზო კარს, როდესაც სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი, ორდენებით შეკრდამშვენებული ახალგაზრდა კაცი შტაბიდან გამოვიდა. მან შავი თვალები მიანთა ნათელას. მზისაგან დამწყვარი, ოღნავ კეხიანი ცხვირი და შავი წარბები ამშვენებდნენ მას.

ნათელამ ძაღლონე მოიკრიფა, მიზი სხელი რომ ხმა მალღა არ დაეძახნა. მაინც უჩვეულოდ გაისმა მისი ხმა:

— შალვა!

შემობრუნებულმა შალვამ ნათელა დაინახა, შეიცნო, შეკრთა, მოულოდნელი იყო ეს შეხვედრა. ერთ ხანს გაკვირვებულნი შეპყურებდნენ ერთმანეთს. ისევ შალვა ზოვიდა გონს, მიესალმა, გადაეხვია, მოიკითხა. შემდეგ მკლავში ხელი გაუყარა, მკერდთან მიიკრა, შალვამ შეამჩნია რომ ნათელას მუხლები ეკეცებოდა. გზად მიმავალ მანქანას დაუძახა და შივ ჩასვა.

მღუმარე და ღონემიხდილ ქალს თვალებში ჩაბედა:

— არა გრცხვენია ასე რად ლელავ. ხომ ხედავ, ცოცხალი შენგან მუხმან ვარ, ახლა მუდამ ერთად ვიქნებით, მუდამ!..

უკონცინდა ცრემლით სავსე თვალებს, გულში იკრავდა ნათელას შალვა.

— წავიდეთ ჩემთან, დაისვენე,

— როგორც გინდა.

ოთახში შესვლისას მათ შორის ისევ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

უხერხულობის დასაფარავად შალვამ საერთო ნაცნობები მოიკითხა. ვინ დაბრუნდა ფრონტიდან, ვინ არა.

— შენ რატომ არაფერს შეკითხები, რამ დაგაღუმა, მიწყრები რამეს?

— არა, ლაპარაკი მერე იყოს, ახლა ასე მინდა გიქვირო. რამდენი ხანია არ მინახავხარ.

— ცოტა ხან დაგტოვებ, მასალები უნდა წავიღო შტაბში. შენ მოისვენე, დაიძინე. — უთხრა შალვამ და ოთახიდან გავიდა.

სადილობამდის საქმეები ზოათავა და შინ დაბრუნდა. ფრთხილად შეაღო ოთახის კარი. ნათელას ეძინა. ის ბავშვსა ჰგავდა, ბავშვს, რომელსაც ბილში უმანკო ღიმილი დასთამაშებს ხოლმე. მოკრძალებული აღერსით გააღვიძა შალვამ ნათელა.

— ნათელა, მე შენს შემდეგ მრავალი მეგობარი შევიძინე ვაგიც, ქალიც, ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის. ვინც გადარჩა, იმათ ღიდაღ ვაფასებ. ზოგს ფრონტზე დაეშორდი, ზოგი აქ არის, არ გინდა გაიცნო ისინი?

— შენი მეგობრები ჩემთვის ძვირფასები იქნებიან, ჩემთვის სასიხარულოა მათი გაცნობა.

— თუ ვახსოვს, ნათელა, ერთი რუსულად მოწერილი წერილი ბერლინის ალემბის შემდეგ. — მას ჩემი მეგობარი ქალი ვწერდა.

— როგორ არ ვახსოვს. ეჭიმი ქალი

მწერდა. პირველად დაჭრილს მან მოგიარა და სიკვდილს გადაგარჩინა.

— არა, ეს მეორე ჭრილობა იყო. პირველად კი, თვით არ ვიცი ვინ დამამარჩინა.

— ვიცი, ავი მწერდი ჩემთვის უცნობი ექიმი ქალის შესახებ, — მაშინვე მიუგო ნათელამ და გულში შიშმა გაჰყრა, რაღაც შეუცნობელმა, გაუტყვეველმა შიშმა.

— ის ჩემი მკურნალი ექიმი და მისი მეგობარი თბილისში არიან! — მიუგო შალვამ, ხმა არ ემორჩილებოდა, — თუ დაღლილი არა ხარ ამ საღამოს მათთან გავიაროთ და კინოში წავიდეთ.

ნათელა შეკრთა, ეკვმა უფრო მძლავრად დაუბნო გული. გარეგნულად არ შეიმჩნია. შალვამ ვერ შენიშნა, რადგან სახეზე გადაკრული სიწითლის დასაფარავად კედლისაკენ მიბრუნდა და სრულიად დაშვებულად უპასუხა:

— შენ მეგობრებს სიაშოვნებით გაცივობ, კინოშიც წამოვალ, სრულებით არა ვგრძნობ დაღლას, ხოლო ძალიან ცუდი ჩაცმული ვარ, მოულოდნელად ჩამოველი, — თან თავი ჩაღუნა და ისე გაწითლდა, თითქოს ეს ცუდი ჩაცმულობის გამო მოუვიდო.

— არა უშავს, ჩემთვის ასე უფრო ლამაზი ხარ! — სიცილით უთხრა შალვამ და ხელი მოხვია.

ორივენი ნახევარ საათში ნატალიასთან გაჩნდნენ. ნატალია და მისი მეგობარი ქალი კინოში წასასვლელად გამზადებულნი, შალვას მოლოდინში, ახალ ჟურნალს ათვალეირებდნენ.

— გამარჯვება, მეგობრებო, — მობართა მათ შალვამ ოთახში შესვლისთანავე — მომიტყევეთ, უცნობი ამხანაგი მოგიყვანეთ, სოფლიდან ჩამოვიდა ამ დღით, ამხანაგი ნათელა რომელსაც თქვენ, ნატალია შორიდან უკვე

იცნობთ. შენც იცნობ შორიდან ჩემს ექიმს, ნათელა, ახლა პირველად გავიცანი!

ნატალიამ ნათელას თავისი ცისფერი თვალები შეანათა, ნათელა დაიბნა, რადგან ორ უცხო ქალში თვითონ უნდოდა ეცნო ის ექიმი, რომელმაც მისი შალვა ორჯერ განკურნა და თანაც გულში ეჭვი და შიში ჩაუნერგა. გამოიცნო კიდევ და მას პირველს მიესალმა. ახალგაიწილებითათვის სასაუბრო თემა საძებარი არა ყოფილა. უამრავი ეპიზოდები ფრონტის ცხოვრებიდან, ქალაქებისა და სოფლების მდგომარეობა, ვინ რას აკეთებდა ამ აშინელი ომის დროს. უსმენდნენ ერთმანეთს, თავიანთ ნამუშევარს აცნობდნენ. ეს ორი ქალი, სხვადასხვა გზით, ერთი მიზნისაკენ მიმავალი ერთმანეთს ხიბლავდა. ნათელასათვის საშიშარი მეტოქე მისთვის ახლობელი შეიქნა, თუ ერთი დანახვით მან ეს საუცხოვო ქალი გულთან უნდობლად მიიღო, და ეს შიშს ბადებდა მასში, ახლა ზღვარი გაირღვა და ნათელას გულში სიმშვიდე დამკვიდრდა. შემდეგ საუბარი ომში დაღუპულ ამხანაგებს შეეხო, რის შემდეგ სევდიანმა ღმერთმა მოიცვა ოთახი. სიჩუმე ისევ შალვამ დაარღვია:

— რა გაეწყობა, კარგი ბიჭები დავკარგეთ! ვინც დავრჩით, მათი წილი შრომა ჩვენ უნდა ავეუნაზღაუროთ სამშობლოს!

— თქვენ ისევ იმ სამუშაოზე აპირებთ დარჩენას, ამხანაგო ნათელა? — ჰკითხა მას ნატალიამ.

ნათელა თითქმის შეაკრთო ამ კითხვამ. მან შალვას გადახედა.

— არ ვიცი, სადაც უფრო ნაყოფიერად და საჭიროდ დავინახავთ ჩემს მუშაობას, იქ უნდა ვიქნე! ალბათ ისევ მეურნეობაში დავრჩები.

— თქვენ, ალბათ, ძლიერ გიყვართ

მეურნეობა და ბუნება, ცოდვაც იქნებოდა სხვა წარმოებაში.

— არა, მეგობარო, განა ახლა იმის დროა რომ მეშაობა სიყვარულით განსაზღვრით, ჩვენ ყველა სამუშაო ერთნაირად უნდა შევიყვაროთ, რომ ომით გამოწვეული კრილობები მოვიშუშოთ.

— ნათელა მართალია, ის მშვენიერად მსჯელობს, — წარმოსთქვა ნატალიამ და ალტაცებით შეხედა ნათელას მგზნებარე თვალებს.

— განა მე ვამბობ, რომ ნათელა მართალი არ არის, მაგრამ დამერწმუნეთ, სჯობია ადამიანმა იმ დარგში იმუშაოს, რომელიც მას იზიდავს და მის მიდრეკილებას აკმაყოფილებს.

— თუ ავრეკ, ნათელა სოფელს ვერ მოშორდება, მას სოფელი ძალიან უყვარს, — წარმოსთქვა შალვამ და ნათელას ღიმილით შეხედა, რომ მოეგონებინა ის კამათი, რომელიც მათ ომის წინ ჰქონდათ. ნათელამაც გაუღიმა, ორთავეს ღიმილი თითქოს ბავშვობის მოგონება იყო. ომის ქარცეცხლში მომწიფებულ ახალგაზრდებს ახლა უკვირდათ, რა პატარა საკითხები აწუხებდათ მათ მაშინ.

შალვასთან ნათელა რამდენიმე დღეს დარჩა. სოფელში წასვლა აუცილებელი იყო. ისიც მიიჩქაროდა. მას აცოლებდა შალვა თავისი მეგობარი ქალებით. ის გულწრფელად თხოვდა მათ შალვასთან ერთად სოფელში ჩამოსულიყვნენ. დასავლეთ საქართველოს ბუნება ენახათ.

— მალე ზამთარი დაიწყება, — უთხრა ნატალიამ, — ჩვენ გაზაფხულზე გესტუმრებით, შალვასაგან გამიგონია, თქვენში მშვენიერი გაზაფხული იცის. მთა-გორაკებზე ვივლით, მდინარეში ვიბანავებთ, ხენა-თესვაში მოგეხმარებით. ახლა მარტო შალვა წამოვიდეს.

— ასე ჩქარა მეც ვერ წავალ. ერთი ან ორი დღით დღე-მამას ვინახულე, იქედან თქვენთანაც ამოვალ.

წელსაც გამოვტოვებ ინსტიტუტში სწავლას.

— წრეები დელი წლამს დასრულებას შეიძლება, შალვა, ისედაც დიდი დრო დაგვეკარგა. მე ძალიან მათუქრებს შენი მდგომარეობა. უნდა დაუბრუნდე სწავლას!

— მე კი დაუბრუნდები სწავლას, შენი საქმე უფრო მაწუხებს!

— ჩემზე სოფელში ვილაპარაკოთ, ახლა იმდენ რამეზე ვფიქრობ, რომ ყველაფერი ერთმანეთში მერევა! — ნათელამ ისე ამოიოხრა, თითქოს თხერას თან გული ამოაყოლოდა.

— კიდევ გშორდები! — წარმოსთქვა ნათელამ მცირე ღუმილის შექცევით. — ხედავ, ამ წლების მანძილზე როგორ შევიცვალეთ?! ახლა მე უფრო მაწუხებს შენი მოშორება, ვიდრე შენ ჩემი.

შალვა შეერთა. მან იგრძნო ნათელას ნათქვამი მართალი სიტყვა. უხერხულობის დასაფარავად ნათელას ხელი მოჰხვია და მის მოწყენილ სახეს სიხარული მოჰფინა.

•••

მატარებლის გაღებულ ფანჯრიდან ნათელა შალვას და ნატალიას ელაპარაკებოდა, ცდილობდა მხიარული ყოფილიყო, მაგრამ მაინც ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ მისი თვალები;

— მოგელით, მოგელით! ჩვენში ჯერ კიდევ შემოდგომაა, თბილა. დიდად ისინამოვნებთ, — უებნებოდა ის ნატალიას.

— მე არ მპატიობ? — იკითხა შალვამ.

— შენ დაპატიეება არა გჭირდება. გზა ხომ არ დაგვიწყებია? — გულჩათხრობილად გამოუვიდა ნათელას ეს სიტყვები.

მატარებელი გაშორდა სადგურს, ნათელას გული ჩასწყდა, მგონი ვაწყენინე შალვასო. ერთად დაუგრავდა



გულში სიყვარულის იჭვისა და სინანულის გრძობა. და ისევ ნატალიას სახე და მისი აღნაგობა წარმოუდგა, თვალწინ.

ნათელას ძლიერ მოსწონდა ასეთი ქალები, მათ სამხედრო ტანისამოსში გამონაკეთულ ტანს ის ალტაცებაში მოჰყავდა. ამ გარეგნულ მშვენიერებას თან ერთვოდა შალვას მიერ მოთხრობილი ნატალიას თავგადასავალი. მის გულს კვლავ ეჭვი და შიში დაეუფლა, ბევრჯერ გააფანტა ასეთი მწარე ფიქრები. დასძლევდა ფიქრებს, მაგრამ ისევ მოფრინდებოდნენ. ფიქრებთან ბრძოლაში დაღლილ-დაქანცული ჩამოვიდა სოფელში. მუშაობას ისევ მისთვის ჩვეული მუყაითობით შეუდგა. ყველა ამჩნევდა, რომ ნათელა გულჩათხრობილი იყო. მეგობარ ნაზიასაც კი არ ჩაახებდა მან თავის გულში. ყოველ დღე, კანტორაში იყო თუ თავის სახლში, თვალი კიშკრისაკენ ჰქონდა. მოუთმენლად ელოდა შალვას ჩამოსვლას, შალვაზე ფიქრს თან მოსდევდა ნატალიას სახე. მას მოსწონდა ეს ქალი. მეგობრული გრძობა ჰქონდა მისდამი, მისი ჩამოსვლა სურდა, მაგრამ იჭვის გრძობასაც ვერ იშორებდა თავიდან. ათი დღეც გათავდა. შალვა არა სჩანდა. რამდენიმე დღის შემდეგ წერილი მიიღო, სადაც შალვა მოუსვლელობას უდროობით ხსნიდა, ბოდის იხდიდა და არწმუნებდა, რომ დედაც მხოლოდ ერთი დღით ინახულა. ჩამოსვლას მაინც ჰპირდებოდა. წერილი გულთბილად ეჩვენა. ოღონდ არცერთი სიტყვა არ ეწერა მათ მომავალზე. სტრიქონებს შორის უნდოდა ამოეკითხა ის სიტყვა, რაც სტრიქონებში არ ეწერა. ამაოდ! იქაც არ იყო. წერილი რამდენიმეჯერ წაიკითხა, შემდეგ მაგიდის უჯრაში სხვა წერილებში ჩადო, თვითონ კი გაოგნებული კანტორაში წავიდა, სადაც მოსავლის საბოლოო განწილებისათვის მუშაობდნენ.

დიდხანს ვერ უპასუხა მან შალვას, იმედს არ ჰქარავდა. იქნებ ეჩვენებოდა მაინც ჩამოვიდესო. არა და მოვიდა. შინაარსის წერილის დაწერა, რომელსაც გონება და თავმოყვარეობა უკარნახებდა, იგი ისევ შრომაში ჰკლავდა თავის დარდს. მტკიცედ გადასწყვიტა დაუსწრებელ მსმენელად ჩარიცხულიყო ქუთაისის ინსტიტუტში. რა თქმა უნდა, თავის სამუშაოს არ მოშორებოდა, მით უმეტეს რაიონი ამ ერთ წელში აღწაღო მაინც არ გაანათვისებულა.

— რატომ ქუთაისში ირიცხები? — ჰკითხა მას ერთხელ ნაზიამ, — განა თბილისში არ გერჩია. ხშირად ჩახვიდოდი, შალვასაც ნახავდი.

— მე და შალვა გადავეჩვიეთ ერთმანეთს, — ნაღვლიანად მიუგო ნათელამ.

ნაზიას ეს შეუმჩნევლად არ დარჩა, რომ თბილისიდან ჩამოსვლის შემდეგ ნათელა ისე ალტაცებული აღარ იყო, როგორ წინათ.

ნათელა ქუთაისში ჩავიდა, თავისი საბუთები და განცხადება ჩაიტანა, ინსტიტუტში უსაყვედურეს, რად დაიგვიანეთ, შემოდგომიდან ჩარიცხულიყავითო. მათ ნათელამ თავისი მუშაობის ხასიათი განუმარტა, რაიონიდან მიღებული დახასიათება და შუამდგომლობა წარუდგინა. ინსტიტუტში მიიღეს. გახარებული დაბრუნდა შინ. მის ცხოვრებაში ახალი მიზანი შეიჭრა. შრომას შრომა დაემატა. რამდენიმე დღე კიდევ ელოდა შალვას, ან თვითონ ჩამოვა, ან წერილს მომწერსო, მაგრამ არცერთი არ ჩანდა.

მოთმინებიდან გამოსულმა ნათელამ შალვას წერილი მისწერა: „ძვირფასო შალვა, გელოდები და არ მოდიხარ, მჯერა, ბევრი საქმე გაქვს, მაგრამ ერთი დღე ყოველთვის შეიძლება იშოვო. ვიყოთ გულახდილი... შენ მარტო უდროობა არ გიშლის ხელს. როგორც სჩანს, ამდენი ხნის ჩემმა დაშორებამ,

ომის ოთხი წლის მანძილზე გადატანილმა ცხოვრებამ, შეგზულდა, ჩემის მხრივ სწორი არ იქნება ვისაყვედურო. ჩემი აზრი იყო, ის არ შეცვლილა, თუ შენი სიყვარულის გრძნობა გამოიფიტა, თუ ის მოვალეობისა და სიბრალულის გრძნობად გადაიქცა, აღარაფრად ღირს. საჭირო არ არის დამოკიდებულების შეყოწიწება. ნუ იჯავრებ, განაგრძე შრომა, სწავლა. ჩვენი ქვეყნის სიყვარული ყველას გვეყოფა სიცოცხლის მიზნად, მე და ჩემი მოვინება ნურასოდეს ნუ შეგიშლის ხელს შენი ცხოვრების მოწყობაში. მომიკითხე ამხანაგი ნატალია. მარად ერთგული მეგობარი ნათელა“.

წერილი დასწერა, მაგრამ მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შესძლო ამ წერილის გაგზავნა.

მძიმე დღეები დადგა ნათელასათვის, ნამდვილი შემოდგომა დაიწყო — ნესტიანი, მოღრუბლული. ფართობზე მუშაობა შეწყდა. უფრო მეტ დროს კოლმეურნეობის კანტორაში ატარებდა. ინსტიტუტიდან ჩამოტანილი პროგრამების მიხედვით საგნებს ამზადებდა. ნაზია მასთან ხშირად შემოდის, იგი არასოდეს არ ახსენებდა შალვას. ამ თემაზე ლაპარაკს ერიდებოდა, მათი საუბარი სწავლისა და მომავალი მუშაობის გარშემო ტრიალებდა.

— რა კარგი იქნება, ნათელა, შენც ლიტერატურულ დარგზე იყო, ყველა საგნებს ერთად დაეამზადებდით, — ეუბნებოდა ნაზია ნათელას.

— მართლა კარგი იქნებოდა, მე ძლიერ მიყვარს ეგ დარგი, მაგრამ ჩემი მუშაობის ხასიათი სოფლის მეურნეობაა. მიუხედავად აგროტექნიკუმის დამთავრებისა და ამ დარგში შვიდი წლის მუშაობისა, ბევრი რამ კიდევ არ ვიცი, და მთავარი, ის არის, რომ მეურნეობა ძალიან მიყვარს. წელს ბიოლოგიურზე კომუშავებ, გაისად გეცდები, სამეურნეოზე მოვეწყო. რამდენი

ჯგუფა გადამიტანია ამ დარგში მუშაობით!

ნაზიამ საუბარი რუსულ ენაზე გადაიტანა.

— აი, ამ საგანში ერთად ვიმუშავოთ, მალე ლევანი ჩამოვა და ისიც დაგვეხმარება.

— მართლა, ლევანი დაგვეხმარება, — ალტაცებით წარმოსთქვა ნათელამ. — მე ლევანი ნათესავივით მიყვარს. კეთილი კაცი.

— კეთილია, მაგრამ, ვემდური. ცოლი რომ არ შეირთო.

— ეს უბრალო შემთხვევის ამბავია. ვინ იცის რამ შეუშალა ხელი, სად შეცდა, სად მოტყუვდა. ცოლის შერთვა და გათხოვება არც ისე ადვილი საქმეა. თუ ახლაგზრდამ ფიქრი და გარჩევა დაიწყო. ჩემის აზრით, სიბერე მოუსწრებს.

— მეც ეგრე მესმის.

— ნაზია, შენ გჯერა დიდი გრძნობები? ღრმა სიყვარული?

— გჯერა და ძალიანაც გჯერა. უმაგისოდ ცხოვრება ძალზე უხალისო იქნებოდა. შენ კი არ გჯერა, განა?

— მეც გჯერა, ყოველ შემთხვევაში მინდა გჯეროდეს... დავანებოთ თავი ამაზე მსჯელობას. თუცა ეს ძველი და იმავე დროს მუდამ ახალი თემაა... — ნათელა წამოდგა და თაროზე წიგნს დაუწყო ძებნა.

\*  
\*  
\*

შალვა ნათელას წასვლის შემდეგ მართლაც ძალიან დაიტვირთა. იანვრის სესიებისთვის საგნებს ამზადებდა. ნატალიას უფრო იშვიათად ხვდებოდა, ნატალია ერთ-ერთ საავადმყოფოში ჭირურგად მსახურობდა. მან სახელი მოიხვეჭა, როგორც სამამულო ომში გამოცდილმა და თეორიულად განსწავლულმა ექიმმა. შალვას ის ყო-

ველთვის სიბარულით ხედებოდა მაგრამ ყოველთვის ცდილობდა, თავი შორს დაეჭირა. ხედავდა, რომ შალვას გრძნობები მისდამი ხშირად მეგობრული ჩარჩოებიდან გამოდიოდნენ. ინტიმური ხდებოდნენ. იყო ისეთი წუთები შერლინშიც, ვაშლიც და აჭაც, საქართველოში, როდესაც ნატალიას ეჭვი შეიპყრობდა, მიყვარს თუ არა შალვაო. პასუხის მიცემა უჭირდა. საქართველოში ჩამოსვლის ერთი მიზეზთაგანი შალვას თხოვნა და ზეგავლენა იყო. შალვა მას იზიდავდა რაინდული მოპყრობით, ჯარეგნობით, მაგრამ ის ყოველთვის ცდილობდა თავისი გრძნობები მეგობრული დამოკიდებულებით დაეშოშმინებინა მეტადრე ნათელას გაცნობის შემდეგ. იცოდა, რომ ის შალვას საცოლე იყო.

— ძალიან შეგეჩვიეთ, ჩემო ნატალია, უთქვენოდ მოწყენას ვგრძნობ, მუდამ თქვენსკენ მოვიჩქარო. —

— ეს ბუნებრივია, შალვა! — მეგობრებს ერთმანეთის ნახვის სურვილი უნდა ჰქონდეთ, — მიუგო ნატალიამ და მოულოდნელად შეეკითხა: — თქვენ ეს მითხარით, სოფელში როდის მიდიხართ? ნათელა, ალბათ, ველოდებათ, რას იწერება?

— მე მივწერე ის მიზეზები, რის გამოც ვერ მივდივარ. მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ვერ მივწერე! — ნატალიამ სიტყვა ბანზე აუგდო და ჰკითხა, უკანასკნელ გამოცდას როდის აბარებო. შალვას გაჯავრება დაეტყო.

— ნუ თუ არ გაინტერესებთ ის მიზეზები, რომელიც მე ხელს მიშლის ნათელასთან ძველებურად მივისწრაფოდ?

— მე იმის მეტი არაფერი ვიცი, რომ იგი თქვენი საცოლეა და მალე ქორწილში უნდა დამბატოეთ! — ლიმილით მიუგო ნატალიამ.

— მკაცრად მემტყვიეთ, ნატალია, — შესძახა შალვამ!

— უფრო მეტს გეტყვი, შალვა, როდესაც ვინმეს ჰგონია, რომ ვერცხვად იმავე დროს ორი ადამიანი ვერცხვად უყვარს, მას არც ერთი მათგანი არ უყვარს. მე და თქვენ ბევრი რამ გვაერთებს, სამამულო ომი, ერთად გატარებული წლები, აი, ამიტომ არ მინდა დაგკარგოთ, როგორც მეგობარი, არც ნათელა მინდა დაგკარგო, ამიტომ თუ ჩემი ხათრი გაქვთ ამ საგანზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ!

ღარცხვენილი შალვა მალე დაემშვიდობა ნატალიას.

ორი დღის შემდეგ მან ნათელას წერილი მიიღო. შალვამ წერილი ნატალიას გადაუთარგმნა, ნატალია ალტაცებაში მოიყვანა ნათელას ნებისყოფის სიძლიერემ.

— ახლა ხომ დამეთანხმებით, შალვა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რომ თქვენი გრძნობის გაორება დამთავრდა. ხვალვე გაემგზავრეთ სოფელში, ჩვენ კი დამხასავით გადავკოცნოთ ერთმანეთი, —

— მადლობელი ვარ, ნატალია, თქვენ კარგი და დიდსულოვანი ადამიანი ხართ, — უთხრა შალვამ შუბლზე ეამბორა და სასწრაფოდ კარი გაიხურა.

ოთახი დაცარიელდა ამ სიცალიერემ ნატალიას მარტობა აგრძნობინა. გაიხედ-გამოიხედა, უცხად ადგილიდან მოსწყდა, კარი გამოაღო, ერთი წუთიც და მიმავალ შალვას უკან დააბრუნებდა მაგრამ თითქოს გარედან შემოჭრილმა ნიავმა გამოაფხიზლა და ადამიანური მოვალეობა მოაგონა. ადგილიდან ვერ დაიძრა. მიმავალ შალვას მხოლოდ შორიდან გააყოლა თვალი. მერე შემობრუნდა, კარები მაგრად ჩაკეტა, თითქოს სურდა კარებთან ერთად თავისი გულიც ჩაკეტათ. შემდეგ ბალიშზე დაემხო და ცრემლი მოერია.

1946 წლის გაზაფხული დაიწყო. გაპარჯებული ქვეყანა სამამულო ომის

შემდეგ პირველ გაზაფხულს ეგებებოდა, გაზაფხული მით უფრო ძვირფასი იყო, რომ ბელადმა ახალი ხუთწლეულის გეგმებით ქვეყნის მშენებლობა და აღორძინების გზები დასაბა. შრომის ერთუზიანობით აიესო ხალხის გული. ამოკმეღდნენ სოფლებიც. ნათელაც შრომის საერთო ფერხულში იყო ჩაბმული. მათი კოლმეურნეობის გეგმე-

ბიც დასახული იყო, ახლა რეკონსტრუქციის განხორციელება. კოლმეურნენი ველთაღრიგეობენ. ნათელა თავს დასტრიალებდა ბრიგადებს. ის დასვენების საათში დროდადრო ბედნიერი ღიმილით იტყვირებოდა ქადრებისაკენ, სადაც შალვა ომის შემდგომ ხუთწლეულზე საუბარს ატარებდა კოლმეურნეებში.

გაბრიელ გალახიძე

## მხარლამხარ

★

მოთხრობა

1

შესაღამოებელი იყო, როდესაც მატარებელმა საჩხერის სადგურს მიაკვივლა და კრიალა ცის სიერცეში მუქი კვამლის კორიანტელი აღშვა. მგზავრები ჩამოსასვლელად მოემზადნენ. გამყოლმა ვაგონის კარი გამოაღო, სადგურს გახედა და ტალანში შემოსულ ახალგაზრდა კაცს, ბეჟან თაფლაძეს, ჩაულაპარაკა:

— ესეც საჩხერე! ორი ვაგონიც არ ეყოფა ამ ახალგაზრდებს!

— ბეჟანი არიან? — ჰკითხა ბეჟანმა.

— გაიხედე! — უთხრა გამყოლმა, გვერდზე მიღვა და მწვანე ბაიჩალი გაშალა.

ბეჟანმა თვალი შეავლო მოედანზე ტალიკ-ტალიკი ბიჭების გუნდს. ახალწვეულებს წრე შეეკრათ და საცეკვაოს მღეროდნენ. ერთი დაბალი ბიჭი ქალურად ცეკვავდა, ხოლო მეორე, მაღალი, ტანწერწეტი, კონტა უღვაშებიანი ბიჭი ჭორივით დატრიალებდა თავს. აგერ მეორე ჯგუფს ლაშქრული წამოეწყო და მეტად მგრძობიარედ აკაკანებდნენ სიმღერას.

„ამ დღეებში მეც მათ რიგებში ჩავდები. მეც მათებრ დამიწყებს გული ჩქროლვას“, გაიფიქრა ბეჟანმა.

— მომწონს, შეილო, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით რომ მიდიან საქვეყნო ვალის მოსახდელად! — ჩაილაპარაკა მოხუცმა გამყოლმა და ისევ ახალწვეულებს დაუწყო ცეკრა.

ბეჟანმა დაინახა მოედანზე ქალები, მოხუცებულები და ბავშვები. ერთბაშად გული მოეწვა: „მე ვინლა გამაცილებს? ბაბუა კიმოთე?!“ — გაუელვა ფიქრმა. გახურებულ შუბლზე საღამოს გრილმა ნიავმა გადაურბინა.

— გადადი, ძამია, რაღას უყურებ! — მიმართა ახალგაზრდა გოგომ გასასვლელ კარებში ჩამდგარ ბეჟანს.

— უკაცრავად, ბოდიში! — მიუგო ჩაფიქრებულმა ბეჟანმა და სწრაფად დაეშვა კიბეზე.

ჩქარი ნაბიჯით გაირბინა სადგურის მოედანს და ყვირილას სანაპიროზე გავიდა. ხილზე ფეხი შედგა. სახსე მთვარის სინათლით გადაქათქათებულმა მდინარის ტალღებმა თვალი მოსტაცეს ბეჟანს. შეჩერდა. ძირს გადაიხედა.

„რა ლამაზია ჩვენი ყვირილი! — უცრად გაიფიქრა მან და ჩხრიალა ტალღებს თვალი გააყოლა.

ერთხანს გარინდებული იღვა ასე. მერე შუბლზე ჩამოშლილი თმა გაისწორა და ფერდობებისაკენ მიმავალ



ვზაწვრილს შეკევა. ქოჩორა გორაკებს საესე მთვარე დაკაშკაშებდა. ხეობაში მომწყვედელი ყვირილა ნაპირებს აწყდებოდა, თითქოს უჯავრდებოდა.

ბეჯანი რამდენადაც მეტად სცილდებოდა მდინარეს, იმდენად ეს ხმაური უფრო მომზიბლავ და სმენის დამატკობლად ეჩვენებოდა მას.

ფერღობები აიარა და თემშარაზე გავიდა. მარჯვენა გაუხვია. მოპირდაპირე ბეჭობზე ნათლად გამოჩნდა ბაბუა კი მოთეს სახლი, კრამიტით დახურული. ბეჯანმა ნაბიჯს უმატა. უნდოდა, ფეხზე მიეწრო მოხუცისათვის და მისი მიყრუებული კერა აეხმინებინა.

ფანჯრიდან მკრთალი სინათლე გამოდიოდა. „მამ ჰლვიძავს!“ გაიფიქრა მან და თვალწინ წარმოუდგა ოთხმოცი წლის მოხუცი, მაღალი ოდნავ წელში მოხრილი, განიერ მხარბეჭიანი, ფართო შუბლისა და მუდამ მოლიმარე სახის მქონე, თეთრწვერებიანი ბაბუა კი მოთე. ბეჯანმა წარმოიდგინა, როგორ გაუხარდებოდა ბაბუა კი მოთეს მისი დანახვა. შეჩერდა, შუბლზე ოფლი შეიწმინდა და ისევ განაგრძა გზა. ვიწრო ბილიკი ჩაიღია და ბეჯანი თლილი ქვის ყორეს მიაღგა. კიშკართან ბანჯგელიანი ნაგაზი მოვარდა.

— თოლია, თოლია! — მოეფერა ბეჯანი მყეფარს და კიშკარი შეაღო. ძალღმა წყბუტუნი დაიწყო. ბეჯანს შეახტა, ხელეზი დაულოკა. მერჯე წინ გაიქცა. ისევ გამობრუნდა, ბეჯანს ფეხებში გაუგორდა, ერთი-ორჯერ შეყეფა და ისევ წინ გაუძღვა.

ბეჯანმა კიბე აირბინა და ფანჯარაში შეიხვდა. ბაბუა კი მოთე მარტო ვახშობდა. თოლია პირველი შევარდა ოთახში და ისე დაუყეფა მოხუცს, თითქოს ეღბნებოდა, რალაც უნდა გახარო.

— გარეთ გადი! — გაუჯავრდა მოხუცი.

ბეჯანი ოთახში შევედრებოდა მარჯვენა ხელი მიიჩრდილა და ისე შეხვდა.

— ელარ მიცანი, ბაბუა? — შესაძა ბეჯანმა.

— ბიჭო, ბეჯან, შენა ხარ? — შეტორტმანდა მოხუცი და შევილის-შვილს მარჯვენაში სწვდა. გულში ჩაიკრა, დიდხანს ჰკოცნიდა და ეხვევოდა, ეალერსებოდა.

— სადა ხარ, შვილო, გენაცალოს ბაბუა? რატომ მომანატრე თავი ამდენ ხანს, არა გრცხვენია?

— დამნაშავე ვარ, ბაბუა! დავაგვიანე, წერილიც ვერ მოგწერე.

— ერთი წელია აღარ მინახავხარ, ბიჭო! გამოცვილხარ, აბა, ერთი შებრუნდი! კარგად შეგხედო! ჩვენს გვერდზე, ჩვენს სისხლსა და ხორცზე ხარ წასული მთლიანად. რა ჰქენი, სწავლა დაამთავრე!

— უკვე ინჯინერი ვარ, ბაბუა!  
— ჩემო ინჯინერო, — გაიხარა მოხუცმა:

— ახლა კი არა გვიშავს. გზებს გაგვიყვან, ხიდებს გავვიმართავ, სახლებს აგვიშენებ. ქიათურაში სასახურს დაიწყებ, ჩემთან ახლოს იქნები არა, ბიჭო?

ბეჯანმა არაფერი უპასუხა, მაგრამ შვილისშვილის ნახვით გახარებულმა მოხუცმა ამას ყურადღება არ მიაქცია.

— ინჯინერი! ინჯინრობა კარგი ხელობაა, მედა ჩემმა ღმერთმა, — არ ისვენებდა მოხუცი.

— ყველაფერი კარგია, ბაბუა რასაც კაცს სწორად გამოიყენებს.

— ესეც მართალია, შვილო! ერთი ეს მითხარი შენი ქირიმე, მართალია, რასაც სოფელში ამბობენ?

— მართალია, ბაბუა, მართალი გერმანია ვერაგულად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას.

— მაშ, აბა ნახოს გერმანიამ, რა დღეს დაავრიან სტალინის ჯარები! — ბაბუამ თავისი მსხვილი ხელის თითები მოკლემშა და მაგიდას დაარტყა, თითქოს ამით ჯავრის ამოყრა ეწადაო გულიდან.

ბაბუას ნათქვამმა ბეჯანს სიმშვიდე მოუმატა და გაბრწყინებული თვალებით შეხედა მოხუცს.

— მე შაინც, ჩემო ბეჯან, შენა ჩამოსვლის აღსანიშნავად, ამაღამ სავეს ქვევრი უნდა მოგხადო!

ბაბუა-შვილიშვილმა მაგიდა გააწყვეს. სველ-სველი ხელადები შემოიჭანეს, შაში მოხარშეს, ყველი დასტრეს და რბილი პურები ჩამოარიგეს. ახლო მეზობლებს დაუძახეს და სუფრას გარს შემოუხსდნენ. ბაბუა კიმოთემ ყანწი ვადმოიღო, გაავსო ლალისფერი ღვინით, მარჯვენა ხელით ასწია და გასხვიოსნებული სახით შეხედა თავისი მოღვმის ერთადერთ გამგრძელებელს.

— იღვგრძელოს თაფლადების მემკვიდრემ, ჩემმა შვილმა და შვილიშვილმა, ნუგეშმა და იმედმა, ჩემმა საყვარელმა ბეჯანმა. ახლა ოცდახუთისა ხარ, შვილო! კიდევ ოთხი ოცდახუთი წელი გაგეტარებინოს ჯანმრთელად და მხიარულად ცხოვრებაში. ჩემი გამოყრუებული კერა აგვესოს თმაქონორა ვაჟიშვილებისა და გოგოების ყოყინა-კრიამულით. იყავ მუდამ მართალი და მართალი საქმისათვის თავდადებული. გაუმარჯოს ბეჯანს!

მოხუცმა მარცხენა ხელიც მიამგვლა ყანწს, ტუჩზე მოიკიდა და გამოსცალა. შემდეგ ყანწი ვადმოაბრუნა და ბეჯანს ვადააწოდა. კიმოთემ რიგით ჩამოაყოლა ჯიხვის რქის სასმისი. საღვგრძელოს საღვგრძელო მოკყვა და როდესაც მოხუცს ღვინო მოეკიდა, ბეჯანმა მამინ მორიდებით შეაპარა, რომ — მე მობილიზებული ვარ და აქ მხოლოდ შენთან გამოსამშვიდობებლად ჩამოვედი. კიმოთეს ამ ამბავმა გული ჩასწყვიტა, მაგრამ შვი-

ლისშვილს შაინც არ აგრძობოდა ეს. კვლავ ყანწი მოითხოვა და, მტყუარულთა საღვგრძელო შესტუმრების შემდეგ მოხუცმა სიმღერაც ჩაიღვინა.

შეზარბოშებულმა სტუმარ-მასპინძელმა მხოლოდ ნაშუაღამევს მიატოვეს სუფრა და დასაძინებლად წავიდწამოვიდნენ.

მეორე დღეს ბაბუა აღრე ადგა. მეზობელ ქალებს დაუძახა, ხაქაპურები გამოაცხობინა, ქაამები დააკვლევიდა და ლორი მოახარშინა. იმერული ყველის კვერებიც მოიტანა. ბეჯანის ჩანთა ხორავით აავსო და შიგ ლიტრიაინი ბოთლით არაყიც ჩააყოლა.

ვერ ისვენებდა მოხუცი, სამზადიდან ხშირად აივანზე აღიოდა და ბეჯანის ოთახში იკვირებოდა. მერე ვენახში წავიდა, ვარვარი გამოიტანა კალათით. აღუბალს ქვემოდან შეხედა და მწიფე ნაყოფს დაუწყო ძებნა, და როდესაც ფანჯარაში ვადმომდგარ ბეჯანს მოჰკრა თვალი, მამინვე ჯოხის ბაკუნით მისკენ გაეშურა სახლის დირესთან მიდგა და შვილისშვილს მშვიდობის დილა უსურვა.

გრძნობდა მოხუცი განშორების ეამის მოახლოებას და ცდილობდა, ბეჯანის ცქერით ვამძღარიყო.

სასაუზმოდ შემოუხსდნენ მაგიდას, მაგრამ მოხუცმა პირში ვერაფერი ჩაუშვა. ფარული ნაღველით შეკყურებდა შვილიშვილს.

სოფლის განაპირა უბნამდე ვაცივლა ბაბუამ, ომში მიმავალი შვილიშვილი. მეზობლებიც ვაყვენ. გუშინდელ სიტყვამარავალ მოხუცს დღეს ენის მობრუნება უჭირდა. მისდევდა ვეერლით ბეჯანს და გული მოძალებულად უცემდა, წელი სიოსგან მობიბინე ვეჯილივით უთრთოდა თეთრი წვერი.

ვანშორებისას მოხუცმა შვილიშვილი გულში ჩაიკრა და დიდხანს არ მისცილებია. მერე დიდხანს ვასცქე-

როდღა დაცარიელებულ გზას და ჩუმიად იშემენდდა თვალზე მომდგარ ცრემლს.

## 2

კიმოთე თათლაძე სოფელ კონაში ცხოვრობდა.

18 წლისა იყო კიმოთე, როდესაც ერთმა შორეულმა ნათესაემ ბათუმში წაიყვანა და ღვინის სავაჭროში ნოქრად დააყენა. კიმოთე ვერ შეეგუა ნესტიანსა და უშვეო სარდაფს. ერთ საღამოს, როდესაც მარტო დარჩა ნათესავთან, მორიდებულად ჰკადრა სიტყვა უფროსს.

— ბიძია, მე ძალიან მადლობელი ვარ, რომ ჩემზე ზრუნავთ, ვინდათ კაცად გამომიყვანოთ და ცხოვრებაში ჩამახდლოთ, მაგრამ...

— რაშია საქმე, კიმო? — ასე ეძახდნენ სარდაფში მას: — რა გინდა, რატომ პირდაპირ არ მეტყვი?

— გარეთ მინდა მუშაობა. ბაღში, ვენახში. აქ კი სული მეხუთება! — კიმოთემ თავი დახარა და სიტყვა უცებ შესწყვიტა.

— ბაღში გინდა? არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. მაქარისთან გამუშავებ. ზაინც არ მასვენებს და ყოველ დღე ჩამიჩინებს „მარტო მე ვერ ეწელები, კაცი მინდაო“.

გადაწყდა, კიმოთე მეზაღე მაქარისთან გადაიყვანეს.

მაქარს საბალოსნო სკოლა იალტაში ჰქონდა დამთავრებული. იგი კარგი მკოდნე იყო თავისი საქმისა. მას საკლთარ შვილებივით უყვარდა ეს მიმოზები, ტუები, კიპაროსები, ფორთოხალი, ატაი, ვაშლი და ყვავილები. მაქარი სათანადო ლიტერატურას ეტანებოდა და ამ სხვის ბაღში საცდელ საქმესაც მისდევდა.

მაქარი დიდად ნასიამოვნები დარჩა,

როდესაც მას ჯანითა და ლოით საცესე კიმოთე გაუგზავნეს სასაქონლო მუშა.

მაქარმა ბევრი რამ მსწავლა კიმოთეს მცენარეთა მოვლა-მოშენების შესახებ. შეაყვარა ისინი და ეს სიყვარული კიმოთეს ახალისებდა, ლაზათს ჰმატებდა მთელს თავის შემდგომ ცხოვრებაში.

ორი წლის შემდეგ კიმოთეს მამა გარდაიცვალა. იგი იძულებული გახდა საყვარელი საქმე და მოამაგე მასწავლებელი მიეტოვებინა.

ახალგაზრდა კიმოთე თვითონ ჩაუდგა ოჯახს სათავეში. მისი მზრუნველობის ქვეშ დარჩნენ ორი უმცროსი ძმა და დედა. კიმოთემ მაქარისაგან შექნილი ცოდნის გამოყენება სცადა. მოაწყო სანერგე ნაკვეთი, სადაც აუარებელი სამყენი გამოჰყავდა, ჰყიდა და ოჯახს ამით ინახავდა. რამდენჯერმე ბათუმშიც იყო სხვადასხვა მცენარის თესლის ჩამოსატანად. გარეული ღიმონის ღობე პირველმა შემოავლო თავის ეზოს. ამან კიდევ უფრო გაუთქვა სახელი და მისი შემოსავლის წყარო გაზარდა. სამ ქცევა ადგილზე ვენახი გააშენა, ზეხილი ჩაურიგა გარემო. ეზოში კონინდარი დათესა, აიგნის წინ ყვავილნარი მოაწყო და სახლიდან კომარამდე მწვანე ნარგავების ზეციანი გააკეთა.

კიმოთე გულისხმიერი მეზობელი იყო. იშვიათი იყო ისეთი გლეხი, რომელსაც მისი რჩევა-დარიგება არ მიეღოს მეურნეობის დარგში. ის ამ მხრივ დაუზარელი იყო.

ოცდახუთი წლისა იყო კიმოთე, როდესაც დაქორწილდა. კეთილი და ქმრის დიდი პატივისმცემელი მეუღლე შეხვდა მას. საქმე უკეთ აეწყო და ცხოვრებას ხალისი მოემატა. შექმნა ერთი ვაჟიშვილი. მშვიდად, უშფოთველად მიდიოდნენ წლები. კიმოთე უკვე მამამთილი შეიქმნა. სწორედ ამ დროს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. კიმოთეს ვაჟიშვილიც ჯარში

გაიწვიეს. 1916 წ. შემოდგომაზე შეიტყო მამამ ვაჟიშვილის დაღუპვის ამბავი. ორი ძმა ჰყავდა კომოტეს, — ისინიც იმ ომმა იმსხვერპლა. კომოტეს დედამ ვერ გაუძლო ამ უბედურებას და ჯავრმა მალე თან გადაიტანა. რძალს მუცლის სახადმა მოუღო ბოლო. დარჩა პატარა ბეჟანი ბებიისა და ბაბუა კომოტეს ამარა. ისინი თავს ევლებოდნენ შვილიშვილს. დანაღვლიანებული კომოტე ხშირად ეტყოდა თავის მუღლესს. ამოწყდა, ამოწყდა, ჩვენი ოჯახო, მაგრამ როდესაც თვალს მოჰკრავდა პატარა ბეჟანს, გულზე მოწოლილი დარდი უცბად გადაეყრებოდა, მიუბრუნდებოდა ცოლს და იმედიანად ეტყოდა: ჯერ გაიზარდოს ჩემი ბეჟანი, ჩვენს ძველ ოჯახს იგი აღადგენს.

ბეჟანმა დაბა საჩხერეში დაამთავრა საშუალო სასწავლებელი.

მეტად მკვირცხლი, ცოცხალი ყმაწვილი იყო ბეჟანი. ზრდილობიანი, წესიერი და დიდი მოსიყვარულე გულითა. კვირა ისე არ გაივლიდა, ორჯერ მაინც არ ამოგრიბინა საჩხერიდან სოფელში ბებიასა და ბაბუას სანახავად. ზაფხულს სოფელში ატარებდა. ბაბუას ეხმარებოდა ბაღსა და ვენახში. სოფელში ყველას უყვარდა თავლახიანთ კელაპტარი — ასე ეძახდნენ ბეჟანს მტკსახელად სოფელში.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ბეჟანი თბილისის ინდუსტრიალურ ინსტიტუტში შევიდა. იგი მეორე კურსზე იყო, როდესაც სამამულო ომი დაიწყო...

ჯარის-კაცის ტანსაცმელში გამოწყობილი, მწყობრში ჩამდგარი ბეჟანი ქალაქის სადგურზე მიიყვანეს. სადგურზე ტევა აღარ იყო. როდესაც ბეჟანმა ამდენ გამცილებელს შეხედა, რაღაც შეეპატიო და გაღიმებული სახით შეაბიჯა ვაგონში. მატარებელი დაიძრა. სასულე ორკესტრმა მარში დაუკრა. აფრიადდნენ ცხვირსახოცე-

ბი. ვაგონის ფანჯრებზე გადმოვიდებოდა ხალათიანი, თმგადაპარსული ახალგაზრდები ხელბეჭდით ხელში ეთხოვებოდნენ გამცილებლებს, ეთხოვებოდნენ შრობლიურ ქალაქს.

ფანჯარაში გადმომდგარმა ბეჟანმა თან წაიღო ამ ზღვა ხალხის ღიმილი, კეთილი სურვილები და ბაბუა კომოტეს ერთადერთი სურათი.

ალიათში გაჩერდა ნაწილი. ბეჟანმა მთელი ზაფხული ამ გადახრუჯულ ტრიალ მინდვრებზე გაატარა. აქ მოეშადა იგი, როგორც მეომარი.

ბეჟანმა სამხედრო საქმისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა, რისთვისაც ნაწილის საერთო სიყვარული დაიმსახურა. მალე მას შესანგრეთა ერთერთი ქვეგანაყოფის ტექნიკური ხელმძღვანელობა დაავალეს.

ბეჟანი ბაბუა კომოტეს წერილებს ხშირად სწერდა, ანუგეშებდა „ომი მალე დამთავრდება, გავიმარჯვებთ, დაებრუნდებით და გავახარებთ“.

როდესაც ბაბუა კომოტემ გაიგო, მისი შვილიშვილი ალიათში იყო, გულმა სიხარულით დაუწყა ძველა და დასწყევლა სიბერის გამჩენი.

— ჰაი დედასა, სადაა ჩემი ჯანი და ღონე, რომ ერთი ფეხის დაკვრით ალიათში გაეჩნდე!

— მერე და ალიათში რა უნდა ბეჟანს?.. ბეჟანი ხომ ფრონტზეა? — შეეკითხა მეზობელი.

— არა, ჯერ ალიათშია. ალბათ ასწავლიან, ამზადებენ!

— შე კაცო, ბეჟანს თუ კილო სწავლა აკლია, მაშინ აღარ ვიცი, ნასწავლი ამ ქვეყანაზე ვინდა? — შეიკვირვა მან.

კომოტემ არაფერი უპასუხა. გულში კი გაუხარდა, რომ მეზობელმა ასე შეაქო მისი შვილიშვილი. აიგანზე გამოვიდა: თვალი მოჰკრა მისკენ მომავალ ლადოს.

— ავერ ლადო შოდის, ალბათ ახალი ამბავი მოაქვს! — წაილაპარაკა მო-

ხუცმა და თვითონვე დაასწრო სალა-  
მი. გამარჯვება, ლაღო!

— გამარჯვება და დღეგრძელობა  
ნუ მოგიშალოს ღმერთმა, ჩემო კიმო-  
თე!—სტუმარი კიბეზე ამოვიდა, სვა-  
ნური ქუდი მოიხადა, მარაოსაგვით გა-  
იქნია ცხვირწინ, სკამზე ჩამოჯდა და  
კიმოთეს მიაჩერდა, თითქოს ზომავსო  
მის ძალასა და ღონეს.

— კიმოთე, ჩემი გაიოზი და შენი  
ბეჯანი ერთად ყოფილან, ალიანთაში.  
ალიანთა თურმე შორს არაა. მე, ჩემმა  
ქალმა და ჩვენმა რძალმა ნონამ სანა-  
ხავად წასვლა გადავწყვიტეთ. ცოტა  
რამეც გვინდა წაუღოთ.

ბაბუა კიმოთე სიხარულისაგან სკა-  
მიდან წამოიჭრა და ჯოხის ბაკუნი  
დაიწყო იატაკზე.

— ცოდვია, ცოდვია, რომ კაცი არ  
წავიდეს და იმ ბაღნებს საიმედო სიტ-  
ყვა არ უთხრას. სადაა ჩემი ჯანი, პი  
დედასა, თორემ ამდენს არ გალპარა-  
კებდით, მე თითონ გაგიძღვებოდით  
წინ.

კიმოთე ორივე ხელით დაეყრდნო  
ჯოხს და ნაღვლიანად შეხედა ლაღოს.

— შენ წერილი დაწერე, საგზალი  
გააზნადე და ჩვენ წაუღებთ!—უთხრა  
ლაღომ.

— მადლობელი ვარ, ჩემო ლაღო,  
მადლობელი. მე თუ არა, ბეჯანი მიანც  
გადაგიხდის სამაგიეროს.

## 3

ბაბუასაგან მიღებულმა მოსაკითხმმა  
ბეჯანი გაახალისა და გაახარა. არ მოე-  
ლოდა ჰაბუკი, თუ დაუძღვრებულნი,  
ღრმად მოხუცებული კიმოთე ბაბუა  
აქაც არ მოაკლებდა თავის ზრუნვასა  
და ამაგს. ამანთში გახვეულ ღვინის  
ბოთლს საცობი მოხსნა და გაიოზთან  
ერთად ბაბუას სადღეგრძელო გა-  
დაჰკრა.

ბეჯანი და გაიოზი ერთ სუფელში  
გაიზარდნენ, ერთმანეთის მიხედვით  
გაიოზი ორი წლით უფროსი იყო ბე-  
ჯანზე. მან საშუალო სასწავლებლის  
დამთავრების შემდეგ სამსახური  
ფოთში დაიწყო, და ფოთიდან მხო-  
ლოდ მაშინ გადასახლდა საჩხერეში  
საცხოვრებლად, როდესაც ცოლი  
შეირთა.

გაიოზი ახოვანი და კუნთმაგარი  
ახალგაზრდა იყო. სუფთა, შევგერემანი  
სახე ჰქონდა, ბრიალა თვალები და  
ოღნავ შეხუტუჭებული, მეღანივით შა-  
ვი თმა. ახლადღერებული უღვაშები.  
მოხდენილად უფარავდა მსხვილ ტუ-  
ჩებს. ოღნავ კეხიანი ცხვირი შეუპო-  
ვარი ვაეკაცის იერს აძლევდა მას.

დეკემბრის მიწურულს მათი მატა-  
რებელი ფრანტიაკენ დაიძრა.

— ამ დღეებში ჩვენც მივიღებთ  
საბრძოლო ნათლობას!—უთხრა გა-  
იოზმა ბეჯანს. ისინი ერთ ვაგონში მოხ-  
ედნენ და საწოლებიც ერთიმეორის  
გვერდით მოიწყვეს.

მიჰქროდა მატარებელი. უკან რჩე-  
ბოდნენ ველები, ტყეები და მდინა-  
რეები. დენის სუნიტ გაჟღენთილი  
ჰაერი ცხვირში სცემდა მეგრძოლებს.  
ჰაერში მოხუტუნე ლითონის ხმა ის-  
მოდა. გაიოზს თვალი ცისკენ ეჭირა,  
მაგრამ იქ ვერაფერს ხედავდა.

— რა შილა დაფრინავენ! ნეტა,  
ჩვენია თუ მათი!

— ალბათ ჩვენები არიან, თორემ  
აქამდის ჩვენს მატარებელს თავს და-  
ესხმოდნენ!—ამწვიდებდა მეგობარს,  
უფრო დინჯი ბეჯანი.

ორთქლმავალმა კვიცილი ატეხა. ქშე-  
ნას უმატა, ეტუბოდა, სადგურში შე-  
დიოდა.

მატარებელი გაჩერდა. გაიოზმა ვა-  
გონის კარებიდან თავი გამოყო და  
სადგურის შუაგულზე გაკეთებულ  
წარწერას მოჰკრა თვალი.

— ტიხორეცკში ვყოფილვართ. დე-  
დავ, გენაცვალე, ეს რა ამბავია, რა

დასთვლის ამ ეშვლონებს! სად იყო ამდენი ხალხი!

სადგური მართლაც საესე იყო მატარებლებით.

— ვინ იცის, რამდენი კაცია ამ ვაგონებში?

სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო ბეჯანმა, რომ სირენების შემაზრუნენი კივილი გაისმა. სადგურის თავზე, ლევა ღრუბლების ზემოდ, თვითმფრინავი დაბზუდა — თვითმფრინავის ფრთებზე შავი ჯვრები იყო გამოსახული. საზენიტო არტილერიამ თუჯისა და ფოლადის ნამსხვრევებით აავსო პერი. ნათლად მოსჩანდა ცის თაღზე ის ადგილები, სადაც ყუმბარები სკდებოდნენ. „აი, ან ახლა მოხვდება და ან ახლა“ ფიქრობდნენ ჯარისკაცები. თვითმფრინავი კი უვნებლად დაძვრებოდა ღრუბელთა ერთი ფანჯრიდან მეორეში. გმინავდნენ ქვემეხები, კაკანებდნენ ტყეიამფრქვევები. უკან ჩამოცვივებულ ლითონის ნამსხვრევებს წკაპინ-წკაპინი გაუდიოდათ ვაგონის სახურავებზე.

ღრუბლებიდან გამოძვრა ჯვაროსანი ყორანი, მოწყვეტილივით დაეშვა ძირს, სადგურის თავზე დაეცემაო, ეგონებოდა კაცს. ბომბები გადმოყარა. ბეჯანს უსიამოდ გააერთოლა. უკან დაიწია. ვაგონს აცრა მარჯვენა მხარით, მარცხენა კი დაბლა დასწია — ფრიველის მოტეხილ ფრთასავით. თავზე ალუმინის ქვებუნა წამოიხურა უნებურად. სახეზე ნაცრისფერმა გადაუარა. თვალები დახუჭა. უცბად იქვე, მახლობლად, ავტომატმა იგრგვინა. შეტორტმანდა. ქურდულად ვაიხედა და სერჟანტ ქალს მოჰკრა თვალი. სერჟანტის ავტომატის მოკლე ჯერი წამოსწეოდა თვითმფრინავს — ცეცხლი გაეჩინა მოტორისათვის. კვამლის კორიანტელი ტრიალებდა პერში. პარაშუტები სოკოებივით ჩამოეკიდნენ ცის გუმბათზე.

ბეჯანმა ქვებუნა სწრაფად მოიწვია, მისცილდა კედელს. უკან მხარე-წითლემ გადაურბინა. შემტყნე ქვებუნა საკენ ვაიქცა, — მიულოცა გაძარჯვება.

— გენაცვალე მარჯვენაში!

— აბა ნიშანში სროლა მაგან დაიკვებხის! — შესმახა ალტაცებულმა ჯარისკაცმა. თოვლით თეთრად იყო გადაპენტილი დედამიწა. ხეებს თეთრი ქურქები წამოესხათ და სადგურის გარშემო დარაჯებივით იყვნენ ჩამომწკრივებულნი. სადგურის მოედანი დაფორაჯებული იყო. ვაგონის სახურავები თეთრ საბანს ქვეშ იყო მოქცეული. ლიანდაგშორისი ადგილები კი, ჯარისკაცთა ხშირი სიარულის გამო, მოშავო-რუხი ბილიკებით იყო დაქსელილი. ეს გარემოება მტრის ავიაციას ნიშნის მოძებნას უადვილებდა.

მტერს მიზნად ჰქონდა დასახული ტიზორეცის საკვანძო რკინიგზის დანგრევა. უნდოდა კავკასიისა და მოსკოვის შორის პირდაპირ სარკინიგზო კავშირი გაეწყვიტა.

ბეჯანმა და გაიოზმა პირის დაბანჯერ მოასწრეს, რომ სირენების გულისმომწველმა კივილმა და სტვენამ კვლავ გააყრუა არემარე.

შის სხივები შემოპარულიყო სადგურის თავზე. ღრუბლები ოქროსფრად ელვარებდნენ — მათ შორის დარჩენილ ფანჯრებში კი ზურმუხტის სილურჯე ჩამდგარიყო. საპაერო თავდასხმისათვის ამინდი შესაფერისი იყო.

ღრუბლებს ზემოდან, სამი ბომბდამშენი ზღაზვნით შემოძვრა. შის სხივები მოხვდა ალუმინის სითეთრეს და ლითონი ააგლვარა.

საზენიტო არტილერიამ მომბდურს მახვილი შეაგება, იძალა და სადგურის თავიდან გადარეკა ისინი. უცბად სადგურს, ვაგონების სიმაღლეზე, ელვინებური სისწრაფით ვადქროლეს

თვითმფრინავეებმა. ბეჯანს გული შეუქანდა, თითქოს ხანჯლის წვერი მოხვედროდეს მკერდზე. მაგრამ როდესაც ცის ლავეარდში გასრიალებულ ვარსკვლავებს მოჰკრა თვალი, ბავშვური ღიმილით გააპო ვალურჯებული პატარა ტუჩები და თვალი უსწორა თვითმფრინავეთა კვალს.

თვითმფრინავეები თვალის დახამხამებაში მოლაპლაპე ღრუბლებთან გაჩნდნენ. შევარდნებივით დაუტრიალდენ მტრის თვითმფრინავეებს.

ბეჯანი თვალს არ აშორებდა საპეარო ბრძოლას. ტყვიამფრქვევები კრიახობდნენ. ქურევების სკდომის შედეგად ჰაერში გაჩენილი კვამლის ფანტელები ბეჯანს იმ აფერადებულ, ქაფის ლამაზ ბუშტულებს აფრენდნენ, რომლებმაც მას ყვირილას ხიდზე გადასვლის დროს მოსტაცეს თვალი. ლითონის წარღვნა ასკდებოდა ერთიმეორეს. ვაფთრებული, თავდაუზოგავ ბრძოლაში იყო ჩაბმული ორივე მხარე. წითელვარსკვლავიანმა შევარდნებმა მტრის მფრინავეთა ესკადრილია აიძულეს გათიშულიყო.

უწესრიგოდ ვადმოყარეს მათ ყუმბარები და თავის საშველად მიფარნენ ღრუბლებს. ბეჯანმა თვალი გადადევნა მათ კვალს და შენიშნა, რომ სამი თვითმფრინავე მიფრინავდა. „შეოთხე რალა იქნა?“, გაუელვა ფიქრმა და დიდის დაკვირვებით დაუწყო მას ძებნა სივრცეში.

— ჰხედავ, ჰხედავ!.. — შესძახა გაიონმა ბეჯანს და ხელით ანიშნა სადგურის ვადალმა, საბჭოთა მფრინავეებს მარწყხებს შუა გამოშფყვდეული, ყრუ მკრვეინავე ხმის მქონე ბომბდამშენზე; — ტყვედ არის ჩავარდნილი, უნდათ, რომ აეროდრომზე დაშვება აიძულონ! არ ნებდება, ცდილობს გაძვრენას. მაგრამ ამაოდ! მის ირგვლივ რკალი თანდათან ეიწროვდება. აგერ ბომბდამშენმა მარჯვენა ფრთა დაბლა

დახარა ძირს დასაშველად მოგზნადა უკვე! — აღზნებულად ეხმურებოდა ბეჯანი სტალინური მფრინველების წინაშე ტობას.

საბჭოთა შევარდნებმა აიძულეს შავი ფრინველი ბედს დამორჩილებოდა და დამჯდარიყო.

გამარჯვებულები სიამაყის გრძობამ შეიპყრო — ჰაერში რამდენჯერმე გადატრიალდნენ და შემდეგ ნანადირევის ახლო გასასინჯად ძირს დაეშენენ.

## 4

როდესაც მატარებელმა ტიხორეკიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ გადაუხვია, ბეჯანი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ისინი შავიზღვის მიმართულებით მიდიოდნენ.

ემელონი კრიმსკიათაში გაჩერდა. ორი დღე დაჰყო ნაწილმა აქ. შემდეგ კი მათი ნაწილი ჯერ ტემრუქში გადაისროლეს და მერე ტამანში. როდესაც ხეს წყალი ჩაუდგა და დედამიწიდან რძისფერი ოშხივარი ამოსკდა. მარტის თვის დამლევს, — სამხედრო ნაწილი ქერჩისაკენ გაუდგა გზას და სოფელ ბაქსის მიდამოებში დაბანაკდა.

სოფელი დაცემულ ვაკეზე იყო გაშლილი. ჩრდილო-აღმოსავლეთით მოხრიოკებული. ბორცვიან-გორაკიანი ზოლი გასდევდა მას.

სოფელს ორი მთავარი გზა ჯვარედინად ჰყვითავდა.

ზამთრის თოვლი გაზაფხულის სითბოს ლანქერებად ექცეინა.

გზებსა და შუაგულზე სიარული სჭირდა — მწებავი ტალახი მუხლამდე იყო ჩაწოლილი. სახლებს კედლები წამურული, დაბზარული და ტყეებით დაცხრილული მოსჩანდა. ხეებს ტოტები ჰქონდა წამწვარი. ღობეები დარღვეული იყო, ბოგირები დანგრეული და კავშირგაბმულობის ქსელი მიწასთან გასწორებული.

სამხედრო ნაწილი სოფლის განაპირას დაბანაკდა.

— ამხანაგებო, აი აქ, ჯერ კიდევ რამდენიმე დღის უკან გერმანელები დათარეშობდნენ! — ლაპარაკობდა კომისარი და მიწურებს მისჩერებოდა:

ჯარისკაცები დაწურული თვალებით შეჰყურებდნენ მეთაურს.

— სიფრთხილეა საჭირო!.. მტერი თაღლითია, ვინ იცის, რა დატოვა აქ.. რკინისებური დისციპლინა გეჭირია.

კომისარმა საუბარი ჩაატარა მებრძოლებთან და ბოლოს მორიგი საბრძოლო ამოცანა გააცნო მათ.

— ჩვენ უნდა ავაგოთ კავშირგაბმულობის ხაზი „ილიჩსა“ და ქალაქ ქერჩს შორის. ამოცანა ფრიალ დიდმნიშვნელოვანია და სასწრაფო.

ბეჯანს აქ, ორი დღის შემდეგ სერჯანტის სამხედრო წოდება მიანიჭეს და უმცროს მეთაურად დანიშნეს. მის ოცეულში მოხვდა გაიოზიც.

ბეჯანის ოცეულმა მათთვის განკუთვნილ უბანზე, კავშირგაბმულობის ხაზის აგება ვადაზე ადრე დაამთავრა, რისთვისაც არმიის სარდლობამ მადლობა გამოუცხადა.

## 5

1942 წ. მაისის პირველი კვირა-დღე თითქოს ჩვეულებრივზე ადრე გათენდა. მზის პირველმა სხივებმა მოაგარაყეს ახლადგალვიძებული ბუნება. ლურჯად მოხასხასე პურის ჯეჯილს მზურვალე კოცნა შეეგებებინა სითბოს პირველი ნაკადულისათვის და დილის ნამით დასველებული ფოთლები მიეშვირა გასაშრობად. ყანების სანაპიროებზე თავი წამოეყრა გულყვითელას და დანატრებული შეჰყურებდა მზის სხივებს. თვალმიუწვდენელ მინდვრებზე გადაღვრილ სილურჯეში დიღებივით იყო დაბნეული შეკუქვა ყაყაჩობები. დღებში შესწელებული ნისლი ებრძოდა დღის სინათლეს. ბორცვებზე კი

მზეს მიფიცებოდნენ მხრებზე უკრეცვად აღჭყობილი კურდღლეცი. ფრანკელთა ყრიაშულით იყო საჭსენ დილა. შქვიდი დილა იყო. ლამის გრგვინვა-ქუხილის ხმა აღარასად იმშობდა, თითქოს ჭირვეულ მაყრებს გათენებისას ჩასძინებიათ, რომ პატარა-ძალს მყუდროება არ დაურღვეონო.

ბეჯანი მიწურიდან ამოძვრა და საგუშაგოზე მდგარ გაიოზთან მივიდა.

— რა მშვენიერი დილაა! რა წყნარი ამინდია. ასე მეგონა, ასეთი დილა მხოლოდ საქართველოში იცის — მეთქი, მაგრამ თურმე აქაც..

გაიოზმა სიტყვა გააწყვეტინა ბეჯანს, აღელვებულად მიუგო.

— შენ წუხელ უნდა გენახა, რა ამბავი იყო. კაცს ეგონებოდა, ცა და ხმელეთი ერთიმეორეს შესაკდებო. დღესავით იყო გაკაშკაშებული ცაში ჩამოკიდებული მამხალეებით ეს არე-მარე.

— მართლა? — ჩამყოლი კილოთი შეეკითხა ბეჯანი.

— ნამდვილად. ახლა კი ჰხედავ? წუხანდელი ქარიშხალი ჩამდგარა და ისეთი სიმშვიდეა, თითქოს ქვეყანაზე ტოროლების სტვენის მეტი არაფერი ზღებოდეს.

— ალბათ ჩვენები უტევდნენ?

გაიოზმა არაფერი უპასუხა.

მცირე დრომ გაიარა. ბეჯანს ტელეფონზე გამოუძახეს. ბატალიონის შტაბიდან იყო ბრძანება. ბეჯანმა მებრძოლებს გადასცა ბრძანება. და ნახევარი საათის შემდეგ ასეული უკვე მზად იყო წინ წასასვლელად. მანქანამ „თურქეთის / სერი“ გადალახა და ლენინსკის აღმოსავლეთით შეუერთდა ბატალიონს.

ბატალიონის შტაბში გაიგო ბეჯანმა, რომ წითელი არმიის ნაწილები წუხელის შეტევაზე გადასულიყვნენ, მტერს შეტევა მოეგერიებინა.

ჩვენი სარდლობა ჯარის ნაწილების ახალ გადანაწილებას ახდენდა.



ფრონტის მარცხენა ფრთაზე, მეტად მოხერხებული მადლობი ეკავა მეორე ათასეულის მესამე ასეულს.

მადლობი, სადაც ასეული იყო განლაგებული, მშრალი ხეხვებითა და ფლატეებით დასერილ ვაკეს წარმოადგენდა. ვაკეს კლდოვანი შეერილების მთელი წყება უვლიდა გარშემო. ერთი მხრიდან მას ნაცრისფერი ბუჩქნარი ეკრა. მხარმარცხენა, ზღვას გადაწყურებდა, პირდაპირ კი მწვანე მინდორს, რომლის მისასვლელსაც მრავალწყება ეკლიანი მავთულის ღობე ჰქონდა შემორტყმული. დაკვირვებული თვალი შეუიარაღებლად გაარჩევდა შენიღბულ ტანშეებს — ეს გერმანელების მოწინავე პოზიცია იყო.

ფრონტი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ უსწორმასწორო ზოლის სახით იყო გაწოლილი.

გერმანელებს ძალიან უნდოდათ ამ მადლობის ხელში ჩაგდება, რადგან ამ გზით მათ ადვილად შეეძლოთ საბჭოთა ჯარის ნაწილების ზურგში შეჭრილიყვნენ.

გათენებამ მოატანა. ნელი სიო უბერავდა ზღვიდან. ბურუსი ჩამოწვა.

გერმანელებმა მძიმე ქვემეხებიდან ძლიერი ცეცხლი გახსნეს. დედამიწამ გმინვა დაიწყო. ჰაერი ყუმბარების ზუზუნით ახმაურდა.

— ეს არტმოშაადება! იერიშს აპირებენ! — უთხრა ათასეულის მეთაურმა კომისარს. დურბინი აიღო და სანგრიდან ამოვიდა. ჯერ ისევ ბნელოდა. ჰაერს ელვა ჰკაწრავდა.

ორმოცდახუთ წუთს გაგრძელდა საარტილერიო სროლა.

გათენდა თუ-არა, მწვანე მინდორზე გერმანელთა ტანკები გამოჩნდნენ. მოტორები ბუყბუყითა და ხავილით წამოვიდნენ წინ. „მესერშმიტები“ და „ოუნკერები“ შემოიჭრნენ საბჭოთა ჯარების განლაგებაში. იერიშმა საათ-

ნახევარს გასტანა. მტერმა ვერ შესძლო საწადელის მიღწევა. საღამო მოახლოვებულს დასადგსაც გერმანელები ხელახლა წამოვიდნენ იერიშზე.

დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა მტრის მრავალრიცხოვანი ჯავშანსატანკო ნაწილები მოაწყდნენ საბჭოთა მოწინავე პოზიციებს. ჰაერი მაშხალეებით აივსო. გაქაშავებული სინათლე გადმოედგარა ცეცხლის ხაზს. მთელი ღამე ბრძოლა არ შეწყვეტილა.

გათენებისას საზღვაო დესანტის გადმოსხმა მოახერხეს გერმანელებმა. ზურგიდან დაუწყეს შემოვლა, ასეულს რკალში მოქცევა ელოდა. ამ სიმაღლის დაკავებით პიტლერელებს შესაძლებლობა მიეცემოდათ სოლივით შეჭრილიყვნენ საბჭოთა ჯარების მარჯვენა ფრთაზე.

— გამოიძახე პოლკის შტაბი!

ბეკანმა ტელეფონის აპარატის სახელური გადაატრიალა. ბატალიონის მეთაურს ყურმილი გადასცა. რამდენიმე სიტყვა ჩასძახა მილში და მოტრიალდა.

სასწრაფო გადაწყვეტილების მიღება იყო საჭირო. ყოველი წუთის დაგვიანება შეიძლება ძვირად დამჯდარიყო.

— დესანტის მოსასპობად — ყველა! — იქუხა ბატალიონის მეთაურმა. რამდენიმე წუთმა გაიარა. თორმეტი კაცი კომისრის მეთაურობით უკვე მზად იყო წასასვლელად.

— მეც მივდივარ! ერთი წუთიც!..

მხარეულმა ნიკა წყებლიაშვილმა საწენე ბოძზე ჩამოჰკიდა. წონსაფარი მოიხსნა. შაშხანას დასტაცა ხელი. ვახუნებით სავსე ჩანთა წამოიკიდა ზურგზე და მწყობრში ჩადგა.

— შენც? — შეეკითხა კომისარი.

— დიას, მეც! სადილის გაკეთებასაც მოვასწრებ! — ღიმილით მიუგო წყებლიაშვილმა.



სწრაფი ნაბიჯით გაუდგნენ გზას. ბატალიონის მეთაური და ბეჟანი დარჩნენ მხოლოდ სათვალთვალ პუნქტზე. ბეჟანი ორი ლამის უძინარი იყო. პირის დასაბანი დროც არა ჰქონდა. დაღლილი სახე შავი ლაქებით ჰქონდა აკრელებული. ქუდი ქუთუთოებამდე ჩამოეხატა — ჩაწითლებული, ამღვრეული თვალების დასამალავად.

მეთაური სათვალთვალ პუნქტს არ სცილდებოდა. მღვამარეობის გამოსწორებას პირი არ უჩანდა. დესანტი თითქმის ასი კაცისაგან შესდგებოდა.

— თორმეტი წითელარმიელი ასი გერმანელი სალდათის წინააღმდეგ! თავისთვის წაილაბარაჟა მეთაურმა. თითები მომუტა და მარჯვენა ფეხი ღონივრად დაჰკრა ვაყინულ მიწას.

თოფ-ზარბაზნის განუწყვეტელი გრიალი ისმოდა.

სანგარში მიწა ჩამოიშალა. ტელეფონის აპარატს ვორთხები დაეყარა.

ბეჟანმა ქუთუთოები მოისრისა, ქუდი მალა ასწია და ბეჭურის ძირში მიწოლილ მეთაურს გახედა.

მეთაური წამოდგა. ბეჟანთან მივიდა სასწრაფოდ.

— ასეული, ჩქარა, ასეული მომეცი?

ბეჟანმა აპარატის ყურმილში ჩასძახა.

— რიონი... რიონი!

ხაზი დაზიანებული აღმოჩნდა.

მეთაურმა ხელის თითები სალტესპევით შემოიჭდო შუბლზე. მარჯვენა თვალი ნახევრად მოხუტა და ასე იდგა გაუნძრევლად ერთ წუთს. შემდეგ ბეჟანს მიუტრიალდა.

— კავშირი უნდა აღსდგეს!

ბეჟანმა ტელეფონის ყურმილი აპარატზე დადო. ძლივს წამოდგა.

— არის, აღსდგეს კავშირი!

— რაც შეიძლება მალე!

ბეჟანი სათვალთვალ პუნქტს გასცილდა. მარცხნივ გადაუხვია, მავთულს

მიჰყვა. მაზარის კალთა გაუდგნენ უკვე თონმა.

ბეჟანი დაწვა, ფოფხვით დაიწყო წინსვლა. ხელები გაეყინა პირველად, შემდეგ კი გაუხუტდა. შუბლზე ოფლი გამოუვიდა. სწრაფად მიხობავდა. ერთ წუთს შეჩერდა. მარჯვენა მკლავზე მიდო თავი. თვალები თავისთავად დაეხუტა. ტუჩებმა ცახცახი დაუწყეს. ხერინვა ამოუშვა. მახლობლად ყუმბარა დაეცა, ბელტები მალა შეისროლა, ბეჟანი არ განძრულა. მერე ერთბაშად სინუმე ჩამოვარდა და შეიძლება ამ სინუმემ გამოადვიდა... ბეჟანი შეერთა, თითზე ღონივრად იკბინა და ხოხვა განავარძო.

ყუმბარის ამონათხარ ორმოს წაადგა. მავთული შუაზე იყო გადაწყვეტილი. მოძებნა, იპოვნა მავთულის მეორე ბოლო, გადააბა. ჩართო აპარატი. ასეულის გამოძახება სცადა, მაგრამ აშორდ. „მაშ კიდევ სადღაც უნდა იყოს ხაზი დაზიანებული“ — გაიფიქრა. ყინვისაგან დახორკლილ ფერდოს მიჰყვა. მაზარის სახელოთი ოთლი შეიმშრალა. თვალები აუწვა ოფლის წვეთებმა, მაგრამ არ მოხუტა — ძილმა თავი არ წაპართვასო. ბუჩქნარში შევიდა. ყრუ ხველების ხმა შემოესმა. შეჩერდა. თავი მალა წამოსწია. ვერაინ დაინახა მხოლოდ ერთგან ბუჩქის ტოტები ირხეოდა. მარცხნივ გაცოცდა. ტყავის ქუდს მოჰკრა თვალი. გვერდზე ჩამოკიდებული ტელეფონის აპარატი და მავთულის გრაგნილიც დაინახა. გული შეეკუმშა. მიწას გაეკრა და ავტომატო მოიმარჯვა. ხმა გაიგონა. ტელეფონის ყურმილში ჩასძახოდა გერმანელი: — „ალო, ალო! ასეულის მეთაურს, ისმინე ბრძანება შტაბიდან.. მღვამარეობა გამოუვალა! მარჯვნივ მოახდინეთ გადაჯგუფება... უკან დაიხიეთ!“ — ბეჟანი მიხვდა, საქმე რაშიც იყო. გაუსწორა ავტომატი — ნიშანში ამო-

ლო. სისხლეტს თითი გამოჰკრა. ბეკებში მოჰხვდა ჰიტლერელს ტყვია, შეტორტმანდა, გვერდზე გადაეარდა. ბეჯანმა ხაზი აღადგინა, გერმანელის ავტომატი და ტელეფონის აპარატი ზურგზე მოიკიდა და უკან გამობრუნდა, ქვემოდ რომ ჩამოვიდა, მხოლოდ იქ შეაპჩნია, დაბამული შარვალი სისხლში ჰქონდა ამოსვრილი—ტყვიას მისთვის არა შარტო მაზარა გაეგლიჯა, არამედ ბარძაყიც.

## 6

ბეჯანის ასეული ზღვისპირზე — სოფ. მარტოგვის მახლობლად გადაისროლეს დანგრეული ზიდებისა და დაზიანებული გზების შესაყებლად.

ბეჯანის მებრძოლები ჩვეული მუყაითობით შეუდგნენ საბრძოლო ამოცანის შესრულებას. დაღამდა. დაქანცული ჯარისკაცები ძილს მიეცნენ.

კუბრისფრად ჩამობნელდა. წინაბაზზე სიჩუმე იყო. არც სროლა ისმოდა, არც ღამის თვითმფრინავები ზუზუნებდნენ წაღმე.

ბეჯანი მიწურში თვლემდა. ერთბაშად ზღვიდან სროლისა და შეჭახილების ხმა მოისმა და იმავე წუთში გუშავმა საგანგაშო თოფი დასცალა. ბეჯანი გარეთ გამოვარდა. მაშხალების მძლავრმა სინათლემ თვალი მოსჭრა. ზღვიდან ტყვიამფრქვევისა და ავტომატების ხშირი სროლა ისმოდა. „ზურგიდან მოგვიარეს“, — გაუელვა თავში ბეჯანს. თოფი მაშინვე გამართა და ბნელში, ზღვისაკენ მიმავალ ჯარისკაცებს შეუერთდა.

ცოტახნის შემდეგ გამოირკვა, გერმანელებს შავი ზღვით, მეორე დესანტი გადმოესხათ და ფსიქიური ზეგავლენის მოსახდენად ნაპირზე უთვალავი მიკროფონი დაედგათ. სწორედ ამ მიკროფონებიდან ისმოდა ახლა გამაყრუებელი სროლის ხმა და ყვიჩინა.

სისხლის მღვრელი შეტაკება გაიმართა. ბეჯანის ასეულმა იერიში, მიიტანა დესანტზე. საბჭოთა მებრძოლებმა გერმანელ მოიერიშეებს ტყვიისა და ფოლადის ნიაღვარი შეაგებეს.

გათენდა და ნაშუალამევს დაწყებულ ბრძოლას ბოლო არ უჩანდა. დაჭრილებითა და დახოცილებით იყო მოფენილი სოფლის ეზოები, ქუჩები. იწვოდნენ სახლები, თავლები და საბძლები. ბლაოდნენ ბოსელში გამომწყვდეული ძროხები და ხზორები. დაცხრილული იყო თეთრად შეღებილი სახლები. ხეე ბისათვის კენწეროები წამეტვრივნალითონს და ფოთლები წაეზრუენა.

დესანტის იერიში მოიგერიეს, მაგრამ მტერმა ფრონტის მარცხენა ფრთაზედ მოახერხა ჩვენი თავდაცვის გარდევვა. დამსხვრეული ტანკებისა და დამწყვარი „მესერსმიტების“ მაგივრად ახალახალი მანქანები შემოდიოდნენ ბრძოლაში და წინ მოიწვიდნენ.

შებინდებისას გარნიზონი რკალში მოექცა.

— უქანასკნელ სისხლის წვეთამდე! არცერთი ნაბიჯი უქანი! — გასძახოდა ბეჯანი თავის მებრძოლებს და ირგვლივი თავდაცვას აწყობდა, რომ ყოველის მხრიდან მოძალებული მტერი როგორმე შეეჩერებინათ.

ბეჯანს მარჯვე პოზიცია ეკავა. მტერსა და მათ შორის პატარა ტბა იყო. საბჭოთა მებრძოლები იმ ტბის კლდოვან ნაპირს იყენენ ამოფარებულნი და მოსვენებას არ აძლევდნენ ჰიტლერელებს. გერმანელებმა ამ კლდეს ნაპირზე მომდგარ კატერიდან ზარბაზანი დაუშინეს. ერთი ყუმბარა კლდეს მოხვდა და ნამსხვრევებმა სამი მებრძოლის სიცოცხლე შეიწირა. გაათრებულმა ბეჯანმა სამი ხელყუმბარა ქამარში გაიკო და კატერიისაკენ გაბოხდა. ოციოდე ნაბიჯი—ღადარჩა ნაპირამდე, რომ გერმანელებმა ბეჯანი შენიშნეს და ესროლეს. დაყო-



ნება შეუძლებელი იყო. ბეჯანი წამო-  
იჭრა, სამი ხელუშმბარა ზედიზედ  
ხტყორცნა კატერის და იმწამსვე მხარ-  
ში რალაც მაგარი მოხვდა და მიწა-  
ზე დასცა. სანამ გონს დაკარგავდა,  
თვალი მოატანა, როგორ გადაცვიდ-  
ნენ გერმანელები აღმოდებულ კატე-  
რიდან ზღვაში.

როდესაც ბეჯანი გრძნობაზე მოვი-  
და, თავზე გერმანელი. ჯარისკაცი აღ-  
გა. უსაზღვრო ბოლმა შემოეჭიდა  
გულზე, როდესაც ხიშტიანმა გერმა-  
ნელმა იგი ტყვეთა ბანაკისაკენ წაიყ-  
ვანა.

ასრულდა, რასაც ყველაზე მეტად  
უფრობოდა. თავზე მუხი დაატყდა და  
კი არ მოკლა იგი, არამედ განაწამები  
არსებობა შეუნარჩუნა.

როდესაც ბეჯანმა სამხედრო ფიცი  
შიილო, მას შემდეგ გადაწყვეტილი  
ჰქონდა, მტერს ცოცხალი ხელთ არ  
ჩაუვარდნოდა და თუ საქმე ბედუქულ-  
მართად წაუფიქროდა, საკუთარი ხელით  
გამოეტანა თავისი სიცოცხლისათვის  
განაჩენი. მაგრამ დღეს კი ის მხრებ-  
ჩამოყრილი, იარაღაყრილი მიდიოდა, —  
არა, კი არ მიდიოდა, ძალისძალად  
მიათრევდა ფეხებს და ისე ეჩვენებო-  
და, თითქოს ყირიმის მობიზინე ვულ-  
მინდორი, ეს ცა, ეს მზე და ეს გორა-  
კები დამცინავე ღიმილით მიაცილებდ-  
ნენ მას. ბეჯანს კენესა აღმოხდა, დაბარ-  
ბაცდა. გერმანელმა ჯარისკაცმა ზურ-  
გში კონდახი ჰკრა და წინ გაიგდო.  
ჭრილობიდან სისხლმა იწყო დენა და  
ბეჯანმა გადასწყვიტა, აქედან ფეხი არ  
მოეცვალა, გაჯიუტებულიყო, გაჩერე-  
ბულიყო. მან კიდევ შეანელა ნაბიჯი,  
რომ უეცრად, გზის გადაღმა, მიწა-  
ზე დაყრილ დაჭრილებში გაიოზი  
დაინახა.

— გაიოზ! — წაიჩურჩულა ბეჯანმა  
და ნაბიჯს მოუჩქარა.

შეზინდებული იყო, როდესაც ბეჯა-  
ნი და გაიოზი სოფლის გახაპირად სა-  
საფლაოზე მიიყვანეს. სხვა ტყვეებიც  
იქ მოეგროვებინათ. არცერთ მათგანს  
აღამიანის სახე აღარ ჰქონდა. უწყსრი-  
გოდ მიყრილიყვნენ მიწაზე და ჩუმაღ  
კენესოდნენ.

— ცოცხლებს გემარხავენ ეს უღ-  
მერთობები? — წილაპარაკა გაიოზმა  
და საფლავის ქვაზე ჩამოჯდა. შარვ-  
ლის მარცხენა ტოტის მაღლა ამოწვევ  
სცადა. ტკივილი გულზე შემოენთო.  
ხელი ველარ გაანძრია და ის-იყო  
გვერდზე მიწოლას აპირებდა, რომ  
გერმანელმა ჯარისკაცმა რეზინის ჯო-  
ხით წამოშალა ტყვეები და ერთ კუთ-  
ხეში მიიგვია. აქ მათ ჯიბეები გაუჩხ-  
რიკეს და ბენზინის ცეცხლსაჩენები  
ჩამოართვეს. მერე ერთი პიტლერელი  
ქვაზე შედგა და დამტვრეული რუსუ-  
ლით გამოუცხადა ტყვეებს: ამიერიდან  
მათ თუთუნის მოწვევა ეკრძალებოდათ.

— არავის არა აქვს უფლება ამ ლო-  
ბეს ხუთ ნაბიჯზე მეტად მიუახლოვ-  
დეს, — სთქვა მან და სასაფლაოს  
ირგვლივ შემოვლებულ მავთულხლარ-  
თებს გადახედა: ამ ბრძანებას ვინც  
დაარღვევს, გულმაგი ესკრის გაუ-  
ფრთხილებლად!

სათვალე შეისწორა, ჩაახველა და  
მრისხანე კილოთი განაგროძო.

— როდესაც რუსების თვითმფრი-  
ნაეები გამოჩნდებიან და ბომბებს ჩა-  
მოყრიან, არც ერთი თქვენგანი აღ-  
გილიდან არ დაიძრას. ამ წესის დამ-  
რღვევი ადგილზევე დაიხვრიტება! მე-  
ტი არაფერი. დაბრუნდით ადგილ-  
ზე! — კატის თვალეები ბეჯანს მიანათა,  
რეზინის ჯოხი ყავისფერ კრაკებზე  
დაირტყა და წავიდა.

ტყვეები დაიშალნენ, ხავსმოკიდე-  
ბულ ლოდებს მიუწვენენ. ბეჯანი და  
გაიოზი ერთიმეორის გვერდით დაწე-  
ნენ. დალილები იყვნენ, მაგრამ გუ-

ლის ჯავრმა დიდხანს არ დააძინა ისინი. მხოლოდ ნაშუაღამევს მოერია ძილი ბეჯანს. იგი პირქვე იწვა, თავქვეშ წითელარმებლის ჩანთა ამოედო, შესრევებული, ძველმანებში შეხვეული ხელი თავზე დაედო. გაიოზი კი — ეს ბრგე ვაჟაკი, — საცოდავად მოკუნტულიყო, მუხლის თავები ნიკამთან მიებჯინა და ძილში შფოთავდა. ეტყობოდა, კრილობა აწუხებდა.

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა ქერებივით დაყრილ ტყვეებს გერმანელმა გუშაგმა შესძახა:

— აღეშო!

მძინარე ტყვეები შეკრთნენ, თვალელები მოიფშვნიტეს და ზღაზვნით წამოდგნენ.

გუშაგის ძაბილზე გაიოზი შეირხა, მუხლები გაქიმა, ღრმა ძილს თავი ძლივს წაართვა.

დაბეგვლი სხეული ძლივს ათრია ბეჯანმა: დიდხანს არ ვაუფლია, გუშინდელი მოლაპარაკე გერმანელი გამოჩნდა, კვლავ ქაზე შედგა. სათვალე მოიხსნა და ნამძინარევი თვალეები მოიფშვნიტა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით დაიწყო ლაპარაკი.

— არავინ გაბედოს სიარულის დროს წყლის დასალევად მწყობრიდან გამოსვლა ან უკან ჩამორჩენა. გამყოლ გუშაგს უფლებას ვანიჭებ ამ წესის დამრღვევი იქვე სიკვდილით დასაჯოს! ტყვეები დააწყვეს და გზას გაუყვნენ.

ბეჯანი და გაიოზი მწყობარში ერთად მიდიოდნენ. ლაპარაკის ხასიათზე არცერთი მათგანი არ იყო. თავები ძირს დაეხარათ და ნაღვლიანად დასყურებდნენ მიწას. გაიარეს ნაცნობი მიწები, სადაც ჯერ კიდევ გუშინ — გუშინწინ სისხლიან შეტაკებებს ჰქონდა ადგილი. გადათქერილი იყო ჯეჯილით დაფარული ველი. დამწვარი ტანებისა და დაღწილი თვითმფრინავების ლითონით იყო მოფენილი ტრამალები.

— ბეჯან, უნდა ვიღონოთ რაზე, რომ ამ გაძალღებულ სიცოცხლეს თავი დავაღწიოთ!

— გაძალღებულ სიცოცხლეს ძალღური სიკვდილი უნდა მოჰყვეს — ბრაზიანად მიუგო ბეჯანმა.

გაიოზმა შეატყო, მეგობარი ლაპარაკის გუნებაზე არ იყო და თვითონაც გაიუმდა.

ცხელოდა. საშუაღლეოზე წამოსული მზე სიმხურვალეს აფრქვევდა დედამიწას. მწყობარში მიმავალ ტყვეებს პირი უშრებოდათ.

ცხენოსანი გუშაგები ხან თავიდან წამოუვლიდნენ მწყობრს, ხან ბოლოდან და ბრაზმორეულები შეპლრინავდნენ.

— სწრაფად! სწრაფად!

გამყოლები რეზინის ჯოხებით „უმაღლივლივლივლივლი“ უკან ჩამორჩენილებს.

უცბად შაშხანის მკვეპარე ხმამ გაკენწლა ჰაერი. მწყობარში მიმავალმა ტყვეებმა ერთიმეორეს გადახედეს შემფოთებულად.

— რა მოხდა??

— ხედავ რა ჰქნეს!

— მოკლეს უღმერთოებმა.

— მოკლეს. წყლის გულისათვის მოკლეს! — აირია ერთმანეთში წამოძახილება.

იმ დღეს ერთი კაცი კიდევ მოჰყლეს. გზის პირად მდებარე ტბასთან მისულიყო წყლის დასალევით.

მეთხე სიღამოს, მშვიტმწყურვალი ტყვეები ღამის გასათვად სოფლის განაპირას შეაჩერეს და თვითეულ მათგანს ქატოს ნახარშის თითო ჯამი წვენი დაურიგეს.

გაიოზს ჩანთაში პურის ნატეხები შემორჩენოდა, ამოიღო და ბეჯანს შუა გაუყო.

— ეგ შენც არ გეყოფა ყბის ერთი მოქნევისათვის. შენ კამე! — გაიოზმა გაკვირებული თვალეებით შეხედა ბეჯანს, არაფერი კი უთხრა. პურის ნამ-

ტყვეები დაფშენა და ბეჯანს ჩაუყარა წყალ-წყალა და სრულიად უმარილო წვენი.

ტყვეებს მალე ჩაეძინათ. მეორე დღეს აღრიანად ისინი ისევ გზას გაუყენეს.

## 8

ერთი კვირის შემდეგ ტყვეები რკინიგზის ერთი პატარა სადგურის მახლობლად — საკონცენტრაციო ბანაკში მიიყვანეს. ბანაკი ტრიალ მინდორზე იყო მოთავსებული.

ბანაკს სამწყება ეკლიანი მავთულები ჰქონდა გარემოვლებული. ერთ კუთხეში ჰა იყო, უგემური, მლაშე წყლით. მის მახლობლად რუმინელი გუმბაგი იდგა. ბანაკი საესე იყო ტყვეებით. ახლადმოყვანილებიც შიგ შერეკეს. ახალმოსულთა და დამხვდურთა თვლები დახარბებული წაწყდნენ ერთმანეთს. ნაცნობებს დაუწყეს ძებნა, ხმაურობამ და ლაპარაკმა იმატა. გაიოხმა და ბეჯანმა პირწასველებული დედამიწა კოვზით ამოჩიჩქნეს და ჩასაწოლი გაიკეთეს.

ბანაკში მავთულების შიგნით, ბლახი ძირიანად იყო დათხრილი. გაძვალტყავებული, მშვიერი ტყვეები ისე სძოვდნენ ბალახს, როგორც დამშუფული საქონელი, მათ დღეში ერთხელ აძლევდნენ დამპალი კომბოსტოს ნახარშს. შიმშილი მათ ზეზეულად უღებდა ბოლოს. ქუქყი სქამდა ყოველ მათგანს. მთელი კვირაობით პირის დაბანასაც ვერ ახერხებდნენ ისინი. ქის ყარაული „წესრიგს“ იცავდა და წყალს მხოლოდ იმას აძლევდა, ვინც თუთუნს ან წუმწუმას მიუტანდა.

შუადღის სითბოზე გამოფიცდებოდნენ გატიტვლებული ტყვეები. ძვლებზე გადაკრული ტყავი ფხანით ჰქონდათ დაკაწრული.

ქის გადაღმა ჩალის სახურავიანი თავლა იყო, ბუჩოთი საესე. ამას სა-

ნიტარულ პუნქტს ეძახდნენ. აქ გადაკავდათ მხოლოდ ტიფის მწიფე ლათი დაავადებული ტყვეები. ისინი ლეზი კი — საერთო ბანაკში ეყარნენ. ისინი ერთი მეორეს უხვევდნენ კრილობებს ქუქყიანი პერანგის ნაგლეჯებით. კრილობაში ჩირკი იყო ჩამდგარი, ჩირკს ტანსაცმელი გამოეპირნა და ყვითლად შეხმობოდა გარედან. დამპალი, საშინელი სუნით იყო ბანაკის პაერი გაჯღენთილი.

ბანაკი ბუზეებით იყო საესე, ისინი მოსვენებას არ აძლევდნენ დაკრილ ტყვეებს. გუნდ-გუნდად ეხვეოდნენ საცოდავებს.

ბეჯანი მალე მოხარა გაწამებულმა ცხოვრებამ, — ამდენიმე დღეში ლანდალ ვადაიქცა. სახეზე ღრმა მოხუცებულივით ნაოჭები გაუჩნდა, თვლები აემღვრა და ნიკაპმა კანკალი დაუწყო. ტუნები დაუსკდა და მუწუკები გაუჩნდა.

გაიოხი უფრო მარჯვედ იყო, წყალი, წვენი და 50 თუ 75 გრამი დაობებული პური იმას მოქონდა მეგობრისათვის.

ბანაკში ხშირად დამერბოდნენ გერმანელი პოლიციელები და ურჩევდნენ ტყვეებს: „გამოაჩინეთ, ვინ არიან თქვენს შორის პოლიტელები და მდგომარეობას გაავიჯობესებთო“. დრო მიდიოდა, მაგრამ ამ ანკესს არავინ ეგებოდა და პოლიციელები გაცოფებული უღრენდნენ პირშეკრულ ტყვეებს.

ერთხელ ქარი ამოვარდა და ზღვიდან ღრუბელი მოჰყარა. ჩამობნელდა. ცაზე ელვა გაიკლანა, გაანათა ბურუს ქვეშ მოქცეული დედამიწა. დაიწყო ქვეა-ქუხილი და ერთბაშად შმაპუნა წვიმა წამოვიდა. წვიმამ თანდათან იმატა და კოკისპირულ ნიაღვრად გადაიქცა.

სამხეტრზე მიფიცებულმა ტყვეებმა სასწრაფოდ ტანსაცმელი გადაიცვეს და გვერდზე მიწოლით მიეწყენენ ერ-

თიმორეზე, რათა ერთი მხარე მაინც მშრალი დარჩენოდათ.

ნიაღვარმა უფრო უმატა, მინდვრები წყლებმა დაფარა. ბანაქის ტბა ტალახიანმა ღვარებმა აავსო. წყალმა გადმოხეთქა, მოედო ყანებს და ბანაქის მიმართულებით გაიკვლია გზა. ბანაქის ირგვლივ გაკეთებული თხრილი ამოავსო და შიგნით შეიჭრა. მეტი გზა არ იყო, ტყვეები წამოიშალნენ. წყალი თანდათან მალა იწვედა — კალთავით ჩადაბლებულ ბანაქის მინდორზე წვივამდე წყალში იღგნენ ტყვეები. ერთმა მავთულის ღობეს მიაშურა და ზედ ჩამოჯდა. — ჯარისკაცმა თოფი ესროლა და როგორც ბედურა, ისე გადმოაგდო ძირს.

...როდესაც ნიაღვარმა გადაიარა, ტყვეებმა ტანისამოსი ვახიადეს, გაწურეს და ისევ ჩაიყვეს.

გაიოზმა ჭრილობაში შესული თხის ყვითელი ნალექის მოცილება დაიწყო.

— ეს ყოფილა ჩვენი ბედი! — სთქვა ბეჯანმა. მთელი სხეული უძიგძიგებდა. ფეხებს აბაკუნებდა. დაჰყურებდა ჭრილობას, რომელიც ჯერ თეთრმა ფერმა დაფარა, მერე ლურჯმა და ბოლოს შავმა.

იმ დღეს დამპალი კომბოსტოს წვენიც აღარ შეხვდა მათ. ტყვეები მთელი ღამე ფეხზე იღგნენ. ხან ერთ ფეხს აკაუჭებდნენ, ხან მეორეს.

მეორე დღით ბეჯანს შეაცივა ძვლებმა ტეხვა დაუწყო და შუბლზე სიმხურვალე იგრძნო. ძალა აღარ ეყო, ატალახებულ დედამიწაზე ჩაიკეცა.

— ცოტაც მოიცადე, აი საცაა ჩემი მახარა გაშრება და ქვეშ გაგიგებ! — ემუდარებოდა გაიოზი.

ბეჯანი ერთხანს ებრძოდა სისუსტეს, — ფეხზე იდგა, — მაგრამ მალე სიცხემ აუწია. მიწაზე უღონოდ მიეგდო. სახე ჰარბალივით მოექცა. თვლები დაუსისხლიანდა და პირი გაუშრა. წყალი მოუნდა.

გაიოზმა ქვაბუნას ხელი დასტაცა და ჰისაკენ გაქანდა. რუქს ხედავს თავისი ქამარი მისცა და განუდღულად მოკიდა ხელი ოწინარზე ჩამოკიდებულ ჯაქსს.

გუშაგმა კმაყოფილად გაიღიმა, ქამარი ჯიბეში ჩაიდო და გაიოზს რიგს გარეშე მისცა წყალი.

მეგობარმა სასწრაფოდ მოურბენინა მლაშე წყალი. ბეჯანმა ხარბად მოსვა, მაგრამ წყურვილი მაინც ვერ მოიკლა. წყალმა ზეზე წამოდგომის სურვილი აღუძრა. წამოიწია, მაგრამ ფეხი ვერ მოიმაგრა. წაიქცა. ხმა ვერ ამოიღო და დაბინდული თვალებით გაჰხედა მეგობარს. გაიოზს ცრემლი მოერია და ავადმყოფს თვალი მოარიდა, ხელი მოხვია, ბავშვივით აიყვანა და სანიტარულ პუნქტში გადაიყვანა. გაიოზი ბევრი ემუდარა გერმანელ ფერშალს — აქ დამტოვეთ, მოვევლი, უპატრონებ, სიკვდილს გადაეარჩენ და მერე ორივე თქვენი ჭირის სანაცვლოდ ვიქნებითო! ფერშალმა გესლიანად გაიცინა და კედელს ჯოხი მიუჯაუნა. კარებში გერმანელი ჯარისკაცი გამოჩნდა.

— მომამორეთ ეს რეგენი — უბრძანა ფერშალმა. ჯარისკაცმა გაიოზს ზურგში რეზინის ჯოხი მიაყოლა და გარეთ გაავდო.

იმავე დღეს, სადილობისას ტყვეები დათვალეს გადაარჩიეს და ერთი ჯგუფი გზას გაუყენეს. ამ ჯგუფში გაიოზიც მოხვდა.

9

ბეჯანი გულადმა იწვა ბუჩოზე. თვალები ნახევრად დაეხუტა და ოდნავ გადებული ტუჩებიდან ოქროს კბილი მოუჩანდა.

— სიცხე გაუწომეთ? — კითხა ფერშალმა ჰალარა ექთანს. ეს ექთანიც ტყვე იყო.

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ქალაღის ფურცელზე დაწე-

რილი ციფრი, — ორმოცი — აჩვენა. ფერშალის ყურადღება ბეჟანის გამალებულმა გულისცემამ მიიპყრო. დააცქერდა. ამ დროს ავადმყოფის პირიდან ლითონის სიყვითლემ შემოანათა, პირი გააღო, ანიშნა ფერშალმა ბეჟანს.

— დიახ, რათქმა უნდა, ამის მიზეზია, ნათლად სჩანს ღრძილის სიმსივნე და დაზიანება — ჩაილაპარაკა ფერშალმა და ჯიბიდან კბილის ამოსაღები გაზი ამოაცურა.

— აბა, კიდევ გააღე პირი! კიდევ! — უთხრა ბეჟანს და ქვედა ტუჩი დაბლა დაუწია.

სიცხისაგან მიბნედილ ბეჟანს არც გაუგია, როგორ ამოაძრო ფერშალმა ოქროს კბილი.

თავლა სავსე იყო ავადმყოფებით. მუცლის ტიფი მუსრს ავლებდა ტყვეებს. ამ ფარანტინა ბოსელში, რომელსაც არც კარი ჰქონდა, არც ფანჯარა და ალაგ-ალაგ არც სახურავი, — ნაგავში ეყარნენ მძიმედ დაჭრილი და სულმობრძავი ავადმყოფი ტყვეები. დღეში სულ ცოტა, — ათი-თორმეტი კაცი კვდებოდა. მკვდრებს ტანისამოსს ხდიდნენ და გაშიშვლებულ გვამებს თხრილებში ჰყრიდნენ. ნაძარცვი კი ბაზარზე გაჰქონდათ, ყიდდნენ და მოსახლეობაში ავრცელებდნენ ათასნაირ კირსა და სენს.

თავლას არსაიდან მზის სხივები არა ხვდებოდა. შიგ მუდამ ბინდი იდგა. ბეჟანი კუთხეში იწვა. კრილობიდან სისხლსა და ჩირქს გამოეყო. კეფაზე ბუჩო მისწებებოდა. ტალახშემხმარი ტალღები ქანჩებივით უქერდნენ. მარცხენა ხელი ბუჩოში ჩაეყო, რომ გრილ მიწას შეხებოდა. გახურებული ქუთუთოები სანახევროდ გადაერაზნა. იწვა და ელოდა სულთამხუთავს.

ბეჟანმა უცაბედად სიგრილე შეიგრძნო შუბლზე. ესამოვნა ცეცხლმოკიდებულ ხორცზე ცივი თითების შეხება. ვიღაცამ საკინძე შეუხსნა.

ფეხსაცმელები გააძრო. არ განძრეულა ბეჟანი, იყუჩა, ეგონა, სიხმარში ვარჯიშის შემდეგ. რამდენიმე წუთმა გაიარა. — ამხანაგო, აბა პირი გააღე! ესა გამოყავი!

ქალის ხმა ჩაესმა.

ბეჟანმა იგრძნო, ენაზე ფხვნილი დაეყარეს. შეირბა, თვალები გააღო და მკრთალი სინათლის შუქზე თვალი მოჰკრა იმ ქალს, — ექთანს, რომელმაც გერმანელ ფერშალს ქალადღებუ დაწერილი ციფრი, ორმოცი, აჩვენა.

ექთანმა ცოტა თათარა მოუტანა, ნახევარი ვაშლი და ერთი ნატეხი პური. ბეჟანმა გადაყლაპა რამდენიმე ლუკმამ და ექთანს მადლობა გადაუხადა.

მეორე დილას, უთენია შემოვიდა ექთანი. თან რაღაც წამლები, ბამბა და დოლობანდენი შემოიტანა. ბეჟანს კრილობები მოურეცხა, ზედ წამლები დაადო და შეუხვია. ჩქარობდა ექთანი. ეშინოდა, ფერშალს არ მოესწრო.

ბეჟანს ტკივილები გაუყუჩდა. შუბლზე ოფლმა დაასხა. სახეზე ფერი გადაეწმინდა და მოსვენებით ჩაეძინა.

ექთანის მზრუნველმა ხელმა მალე მოამორა ბეჟანის კრილობებს ჩირქი და მატლები და მას ავადმყოფობასთან ბრძოლა გაუადვილა.

ერთხელ ექთანმა თავლაში დილაადრიანად შემოირბინა და ბეჟანს უთხრა:

— ამალამ ავადმყოფი ტყვეების ერთ ნაწილს დნებროპეტროვსკის სამოქალაქო საავადმყოფოში აგზავნიან. იქა სჯობია. უნდა წახვიდე. საჭიროა ამ საქმის მოხერხება!

ექთანმა გარეთ გაიხედა და ფერშალს მოჰკრა თვალი.

— თუ გკითხოს, სიარული შეგიძლია თუ-არაო, თავი დაუქნიე, შემოძლია-თქო, უთხარი — წასიურჩეულა ქალმა და ავადმყოფს სწრაფად გაიცილა.



ფერშალმა ავადმყოფი ტყვეები გასინჯა და ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო, სადგურისაკენ გაისტუმრა. ბეჟანიც იმათ რიცხვში მოხვდა.

## 10

ავადმყოფი ტყვეები საბარგო ვაგონში შეყარეს. სამი დღე-ღამის განმავლობაში უსმელუქმელი იყვნენ ისინი გამოკეტილ კარებში. სადგურზე გაჩერებისას უკრაინელი ქალები თუ შეუყრიდნენ ფანჯრიდან ბოლოკს, პურის ნამტვრევებსა და ქალაღში გახვეულ თუთუნს, თორემ სხვა გამკითხველი მათი არავინ იყო.

შაბათი დღე იყო, როდესაც მატარებელი დნებროპეტროვსკში ჩავიდა და ქალაქის განაპირად გაჩერდა.

ვაგონის კარები გააღეს, ტყვეებს ძირს ჩამოსვლა უბრძანეს, დათვალეს. ოთხი კაცი დააკლდათ სათვალავში. ვაგონები განჩრიკეს, ისინი გზაში დახოცილიყვნენ.

ტყვეებს გუშაგები შემოერთყვნენ და გზას გაუყვნენ.

ბეჟანმა ხალხი შეათვალღერა, იქნებ სადმე გაიოზი იყოსო, მაგრამ იგი ამ ტყვეებში არსად ჩანდა. ბეჟანი დარწმუნდა, რომ სამუდამოდ დაკარგა ძვირფასი მეგობარი და გული ეტკინა.

ქალაქის განაპირას რკინის დიდი კარები გაიღო და ტყვეები ეზოში შეიყვანეს. მოზრდილი ეზო სავსე იყო ვერძანელი პოლიციელებით. ოფიცრებითა და ჯარისკაცებით. ტყვეები ერთ კუთხეში გააჩერეს, გაჩხრიკეს, ფარაუგები გახადეს, დანები და სამართებლები ჩამოართვეს. გაჩხრიკის შემდეგ ტყვეები გადაარჩიეს.

ავადმყოფები იზოლიატორში წაიყვანეს. იზოლიატორს ცემენტის იატაკი ჰქონდა, ორი პატარა ფანჯარა — ქერთან ახლოს. ფანჯრებს გარედან მსხვილი მავთულის ზადე ჰქონდა აკრული.

ერთ კუთხეში ძველი ტახტი იდგა, მეორე კუთხეში კი ხის მოზრდილი კასრი, ზედ გვერდებზე მსხვილტულო იდგა. იგი ჯაჭვით იყო დამაგრებული კედელში ჩატანებულ რკინის რგოლზე.

იზოლიატორში შეყვანილი ტყვეები ბნისამოუღებლად ტახტზე ჩამოჯდნენ. შუადღისას ავადმყოფებს სიცხე გაუსინჯეს. ბეჟანი და რამდენიმე კაცი დნებროპეტროვსკის ქალაქის საავადმყოფოში წაიყვანეს. საავადმყოფოს გარშემო აგურის გალავანი ჰქონდა შემოვლებული, ალაგ-ალაგ გალავანი დანგრეული იყო ბომბებისაგან. დანგრეული ადგილები ეკლიანი მავთულით შემოვლობათ.

ბეჟანის თვალწინ გადაიშალა მოზრდილი ეზო მრავალსართულიანი შენობებით.

შენობებს ერთი მეორესთან ხეების ლამაზი ხეივანი აკავშირებდა. მთავარი შენობის წინ გადათელილი ყვავილნარი მოსჩანდა. იქვე იყო აუზი, ლითონის ნიანგის პირიდან ამოხეთქილი შადრევანი თითქმის სამი მეტრის სიმაღლეზე ისროდა დნებრის აქაფებულ წყალს. გალავანის კუთხეში რამდენიმე უზარმაზარი ხე იყო გადაჩეხილი. ყუმბარებს ემსხვერპლნა ეს ლურჯქათიბიანი, ფესვმაგარი ნაძვის ხეები.

ბეჟანი ოთახში შეიყვანეს. მორიგე ექიმმა გასინჯა, სიცხე გაუზომა და მეოთხე პალატაში გაგზავნა. ბეჟანს იქ სანიტარი ქალი დახვდა. ავადმყოფს აბაზანაში ქუქუყიანი ხელბირი და ფეხები დააბანინა. ბეჟანს მთელმა სხეულმა ქუილი დაუწყო. დიდი ხანი იყო, რაც მის ტანს თბილი წყალი არ მიჰკარებოდა.

— ტანის დაბანა თუ შეიძლება? — შეეკითხა ბეჟანი სანიტარს.

სანიტარმა არაფერი უპასუხა.

«ჯანდაბას! რაც მომივა, მომივიდეს! სიკვდილს მაინც გასუფთავებულ

შევხედებო“ — გაიფიქრა ბეჟინმა და ტანთ გაიხადა.

ცხელმა წყალმა განსაკუთრებული სიამოვნება მოჰგვარა ავადმყოფს. ნერვები დაუშვნიდა და სისხლი საამშურად აღმოძრავა სხეულში.

იმ განყოფილებაში, სადაც ბეჟინი იწეა, მუშაობდა ახალგაზრდა ექიმი ქალი ტატიანა პროკოპენკო. მან ვერ მოასწრო ქალაქიდან გახიზვნა და ახლა ცდილობდა ავადმყოფ ჯარისკაცებისათვის ტყვეობა შეემსუბუქებინა.

ტიფიანი და დიზენტერიით დაავადებული ტყვეების ულუფას წარმოადგენდა დამძადებული სიმინდის ღეროების ფაფა, 100 გრამი ტალახით პური და ორი ფინჯანი ადუღებული წყალი.

ბეჟინი მეორე დღესვე დარწმუნდა, რომ ეს საავადმყოფო ბევრით არაფრით განსხვავდებოდა იმ თავისაგან, საიდანაც აქ მოიყვანეს.

ტატიანა განყოფილების გამგედ ითვლებოდა, მაგრამ მას ყურს არავინ უგდებდა, არავინ არაფერს ეკითხებოდა.

ტატიანა არაფერს ზოგავდა ავადმყოფებისათვის. ის დილით ადრე მოდიოდა საავადმყოფოში: შემოივლიდა პალატებს, ავადმყოფებს გასინჯავდა, გამოელაპარაკებოდა, გაამხნევებდა, გავხმობებოდა კიდევ და შემდეგ ქალაქისკენ გარბოდა. ნაშუადღევს ხელახლად ბრუნდებოდა და თან მოჰქონდა რამდენიმე ცალი ასპირინის ფხვნილი, დოლბანდი, ბაჰბა და ირდი. ამის გულისათვის ის მთელს ქალაქს მოივლიდა. ერთი საავადმყოფოდან მეორეში შედიოდა, აფთიაქის მოსამსახურეებს სახლში აწუხებდა, ოჯახებში დადიოდა დარჩენილი წამლების გამოსათხოვად. მაგრამ ეს ყველაფერი წვეთი იყო ზღვაში.

ტატიანა 24 — 25 წლისა იქნებოდა, ნაშუალო ტანისა, ეშხიანი, მოხდენი-

ლი ქალი იყო. ნატიფ ყელზე აქაიქ მოუჩანდა მკრთალი, იისფერ მსაჩუვები. მის სანდომიან ზნაბუნს სწორად მიშნიდველს ხდიდა პატარა ხალი, მრგვალი, ბუნჩულა ნიკაპის მარჯვენა მხარეზე. პატარა ტუჩები ხშირად უღიმოდა. ზღვისფერი, დიდი თვალები ბავშვური სიცულქით უცინოდა. ქერა, ხუჭუჭი კულულები იისფერ ძარღვებს სწვდებოდა და ოქროვანი სხივებით ამკობდა მის თავს. თოვლივით თეთრი ჩაჩი ტატიანას მალალ შუბლა მიშნიდველობას კმატებდა.

ტატიანა მეტად მკვირცხლი, ცოცხალი და მოუსვენარი ადამიანი იყო ავადმყოფებს უყვარდათ ტატიანა.

— ამხანაგო ექიმო, თუ არა თქვენ, ჩემი ძელები აქამდე მიწაში იქნებოდნ!

— მე, — თორემ ბევრ რამეს გიკეთებთ. უწამლოდ გზოცავთ! წამალს არ გვაძლევენ. — ნაღვლიანად იტყოდა ივა და ჩაფიქრდებოდა.

ერთხელ ტატიანა ბეჟანს სასთუმალთან დაუჯდა და ჩურჩულით უთხრა:

— მომისმინე, ბრძანება მოვიდა მძიმე ავადმყოფი ტყვეები სოფლებში გავანაწილოთ. მათ ადგილზე დაკრილი გერმანელები უნდა მოიყვანონ — შეიძლება საქმე ისე მოეწყოს, რომ მძიმე ავადმყოფებთან ერთად აქედან თქვენც გახვიდეთ! მიხვდით?

ბეჟანს თვალები გაუბრწყინდა.

— ღმერთო ჩემო, ნეტავი ერთი მაგ დღეს ვეღირსებოდე!

— მომისმინე. შენ დღეიდან უკრაინელი ხარ, იცოდევ, გვარად პროკოპენკო. შენს საცხოვრებელ ადგილად ის რაიონი უნდა დაასახელო, სადაც მე დავიბადე, ის სოფელი, სადაც დღემდე ცხოვრობს ამყამად.

ბეჟანი მიუხედა ტატიანას გულის ნადებს, სიხარულის ქრუანტელმა დაუარა მთელს სხეულში. თავი ძირს დახარა და ბალიშზე ჩამოდებულ ტატი-

ანას ნახ ზელს თავისდა უნებურად დასწვდა ცხელი ტუჩებით.

## 11

ივლისის მიწურული იყო. მზე იკბინებოდა. საადამყოფოს ეზოში ავადმყოფი ტყვეები დალასლასებდნენ და ყუდროს ეფიცებოდნენ. ბეჟანი აგურის ნაფხველით გაწითლებულ ბილიკზე დაათრედა ფეხებს. დიდი ხნის ლოგინზე წოლას მთლად მოედუნებინა მისი სხეული. სიარულის დროს მუხლები სახსრებში ეკეცებოდა და წვივები დასხებილსავით სტკიოდა. გაღლილი მკერდი მზის სხივებისათვის მიეშვირა, ძვლებში შემოპარებული სითბო სიამოვნებას ჰგვრიდა.

დალასლასებდა ბეჟანი, როგორც ლანდი საკუთარი თავისა. ჩაცვივებული ყბები წაბლისფერი წვერით ჰქონდა დაფარული. სიწითლის ნიშან-წყალი აღარსად ჰქონდა სახეზე. მზე ჩხვლელტა თვალებში. სიარულის დროს, როდესაც მუხლი გადაუქანდებოდა, კეფაზე მძლავრი ტკივილი გაჰკრავდა ხოლმე და შუბლზე სიმწრის ოფლს დაასხამდა.

ტატიანამ არაფერი დაზოგა ბეჟანის გადასარჩენად.

იმძლავრა სიკბაბუკემ, სიკვდილი დათრგუნა და ოდესღაც ძარღვიანმა მუხამ ისევ მაგრად ჩასკიდა სიცოცხლეს ფეხები. ტატიანას გული მოეცა, როდესაც შრომამ საიმედო ნაყოფი გამოიღო. უფრო ძალუმად მიეშველა ავადმყოფს და საბოლოოდ გამოსტაცა იგი სიკვდილს. ტატიანამ ამის შემდეგ უფრო მოუხშირა ბეჟანის პალატაში სიარულს, ემუსაიფებოდა, ახალ ამბებს უყვებოდა. სტუდენტური ცხოვრების — გაზაფხულის დღეებს ახსენებდა, ხალისითა და სიცოცხლის წყურვილით ავსებდა კბაბუკის ნაღვლიან გულს. და აი, როდესაც ბეჟანმა

მუხლს ურჩობა გაუწია და ფეხზე დადგომა შესძლო, ტატიანას უნებურად ის ეზოში გამოვიდოდა და მისი ტატიანის მოსიარულე ავადმყოფ ტყვეებთან ერთად.

— რამდენი კაცის სია არის, არ იცი?

— ხუთი კაცის.

— ვითომ რამე გამოვა?

— რა ვიცი! ჩვენს ექიმს დიდი იმედი აქვს.

— ეს ხომ მეცდრეთით აღდგენა იქნება, რომ აქედან ვინმე გავიდეს!

— რომ გაუგონ, ხომ ჩამოახრიობენ?

— ჩამოახრიობენ კი არა, დედაბუდიანად ამოსთხრიან მთელს მათ საგვარეულოს. — დაბალი ხმით ჩურჩულებდნენ ავადმყოფი ტყვეები ერთმანეთში.

— როდის იქნება ნეტავ პასუხი?

— ამბობენ, დღეს მოდისო კომისია, ვერა ჰხედავ, ექიმი რა დღეშია. მწოლიარე ავადმყოფებს ადგილი უვალა, გზისპირა პალატებიდან ეზოს მხარეზე გადაიყვანა.

— მერე და რატომ?

— იმიტომ, რომ ეზოს მხარეზე ნაკლები სინათლეა. ეს კი საჭიროა თურმე, ასე უთქვამს ექიმს.

— რა თქმა უნდა, საჭიროა, ავადმყოფებს სახეზე წყალში გაღვსილი მწვანე ხინა წაუსო, კლექიანებს კი დაამსგავსა ისედაც ძალაგამოლეული დაჭრილები!

შუადღისას ტატიანა პროკოპენკომ კომისიაზე გასატარებელ ავადმყოფებს რჩევა-დარიგება მისცა, როგორ მოტყუულიყვენ შემოწმების დროს. დღე-ღამე, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, წამდაუწუმ ფანჯარაში იყურებოდა. მერე ეზოში გავიდა. მზის გულზე გამწკრივებულ ნაცრისფერ ხალათიან ტყვეებს მოჰკრა თვალი, გული გაუმაგრდა, სიამოვნება იგრძნო. „ან ამით-

თან ერთად დავიღუპები ან ვიხსნი ამ ჯოჯოხეთიდანო! — გაიფიქრა ტატიანამ. ამ დროს ეზოში კომისიის წევრები გამოჩნდნენ. მათ წინ მოუძლოდა მწვანე მალღის მუნღირში გამოწყობილი გერმანელი ექიმი, რომელსაც მკერდზე რკინის ჯვრის ორი ორდენი ჰქონდა, მოკაუჭებულ ცხვირზე სათვალე შემოედო და ხელში ძელის ტარინი ლამაზი ჯოჯი ეჭირა. გვერდზე მოსდევდა თარჯიმანი ქალი. უკან კი სავადმყოფოს უფროსი.

ტატიანა მაშინვე მათკენ გაეშურა მიესალმა და უკანა რიგში ჩადგა.

ეზოში მყოფ ტყვეებს გული შეუქანდათ გერმანელი ექიმის დანახვაზე.

— თქვენი ავადმყოფები სად არიან ახლა? — ჰკითხა გერმანელმა ტატიანას.

— ცალკე პალატაში, თუ ინებებ, გაჩვენებთ.

გერმანელმა ექიმმა ნიშნად თანხმობისა თავი დაუქნია.

ტატიანა გაუძღვა, ტალანი გაიარა მუშვიდე პალატის კარები შეიღო და მწვანე მუნღირიანს მიმართა.

— მობრძანდით!

ყველანი შევიდნენ, ოთახში მძიმე სუნი იდგა. უკანასკნელ ორ დღეს განკვებ არ გააწმენდინა ტატიანამ ჰაერი. ოფიცერმა ცხვირი აბრეშუმის ცხვირსახოცში ჩარგო. მერე სათვალე მოიხსნა, ბინდიან პალატას ჩამოუარა, ავადმყოფებს დახედა. ერთბაშად ხველება აუტყდა. ჩირქისა და დამპალი ზორცის სუნით იყო მოწამლული ოთახი.

— წავიდეთ, საკმარისია! — ხრინწიანი ხმით მიმართა ექიმმა თარჯიმანს და სამორიგეო ოთახში შევიდა. სული მოითქვა, ხველებისაგან თვალბეზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა. სათვალე ცხვირზე წამოიღო, მაჯის საათს დახედა და შემდეგ ტატიანას მიუბრუნდა.

— შესაფერი ავადმყოფები შეგირჩევიათ! რატომ უნდა, მაშინვე წაგაქრება ყოველად შეუძლებელია. ავადმყოფებულ ლემებს წარმოადგენენ! ვამტკიცებ ამ სიას. ამ დღეებში გამოგვგზავნებათ საშვეებები და გაწერეთ, აქაურობას მოაშორეთ ეს მკვდარი სულები.

— — —

სიხარულის გრძობამ მოიცვა არა მარტო ავადმყოფი ტყვეები, არამედ ტატიანაც. წამოწყებული საქმის კარგად დაბოლოებამ ფრთები შეასხა მას. უხაროდა, ბავშვივით ენაქარტალობდა, ხან ბეჭანთან იყო, ხანაც აუღაყუდა ბაჩასთან. უხაროდა რომ სასარგებლო საქმე გააკეთა. ეს განთავისუფლებული ადამიანები საბჭოთა მეომრების რიგებს უნდა შემატებოდა. მათი წერილები უნდა მიმატებოდა საპაერო ფოსტის ტვირთს, წერილების დამტარებლები სიხარულით მოსმებნიდნენ დაკარგული მეომრის ოჯახებს, დედებს და ცოლებს სამკუთხად გაეცილ ქალაღლებით აუფესებდნენ მუქებს.

— ექიმო, ტანთსაცმელი ხომ უნდა გავუბრუნებო?

ტატიანამ გაბრწყინებული თვალეებით შეხედა პელაგიას. შეამჩნია, რომ იგი მზად იყო გაერეცხნა, დაეკერებინა და დაებანა კიდევ ისინი. მზად იყო რამდენიმე კილომეტრზე გაყოლოდა მთ. ვაეცილებინა, გზა ესწავლებინა. მზად იყო, თავისი უკანასკნელი გროშები დაეხარჯა მათ სასიამოვნებლად.

— ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. პელაგია! ჩვენი ვალი პირნათლად უნდა მოვიხადოთ!

გაიარა სამმა მოესვენარმა დღემ და მოიტანეს საბუთები.

ორშაბათს დილა-ადრინად მოვიდა განყოფილებაში ტატიანა. ბეჭანს წე-



რილი დაუწერა დედასთან. შემდეგ კი წინასწარად გამზადებულ ხუთეულთან გაჩნდა. ყველანი სამორიგო ოთახში შეიყვანა. პელაგიამ ამ დროს სახსე კალათი შემოიტანა. დანაყრდენ მგზავრები, ორ-ორი ჭიქა არაყიც გადაჭრეს. სხულმა სითბო იგრძნო და გულმ გახალისდა.

— გზა შვეიდობისა, გზა გამარჯვებისა — უსურვა პელაგიამ.

ტატიანამ თვალი შეავლო ხუთივეს ერთად. გულში სიხარულით გამოწვეული ტკივილი იგრძნო და არაყს მწარე გემო გაუსინჯა. მერე წამსვლელნი სათითაოდ გადაჰკოცნა. და როდესაც ჯერი მიდგა ბეჟანზე, ქალი შეკრთა, გაუბედავად გადადგა მისკენ ნაბიჯი. ბეჟანმა ხელი შეაშველა, მკერდზე მიიკრა და გადაჰკოცნა.

ქალაქის განაპირა უბანთან ჩამოშორდა ბეჟანი ამხანაგებს. მისი გზა ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიდიოდა, სოფელ სიმონოვკაში.

მთელი დღე იარა. მზემ მოთენთა. ქრილობამ ტეხა დაუწყო. სიარული გაუჭირდა და სოფლის ბოლოში ერთი მოხუცი ქალის სახლში გაჩერდა ღამის გასათევად. დიასახლისმა ცხელ-ცხელი კვერები დაუცხო. დამარილებული ჭონი მოუჭრა და ნახევარი ლიტრი აუღუღარი რძეც მოუტანა. მეორე დღეს გამოეთხოვა დიასახლისს და გზას გაუდგა. მიდიოდა ბეჟანი ზუმბასავით სწორ გზატყვილზე და ანაზღვეულად ხან მარჯვნივ იხედებოდა, ხან მარცხნივ. ასე ეგონა, გვერდით გაიზოი და ტატიანა მიჰყვებოდენ. ასე დაფიქრებული წაადგა ბეჟანი გზაგასაყართან საგუშავოს. გერმანელმა ჯარისკაცმა გზა შეუღობა.

— საბუთი? აი ინებეთ, — ბეჟანმა საშვი გადასცა გუშავს. გუშავმა ქალაქს დახედა და გვარი ჰკითხა.

— პროკოპენკო გახლავარ, სიმონოვკაში მივდივარ, ჩემს პარტნიორს ვუშავმა საბუთი დამეწერა და გზა მისცა.

ბეჟანი მხოლოდ მეთე დღეს მიადგა სოფ. სიმონოვკას. ამ ხნის განმავლობაში სულ ასოცი კილომეტრი გაიარა. მას კი ასე ეგონა, რამდენიმე ათასი კილომეტრი გამოვიარეო.

ტატიანას წერილი მოძებნა. შემალღებულ სერზე გაშენებულ სოფელს გახედა. სოფელს ერთი მხრიდან კარგა მოზრდილი მდინარე ჩაუდიოდა. მდინარის ნაპირზე საქონელი იყო გაშლილი, წყალი სახსე იყო იხეებითა და ბატებით. სერზე კი თეთრად შეღესილი სახლები იყო ჩამწკრივებული. გზისპირა სახლთან შეჩერდა ბეჟანი.

ჭიშკართან თავშალმობურული, ხნიერი ქალი იდგა და ბეჟანს ისე შეჰყურებდა, თითქოს ეცნობაო.

— გამარჯობა დედი!

— გავიმარჯოს, შვილო!

— პროკოპენკო მელანია საღ ცხოვრობს.

— მე ვარ, შვილო! — უთხრა გაცივებულმა დედაკაცმა.

— ტატიანას დედა ხართ?

— გახლავართ.

ქალიშვილის სახელის გაგონებაზე მალაშკას (ასე ეძახდნენ ტატიანას დედას) სახეზე ნათელი გადაეფინა. ბეჟანმა წერილი გადასცა. მალაშკამ წერილი წაიკითხა. მგზავრს ხელი ჩამოართვა და სახლისაკენ გაუძღვა.

პროკოპენკოს სახლი სოფლის თავში, შევაკებულ სერზე იდგა. სახლი ორი ოთახისა და სამზარეულოსაგან შესდგებოდა. სამზარეულოს მახლობ-



ლად პატარა ბოსელი და სანოვაციის შესანახი მიწური იყო. სახლს კარგათ მოზრდილი ეზო ერტყა გარშემო, ეზოს ეაშლისა და აღუბლის ხეივანი ასდევდა. ეზოს ქვის ყორე პქონდა შემოვლებული. ყორეს გადაღმა პატარა მდინარე ვადიდოდა. მდინარეს ნაპირებზე ვადაბერებული, უზარმაზარი წნორის ხეები იყო ჩამწყვილებული. ტოტები ერთი მეორეს გადახლართვოდა და ჩრდილში მოექცია გულჩახვეული მოჩრევი.

ტატიანას დედა ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, დაბალი ტანისა, გამხდარი, სახე დანაოჭებული, თმებში თეთრი შეპარვოდა. ჩხია, მეტად მოძრავი თვალები და მაღალი შებლი მოუდრეკავი აღამიანის იერს აძლევდა მას.

მალაშკა აღრე დაქვრივდა. მეორედ აღარ გათხოვდა და ორი შვილი ტატიანა და ვასილი, კვამწყვეტით ვამოზარდა.

ჯანი და ღონე ერჩოდა. დღისით მინდვრად მუშაობდა, საღამოს კი მეზობლებს სარეცხს ურეცხავდა და ცოტა ფული აქედანაც შემოდიდობდა. ცდილობდა უმამობა არ ეგვრძოთ ბავშვებს.

დედამთილის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო გაუქირდა მალაშკას. ვადაწყვიტა. ძროხა გაეყიდა, მაგრამ იმ ვახაფხულზე სოფელში გლეხთა კომიტეტი ჩამოყალიბდა. ამ კომიტეტმა დიდი შემწეობა მიაცა მალაშკას. ხვალინდელი დღის შიში დაეკარგა საწყალ ქალს და საქმეს უფრო გულთანად დაუტრიალდა. მალე სოფელში კოლმეურნეობა დაარსდა და ქერივის ოჯახი წელში გაიპარათა. კოლმეურნეობა ხშირად ეხმარებოდა გამრგვე და მუყაით ქალს.

გავიდნენ წლები, ხალისიანი შრომის წლები.

მალაშკამ შვება იგრძნო. მინდორზე სამუშაოდ გასულს, ცხოვრების მწარე

ხედარი გულს აღარ უქამდა. ხანდახან მოიგონებდა იმ დროს, რასაც მუშაობდა. ბოლომდე დაყუდებული ყანაში. გვერდში ხმის გამცემი არაეინ ჰყავდა. დღეს იგი ხალისიანი კოლექტიური შრომის ნამდვილი მონაწილე იყო და მომავალს იმედთანად შესცქეროდა. შვილებმა საშუალო სასწავლებელი დაამთავრეს. ვასილი სამხედრო-სახლგვაო სასწავლებელში შევიდა, ტატიანამ კი დნეპროპეტროვსკის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და ქალაქის საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა. რამდენიმე თვის შემდეგ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.

ვასილის ამბავი დღესაც არ იცოდა დედამ და როდესაც გულში მან საბჭოთა ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილ მგზავრს მოპკრა თვალი, გული მოეწვა და გაიფიქრა „ეინ იცის, ჩემსავით გულმკედარი შენი მშობელი ახლა რომელ ჯარისკაცს გაყუტრებს თვალზე ხელმოჩრდილული!“

მალაშკამ ბეჯანს საქმელი მოუტანა — მერე თბილი წყლით ფეხები დააბანინა, ლოგინი დაუგო და უთხრა.

— წამოწეკი, დაღლილი იქნები, დაისვენე.

ბეჯანი წამოწვა. უტრიალებდა მთელი სხეული. მალე წაეძინა, სიზმარი ნახა. — ვითომ გაიოზი ბიშტიან გერმანელ ჯარისკაცს მიჰყავდა და მან თვალი შეასწრო ფარჯარაში გადმომდგარ ბეჯანს და ტატიანას. ვამწყრალი თვალებით შეყუტრებდა იგი ბეჯანს და უყვიროდა:

— ყოჩად, ბეჯან, მარფოვკის ამბები მალე დაგვიწყებია, თბილი კუთხისათვის შეგიფარებია თავი!

პოლიციელმა მაშინვე ავტომატი ვაჭმოდო ის-იყო, უნდა ესროლა... რომ ბეჯანს გაეღვიძა. მიხვდა, ეს ყველაფერი სიზმარი იყო, მაგრამ გაიოზის სიტყვები მაინც ყურში უწიოდა. სხეული უფრო მეტად უტრიალებდა.

ბეჟანს სიტყვებში აუწია. „ციება არის, სო,“ უთხრა ძალაშკამ და რაღაც სოფლური წამალი დააღვინა.

ბეჟანს ერიდებოდა უცხო ოჯახში, უცხო ქალის ამდენი შეწუხება. მაღალაშკამ ატყობდა ამას და ხშირად უსაყვედურებდა.

— არა გრცხვენია, ბიჭო! ჩემი ვასილის ტოლი ხარ, დედად გეკუთვნი. რას მერიდებში! ჰამე, დალიე, ვითომ ჩემს ვაჟიშვილს უჭამია და დაუღვინია!

— გმადლობთ, დედი! ვეცდები სამაგიერო გადაგიხადოთ.

— ძალიან საქმე გაუკეთებია ჩემს ტატინას, რომ თვალეები დაუბრმავებია გერმანელი ექიმისათვის! კარგი გოგოა, ენაცვალოს დედა. რამდენი ხანია აღარ მინახავს!

— ტატინა იშვიათი ადამიანია, ყველა დედას როდი შეუძლია ასეთი შვილი გაზარდოს, — მიუგო ბეჟანმა.

— მაშ მეც კარგი ვყოფილვარ, არა? — მაღალაშკამ მხიარულად გაეცინა თავისივე სიტყვებზე.

— კარგზე კარგი!

— ეხ, კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! ნუ გვაქვს ასე დედაშვილს!

## 12

ავვისტოს ცხელი დღეები იდგა. მოსავლის აღება ზანტად და უხალისოდ მიმდინარეობდა სიმონოვკაში. გერმანელებს გაქონდათ ყველაფერი: ზორბალი, ჭვავი, მზესუმზირა და შერია.

გერმანელი კომენდანტი იმუქრებოდა, მოსავალი ჩქარა აიღეთ და ხენას შეუდღეკითო.

ბეჟანი ისევ სუსტად იყო, რომ მოაკითხეს, „სამუშაოდ გამოდიო“.

— მეტი გზა არ არის უნდა გახვიდე! თორემ რამე შარს მოგდებენ და უარესია! — უთხრა მაღალაშკამ ბეჟანს.

ბეჟანი გრძნობდა, მუშაობის დაწყება საჭირო იყო. ბევრი იფიქრა და

ბოლოს მენახირეობაზე გადაუხდა თანხმობა.

— მენახირეობა მე უნდა შემიძლია, მაგრამ მომცემს სოფლის მკვლევარს. გზა და ბილიკი მოვსინჯო, იქნებ პარტიზანების კვალს მივაგნო!

მწყემსობაზე დათანხმება მით უფრო აუცილებელი იყო, რადგან ბეჟანი ჯერ კიდევ კარგად არ იყო მოკეთებული და სხვა სამუშაოს ვერ შესძლებდა. ჯობით უხდებოდა ბაბუა კომოთესავით სიარული. ჰრილობა კეფაზე, მართალია, შეუბორცდა, გარედან არაფერი ეტყობოდა და თმამაც დაუფარა გადაგლეჯილი კანი, მაგრამ თავს მაინც კარგად ვერა გრძნობდა და დროდადრო ისეთი ტკივილი გაკრავდა, რომ ეგონა, ზერზემალთან დამაკავშირებელი ძარღვი გამიწყდაო.

მაღალაშკამაც მწყემსობა ურჩია, უფრო მეტი თავისუფლება გექნებოდა.

ერთ დღით ბეჟანი ჯობზე დაბეჯინილი, სოფლის განაპირას, ნახირის შესავროვებელ მოედანზე გამოვიდა.

— გამარჯობა, კაბუკო! — მიესალმა ბეჟანს მოხუცი მენახირე ნიკიტა და თავისი ლურჯი თვალეებით შეათვალიერა ახალი მწყემსი.

— გამარჯობა! — მიუგო ბეჟანმა.

— მე ნიკიტა პავლოვიჩი ვახლავარ. გვარად ნეპაპჩუკი. ბავშვობიდან დაწყებული დღემდე მწყემსის კომბალი ხელიდან არ გამიგდია, თუმცა წინა ომში, ერთ სამ წელიწადს, კომბალის მაგიერად თოფს დავატარებდი. მენახირეობა კარგი საქმეა. მუხლებში სიმარდეს მოითხოვს და მარჯვენაში ძალღონეს კომბალის სასროლად.

— მადლობელი ვარ, რომ მასწავლით! მადლობელი. მე ბეჟანი ვახლავართ.

— მე რა მასწავლებელი ვარ! მასწავლებელი კი არა, მოხუცი მენახირე ვარ.

ბეჟანს მოეწონა მოხუცი მენახირე, გაუღიმა და გულთბილად უთხრა.

— ახლა თქვენთვის დასვენებაა საჭირო.

ნეპაჩუქმა ხმაშლილი გადაიხარხარა, შემდეგ ნახირიდან ასხლეტილ მოზვერს კომბალი ესროლა და თან მიიძახა.

— სად მიხვალ, შე წყევლო! მოზვერი შემობრუნა და ბეჯანს მოუტრიალდა.

— ხომ ვითხარ, მუხლებს სიმარადე და მკლავში ძალაა-მეთქი საჭირო. აბა დათვალე, დღეს რამდენჯერ მომიხდება კომბალის სროლა და საძოვარზე ძენძელი!

ნეპაჩუქის ლაპარაკმა ბეჯანს მძიმე ფიქრები შემოუფანტა და გააციინა კიდეც.

— შენ რას დაფიქრებულხარ შვილო! იფიქროს ცარიელ ბაგაზე მიბმულმა შმიერმა ცხენმა. დიდი თავი აქვს და ტყვილს ვერ იგრძნობს.

— კარგია, პავლოვის ხუმრობა! კაცი ხასიათზე მოჰყავს, ნაღველს უფანტავს!

— რომ არც ვაგიცინო, ჩემო ბეჯან, ამ დროების შემყურე ადამიანი ჭკუას დაჰკარგავს, კლეჩი გაუჩნდება!

— მართალი ხარ, ბაბუა ნიკიტა, მართალი.

— ერთი გაიქეცი, ყანაში ვადასული ძროხა გამოაბრუნე! გაიქეცი-მეთქი როგორ მიდიხარ, ჩქარა, თორემ მთელი საქონელი შიგ შეგროვდება.

ბეჯანმა ლასლასით გასწია ჯეჯილში ვადასული პირუტყვის გამოსაბრუნებლად. ნეპაჩუქს გულმა არ მოუთმინა, უცბად ადგილს მოსწყდა, ბეჯანს გაუსწრო, ძროხა შემოაბრუნა და სიცილით შემოხვდა ნელა მომავალ ბეჯანს.

— ბეჯან, მუხლუბს სიჩქარე უნდა და მკლავს ძალა, თორემ ამოდენა საქონელი თავს წაგართმევს და მერე მშვიდობით.

ბეჯანს შერცხვა. მუხლზე ოფლი მოიწურა და მზის სხივებით მოთენ-

თილი სხეულის გასამაგრებლად კომბალზე დაეყრდნო.

— მუხლი მომიმაგრებ... შეყურე! ვი.— დარცხვენილად მიუგო ბეჯანმა.

— შენ საიდანა ხარ, ბეჯან?

ბეჯანი შეკრთა, არ უნდოდა თავისი სადაურობა გაემხილა.

— სთქვი, რისა გეშინია, გერმანელი ხომ არ გეკითხება? შენ თუ გადაგვიწყდა შენი სადაურობა, მამ მე გაგახსენებ, — შენ საქართველოდანა ხარ... ქართველი ხარ.

ბეჯანმა გაცივრებული თვალებით შეხედა ნეპაჩუქს.

— მერე და შენ საიდან იცი! ვინ ვითხრა?

— მარტო მე კი არა, მთელმა სოფელმა იცის ან რა არის აქ დასამალი. მალაშკა ჭკვიანი ქალია. ნუ გეშინია, საქმეს ცუდად არ დაიჭერს.

„ალბათ მალაშკამ გათქვა სოფელში ჩემი ქართველობა! ნეტავ რისთვის დასჭირდა?“ — გაიფიქრა ბეჯანმა.

— ვინ ვითხრა? მალაშკამ?

— მაგას რად უნდა დაფიცება, შენ რომ ჩვენი სოფლელი არა ხარ! შენ რომ მალაშკას შეილი და სიძე არა ხარ, ესეც ყველამ კარგათ ვიცით!

ბეჯანს სიტყვა „სიძის“ ხსენებამ ეკალივით უჩხელიტა გულზე, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

— რა ხუმარა კაცი ყოფილხარ, ბაბუა ნიკიტა! შენ რა მოგკლავს?

— ჰო, პირობა მაქვს დემერთთანაც და ხალხთანაც მიცემული, რომ... — აკიხვინდა ნეპაჩუქი.

— რა პირობა გაქვს?

— ისა, რომ სამარეშიც ვაცივებულნი უნდა ჩავიდე. ვინც ბევრი იტირა, იმან რა გააკეთა, რომ ტირილი დამეხარბოს.

მთელი დღე ასე ექილაკავებოდა ნეპაჩუქი ბეჯანს. უცნაურ ამბებს უყვებოდა და თან თითონვე ხეიხეინებდა თავის სიტყვებზე.



ბეჯანი მალე შეეჩვია მოხუცს და უკვე მისი მოურიდებელი შენიშვნა, როდესაც იგი ყანაში შესულ საქონელს დროზე ვერ მიუსწრებდა, ვულს აღარა სტყენდა, სირცხვილის ოფლი აღარ ასხამდა სახეზე, სიწითლის აღმური აღარ უვლიდა ლოყებზე.

ბეჯანი თანდათან მოკეთდა, პაერზე ყოფნა მოუხდა — ფერი მოუვიდა, კუნთების ტკივილმაც ნელნელა გაუარა, ხორციც მოემატა — ჩაცვივებული ყბები შეეცო და თვალბში ძველებურმა ცეცხლმა დაუწყა კიაფი.

იგი ხშირად ჩამოშორდებოდა მოხუც მენახირეს და ათვალეირებდა მინდვრებს, ნათესებს, გზებს. ხან აყაციის ტყეში დაჰვრებოდა, ხან კიდევე ჰერამის ნარგავებში დაეხეტებოდა.

ბეჯანი დასვენების დღეებში შინ არ ჩერდებოდა, მინდორში მიდიოდა და დიდიდან საღამომდე გამოცდილ მველესავეთ დადიოდა ხეებში და სერებზე.

— რა არის, ბაბუა ნიკიტა, რომ დიდი ტყე არსადა გაქვთ? — შეეკითხა ერთხელ ბეჯანი ნეპაპჩუკს.

— ტყე არ არის ეგა! — მიუთითა მოხუცმა აყაციის ნარგავზე, — აბა რა არის?!

— მე დიდ ტყეზე გეუბნები! ჩვენში უღრანი, დაბურული ტყეებია.

ნეპაპჩუკს სიცილი აუვარდა და სანამ გული არ მოიჯერა, ხითხითი არ შეუწყვეტია.

— „ჩვენში უღრანი, დაბურული ტყეებიაო!“ — გაიმეორა ბეჯანის სიტყვები და კვლავ გულიანად დაიწყო ხარხარი — უკრაინის ოდენა ტყეები თქვენში სად იქნება, ბიჭო! უკრაინა დიდი ქვეყანაა, მას ტყეებიც ბევრი აქვს და ტრამალებიც, ტბებიც და მდინარეებიც! — მერე ერთბაშად ბეჯანს თვალბში შეაშტერდა: — რად გინდა ტყე? კომბლოსმოსაჭრელი ხე ხომ არ გინდა მოსძებნო?!

— მე ისე გკითხე, ნიკიტა პავლოვიჩ! ტყე მიყვარს... ტყე...

— შენ რაღაც საეშვარაღს ვერაღებ! თვალბს თავში! მოთხარ, ნუ დამიმალავ, ბეჯან, — ტყე ამ დროში მართალი კაცის ბინაა.

— არა, ბაბუა ნიკიტა, არაფერი საეშვარაო, ან კი რა შეიძლება იეშვარაო ჩემისთანა ავადმყოფმა!

— მართლა ეშვარაო ყოფილხარ, ბეჯან! — გადაიხარხარა მოხუცმა: მე კი მეგონა ქართველი კაცი გვულია, გულმართალი არის-მეთქი?

— რატომ ამბობ ასე, პავლოვიჩ, რა დაგიმალე?

ნეპაპჩუკის ლურჯმა თვალბმა ნაბერწყალი გამოკვესა. ორიოდ ჩაცვივებული წინა კბილი გამოუჩნდა გაბურძნულ წვერ ქვეშ თითები შეიყო, ნიკაბთან მოიფხანა, შემდეგ მიუახლოვდა ბეჯანს და შემპარაყად უთხრა.

— შენ რომ გინდა, ის მე ვიცი! ვიცი და არ გეტყვი.

— მე არაფერი მინდა. — მხრები შეიშმუნა ბეჯანმა: — მე არაფერი მინდა. შენც ბევრ რამეს მეკითხები, მაგრამ არც როდის შენი ნათქვამი მე სხუანაირად არ გამიფიქრა.

— კარგი, ასე იყოს მაგრამ დაიხსოვებ, მე ვერ გამაცურებ! — ნეპაპჩუკი ჩაფიქრდა. მერე დინჯად მიუბრუნდა ბეჯანს: — მე კი მეგონა, ჩვენს შორის არაფერი დასამალი არ უნდა ყოფილიყო!

— რა მოხდა, ნიკიტა? — გაჯავრდა ბეჯანი: — დღეიდან მე მირჩევნია, პირზე ბოქლომი დავიდო და აღარაფერი გკითხო!

კიდევე რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მოხუცმა მენახირემ ფეტვის ყანაში გადასულ მოზვერს მოჰკრა თვალი და იმას გამოუღდა.

მადიანად სძოვდნენ ძროხები ჯერ კიდევე ნაშეუქმრალ ბალახს.

ბეჯანი ნათესში შესულიყო და კომბალზე დაყრდნობილი, საქონელს ყარაულობდა.

ნეპაპჩუკი ტყის პირას — დიდი ლოდის ქიმზე ჩამოაჯდარიყო და ბეჭები მზისათვის მიეფიცებინა, ქერის პური აუღულარ რაეში დაეღობ და გემრიელად ილუკებოდა...

ბეჯანი ფიქრებს წაეღო. „იქნებ მართლა საქირო იყოს ნიკიტასთან განდობა. იქნებ ნიკიტამ მართლაც იცის ის, რასაც ბეჯანი ეძებს! ვინ იცის, იქნებ ეს მოხუცი მენახირე საქმეში გამოადგეს!“ გულზე შემოკიდებულმა ათასმა ფიქრმა თითქოს თვალზე რიდე ჩამოაფარეს ბეჯანს. იდგა და ვერ ამინევდა ნათესში შესულ ძროხებს.

ნიკიტამ კომბალი მოიქნია და მახლობელ ძროხას ესრაღა. საქონელი ტყის პირისაკენ გარეკა და ისევ ლოდზე ჩამოაჯდა. ბეჯანი წამოდგა, მოხუცს მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა: —

— ბაბუა ნიკიტა, ერთი საკითხავი მაქვს შენთან!

— მიბრძანე!

— აქ ახლოს ტყეების ბანაყი არსად არის?

— როგორ არ არის! ფილიპოკაში აქედან ექვსი-შვიდი კილომეტრი იქნება!.. ღია ბანაყია.

ბეჯანს სიხარული დაეტყო სახეზე.

— ძმა დაეკარგე. მინდა გავიგო, იქნებ იქ არის.

— ძმა? ხვალვე გაგიგებ, იმ ბანაყში ქართველები არიან თუ არა! — მერე უტბად თვალეები მოკუტა და უღვაშებში ჩაიციინა.

— რა იყო, ბაბუა ნიკიტა! — შეცბა ბეჯანი.

— რა გამოკვარტლები და ვაძუცი! შენა გვონია, მე ვერ ვამჩნევ: როგორი თვალით ზომავ ამ გზებს, ამ აკაციის

ტყეს, ან ამ ქერმების ნარგავებს? ბეჯანი კი ვარ, შვილო, მაგრამ გვერდით თვალის კარგად დამიქონი და გონებაც...

ბეჯანმა კეფაზე ტყვილი იგრძნო, ყბებმა ცახცახი დაუწყო. დაწურული თვალეებით მიამტერდა ნეპაპჩუკს, ეს მოხუცი სამტროდ ხომ არ მითვალთვლებსო, მაგრამ მის კეთილ სახეს რომ შეხედა, ეს ფიქრი მამინევე მოიშორა.

— მე ისიც ვიცი, შენ რამდენჯერ მოსულხარ ამ ტყეში! ყველაფერს ეხედავდი, ბიჭო! — განაგრძო მოხუცმა: — ხედავ, ამ მიწურს? რამდენჯერ გადავივლია ამ მიწურზე, მაგრამ ალბათ, არც როდის აზრად არ მოგსვლია, რომ აქ შეიძლებოდა ყოფილიყო ძველთაგან დარჩენილი, გამაგრებული, საცეცხლე წერტილი! ხედავ, საითა აქვს პირი? გზატკეცილს უყურებს პირდაპირ.

ნეპაპჩუკმა მიწურის ჩასასვლელი კომბალით ჩაიხარა.

— ჩაიხედე!

ბეჯანი მიწას გაეკრა, მიწურში ჩაიხედა:

— ვერაფერს ხედავ? — ეშმაკური ღიმილით ჰკითხა მოხუცმა.

— ვხედავ, ბაბუა ნიკიტა! — აღელვებით წამოიძახა ბეჯანმა.

ნიკიტამ კმაყოფილებით ჩაიციინა.

მიწურში ჩალაში შეხვეული ნაღმები, ერთი გერმანული შამხანა და უამრავი ვაზნები ეწყო.

ბეჯანი წამოდგა. გული გამალებული უძგერდა.

— ბაბუა ნიკიტა, ეს მიწური ძეხორციელმა არ უნდა ნახოს!

— ფიქრი ნუ გაქვს! ვერაფერს ნახავს, შვილო!

— მომეცი ძელი! დღეიდან შენ მამა და მე შეილი! ერთი გზა და ერთი აიზანი გვექნება ორივეს.

გ. ჯანიანი

## ლავრენჯი პავლეს-ძე ბერიას წიგნი — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, მარქს-ენგელს - ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ ამ დღეებში გამოცემული იქნა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას წიგნის — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ახალი, მეშვიდე, ქართული გამოცემა.

ამხანაგ ლ. ბერიას წიგნი, ბოლშევიზმის იდეური საგანძურის ეს ფასდაუდებელი საუნჯე, პირველად გამოცემული იქნა 1935 წლის აგვისტოს ქართულ, რუსულ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე. პირველი გამოცემიდან განვლილი წლების მანძილზე ამ შესანიშნავმა ნაშრომმა უაღრესად ფართო გავრცელება და პოპულარობა ჰპოვა საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გარეთაც. იგი გამოცემულ იქნა სსრ კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე. რუსულ ენაზე ეს წიგნი შეიღვერ გამოვიდა.

ამხანაგ ლ. ბერიას წიგნს „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების“ ისტორიის საკითხისათვის“ თავისი სახელმძღვანელო მნიშვნელო-

ბით, ღრმა შინაარსითა და უდიდესი მეცნიერული ღირებულებით უაღრესად თვალსაჩინო ადგილო უჭირავს ჩვენს პარტიულ ისტორიულ ლიტერატურაში. იგი ერთადერთი პირველი შრომა იყო, სადაც მთელი სისრულით იქნა პირველად გაშუქებული არა მარტო ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის — საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხები, არამედ საერთოდ ბოლშევიზმის ისტორიის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხიც.

ამხანაგ ბერიას წიგნი ახალ, უაღრესად მდიდარ ფაქტურ მასალებზე დაყრდნობით პირველად მეცნიერული სიღრმით გვაცნობს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან განუყოფლად დაკავშირებული რევოლუციური ბრძოლების წარმტაც სურათს. იგი ნათლად, ამომწურავი სიცხადით წარმოგვიდგენს პოლიტიკური ბრძოლის იმ სკოლას, საიდანაც გამოვიდა და თავისი პირველი და მეორე „საბრძოლო რევოლუციური ნათლობა“ მიიღო დიდი ლენინის ყველაზე უფრო ახლობელმა თანამოსაქმემ, მისმა ყველაზე უფრო ერთგულმა და თანმიმდევარმა თანამებრძოლმა ამხანაგმა სტალინმა. ეს შესანიშნავი ნაშრომი „ამავე დროს ... დაუნდობლად ამკლავებს მუშათა

კლასის ყველა მტერს ყველა მოღალატეს, ვისთანაც შეტაკება და შეუბრალებელი ბრძოლა უხდებოდათ ამიერკავკასიის ბოლშევიკებს, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა<sup>1</sup>.

აი რატომ წარმოადგენდა და წარმოადგენს ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნის — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ გამოცემა უდიდეს იდეურ მოვლენას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრებაში. აი რით აიხსნება ის უდიდესი სიყვარული, რაც ამ წიგნმა დაიმსახურა ჩვენს ქვეყანაში.

აღსანიშნავია, რომ ამხანაგმა ბერიამ საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის დამუშავებისა და შესწავლის მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე დაყენების საკითხი გადაჭრით ჯერ კიდევ 1934 წლის იანვარში, საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობასა და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-7 ყრილობაზე დასვა.

მაგრამ ამხანაგმა ბერიამ არა მარტო დასვა ეს საკითხი, არმედ თვითონ მოჰკიდა ხელი ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრას და, დასწერა რა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, მთელი სისრულით გვიჩვენა დიდი ბელადის გენიალური სახე, მისი განუმეორებელი დეაწლისა და ბრძოლის გზა, საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური ბრძოლებისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის ნამდვილი, ბოლშევიკური მართალი სურათი.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ხისნება მოკლე შესავლით და შედგება შემდეგი ოთხი თავისაგან: „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვისა და ჩამოყალიბების ისტორიისათვის“, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის რეაქციისა და მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში“ და „ნაციონალ-უკლონიზმთან ბრძოლის ისტორიისათვის“. წიგნს დართული აქვს სტატია „პრალის კონფერენციის საკითხისათვის“, რომელიც დაიბეჭდა „პრავდის“ 1935 წლის 26 ოქტომბრის ნომერში.

ამხანაგ ბერიას წიგნის პირველი თავი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვისა და ჩამოყალიბების ისტორიისათვის“, რომელიც 1897—1904 წლების პერიოდს მოიცავს, ასახავს ამხანაგ სტალინის იმ გრანდიოზულ თეორიულ და პრაქტიკულ-რევოლუციურ მოღვაწეობას, რომელსაც იგი საქართველოს და ამიერკავკასიაში ეწეოდა თავის თანამებრძოლებთან ს. წულუკიძესთან, ლადო კეცხოველთან და თბილისში მყოფ რუს სოციალ-დემოკრატებთან (კურნატოვსკი და სხვ.) ერთად ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმნელად და განსამტკიცებლად.

<sup>1</sup> ვაზ. „პრავდა“, 1935 წლის 10 აგვისტო.

ამხანაგი ლ. პ. ბერია, სანამ აღნიშნული პერიოდის ძირითადი ფაქტებისა და მოვლენების გაშუქებას შეუდგებოდეს, ეხება საქართველოსა და ამიერკავკასიაში მარქსიზმის შემოკრისა და საქართველოში პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის საკითხებს.

ამხანაგი ლ. პ. ბერია მარქსიზმის იდეათა გავრცელებას ამიერკავკასიაში აკუთვნებს 90-იანი წლების პირველ ნახევარს. მარქსიზმი პირველად შემოიტანეს იმ დროს ამიერკავკასიაში მეფის მთავრობის მიერ გადმოსახლებულმა რუსმა მარქსისტებმა და საზღვარგარეთ ნამყოფმა ქართველმა ლეგალურმა მარქსისტებმა, ხოლო შემდეგში მან მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდის ნიადაგზე ამიერკავკასიაში ფართოდ იწყო გავრცელება.

რაც შეეხება საქართველოში პირველ მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, იგი, როგორც ამხანაგი ბერია აღნიშნავს, ჩაისახა ოთხმოცდაათიან წლებში, კერძოდ 1893 წელს. „მესამე დასის“ ლიტერატურული ჯგუფის სახით. ეს ჯგუფი, რომელიც მარქსიზმს ქადაგებდა ქართული ლეგალური ე. ი. მთავრობის მიერ ნებადართული პრესის—„კვალის“ და „მოამბის“ ფურცლებზე, პირველად შეეცადა ამიერკავკასიის მდგომარეობისა და რევოლუციური პერსპექტივების შესაფასებლად მარქსისტულ შეხედულებათა გამოყენებას.

მაგრამ „მესამე დასის“ ჯგუფი, როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია აღნიშნავს, ერთგვაროვანი არ იყო. მისი უმრავლესობა „ლეგალური მარქსიზმის“ პოზიციებზე იდგა და მთელ რიგ ძირითად საკითხებში ამხინჯებდა და ავულგარებდა მარქსიზმს, ნაციონალისტურ ელფერს აძლევდა მას.

„მესამე დასის“ უმრავლესობა ნოე

ეორდანიას მეტაფორებით ავითარებდა თუხისს კაპიტალიზმის კლასიკურ პროგრესულობას, უმრავლესობა არა მხოლოდ ფეოდალიზმთან შედარებით, როგორც ამაზე მარქსიზმი მიუთითებს, არამედ საერთოდ. იგი, ქებადიდებდა ასხამს რა კაპიტალიზმს, ჩქმალავს მის ძირითად შინაგან წინააღმდეგობას—წინააღმდეგობას წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და შითვისების კერძო, კაპიტალისტურ ხასიათს შორის, რომლის განვითარებას და გააწვევებას გარდუვალად მიეყვართ პროლეტარულ რევოლუციამდე, კაპიტალიზმის განადგურებამდე, სოციალისტური საზოგადოების დამყარებამდე.

„მესამე დასის“ უმრავლესობა ნაცვლად პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტული იდეისა აყენებდა და იცავდა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის კავშირის იდეას, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესთა ერთიანობის იდეას. „მესამე დასის“ უმრავლესობა, ანალოგიურად რუსეთის „ლეგალური მარქსიზმისა“, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ვითომცდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევიან. ეს კეთდებოდა იმისათვის, რომ მუშათა მოძრაობა შეეგუებინათ ბურჟუაზიული საზოგადოების ინტერესებთან, ბურჟუაზიის ინტერესებთან და დაემორჩილებინათ ამ ინტერესებისათვის.

1895 წელს „მესამე დასში“ შედის ა. წულუკიძე და იწყებს ბრძოლას მისი ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ. 1897 წელს „მესამე დასში“ შედის ლადო კეცხოველი, ხოლო 1898 წლის აგვისტოს კი „მესამე დასში“ შედის ამხანაგი სტალინი.

ამხანაგმა სტალინმა კეცხოველთან და წულუკიძესთან ერთად „მესამე დასში“ შექმნა რევოლუციური მარქსის-



ტული უმცირესობის ჯგუფი, რომელიც საქართველოსა და ამიერკავკასიაში „...რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩანასახი გახდა.“

რევოლუციური მარქსისტების ამ ჯგუფმა ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე შეუპოვარი ბრძოლა გააჩნდა „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ, მისი ლიდერის — ნოე ყორღანიას წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში ამხანაგი სტალინი იძლევა რევოლუციური უმცირესობის ძირითადი ამოცანების გენიალურ მონაზახს.

ერთ-ერთი პირველი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელსაც ამხანაგი სტალინი გადაჭრით აყენებდა „მესამე დასის“ რევოლუციური უმცირესობის წინაშე და რომელმაც აშკარა წინააღმდეგობა გამოიწვია „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის მხრივ, იყო არალეგალური პრესის შექმნის საკითხი.

ნოე ყორღანია და „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობა საკუროდ არ თვლიდნენ არალეგალურ პრესას. ისინი უგულვებელყოფდნენ იმ ვარემოებას, რომ რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდა, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობისათვის სოციალისტური მიმართულების მიცემა, მუშათა კლასის მოწინავე ელემენტების მობილიზაცია, მათგან მებრძოლი მარქსისტული პარტიის შექმნა და ნათელი პროგრამითა და რევოლუციური ტაქტიკით მისი შეიარაღება შეუძლებელი იყო იმ პერიოდში ცარიზმის ცენზურისაგან დამოუკიდებელი გაზეთის გარეშე. მათ საესებით საკმარისად მიაჩნდათ ცარიზმის ცენზურის მიერ რეგლამენტირებულ, ლიბე-

რალურ-ნაციონალისტური მიმართულების ორგანო „ეკალზე“ დაქვემდებარებას. ამხანაგმა სტალინმა აბრუნებულად ყენა არალეგალური გაზეთის გამოცემის ამოცანა, არამედ თავის თანამებრძოლებთან ერთად პრაქტიკულადაც განაზოორციელა იგი.

1901 წლის სექტემბერში ამხანაგ სტალინის მიერ წინასწარ მოფიქრებული და ყოველმხრივ დამუშავებული გეგმის საფუძველზე პროლეტარულ ბაქოში ლადო კეცხოველის მიერ მოწყობილ არალეგალურ სტამბაში გამოსვლას იწყებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში პირველი არალეგალური პროლეტარული გაზეთი „ბრძოლა“.

„ბრძოლა“ ლენინური „ისკრის“ შემდეგ ყველაზე საუკეთესო გაზეთი იყო მთელ რუსეთში.

გაზეთ „ბრძოლის“ გამოცემა იმ პერიოდში წარმოადგენდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით „მესამე დასის“ რევოლუციური უმცირესობის მიერ ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის ვზზე გადადგმულ უაღრესად მნიშვნელოვან ნაბიჯს.

გაზეთმა „ბრძოლამ“ თავის სახელმძღვანელო პრინციპად პირველი ნომრიდანვე გაიხადა ლენინურ-ისკრული იდეების პროპაგანდა.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გაზეთი „ბრძოლა“ მთელი თავისი არსებობის მანძილზე ბრწყინვალედ ასრულებდა რუსეთსა და ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული იდეების მგზნებარე პროპაგანდისტისა და აგიტატორის როლს. „ბრძოლა“ ხშირად აყენებდა აგრეთვე ახალ პრობლემებს და იძლეოდა მათს მარქსისტულ გადაჭრას.

მეორე უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც ასევე გადაჭრით დააყენა ამხანაგმა სტალინმა „მესამე დასის“ რევოლუციური უმცირესობის წინაშე, იყო ვიწრო საწრეთ მუშაობიდან მასობრივ აგიტაციაზე და თვითმპყრობე-

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 17.

ლობასთან ამკარა პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკაზე გადასვლის ამოცანა.

ეს ამოცანა ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა 1900 წლის ზაფხულში.

არანაკლები უთანხმოება ჩამოვარდა ამ საკითხშიც „მესამე დასის“ უმცირესობასა და ოპორტუნისტულ უმრავლესობას შორის. „მესამე დასის“ უმრავლესობა, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, უარყოფდა მისობრივ აგიტაციაზე გადასვლის აუცილებლობას და თვითმპყრობელობასთან ამკარა ბრძოლას. იგი იმ აზრისა იყო, რომ შემდეგშიც დაკმაყოფილებულყო მუშაობის „მშვიდობიანი“ მეთოდებით.

ძლევედა რა „მესამე დასის“ უმრავლესობის სასტიკ წინააღმდეგობას, „მესამე დასის“ რევოლუციურმა უმცირესობამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელა საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოციალიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან და ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გამოყვანა წრეობანის მდგომარეობიდან.

შემდეგი ამოცანა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა აგრეთვე 1898—1900 წლების პერიოდში, ორგანიზაციული ხასიათისა იყო და გულისხმობდა რსდმპ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრალური ჯგუფის შექმნასა და ჩამოყალიბებას.

ეს ამოცანაც, მიუხედავად „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის სასტიკი წინააღმდეგობისა, წარმატებით იქნა გადაჭრილი.

1898 — 1900 წლების პერიოდში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით იქმნება და ყალიბდება თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რაც აგრეთვე წარმოადგენდა რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის გზაზე გადა-

დგმულ უაღრესად მნიშვნელოვან ნაბიჯს.

მარქსისტული

ეხება რა თბილისის მუშაკების ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის მოღვაწეობას, ამხანაგი ლ. პ. ბერია მრავალი ცოცხალი ფაქტით გვიხატავს იმ დიდი რევოლუციურ-პროპაგანდისტული და ორგანიზაციულ-პრაქტიკული მუშაობის სურათს, რომელსაც ეს ჯგუფი 1898—1900 წლების პერიოდში ეწეოდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიული ორგანიზაციის შესაქმნელად და თბილისის პროლეტარიატის გაფიცებისა და პოლიტიკური ბრძოლების ორგანიზაციის დარგში.

„თ ბ ი ს ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი პ ა რ ტ ი უ ლ ი ჯ გ უ ფ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი, ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ უ ლ ი მ უ შ ა ო ბ ა, — რ ო გ ო რ ც ა მ ხ ა ნ ა გ ი ლ. პ. ბ ე რ ი ა წ ე რ ს, — 1901 წ ე ლ ს და გ ვ ი რ გ ვ ი ნ დ ა რ. ს. დ. მ. პ. ლ ე ნ ი ნ უ რ ი ს კ რ უ ლ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი ს და ა რ ს ე ბ ი თ“.

ლ. პ. ბერიას წიგნის პირველ თავშივე გაშუქებულია ამხანაგ სტალინის მოღვაწეობის ბათუმის პერიოდი, რომელიც წარმოადგენს „... ამიერკავკასიაში ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და ბრძოლის ერთ-ერთ მკაფიო ეპიზოდს“<sup>1</sup>.

1901 წლის ნოემბრის დამლევს თბილისის კომიტეტი ამხანაგ სტალინს გზავნის ბათუმში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შესაქმნელად. ამხანაგ სტალინის ჩასვლამდე ბათუმის მუშებში თითქმის არაერთარი პოლი-

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 24.

<sup>2</sup> ლ. პ. ბერია, „თანამედროვეობის უდიდესი აღმოჩენა“, ვაშლი „პრავედა“, 1937 წლის 12 იანვარი.

ტიკური მუშაობა არ წარმოებდა. „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის ცნობილი მომხრეები კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი, რომლებიც 1899—1900 წლებში ბათუმში იმყოფებოდნენ, ბათუმის მუშათა პატარა ჯგუფში ეწეოდნენ მხოლოდ „...ღვევალურ კულტურულ-საგანმანათლებლო და თვითგანვითარებითს მუშაობას, უმთავრესად კითხულობდნენ ლექციებს მუშათა საერთო-საგანმანათლებლო სკოლაში, ე. ი. პრაქტიკულად ატარებდნენ „მესამე დასის“ უმრავლესობის ხაზს“<sup>1</sup>.

ბათუმში ჩასვლისთანავე ამხანაგი სტალინი აჩაღებს მჩქეფარე რევოლუციურ მუშაობას, უშუალო კავშირს ამყარებს ბათუმის მოწინავე მუშებთან და სოციალ-დემოკრატიულ წრეებს კმნის როტშილდის, მანათაშვილის, სიდერიდისისა და სხვ. ქარხნებში და პირადად ხელმძღვანელობს მთელ რიგ წრეებს.

1901 წლის 31 დეკემბერს ახალწლის შეხვედრის სახით ამხანაგი სტალინი აწყობს სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა კონფერენციას. კონფერენციაზე გამოყოფილ იქნა ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ამხანაგ სტალინის მეთაურობით. „ამ ჯგუფმა, — როგორც ამხანაგი ზერია წერს, — ფაქტობრივად შეასრულა რ. ს. დ. მ. პ. ლენინის ურბისკარული მიმართულებების ბათუმის კომიტეტის როლი“<sup>2</sup>.

ამხანაგ სტალინისათვის ბათუმშიც ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის ორგანიზაციის ლენინური გეგმის და

მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების განხორციელება წარმოადგენდა ძირითად ამოცანას. ამხანაგი სტალინი ბათუმშიც მოწინავე მუშების წინაშე გადაჭრით აყენებს არალეგალური სტამბის შექმნის საკითხს.

თუმცა სტამბის მოწყობა და გეგმიური მთელი იყო მთელ რიგ დაბრკოლებებთან, მაინც ამხანაგმა სტალინმა რევოლუციონერ მუშათა დახმარებით სრულიად მოკლე ხანში, 1902 წლის იანვრისათვის უზრუნველყო ბათუმში პატარა არალეგალური სტამბის მოწყობა. ეს სტამბა შემდეგში ამხანაგმა სტალინმა გააფართოვა და გაუმჯობესა და იგი მნიშვნელოვან საგამომცემლო ბაზად გადააქცია. აქ დაბეჭდილი პროკლამაციები, ფურცლები და მოწოდებანი, რომელთა დიდი ნაწილი სტალინის კალამს ეკუთვნოდა, უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდნენ ბათუმში „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის მიმდევრების იდეური განადგურებისა და ლენინურ-ისკრული მიმართულების მძლავრი ორგანიზაციების შექმნა-განმტკიცებისათვის.

1902 წლის 9 მარტს ამხანაგი სტალინი აწყობს და მეთაურობს ბათუმის საწარმოების მუშათა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ 6.000-ზე მეტი კაცი. ამ დემონსტრაციას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მთელ ამიერკავკასიაში რევოლუციური ტალღის აზვრითების წინამორბედი გახდა, და სრულიადრუსეთის პოლიტიკური მნიშვნელობა მოიპოვა.

აჯამებს რა ამხანაგ სტალინის მიერ ბათუმში გაწეულ მთელ რევოლუციურ მუშაობას, ამხანაგი ლ. პ. ზერია წერს „ამ გვარად, ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია შექმნა ამხანაგ“

<sup>1</sup> ლ. პ. ზერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 25.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 26.



ნაგმა სტალინმა, და მან პირველმა აამოძრავა ბათუმის მუშები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისათვის“<sup>1</sup>.

1902 წლის 5 აპრილს ამხანაგი სტალინი დააპატიმრეს ბათუმის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის სხდომაზე და მოათავსეს საპატიმროში. ამხანაგმა სტალინმა დაახლოებით 19 თვე დაჰყო ციხეში, რაც უდიდეს დარტყმას წარმოადგენდა მთელი ჩვენი პარტიისათვის. მაგრამ სტალინს საპყრობილეშიც, პატიმრად ყოფნისას, მიუხედავად მძიმე რეჟიმისა, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია კავშირი რევოლუციურ მუშაობასთან. იგი კავშირს ამყარებს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან და წარმართავს მთელ მათ მუშაობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

1903 წლის მარტის დამდეგს ამხანაგ სტალინს მითითებით შედგა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების პირველი ყრილობა. ყრილობაზე შექმნილი კავკასიის კომიტეტის შემადგენლობაში ბათუმის საპყრობილეში პატიმრად მყოფ ი. ბ. სტალინს დაუსწრებლად ირჩევენ.

1903 წლის ნოემბერში ამხანაგ სტალინს ეტაპით გზავნიან გადასახლებაში 3 წლით, აღმოსავლეთ ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიის ბალაგანსკის ბაზრის სოფელ ნოვაია უდაში.

ამხანაგი სტალინი ნაკლებად ასრულებს „უზენაესის ბრძანებას“. იგი 1904 წლის 5 იანვარს გამოიქცა გადასახლებიდან და დაბრუნდა თბილისში.

სტალინი კვლავ სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, და აწარმოებს შეუპოვარ

ბრძოლას ოპორტუნისტების-მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც მათი წინამორბედის—„ეკონომისტების“ მსგავსად ქედს იხრიდნენ მუშათა მოძრაობაში სტიქიურობის წინაშე, უკან ეწეოდნენ პარტიას დაქსაქსულობისაკენ, ეუსტარულობისაკენ, წრეობანობისაკენ.

1904 წლის დამდეგს ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაცია გარდაიქმნა რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკური ორგანიზაციად.

ამხანაგი ბერია თავის წიგნის პირველ თავში აშუქებს აგრეთვე გამოჩენილი პროფესიული რევოლუციონერების, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნის საქმეში. ი. ბ. სტალინის სახელოვან თანამებრძოლების—ლადო კეცხოველის და ს. წულუკიძის ცხოვრებასა და რევოლუციური მოღვაწეობას.

აჯამებს რა აღებული პერიოდის მანძილზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვისა და ჩამოყალიბების ისტორიის ყველა ძირითად ფაქტსა და მოვლენას, ამხანაგი ლ. პ. ბერია დაასკვნის:

„საქართველოსა და ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ფუძემდებელი არის ამხანაგი სტალინი ამხ. ა. წულუკიძესთან, ლადო კეცხოველთან და თბილისში მყოფ რუს სოციალ-დემოკრატებთან (კურნატოვსკი და სხვ.) ერთად.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოსა და ამიერკავკასიაში მარქსიზმ-ლენინიზმის

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 30.

მტრების წინააღმდეგ შე-  
ურიგებელ ბრძოლაში,  
პირველ რიგში, ქართვე-  
ლი „ლეგალური მარქსის-  
ტების“ წინააღმდეგ („მე-  
სამე დასის“ უმრავლესობა-  
სთან, ნ. ეორდანის,  
ს. ჯიბლაძისა და სხვ. მე-  
თაურობით) ბრძოლაში,  
ჩაისახნენ და გაიზარდ-  
ნენ ბოლშევიკური ორგა-  
ნიზაციები“.



ლ. პ. ბერიას წიგნში განსაკუთრე-  
ბული ადგილი უჭირავს მეორე თავს.  
მასში თავისი მეცნიერული ასახვა  
ჰპოევს მთელმა იმ რთულმა, ხანგრძ-  
ლივმა, შეუპოვარმა და შეურთებელ-  
მა ბრძოლებმა, რომელსაც ამხანაგი  
სტალინი ეწეოდა საქართველოსა და  
ამიერკავკასიაში 1905 — 1907 წლე-  
ბის პერიოდში ლენინიზმის იდეო-  
ლოგიისა და პოლიტიკის გამოსამუშა-  
ვებლად, მარქსისტულ-ლენინური პარ-  
ტიის შესაქმნელად და მისი იდეოლო-  
გიური, ორგანიზაციული ტაქტიკური  
და თეორიული პრინციპების დასამუ-  
შავებლად.

ამხანაგი ლ. პ. ბერია თავისი შრომის  
მეორე თავში ერთ-ერთ პირველ სა-  
კითხად განიხილავს ამხანაგ სტალინის  
ხელმძღვანელობით რ. ს. დ. პ.-ის  
კავკასიის კავშირის კომიტეტის ბრძო-  
ლას პარტიის შესამე ყრილობისათვის.

როგორც ცნობილია, ბრძოლამ ბოლ-  
შევიკებსა და მენშევიკებს შორის  
პარტიის II ყრილობის შემდეგ კიდევ  
უფრო პრინციპული ხასიათი მიიღო.  
მენშევიკებმა, რომლებმაც პარტიის II  
ყრილობაზე ცენტრალურ დაწესებუ-  
ლებებში უმრავლესობა ვერ მოიპოვეს  
და დარჩნენ უმცირესობაში, თავიანთი

აღვირახსნილი, ღეზორგანიზატორული  
ბრძოლა წარმოათეს რსდმპ II ყრი-  
ლობაზე არჩეული ცენტრალურ დაწესებუ-  
ლებების წინააღმდეგ. მენშე-  
ვიკებმა ბოლშევიკური პარტიის საწი-  
ნააღმდეგო ბრძოლის ხერხად აირჩიეს  
„მთელი პარტიული მუშაობის ღეზორ-  
განიზაცია, საქმის გაფუჭება, ყველაფ-  
რის და ყოველივეს შეფერხება“  
(ლენინი).

მენშევიკების ღეზორგანიზატორული  
მოქმედება ძირს უთხრიდა სოციალ-  
დემოკრატიისადმი ნდობას. საჭირო იყო  
რადაც უნდა დამჯდარიყო ბოლო  
მოღებოდა შექმნილ პარტიულ კრი-  
ზისს. ლენინი ამ კრიზისიდან გამოსა-  
ვალს ხედავს მხოლოდ პარტიის III  
ყრილობის მოწვევაში.

პარტიის III ყრილობის მოწვევისა-  
თვის მოსამზადებელ მუშაობაში გა-  
დამწყვეტი როლი შეასრულა 1904  
წლის აგვისტოში ლენინის მიერ ჩატა-  
რებულმა 22 ბოლშევიკის  
თათბირმა. ამ თათბირმა მიიღო  
ისტორიული მიმართვა „პარტიისად-  
მი“, რაც ბოლშევიკებისათვის პარ-  
ტიის III ყრილობის მოწვევისათვის  
ბრძოლის პროგრამად იქცა.

22 ბოლშევიკის ამ მიმართვამ მზურ-  
ვალე გამოძახილი ჰპოვა რუსეთის ად-  
გილობრივ ორგანიზაციებში.

ყრილობისათვის ბრძოლაში ლენინის  
ერთგული დასაყრდენი ამიერკავკასია-  
ში იყო ამხანაგი სტალინი, რომელიც  
სათავეში ედგა ამიერკავკასიის ბოლ-  
შევიკებს.

მენშევიკებისათვის ყველაზე მნიშე-  
ნელოვანი იყო ის, რომ კავკასიაში, რე-  
ვოლუციის ამ ციტადელში დაეშალათ  
ბოლშევიკური კომიტეტები, რომელ-  
თაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვა-  
ნელობდა. და იმ ამ მიზნით ამიერკავკა-  
სიაში როგორც მენშევიკური ც. კ.-ის  
წარმომადგენელი ჩამოდის ნოსკოვი  
(გლეზოვი). იგი თავის უმნიშვნელოვა-  
ნეს ამოცანად სთვლიდა კავკასიის კავ-

შირის კომიტეტის ლიკვიდაციას, მაგრამ მისი ცდა სამარცხვინო შედეგით დასრულდა.

1904 წლის ნოემბერში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით რსდმპ-ის კავკასიის კავშირის კომიტეტმა თბილისში მოიწვია კავკასიის კავშირის კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ბაქოს, თბილისის ბათუმის და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების წარმომადგენლები. ამ კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მიუთითებდა იმაზე, რომ შინაპარტიული მშვიდობიანობის ინტერესებისათვის აუცილებლად საჭიროა „სავანგებო“ ყრილობის „სასწრაფოდ“ მოწვევა, რომ ეს ყრილობა ფრიად საჭიროა ახლანდელი ისტორიული მომენტის პირობათა გამოც, რომელიც მოითხოვს პარტიის ცალკეულ ნაწილთა მოქმედების განსაკუთრებულ შეთანხმებას და ერთიანობას მეფის თვითმპყრობელობაზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად“<sup>1</sup>.

კონფერენციამ დაამტკიცა 22 ბოლშევიკის თათბირის მიერ არჩეული უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო და აირჩია სპეციალური ბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლის საწარმოებლად.

კონფერენციის შემდეგ „1904 წლის ნოემბერში ამხანაგი სტალინი მიემგზავრება ბაქოში კამპანიის გასაძლიერებლად პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის და ბრძოლის შემდგომი გაჩაღებისათვის მენშევიკების წინააღმდეგ, კერძოდ მენშევიკური ც.კ-ის წარმომადგენლის გლეზოვის (ნოსკოვის) წინააღმდეგ, რომელიც მაშინ ბაქოში იმყოფებოდა“<sup>2</sup>.

ამრიგად ამხანაგი სტალინი სათავე-

ში უდგას პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის ამიერკავკასიის მენშევიკების ბრძოლას, რაც მენშევიკების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა.

შემდეგი საკითხი, რომელსაც ამხანაგი ბერია ეხება თავისი შრომის მეორე თავში, ეს არის რუსეთ-იაპონიის ომისაღმის ამიერკავკასიის ბოლშევიკების დამოკიდებულების საკითხი.

ეხება რა ამ საკითხს, ამხანაგი ლ. პ. ბერია წერს: „ამიერკავკასიის ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის მეთაურობით თანმიმდევრობით ატარებდნენ მეფის მთავრობის „დამარცხების“ ლენინურ ხაზს, დაულაღვად მოუწოდებდნენ მუშებსა და გლეხებს გამოეყენებინათ ომით გამოწვეული ცარიზმის სიძნელე და გაეჩაღებინათ ბრძოლა თვითმპყრობელობის რევოლუციური დამხობისათვის“.

ამხანაგმა ბერიამ თავისი შრომის მეორე თავში ძლიერი შუქი მოჰფინა იმ გმირულ ბრძოლებს, რომლებსაც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ეწეოდა ამიერკავკასიის პროლეტარიატი და რევოლუციური გლეხობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, და რომელიც რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში შევიდა როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი თავი.

ამხანაგ ბერიას მოჰყავს განსაკუთრებით მდიდარი ფაქტობრივი მასალა და მთელი სისრულით გვიჩვენებს სტალინს, როგორც რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ამიერკავკასიის რევოლუციური მუშათა და გლეხთა ენერჯისა და ნებისყოფის გენიალურ ორგანიზატორს, როგორც მათს ბელადსა და ხელმძღვანელს.

ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლებს, მაღალ შეფასებას აძლევდა ამ ბრძოლებში ამხანაგ

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, 39-48.

<sup>2</sup> იქვე, 39-54.

სტალინის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის ბოლშევიკების წარმართველ ხელმძღვანელ როლს და წერდა, რომ კავკასიაში რევოლუციური მოძრაობა „... ყველაზე უკეთესად არის მომზადებული“, რომ კავკასიაში „...პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე ძლიერ და მკაფიოდ არის გამოხატული“<sup>1</sup>.

სწორედ ამიტომ იყო, რომ „ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლა, რომელსაც ამხანაგი სტალინი მეთაურობდა, ღებულა მხურვალე მხარდაჭერას, ხელმძღვანელობასა და დახმარებას ლენინის მხრით, რუსეთის მუშათა კლასისა და ბოლშევიკური პარტიის მხრით“<sup>2</sup>.

ვარდა აღნიშნული საკითხებისა, ამხანაგ ბერიას წიგნის მეორე თავში და ნაწილობრივ მესამე თავში ყველაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული ტაქტიკური და თეორიული საფუძვლების დაცვისა და დამუშავებისათვის ბრძოლაში ამხანაგ სტალინის უდიდესი ისტორიული დამსახურების გაშუქებას.

ამხანაგმა სტალინმა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების დაცვას და დამუშავებას მიუძღვნა შემოქმედებითი მარქსიზმის ისეთი გენიალური ნაწარმოებნი, როგორცაა „გაკვერით პარტიულ უთანხმოებაზე“, რომელიც დაიწერა 1905 წლის დამღვს, 1904 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაწერილი ორი „წერილი ქუთაისიდან“ და „პასუხად“ „სოციალ-დემოკრატს“, რომელიც 1905 წლის 15 აგვისტოს გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ მე-11 ნომერში დაიბეჭდა.

როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია მიგვითითებს, აღნიშნულ შრომასა, წერი-

ლებსა და სტატიაში „ამხანაგ სტალინი იძლევა სტრატეგიურ ობორტუნისტული თეორიის გამანადგურებელ კრიტიკას და ასახულებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას მუშათა კლასისათვის რევოლუციური თეორიისა და პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობის შესახებ. აქ ამხანაგი სტალინი გამოდის ლენინის ნაშრომის „რავაკეთოთ?“ — დასაცავად...“

ბროშურაში „გაკვერით პარტიულ უთანხმოებაზე“ ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებელი იერიში მიიტანა სტიქიურობის წინაშე ქედის მოზრის ობორტუნისტული თეორიის წინააღმდეგ და ბრწყინვალედ დაამტკიცა თეორიისა და პრაქტიკის, სოციალისტური შეგნებისა და მუშათა მოძრაობის ურყევი ერთიანობის აუცილებლობა.

ამხანაგ სტალინი სოციალისტურ შეგნებას, მარქსისტულ-ლენინურ თეორიას ადარებს კომპასს, რომელიც ჩვენს პარტიას აძლევს რთულ საზოგადოებრივ ისტორიულ განვითარებაში ორიენტირების ძალას.

„რა არის მეცნიერული სოციალიზმი უმუშათამოძრაობოდ? — კომპასი, რომელიც შეიძლება უხმარებლად დაქანდეს და წყალში გადასაგდები გახდეს.“

რა არის მუშათა მოძრაობა უსოციალიზმოდ? — უკომპასო გემი, რომელიც ისედაც მიატანს მეორე ნაპირს, მაგრამ კომპასი რომ ჰქონდეს, უფრო ჩქარა მიაღებდა ნაპირს და უფრო ნაკლებ ზიფათს შეხვდებოდა.

შეაერთეთ ორივე. და მიიღებთ შესანიშნავ გემს, რომელიც სისწორით გაეჭანება მეორე ნაპირისაკენ და უვნებლად მიაღწევს ნავსადგურს“.

ი. ბ. სტალინის ბროშურის „გაკვე-

<sup>1</sup> ი. ვ. ლენინი, თხზ. ტომი IX, გვ. 27.  
<sup>2</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 57.

რით პარტიულ უთანხმოებაზე“ გამოქვეყნება მალე შეიტყეს საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრში. სტალინის ბროშურის გამოცემის ამბავმა დიდად დაინტერესა პარტიის ბელადი დიდი ლენინი. 1905 წლის 18 ივლისს ლენინის დავალებით ნ. კ. კრუპსკაია რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს სწერდა, რომ ამ ბროშურამ „სენსაცია მოახდინა“, და ითხოვდა საჩქაროდ გაეგზავნათ იგი ილიჩისათვის.

ლენინის თეზისს მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის შესახებ, თეზისს იმის შესახებ, რომ აუცილებელია რევოლუციური თეორია შეუერთდეს მუშათა მასობრივ მოძრაობას, სტალინმა, როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია წერს, მიუძღვნა აგრეთვე სტატია „პასუხად „სოციალ-დემოკრატს““.

ამხანაგ სტალინის სტატიამ „პასუხად „სოციალ-დემოკრატს““ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრში.

ლენინმა ბრწყინვალე შეფასება მისცა ამხანაგ სტალინის სტატიას „პასუხად „სოციალ-დემოკრატს““. პარტიის ცენტრალურ ორგანოს — „პროლეტარის“ 1905 წლის 11 (24) ოქტომბრის ნომერში ლენინი ათავსებს სტალინის ამ სტატიის ძირითადი შინაარსის მოკლე რეზიუმეს.

ამხანაგმა ბერიამ პირველად გააცნო ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ინტელექციონის ფართო ფენებს ის დიდი როლი, რომელიც ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შეასრულა ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის ორგანიზაციული საფუძვლების დაცვისა და დამუშავების დარგში.

ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიკური პარტიის ლენინური ორგანიზაციული პრინციპების დაცვასა და განვითარებას მიუძღვნა თავისი შესანიშნავი სტატია „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“.

როგორც ცნობილია, პარტიის 11

ყრილობაზე წამოყენებული იყო პარტიის წესდების პირველი ვერსიის ორი განსაზღვრა — *პირველი* და *მეორე* მარტოვისა. სტატიაში „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“, რომელიც პარტიის წესდების პირველი მუხლის გამო დაიწერა, ამხანაგი სტალინი ააშკარავებს მარტოვის „ხერხიანი“ განსაზღვრის მიმდევრებს, როგორც „შეშინებულ“ პარტიის წევრებს“, რომლებიც გაურბიან პარტიულ დისციპლინას და მიუთითა ლენინის ფორმულირებით მისი შეცვლის აუცილებლობაზე. ამხანაგი სტალინი წერდა:

„ჩვენ უბრალო მოუფიქრებლობად მიგვაჩნია გადაწყვეტილება მეორე პარტიული ყრილობისა, რომელმაც მარტოვის განსაზღვრა მიიღო, და სრული იმედი გვაქვს, რომ მესამე პარტიული ყრილობა უეჭველად გაასწორებს მეორე ყრილობის შეცდომას და ამხ. ლენინის განსაზღვრას მიიღებს“<sup>1</sup>.

პარტიის ქესამე ყრილობამ მართლაც გამოასწორა მეორე ყრილობის შეცდომა: პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის მენშევიკური ფორმულირება შეცვლილი იქნა ლენინის ფორმულირებით.

ამხანაგი სტალინი სტატიაში „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“ მიუთითებს ბოლშევიკურ პარტიაზე, როგორც მუშათა კლასის მოწინავე, შეგნებულ და ორგანიზებულ რაზმზე, რომელიც აგებულია ცენტრალიზმის, რკინისებური დისციპლინის საწყისებზე.

ლენინი გვასწავლიდა, რომ ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს პროგრამული, ტაქტიკური და ორგანიზაციული პრინციპების სრული ერთიანობა.

<sup>1</sup> ბ. შ. სტალინი, ტომი 1, გვ. 71.

ანალოგიურ დებულებას იცავდა და ავითარებდა ამხანაგი სტალინი თავის სტატიასში „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“. იგი მიუთითებდა, რომ მხოლოდ პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებათა ერთიანობას შეუძლია შეაყვამიროს პარტიის წევრები ერთ ცენტრალიზებულ პარტიად. „ირღვევა შეხედულებათა ერთიანობა — ირღვევა პარტიაც. მამასაღამე, პარტიის წევრი შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ იმას, ვინც საყსებით მიიღებს პარტიულ პროგრამას, პარტიის ტაქტიკას, ორგანიზაციულ პრინციპს“.

მაგრამ პარტიის წევრისათვის, პროლეტართა არმიის ნამდვილი წინამძღოლისათვის არ კმარა პარტიული პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციული შეხედულებების მხოლოდ მიღება, ვინაიდან „რამდენი ყბედია ქვეყანაზე, რომელიც სიამოვნებით მიიღებს“ პარტიულ პროგრამას, ტაქტიკას და ორგანიზაციულ შეხედულებას და ყბედობის მეტს კი არაფერს გააყვთებს? პარტიის წმინდათა-წმინდის შემწიკლა იქნებოდა, რომ ამისთანა ყბედისათვის პარტიის წევრი (ე. ი. პროლეტართა არმიის წინამძღოლი) დაგვერქმია!“. ჩვენი პარტია, — წერს შემდეგ ამხანაგი სტალინი, — ფილოსოფიური სკოლა ზომ არაა, ან რელიგიური სექტა, არამედ ბრძოლის პარტია; მას არ შეუძლია დამკაყოფილდეს პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციული შეხედულებების პლატონური მიღებით, არამედ მოითხოვს თავისი წევრებისაგან მიღებული აზრების განჭორციელებას. „მამასაღამე, ვისაც ჩვენი პარტიის წევრობა უნდა, მან არ უნდა იკმაროს პარტიის პროგრამული, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებათა მიღება და ხელი უნდა მიჰყოს ამ შეხედულებათა განხორციელებას, მათს ცხოვრებაში გატარებას“.

ამხანაგი სტალინი მთელ რიგ სტატიებში ასაბუთებს და ავითარებს ლენინის დებულებას პარტიის ერთგორც პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. ამ საკითხს ამხანაგმა სტალინმა მიუძღვნა სტატიები „დამოუყიდებელთა“ პარტია და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები“ (გაზ. „განთიადი“, 1906 წლის 10 მარტი), „რეორგანიზაცია თბილისში“ (გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906 წლის 25 ივნისი), „პროფესიონალური კავშირები თბილისში“ (გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906 წლის 15 აგვისტო), „კლასთა ბრძოლა“ (გაზ. „ახალი დროება“, 1906 წლის 14 ნოემბერი), „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“.

დასახელებულ სტატიებში, როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია წერს, ამხანაგი სტალინი აყენებს შინაპარტიული დემოკრატიის გატარების საკითხს, აწაღებს ბრძოლას მუშათა მასობრივი ორგანიზაციებისათვის და სასტიკად აკრიტიკებს დაშნაკთა პოზიციას, რომეღნიც მოითხოვდნენ პარტიული, არსებითად ნაციონალური, პროფესიული კავშირების მოწყობას ასაბუთებს პროფესიულ კავშირების მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობის აუცილებლობას.

ამხანაგი სტალინი მთელ რიგ თავის შრომებსა და სტატიებში იცავდა და ავითარებდა ცენტრალიზმის საღუქველზე პროლეტარული პარტიის აგების ლენინურ მოთხოვნას.

სტატიაში „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“, ამხანაგი სტალინი მიუთითებდა: „პარტია, რომელსაც მიზნად დაუსახავს მეგრძოლი პროლეტარიატის წინამძღოლობა, ერთეულთა შემთხვევით გრო-

ვას კი არა, მკიდრო ცენტრალიზებულ ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს, რომ შესაძლებელი იყოს მისი ერთი ვეგმით ამოქმედება“.

ამხანაგმა სტალინმა არა მარტო დააყენა ცენტრალიზებული ორგანიზაციის შექმნის საკითხი, არამედ პრაქტიკულად განახორციელა იგი.

ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ გადაგვიშალა იმ უდიდესი მუშაობის სურათი რომელსაც ამხანაგი სტალინი ეწეოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ცენტრალიზებული პარტიის შესაქმნელად.

იცავდა რა პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ლენინურ ფორმულირებას, ამხანაგი სტალინი აღნიშნულ შრომაში განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ბოლშევიკური პარტიის მონოლითურობისა და ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით ერთიანი პროლეტარული დისციპლინის აუცილებლობას.

ამხანაგი სტალინი წერდა:

„ტყუილად კი არ ამბობენ,—ჩვენი პარტია წინამძღოლთა ორგანიზაციაა და არა ერთეულთა გროვო, და თუ ჩვენი პარტია წინამძღოლთა ორგანიზაციაა, ცხადია, ამ პარტიის, ამ ორგანიზაციის წევრად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ ის, ვინც ამ ორგანიზაციაში მუშაობს, ვინც, მაშასადამე, მოვალეობად სცნობს თავისი სურვილები პარტიის სურვილებს შეუერთოს და პარტიასთან ერთად იმოქმედოს“.

ამხანაგ ბერიას წიგნის მეორე თავში დიდი აღვლილი აქვს დათმობილი იმ მასალებს, რომლებიც ახასიათებენ ამხანაგ სტალინის ბრძოლას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. ბოლშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირითადი საკითხების დამუშავებისათვის.

ძირითადი ტაქტიკური დებულება, რომელსაც ამხანაგი სტალინი თითქმის ყველა თავის ნაშრომში იცავდა და ანვითარებდა, ბურჟუაზიულ-დემოკრა-

ტიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინური ტაქტიკაში „თბილისი, 1905“ წიგნის 20-ე გვერდზე, რომელიც დაიბეჭდა „კავკასიური რაზმაში ლისტოკში“, ამხანაგი სტალინი წერდა:

„რევოლუციის ბედი არასოდეს არ ყოფილა ლიბერალიზმის ხელში. რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობა და შედეგი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიქცევიან რევოლუციური პროლეტარიატი და რევოლუციური გლეხობა.“

ქალაქის რევოლუციური პროლეტარიატი, რომელსაც სოციალდემოკრატია ხელმძღვანელობს, და მის შემდეგ რევოლუციური გლეხობა, ლიბერალთა ყოველგვარი ზრციების მიუხედავად, განუხრელად განაგრძობენ თავიანთ ბრძოლას, ვიდრე არ მიაღწევენ თვითმპყრობელობის სრულ დამხობას და მის ნანგრევებზე თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკას არ შექმნიან“.

საკითხი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ ყოველმხრივ გაშუქებას პოულობს აგრეთვე სტალინის სხვა ნაშრომებებში, როგორცაა „ორი შეგახება“, „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“, „დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გამეერთიანებელი ყრილობა“, „კლასთა ბრძოლა“, „კაუტცის ბროშურის — „რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები“ — ქართული გამოცემის წინასიტყვაობა“.

სტალინი არ ემყოფილდებოდა მარტო იმ დებულების დამტკიცებითა და განვითარებით, რომ პროლეტარიატი რევოლუციის ჰეგემონი უნდა იყოს; იგი ამასთან ერთად მიუთითებდა ბრძოლის იმ გზასა და იმ ეტაპებზე,

რომლებიც უნდა გაეელო რევოლუციურ პროლეტარიატს, ვიდრე გამარჯვებას მიაღწევდა.

ამხანაგი სტალინი თავის მრავალრიცხოვან შრომებსა და სტატიებში განუხრებლად იცავდა ლენინურ მოძღვრებას გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის შესახებ. ამხანაგი სტალინი ამ კავშირს თვლიდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების აუცილებელ პირობად.

კითხვაზე „მაშ ვინ შეიძლება პროლეტარიატის საიმედო მოკავშირე იყოს ჩვენი რევოლუციის ბოლომდე მიყვანის საქმეში?“, ამხანაგი სტალინი უპასუხებდა:

„ერთადერთი რამდენადმე საიმედო და ძლიერი მოკავშირე პროლეტარიატისა რევოლუციური გლეხობა არის. არა მოღალატე ლიბერალური ბურჟუაზია, არამედ რევოლუციური გლეხობა იბრძოლებს პროლეტარიატთან ერთად ბატონყმური წყობილების ყველა საფუძვლების წინააღმდეგ.“

ამის შესაბამისად ჩვენს დამოკიდებულებას ბურჟუაზიული პარტიებისადმი უნდა განსაზღვრავდეს დებულება: რევოლუციურ გლეხობასთან ერთად ცარიზმისა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის მეტაურობით. აქედან გამომდინარეობს კადეტური ბურჟუაზიის ჰეგემონიასთან (წინამძღოლობა) ბრძოლის აუცილებლობა და, მაშასადამე, კადეტებთან შეთანხმების შეუწყნარებლობა.

ასეთია ბოლშევიკებთან „ზარი“.

ეროვნულში

შემდეგი ტაქტიკური ზანჯანისკარამა მელსაც ამხანაგი სტალინი იცავდა და ავითარებდა, შეიარაღებული აჯანყების საკითხი იყო.

წინააღმდეგ მენშევიკებისა, რომლებიც მუშათა კლასს ურჩევდნენ ხელი არ მოეკიდათ იარაღისათვის, ამხანაგი სტალინი რევოლუციის დასაწყისიდანვე მასებს მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

საქართველოს და ამიერკავკასიაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში ლენინური ბაზის გატარების შესანიშნავი ნიმუშები. „რა გვესაჭიროება ჩვენ? — იძლეოდა კითხვას ამხანაგი სტალინი, — რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება სამი რამ: პირველი, ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება, მეორე შეიარაღება, მესამე — კიდევ და კიდევ შეიარაღება.“

ლენინურ ტაქტიკური პრინციპების ანალოგიურად, ამხანაგი სტალინი საჭიროდ თვლიდა ხელსაყრელ პირობებში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას დროებითს რევოლუციურ მთავრობაში.

კითხვაზე: „შესაწყნარებელია თუ არა, რომ სოციალ-დემოკრატებმა მონაწილეობა მიიღოს რევოლუციურ მთავრობაში?“ ამხანაგი სტალინი უპასუხებს:

„ბოლშევიკები ამბობენ, რომ ასეთ დროებით მთავრობაში მონაწილეობა

1 ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 147 — 148.



არათუ შესაწყნარებელია პრინციპების მხრივ, არამედ საჭიროც იქნება პრაქტიკულად, და ეს იმიტომ, რომ იქ, დროებით რევოლუციური მთავრობაში, სოციალ-დემოკრატია მღრღნეული მოსარჩლეობა გაეწიოს პროლეტარიატისა და რევოლუციის ინტერესებს<sup>1</sup>.

ამხანაგი სტალინი იცავდა და ავიტარებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის ლენინურ თეორიას.

აჯამებს რა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებსა და რეაქციის პერიოდში პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის ლენინური საფუძვლების დაცვისა და განვითარების საქმეში ამხანაგ სტალინის როლს, ლ. პ. ბერია წერს:

„ამხანაგი სტალინი ამიერკავკასიის მენშევიკებთან ბრძოლაში იცავს, ასაბუთებს და ჰქადაგებს რევოლუციის ლენინურ თეორიას, პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის ბოლშევიკურ სტრატეგიულ ლოზუნგს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის იდეას და პროლეტარიატის ტაქტიკურ ამოცანებს“<sup>2</sup>.

ამრიგად, ამხანაგმა ბერიამ თავისი

შრომით პირველად, ამომწურავი სისრულით გააცნო პარტიის სტრატეგიისა და დიქტატურის სოციალისტური აზროვნების სტალინიზმის შესახებ ლენინთან ერთად ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის პოლიტიკურად გამობრძანების საქმეში.

ამხანაგ ბერიას წიგნის მეორე თავში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სტალინის იმ გენიალური შრომის — „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ გარჩევას, რომელიც მანამდე უცნობი ან თითქმის უცნობი იყო ჩვენი პარტიული კადრებისა და საბჭოთა ინტელიგენციის ფართო ფენებისათვის.

„ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ პირველი ოთხი სტატია დაიბეჭდა გაზეთ „ახალ ცხოვრებაში“. შემდგომ სტატიის ბეჭდვა შეწყდა, ვინაიდან ხელისუფლებამ დახურა გაზეთი. 1906 წლის დეკემბერში და 1907 წლის პირველ იანვარს სტატიები, რომლებიც „ახალ ცხოვრებაში“ იბეჭდებოდა, გადაიბეჭდა გაზეთ „ახალ დროებაში“, მაგრამ რამდენადმე შეცვლილი სახით.

ამხანაგ სტალინის სტატიების დაბეჭდვა მთლიანად ვერც „ახალ დროებაში“ მოხერხდა, ვინაიდან ეს გაზეთიც დახურულ იქნა თბილისის გუბერნატორის განკარგულებით. მისი გაგრძელება კი იბეჭდებოდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამოცემულ ქართულ ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთებში: „ჩვენს ცხოვრებასა“ და „დროში“.

ამხანაგ სტალინის ეს სტატიები მიმართული იყო ანარქისტთა ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებიც 1906 წლის დამდეგს გააფთრებულ კამპანიას ეწეო-

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, 83-87.

<sup>2</sup> იქვე, 83-117.

<sup>3</sup> იქვე, 83-108.

დენ ამიერკავკასიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

ამხანაგ სტალინის ამ სტატიების მნიშვნელობა უსაზღვროდ დიდია. მათში, როგორც ლ. პ. ბერია წერს, — „ამხანაგ სტალინი ავითარებს მარქსისტულ მოძღვრებას დიქტატორი მატერიალიზმის საფუძვლების შესახებ. იგი უდიდესი სიღრმით ამუშავებს სოციალისტური რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატორის აუცილებლობისა და გარდუვალობის საკითხს, მებრძოლი პროლეტარული პარტიის აუცილებლობის საკითხს, სჯრეთვე მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის ამოცანებს. ეს ნაშრომები წარმოადგენენ პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის საარსებო ამოცანებთან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დრმა საკითხების დაკავშირების ნიმუშს“<sup>1</sup>.

ნაშრომის „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“? ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მასში ამხანაგმა სტალინმა გენიალურად ჩამოაყალიბა პროლეტარული პარტიის თეორიული საფუძვლები.

ამრიგად, ამხანაგმა ბერიამ ნათელი შუქი მოჰფინა ამხანაგ სტალინის უდიდეს დამსახურებას, რომელიც მას მიუძღვის ლენინთან ერთად პროლეტარული პარტიის თეორიული მომზადების საქმეში.

ამხანაგ ლ. პ. ბერიამ თავის წიგნის

მეორე თავში და ნაწილობრივ მესამე თავში მნიშვნელოვანი ადგილი უძღვეს მო აგრეთვე საქართველოში კავკასიაში ბოლშევიკური პრესის ისტორიის საკითხებს.

როგორც ამხანაგ ლ. პ. ბერია წერს, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბოლშევიკურმა საგამომცემლო მუშაობამ განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. ამ პერიოდში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით „ამიერკავკასიაში გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთები: თბილისში — „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“ (ორივე ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე), „კავკასკი რაბოჩი ლისტოკ“, „ახალი დროება“, „დრო“, „ახალი ცხოვრება“, „მნათობი“, „ჩვენი ცხოვრება“, „კაიფ“ („ნაპერწყალი“ — სომხურ ენაზე), „ნორ-ხოსკ“ („ახალი სიტყვა“ — სომხურ ენაზე), ბაქოში — „ბაქინსკი რაბოჩი“, „ბაქინსკი პროლეტარი“, „გუდოკ“, „ბანუორი ძიან“ („მუშის ხმა“ — სომხურ ენაზე), „რიადოვოი“, „ქონ-დევეტ“ („მოწოდება“ — აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე) და სხვ.“<sup>1</sup>.

დასახელებული გაზეთები იცემოდა ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, მის მიერ წინასწარ მოფიქრებული და ყოველმხრივ დამუშავებული გეგმის საფუძველზე. ეს გეგმა არსებითი ნაწილია იმ საერთო გეგმისა, რომლის საფუძველზე შენდებოდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკური ორგანიზაციები საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ბოლშევიკურ გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა ამხანაგ

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 114.

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 56.

სტალინის სტატიები მუშათა რევოლუციური მოძრაობის თეორიულ საკითხებზე, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამულ და ტაქტიკურ საკითხებზე. ამ სტატიების საშუალებით ამხანაგი სტალინი სკედდა და აწრთობდა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ რაზმავდა და იერიშისათვის აშზადებდა პროლეტარიატს და რევოლუციურ გლეხობას, ნიღაბს ზდიდა და ააშკარავებდა მენშევიზმის ორგანიზაციული და ტაქტიკურ ოპორტუნისმს და მუშათა კლასის ყველა მტერს, გამანადგურებლად აკრიტიკებდა მათ.

ამხანაგ სტალინს გაზეთების გამოცემა უაღრესად ძნელ პირობებში უზდებოდა. საქართველოსა და ამიერკავკასიაში არ გამოსულა არც ერთი ლეგალური თუ არალეგალური გაზეთი, რომლის წინააღმდეგ ეანდარშერისა და ცენზურას მკაცრი ზომები არ მიეღოთ. მაგრამ მათი ღონისძიებანი ნაკლებად იძლეოდნენ მათთვის სასურველ შედეგებს. ერთი დახურული გაზეთის ნაცვლად გამოდიოდა მეორე, მეორის ადგილას მესამე და ასე გრძელდებოდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოსა და ამიერკავკასიაში ეს შესანიშნავად ორგანიზებული რევოლუციური მუშაობა როგორც რუსეთის რევოლუციის წინ, ისე რევოლუციის პერიოდში და რეაქციის წლებში.

ამრიგად, ამხანაგმა ბერიამ თავის შრომაში პირველად გააშუქა ამხანაგ სტალინის, როგორც ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლი.

გააშუქა რა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის ყველა ძირითადი საკითხი, ამხანაგი ლ. პ. ბერია თავისი შრომის მეორე თავში აკეთებს შემდეგი შემაჯამებელ დასკვნას:

„ამიერკავკასიის ბოლშევიკური

გეიკებს პირველი რევოლუციის წლებში, როგორც ამიერკავკასიაში რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმისა და პირველი ლენინური სკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ფუძემდებელი—ამხანაგი სტალინი“<sup>1</sup>.



ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნის მესამე თავი ეხება 1907—1913 წლებს—სტალინის რეაქციისა და მისი მომდევნო მუშათა ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებს, ე. ი. ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და გმირული ბრძოლების პერიოდს.

რევოლუციური მუშაობისათვის ასეთ უძნელეს პერიოდში ამხანაგ სტალინს მუშაობა უზდებოდა ჯერ ბაქოში—ამიერკავკასიის ყველაზე დიდ სამრეწველო რაიონში და რუსეთის მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს ცენტრში, ხოლო 1911—1913 წლებში პეტერბურგში.

ამხანაგ ბერიას წიგნის მესამე თავი კრისტალური სიეხადით გვიჩვენებს ამხანაგ სტალინის იმ უდიდესი თეორიულ, იდეურ-პოლიტიკურ და უშუალო პრაქტიკულ-რევოლუციურ მოღვაწეობას, რომელსაც იგი ბაქოში ეწეოდა ლენინის ლოზუნგების გარშემო ბაქოს ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციის შესამკვიდროებლად, ბოლშევიზმის დროშის ქვეშ მუშათა მასების დასარაზმავად და მენშევიკების, კონტრრევოლუციური, მონარქისტული ბურჟუაზიის ამ აშკარა

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 131.

აგენტებისა და ხელისშემწყობთა გასა-  
ნადგურებლად.

გარდა ამისა, ამხანაგი ბერია ნათელ  
შუქს ჰყენს ამხანაგ სტალინის იმ უდი-  
დეს როლს, რომელიც მან ამ წლებში  
ბაქოსა და პეტერბურგში ლენინთან  
ერთად შეასრულა უახლოეს მომავალ-  
ში რევოლუციისათვის რუსეთის პრო-  
ლეტარიატის მომზადების, მთელი ჩვე-  
ნი ბოლშევიკური პარტიის შენარჩუნე-  
ბისა და მისი რევოლუციური პრინცი-  
პების ურყეობის დაცვის საქმეში.

როგორც ცნობილია, სტალინის  
რეაქციის გავლენით მენშევიკები რო-  
გორც რუსეთში, ისე საქართველოსა  
და ამიერკავკასიაში დაადგნენ დაცე-  
მულობისა და რენეგატობის გზას. ისი-  
ნი, — როგორც ამხანაგი სტალინი  
აღნიშნავს, — ხდებიან ლიკვიდატო-  
რები, მოითხოვენ პროლეტარიატის  
არალეგალური, რევოლუციური პარ-  
ტიის ლიკვიდაციას, მოსპობას, სულ  
უფროდაუფრო აშკარად აცხადებენ  
უარს პარტიის პროგრამაზე, პარტიის  
რევოლუციურ ამოცანებსა და ლო-  
ზუნგებზე, ცდილობენ მოაწყონ თა-  
ვისი, რეფორმისტული პარტია, რომე-  
ლიც მუშებმა „სტალინის მუშათა  
პარტიად წონათლეს“.

ლენინისა და სტალინისათვის ცხადი  
იყო, რომ რეაქციის მძიმე პირობებში  
შეუძლებელი იქნებოდა ცარიზმის წი-  
ნააღმდეგ პირდაპირი ბრძოლის წინან-  
დელი ტაქტიკის ნაცვლად ბრძოლის  
ახალი, შემოვლითი ტაქტიკის შე-  
მუშავება, რევოლუციური მოძრაობის  
ახალი აღმავლობისათვის ძალების შეგ-  
როვება, მასებთან კავშირის შესაწარ-  
მუნებლად არალეგალური მუშაობის  
შეხამება ლეგალურ შესაძლებლობებ-  
თან, პარტიის შენარჩუნება და მისი  
ორგანიზაციული შემკიდროება, მისი  
პრინციპების სიწმინდის დაცვა და ცა-  
რიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ  
საბრძოლველად უახლოესი და საიმე-  
დო გზების ჩვენება პროლეტარია-

ტისათვის, თუ პირველ რიგში არ იქ-  
ნებოდა იდეურად განსწავლული  
ლიკვიდატორობა. ამიტომ, ლიკვი-  
დირების წინააღმდეგ მენშევიკებმა  
ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა  
რუსეთში, ისე ამხანაგმა სტალინმა  
ამიერკავკასიაში დაუნდობელი ბრძოლა  
გააჩაღეს მენშევიკ-ლიკვიდატორების  
წინააღმდეგ.

თუ რამდენად შეუპოვარი და შეუ-  
რიგებელი იყო მენშევიკ ლიკვიდატო-  
რების წინააღმდეგ ამიერკავკასიის  
ბოლშევიკების და კერძოდ ამხანაგ  
სტალინის ბრძოლა, ამას მთელი სის-  
რულით გვიჩვენებს ამხანაგ ბერიას  
წიგნის მთელი მესამე თავი — პირ-  
ველიდან უკანასკნელ გვერდამდე.

ამხანაგი სტალინი ბაქოში მოღვა-  
წეობის პერიოდში ლიკვიდატორების  
წინააღმდეგ წერს სტატიებს: „პარ-  
ტიული კრიზისი და ჩვენი ამოცანები“,  
„ბაქოს კომიტეტის მიერ 1910 წლის  
22 იანვარს მიღებული რეზოლუციე-  
ბი“, „წერილები კავკასიიდან“ და სხვ.  
ამხანაგ სტალინის ამ ნაწარმოებებს  
უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსე-  
თისა და ამიერკავკასიის მენშევიკ-  
ლიკვიდატორების იდეური განადგუ-  
რების საქმეში.

ამხანაგმა სტალინმა ამ ნაწარმოებებ-  
ში ქართველი მენშევიკების, რომლე-  
ბიც ყველაზე უფრო სრულიად გა-  
მოხატავენ რუსეთის მენშევიკების  
ბურჟუაზიულ ოპორტუნისტულ ბუნე-  
ბას, მაგალითზე ნათლად გვიჩვენა,  
რომ ლიკვიდატორობა არის პარტიის  
პროგრამაზე ხელის აღება, რომ ლიკ-  
ვიდატორებმა უარყვეს რსდმ II  
ყრილობაზე მიღებული პარტიის რევო-  
ლუციური პროგრამა.

ამხანაგმა სტალინმა თავის ნაწარ-  
მოებებში აგრეთვე გვიჩვენა თუ რო-  
გორ აიღეს ხელი მენშევიკებმა პარ-  
ტიის რევოლუციურ ტაქტიკაზე რეაქ-  
ციის პერიოდში.

ლიკვიდატორები საერთოდ და კერ-  
ძოდ კავკასიელი ლიკვიდატორები ცა-

რისმის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საშუალებად თვლიდნენ „ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ძალების შეგნებულ გაერთიანებას“ და „მათს წარმართვას საერთო მიზნისაკენ“. ამასთან ერთად მენშევიკ-ლიკვიდატორები რჩევას აძლევდნენ პროლეტარიატს, არ შეეშინებინა ბურჟუაზია და არ „შეესუსტებინა საერთო მოძრაობა თავისი შეურიგებლობით“. ამხანაგმა სტალინმა ნათლად გვიჩვენა, რომ „მენშევიკების „ახალი“ ტაქტიკა წარმოადგენს რევოლუციის მიერ დადასტურებული პარტიული ტაქტიკის ლიკვიდაციას“, რომ შათი ტაქტიკა „...მოითხოვს პროლეტარიატის გადაქცევას ზომიერი კადეტური ბურჟუაზიის მაჩანჩალად“.

ამრიგად, როგორც ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს, მენშევიკებმა თავიანთი ისედაც ოპორტუნისტული ტაქტიკა რეაქციის პერიოდში სავსებით დუმიორჩილეს სტოლიბინური რეჟიმის ინტერესებს.

ამხანაგი სტალინი თავის ნაწარმოებებში მკაცრად აკრიტიკებს აგრეთვე მენშევიკ-ლიკვიდატორების ორგანიზაციულ ოპორტუნიზმს. მენშევიკებმა პარტია გამოაცხადეს ლეშად, ისინი მავნედ სთვლიდნენ არალეგალური პარტიის არსებობას. მენშევიკები შეუხმატებლდნენ სტოლიბინურ რეჟიმს, ისინი აშენებდნენ „სტოლიბინურ მუშათა პარტიას“.

იძლევა რა ლიკვიდატორების წინააღმდეგ ამხანაგ სტალინის მეთაურობით ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლების ამომწურავ სურათს, ამხანაგი ბერია დაასკვნის:

„ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს მენშევიკების ლიკვიდატორების წინააღმდეგ, ყოველნაბიჯზე ხდიდნენ მათ ნიღაბს როგორც კონტრ-

რეკოლუციური, ექსპროპრიაციული ბურჟუაზიული რეაქციის აგენტებსა და ხელის შემწყობთ“.

ბაქოში მოღვაწეობის პერიოდში ამხანაგი სტალინი შემდგომ ამუშავებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ბოლშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებს. ეს საკითხი თავის შემდგომ გაღრმავებას პოულობს ამხანაგ სტალინის ცნობილ სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის ჩანაწერები)“ და მრავალ სხვა სტატიაში.

„დელეგატის ჩანაწერებში“ მოცემულია ყრილობის მუშაობისა და შედეგების ღრმა პრინციპული შეფასება და, ვარდა ამისა, აქ „ამხანაგი სტალინი ამხელს და აცამტვერებს რევოლუციის მენშევიკურ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ „სქემას“ და შემდგომ აეითარებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ლენინურ თეორიას“.

ამხანაგი სტალინი ამ სტატიაში იძლევა აგრეთვე მენშევიზმის როგორც რსდმპ წვრილ-ბურჟუაზიული, რეაქციის, როგორც ბოლშევიზმისადმი მტრულ და გაკოტრებულ მიმდინარეობათა ხროვის შეუღარებელ უბადლო კრიტიკას.

ბაქოს ბოლშევიკებმა, ამხანაგ სტალინის ზელმძღვანელობით რეაქციის წლებში უდიდესი მუშაობა გააჩაღეს ბაქოს პროლეტარიატის პოლიტიკური განათლებისათვის და წარმატებით განახორციელეს ნავთის მრეწველებთან მუშების ბრძოლის გადაყა-

1 ლ. ზ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 138.

2 იქვე, გვ. 145.



ნა კლასობრივად შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე.

ნავთის მრეწველებთან ბაქოს პროლეტარიატის გმირული ბრძოლების ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს წარმოადგენს ნავთის მრეწველებთან თათბირის ირგვლივ გაჩაღებული კამპანია, რომელიც ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა 1907 წელს.

ნავთის მრეწველებსა და მუშებს შორის თათბირის მოწვევის წინადადება წამოყენებული იყო თვით ნავთის მრეწველი ბურჯუაზიის მიერ, მიზნად ისახავდა ბაქოს პროლეტარიატში მონური ნდობის დანერგვას ნავთის მრეწველთა მიმართ და კაპიტალის წინააღმდეგ ბაქოს პროლეტარიატის შეურიგებული ბრძოლის პრინციპების შეცვლას ჩარჩობის და ლაქიური მათხოვრობის პრინციპებით.

ბაქოს ბოლშევიკებმა, ამხანაგ სტალინის მეთაურობით, მიუხედავად მენშევიკების სასტიკი წინააღმდეგობისა, რომლებიც მოითხოვდნენ ნავთის მრეწველებისათვის ხელსაყრელ პირობებში თათბირზე მუშების მიტყუებას, გააჩაღეს ფართო კამპანია ლოზუნგით: „თათბირი გარანტიებით ან არაერთი თათბირი“ და გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს.

ამხანაგ სტალინს თათბირის მოწვევის კამპანიასთან დაკავშირებით ბრძოლის წარმოება მოუხდა აგრეთვე ავანტიურისტული ელემენტების, მარქსიზმის სასიზღარი მტრების ესერებისა და დაშნაკების წინააღმდეგ, რომლებიც მოითხოვდნენ თათბირის „ბოიკოტს რადაც უნდა დამჯდარიყო“.

თუმცა მეფის ხელისუფლებამ და ნავთის მრეწველებმა ჩაშალეს თათბირის მოწვევა, მაგრამ „სათათბირო კამპანია“ მაინც წარმოადგინდა უდიდეს გამარჯვებას ბაქოს პროლეტარიატისა და მისი ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის, რომელსაც ხელ-

მძღვანელობდა ამხანაგი სტალინი. მთავარი ის იყო, რომ ბაქოს მრეწველთა მასებმა წინააღმდეგ კაპიტალიზმის შექმნის შედეგი და ესერ-დაშნაკი ლაქიების ყოველგვარი ცდისა, მხარი დაუჭირეს ბოლშევიკების ლოზუნგს, ამხანაგ სტალინის ლოზუნგს.

1908 წლის იანვარსა და თებერვალში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბაქოში ეწყობა მთელი რიგი დიდი გაფიცვები. „... რომ ლე ბ შ ი ც წითელ ზოლად არის გაღებულ იმ მუშების გადისვლა წერილ ბურჟუაზიული მოთხოვნებიდან (საჩუქრები და სხვ.) პროლეტარულ მოთხოვნილებებზე“<sup>1</sup>.

1909 წლის დამლევს ბაქოს პროლეტარიატი ერთი პირველთაგანი ილაშქრებს რუსეთის კაპიტალის სასტიკი შემოტევის წინააღმდეგ.

ამრიგად, ამხანაგმა სტალინმა ბაქოს პროლეტარიატი ჩააყენა ცარიზმისა და ბურჟუაზიის განადგურებისა და რევოლუციის გამარჯვებისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგებში.

ბაქოში თავისი მუშაობის დროს რეაქციის პერიოდში ამხანაგმა სტალინმა ბაქო ბოლშევიზმის ციხესიმაგრედ გადააქცია.

რეაქციის პერიოდში ამხანაგმა სტალინმა უაღრესად დიდი დენა განიცადა. დაპატიმრება, საპრობილე და გადასახლება ერთიძეორეს მოსდევდა. 1907 წლიდან 1913 წლამდე სტალინი დაპატიმრეს ექვსჯერ, იგი გადასახლებაში იყო ხუთჯერ, გადასახლებიდან გამოიქცა ოთხჯერ.

მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგ სტალინს რეაქცია ასე ხშირად ამორებდა ლენინს, პარტიას, რევოლუციის ცენტრს, მაინც ამხანაგი სტალინი

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 154.

ახერხებს მკიდრო კავშირის დამყარებას ლენინთან, პარტიასთან და იმყოფება პარტიული ცხოვრების ყველა დეტალის კურსში.

ამხანაგი სტალინი გადასახლებაში ყოფნის დროს პარტიას აძლევს უაღრესად საყურადღებო რჩევებს, რომლებიც, ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, უდიდეს ყურადღებას იმსახურებდა ყველა იმათში, ვინც უფრო ხილდებოდა ჩვენს პარტიას.

ამხანაგმა ბერიამ შრომაში გადაგვიშალა იმ ბრძოლის ბრწყინვალე ფურცლები, რომელსაც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ეწეოდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკები პრალის პარტიული კონფერენციის მოწვევის მომზადებაში.

ამხანაგმა ბერიამ მთელი მეცნიერული სიღრმით გააშუქა საკითხი ჩვენი პარტიის ისტორიაში პრალის კონფერენციის როლისა და მისი ისტორიული ადგილის შესახებ. როგორც თვით წიგნის მესამე თავში, ისე დამატებაში „პრალის კონფერენციის საკითხისათვის“, ამხანაგი ბერია ხაზს უსვამს, რომ ბოლშევიზმის ისტორიაში ბოლშევიკების პრალის კონფერენცია წარმოადგენდა მობრუნების პუნქტს, **მ ი ნ ა ი დ ა ნ მ ა ნ გ ა ა ფ ო რ მ ა მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ თ ა ნ გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ა , პ ა რ ტ ი ი დ ა ნ გ ა ნ დ ე ვ ნ ა ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ - მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი დ ა დ ა ს ა წ ყ ი ს ი მ ი ს ც ა ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ა ს**¹.

ამხანაგი ბერია თავის წიგნის მესამე თავში აშუქებს აგრეთვე ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობას პეტერბურგში. ამხანაგი სტალინი სათავეში უდგება პრალის კონფერენციის მიერ არჩეულ ცენტრალურ კო-

მიტეტის რუსეთის ბიუროს და ხელმძღვანელობს რუსეთში მუშაობას პარტიის პრალის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

1912 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში ყოფნის დროს ამხანაგი სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობს ჩვენი პარტიის ლეგალური ორგანოს „ზევზადის“ მთელ მუშაობას და ათავსებს მასში მთელ რიგ თეორიულ სტატიებს. მისი უშუალო ინიციატივით დაარსებულ იქნა მუშათა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“—ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი მებრძოლი ორგანო. გაზეთებში „ზევზადისა“ და „პრავდაში“ დაიბეჭდა ამხანაგ სტალინის მთელი რიგი სტატიები, რომლებიც ეხება უმოაგრესად ახალ რევოლუციურ აღმავლობას, მუშათა მოძრაობას, ბოლშევიკური პარტიის ამოცანებს IV სახელმწიფო სათათბიროს არჩეივებთან დაკავშირებით.

ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ ჩატარდა IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკების პარტიის საარჩევნო კამპანია. მისივე ხელმძღვანელი მონაწილეობით შეიქმნა და თავის ლეგალურ და არალეგალურ მუშაობას ეწეოდა IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქცია. სტალინმა დასწერა ცნობილი „პეტერბურგის მუშათა განაწესი თავის მუშა დებუტატს“, რომელშიც ჩამოაყალიბა ბოლშევიკური პარტიის საარჩევნო პლატფორმა. სტალინურმა განაწესმა, როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია წერს, **„... უზრუნველყო არჩეივებში მუშათა კლასის მკიდროდ დარაზმვა ლენინური დროშის ირგვლივ“**¹.

ამრიგად, როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია თავისი წიგნის მესამე თავის

¹ ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 173.

¹ ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 175.

დასკვნაში წერს, „რ ე ა ქ ც ი ი ს წ ლ ე ბ შ ი ა მ ი ე რ კ ა ვ ე კ ა ს ი ი ს ბ ო ლ შ ე ვ ე ი კ ე ბ შ ა, ა მ ხ ა ნ ა გ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ე ა ნ ე ლ ო ბ ი თ, ი ს ე რ ო გ ო რ ც მ თ ე ლ მ ა ბ ო ლ შ ე ვ ე ი კ უ რ მ ა პ ა რ ტ ი ა მ ლ ე ნ ი ნ ი ს მ ე თ ა უ რ ო ბ ი თ, უ კ ა ნ დ ა ი ხ ი ე ს უ დ ი დ ე ს ი წ ე ს რ ი გ ი თ, უ მ ც ი რ ე ს ი ზ ი ა ნ ი თ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა თ ვ ი ს და გ ა ა ნ ა დ ე ს უ დ ი დ ე ს ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ უ შ ა ო ბ ა ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი პ ა რ ტ ი უ ლ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს მ შ ე ნ ე ზ ლ ო ბ ი ს ა და გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, გ მ ი რ უ ლ ი ბ რ ძ ო ლ ა თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ა ზ ე ძ ლ ე ვ ა მ ო ს ი ლ ი ი ე რ ი შ ი ს მ ო მ ზ ა დ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს“<sup>1</sup>.



ამხანაგი ლ. პ. ბერია თავისი წიგნის უკანასკნელ მეოთხე თავში გადმოგვცემს 1913—1924 წლების პერიოდში ნაციონალ-უკლონიზმთან საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლის ისტორიას.

ამხანაგი ბერია თავისი წიგნის ამ თავში პირველად გადმოგვცემს და მარქსისტულად აშუქებს ამხანაგ სტალინის მიერ ნაციონალური საკითხის დამუშავების ნამდვილ ისტორიას. ამხანაგმა სტალინმა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლა ჩაატარა ნაციონალურ საკითხში, როგორც მენშევიკებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების — ფედერალისტებისა და დამნაკების ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 168 — 169.

ისე ყველა ნაციონალისტური გადახრის წინააღმდეგ თვით **ჭარხალიძე** რიგებშიც. **ბიზლინიძე**

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ ადრევე, თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე იძლეოდა ნაციონალური საკითხის როგორც პრაქტიკულ-პოლიტიკური, ისე თეორიული თვალსაზრისით განხილვის ბრწყინვალე ნიმუშს. სტალინი 25 წლისა იყო, როცა სპეციალურად ნაციონალურ საკითხზე დაწერა თავისი შინაარსით კლასიკური ნაწარმოები „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატის ნაციონალური საკითხი?“. ამ შრომაში ახალგაზრდა სტალინი ააშკარავებს ნაციონალურ საკითხში მარქსისტული თეორიის ღრმა საფუძვლიან ცოდნას და გამოდის სხვადასხვა ტიპის წვრილბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ მიმდინარეობათა აშკარა შოვინისტურ-ოპორტუნისტული პრინციპების წინააღმდეგ გამანადგურებელი კრიტიკით.

ამხანაგ სტალინის ეს შრომა პირველად დაიბეჭდა 1904 წლის სექტემბერში რსდმკ კავკასიის კავშირის კომიტეტის მეზობლი ორგანოს — „პროლეტარიატის ბრძოლის“ მე-7 ნომერში. ეს ის პერიოდი, როცა ლენინიზმის იდეოლოგია და პოლიტიკა გამოუმუშავების პროცესში იყო. ამიტომ ამხანაგმა სტალინმა თავისი შრომა სპეციალურად მიუძღვნა ლენინიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს ყველაზე რთული საკითხის — ნაციონალური საკითხის დამუშავებას.

ამხანაგმა სტალინმა თავისი პოლემიკური შრომით სიცხადე და გარკვეულობა შეიტანა ამ მეტად რთული და ბურჟუაზიულ თეორეტიკოსთა მიერ ხელოვნურად დახლართული საკითხის გაგებაში.

ამხანაგ სტალინის ნაშრომის — „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატის ნაციონალური საკითხი?“ მნიშვნელობა



არ ამოიწურება მარტო ფედერალიზმის, ან ქართველი ნაციონალ-დემოკრატების, ან კიდევ მათი ტიპის შოვინისტურ მიმდინარეობათა იდეური განადგურებით. მისი ისტორიული მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი წარმოადგენდა რუსეთისა და ამიერკავკასიის რევოლუციური პროლეტარიატის ინტერნაციონალური დარაზმულობისათვის ბრძოლის გაშლილ პროგრამას.

ამხანაგ სტალინის ამ შრომაში გატარებულმა იდეებმა შემდგომი დამუშავება ჰპოვეს მის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელიც პირველად დაიბეჭდა ბოლშევიკურ ლეგალურ ეჟრნალ „პროსეკუჩნიეს“ 1913 წლის მე-3—5 ნომრებში და რომელიც საფუძვლად დაედო პარტიის პროგრამას ნაციონალურ საკითხში. „ამხანაგმა სტალინმა,—წერს ლ. პ. ბერია,—თავის, ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ დაასაბუთა ნაციონალური საკითხის ბოლშევიკური თეორია, გაუმანადგურებლად. გააკრიტიკა და სასტიკად დაამარცხა მენშევიკების ნაციონალურ - კულტურული ავტონომიის პროგრამა“<sup>1</sup>.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის შრომებს ნაციონალურ საკითხში, ამას მოწმობს ვ. ი. ლენინის ის მაღალი შეფასება, რომელიც მოყვანილია ლ. პ. ბერიას ნაშრომში.

ვ. ი. ლენინი გორკის სწერდა: „ნაციონალიზმის თაობაზე უმჯობესი შეთანხმებით, რომ ამას უფრო სერიოზულად უნდა მოკიდოთ ხელი. ჩვენთან ერთი შესანიშნავი ქართველი ჩაუჯდა და „პროსეკუჩნიესათვის“ წერს ვრცელ სტატიას, შეაგროვა რა ყველა ავსტრიული და სხვა მასალა“<sup>2</sup>.

ხოლო ცოტა უფრო გვიან ვ. ი. ლენინი წერდა: „თეორიულ მარქსისტულ ლიტერატურაში საქმის ეს ვითარება და ს.-დ. ნაციონალური პროგრამის საფუძვლები უკვე გამუქებული იყო უკანასკნელ დროს (პირველი ადგილი აქ უკავია სტალინის სტატიას)“<sup>3</sup>.

ამხანაგი ბერია თავისი ნაშრომის მეოთხე თავში დაწვრილებით გადმოგვეცემს ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას და იმ როლს, რომელიც ამ შრომამ შეასრულა ჩვენს პარტიაში ნაციონალური საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტაში.

შემდეგ ამხანაგი ბერია ამუქებს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების იმ მწვავე ბრძოლის ისტორიას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნაციონალ-უკლონიზმთან ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

ქართველი ნაციონალ-უკლონისტები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიემხრო ყოფილ ტროცკისტულ ანტიპარტიულ ოპოზიციას, 1921 წლიდან 1924 წლამდე გაათრებულ ბრძო-

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 192.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XVI, გვ. 328.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XVII, გვ. 116.



ლას აწარმოებდნენ ჩვენი პარტიის ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიის ხალხთა შორის მტკიცე ნაციონალური მშვიდობის შექმნისა და მკვიდრო ძმური თანამშრომლობის დამყარების საკითხს. მაგრამ ნაციონალ-უკლონისტების პოლიტიკა ხელს უწყობდა არა ხალხთა მშვიდობიან თანამშრომლობას, არამედ აღვივებდა მათ შორის ნაციონალურ შუღლსა და მტრობას.

ნაციონალ-უკლონისტის, ამ შემტევი შოვინისტის საფრთხის შესახებ ამხანაგი ბერია წერს: „ნაციონალ-უკლონისტის საფრთხე იმაში მდგომარეობდა, რომ ნაციონალ-უკლონისტი, თუ იგი გაიმარჯვებდა, განამტკიცებდა ბატონყმობის ნაშთებს სოფლად, გაამაგრებდა კულაკობის პოზიციებს, გადააქცევდა საქართველოს და ამიერკავკასიას ეროვნებათა შორის შეხლა-შემოსლისა და სისხლისმღვრელი შეტაკებათა ასპარეზად, ძირს გამოუთხრიდა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან ინტერნაციონალურ ფრონტს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხელ-ფეხს გაუხსნოდა მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალიისტების რეაქციულ ძა-

ლებს და ამით გზას გაუკაფავდა იმპერიალიზმის რესტავრაციას“<sup>1</sup>.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, შეიარაღებულებმა ლენინისა და სტალინის ნაციონალური პროგრამით, დაამარცხეს და განადგურეს ნაციონალ-უკლონისტები და კიდევ უფრო ზალდა ასწიეს ამიერკავკასიის ეროვნებათა ინტერნაციონალური დარაზმულობისათვის ბრძოლის დროშა, შექმნეს და განამტკიცეს ამიერკავკასიის ფედერაცია — „ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუში“ (ლენინი).

ამიერკავკასიის ფედერაციას წლების განმავლობაში უშუალოდ ხელმძღვანელობდა დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ლ. პ. ბერია. ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გადამწყვეტი წარმატებები მოიპოვეს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, რითაც მოამზადეს პირობები ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციისათვის და ამიერკავკასიის რესპუბლიკების შესასვლელად უშუალოდ საბჭოთა კავშირში — ხალხთა დიად სტალინურ ოჯახში.

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 219.

ამხანაგ ლ. პერიას წიგნმა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელიც წარმოადგენს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ღრმა მეცნიერულ ისტორიას, ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიას, შეასრულა და კვლავაც შეასრუ-

ლებს უდიდეს როლს ჩვენი კადრების იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მომზადებაში. ეს ნაშრომი ჩვენი ეპოქის მეცნიერულ-თეორიული აზრის გენიალური ქმნილებების — საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის სტალინური სახელმძღვანელოს შემდეგ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია ბოლშევიზმის ისტორიაში.

## კონკრეტული ფაქტი



უკანასკნელი წლების განმავლობაში ამერიკის ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო მძლავრად გაისმის ახალგაზრდა კომუნისტი მწერლისა და პუბლიცისტის პოუარდ ფასტის გაბედული ხმა. 1936 წლიდან მოყოლებული დღემდე ფასტმა გამოაქვეყნა რვა რომანი და მრავალი მოთხრობა; ამავე დროს იგი თანამშრომლობს ამერიკის მოწინავე პრესაში და მის კალამს ეკუთვნის მრავალი სტატია მეზობელ დემოკრატიული სულით გაკლენთილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში დღეს მსხვილი მონოპოლიების რეაქციული ძალები ლამობენ ჩაახშონ ყველაფერი, რაც მშვიდობისა და დემოკრატიის სადარაჯოზე, სამართლიანობისა და ადამიანის თავისუფლების სადარაჯოზე სდგას. მოსყიდულ პრესას, რადიოს, წიგნთა გამომცემლობებს, ამერიკის ცნობილ რეკლამის სისტემას არა ერთი ნიჭიერი პროგრესიული მწერალი ვაუსტრესია, მაგრამ ზოგჯერ სიმართლის ვაჟკაცურ ხმას მაინც გაურღვევია დოლარის კედლები და ხალხის ფართო მასებში უპოვნია გამოძახილი. პოუარდ ფასტის მხატვრულმა ნიჭმა, მისმა მართალმა ხმამ უკვე დაიმსახურა ამერიკის დემოკრატიული ფენების სიყვარული; ფასტის პოპულარობა მისი ქვეყნის საზღვრებსაც გასცდა და საბჭოთა საზოგადოებრიობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი

რომანით<sup>1</sup> იცნობს ფასტის მხატვრულ შემოქმედებას, თანაგრძნობით აღფრენებს თვალყურს ახალგაზრდა მწერლის ბრძოლას ამერიკის იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალურ პროგრესისათვის.

კრიტიკული რეალიზმის მიმართულებამ ლიტერატურაში ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ გაფანტულიყო ილუზიები ამერიკის, როგორც „განუსაზღვრელ შესაძლებლობათა“ და მოწინავე დემოკრატიის ქვეყნის შესახებ. ლონდონის, დრაიზერისა და სინკლერის წიგნებმა მრავალხრივ დაანახვეს მკითხველს ამერიკის ჰემსფორტი სახე, მაგრამ მათ შემოქმედებაში ვერ გამოჩნდა ვერც ნამდვილი გზები ამერიკის მომავლისა და ვერც ახალი, პოზიტიური ადამიანი, რომელიც ბრძოლით გაიკვლევდა გზას ბურჟუაზიულ საზოგადოების გარდაქმნისათვის. მომდევნო წლების ლიტერატურული დეკადანსი „დაკარგულთაობის“ განწყობილებებით, მისტიციზმით ანდა „პატარა ადამიანის“ ტრაგედიით უემქველად რეაქციის იდეოლოგიურ ფრონტს მიეკუთვნება, მაგრამ 30-იან წლებიდან ყალიბდება ახალი ლიტერატურული ნაკადი—რევოლუციური მწერლების ჯგუფი (მაიკლ გოლდი, ალბერტ მალცი, რო-

1 Ховард Фаст.: „Последняя Граница“.. Москва, 1948.

ლინსი, ერსკინ კოლდუელი, უორსი, მაირა პეიჯი, ირვინგ სტოუნი, შნაიდერი, ჯეკსონი და სხვ.), რომლებიც უმთავრესად ეურნალ „ნიუმენის“ ირავლივ შემოიკრიბნენ. ეს მწერლები არ კმაყოფილდებიან სოციალური თემატიკით; ვარდა ზოგიერთებისა, რომლებმაც კრიზისის შემდეგ ხელი აღეს რევოლუციურ პრინციპებზე, (ჯოზეფსონი, ანდერსონი, ჰიკს და სხვ.), ეს ჯგუფი მარქსისტულ პოზიციებიდან ავრძელებს ბრძოლას ამერიკის ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალურ უკლემართობისა და ამერიკის მმართველი წრეების პოლიტიკური რეაქციის წინააღმდეგ. მათ ნაწერებში მკითხველი ხედავს მშრომელი ხალხის ბრძოლის გზას, ხედავს ახალ ადამიანს, რომელსაც ეკუთვნის ამერიკის მომავალი.

პოუარდ ფასტი ღირსეულად ავრძელებს ამერიკის ამ ახალგაზრდა რევოლუციური მწერლობის ტრადიციებს. მისი შემოქმედების მთავარ თემას წარმოადგენს ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის. ფასტისთვის ძვირფასია მშრომელი, ბორკილებში მოწყვედული ამერიკა. თავისუფლება ადამიანის არსების განუყრელი ნაწილია და ამიტომ ადამიანი, რომელსაც იგი წაართვეს, არ შიიდრეტს ქედს, იბრძოლებს მისთვის და გამაზრდევებს კიდევ.

ფასტის შემოქმედებაში ჯერჯერობით ცენტრალური ადგილი უჭირავს ისტორიულ თემატიკას: რვა რომანიდან ხუთი მიძღვნილია ამერიკის ისტორიის ამა თუ იმ პერიოდისადმი, და ფასტის ყურადღების საგანი ყოველთვის ამერიკის ხალხის ბრძოლაა თავისუფლებისათვის; ამიტომ ისტორიის ეს ფურცლები უარესი აქტუალობით ეხმარებიან თანამედროვე ამერიკის საზოგადოებრივ საკითხებს. საკმარისია თვალი გადავაავლოთ ისტორიულ ენარს, ამერიკის ბურჟუაზიულ ლიტე-

რატურაში, რომ გასაგები გახდეს, რე რაოდენ მნიშვნელობას ეკუთვნის ისტორიული რამბანტის ტრადიციულ ბურჟუაზიული ისტორიული რომანი მრავალნაირად აყალბებდა და აყალბებს ამერიკის ისტორიის გაბატონებულ კლასების სამსახურში. ასეთი რომანების ერთი ჯგუფი უფრო „დიდი“ ისტორიული პიროვნებათა ბიოგრაფიებს წარმოადგენს, სადაც მიჩქმალული ან დამახინჯებულია ფართო ისტორიული ფონი, კლასობრივი წინააღმდეგობანი და პირველ პლანზე წამოწეულია კურიოზული, სენსაციური შემთხვევები ისტორიულ პირთა ცხოვრებიდან. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ რომანებს არ აინტერესებს ხალხი, მისი წარსული, მისი ბრძოლა. „დიდი“ ადამიანების ცხოვრებაც ვულგარული გაუბრალოებითაა მოცემული, რადგანაც ავტორები შეგნებულად ამცირებენ იმ ისტორიულ მოვლენათა მნიშვნელობას, რომელთანაც დაკავშირებულია ამ ადამიანების სახელები. ასეთი ლიტერატურის მიზანი ისაა, რომ ამგვარად დაზატულ ისტორიის ფონზე თანამედროვე ამერიკა მომხიბლავად გამოიყურებოდეს, როგორც „ცივილიზებული დემოკრატიის“ ქვეყანა. ისტორიული რომანების მეორე ჯგუფი ამერიკის წარსულის გაიდვალებით ლამობს დაარწმუნოს მკითხველი იმაში, რომ ამერიკა მე-18 საუკ. რევოლუციიდან მოყოლებული თითქოს მოწინავე სოციალური პროგრესის ქვეყანაა და ამით „ისტორიულად“ გაამართლოს ამერიკის იმპერიალიზმის გეგმები მსოფლიო ჰეგემონიაზე.

კიდევ უფრო აშკარა რეაქციულ მიზანს ემსახურება ისტორიული რომანების მესამე ჯგუფი: ამერიკის ისტორიის ბნელი სამარცხვინო ფურცლების იდეალიზაცია. დიდი ისტორიული მოვლენების დამახინჯებული გაშუქება რეაქციულ პოზიციებიდან. მა-

გალითისათვის შეიძლება, დავასახელოთ: ლანკასტერის „Gun of Burgoyne“ (1939 წ. ეს რომანი დაწერილია ჰესენის ოფიცრის თვალთახედვით. ეს ოფიცერი ბრიტანეთის არმიის რიგებში იბრძოდა); რ. გრევისმა დასწერა რომანი ინგლისელ სერჯანტის თავგადასავალზე „A Sergeant Laub's America“ (1941) მეორე თავის რომანს „Let the King beware“ უძღვნის მასაჩუსეტსელ ტორის, რომელიც ვაშინგტონის წინააღმდეგ იბრძოდა; ცნობილი ავანტურისტი, მოღალატე გენერალი არნოლდი ხდება დადებითი გმირი ჰესნერის რომანისა „Treason“ (1942). უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა მრავალი წიგნი, რომლებიც აღივსებენ სამხრეთის შტატების მონათმფლობელურ წყობას, აბსოლუტურად აცალბებენ ამერიკის საშოქალაქო ომის ნამდვილ მიზეზებს და გაბორბლებით ესხმიან თავს ე. წ. რეკონსტრუქციის პერიოდს სამხრეთში. ასეთ წიგნებს ეკუთვნის, მაგალითად: ბრისტოლს „The handsome road“, 1938, ჩინის „Lightwood“, 1939, გრი-სუოლდის „A sea island lady“, 1939, და ვანსაყუთრებით მიტჩელის „Gone with the wind“, 1936. არა ერთი „ისტორიული“ რომანი მიუძღვნიათ ამერიკის იმპერიალიზმის აპოლოგეტებს ამერიკის კოლონიზაციის საკითხებისადმი. ისეთი წიგნები, როგორცაა აღენის „The Disinherited“, 1943, კუ-ლიჯის „Comanch chaser“, 1938, და მრავალი სხვა აღიღებენ ამერიკელთა რაზმებს, რომლებიც მუსრს ავლებდნენ ინდიელთა მშვიდობიან ტომებს, რომ მათ მიწა-წყალს დაკაპტრონებოდნენ.

ამერიკის ბურჟუაზიული რევოლუცია და ომი დამოუცილებლობისათვის ერთერთი უნიშვნელოვანესი პერიოდია ამერიკის ისტორიისა. ამ ომის შესახებ ლენინი სწერდა: „ახალი ცივი-

ლიზებული ამერიკის ისტორია იწყება ერთი იმ დღი, ნამდვილად რევოლუციონურ ფაქტზე, ნამდვილად რევოლუციონურ ომით, როგორც ასე ცოტა იყო უპირველესად ომთა შორის, რომლებსაც, ახლანდელ იმპერიალისტურ ომის მაგვარად იწყებდა მეფეების, მემამულეების, კაპიტალისტების ჩხუბი დატაცებული მიწების ანდა ნაძარცვ მოგებათა გასაყოფად. ეს იყო ამერიკის ხალხის ომი ყაჩაღი ინგლისელების წინააღმდეგ, რომლებიც ჩაგრავდნენ ამერიკას და კოლონიურ მონობაში ჰყავდათ იგი, მსგავსად იმისა, როგორც ეს „ცივილიზებული“ სისტემოფელები ჯერ კიდევ ჩაგრავენ ასეულ მილიონ ადამიანებს ინდოეთში, ეკვიპტეში და მსოფლიოს ყველა კუთხეში და კოლონიურ მონობაში ჰყავთ ისინი“.<sup>1</sup>

ისტორიის ამ პერიოდს ფასტმა მიუძღვნა სამი რომანი: „თავისუფლებაში ჩასახლენი“ („Conceived in Liberty“, 1939), „უძლეველი“ („The Unvanquished“, 1942) და „მოქალაქე ტომ პეინი“ („Citizen Tom Paine“, 1943). პირველი რომანის გმირია ხალხი, რომლის ზურგზე გადაიარა ომმა მთელი თავისი საშინელებით. ფასტი სწორად ხატავს ხალხის ფართო მასას, როგორც ისტორიის მამოძრავებელ ცოცხალ ძალას. ავტორის ყურადღების ცენტრშია ჩვეულებრივი, „პატარა ადამიანი“, რომელიც პრაგრესული, სახალხო საქმის, თავისუფლებისთვის ბრძოლაში ხდება ნამდვილი გმირი. რომანში გამოყვანილია ვაშინგტონის არმიის მებრძოლი ალენ ჰელი. უფიცი ფერმერი, ახლა კი დაღლილი, შიმშილით გაწამებული ჯარისკაცი, რომელიც ერთხელ ედილობს კიდევ შიატოვს ჯარი და სახლს დაუბრუნდეს. იგი ტიპური გამოხატეულია მისი ამხანაგების, დანარჩენ ჯარისკაცთა განწყობილებისა.

1 Ленин, Соч. том XXIII, стр. 176.

ფორჯის ველზე გატარებულმა მკაცრ-სა ზამთარობა, როცა ყოველდღე ათობით კვდებოდნენ გათოშილი თანამემამულეები, შიმშილმა, ოფიცრებისადმი სიძულვილმა ამ ხალხს დაავიწყა მიზანი მათი ბრძოლისა, მით უმეტეს, რომ მტერიც არსად სჩანს. მართალია, ჯარისკაცთა შორის არიან შეგნებული ერთეულები, როგორცია ჯეკობი და ელი, მაგრამ მათი ხმა იკარგება ამ გაბოროტებულ, იმედდაკარგულ ადამიანთა მასაში. უმოქმედობა ჰკლავს ყოველგვარ რევოლუციურ ენტუზიაზმს ადამიანში, მაგრამ მაინც ღვინის თავისუფლებისადმი ლტოლვის ნაპერწკალი, და როდესაც გაზაფხული მოდის, როცა ეს დამშეული და ჩამოგლეჯილი ჯარისკაცთა მასა იწყებს მოძრაობას იმედით, რომ მალე მტერს შეებშიან, თავისუფლების წყურვილი იღვიძებს მათში ბუნებასთან ერთად. გუშინ სასოწარკვეთილი ფერმერი დღეს რევოლუციის გმირი ჯარისკაცი ხდება, შეგნებული მებრძოლი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

ფასტმა იცის, რომ დიად საქმეებს დიდი ხელმძღვანელები სჭირდება. „უძლეველნი“-ში დახატულია ჯორჯ ვაშინგტონის პორტრეტი. ავტორის სიტყვები რომ მოვიშველიოთ „ვაშინგტონი, სათავეში ჩაუდგა რამდენიმე ათას ნახევრად მშერ, შიშველ, გაუწერტენელ, აბსოლუტურად უდისციპლინო ჯარისკაცს. მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, თუ რას იზამდა იგი ამ ჯარისკაცებით, როგორ განვითარდებოდა ომი და რისი გაკეთება იყო საქირო უპირველეს ყოვლისა. მაგრამ მას მგზნებარედ უყვარდა თავისი მიწა-წყალი, სძულდა ინგლისელები, ცოტათი სჯეროდა თავისი თავის და ძალიან სჯეროდა თავისი ხალხისა. ამიტომ მან შესძლო სწორად შეეფასებინა მდგომარეობა და ომი მოეგო“. ფასტს იტაცებს ვაშინგტონის, როგორც დიდი პატრიოტის ფი-

გურა, რომელიც ისტორიის გადამწყვეტ მომენტში ყველაფერს შეგარდა აძლევის თავის სამშობლოს, რომლისათვისაც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის საქმის გარეშე ამ ხანებში არ არსებობს არაფერი.

ამვე რევოლუციის ერთერთ უაღრესად საინტერესო ფიგურას — ტომ პეინს უძღვნის ფასტი მესამე რომანს. „მოქალაქე ტომ პეინი“ სადაც შლის გაცილებით უფრო ფართო ისტორიულ პანორამას რევოლუციის ბანაკში არსებული რთული კლასობრივი წინააღმდეგობების რეალისტური დახატვით. 1940 წლამდე, როცა გამოქვეყნდა ფონერის მონუმენტალური შრომა პეინის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე, ამერიკის საზოგადოებრიობამ თითქმის არაფერი არ იცოდა ამ მგზნებარე რევოლუციონერის შესახებ, რომლის პათეტური პამფლეტები ტირანიის წინააღმდეგ ისევე ანთებდნენ რევოლუციურ ცეცხლს ამერიკის დაბა-ქალაქებში, როგორც პარიზის მოედნებზე და რომლის სამშობლო იქ იყო, სადაც ხალხი იარაღს იღებდა ხელში თავისუფლების მოსაპოვებლად. ფასტი სწორად გადმოგვცემს ისტორიულ სიტუაციას ამერიკის ბურჟუაზიულ რევოლუციის პერიოდში, კლასობრივ წინააღმდეგობებს ერთის მხრით ფერმერებსა, მუშებსა, ხელისნებსა და მეორეს მხრით მიწათმფლობელ არისტოკრატისა და ახალგაზრდა ბურჟუაზიას შორის, რომელთა ხელში კონგრესი პოლიტიკური იარაღი იყო იმისათვის, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე რევოლუცია ჩამქრალიყო და მრავალი სოციალურ-ეკონომიური საკითხი, რომელთა გადაწყვეტას ხალხი რევოლუციისაგან მოელოდა, ძველებურად გადაუჭრელი დარჩენილიყო. და მართლაც რომანის ფინალში საფრანგეთიდან კვლავ ამერიკაში დაბრუნებული პეინი სასოწარკვეთილებით ხედავს,

რომ რევოლუცია მოკვდა და ახლა უკვე პოლიტიკურად დამოუკიდებელ ბურჟუაზიას აღარ აინტერესებს მისი ცნობილი ტრაქტატის — „სალი აზრის“ — მგზნებარე სიტყვები თავისუფლების შესახებ. „დემოკრატიულ“ ამერიკაში რევოლუციის დიდ მებრძოლს, ამერიკის შესანიშნავ დემოკრატს მოქალაქეობას ართმევენ და პეინი სიცოცხლეს სილატაკეში ამთავრებს ყველასგან დაეწეებულს. ფასტის პეინი შესანიშნავი სახეა რევოლუციურ დემოკრატიისა, რომლის მებრძოლ შეხედულებათა ჩამოყალიბება რომანში დამაჯერებელი ოსტატობითაა მოცემული. პეინი მიხედება, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლაში ტრაქტატების გარდა პრაქტიკული საქმიანობაცაა საჭირო, და მკითხველი ხედავს პეინს — რევოლუციურ არმიის მოხალისე მებრძოლს, ფილადელფიაში, იგი რევოლუციურ - დემოკრატიულ დიქტატურის ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, მას ვხედავთ ინგლისში, სადაც ტრაქტატის „ადამიანის უფლებანი“-ს ავტორს ანათემას უტახადებენ, რევოლუციურ საფრანგეთში მას კონვენტის წევრად ირჩევენ...

„უძლეველთა“ წინასიტყვაობაში ფასტი სწერს: „მე მინდოდა გამეცოცხლებინა ისტორიული პირები, რადგან ვგრძნობ, რომ ჩვენს დროში უაღრესად დიდი საჭიროებაა იმისა, რომ ამ ნახევრად დავიწყებულ ადამიანებში ხალხმა კვლავ დაინახოს ცოცხალი ადამიანები, რომლებიც ბოროტებას ებრძოდნენ.“ მკითხველი უკველად აღიარებს, რომ ავტორი ამ მიზანს აღწევს სამივე შემოდაღნიშნულ რომანში. ეს წიგნები გამოიწვევენ მოღვაწე თანაგრძნობას თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირების მიმართ და ზიზღს თანამედროვე ამერიკის იმპერიალისტ-მონათმფლობელების მიმართ, რომლებმაც დემოკრატიის ცნებები ტირანის ცინიკურ საფარველად აქციეს. მაგრამ

საბჭოთა მკითხველი უსათუოდ შეინინავს იმ ნაკლს, რომელსაც ფასტი თავივე დააღწია ამ რომანებში — იმ რევოლუციურ ბურჟუაზიული რევოლუციის მნიშვნელობის შეფასებაში ავტორი აჭარბებს; „ტომ პეინში“ იგი ამ რევოლუციას საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაზე მაღლა აყენებს, რაც, რა თქმა უნდა, შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რადგან საფრანგეთის რევოლუცია უდავოდ ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობის იყო თავისი დიდი სოციალურ-ეკონომიური შედეგებით არა მარტო საფრანგეთისათვის, არამედ მთელი ევროპისათვისაც, ვიდრე ამერიკის რევოლუცია, რომლის უმთავრესი მონაპოვარი ამერიკის განთავისუფლება იყო ინგლისის კოლონიურ ბატონობისაგან და რომლის პროცესში მონობის და მიწის უმნიშვნელოვანესი საკითხები გადაუჭრელი დარჩნენ. ამიტომაც რომ საფრანგეთში პეინი გირონდისტებთანაა, მარჯვენა ფლანგზეა, მაშინ როცა ამერიკის რევოლუციაში იგი უკიდურესი მემარცხენე იყო; ფასტი კი ამ მდგომარეობის ახსნას პეინის დალილობით და შემთხვევითი ამბებით ცდილობს. საერთოდ ფასტი ოდნავ აიღეალებს ამერიკის ბურჟუაზიის ამომავალ პერიოდს; ამის შედეგია ის, რომ „უძლეველთა“-ში ბოლომდე არაა გახსნილი ვაშინგტონის სოციალური ბუნება, როგორც ამერიკულ არისტოკრატიისა, რომელიც მაშინვე გადაუდგა რევოლუციას, როგორც კი ბურჟუაზიამ თავის მიზანს მიადწია, ე. ი. თავიდან მოიშორა ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებისათვის შემზოკავი ინგლისის ბატონობა. მართალია „ტომ პეინში“ ფასტი თითქოს ცდილობს ამ ხარეზის შეესებას, როცა ამბობს, რომ ვაშინგტონმა ვერ გაამართლაო დემოკრატიის იმედები, მაგრამ ეს არაა ვაშინგტონის სოციალური შეზღოვებულობის მიზეზთა გახსნა. ანალოგიური გაიღეალების ტენდენცია



სიანს სხვა ისტორიულ პირების მიმართაც (პამილტონი, ლაფაიეტი და სხვ.). თავათ იდეა თავისუფლებისა სამივე რომანში ოდნავ აბსტრაქტულად, ბუნდოვანად გამოიყურება. ისტორიულად აღენ პეილისათვის თავისუფლების იდეალი არ იყო მარტოოდენ ინგლისის უღლის გადაგდება; ეს იდეალი გულისხმობდა მიწის პრობლემის გადაჭრას, წერილ ფერმერთა სასარგებლოდ; რომანში „თავისუფლებაში ჩასახელნი“ კი ეს სოციალური იდეალი არ სიანს. ასევე ვაუგებარი რჩება მკითხველისათვის, კონკრეტულად როგორ თავისუფლებაზე ოცნებობს ტომ პეინი; ბუნდოვანად თუ მიხედვით მხოლოდ ისტორიულ ვითარების იმ არსს, რომლის გამო პეინის ცხოვრება ტრაგიკულად მოაგრდება ამერიკაში დაბრუნების შემდეგ.

მომდევნო ისტორიულ რომანში ფასტი შეეცადა ამ ნაკლთა გამოსწორებას და უნდა ითქვას, რომ არც თუ უშედეგოდ. „თავისუფლების გზა“ უშეველად ერთერთი ყველაზე ძლიერი ნაწარმოებია, როგორც იდეური ისე მხატვრული თვალსაზრისით. რომანი ეხება თანამედროვე ამერიკის ბურჟუაზიულ საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხს — რასულ ურთიერთობას. ამერიკის ზანგების მდგომარეობა ისტორიულ ასპექტში თუ თანამედროვე საზოგადოების პირობებში ყოფილა არა ერთი მხატვრული ნაწარმოების ანდა „სოციოლოგიური“ გამოკვლევის საგანი, მაგრამ ბიჩერ სტოდან მოყოლებული გათავებული რიჩარდ რაიტით ეს პრობლემა ამერიკის ლიტერატურაში შექმდება ან აშკარა რეაქციულ რასული თეორიის საფუძველზე, ან სენტიმენტალურ სიბრაულისა და ყალბი ჰუმანიზმის პოზიციებიდან. ბურჟუაზიული ლიტერატურა ზანგებს ხატავს პრიმიტიულ ადამიანებად, რასიულ დისკრიმინაციის მსხვერ-

ვლად და არ ხსნის ამ დისკრიმინაციის, და სეგრეგაციის სოციალურ-კლასურ-რიგ ბუნებას, არ მიუყვება „ბოროტების“ ფესვები სწორედ კაპიტალიზმის სისტემაშია და არ უჩვენებს პრობლემის გადაჭრის ერთადერთ სწორ შესაძლებლობას. რაიტის ნატურალისტური შემოქმედება, მაგალითად, პასიურ პროტესტსა და უიმედობის გამოჩხატველ განწყობილებებს ვერ სცილდება.

ოცდასამი წლის ფასტის პირველი რომანის („ბავშვები“ 1937), თემაც რასიული ურთიერთობაა. წიგნი მკითხველის თვალწინ შლის ნიუ-იორკის „სლამის“<sup>1</sup> მოწამლულ ატმოსფეროს საშინელ სურათს; კაპიტალისტური წყობილება რომელიც აგებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე რყვნის და სწამლავს ყველაზე უფრო უმანკოთა ფსიქიკას, და ამიტომ მკითხველისთვის ლოგიკურია წიგნის შემადარწუნებელი ფინალი, როცა თეთრი და ზანგი ბავშვების ჯგუფთა შეტაკება ქუჩაზე მოაგრდება იმით, რომ გამარჯვებული თეთრები ლინჩის წესით „ასამართლებენ“ დამარცხებულთა მეთაურს. აღსანიშნავია სწორედ ის ამბავი, რომ თეთრი ბავშვების ბრბოს მეთაური ირლანდელი ბიჭი ოლლი წინასწარ ითვალისწინებს ჩხუბის შესაძლებელ შედეგს და თავს იმარაგებს ზანგი ბიჭის ჩამოსახრჩობად. რომანისაგან მკითხველს რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოების პირობებში, არ შეიძლება არსებობდეს რაიმე იმედი ამ საზოგადოების გარდაქმნისა, უკეთეს მომავლისა და მით უმეტეს ბრძოლისა ასეთ მომავლის შესაქმნელად.

ამგვარ პესიმიზმს ფასტმა მალე დააღწია თავი. „ბავშვები“-ს მეორე გა-

<sup>1</sup> Slum (S) ნიშნავს ლატაკთა საცხოვრებელ რაიონს დიდ ქალაქში, ბინძური სახლებით.



მოცემის წინასიტყვაობაში იგი სწერს: „...რამოდენიმე თვის წინათ მე ეს წიგნი ავიღე და უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში პირველად წავეკითხე იგი. ისე მომეჩვენა, თითქოს სხვა ავტორის ნაწარმოებს ვკითხულობდი. წიგნში მოთხრობილი ამბებიც დავიწყებასა მივცემული. თორმეტი წლის წინათ მე საკმაოდ ახლოს ვიყავი ბავშვობასთან, რომ აღწერაღი განწყობილებანი; ფაქტები და განცდები მხსომებოდა; დღეს ფარდა დაშვებულია და უკან დასაბრუნებელი ვზა აღარ არსებობს“... და მართლაც რასიულ პრობლემას ფასტი საცხებით ახლებურად მიუღდა „თავისუფლების ვზაში“. 1861 — 65 წლების სამოქალაქო ომმა ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა ჩრდილოეთისა და დასავლეთ შტატების ბურჟუაზიას, ომის დამთავრებისას ჩაბნელებული აყროლებული ქუჩებით და ყოველგვარი ნახევრად ლეგალური საექვეო ზისზათის დაწესებულებებით. ჩრდილოეთის ბურჟუაზიამ გამოიმუშავა „რეკონსტრუქციის“ გეგმა, რათა სამხრეთის განადგურებულ მონათმფლობელურ სისტემის ადგილას აღორძინებულიყო კაპიტალისტური სოფლის მეურნეობა და გაუქმებულ მონობის ნაცვლად დემოკრატიულ უფლებებს უზრუნველყოთ 4 მილიონი ზანგის და თითქმის ამდენივე ლატაკი თეთრის მონაწილეობა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებაში. ეს „რეკონსტრუქცია“ უნდა გატარებულიყო დამარცხებულ სამხრეთში ჩრდილოეთის სამხედრო დიქტატურის მეშვეობით, რომელიც არ დაუშვებდა პლანტატორების კონტრარევოლუციურ წინააღმდეგობას.

რომანის გმირია გიდიონ ჯექსონი, რომელსაც 30 წელი გაუტარებია მონობაში კარელის პლანტაციასზე. სამოქალაქო ომში იგი ჩრდილოეთის არმიის რიგებში იბრძოდა. და ამიტომ მისი ომის ხალხი მას ირჩევს თავის

დელეგატად სამხრეთ კონფედერაციის კონვენტში. დიდი სიძლიერით და მაჯერებლობით ხატავს გიდიონს სონის სახეს, იმ დიდ ჯანსაღ ენერჯიას, რომელიც გიდიონში ზანგი ხალხის ბოტენტის განსახიერებაა და რომელიც შველის გიდიონს, რომ თეთრად ვათუნებულ დამეგზში დაამარცხოს საკუთარი უმეცრება, ნათლად წარმოადგინოს საუკუნეების განმავლობაში ჩაგრული ხალხის სოციალური ტყვეილები. გუშინდელი შავკანიანი, მონა, შშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში ნამდვილი პოლიტიკური ლიდერი ხდება. ფასტმა გიდიონის სახით ფარდა ახადა იმ ყალბ რეაქციულ შეხედულებებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ზანგი პრიმიტიული განცდების ადამიანია, რომ ზანგებს არ ძალუძთ ბრძოლა უკეთეს მომავლისთვის, რომ ამ ხალხში არაა დიდი შემოქმედებითი ენერჯია და ისინი „თეთრების“ მხრით მხოლოდ სიბრალულს თუ დაიმსახურებენ. კიდევ უფრო შესანიშნავია ის, რომ ფასტის რომანში გიდიონს მხარს უჭერენ ლატაკი თეთრ გიდიონის მეთაურობით შექმნილ თემში ზანგი და თეთრი მიწის მუშები ერთად მუშაობენ. ერთად იბრძვიან. ერთად ამენებენ ახალ ცხოვრებას ყოველგვარი სეგრეგაციის გარეშე. ეს შესაძლებელი გახდა მაშინ, როცა გიდიონის ხელმძღვანელობით მათ შეიგნეს, რომ კანის ფერის სხვაობა აბსოლუტურად არაფერს არ ნიშნავს მათი სოციალური ინტერესების ერთიანობასთან შედარებით.

რომანი აკვიწებს სამხრეთის პლანტატორების კონტრევოლუციურ შეთქმულებას და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, რესპუბლიკური პარტიის, როგორც ჩრდილოეთის მსხვილი ბურჟუაზიის პოლიტიკური იარაღის, რეაქციულ არსს. ეს პარტია გამოჩახავს საერთო ენას კონტრარევოლუციურ პლანტატორებთან. მათი სიადრემ-

ლო შეთანხმების შედეგად 1877 წ. პრეზიდენტად ირჩევეს რესპუბლიკელ ჰეიეს, რომელიც იმავე წელსავე აქემებს სამხრეთ შტატების სამხედრო ოკუპაციას და ამით ხელ-ფეხს უხსნის პლანტატორების რეაქციას და მათი აგენტურის კუ-კლუქს-კლანის ტერორს. მშრომელი ხალხის ერთგული შვილი გიდიონი თავგანწირულ ბრძოლას არ სწყვეტს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, როდესაც იგი თავის ორ ვაჟთან და თემის სხვა წევრებთან ერთად იღუპება კუ-კლუქს-კლანის ბანდასთან უთანასწორო შტაკებაში. რომანი მთავრდება გიდიონის თემის განადგურებით, მაგრამ მკითხველი გრძობს, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლა, რომელსაც გიდიონ ჯექსონის მსგავსად მილიონები შეწირვია, კიდევ უფრო დიდი ძალით უნდა გაგრძელდეს თანამედროვე ამერიკაში. ფასტი ააშკარავენს რეკონსტრუქციის პერიოდის შესახებ არსებულ ლიტერატურის მთელ სიყალბეს, რომლის მიხედვით ზანგებმა თითქოს თავიანთი რასიული არასრულფასოვანების გამო ვერ გამოიყენეს, ვერ შეინარჩუნეს კონგრესის მიერ „ბოძებული“ თავისუფლება. ფასტის ზანგები მკითხველში იწვევენ არა სიბრაულს, არამედ აღფრთოვანებას. ყველაფერი ეს შეადგენს სწორედ რომანის დიდ ღირსებას, ზემოდ თქმული, ცხადია, არ ნიშნავს, რომ „თავისუფლების გზა“ უნაკლო ნაწარმოებია. მართალია გიდიონ ჯექსონს თავისუფლება საკმაოდ კონკრეტულად ესმის, და მისი პროგრამა იმ დროისათვის უპიკველად მოწინავე რევოლუციურ პროგრამას წარმოადგენდა, მაგრამ იგი მაინც იჩენს კლასობრივ გულუბრყვილობას; იგი ფიქრობს, რომ რესპუბლიკურ პარტიას რომ არ ელატა ხალხისათვის, მოპოებული დემოკრატიული უფლებების და მისი თემის შენარჩუნება შესაძლებელი იქნე-

ბოდა. რა თქმა უნდა, ავტორის კონკლუზიის ვერ მიეწერათ მისი გმირის, მზულუღუღობას (კომუნისტურ ფიქსიურ ერობელ გაუსვია ხაზი თავის მარქსისტულ მსოფლმხედველობისათვის), მაგრამ მას მაინც შეიძლება ვუსაყვედუროთ, რომ გიდიონის მიერ ბურჟუაზიული დემოკრატიის ასეთ გადაფასებას იგი მკითხველის წინაშე არ ააშკარავენს.

საბჭოთა მკითხველისათვის ცნობილი ამერიკის მკვიდრ ინდიელთა თავგანწირული ბრძოლა თავიანთი მიწა-წყლისათვის და თავისუფლებისათვის თეთრების კაპიტალისტურა „ცივილიზაციის“ სისხლიან ექსპანსიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ერთერთი უკანასკნელი ეპიზოდი აირჩია ფასტმა თავის ისტორიული რომანის თემად „უკანასკნელ საზღვარში“ ავტორი დეტალურად შესწავლილ ისტორიულ ფაქტებით მოგვითხრობს ინდიელთა ერთი ტომის შიანების გმირულ შრომას თავისუფლებისათვის. 1878 წ. ამ ტომის ერთმა ნაწილმა დასტოვა ოკლახომის უნაყოფო მიწაზე მთავრობის მიერ მათთვის მიჩენილი რეზერვაცია და ბრძოლით გაიკაფა გზა მშობლიურ მიწა-წყლისკენ ჩრდილოეთში. ფასტის ინდიელები არ ჰგვანან ტრადიციული კოლონიური რომანის ეგზოტიკურ ველურებს. მკითხველი ხედავს მცირერიცხოვან მამაცებს, რომელთა ერთსულოვნების თავისუფლებისადმი ლტოლვის და მორალური ძალის წინაშე უძღურია ამერიკის ყაჩაღური იმპერიალიზმის სამხედრო მანქანა და ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატი. რომანი გვიჩვენებს ამერიკული „ცივილიზაციის“ მეთოდების შემადარწუნებელ სურათებს. ამერიკელ ხელისუფალთა მთელ გულერებას მისიონერ მაილსიდან დაწყებული ვათავებული გენერალ შერმანით.



ფასტის ეს წიგნი შეუბრალებელი მხილვება ამერიკის ბურჟუაზიული დემოკრატიის არა მარტო უახლოესი წარსულისა, არამედ მისი დღევანდელი ბუნებისაც, რადგან რომანში დასმული რასიულ-ნაციონალური საკითხი ისევე, როგორც თავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობა, დღეს კიდევ უფრო მეტის სიმწვავეთ სდგას ამერიკის ხალხის წინაშე იმპერიალისტური რეაქციის შეტევის პირობებში.

ბუნებრივია, რომ ფასტის, როგორც მოწინავე მებრძოლი მწერლის შემოქმედებით ტალანტი არ შემოიფარგლა ისტორიულ თემატიკით და თანამედროვე სინამდვილის მტკივნეული საკითხებით დაინტერესდა. ორი უკანასკნელი რომანი „ამერიკელი“ და „კლარკონი“ ამერიკის დღევანდელი საზოგადოების კლასობრივ წინააღმდეგობათა ფონზეა გაშლილი. „ამერიკელში“ ფასტი გვიჩვენებს, რომ დღეს არავის არ შეუძლია დარჩეს ნეიტრალურ პოზიციაზე. რეაქციისა და დემოკრატიის ძალთა შორის გაჩაღებულ ბრძოლაში. ილინოისის შტატის გუბერნატორის სინდისი აიძულებს ხმა აღიმალლოს სიმართლის დასაცავად. ასეთი გაბედულების შედეგი თავისთავად ცხადია: რეაქციული ბურჟუაზიული პრესა მას „საზოგადოების პირველად მტრად“ ნათლავს. თუმცა რომანი ეხება ვასული საუკუნის მიწურულის ამბებს, იგი ნიღაბს ჰგდევს დღევანდელ ამერიკის „დემოკრატიულ მართლმსაჯულებასა“ და ააშკარავებს ანტიკომუნისტური კამპანიის პროვოკაციულ ხასიათს.

„კლარკონი“ მოგვითხრობს გაფიცულ მუშების ბრძოლებზე პროფესიულ შტრეიკბრუნებების წინააღმდეგ, ავტორის გაბედული ხმა გვაფრთხილებს, რომ ის, რაც დღეს ამერიკაში ხდება, ფაშისმის მომასწავებელია, და

მითითებს ამერიკელ კომუნისტებს ბრძოლაზე, რომელიც უკვე დასრულებულია სწორი გზაა ფაშისმის ბრძოლაში. თავიდან ასაცილებლად. მკითხველი ხედავს, რომ ამერიკის ხალხის ზოგიერთის ფენების ილუზიებს „ლიბერალურ ფაბრიკანტს“ შესახებ არაფერი აქვთ საერთო სინამდვილესთან. კაპიტალისტის „ლიბერალიზმი“ ცარიელი ფრაზეოლოგიაა და როდესაც საქმე ეხება მის ჯიბეს, ლიბერალის ნიღაბს უკვე აღარ ძალუძს დაფაროს ექსპლოატატორის მტაცებლური, მხეცური ბუნება, რომლის წინაშე ყოველგვარი ადამიანური ურთიერთობანი, მეგობრობის გრძობას და სხვა ფასს ჰკარგავენ. კაპიტალისტური იერარქიის გახრწნილ წარმომადგენლებს ფასტი უპირისპირებს შეუპოვარი კომუნისტების რაიენისა და რეის კეთილშობილურ სახეებს. „კლარკონი“ შეიძლება ჩაითვალოს მთელ ამერიკულ ლიტერატურაში ყველაზე ძლიერ, რეალისტურ რომანად ამერიკის კომუნისტების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ფასტის ეს რომანებიც არაა სავსებით უნაკლო. „ამერიკელში“ ადგილი აქვს მთავარი გმირის ალტგელდის როლის თუნავ ვაზუიალებას, მაშინ როცა ჩვენთვის ცხადია, რომ ასეთი შეუკავშირებელი ერთეულების სინდისის პროტესტი მტრად უმწეოა იმისათვის, რომ რაიმე რეალური ნაყოფი გამოიღოს. „კლარკონში“ ავტორს უთუოდ შეეძლო უფრო ფართოდ დაეხატა გაფიცვის ამბები, მისი გამომწვევი მიზეზები და ამგვარად უფრო ღრმად მოეცა გარემოს სწორი ანალიზი.

თავისთავად ცხადია, რომ ჰოუარდ ფასტის, როგორც მწერლის მნიშვნელობა არ ამოიწურება მისი შემოქმედების მაღალი იდეურობით და პოლიტიკური სიმახვილით; ფასტი უპველად ნიჭიერი მხატვარია. მისი შე-

მოქმედებითი მეთოდი რეალისტურია, თუცა ავტორმა უკანასკნელ რომანშიც ვერ დააღწია თავი ზოგიერთ ნატურალისტურ ტრადიციებს, რომლებიც მისი პირველი რომანიდან მოდინან. „ბავშვებში“ აღწერილი პათოლოგიური დეტალები, მოწამლული ბავშვების ფსიქიკის საშინელებანი თითქოს თავათ ავტორს იტაცებს. ასეთივე მიდრეკილება იჩენს თავს, თუცა გატყობებით უფრო სუსტად, „მოქალაქე ტომ პეინში“, როცა ავტორი არა ერთხელ უსვამს ხაზს პეინის ალკოჰოლიზმს. სიბინძურეს პირად ყოველდღიურ ცხოვრებაში, ფიზიკურ უღამაზობას და სხვ. და ბოლოს, „კლარკტონში“ აღწერილი სექსუალური სცენები ამავე ნატურალისტური ტენდენციებით აიხსნებიან.

ფასტის მხატვრული ძალა ყველაზე უფრო სრულყოფილად ჩანს „თავისუფლებას გზაში“ და „უკანასკნელ საზღვარში“. დაუვიწყარია, მაგალითად, არა მარტო გიდიონ ჯექსონის სახე, არამედ რომანის ის ადგილები, სადაც ავტორი გადმოგვცემს გიდიონის ცოლის რეიშელის თავდადებას და სიყვარულს გიდიონისა და მისი იდეალებს მიმართ. შესანიშნავია გიდიონის უაყების ჯგუფისა და მარკუსის სახეები, და არა მარტო მათი: რომანის ყოველი პერსონაჟი დასრულებული, ოსტატურად დამატული ინდივიდუალობაა. მკითხველი ზანგებში ხედავს დიდ შემოქმედებით ენერჯისთან ერთად ნამდვილ ადამიანურ, კეთილშობილურ ურთიერთობებს. შრომისა და თავისუფლების სიყვარული, კოლექტივიზმის გრძობა და ნახი გულისხმიერება ერთმანეთის მიმართ, თავგანწირული სიამაყე და დიდი ადამიანური ჰუმანიზმი ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია და ერთ მთლიან ამაღლებებელ სურათს ჰქმნიან. ანალოგიური ღირსებები შეიძლება აღვნიშნოთ „უკანასკნელი საზღვრისა“

და ფასტის სხვა რომანებთან დაკავშირებით.

ფასტის იდეური მიზანმიმართული სიძლიერე მისი მარქსისტული მსოფლმხედველობის ნაყოფია. 1947 წელს ფასტმა ერთერთ მოხსენებაში განაცხადა: „კულტურის მუშაი, რომელიც ჩვენს დროში ოპოზიციაში უდგება მარქსიზმს, ოპოზიციაში უდგება არა მარტო განსაზღვრულ ფილოსოფიურ მოძღვრებას, არამედ თვით ცხოვრებას და ხალხთა ისეთ უდიდეს ბრძოლას თავისუფლებისათვის და კაცობრიობის ღირსებისათვის, როგორც დღემდე არ სცოდნია მსოფლიოს. კულტურულ ღირებულებათა შექმნა შეუძლებელია, თუ მოწყვეტილი ხარ ცხოვრებისაგან“. კიდევ არდ ფასტი სწავლობს საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებზე და მოუწოდებს პროგრესულ მწერლებს მთელს ქვეყანაზე მაგალითი აიღონ საბჭოთა მწერლების შემოქმედებისაგან. სტატიის „რეალიზმი და საბჭოთა რომანი“ ფასტი სწერდა რომ „სინამდვილე ყველა ქვეყნის მწერლებისათვის არსებობს, მაგრამ მწერალი მასთან უნდა მივიდეს ფილოსოფიით შეიარაღებული, რომელიც მას - მისცემს ამ სინამდვილის გაგების შესაძლებლობას“.

მოუარდ ფასტი აქტიურ მონაწილეობას იღებს იმ მამარ პოლიტიკურ რღვერ ბრძოლაში, რომელიც დღეს ამერიკაშია გაჩაღებული რეაქციისა და პროგრესის ძალებს შორის.

გარდა სამწერლო და პუბლიცისტური მოღვაწეობისა იგი ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა ამერიკის პროგრესულ ორგანიზაციებში. კერძოდ იგი წევრია ესპანელ ემიგრანტ ანტიფაშისტთა დამხმარე კომიტეტისა, რაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ანტიამერიკულ საქმიანობის გამოშველევ კომისიის მოთხოვნით იგი სხვა ათ პროგრესულ მოღვაწესთან



ერთად სამართალში მიეცათ. რეაქციის ამ აშკარა ფაშისტური აქტის გამო ფასტმა ღია წერილით მიმართა ამერიკის ხალხს, (ეს წერილი გამოქვეყნდა მოსკოვის „Литературная газета“-შიც), სადაც იგი სხვათა შორის სწერდა: „...ის ამბავი, რომ ჩვენ ციხეში ვჯდებით, დიდი მნიშვნელობის არაა. ჩვენ ვარჩიეთ. ჩვენთვის პატივობა მოესაჯათ, ვიდრე დაგვეთმო ჩვენი პრინციპები და პრინციპები ჩვენი ქვეყნისა ანტიამერიკულ საქმიანობის გამომკვლევ კომისიის წინაშე. მაგრამ მიზეზები, რომელთა გამო ჩვენ ციხეში გვაგზავნიან, დიდი მნიშვნელობისა არიან, ჭეშმარიტად ტრაგიკული მნიშვნელობისა ყველა ამერიკელისათვის, რადგან ჩვენი დაპატიმრება ნიშნავს, რომ ანტიფაშიზმი ჩვენი ქვეყნის კანონების მიხედვით დანაშაული ხდება...“

ამერიკის მონოპოლისტური წრეები და მათი სახელმწიფო ანტიამერიკულ სთელიან, რომ საკმარისი არაა პროგრესული წიგნების აკრძალვა, როგორც, მაგალითად, თავის დროზე აკრძალეს ფასტის „ბავშვები“ და „მოქალაქე ტომ პეინი“, საკმარისი აღარაა საზოგადოებრივი აზრის სისტემატური მოწამვლა პროგრესული მწერლების წინააღმდეგ, ეხლა ისინი მიმართავენ ბინძურ პროვოკაციებს და აშკარა ტერორს; მაგრამ სიმართლის ხმის ჩახშობა არც ისე ადვილია, პირიქით, დემოკრატიის ბანაკს სულ ახალი და ახალი ძალები ემატება — ახალი მებრძოლები, რომლებიც ხედავენ, რომ, როგორც ფასტი ამბობს, „ამ ბრძოლაში... მხოლოდ ვარსკვლავები არიან ნეიტრალურნი“...

## ივანე კოჭლიაჩევის „ენეიდა“

შპკანისული რეპლიკის ლიტბრატურის 150 წელი



ასორმოცდაათი წლის წინათ პეტერბურგში დაიბეჭდა ივანე პეტრეს-ძე კოჭლიაჩევის პოემა „ენეიდა“. ამ წიგნის გამოსვლით დაიწყო უკრაინელი ლიტერატურის ახალი პერიოდი.

საბუთო უკრაინის ორმოცმეოთხეულობა ხალხმა ფართოდ აღნიშნა იუბილე ამ პოემისა, რომლის შესახებ მაშინ გორკი 1935 წელს იუბილენდა უკრაინელ მწერლებს:

„რატომ არ უნდა დაწერათ ისეთი მზიარული პერლესკი ჰენს შტრეზზე, როგორც არის, მაგალითად, „ენეიდა“? შეურიღან ბურჟუაზიული დამლომატები საღდაც კუნძულზე და ჰგონიან, რომ ისინი ქვეყანას იხსნიან. კომიუერო ხალხია... ანდა გინა პეტლიურას ემიგრაცია არ იძლევა საკმარის მასალას ასეთ პერლესკისათვის?“

ივანე კოჭლიაჩევის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული უკრაინელი ლიტერატურის გადასვლა რეალიზმზე. გამოიყენა რა ხალხური შემოქმედებისა და უკრაინული და მომე რუსი ხალხის ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები, ივანე კოჭლიაჩევი შეუდგა ხალხის ცხოვრების ისახვას. „ენეიდას“ ავტორის დამსახურება იმაშიც არის, რომ მან უკუაგდო მოძველებული მწიგნობრული ენა და მიმართა ხალხურ ენას. უფრო გვიან, როდესაც 1840 წელს გამოვიდა დიდი პოეტის ტარას შევჩენკოს „კობზარი“, უკრაინულმა ლიტერატურამ განიცადა ბრწყინვალე გაფორმება და მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეს მიაღწია.

კანცლარიის მოხელის შვილი, ივანე კოჭლიაჩევი დაიბადა 1769 წლის 9 სექტემბერს ქ. პოლტავაში. 1780—89 წლებში სწავლობდა ადგილობრივ სემინარიაში. აქ ამზანავებმა მას უწოდეს „მულეცკე“, რადგან იგი უკვე ქმნიდა პოეტურ ნაწარმოებებს. სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი მემამულეების ოჯახებში მასწავლებლობდა ამ დროს იგი

კრებს ეთნოგრაფიულ მასალებს და სწერს ლექსებს უკრაინულ ენაზე. 1798 წლიდან 1808 წლამდე სამხედრო სამსახურში იყო, სადაც კაპიტანობის ხარისხამდე მიაღწია. თავი ისახელა თურქეთის ომში.

ავტორის დაუყოვნებელ „ენეიდას“ პირველ სამი სიმღერა გამოსცა პეტერბურგის უკრაინული ლიტერატურის ერთერთმა მოყვარულმა. მეორედ გამოიცა 1808 წელს. 1809 წელს თვითონ კოჭლიაჩევიმ გამოსცა უკვე ოთხი ნაწილი. მეხუთე და მეექვსე ნაწილი პოეტმა დაწერა ნაპოლეონთან ომის შემდეგ: 1812 წელს კოჭლიაჩევის მიანდეს კახეთა მეხუთე პოლის ფორმირება.

1817—19 წლებში ივანე კოჭლიაჩევი სწერს თავის შესანიშნავ პიესებს „ნატალია-პოლტავა“ და „მოსკალ-მარინიკი“ („ჯარისკაცი-მისანი“). მთავარ როლებს ამ პიესებში პოლტავაში ასრულებდა დიდი მსახიობი მიხეილ შჩეპკინი, მაშინ ჯერ კიდევ შინაყმა, პოლტავის მუდმივი თეატრის პირველ დირექტორად ეს იყო თვითონ „ნატალია-პოლტავას“ ავტორი.

შოლიანდ „ენეიდა“, ავტორის მიერ გამოცემული გამოცემისათვის, დაიბეჭდა ხარკოვში შოლოდ 1842 წელს, მაშინ, როდესაც ავტორი უკვე ცოცხალი აღარ იყო: იგი ვარდაიცვალა 1838 წლის 9 ნოემბერს.

უკრაინული ლიტერატურის ახალი პერიოდის დაწყების ასორმოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით შესდგა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიისათვის შესავალ სიტყვაში ტარას შევჩენკოს სახელობის უკრაინული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, უსსრ მეცნიერებათა აკადემიის ნაშვილმა წევრმა ალექსანდრე ბელუცკიმ განაცხადა, რომ ვერგლიოზის „ენეიდას“ ახლა შოლოდ სპეციალისტები კითხულობენ, ივანე კოჭლიაჩევის „ენეიდა“ ეს ახლაც იპყრობს უკრაინის ფართო



შეიძებნა დიდ ურადლებას. უნდა აღინიშნოს ნოვიკოვის, რადიშჩევის და სხვა რუსი პროგრესიული მწერლების დიდი გავლენა კოტლიარევის „ენეიდაზე“ და „ნატალკა-პოლტავაზე“. „ენეიდაში“ ავტორი გმობს უგულო ფეოდალებს, გვლესიის თვალშია მსახურებს, უსამართლო მსაჯულებს. არაფერს „მას ვერ ნახავთ ენეიდას“ ფრანგულ, იტალიურ და გერმანულ ვადაკეთებებში. უკრაინის ბუჩუქანოელი ნაციონალისტები არაერთხელ ცდილან ნიჭიერი პოეტის შემოქმედების გაყალბებას, თითქოს იგი ბაძევა ფრანგ სკარონს ან გერმანულ ბლუმფერს. დისავლეთის მიმართ ქედმოხრატებას. შათ. უკრაინული „ენეიდა“ გამოყავდათ დასავლეთ-ევროპის მეორეხარისხოვან და შესამწებარისხოვან ავტორების „ენეიდებიდან“, და არა XVIII საუკუნის კლასიკური წინააღმდეგობები აღსავეს უკრაინის რეალური ცხოვრებიდან.

კოტლიარევის პოემაში ნათლად გამოსჭვივის ავტორის პემაინიზმი, თავისუფლებისმოყვარეობა, პატრიოტიზმი, ცხოვრების სიყვარული. კოლორიტული ფერებით ხატავს პოეტი XVIII საუკუნის უკრაინული საზოგადოების სხვადასხვა ფენების ყოფა-ცხოვრებას. იგი უშიშრად აკრიტიკებს გაბატონებული კლასის შოტალს: „გლეხის სიძარტლე — შირდაპირია, ბატონებისა კი თვალშია ცეცხლი“. შთელ რიგ სატირული სცენებში კოტლიარევი გვიხატავს მეფის მოხელეებისა და სამღვდლოების საზიზღროებას. ხალხის წარმოდგენის თანახმად ავტორი ათავსებს ჯოჯობეთში გარყვნილებს, უქნარებს, ჩარჩებს და სხვ.

შთელი პოემა გაედინთილია მდიდრულ

ფოლკორულ-ეპოგრავიულ მასალით, ვიყოლი, გრებიონა და სხვა მწერლებს, ვერსილებს კოტლიარევის ტრადიციას, უკრაინული ხალხის ბრწინვალე პემაინის გამოყენებაში.

„ენეიდა“ დაწერილია მაღალმატერული ენით, ავტორის დიდი წარმატებით აქვს გამოყენებული ხალხური ენის სახეები. საინტერესო სუეტი, ავტორის კეთილშობილური საზოგადოებრივი მისწრაფებანი, ფეოდალების გაკიცხვა, ბრწინვალე ნაციონალური კოლორიტი — ყველაფერმა ამა უზრუნველყო პოემის წარმატება მრავალ წლების განმავლობაში. ტრას შევხეყო თავის ლექსში — ნეკროლოგში სწერდა კოტლიარევის შესახებ, რომ სანამ ცხოვრობს აღამაინი, სანამ მზე ცაში ბრწინავს, — მას არ დაივიწყებენო.

გამოჩენილი რუსი მწერალი ვ. კოროლენკო, რომელიც 1900 — 1921 წლებში ცხოვრობდა პოლტავაში, აღნიშნავს, რომ კოტლიარევიმ უკრაინელების ეოცხალი ენიდან შექმნა „სალიტერატურო მდიდარი ენა და უკრაინული ენა, რომელსაც შინამდე შოლოდ ადგილობრივ კოლოკავად იყო ცნობილი. მისი მაღლიანი ზელოთ ისე მპლავრანე ვასმა, რომ მისი ხმები შთელ რუსეთს შოლო“.

პოემა „ენეიდა“ და პიესა „ნატალკა-პოლტავა“ უკრაინული კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავ შემკვიდრობას წარმოადგენენ. „ენეიდასადმი“ საბჭოთა შეიძებნის შეუნელებელ ინტერესის შესახებ შეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ იუბილესათვის იგი გამოვა „საკოლმურნეთი ბიბლიოთეკის“ სერიაში ასი ათასი ექვემლარის ტირაჟით.



## ფილოლოგიური შენიშვნები

(„ვისრამიანის“ ქართული ტომების გამო)



ქართული ლიტერატურის სპარსულთან დაპოყიდებულების გარკვევის საკითხს არა ერთი და ორი შეკვლევარი შეხებია. იგი დიდი ხანია იპრობს შეცნეერთა უფრადლებას და უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ბევრი რამ ვაკეთდა და გამოიკვია.

ნათქვამი იმის არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ის, რასაც ამ დარგში მომუშავენი ამტკიცებენ, ვადსინჯვას არ მოითხოვდეს.

როგორ შეიძლება, მაგალითად, რომელიმე შეკვლევარს დავეთანხმოთ იმის მტკიცებაში, რომ ქართული ლიტერატურისა და ენის საკანძურში შემოსული ისეთი დიდი ძველი, რაგორიც „ვისრამიანია“, თავდაპირველად ვინმე სპარსელი მესულმანის მიერ იყო ქართულად ვადმოთარგმნილი და შემდეგ წარყვნილი და ვადუბებული ქართველების მიერ.

ნარკვევი, რომელშიაც ეს აზრია ვამოთქმული, დაიბეჭდა სტალინის მკვლელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში (XXVII ხ, 88—100). მის ავტორს, პროფ. იუსტინე აბულაძეს, მიზნად დაესახავს ვაკრიტიკება „ვისრამიანის“ მეორე ვამოცემისა, რამელიც ალ. პარამიძის, პ. ინგოროვას და კ. ვაკელოძის რედაქციით დაიბეჭდა 1938 წელს. ამ მიზნით პარტიკული შეკვლევარი ისეთს მოსაზრებებს ვამოთქვამს, რომელიც მეცნიერული დასაბუთება შეუძლებელი ზდება. მაგალითად, ის წერს: „წყობილა სემორგი, სიმურვის ნაცელად, ზენნი ძეგლის თარგმნის დროის დაშახსიათებელია. იმ დროს ხმოვნები ე და ი სპარსულს არ ვაკანდა. ლურაის მაგვიერ იყოთხებოდა ლორ, ვურაის მაგვიერ ვორ, შორ. მარ. დედაფლის ქ. ცხოვრების „შაპარამ ჯორი (თხ. oper. citat. გვ. 315—316), რაც იგივე „შაპარამ ვურაია“ (გვ. 90—91).

რომელი დროის სპარსულს გელისხშიბს ამ სტრიქონების ავტორი? უკველია, ახალს.

„ვისრამიანის“ ტექსტის შემუშავების დროის (მე-11 საუკ.) სპარსულს.

გრძელი თუ მოკლე ხმოვნები აქვს მას მხედველობაში? წარმოდგენილი მაგალითებიდან (ლორ, ვორ) ჩანს, რომ ის გრძელს ხმოვნებს ე-სა და ი-ს გელისხშიბს, თუმცა იმის დასადასტურებლად, რომ ახალმა „სპარსულმა“ გრძელი ი არ იყოდა, მის მაგალითი არ წარმოვადგენია. ახლა საკითხავია, რას ეშვარება პროფ. იუსტინე აბულაძე ამ დებულების დასამტკიცებლად? მას შეუნიშნავს, რომ ზოგ ქართულ ტექსტში „ლურა“-ის ნაცელად იყოთხება „ლორა“, „ვურის“ ნაცელად „ვორა“ და ეს საყმარისი ვამხდარა იმის დასადასტურებლად, რომ „მე-11 საუკუნეში სპარსულმა ბევრები ე-ნი და ი-ნი არ იყოდა“ (გვ. 92).

ჩემი აზრით, შეუძლებელია ქართულში შემუშავებული სიტყვათა ფორმები ვახდეს შეცნეირისათვის საფუძველი სპარსული სიტყვებისა თუ ვალკველი ბევრების ვამოთქმების დასადგენად.

თუ ისე ვამსჯავებთ, როგორც პროფ. იუსტინე აბულაძე მსჯელობს, მაშინ მხედველობიდან არ უნდა ვამოვგრჩეს „ვისრამიანის“ ქართულს ტექსტშივე ისეთი სიტყვათა არსებობა, რაგორიცაა, მაგალითად, „ავმაგი“ (მეთვალურა). „ზაბენი“ (ფლონი) და სხვა მისთანანი, რომლებშიც სპარსული დამწერლობისა და ვამოთქმების მიხედვით სწორედ ისეთივე გრძელი უ ვაკქვს, რაგორიც „ლურსა“ და „ვურაია“. ეს გრძელი უ, რაგორიც ეს ზემოწარმოდგენილი სიტყვათა ფორმებიდან ჩანს, ქართულში ვადმოსულა უ—ლ და არა ო—ლ. მაგრამ არის შემთხვევები გრძელი უ—ს ო—ლ ვამოსულისა (ნაკროზი, ფეროზი და სხვა). ყოველივე ეს იმის კი არ ნიშნავს, რომ სპარსულმა ბევრა უ—ნი არ იყოდა, არმედ იმას, რომ ის (უ—ნი) ქართულში ვაკაძლეს ე-სა და ი-ს რდა-



რა შემთხვევებში — ეს კი გვლევადობის საგანია. ასევე ითქმის გრძელი — ის შესახებაც. თუ ქართული წყაობები ვარკვეულ პერიოდში სპარსული ბეგრების არსებობა — არ არსებობის დასადასტურებლად გამოდგება და ვიტყვით, რომ მე-11 საუკუნის სპარსულმა ი არ იყოფა, მაშინ საიდან უნდა ვაჩვენოთ „ეისრაჰიანში“ წყაობა სიტყვა „ნარჯისისა“ (სმინი შეენიერნი ნარჯისისა შსაგენსი თულინი“, გვ. 65), თვით თხზულების სათაურისა („ეისრაჰიანი“) ან მისი მთავარი გმირებისა („ეისა“, „რამინი“) უფელა ამ სიტყვაში სპარსული დამწერლობის მიხედვით გვაქვს გრძელი ი, რაც ცხადია, ქართულში ი — დ გადმოხლდა. მართალია, ჩვენს კლასიკურ ძეგლებში სპარსული ი ძალიან ხშირად ე-დ გადმოიღობ მგზარს და სხვა, მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ იმ დროის სპარსულს ი არ გააჩნდა? რა თქმა უნდა, არა.

საინტერესო ის არის, რომ ნარკვევის ავტორის სპარსულიდან უ—ნისა და ი—ნის განდევნა დასჭირდა იმისათვის, რომ „ეისრაჰიანის“ მეორე გამოცემის რედაქციისათვის სპარსული ბეითის (ნა ტუჟე ლერ ზად...) წყაობა დაეწმენებინა (გვ. 92) და თვით წარმოადგინა საპირისპირო წყაობა (ნა ქოჟე ლარ ზად...)<sup>1</sup> თორემ ამავე ნაშრომშივე თვითვე რამდენჯერმე არღვევს თავის დებულებას. მას, როგორც ჩანს, დაეწყებოდა თავისივე მოსაზრება სპარსულში უ—ნისა და ი—ნისა არ არსებობის შესახებ და „ეისრაჰიანის“ სპარსული ტექსტიდან მოკეს ადგილი (გვ. 90), სადაც ვკითხულობთ სიტყვებს: „ღამიჲმე“, „ფიჲვენდედ“, „ბუ“, „ქინ“, „ოზგინე“, აგრეთვე (გვ. 97) „ვის“, „რამინ“, „პაზადედ“ და სხვა. ამ სიტყვებში პატრიკეშვილი შეცნობა, სპარსული გამოთქმების მიხედვით, სწორად ვადმოსცემს უ—სა და ი—საც და, ამგვარად, როგორც ვხედავთ, თვითვე დალატობს თავისივე დებულებას — სპარსულში უ—სა და ი—ს არ არსებობის შესახებ.

ერთგან (გვ. 89) შეკლევარს სპარსული ტექსტის ბეითი შეუსწორებია. სიტყვის ფიცილიდანის (მეერთება, შეკვეშირება) ნაცვლად ფერფერიდან (ყვება, აღზრდა) შეუტანია და ამით დაუმთხვევებია სპარსულ ტექსტში გამოთქმული აზრი იქ ვკითხულობთ:

დერებთ ასან თევან ვზ ბონ ბორიდან,  
ველქენ<sup>1</sup> ზახ ნე თევან ფოივენდან.

ეს ნიშნავს: ხის ძირში მოჭრა ადგილი (სიტყვა-სიტყვით: ადვილად შეეძრებოდა მაგრამ კვლე მისი (ძირთან) შეერთება და იქვე მოხდება) შეუძლებელია (სიტყვა-სიტყვით: არ შეიძლება).

პროფ. იუსტ. აბულაძეს სიტყვა ფიცილიდანის შეცვლით ასეთი აზრი მიუღია ხის ძირში მოჭრა ადვილია, მაგრამ მისი ხელახლა გაზრდა შეუძლებელია. „ეისრაჰიანის“ ავტორი იმ აზრს გამოთქვამს, რომ მისი შეერთება ძირთან (ე. ი. მისი ხელახლა ადგენა, გაყოცნა) შეუძლებელია და არა იმას, რომ ხის გაზრდა შეუძლებელია. შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს ადგილი ქართულ ტექსტში გათხრებულია გააზრებული. იქ ვკითხულობთ: „ხე... ადრე მოიკეთების, მაგრა მოიკეთილი გვიანად იზარდების“ (გვ. 287), ე. ი. ხის მოკვეთა ადრე (მალე, სწრაფად) შეიძლება, მაგრამ მისი გაზრდა კი გვიანად (ნელა) ხდება.

სპარსული ტექსტის მოშველიებით პროფ. იუსტ. აბულაძემ მიანიშნა ქართული ტექსტის შესწორება და ნაცვლად წყაობისა:

„ხე ჭრითა ადრე მოიკეთების, მაგრა მოკეთილი გვიანად იზარდების“ — წარმოადგინა ასეთი წყაობა: „ხე ჭრითა ადრე მოიკეთების“ და სხვა... სპარსულს ტექსტში ფიცილებს: დერებთ ასან თევან ვზ ბონ ბორიდან-ხე ძირში (ძირთან) ადვილად მოიკეთების. „ეისრაჰიანი“ კითხულობს: ხე ჭრითა ადრე მოიკეთების. სპარსული ბორიდან უდრის ქართულ მოიკეთების. მაშ. საიდან უნდა შემოვიტანოთ ქართულში მეორე ჭრითა, როცა ის (ბორიდან) სპარსულში ერთხელაა ნახვარა. ცხადია, პროფ. იუსტ. აბულაძის მიერ წამოყენებული შესწორების მიღება ბნელია, მაგრამ, რომ ეს სიტყვა (ჭრითა) უნდა შესწორდეს, ეს კი ნათელია.

მასთანავე, ეს ადგილი ასე უნდა გასწორდეს: „ხე ძრითა ადრე მოიკეთების“ და არა სხვანაირად. შემდეგ დროის ვადამწერო ძ და კ აერვევათ და „ძრითა“-ს ვავიერ მიუღიან „ჭრითა“.

იქვე აღნიშნავთ, რომ პროფ. იუსტ. აბულაძეს სპარსული ტექსტის ზოგი ადგილი თავისებურად ესმის. ასე, მაგალითად, „ეისრაჰიანის“ ლექსიკონში, სიტყვა ავშარას ვანშარტუ-ბისათვის მას სპარსული ტექსტიდან მოტანილი აქვს შემდეგი ადგილი: ჩუ ბარ ზან ჭამე დილ რანდი იაჟა ბარ, ჩონან დონ ქეს ნაჰადი ბარ სარ აქსარ. ამას ის ასე თარგმნის: რა ერთხელ დიაციისაგან ნებასა იღობ, (ასე აცოდე) რომ ვინმემ ავშარა ამოგდო (საყ. გა-

<sup>1</sup> ნახ ნე აჯობება.

<sup>2</sup> და არა ველაქენ, როგორც ნარკვევში იკითხება.

დაგაცვა თვზე). ამ ბუთის ასეთ გაგებას სრულ უპირობოდ შეეცდებოდნენ. მთარგმნელს, ჩამს პირველი ნახევარი სწორად გაუგია, ხოლო მეორე ნახევარი კი ვერა. გაუგებრობა, საფუძვლებელია, იმითაა გამოწვეული, რომ სპარსულ ტექსტში კორექტურული ხასიათის შეცდომია დაშვებული: ქემ-ის (ქე ემ) ნაცვლად იკითხება ქეს ასო შას აკლია წერტილზე ბი. რის გამოც ის ს-ღ ქვეულა. წარმოდგენილი ადგილი ასე უნდა იქნეს გაგებული: რა ერთზედ დიაკისაგან ნებასა აიღებ, ასე იცოდ, რომ მას ავშარა ამოდე (თვეზე ავშარა გადააცივ). ქართული ტექსტის ავტორის ეს ადგილი მშვენივრად ემისი. აქ გაითვალაზი: „რა ერთზედ დიაკისაგან ნებასა აიღებ, პირს ავშარა ამოდებულსა დაამზავებ“ (გვ. 60).

აგრეთვე, სიტყვა კრტალის განმარტებისათვის მას მოჰყავს სპარსული ტექსტი: ავარ ჯენვ ევერი, ქვიძერ ბერი თო, ვა გერ ქოსე<sup>1</sup> ზენი, ქოზე ზერი თო. ამ ადგილს პროფ. იუსტ. აბულაძე ასე თარგმნის: თუ იომო, ნიკვალი მიიღო შენ, და თუ ჯამი (თასი) შესტოროვ, კოჯა (კრტალა) გაგირცდეს შენ“.

სპარსულ ტექსტში აქ კორექტურული შეცდომა არაა დაშვებული. მაგრამ მთარგმნელი პაინე გაუგებრობაში შეუყვანია გამოთქმა „ქოზე ზერი თო“, რაც ნიშნავს: „კოჯა იგეშო შენ“, ან „კოჯა მოგზედეს (მოგზედება) შენ“, და არა „კოჯა გაგირცდეს შენ“.

წარმოდგენილი სპარსული ტექსტის აზრი ასეთია: თუ იომო, ნიკვალი მიიღო, და თუ ჯამი შესტორცო, კოჯა მოგზედეს შენ (ე. ი. თუ მას ჯამს შესტორცნი, ის კოჯას შემოგტორცნის). „ვისრამიანის“ ქართული ტექსტის შემოქმედებულს მშვენივრად აქვს ეს ადგილი გაგებული. აქ იკითხება: „თუ შეება ვისზე და დასცემდე, ვანლა რამე მისგანა გეცემის; თუ ჯამი შესტორცნი, კრტალასა შემოგტორცებს“ (გვ. 281).

საშუბარო ის არის, რომ პროფ. იუსტინე აბულაძე უარყოფს ქართული „ვისრამიანის“ სიდიდეს, უარყოფს ქართული რედაქციის შემქმნელი ქართველი მწერლის არსებობას და ჩვენი ძველი სპარსული მუსულმანის მიერ წათარგმნად მიანია, ის წერს: „აზრი, ვითომც ყოფილა „ვისრამიანის“ ქართული რედაქციის შემქმნელი „ქართველი მწერალი“, ამასთან დიდი ზელოვანი, ჯერჯერობით საფუძველს მოკლებულად უნდა ჩაითვალოს“ (გვ. 97).

ამ ბოლო დროს კვლევის პროცესში ჩვენ მიერ მოპოებული იქნა მეტყველება. ფაქტი იმის დასადასტურებლად, რომ სპარსული პირველი ყოფილა გორგანის „ვისრამიანის“ ქართული ზუსტი თარგმანი, სპარსელის ღრმა მცოდნე სპარსელი მუსულმანის, — თუ ქართველი მაჰმადიანის, — მიერ შესრულებული“ (გვ. 97). ცოტა ჭკვეით (გვ. 98), მკვლელობისა, მკვლევარმა ამ ქართულ მაჰმადიანის არსებაც უარყო<sup>1</sup> და „ვისრამიანის“ ქართული ტექსტის მთარგმნელად სპარსელის აღიარება უფრო საგულუბლად ჩასთვალა.

ახლა განვილიზოთ პროფ. იუსტ. აბულაძის მიერ „კვლევის პროცესში მოპოებული ფაქტები“, რომლებითაც თურმე დასტურდება, რომ ჩვენი დიდი ძველი სპარსელის მიერაა გადმოღებული.

პირველი „ფაქტი“ შემდეგში მდგომარეობს: ქართულ ტექსტში იკითხება: „საწუთროსა ზეინკალმან მისისა გულისაგან მტერობისა ჯანვი აღმოპოცა“ (გვ. 82). სპარსულ ტექსტში ზეინკალის შესადარი სიტყვა არ იკითხება. ბოლო „მტერობისა ჯანვის“ (ჯანვი) საბადლოდ გვიქვს „ზანგი ქინ“, რაც აკუსტიკურად ჩამოგავს ზეინკალს. ამის გამო, მკვლევარი ფიქრობს, რომ „ყოფილა თადამირცელი ზუსტი ქართული თარგმანი... ეს თარგმანი თურმე „შემდეგში საუცხოოდ იქნა გამოყენებული სწავლა-ეოდნით ღრმად გაბრძნობილი შვიგნობრის მიერ, რომელსაც მიზნად დაესახავს დასახელებული ზუსტი, სტრიქონქვენი თარგმანის ქართული მხატვრული პროზის შესაფერად გადაკეთება და მისი ადგილის შემოქმედებისათვის, მიღმართავს ვიღაც არაბულ-სპარსული წერა-კითხვის მცოდნე პარსისათვის“ (გვ. 98). ამ შემთხვევაშიც რესტავრატორს თურმე მოენდომებია ფრანზის „საწუთრომან მისისა გულისაგან მტერობისა ჯანვი აღმოპოცა“ შეუკერება და, რა გაუგონია მისი შესატყვისი სპარსული ფრაზა: „ზემანა ზანგი ქინ აზ დილემ ბაზადედ“, მას მეორე და მესამე სიტყვა „ზენგი ქინ“ „დაუშვავსებო ქართული ზეინკალისათვის და, ამნაირად, ამ სიტყვაშავილ რესტავრატორს შეუქმნია ამ ფრანზის საკეთარი ახალი რედაქცია: „საწუ-

<sup>1</sup> ის წერს: „...თარგმანი შესრულებული ყოფილა ან ვინმე სპარსეთში ნაყოფი ქართველის მიერ... ანდა, რაც უფრო საგულუბლელია, ქართულს მცოდნე სპარსელის მიერ“ (გვ. 98).

<sup>1</sup> აკოზებდა „ქისი“.



როსა ზეინკალმან მისისა გულისაგან მტერობისა ჯანგი აღმოხოცა“. ეს, პროფ. იუსტ. აბულაძის აზრით, იძლევა იმის წარმოდგენასაც, „თუ როგორ პრეყნად სპარსულის არმკოდნე ქართველი რესტავატორი და როგორ ამორებდა იგი თავის დედანს თავდაპირველ ზუსტ თარგმანს“ (გვ. 98).

ეს მსჯელობა წმინდა ფანტაზიის ნაყოფიანეთუ შეძლება წარმოედგინათ, რომ იმ დროის მოღვაწე, „ვისრამიანის“ ტექსტზე მომავლე ქართველი ლიტერატორი, „სწავლაცოდნით ღრმად გაბრძნობილი“, როგორც მკვლევარი წერს, ამევე დროს არაბულ-სპარსული წერა-კითხვის არამკოდნე იქნებოდა?

ნეთუ ეს, „სწავლაცოდნით ღრმად გაბრძნობილი მწიგნობარი“ ისეთი აზირებული და უცნაური შეთოდებით მომეშავე ვინმე ყოფილა, რომ მას, ვადგონია რა სპარსული სიტყვები „ზენგი ქინ“, არ ცდია მათი მნიშვნელობის გარკვევას, დაუშვავსებია ისინი ქართული ზეინკალისათვის და თვითნებურად შეუცვლია ტექსტი („საწუთროისა ზეინკალმან. — და სჯა).<sup>1</sup> ძალიან ცუდი წარმოდგენა ჰქონია პროფ. იუსტინე აბულაძეს ჩვენი ძველი ევლტერის მშენებელ ქართველებზე და მათი მემკობის მეთოდებზე. ძველი დროის მოღვაწე ქართველი ლიტერატორები, რომლებიც, უმეველია, ძალიან კარგად იცნობდნენ სპარსული ლიტერატურის ჭეგლებს, ასე ყურმოკრული სიტყვებით არ ამეშავებდნენ ტექსტებს ისინი ძალიან დიდხანს, ღრმად სწავლობდნენ სათანადო მასალებს, ეცნობოდნენ სხვადასხვა რედაქციებს, არჩევიდნენ მათ და ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი მხატვრული ჭეგლები, რომლებიც ჩვენს ეროვნულ ევლტერას დამშვევებდნენ.

ქართულ ტექსტში „ზეინკალის“ გაჩენის ახსნისათვის მხოლოდ ორი ვნა არსებობს:

ა) სადოქრებელია, რომ თავდაპირველად თვით ქართულ ტექსტში იკითხებოდა ქართულის მტერობისა ეანგის<sup>2</sup> შესატყვისი „ზენგე ქინ“. მისისა გულისაგან მტერობისა ჯანგი ზენგე ქინ აღმოხოცა“, მსგავსად დეკლავისეთლი „ხოსრო-შირინიანის“ ქართული ვერსიის ადგილისა: წიგნი და ნამა<sup>3</sup> ვათავდა<sup>4</sup>. და შეიძლევა დადამწერლებს, ვადგებობის ვამო, ვადავე-

თვინათ იგი ზეინკალ, მისი ადგილი შეცვალათ და ვამოყვანათ „საწუთროისა ზეინკალი“.<sup>5</sup>

ასეთ ვადავეთებებსა და ვამოყვანებსა ტექსტებშიც აქვს ადგილი. „როსტომიანი“<sup>6</sup> მავალითად, რაც კარგად მოეხსენება პროფ. იუსტ. აბულაძეს სიტყვები — ჰაიენი თავადერი (სწრათმავალი მოციქული) ჰუბუენ თაქარის ძედ არის ვადავეთებული (იხ. გვ. 574, შდრ. სპ. გვ. 319). აგრეთვე პროზაულ ტექსტში სიტყვა ნოი (ნაპა) ფაღაენის სხვადღე ქეცეა (კუთისაჲ ვანიერსა ფაღაენასა ნოსისისცა წიგნი<sup>7</sup>) და იმის ვამო მისი ადგილიც შეცვლილა.<sup>8</sup> მაგრამ ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იმის არ ნიშნავს, რომ ეს ჩვენი ჭეგლები სპარსელებს მიერაა ქართულად ვადმოღებულა. ბ) შეიძლება ქართული რედაქციის ამ ადგილას სიტყვა ზეინკალი, ტექსტის ყოველგვარი წარყენის გარეშე, შეგზებულადაა შეტანილი. ეანგი რკინას ეღებარკინეულობასთან საქმე ზეინკალს აქვს. მაგრამ ამ ვულში დაბუღებულ მტერობისა ეანგის აღმოხოცვასთან ვევაქვს საქმე და მას რკინის სხვადასხვა მოწყობილობის მეთებელი უბრალო ზეინკალი ვერ მოახერხებს. ამისათვის საჭიროა საწუთროის მოწყობილობის მეთებელი ზეინკალი, ე. ი. ყოველისმეშველე შემოქმედა, დმერთი, რომელიც ადვილად შესძლებს გულისაგან მტერობისა ეანგის აღმოხოცვას. ქართულ ტექსტში (რა ვისმან სიე ვარელით შეხვდა რამის და საწუთროისა ზეინკალმან მისისა გულისაგან მტერობისა ჯანგი აღმოხოცა, თემცა ქირი და გულის ტიგილი დიდად ენაპა სიე ვარელსა შიგან, ურთვან დიდიცა ვახიარეს“, გვ. 82) ზეინკალს რკინის სხვადასხვა მოწყობილობის მეთებლის მნიშვნელობა ეი არა აქვს, არამედ იგი ამ ქვეყნის (საწუთროის) მეთებლის, შემოქმედის, ვანგების, დმერთის მნიშვნელობითაა ვამოყვანებული. თუ რამდენად სწორად მოიქცა მისი ავტორი ამ სიტყვის შერჩევისას, რამდენად შესძლო მან საყფთარი ვაპრებვა მიეცა

<sup>1</sup> მაშინ მას „ზენგი ქინ“-ის საწავლელო მტერობისა ჯანგი უნდა ამოეშალა.  
<sup>2</sup> ნამა იგივე წიგნი.  
<sup>3</sup> იხ. პროფ. ილ. ბაჩაკიძის მიერ ვამოყვანილი ხოსრო-შირინიანის ტექსტი, (ლიტერატურული ჰიბანია, 1 (გვ. 87.)

<sup>4</sup> იხ. გვ. 439, შდრ. სპარ. ტექსტი, ევლტერის ვამოცემით გვ. 124.

ტექსტისათვის, ეს, შეიძლება, ცალკე მსჯელობას საგანი იყოს, ხოლო ის კი ამოვითვე ცხადია, რომ ტექსტში „ზეირეალის“ არსებობა ვერ დაადსტრერებს იმას, რომ ქართული „ვისრამიანი“ სპარსელის ხელიდან იყოს გამოსული.

შეორე „ფაქტი“, რომელსაც მკვლევარი ასახელებს, შემდეგია: ქართულს ტექსტში ერთგან სწველი გამოცემით, გვ. 205) იკითხება: „თუ რა კირი ვინახავს, შიხაბად, შენ ღვინი გმართებს და სიხარული“. სპარსელს ტექსტში ამ ადგილას შიხაბადის სახელით იკითხება შიხაბადა (ნუ იქნება, ნუ იყოს).

პროფ. იუსტ. აბულაძის აზრით, სიტყვა „შიხაბადა“ თავდაპირველ თარგმანში უოფილა შესულია ამავე ფორმით, რომელიც — თურმე—სევე უცვლელად დიდხანს რჩებოდა ჩვენი ძველის ტექსტში და ვინმე რესტავრატორს ან ვადამწერს დაუნახავს მასში შეცდომით შიხის საყოთარი სახელი „შიხაბად“ და ვადაზრუნა ეს ადგილი თავისებურად (გვ. 97).

ეს არის არამეცნიერული აზრი. რა საბუთო მოეპოვება პატივცემულ მკვლევარს იმის დასადასტრერებლად, რომ ეს სიტყვა თავდაპირველ თარგმანში უოფილა შესული ამავე ფორმით და რომ ასევე უცვლელად დიდხანს რჩებოდა იგი ჩვენი ძველის ტექსტში? არაფერია. შეორე გამოცემის რედაქცია ქართული

ერთგან მკვლევარი მსჯელობს სახელწოდების „ნასლაქით დეპისტანელის“ შესახებ. ის წერს: აკადემიკოს ნ. შარხ და ენობილ არანისტა და სპარსოლოგს პროფ. ვ. ქუჩუკოვსკის თავის დროზე ვერ აეხსნათ ამ სახელწოდების ეტიმოლოგია და მხოლოდ ამ ბოლო დროს ჩემთვის ცხადი შეიქმნა... რომ „ნასლაქით დეპისტანელი“... უნდა იყოს არაბულ-სპარსული „ნაზაქათ-აზ დაპისთან“ (გვ. 97).

ამ სტრიქონების ავტორი ვერ დაასახელებს ვერც ნ. შარხსა და ვერც ვ. ქუჩუკოვსკის შრომას, რომელშიც ამ არც ისე ძველად ასახსნელი სახელწოდების ამოცნობის ცდა იყოს მოცემული, რა საჭიროა, შეცდომაში შევიყვანოთ მკითხველი?

ტექსტის ამ ადგილას „შიხაბადის“ გარდასახვა ასრის: „შეხაბადა“ ბევრეულად და დაწერილობითაც ძლიერ მიაგავს სიტყვას „შიხაბადის“ წოდებითს ბრუნვაში „შიხაბადის“ შესახებ უნდა ითქვას, თვითონ სპარსულ დედანში იყო სიტყვა წარყვნილი, ანდა შიხაბადის ის შეცდომით ამოცნობის (გვ. XII), ეს არის ნამდვილი მეცნიერული აზრი იმისა, თუ რა მიზეზებით შეიძლება იქ „შიხაბადის“ გაჩენა.

აი, ყველა ის ფაქტი, რომლებიც არმშენებენ პროფ. იუსტ. აბულაძეს იმაში, რომ „ვისრამიანი“ სპარსელი მუსულმანის შიხაბადის თარგმანი და, რომ „უმართებელი მტკიცება იმისა“, თითქოს „ვისრამიანის“ ქართული რედაქცია ქართული შემოქმედების ნიმუშია... და მისი შიხაბადის შიხაბადის დიდი ხელისა“ (გვ. 100), ამრიგად, მკვლევარი ცდილობს ამ შესანიშნავი ძველის ქართული ლიტერატურისა და ენის საღაროში შემოსვლას ეროვნული საფუძველი გამოცალის და მამამდიანთა საქმიანობის შედეგად გამოცხადოს იგი. „ვისრამიანი ქართულიდან ითარგმნა რუსულსა და ინგლისურს ენებზე. მის გარკვეული წელიწადი შემოაქვს ჩვენი ეროვნული კულტურის სფეროში. ქართული რედაქცია, როგორც სპარსულ რედაქციებისაგან განსხვავებულა, არასოდეს არ დაკარგავს მნიშვნელობას. სპარსული ლიტერატურის მკვლევრები იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ ქართული ტექსტის წიკითხვებსა და მის თავისებურებებს. ნათქვამი ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობის ძველია გვაქვს საქმე. ამიტომ მისი წარმოშობის საკითხებზე მსუბუქად მსჯელობა გაუმართლებელია.

## ჩემი პასუხი



ვერს. „მნათობის“ მე-8 ნომერში დაიბეჭდა ანბ. შ. ალბაზიშვილის რეცენზია „რუსული პოეზიის ანთოლოგიაზე“. გაზ. „ლიტერატურა“ და ხელოვნებაში“ შე მოვათავსე წერილი, რომელშიც რეცენზენტს ვესაუვედურე, რომ მისი კრიტიკა პირუთვნელი არ არის. „მნათობის“ მე-11 ნომერში მან მოათავსა პასუხი.

განვიხილოთ ეს პასუხი. იგი სწერს: „ე. ჯივინაძე აღმოფხვნილია იმის გამო, რომ მეორე რედაქტორს, ს. ჩიქოვანს, მხოლოდ გაეკრთა ეპისკოპოსი“. ნამდვილათ კი მეორე რედაქტორის გვარს ის სრულებით არ ახსენებს, მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ტიტულზე პოეტი ს. ჩიქოვანი, როგორც რედაქტორი მოხსენებულია ჩემს გვარდით. რეცენზენტი სწერს: „თარგმანების უმეტესობა (?) ე. ჯივინაძეს ეკუთვნის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მას ბელთ ჰქონდა უფრო უკეთესი სხვისი თარგმანები, ვიდრე თავისი“. ეს არ არის მართალი. არც რეცენზენტს და არც სხვას ვინმეს არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ არსებობს თუნდაც ერთი პარალელური თარგმანი, რომელიც სჯობს ჩემსას და მე ის გვარდზე დავტოვე. ხოლო ჩემი უფრო სუსტი შევტრანე „ანთოლოგიაში“; სწინააღმდეგეთ ფაქტს კი ჰქონდა ადგილი.

იგი აცხადებს: ე. ჯივინაძის თარგმანების განხილვას დიდი ადგილი იმიტომ დავუთმე, რომ ანთოლოგიის ერთი მეოთხედი მისი თარგმანით. კეთილი, მაგრამ ხომ არსებობს ვარკვეული შეფარდება ერთ მეოთხედსა და სამ მეოთხედს შუა? რატომ ერთი სიტყვითაც არ ეხება იგი ძველი რუსული მწერლობის უღიბეს ძეგლს „ოგორის ლაშქრობას“ ან „აღლა შერომეს“, თითქოს ისინი არც კი არიან შეტანილი „ანთოლოგიაში“. რა მიზეზით მოხდა, რომ ჩემს მიერ თარგმნილი რომელიმე თორმეტსტრიქონიანი ლექსის განხილვას მეტ ადგილს უთმობს რეცენზენტი, ვიდრე, მაგალითად, ე. მაგრიციის და „ანთოლოგიაში“ მოთავსებულ მისი თანამედ. სტრიქონს.

რეცენზენტი სწერს: „ახლა კი გვინდა მოვავლობთ მას დანარჩენ შედომებზედაც. ეს მით უფრო საჭიროა, რომ იმ შკითხველს, რომელსაც „მნათობში“ დაბეჭდილი ჩემი წერილი წაეთხულები არა აქვს. ისეთი მოაქედნილება არ დარჩეს, ვითომ მე მართლაც „უმართებულად კრიტიკის“ დამწერი ვიყო“. აი ეს ნაერთი ვინცაღება ის, რაც „მნათობის“ წინა ნომერში დაბეჭდა მან, უნდა ხელახლა მოათავსოს იმავე „მნათობში“ იმის სწიშით, რომ შეიძლება წინააღმდეგ ნომერი წაეთხულები არ ჰქონდეს „მნათობის“ ზოგიერთ შკითხველს. თუ ასეა, მაშინ ჩემი წერილი, რომელიც „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დაიბეჭდა, მე მთლიანად უნდა გაეამეორა აქ. ასეთი საზარეო „დასაბუთების“ შემდეგ მას მოჰყავს ხელახლა ითხი თავისი შენიშვნა — ორი ბლოკედან, ორიც ტიფტხევიდან. განვიხილოთ თხივე შენიშვნა.

მას მოჰყავს ბლოკის „სკეითხიდან“ სტრიქონი „И Кельна дымные громады“ და კთახულობს „ნუთუ ე. ჯივინაძეს ჰგონია, რომ აქ „ქარხნებზე“ არის ლამარაკი?“ რატომ თავად არ განმარტა რეცენზენტმა ეს. სტრიქონი ან პირველ წერილში, ან მეორეში? არ განმარტა იმიტომ, რომ უმინია შეცდომა არ ჩადინოს და ფრთხილობს. ის ალბათ ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება კელნის ვევერტოლო ტაძარი, მაგრამ არ აშხობს. მაინც ეს აშხობს არის საუფუველს მოკლებული. მაგრამ თუ აქ ნამდვილად კელნის დიდი ტაძარი იგულისხმებ, მაშინ გაუგებრობის მიზეზად უნდა ჩითვალოს თვით რუსული დედინი თავისი მრავლობითი რიცხვით („дымные громады“).

მეორე შენიშვნა: „სად გავირილა „შამფურზე შევაღად ავება“ ბლოკის „И мясо белых братьев жарить“-ის მაგიერ? განა ვევერტორი რაც შეიჭება უსათოდ ქარაფელურად „შამფურზე“ უნდა ავასო? ნუთუ ამისაც არ სცნობს ე. ჯივინაძე დედინის უბეშ დამახინჯებად?“

ტექსტის არავითარ დამახინჯების მე აქ არა ვხედავ. ლექსში ჰუნებზეა ლამარაკი და

ნეთე მართლა ჰგონია შ. ალბაზიშვილს, რომ შამფურზე ხორცის შეწევა გართევლების მოგონილია? ეტყობა ხალხების ყოფა-ცხოვრების ისტორია მის არ სცოდნია.

ალბა ზენტრევის შესახებ. ის მიეიფინებს, რომ მე ვითომც ვერ ვამიგია მის ლექსში ორი სიტყვა „разят“, და „обаянны“. საიდან მოიტანა მან ეს ამბავი, რა სახეობითა სწერს ამას? ტიტუტებს აქვს: „Помертвельные их очи льдыстым ужасом разят“, თარგმანი — „მკვეთრობენ მათი თვალები მკედრული ყინულგვანი საშინელებით“. რითმთან ლექსში ძნელად შეიძლება ამაზე უფრო დაახლოვებული თარგმანი. რეცენზენტი ფიქრობს, რომ აქ მე, ნაცვლად სიტყვისა „მკვეთრობენ“, უნდა მქონდეს „აოცებენ ადამიანებს“.

აქედით მეორე სიტყვა თავის კონტექსტში:

„Властью некой обаянны.  
До восшествия зарн,  
Дремлют, грозны и туманы,  
Словно падшие цари!“

თარგმანი:

„გარბერაყამდე, თითქოს აქ სენით,  
ან ჯადოს ძალით შეპერობილები,  
სოფლებენ ღრუბლებში რისხვით საცხენი.  
ვით ხელმწიფენი დამხობილები“.

რეცენზენტი ფიქრობს, რომ აქ უნდა იყოს „რალც ძალით შოჯადობებულნი სოფლებენ“ და თითქოს მე აქ სიტყვა „обаянны“ გამოგია, როგორც „обятые“. ეს პირდაპირ საოცარი ამბავია! „обаянны“ ნიშნავს სწორედ იმას, რაც თარგმანში სწერია — „ჯადოს ძალით შეპერობილები“.

აი, ყველა მისი გამეორებული შენიშვნა.

ჩემს მოსახრებებს რითმების შესახებ ისე ამუქებს შ. ალბაზიშვილი, თითქოს მე იმ აზრისა ვიყო, რომ შინაარსი უნდა ენაცვალის რითმებს. რა არასაკადრისი საკამათო ხერხია მოწინააღმდეგვის აზრის ამგვარი დამახინჯება! რითმიც და ყველა ვერსიფიკაციული ხერხი საჭიროა სწორედ იმისათვის, რომ ლექსის შინაარსი ზედმიწევნით იქნეს გადმოცემული. ვანვიორებით და ვადაპირით უნდა ვთქვათ შემდეგა: ისეთი პოეტები, როგორც არიან პუშკინი და ლერმონტოვი (მეორე სხვა), უნდა ითარგმნებოდნენ სრული რითმით, ამ პოეტების თარგმნა კაცლი რითმებით არის ზელოვნების ნამდვილი პროფანაცია. კლასიკურ პოეზიას ახსიათებს უბრალო სრულხმოვანი რითმა და არა აუცილებლად ორიგინალური და უჩვეულო რითმის ძიება. პუშკინის რითმები სადაა, ზშირად ათასჯერ ხმარებული,

რასაც თვით პუშკინი სწიოდა, მაგრამ კოველთის სრულხმოვანი. ისეთ შედეგში, როგორცაა მისი ლექსი „საქარბიშვილს ნიშნებს“ ასეთი რითმაც კი არის „Мертвые хоронят“

ამის შემდეგ შევიჩრდეთ „აბინსარის შადრევნის“ თარგმანის საკითხზე, რომელსაც საგანუთო წერილში ვერ შევეხე, რადგან იგი ეტყულ განხილვის საჭიროებს. მე შევეხები აქ ყველა იმ შენიშვნას, რომლებსაც შ. ალბაზიშვილი აქეთებს თავის ძირითად რეცენზიაში („შინათობი“ № 8, გვ. 151).

მოვიყვანოთ პირველ შენიშვნაში დამუწეული ორი სტრიქონი მათი გარემოებით, რადგან მხოლოდ ცუტად თუ ბევრად ეტყულ ამონაწერს და არა კონტექსტიდან ამოვლული სიტყვებს შეუძლია დავგანახოს თარგმანის ნამდვილი ღირსება თუ ნაკლი.

დღენი:

„Все было тихо во дворец;  
Благоговей, все читали  
Приметы гнева и печали  
На сумрачном его лице.  
Но поелитель горделивой  
Махнул рукой нетерпеливой:  
И все, склонившись, идут вон,  
Одни в своих чертогах он;  
Свободней грудь его вздыхает.  
Живее строгое чело  
Волновые сердца выражает.  
Так бурны тучи отражает  
Залива зыбкое стекло“.

თარგმანი:

„იოგველიც ხმაური შეწყვეტილიყო.  
და შენიშნავდა ყოველი თვალი,  
რომ რისხვისა და ნაღველის ცვალი  
პირქუშ სახეზე აღბეჭდილიყო.  
მაგრამ მან მზერა აღმართა ცხელი  
და შეაქნია ერთხმად ხელი.  
მეის დაიკალა დარბაზი ფართო  
და სასაბლემი დარბაზის მარტო.  
მეტრდს უმოძრაიებს სუნთქვა გვიანი,  
შუბლი ცოცხალი და რისხვიანი  
აღბეჭდაც ვულის მღელვარე ტყენას.  
ვით საქარბიშვილი ღრუბლების დენას  
ზღვის ზედაპირი ნელკვლიანი“.

შ. ალბაზიშვილი აკრიტიკებს აქ ორ სტრიქონს: „მაგრამ მან მზერა აღმართა ცხელი და შეაქნია ერთხმად ხელი“. დღენის არავითარ დამახინჯებას აქ ადგილი არა აქვს. მართალია, პუშკინის არ უწერია, რომ ვიჩრევი ასწია თავი, ან თვალი თუ მზერა აღმართა ზევით, მაგრამ თავდადრკით მკედომარე ვიჩრეისაგან ეს მოძ-



რობა იგულისხმება მაშინ, როდესაც ის გამო-  
ერკვა ფიქრიდან და ხელის აქნევით ანიშნა  
გასვლა კარისაკენ. ვეგბ მხატვრულად, არ  
მოსწონს რეცენზენტს ეს ორი სტრიქონი?  
მერე რა ვუყოთ? ეს მისი პირადი გემოვნების  
საკითხია მხოლოდ.

რეცენზენტი შემდეგ მკითხება, თუ რატომ  
მიწერია მე ვენუქი და არა საჭურისი. იმიტომ,  
რომ ასე სჯობს. ვენუქი არის პერძნული სიტ-  
ყვა, ნიშნავს საწოლის დარაჯს და იხმარება  
ყველა ენაზე აგრეთვე ქართულადც (იხ. ი. იმე-  
დაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონი და აგ-  
რეთვე გ. ახვლედიანისა და ს. ოორდანიშვილის  
მეორე შედგენილი რუსულ-ქართული ლექსიკო-  
ნი). ვენუქი უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე საჭუ-  
რისი. ყოველი ვენუქი საჭურისია, მაგრამ ყო-  
ველი საჭურისი როდია ვენუქი; მაგალითად,  
სპარსეთის შაჰი ალა მამად-ხანი იყო საჭურისი  
და არა ვენუქი. რეცენზენტი ჯერ თავათ უნდა  
გარკვეულიყო ამ საკითხში და მერე მე შემომ-  
დაეხილა.

განიხილოთ რეცენზენტის მესამე შენიშვნა-  
ვენუქი სდარაჯობს ვიჩეის ცოლებს; პეშინი  
სწერს, რომ ხანის ნება-სურვილი კანონია ვე-  
ნუქისათვის, რომ ეს უკანასკნელი უფრანის  
მცნებას მერე სისასტიკით როდი იცავს. მე კი  
თარგმანში მიწერია, რომ ვენუქი თვალს ადევ-  
ნებს, რათა ხანის ცოლები ასრულებდნენ უფ-  
რანის მცნებას. უკველად გულისყურს ულა-  
ატნია აქ ზემოთს. ეს მართლაც არის ტექს-  
ტიდან გადმავლა.

მ. ალხაზიშვილის მეოთხე შენიშვნა ასეთია:  
„ცამ ტყე-ველი და სოფლები მშვიდი... დაადუ-  
მა“ სთარგმნის ვ. ჭიჭინაძე. მაგრამ რა შუაშია  
აქ ცა? ცამ კი არ დაადუმა ტყე-ველი, არამედ  
ომმა“. მოვიყვანოთ ეს ადგილი მთლიანად:

„მეის დამახინჯდა უმკაცრეს ომით  
აყვავებული ბრწყინვალე მხარე,  
ღმინს ვიდაესხა ნაღველი მწარე  
და დაადუმა მრისხნავ წყრომით  
ცამ ტყე-ველი და სოფლები მშვიდი“.

აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ყველაფე-  
რი უბედურება ომის გამო დატრიალდა, ხოლო  
ომს ხალხი უწოდებს ლეთისრისხვას, ცის წყრო-  
მს.

უსაფუძვლოა მეზოთე, ესე იგი უკანასკნელი  
შენიშვნა რეცენზენტისა. მოვიყვანოთ აქაც მის  
მეორე გაკრიტიკებული სტრიქონები ვრცელი  
გარემოცვით. დედანი:

„Вошла, взирает с изумленьем...  
И тайный страх в нее проник.“

Лампада свет удивленный,  
Кивот, печально озаренный  
Пречистой девы кротким светом  
И крест, любви символ священный...  
Грузинка, все в душе твоей  
Родное что-то пробудило,  
Все звуками забытых дней  
Невнятно вдруг заговорило.  
Пред ней покоилась княжна,  
И жаром девственного сна  
Ее ланиты оживлялись  
И, слез являя свежий след,  
Улыбкой томной озарялись:  
Так озаряет лунный свет  
Дождем отягощенный цвет...“

თარგმანი:

„შვიდა, ირველიე მოველი მხერია  
და შიშით გულმან დაუწყო ძვარა.  
ხედეს იქ სანთლის ვაცრეცილ სხივსა  
და განათებულს ოდნე სახატეს;  
იქ ლეთისმშობელი მოსხანდა წყნარი  
და სიყვარულის სიმბოლო — ჯვარი...  
თითქოს ზეწარი რაღაც ახალს,  
ქართული ქალო, შესს მიმნარ სულსა,  
თითქოს მოგესმა ხმა მშობლიური,  
თითქოს ისარი მოხვდა მზიური  
გადაფრეებულ უჩინარ წყლულსა-  
იწეა იმის წინ თივლის ქალო,  
და ქალწულღმრთე თბილის ძილითა  
ასწითლებოდა ღაქვები მკრთალი.  
ზედვე უჩანდა ცრემლების კვალი  
გასხვინსნებულს წყნარ ღიმილითა:  
ასევე აყვავის, დატვირთულს ნაშთს,  
ააფურადებს მოთვარე ღამით“.

რეცენზენტი მიკვირებს, რომ პეშინის სიტ-  
ყვები „Грузинка, все в душе твоей род-  
ное что-то пробудило, все звуками забы-  
тых дней невнятно вдруг заговорило“ მე  
გავრცელებულად მაჭეს გადმოცემული. მერე  
რა არის აქ დაუშვებელი? რითიანი ლექსის  
თარგმნა როგორ შეიძლება ისე, თუ მთარგმ-  
ნელს, რომელიც მით უმეტეს სრულ რითმებს  
იცავს, არ მიეცა უფლება ორიგინალის ესა თუ  
ის ფრაზა განავრცოს, ან შეამოკოს? ზეწარი  
აქ ის დავიწყების ზეწარია, რომელმაც დაჟფ-  
რა ზარემას სულში მისი ბავშვობის მოგონება,  
როდესაც ის ქრისტიაანი იყო; მზიური ისარი  
ნიშნავს იმ ნათელ მზებს (ქრისტიაანული გა-  
რემოცვა მარისს ოთახში), რომელმაც ზარემას  
გულში დიდიხნის მომშენებელი წყლული გახს-  
ნა ისევე (ბავშვობის მოგონება, ტყვედ რომ წა-  
იყვანეს მუსლიმანურ ქვეყანაში). არაფერი და-



მხინჯებელი აქ არ არის, ყველაფერი თავის როზეა. აქ მოყვანილი ნაწიყების მხებდეთავე შეუძლია მკითხველს შეადგას, თუ რა სიმაღლეზე სდგას ეს თარგმანი, რომელსაც ასე უმაროებულად აბაზრებებს რეცენზენტი.

ჩემს პასუხში („ლიტერატურა და ხელოვნება“ № 41) მე დაწერილებით განვიხილე პუშკინის ორი ლექსის თარგმანი, რომლებსაც შ. ალხაზიშვილი ვანსაკუთრებით დაშორებულად სთვლიდა დედნისაგან და პასუხი გავეცე ყველა მის ბრალდებას. ახლა იგი, ისევე უბარუნდება ამ თარგმანებს. პირველი ლექსის შესახებ („დავასამარე სურვილი ყველა“) სრულებით ვერაფერს ამბობს და ტყუილ-უბრალოდ არკვევს მხოლოდ მისი დაწერის თარიღს. ამას ის აჯობებდა, ითქვა მას ჩვენითვის, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად მისი „უმათრის ქარბუჯის სტეპია“?

მეორე ლექსის გამო („ჯიღლი ამო და შემთხვევითი“), კიდევ შეკამათება რეცენზენტით. ის ამბობს, რომ არ შეიძლება ითქვას „გული ვამოშრა“ და თავისი აზრის დისამტყვევებლად ამ გამოთქმას რუსულად სთარგმნის „сердце выдохну“. ვინ მოახსენა მას, რომ ყოველი ქართული გამოთქმა სხვადასხვა უნდა ითარგმნოს რუსულად? შ. ალხაზიშვილი სწერს: „თუ პუშკინის გული გამოშრა, მაშინ მისი გული უთუოდ მკვდათი უნდა იყოს“. ეტყობა, რომ ამის დამწერს ნაღობი წარმოადგენა აქვს შეტადორულ მეთყველებზე. თუ შ. ალხაზიშვილის ლოლიკას ვაყვავით, ქართული სიტყვები „გული დამშედღრა“ ისე უნდა ვაგვიგოთ, რომ ამის მიქმელს მდღობარე წყალი გადასხა ვიღაცამ გულზე. ან გამოთქმას „გული დამწევა“ იმის მანყენებელია, რომ გულს ცეცხლი მოეკიდეს და დასწვეს. მგარან ყველაზე უცნაური ამბავი ის არის, რომ, რეცენზენტის აზრით პუშკინის სიტყვები „из ничтожества возвыл“ ვითომც „არარაობის სამყაროდან გამოწვევას“ კი არ ნიშნავს, რაც უმეველად ასეა, არამედ იმ არარაობიდან გამოზზობის, რასაც ერთ ხანს ვითომც პუშკინი წარმოადგენდა თავის სიციცხლეში „როდესაც იგი ჯერ კიდევ არ განსხვავდებოდა სხვა ადამიანებისაგან“. მაგრამ, გვითხრას რეცენზენტმა, როდის არ განსხვავდებოდა სხვა ადამიანებისაგან პუშკინი, რომელმაც სიყმაწვილეშივე შეიქცია ყურადღება თავისი ლექსებით და სულ მალე მთელი ლიტერატურული რუსეთის ყურადღების ცენტრად გადაიქცა? განა ამ ლექსის დასაწყისი „Дар природы, дар случаями. жизнь, зачем ты мне дана?“ აშკარად არ გვიჩვენებს, რომ პუშკინს აქ მხედველობაში აქვს ფილოსოფიური საკითხი — სიცოცხლის რაობა და არა ყოფილებობის ამა-

ვი? სწორედ ამიტომ დაეცა თავის ამ ლექსს პუშკინის ზოგიერთი მოწინააღმდეგე და ამიტომაც დასკირდა ამ ლექსის დიკცია მკლანესი. კიდევ ერთი მაგალითი პუშკინიდან. რეცენზენტი აღმთათებელია, რომ სტრიქონი „Ты неси Грузи печальюю“ მითარგმნა „ქართულ სიმღერას ესოდნ მწარეს“. ამავე დროს იგი უმაღავს მკითხველს, თარგმანის მოზღვერო სტრიქონს— „ამ ნაღობანის ჰანტე მავონზე“... პოეტს აქ მხედველობაში აქვს ქართული ნაღობიანი სიმღერა, რომელიც მას მწარე მოგონებას აღებრავს. პოეტის თქმით, ეს ქართული სიმღერა არის „жестокые напева“ და რატომ არ შემეძლო მეთქვა მე, რომ იგი მწარეა?

რატომ არაფერი გვითხრა შ. ალხაზიშვილმა თავის პასუხში „ხმლებიან“ და „დენებების“ შესახებ ლერმონტოვის „დემონთან“ დაკავშირებით? საიდან ამოიღო მან თავისი ვარიანტი, ახალი გამოკვება ჰქონდა ხელი, თუ ძველი? რაკი ლერმონტოვზე ჩამოვარდა სიტყვა, არ შეიძლება მეორე მაგალითიც არ მოვიყვანოთ რეცენზენტის კრიტიკიდან. იგი სწერს პირველ წერილშიც და მეორეშიც, რადგან ეს შენიშვნა მას ალბათ გამანადგურებელი ჰქონია, შემდეგს „რიტმისთვის“ „ფარით — მარტო“ კ. ჰიჭინაძე ლერმონტოვის „დემონში“ კაცასიის ვიწრო ზეობაში ფართო სიერცეს ხედავს: „პარარაობა მშლება მონასტრიდან, რომელიც მდებარეობდა ორ ვორაკს შუა მალლობზე, საიდანაც ქვემოდ ჩამოზობოდნენ ნაკადლები და მოსჩანდა არა თუ „ფართო სიერცე“, არამედ თოვლიანი კაცასიონის ქედიც კი ჩრდილოეთით. პოემის მეორე ნაწილის მე-4 თავში აწერილია ის უზარმაზარი ზედი, რომელიც იშლება ამ მონასტრიდან. რეცენზენტს კი ჰქონია, ალბათ, რომ ეს მონასტერი დარიალის ვიწრო ზეობაშია მოქცეული“.

ბოლოს შ. ალხაზიშვილი სწერს: „კ. ჰიჭინაძე გულტრყვილოდ ვაიძახის, 1928 წელს გამოცემულ პუშკინის ნაწარმოებთა კრებულში ხსენებული სტროფი არ არის შეტანილი“. გულტრყვილოდ კი არ ვაიძახი, დაბეჯითებით მოვახსენე ეს მე ჩემს რეცენზენტს. 1937 წელს, პუშკინის იტბილეს დროს, მოსკოვში მწერალთა საკავშირო პლენუმზე მე გამოველო ვამობილი მწერლებისა და პუშკინისტების წინაშე ვრცელი სიტყვით საზრდაქციო საკითხების შესახებ დიდი პოეტის შემოქმედებასთან დაკავშირებით და აღვნიშნე ზოგიერთი შეცდომა

ტომშვესკის რედაქციაში. მაგრამ, როდესაც რეცენზენტი ეცხავს ტომშვესკის, მან უნდა იცოდეს, რომ ტომშვესკი არის პუშკინის უკანასკნელი გამოცემების რედაქტორი და აგრეთ-

ვე რედაქტორი მომავალი დიდი საბჭოთაო გამოცემისა, რაც ამასწინათ პრეზიუმირებული ასეთია ჩვენი პასუხი შ. ალტმანის მიერ ტაყელ შენიშვნებზე.

### ჩამატებისაზარი

კ. კვიციანი ამ წერილით „მნათობის“ რედაქცია ამბავს ღიადის „რუსული პოეზიის ანთოლოგიის“ ქართულ ენაზე გამოცემის გამო. ეს ანთოლოგია ქართული საბჭოთა კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შენამუხია. დიდი რუსი ხალხის კლასიკური და თანამედროვე პოეტური კულტურის დამახასიათებელ ნაწარმოებთა თარგმნა ქართულ ენაზე უდიდესი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. ბუნებრივია, რომ საბჭოთა საზოგადოებრივობა ღრმად არის დაინტერესებული რუსული პოეზიის ნიმუშების ქართულად თარგმნის მაღალი ხარისხით. სწორედ ამ საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარეობდა „მნათობის“ რედაქცია, როდესაც თავის ფურცლებზე ადგილი დაეთმო შალვა ალხაიშვილის კრიტიკულ შენიშვნებს „რუსული პოეზიის ან-

თოლოგიის“ და კერძოდ კ. კვიციანის თარგმანთა შესახებ. რედაქციამ საშუალება მისცა აგრეთვე კ. კვიციანს პასუხი გაეცა კრიტიკასათვის.

დისკუსიამ ნათლად გვიჩვენა, რომ კ. კვიციანს, რომელიც დამსახურებულად ითვლება პოეტური თარგმანის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად ჩვენში, ზოგჯერ შეეძლო დაეუშვია რუს პოეტების ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის დროს, არა ერთხელ დამორბეობა ორიგინალის ტექსტს.

რედაქცია იმედოვნებს, რომ ჩვენი მთარგმნელები ამ დისკუსიიდან შესაფერ დასკვნებს გამოიტანენ და მომავალში უფრო მეტის გულმოდგინებით იბრძოლებენ მხატვრული თარგმანის მაღალ ხარისხისათვის.

## ბიბლიოგრაფია



„პაპანიჩის ბანკოცხვა“

ნიჟიერად თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებები შედის იმა-თუ-იმ ერის კულტურის საგანძურში.

მთარგმნელს უნდა უფვარდეს ის წიგნი, რომელსაც სთარგმნის და ამავე დროს თვალის ჩინიეთ უნდა უვლდეს მშობლიური ენის სიწმინდეს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი მთარგმნელი და ხანდახან გამოცემლობის ზოგიერთი მუშაკი და რედაქტორი მეტისმეტად არაკეთილსინდისიერად და დაუდევრად გვიღებინ ამ ფრიალ შინაშენელოვან საქმეს.

ეს რომ ასეა, ამას იდსტრუტებს შარშან საბლოტგამის მიერ გამოცემული ან. ვინოგრადელის რომანი „პაპანიჩის ვანკიცხვა“ (მთარგმნელი თ. სვანი).

ამ ოთხსვევრდიან წიგნში ბევრი არ მოიჭებნება ისეთი აბზაცი, თავიდან ბოლომდე სწორად რომ იყოს თარგმნილი. რა უნდა გაივის მოხარდმა მკითხველმა ასეთი ქართულთ ნათარგმნი წიგნიდან:

„მე რომ დამიბრუნდებოდეს ჩემი ყოფილი ხმა, რომელიც ჯანსაღი აღმიაწინის საწინდარია, მე საშუალება მექნებოდა მიმეშართა ჩემი თავისაღმი უკმაყოფილო სიტყვებით იმათთვის, ვინც მე მისმენს“.

ან კიდევ:

„გრძელმკლავა, მრუდე ფეხების უზარმაზარ ტერფებით, ხელის გრძელ მტევნებზე გრძელთითობიანი ბაქშის მთელ გარეგრობასთან თავისი შეუსაბამობით გაოცებდნენ არაქვეულებრივად ღამაზი თვლები“.

ან კიდევ:

„პაეშვი ისე უფერებდა დახვეულ კერტაკს, თითქოს იგი მისი საკუთარი ტყავის დამგლეჯი კრილობა ყოფილიყოს“.

ბევრი ასეთი მაგალითის ამოწერა შეიძლება ამ წიგნიდან, მაგრამ ეს კიდევ არაფერი — მთარგმნელი ვერ ახერხებს ისეთი უბრალო წინადადების თარგმნას, როგორცაა, მაგალითად,

„Потягивая кофе“

„მიიწია ფავა“, სწერს მთარგმნელი. კი-არ

„მიიწია“, არამედ წრებავს, ნელნელა სვამს ფავას.

„Горы давят сознание“

„გონებას ზვართი აწევბა“ — გაუგებარია, რა არის ეს ზვართი.

„Дух захватывало“ უთარგმნია, როგორც „სული უჭრწოდა“ მაშინ როდესაც პაპანიჩს სული შეეხეთა.

„Он смотрел на высокие своды“

„ის შეპურებდა მაღალ დეროებს“.

„Продавец овощей“

„ბოსტნეულის ვაჭარი“. საოცარია, რომ ეს ორი უბრალო სიტყვაც კი სწორად ვერ სთარგმნა აბზ. თ. სვანმა.

„Речь шла о затее отца“

„ლაპარაკი იყო მამის აკვიატებაზე“ — თუ ვაზრახვებზე.

„Повязывая вуаль вокруг шеи“

„გზადავა ისევედა ველზე ველსაბევის“, — თუ პირზადეს, ვინდა პირსაბურავს, ლუჩაქს, ჩიქილას...

„Через несколько границ перелетают письма“

„რამდენიმე საზღვარზე მიფრინავენ წერილები“.

„После чего посажен благополучно в тюрьму“

„რის შემდეგ მშვილობით ჩასვეს ციხეში“.

„манящую игру будущего“

„მყოზადის თამაშის მიწიდელობას“. მთარგმნელმა ვერ გაიგო, რომ აქ ლაპარაკი მომავლის მიწიდელო ბრწყინვალეებაზე და არა „მყოზადის თამაშის მიწიდელობაზე“

„Выливал озлобление“.

„იჭარებდა გაბოროტებას“

„Были исписаны новые тетради“.

„დიწერა ახალი რვეულები“

„Некоторая сумма была отправлена“.

„ერთგვარი თანხა გადაგზავნა“

„И миром этой зауряднейшей семье“.

„ამ მახინჯ ოჯახის არსის“ — ლაპარაკი პაპანიჩის ოჯახზე. რატომ უწოდა მთარგმნელმა ამ ოჯახს მახინჯი ოჯახი, ჩვენთვის სრულიად გაუგებარია.



„Гарди исповедывался“.  
 „გარდი აღსარებას ახეულია“.  
 „Никола с удивлением слушала эти разговоры, передаваемые из уст в уста“.  
 „ნიკოლო გაკვირვებით ისმენდა, ზავიდან ზავში გადამავალ სიტყვებს“.  
 „Внезапный обморок сломил ее силы“.  
 „უეცარი ველის წისვლით შენეულა მისი ძალა“.

„Тисненная кожа“.  
 „ნატყფრი და არა „ვარაყაანი ტყავი“  
 „Молчание мальчика“.  
 „ბავშვის იდუმლობა“.  
 „Песок на морском берегу был еще закрыт тонкой пеленой быстро убегающего под утренним ветром тумана“.

„ზღვის პირა ქვეშა ჯერ ისევ დაფარული იყო დილის წიავით, სწრაფად შეტრავი თხელი წისლით“.  
 „ქვიში წიავით იყო დაფარული“!  
 „Потом ехали в гору“.  
 „შემდეგ აღიოდნენ მთაში“.  
 „არავითარი მთა... მგზავრები მზოლად აღმართზე აღიოდნენ“.

„После успешного концерта“.  
 „წარმატებითი კონცერტის შემდეგ“.  
 „В комнате... мебельровка была убогая“.  
 „ოთახში... მოწყობილება იყო ღარიბი“.  
 „რატომ არ შეიძლებოდა, ოთახში ღარიბული ივეჯი იდგა, ან ოთახი ღარიბულად იყო მოწყობილი“.

„Маленький Паганини... протягивая к отцу руки, сбивчиво и бестолково рассказывал о случившемся“.  
 „პატარა პაგანინი... ხელაყრობილი, უთავბოლოდ და სრულად ჰყვებოდა მომხდარ ამბავს“.  
 „ჯერ ერთი, — რატომ „ხელაყრობილი“? როცა რესულად ვარკვევით სწერია: „протягивая к отцу руки“.

მეორეც — რას ნიშნავს, ან რა ქართულია „სრულად ჰყვებოდა“? ყოველ შემთხვევაში სბიხივით-სთან ამ სიტყვას არაფერი საერთო არა აქვს.

„Мальчик... с руками, достававшими почти до вывороченных наружу коленных чашек“.

„ბავშვი... მკლავებით, რომლებიც თითქმის სწვდებოდა მუხლის გამხმარ კვირისტავეებს“.  
 „მთარგმნელს არ ესმის, რომ ამ შემთხვევაში რუკანი არ შეიძლება მთარგმნის „მკლავებში“ დედად“.  
 „უნდა იყოს იტილებლად ხელეზი, რადგან „მკლავები“ ყოვლად შეუძლებელია „თითქმის სწვდებოდეს მუხლის გამხმარ კვირისტავეებს“.  
 ამას გარდა ფრანზა — „Вывороченных наружу коленных чашек“ ძე-

ლიან იღვილად სთარგმნა თ. სეანმა „მეზღვრის გამხმარ კვირისტავეებად“ კაცს, რადგან მისთვის მისი გაუცხმა, იგი ფეხით ნახევარ ვერძისა ვერ შემოივლის.

„გახიხდა კერტაქი, დაიდო სასთუმლოდ და წამოწვა ზალახზე. ძილი ვერ მოახერხა ლოყახზე დაეცა რალაც მავარი. პაგანინი სიხარულით წამოხტა. ეს იყო ვერცხლის ხეთორან-კიანი“.

აქ ვველაფერი თითქოს რიგზეა და მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ზალახზე მოვლემარე პაგანინს ვიღაც გამვლელმა ვერცხლის ფული ესროლა. მაგრამ დედანში ასე როდია. ეს ვერცხლის ფული დედამ ფართულად ჩაუყვრა კერტაქი პაგანინს და როდესაც პაგანინმა კერტაქი სასთუმლად დაიდო, მაშინ „под шкуру попал твердый кружок да арა ლოყახზე დაეცა რალაც მავარი“.

„На маленькой отвратительной станции“.  
 „პატარა საზარელ სადგურზე“.

„მას დაესიხმრა თეთრი კიბე შავი იალკილის თავზე“. რას ნიშნავს „შავი იალკილი“.  
 „რესულად სწერია „Ему снилась огромный белая лестница над черным прогалом“.

„прогал“ თ. სევამ უთარგმნია. როგორც იალკილი. იალკილი კი ნიშნავს ცაში მიმოფანტულ ღრუბელს. რა შეუძლია აქ ეს სიტყვა, როდესაც ნაწარმოების ავტორი ლაპარაკობს „შავი უფსკრულის პირას აღმართულ თეთრ კიბეზე“. ეს მთარგმნელისათვის მით უფრო ნათელი უნდა ყოფილიყო. ვინაიდან შემდეგ წინადადებაში თვითონვე სწერს: „ფეხი რომ დაამიჯოს ერთერთ ამ კიბეს, უფსკრულში ჩავარდებო“.

„Ему давно не хватало воздуха и не было этого путешествия в Лукку, он бежал бы юнгой на корабле“.

მთარგმნელი სიტყვა-სიტყვით სთარგმნის: „მას დიდი ხანი არა ჰყოფნიდა ჰაერი“, რაც სწორად არ გადმოგვეცემს დედნის შინაარსს. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ პაგანინს ერთ დღეზე ყოფნა მიზეზრდა და თავისი ცხოვრების შეცვლა სწეროდა. ამიტომ ლაპარაკობს ქვემოდ ავტორი, რომ პაგანინი „იუნგად შევიდოდა გემზე. პატარა მზარეული გაბდებოდა ინგლისურ რესტორანში, იგი ვველაფერში ვასცვლიდა ოჯახის უფერულ დღეებს“.

„От слова до слова“ „ყოველი სიტყვა-სიტყვამდე“

„Проздвование наступления нового века“.  
 „ახალი საუკუნის დადგომის ღრუბა“  
 „Минуты тревоги отроческого сознания“.  
 „ყარბული შეგნების შემდგომების წუთები“.

„Первая игра в притоне“.

„ბუნგაჰი პირველი თამაში“.

„Несмотря.. на завистливые и почти ненавидящие взгляды, которые бросал на него брат“.

„მეზღავად შურიანი და მოძლე მზერა-სა, რომელსაც აყრიდა ძმა“. ასე უპასუხის-შგებლოდ „აერის“ მთარგმნელი თავის მზერას საბლიტვამის მიერ ახუჩად ავლებულ წიგნს.

„Принимая все за чистую монету“.

„ყოველივე ძალს ჭეშმარიტებად იღებდა“.

„Брызги ртути, которые дробятся“.

„ვერცხლის წყლის მზებებს, რომლებიც იცარებოდნენ“.

„Он играл, как одержимый“.

„იგი უკრავდა, როგორც შეპყრობილი“.

„Мелкослойная соль“.

„სულ ფენოვანი ნაჭი“.

„ის მსუბუქი და თითქმის უმნიშვნელი ღარტყმით სცემდა ხელის მტევნებზე და უღურავდა მათ“. თუ უმნიშვნელი ღარტყმა იყო, როგორღა უღურავდა ხელებს, ან რა გამოითქვია, „ღარტყმით სცემდა“. ავტორი კი სწერს: „Он незаметными ударами бил его“.

„რა ეშმაკი დავატარებს ქუჩებში, როდესაც მე ორი დღეა ევლილობ გრავ კოზიოსთან შენს მიღებას“, ეუბნება მამა პავლინს. ძნელი ვასაგებია, რას ამბობს მთარგმნელი. ვინ უნდა მიიღოს პავლინი, თვითონ მამამ, თუ გრავმა კოზიომ?!

„დღეს, შუადღისას ვულის ვახეთქით გარდიოვალა მსოფლიო ვიოლინისტი“. ქარაფე-ლი კაცი იტყობა—ველი გაუსვდა და გარდიოვალა.

„Ловким жестом откинув занавеску“.

„ფარდის სარისტიანი ვაღაწვეით“. რა არის ეს „სარისტიანი ვაღაწვეა“.

„Он кланялся низко“.

„დაბლა უყრავდა თავს“.

„Река времени его несла“.

„მდინარეს მიჰქონდა მისი ეპი“

შეიღმა მამას ტანისამოსი დაუმაღა. ბევრი ძებნის შემდეგ იპოვნეს მხოლოდ ცალი წინდა და შარვალი და ამიტომ „Поиски принадлежностей туалета продолжались“.

მთარგმნელი კი სწერს: „ტელუტის ხელსაწყოების ძებნა გრძელდებოდა“-ო. „ფუხსაწყო“ რომ ეთქვა, უკეთესი იქნებოდა, რად-ვან წინდას ეს უფრო შეეფერება.

„Наступает час концерта“.

„დგება კონცერტის დროების ეპი“.

„Гарисе с рассеянным видом слушает“.

„დაბნეული სახის მტრულადმოქმედ უსკენს სარისა“. პირდაპირ სოციალურ-კრიტიკულ-ურთ-ნა აქ მთარგმნელმა სიტყვიერებაში შეცვალა.

მთარგმნელს რატომღაც მეზღვეური უთარგ-მნია ზღაპრისად. დერეფანი—შუკად. მიხარ-ნილი მოხუცი — ქანცობილულად. ხელოს-ანი — მიხელებდ, სასახლე — სახლად. საყ-ვლო — საყვლურად. შარბაზნები — ქვეშე-ბად, მეფე კარლოსი — მეფე შარლად. სახე — ქარგად. შუკანი — შუკანილეთად. სახე — პი-რად და სხვა.

ბშორად მთარგმნელი დედანს არავითარ არ-ვარიშს თან უწევს და რა სიტყვიერ პირველად მოუვა თავში, მაშინვე ჩასწერს ხოლმე ამ-თუ იმ წინადადებაში.

მაგალითად: ავტორი სწერს: „Башмаки старика плавали в вине“.

მთარგმნელი სწერს: „მოხუციის ტანსაცმელი ცურავდა ღვინოში“.

ავტორი სწერს: „Это дерево сушили де-сятки лет“.

მთარგმნელი სწერს: „ამ ხეს ახმობდნენ ასეული წლობით“. საინტერესოა, რამდენა-ჯაობის სიცოცხლე მოენდა ამ ერთი ხის ვახშობას.

ავტორი სწერს: „Люди за кустами у-костра“.

მთარგმნელი სწერს: „ხალხი ქუჩებს იჭეთ, კოლონთან“. აღბათ მთარგმნელისათვის სულ-ერთია, ხალხი „ქუჩების იჭეთ“ იწუნება თუ ბუნებრივად გადამა. მით უმეტეს, არც წიგნის რედაქტორს და არც გამომცემლობას ამის სი-წინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ.

ავტორი სწერს: „На третий день после-первого концерта“.

მთარგმნელი თავის ნებამე ასხვედრებს: „პირველი კონცერტის მეორე დღეს“.

ავტორი სწერს: „Маленький Ахилино.. протягивает ручонки вперед и складыв-вает ладони“.

მთარგმნელი სწერს: „პატარა აქილინო... ვა-ლა სწევს ხელებს და ატყავუნებს“.

ავტორი სწერს: „Выходил на эстраду“.

„ადიოდა ესტრადაზე“-ო, სწერს მთარგმნელი და არ უფიქრდება, რომ იმ პირობებში პავ-ლინისათვის ესტრადაზე ასედა შეუძლებელია.

ავტორი სწერს: „Он достиг двухсотой-ступени“.

მთარგმნელი სწერს: „მიაღწია მეორე საფე-ხურს“.

ავტორი სწერს: „В тысячный раз удив-лял“.

მთარგმნელი სწერს: „შეათყვერ აცვი-რებდა“.



ავტორი სწერს: „На воротах города“. მთარგმნელი სწერს: „ქალაქების კარბ-ვეებზე“.

ავტორი სწერს: „Быстрым движением убрав ступлет“.

მთარგმნელი სწერს: „სტილიტი სწორად შეინახა“. ვერც ერთი, — სწორად კი არა, სწრაფად შეინახა, მეორეც: — „სტილტს“ ქართულად ბებუთი ჰქვია.

თარგმანში ზშირად არის გამოტოვებული მინარსის ვასაგებად აუცილებელი სიტყვები და ხანდახან მთელი წინადადებებიც კი. რა უნდა გაიგოს მკითხველმა ასეთ აბღუბდაში: „მის ფიქრს, რომ მამის მკაცრმა დაყენებამ ვიოლინო გარდაქმნა თვით ზუნების მიერ მასთან, ახალგაზრდა პაგანინისთან, შეკავშირებულ ინსტრუმენტად, ახლა აღფრთოვანებაში მოჰყავდა“. წერტილი, გაუგებარია, ვის ან რას — ვინ მოჰყავდა ალტაცებაში. ამ საშინელ ქართულ ისიც დაემატა, რომ მთარგმნელმა გამოსტოვა შემდეგი სიტყვები: „...что он не разучился играть только благодаря тому“ და მთელი წინადადება გაუგებარი გახდა.

„Его ненависть к паганини растет по мере роста славы скрипача“.

„მისი ზიზღი პაგანინისადმი იზრდება ვიოლინისტის ზრდასთან ერთად“. გამოტოვებულია სიტყვა славы და გამოდის, რომ იზრდება არა ვიოლინისტის სახელი და დიდება, არამედ თვითონ პაგანინი.

„Распорота и иеряшливо защита подушка“.

ავტორმა გამოსტოვა რამდენიმე სიტყვა და ეს ფრაზა ასე სთარგმნა: „ამოკერილია ბა-

ლიში“, — რამაც ტექსტი სრულდებით დაამხინჯა.

„Теперь это смеивлось с нами, когда мы с тобой рым страданием, так как оскорбляли его отношение к музыке“.

„ახლა ეს შეიცვალა უფრო მწვევე ტანჯვით, რადგან შეურაცხოვდნენ მის დამოკიდებულებას“.

ვისთან? რასთან? მთარგმნელმა ჩვეულებრივად გამოსტოვა ერთი სიტყვა: „к музыке“ და წინადადება სრულიად გაუგებარი გახდა.

„удивлял и восхишал простодушную публику“.

„აუფრთვებდა გულბრველი საზოგადოებას“. ვინა მართო აუფრთვებდა, — ხიზლავდა, აჯადოებდა, ალტაცებაში მოჰყავდა საზოგადოება!

„Три полоски ткани вместо камня“.

„ქვის მსგავსი სამი ზოლი“-ო სწერს მთარგმნელი. რისი ზოლი? ან რატომ ქვის მსგავსი? ავტორი ზომ გარკვევით ლამაზაკობს: „ქვის ნაცვლად ქსოვილის სამი ზოლი“-ო.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მთელი წიგნი ასე დაუღვევრად და ჩიქორთულად არის მთარგმნი. წიგნი სრულიად არ ეტყობა რედაქტორის ზელი. ჩვენი მოზარდი მკითხველი სიზარულით ეწაფება ყოველ ახალ წიგნს. ასე გამოცემული წიგნი კი მას არაფერს შეჰმატებს.

იშვია, საბავშვო ლიტერატურის გამოცემულობის ახალი ბელმწვანელები დროულად გამოაწროებენ იმ ნაყოფანებებს, რომლებიც წლების განმავლობაში ზელს უშლიდნენ საბავშვო წიგნის კარგად თარგმნას.

**შეკითხვები**

**იოსებ ნონეშვილი — „ქარიშხლის შიმღებ“**

სარტყენითი ლექსთა კრებულით შეიძლება მთლიანი წარმოდგენა ვიჭინოთ ახალგაზრდა პოეტის იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაზე, რამდენადაც ამ წიგნში მისი რჩეული ნაწარმოებნი პოეტურ სარბიელზე გამოსვლიდან — დღემდე. ე. ი. ლექსები დიდი სამამულო ომის წინა წლებისა, ლექსები სამამულო ომზე და ომის შემდეგ მშვიდობიან მშენებლობაზე. საზელოდება „ქარიშხლის შემდეგ“ ავტორს წინანათვის მისი პირველი განყოფილების მხედვით მიუცია.

იოსებ ნონეშვილის სახელი ქართულ საბჭოთა პოეზიაში უკვე საკმაოდ ცნობილია. სა-

ქართველოს კომუნისტური პარტიის მე-14-ე ყრილობაზე, აშხანავმა კ. ნ. ჩარკვიანმა მალაი შეფასება მისცა მის ნაწარმოებს პოეტ რევაზ მარგარიანთან ერთად. ეს შეფასება კიდევ მეტად დასაბუღ შემოქმედებათს მუშაობას ავალებს ჩვენს ავტორს.

სარტყენითი წიგნის პირველი დამბასათებელი კარგი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თემატურად მზავალურგანია, მასში საბჭოთარ პატრიოტულ ლექსებთან ერთად, ლენინისა და სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებთან ერთად, ნახაუთ ლექსებს ზალბთა მშობაზე, ჩვენს ვმირულ წინაპრებზე, სიტრ-

ფილაო ლექსებთან ერთად სიმღერებს პოეტის მშობელ კუთხეზე-კახეთზე და ბოლოს წიგნში ავტორს შეუტანია რამოდენიმე თარგმანიც მისი თანატოლი პოეტების ლექსებისა რუსულიდან, სომხურიდან:

პირველი სიტყვა გვეთვისს ბელადს,  
ჩვენი ლექსი და ჩვენი სიმღერა,  
მისი ნათელი, ვით ცისარტყელა  
კიდით-კიდამდე ბრწყინავს შედევრად.

მის ქებას უნდა რუსთველის ჩანგი,  
უნდა აჯობო ლერწამის ველსაც.  
მე კი რას გავხედე უბრალო ფანქრით,  
როგორ შევკადრებ სიმღერას ჩემსას.

მავრამ ვგრძნობ—ჩვენი დროის რუსთველი  
ზღვია მზის ჩანგზე ოქროს ღარებით  
და მე მგოსანი გამოუღდეღვი  
მის კალმის ჩრდილში მივეფარები.

ეს დასრულებული სამეუბლებრიანი ლექსი ნამდვილად სწორად ვადმოხეცხვს არა მარტო იოსებ ნონეშვილის, არამედ ყველა მგოსნის მიმწრაფებას შესაფერად დახატონ დიდი ბუღლის ამხანაგ სტალინის სახე პოეტური სიტყვით, მავრამ ამ თემის უსაზღვრობა და სიდიადე, როგორც ახალგაზრდა პოეტი აღნიშნავს, თავის რუსთაველს ელის და ზემოთ მოყვანილი ლექსის ბოლო სტრიქონები მიტრამეც ეღერენ ასე ბუნებრივად:

„და მე მგოსანი გამოუღდეღვი  
მის კალმის ჩრდილში მივეფარები“.

დიდი ლენინისადმი მიძღვნილ ლექსში ავტორი ივრანებს სამამულო ომის მრისხანე დღეებს, როცა მტერთან შერკინებულ ვაჟკაცებს თავს დისტრიალებდათ ლენინის დიდი დროშა.

„ევრას გავალებდი ტყვია წყველი,  
რადგან სიკვდილთან კვეთების დროსაც  
გვეფარავდა მარად ცაღ-აწველი  
დიდი ლენინის ფრთალაი დროშა“.

და შემდეგ:

„დღეს, როცა შრომით  
ვაძაღლებთ ცისყენ,  
ახალი გარბნის ახალ ხარაბოს  
ჩვენს დიდ მოშავალს,  
გვერინო, ისევ  
მისი შექმნათი თვლიც სდარაჯობს“.

აქვეა მოთავსებული კარგო ლექსი პეტრის საბლზე ვორში: „მისი იყენის“ წიგნის იმ განყოფილებაში, რომლისთვისაც კარგადაა შესაბამისი სიმღერები“ დაურქმევს „ეს სსსრ-ში მამულო ომზეა ლექსები, მოთავსებულია ლექსი: „ბელადს უსმენდა ქვეყანა ვრცელი“ და წერილი ამხანაგ სტალინის გამოსვლის გამო ომის პირველ დღეებში.

პატრიოტიზმის წმინდა ვრანობითაა გავლენითი ამ წიგნში დაბეჭდილი ლექსები, განსაკუთრებით სამამულო ომზე და წინაპრების შესახებ.

„წმინდაა როგორც დედის მანდილი  
ჩემი სიმაზი ქვეყნის მიღამო,  
მინდა სიმღერამ ამოვარდნილმა  
გულის ფეხვები ამოტანოს“.

ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ ამ წიგნში მოთავსებული მრავალი ლექსის შესაფასებლად, რამდენადაც ეს ლექსები შეტანილი იყვნენ ავტორის წინა კრებულებში და ჩვენი კრიტიკაც თავის დროზე მათ სათანადოდაც გამოახსნაურა. შევიხებთი უმთავრესად იმ ლექსებს, რომლებიც ავტორმა უცანასკნელ ხანებში გამოაქვეყნა ჩვენს პრესაში და, ბუნებრივია, კრებულშიც პირველად ახლა შევიღენ.

სარეცენზოო წიგნი იხსნება ლექსით: „კახეთი“. ვფიქრობთ ეს შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს; ავტორი ცდილობს განსაკუთრებული საყვარულით გამოთბარი ლექსები უძღვნას თავის მშობლიურ კახეთს და მისდა სსსრ-ზელოდ უნდა ითქვას, ამას იგი ზნობიად აღწევს:

„მშურს მიწაზე ძირჩანერგილი  
მეც ვშრიალებდე როგორც ჩინარი.  
რომ სიკვდილამდე გზას მიჩალებდეს  
ეს სილაშაზე დაუნრდილაი“.

ასევე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ლექსი: „კალზე არყის სახელი“, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ პოეტს, რომ კახეთზე დაწერილი ზოგიერთი ლექსი ზედმეტად არის ვადატორითული — „ყანწის და სავსე ქვეყრების გაბაასებით“, ლენინის სმით, სადაც „დაქრიან აზარფეშები ლენინისაგან განახლები“. საბჭოთა მკითხველი თავის პოეტს ამგვარ ლექსებს ვერ მოეწონებს. რასაკვირველად, კახეთი ლენინის წარმოებითაა ცნობილი, მავრამ ეს ამბავი მთელ ქვეყანასთან ერთად ქართულში პოეზიამაც იმდენად კარგად უწყის, რომ თანამედროვე ლექსი თუ ახლებურად არ იქნა მასზე თქმული, სხვა რომ არაფერი, ვაღამურების მიწინ დაეშვაინება.



ლექსში „შემოდგომა თბილისში“, ნაკლებად იგრძნობა თანამედროვე საბჭოთა თბილისი.

„შეჩერდება მოქალაქე მოსდის ელეთ-მელეთი იტყვის — ალბათ ღვინის სუნით სუნთქავს მთელი ზველეთი.

ან — და ტიკები ლოთებივით შობძეს მიკუფლებიან“

ან „შვინდისფერი, ქარვისფერი ქარმა ერთად არია, ეს კაბების შრიალია განა მართლა ქარია“.

შეთხველი მაშინვე ვგრძნობს, რომ ამ სტრიქონებში სულ სხვა სკოლის ძველი პოეტური მოტივები გაისმის, რომელიც, ალბათ ახალგაზრდა პოეტს თავისდა უნებურად შემოჰპარვია და შემდეგ სტრიქონებისათვის კანტროლი აღარ ვაუწყვია.

რადგანაც სიტყვამ მოიტანა აღენიშნავთ ერთ საერთო სენსაც, რომელიც დღეს ქართული საბჭოთა პოეტების ნაწილს ახასიათებს. ეს არის პოეტური სტილის აღრევა. სრულიად რეალისტური თვალისა და ხმის პოეტი ერთ მშვენიერ დღეს უეცრად იმპრესიონისტულად წამომღერებს, ან წუთით სიმბოლიზმის ძველს მოტივებს დანებდება და ვერც ბუკობს, რომ ეს მისი ბუნებრივი ხმა არ არის. აქ უთუოდ პოეტს კრიტიკა უნდა დაეხმაროს, მაგრამ, საუბედუროდ, ამ ბოლო ხანებში ჩვენი კრიტიკა იმეფარ საკითხებზე სრულიად არ მუშაობს. ეს საკითხი კი საჭირობოთ საკითხია, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდა პოეტური კადრების აღზრდაში.

მაგრამ ამ საკითხზე ალბათ სხვა დროს, სარეცენზიო წიგნში კარგია აგრეთვე ლექსი „რიგა“.

„შე შენს მშვენივას ვით უტბო ვეცეს ჩემს თბილისს ლექსად ვახტანგისა“  
ბიბლიოგრაფია

ხალხთა ძმობის მოტივებზე ამ ლექსის გარდა ავტორს წიგნში შეუტრიაია აგრეთვე „უკრაინა“, „წინაპრებიდან“ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ „პარათაშვილის სურათი“ და „ღიღი სიმღერა“. ეს ლექსები მკითხველზე ძლიერი შთაბეჭდილებას ახდენენ. პირველ ლექსში აღმავალი ძალით შეორდება რეფრენი „მისი სურათი ნაპოვნი არი“, რაიც უსათუოდ პოეტის მიერ დასახულ მიზანს აღწევს.

ო. განა ქვეყნად დღი მზატრებთ ათჯერ, ათასჯერ არ ინატრებენ მისებრ დასტოვონ ამ ქვეყნად კვალი ისე დახატონ თავისი თავი, აღბეჭდონ სული და ფიქრთა ლეღეც ვით შესძლო მგონის ჯადოსნურ ხელმა? მისი სურათი ნაპოვნი არი“.

ეს სურათი არის მგონის შემოქმედება, მისი ლირიკის გმირი, ი. ნონეშვილს შესაფერი ფორმა მოუნახავს თავისი პოეტური ჩანაფიქრისათვის.

რაც შეეხება „არსენას საფლავს“ ამ სურათსაც სოციალისტური რეალისტი მზატრის ზოგიერთი საღებავი აკლავს.

ჩვენ არ ვანვიხილეთ ამ წიგნში მოთაქვებული ბევრი ლექსი, მათ შორის „შეომრული სიმღერები“ — სადაც კარგი ლექსებია „ოთხი მამა ლესელიძე“, ლექსები მიძღვნილი საბჭოთა კავშირის გმირებზე და სხვა. რადგანაც, როგორც ზემოთ ეთქვათ, ისინი ავტორმა წინა კრებულში დასტამბა და კრიტიკამაც შესაფერი შეფასება მისცა.

ი. ნონეშვილის წიგნი „ქარიშხლის შემდეგ“ მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

მ. ნ.—ლი

ბ. პარამოვი — „საბჭოთა კონსტიტუციის განვითარების ეტაპები“

საბჭოთა ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მძლავრ იარაღს წარმოადგენს უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სსრ კავშირის კონსტიტუციის სწავლება.

მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია, დიდი სტალინური ქართია, წარმოადგენს დოკუმენტს, „რომელიც მარტოვად და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით ლაპარაკობს სსრ კავშირში სოციალიზმის ვა-

მარჯვების ფაქტებზე, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების ფაქტებზე, სსრ კავშირში ვაშლილი, ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე“, „რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და განაგრძობდნენ ოცნებას მილიონობით პატოისანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში, — უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში“





(სტალინი, მოხსენება სსრ კავშირის საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობაზე, 1936 წ. 15 ნოემბერს).

ცხადია, ამგვარი დოკუმენტის შესწავლის ახალგაზრდობის მიერ უღირსად დიდი მნიშვნელობა აქვს.

გ. ერემოვის წიგნი: „საბჭოთა კონსტიტუციის განვითარების ეტაპები“, როგორც ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, მიზნად ისახავს, „დახმარება აღმოუჩინოს იურიდიული ფაქტობრივი სტრუქტურების საბჭოთა კონსტიტუციის განვითარების ეტაპების შესწავლის საქმეში“... და „დამხმარე მასალად გამოიყენონ კონსტიტუციის მისწავლებლებმაც, საშუალო სკოლაში“.

მართალია, აქ თავმოყრილია დოკუმენტური მასალები საბჭოთა კონსტიტუციისთან დაკავშირებული (პირველი საბჭოთა კონსტიტუციები, საბჭოთა დეკრეტები), მაგრამ ავტორი შერად ხელსაღ ამუქებს საბჭოთა კონსტიტუციის განვითარების ეტაპებს, ზოგან თემასთან დაკავშირებული საკითხები მართალიაა წარმოდგენილი და უფრო ვრცელადაა მოცემული ის მასალები, რაც უშუალოდ არ ეხება საკითხს.

წიგნი საბჭოთა კონსტიტუციის განვითარების ცალკეული ეტაპები დაკავშირებული არ არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-საზოგადოებრივ და საგარეო ურთიერთობასა და პირობებთან, თუმცა ავტორი წიგნის დასაწყისში გვიჩვენებს „საბჭოთა კონსტიტუციის, თავისი განვითარების ცალკეული ეტაპების მიხედვით, ზედ დადგენილებით ჩვენი ქვეყნის სამინიო და საგარეო ურთიერთობებს და პირობებს“.

ავტორი კონსტიტუციის განმარტების დროს სათანადოდ ვერ განსაზღვრავს ბერტუაზიული და საბჭოთა კონსტიტუციის დამახასიათებელ ნიშნებს, როცა სწერს: „კონსტიტუციაში უნდა იყოს იმისი ფიქსირება, რაც საზოგადოების მიერ რეალურად მიღწეულია ამა თუ იმ სახელმწიფოში. მისში არ ჩაიწერება ის რაც მოსალოდნელი უნდა გაეთქვას“ (გვ. 9).

განა ყველა სახელმწიფოს კონსტიტუცია ასახავს იმას „რაც საზოგადოების მიერ რეალურად მიღწეულია?“ გამოდის, რომ თითქმის ის, რასაც ბერტუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები აცხადებენ და პირდებიან ხალხებს, მიღწეულია, ამხანავ სტალინი საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობაზე ამის შესახებ ამბობდა: „კონსტიტუციითა მეორე გჯდები ხალხით ღებულობს და საქვეყნოდაც კი გაკაცის დემოკრატიულ საწყისებზე, მაგრამ ამასთან უკეთებს ისეთ შენიშვნებსა და შეზღუდვებს, რომ დემოკრატიული უფლებები და თავისუფ-

ლებანი სრულიად დამახინჯებული გამოდის. ისინი ლაპარაკობენ თანასწორ სიბრძნეზე, თუმცა ლეგებზე ყველა მოქალაქისათვის, მაგრამ ვერაზღუდდენ მათ ბინადრობის, განათლების ცენზით და ქონებრივი ცენზითაც კი. ისინი ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორ უფლებებზე, მაგრამ იქვე უკეთებენ შენიშვნას, რომ ეს არ შეეხება ქალებს ან შეეხება მათ ნაწილობრივ და სხვა და ა. შ.“

ამგვარად, განვლილის ასახვის, მოპოვებულის რევისტრაციის ახდენს მხოლოდ სტალინური კონსტიტუცია და არა სხვა ქვეყნების კონსტიტუციები. სწორედ ეს არის სტალინური კონსტიტუციის პირველი თავისებურება, რითაც იგი განსხვავდება ყველა ქვეყნების კონსტიტუციებისაგან. ამხანავი სტალინი იმავე ყრილობაზე ამბობდა: „ახალი კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს განვლილი გზის შედეგს, უკვე მიღწეული მონაპოვართა შედეგს. იგი, მამასიამე, წარმოადგენს იმის რევისტრაციასა და სათანადოდ განმტკიცებას, რაც საქმით უკვე მიღწეული და მოპოვებულია.“

ამაშია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველი თავისებურება“.

წიგნი არა სწორადაა მოცემული სრულიად რუსეთის საბჭოების მე-2 ყრილობის შემადგენლობა. ყრილობის დაჯგუფებების შესახებ 22-ე გვერდზე სწერია: II ყრილობაზე გამოცხადდა 670 დელეგატი, ამ დელეგატებიდან მენშევიკი იყო 68 და მემარჯვენე ესარი 24. უმრავლესობა ეეთვინოდა ბოლშევიკებს (ესწერება 300 დელეგატი) და „მემარცხენე“ ესარება (ესწერებოდა 160 დელეგატი).“

სინამდვილეში კი ყრილობის დელეგატი რაოდენობა და შემადგენლობა სხვაგვარი იყო. „ყრილობაზე 650 დელეგატი ჩამოვიდა, რომელთაგან 390 ბოლშევიკი იყო“. (სსრ კავშირის ისტორია, პრიფ. ა. პანკრატოვის რედაქციით, III ნაწილი. 1948 წ. გვ. 267 (ტართ. გამოცემა).

გ. ერემოვის წიგნიდან ჩანს, თითქმის ბრესტის ზავის გაუქმება საბჭოთა მთავრობის მიერ და უკრაინაში საბჭოთა ზელისფლუების აღდგენა შერად უმტყენეულოდ მიხვდა. ავტორი ამის შესახებ ასე იტყუება: „1918 წ. 13 ნოემბერს გაუქმდა გერმანიის მიერ ჩვენზე თავს მოხვეული ყაიღური ზავი. უკრაინა ისევ საბჭოთა გახდა“. (გვ. 34) ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ შესაძლოა საბჭოთა მთავრობამ ბრესტის ზავის გაუქმება. ავტორს აქ უნდა გაეშეშებია, რომ საბჭოთა ხალხის ომმა გერმანულ ოკუპანტების წინააღმდეგ 1918 წელს, დასუსტა გერმანიის ჯარები და ხელი შეუწყო ანტანტის გერმანიაზე გამარ-



ჯგუხაში, აგრეთვე ოქტომბრის რევოლუციამ გავლენა მოახდინა გერმანიაზე. ყოველივე ამის გერმანიაში შედეგად მოაკვია 1918 წლის ბერძენი რევოლუცია, რის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ გაიტყმა ბრესტის ზავი.

ამვე დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნულიყო, რომ უკრაინის განთავისუფლება გულზე ხელუბნის დიკრედიტი კი არ მომხდარა, არამედ უკრაინელთა გამართული და თავდადებული ბრძოლის შედეგად გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ.

წიგნში, სადაც ლაპარაკია „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაციის“ შესახებ, მხოლოდ ჩამოთვლილია ამ დეკლარაციის ოთხივე მუხლი და მისი გაჩენვა და განმარტების მიჯნავად შეტანილი ვრცელად განხილულია საერთოდ ეროვნული საკითხი (მე-15 გვერდი).

ავტორს უნდა გაერჩია „დეკლარაციის“ თვითნებური მუხლი და გადმოეცა, თუ როგორ განხორციელდა დეკლარაცია პრაქტიკულად ჩვენს ქვეყანაში.

მართალია, მთელი რიგი გვერდებისა (გვ. 110, 111, 112, 113, 114) დამოძილი აქვს თემს, თუ როგორ დგას ეროვნული საკითხი ჩვენში, რას ნიშნავს ერთა თვითგამორკვევა. მაგრამ როგორ ჩამოყალიბდნენ ჩვენში რესპუბლიკები, როგორ განხორციელდა ერთა თვითგამორკვევა, ამის შესახებ არაფერია არაა ნათქვამი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული საკითხის განხილვის დროს წიგნში ადგილი აქვს ზღნდოვან გამოთქმებს. მაგალითად, 56-ე გვერდზე სწერია: „კაპიტალიზმის პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმი ძირითადად ქადაგებს არა ეროვნების (ბერძენისა და მშობელიანისა ერთად) ინტერესებზე, არამედ კლასობრივ დამარბისპირებასა და კლასობრივ ბრძოლაზე“ — გაუგებარია რას ნიშნავს „კაპიტალიზმის პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმი ძირითადად ქადაგებს“.

წიგნში საკმაოდ ვრცელად არის ჩამოთვლილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული დეკრეტები 1917 — 1918 წლებში მაგრამ გამოტოვებულია ისეთი დეკრეტები, როგორც დეკრეტი არმიის დემოკრატიზაციის შესახებ (1917 წ. 16 (29) დეკემბერი), დეკრეტი მუშურგლებზე წითელი არმიის შექმნის შესახებ (1918 წ. 15 (28) იანვარი), დეკრეტები: ქალთა თანასწორუფლებიანობის, ბავშვთა დაცვის, სახალხო მეურნეობის ემპლუსს საბჭოს შექმნის შესახებ და სხვ.

წიგნში, ლაპარაკია რა რსდსრ პირველი კონსტიტუციის მიღებისა და ამ კონსტიტუციის მუხლობის შესახებ, არ არის გაშუქებული, რო-

დის და როგორ შეიქმნა რსდსრ. რსდსრის კონსტიტუციის გარჩევას ცალკე უნდა შევხვედეთ. მოყოფილი, მაგრამ აქ მხოლოდ უნდა იქნებოდეს კონსტიტუციის მუხლები, არ არის გაშუქებული, როგორი იყო საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო პირობები ამ კონსტიტუციის მიღების დროს. არ არის ხაზგასმული პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. ვარკვევით არ არის გაშუქებული საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ემპლუსი ორგანოების შემადგენლობა, როლი, მათი სახე და რწმუნებები. არ არის გაშუქებული, თუ როგორი იყო საარბევო სისტემა 1918 წლის კონსტიტუციის მიხედვით.

პირველი საბჭოთა კონსტიტუციის გარჩევის შემდეგ ვ. ერემოვი გადადის სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის დანახათებზე (1924 წ.). ავტორი აქ არ აშუქებს, თუ რა ცვლილებები მოხდა ჩვენს ქვეყანაში 1918 წლიდან 1924 წლამდე ვანელი პერიოდში: რა წარმატებები და მიღწევები მოიპოვა საბჭოთა ქვეყანამ, საბჭოთა ხალხმა ამ ხნის განმავლობაში, რამაც განსაზღვრა ახალი კონსტიტუციის მიღება, რა მიზეზებმა გამოიწვიეს 1918 წლის კონსტიტუციის შეცვლა.

თავი—„შუა აზიის ეროვნული თვითგამორკვევა და სსრ კავშირის გაფართოება“ ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა სსრ კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკების ზრდა. აქ უფრო ვრცელადაა გაშუქებული, თუ როგორ შეიქმნა თურქმენთა, უზბეკთა და ტაჯიკთა რესპუბლიკები. სამაგვაროდ არსად არაფერი არის ნათქვამი, იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა კარელიანეთის, მთლდაეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოკავშირე რესპუბლიკები. მათი შექმნის თარიღებია მხოლოდ აღნიშნული, მაშინ როდესაც წიგნში უფრო ვრცელადაა გაშუქებული თუ „როგორი იქნება სსრ კავშირის დამოკიდებულება მომავალში ახლად აღმოცენებული სოციალისტური რესპუბლიკებისადმი და როგორ დამოკიდებულებაში იქნებიან მომავალი ახლად აღმოცენებული სოციალისტური რესპუბლიკები სსრ კავშირისადმი“ (გვ. 98, 99, 100).

წიგნში არ არის მოცემული, თუ რა პირობებია საჭირო მოკავშირე რესპუბლიკების შესაქმნელად და რა უფლებებით სარგებლობენ ისინი. ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებები შეზღუდულია კონსტიტუციის მე-14 მუხ. და იგივე კონსტიტუცია რა უფლებებს ანიჭებს ამ რესპუბლიკებს, არ არის აღნიშნული.

წიგნი არ არის გამუქებული ავრეთვე, რას ნიშნავს ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური და ნაციონალური ოლქები, რა უფლებებს ანიჭებს მათ სტალინური კონსტიტუცია.

ავტორი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ჰყავს იმდენი მოადგილე, რამდენიც მოკავშირე რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: თითოეული მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ითვლება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

წიგნი არა საკმარისად არის მოცემული პრეკუზიული კონსტიტუციების კრიტიკა, მათი არადემოკრატიულობა, დემოკრატიულ უფლებათა შეზღუდვა ისეთ სახელმწიფოებში, როგორცაა ინგლისი და ა. შ. შტატებში ზანჯის და სხვა კოლონიურ მსახლობლათა უფლებობა. ხაზგასმული არ არის საბჭოთა კონსტიტუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, მისი დემოკრატიულობა და მისი ძალა, რითაც დღეს სამართლიანად ამყობს საბჭოთა ხალხს.

გეოგრაფია მოცემული ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ცვლილებები 1924 წლიდან 1936 წლამდე, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობა ამ პერიოდში.

წიგნი გამოცემულია 1947 წელს, სტალინური კონსტიტუცია კი დამტკიცებული იქნა 1936 წელს ასე, რომ კონსტიტუციის მიღებიდან ამ წიგნის გამოსვლამდე 10 წელზე მეტმა დრომ განვლო ამ ხნის განმავლობაში ბევრი ცვლილება მოხდა ჩვენს ქვეყანაში, როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობათა დარგში, ამ ცვლილებათა შესაბამისად შეიცვალა სტალინური კონსტიტუციის მიღელი რიგი მეხლები, მასში შეტანილი იქნა ავრეთვე მრავალი დამატება, წიგნი კი ამის შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი.

არაფერი არ არის ავრეთვე იმის შესახებ, თუ როგორი ხასიათი მიიღო სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარებულმა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების და ადგილობრივი საბჭოების დებუტატების არჩევნებმა, რა შედეგები მოჰყვა ამ არჩევნებს.

წიგნი დაშვებულია ენობრივი და სტილისტური ხასიათის შეცდომები. მაგ., 34-ე გვერდზე სწერია: „მომხრეს ხმა მისცა 784 დღე-ღამე, წინააღმდეგ — 261 დღე-ღამე“, „იმედიან სტალინური კონსტიტუციის 6 მეხლით

მიწები ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო საკუთრებას, ანუ საყოველთაო-სახელმწიფო-საკუთრებას წარმოადგენს“ (გვ. 40). „სტალინური კონსტიტუციის 39. მეხლით კანონის მისაღებად საჭიროა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის დისტურა“ (გვ. 113), „შემდეგი შესწორება შეეხება 40. მეხლს“ (გვ. 129), „კონსტიტუციის პროექტის 10. მეხლს, რომელიც შეეხება მოქალაქეთა პირადი საყუთრებით უფლებას, დაემატა ის შესწორება, რომ „მოქალაქეთა პირადი საყუთრების მემკვიდრეობით გადაცემის უფლება დაეცუა კანონით“ და ამის შესახებ სხვა მრავალი.

გაუგებარია რას ნიშნავს „სათათბიროს ხმის უფლებით კომისიაში შედიოდნენ ავრეთვე სახალხო კომისართა წარმომადგენლები და სპეციალისტები“ (გვ. 76). რას ნიშნავს სახალხო კომისართა წარმომადგენლები? ილბათ ავტორს უნდოდა ეთქვა სახალხო კომისართა საბჭოს (სახკომსაბჭოს) წარმომადგენლები.

ან როგორი ჭართულია „1942 წლის 12 მარტს საქართველოს, ადერბაიჯანისა და სომხეთის ცაკების (?) უფლებამოსილი კონფერენციის მიერ დამყარებული იქნა...“ (გვ. 84).

წიგნი ხშირდაა ნახმარი გაუგებარი, გაუართავი და უხერხული გამოთქმები. მაგ., 35-ე გვერდზე: „შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციამო გლეხობის პროლეტარიატისადმი მიმხრობის საკითხს მიწის პრობლემისადმი დამოკიდებულება სწვევტდა თვით რევოლუციის ზედს კი გლეხობის პროლეტარიატისადმი მიმხრობა სწვევტდა“.

39-ე გვერდზე: „ამგვარად, საბჭოების II ყრილობამ მნიშვნელოვანი კანონები (დერეკრუტები) მიიღო, მიუხედავად იმ ზოგიერთი არახელსწილისა, რასაც ლენინი და პროლეტარიატი შეიძლება ითქვას, ან ეთანხმებოდნენ, მაგრამ საქმის ამ მხარეს (კანონების მიღებას) პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიანიც არ ეძლეოდა“.

41-ე გვერდზე: „შემამულეებისა და კულაკების ლეკვიდაციით ჩვენი ქვეყნის გლეხებმა დაამკვიდრეს მიწათხარგებლობის ის პრინციპი, რაზეც კაცობრიობის მოწინავე ადამიანები ოცნებობდნენ და რაც სოციალიზმის პრინციპებშია ჩაქსოვილი“.

83-ე გვერდზე: „რსფსრ-ს პირველი კონსტიტუცია გახდა ნიშნში მომავალში საბჭოთა



სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის კონსტრუქციის შემქმნევებისათვის, ისევე როგორც თვით რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ჩამოყალიბება ნიშნში იყო საერთოდ ჩვენი კავშირის ფედერაციული სისტემით აგების საქმეში უროვნებათა თანასწორფლებიანობისა და ნუკლეოფობის პრინციპის დაცვისათვის. კერძოთ იგი იყო ნიშნში ამერკავცასიის ფედერაციის დაცვისათვის\*.

გ. ერემოვის წიგნი — „საბჭოთა კონსტრუქციის განვითარების ეტაპები“ საჭიროებს

უფრო მეტ დახვეწას ზოგიერთი საკითხების დაზუსტებას, ენობრივი და სტილისტური შეცდომების გასწორებას, აგრეთვე სწავლებისათვის განტვირთვისა და სწავლების საქმეში შერბეული საკითხების უფრო ფართოდ გაშუქებას.

ყოველივე ამის შემდეგ, აღნიშნული წიგნი მართლაც დიდ დახმარებას გაუწევს როგორც კონსტრუქციის მასწავლებლებს, ისე ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას.

3ლ. მუხაშვიანი

აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკა“. სხეულგამი. 1948.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ქართულად თარგმნას ორგანიზაციის მნიშვნელობა აქვს. ერთი—წმინდა ლიტერატურულ—პოეტური (ქართულ თარგმნის ლიტერატურას ემატება არგონავტების ცნობილი მითის პოეტურად დამუშავებული პირველი ძეგლი) და მეორე—ისტორიულ-ფილოლოგიური (რამდენადაც აპ. როდოსელის „არგონავტიკა“ წარმოადგენს უძველეს წყაროს კოლხეთისა და კოლხური ტომების შესახებ).

პოემა გეოგონის ელინისტური ეპოქის პოეტს აპოლონიოს როდოსელს. ელინიზმის ეპოქაში ასეთი დიდი ეპოსის შექმნა იყო გაბატონებული ტრადიციისადმი ლაღატი. ალექსანდრიულ პოეზიას უფრო ლექსის რაფინირებისა და დეტალების დამუშავებისააქვს სწრაფვა განასხვავებდა ძველი საგმირო პოეზიისაგან, რომელიც დიდი ეპიკური ტილოებით ხასიათდებოდა.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ იყო ცდა პომპროსის ეპიკური ტრადიციის აღდგენისა, პოეტის ამ ცდას გამჭრელებული ვერ უპოვია მის თანამედროვეთა შორის და, პირიქით, მას მტრულადაც შეხვედრიან.

პოემა შესდგება ოთხი წიგნისაგან. პირველ ორ წიგნში გადმოცემულია სუვეტის ექსპოზიციის, მთლანეტივ გმირთა ჩამოთვლა, ხომალდ „არგოს“ მარშრუტი და მგზავრობის პირველი ეტაპის საინტერესო ეპიზოდები.

მეორე წიგნი თავდება პრომეთეს თქმულებითა და „არგოს“ შემოსვლით მდინარე ფასისში.

მესამე წიგნი არის პოემის ყველაზე საინტერესო ნაწილი არა მარტო პოეტურად, არამედ ამ განსაკუთრებული მნიშვნელობითაც, რომე-

ლიც მას აქვს ჩვენი, ქართველი, მკითხველისათვის. ამ წიგნში დახატულია მაშინდელი კოლხეთი, არგონავტთა მოსვლა კოლხთა მეფის აიეტის კარზე, მითოსობილია მედეასა და იაზონის გამოგზავრება და გრძნული მედეას დახმარებით იაზონის გამარჯვება.

მეოთხე წიგნი გვიამბობს იაზონის მიერ ოქროს საწმისის მოკაცებასა და მედეასთან ერთად კოლხეთიდან არგონავტების გაქცევასა და კოლხთაგან მათ დევნას.

„არგონავტიკა“, როგორც შეენიერებაში ცნობილია, შეიცავს რომელიც ძველ ისტორიულ ფაქტს კოლხთა და ბერძენთა ურთიერთობიდან. მითოსისათვის დამახასიათებელ ზღაპრულ სამოსელს მიღმა გულსხმობენ მდინარე ფასისის კალაპოტში ოდესღაც ოქროს მოპოვების შესაძლებლობასა და ბერძენთა ლაშქრობას ოქროსათვის.

პოემა ბევრ საინტერესო ცნობას იძლევა კოლხეთის მაშინდელ გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიაზე. კოლხთა მეფე აიეტი ძლიერი, სუვერენული სახელმწიფოს მფლობელი ჩანს. მისი სატახტო ქალაქი აია და სამეფო სასახლე დიდი სიმდიდრითა და ბრწყინვალეობით გამოირჩევა.

აპოლონიოს როდოსელის პოემის პოეტური მნიშვნელობის გასათვალისწინებლად მარტო ის ფაქტიც კმარა, რომ მის გაულენას ვანიცდიდნენ რომის უდიდესი პოეტები ვერგილიუსი და ოვიდიუს ნაზონი.

ქართულად პოემა პროზითაა თარგმნილი აკურტუშის მიერ. ეს გარემოება უდავოდ საუარესდებოა. ცნობილია ძველი ქართული ლიტერატურის სიმდიდრე თარგმანებით. ეს თარგმანები მეტწილად ლექსით სრულდებოდა და ეს ტრადიცია იმდენად დამკვიდრებული

იყო რომ უკვე არსებული ბრწყინვალედ პრაქტიკული თარგმანის ხელახლა ვალექსავე ხშირად ხდებოდა.

ეს გარემოება თავის დაღს ასევედა თარგმანის ღირსებას, რადგანაც უკვესად მთარგმნელებმა ყოველთვის არ იყვნენ ლექსის კარგი ოსტატები.

ამის საწინააღმდეგოდ დასავლეთის ლიტერატურაში საკმაოდ ფესმოყიდებული იყო პოეტური ნაწარმოების პროზად თარგმნის ტრადიცია: ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი, პართალია, ვერ ვადმოცემდა ორიგინალის გარეგან ფორმას, მაგრამ ამ ნაყლის ხარჯზე აღწევდა შინაარსის ზედმიწევნით სწორ ვადმოცემას.

სარტყენზით თარგმანის სწორედ ამ ღირსებით გამოირჩევა: მის არა იქვს პრეტენზია ორიგინალის პოეტური ფორმის ქართულად წარმოდგენისა, სამავიეროდ თარგმანში ორიგინალის შინაარსის, ახრის სწორ ვადმოცემასთან გვექვს საქმე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წიგნის თარგმნის დროს, რომელსაც პოეტურს ვარდა აქვს წმინდა მეცნიერული მნიშვნელობა.

წიგნი კარგი ქართულითაა თარგმნილი, მაგრამ მთარგმნელს უნდა შევნიშნოთ ქართული სინტაქსისათვის მიუღებელი, გამოთქმების პირდაპირ ვადმოტანა. საკმაოდ შეიძლება მავალითების მოტანა, მაგრამ დავჯერდეთ რამდენიმეს: „მის ვერც ერთი ბრწყინვალე გმირი ვერ შეედრებოდა ვერც ისინი, ზევსმა რომ წარმოშვა და ვერც ისინი, სტვს უკვდავთა სისხლისაგან რომ იყვნენ წარმოქმნილი“.

ამ: „... განთიადის პირველი სტივები დაინახა ელვარე თმები უწესრიგად“ (მეშვენიერება, მ. ო. შ. ლ. ო. დ.). არის ტიტულური სტივები, უზერბული გამოთქმებიც, მაგ. „წარმოდგებილი სიცილებლის ყოველგვარი მხარე“ (გვ. 135). „იპონში მოსასხამი მოიძრო. მახვილი შემოიკრა“ (გვ. 149). „მაგრამ წინამძღოლი დაეზნათ და ასირიაში დარჩნენ“ (გვ. 99).

მთარგმნელს წინასიტყვაობაში აქვს ასეთი აღვლი: „ა. როდისელი პომეროსს ბაძავს, იმეორებს პომეროსის ეზონისათვის დამახახიანობულ ყოველ ნიშანს: ეპითეტებს, შედარებებს, განმეორებებს და შიოს.“ (გვ. 22). ვანა რომელი პოეტია ეპითეტებს შედარებებს და შიოს. რომ არ მიმართედეს? და ვანა თუ ეს კარა პომეროსთან მსვავებლისათვის, ყველა პოეტი მის არ ჰგვანოია?

ჩვენ აღარ შეგვარდებით ასეთ უმნიშვნელო შენიშვნებზე.

განსაკუთრებით აღვნიშნავთ ავ. ურუშიის მიერ წიგნისთვის დართულ განმარტებებს. „განმარტებებში“ ავტორს ბევრი მეცნიერულად საინტერესო დავიერება აქვს წარმოდგენილი, რომელთაც დამოუკიდებელი ფილოლოგიური მნიშვნელობა ვაანიათ.

წიგნის რედაქტორია პროფ. ს. ყაუხჩიშვილი.

ბიბლიოლ აბაშიძე.

